შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზოგადი და შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Institute of General and Comparative Literary Studies

ქართველ კომპარატივისტთა ლიტერატურული ასოციაცია

Georgian Comparative Literature Association

სჯანი

ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალი
ლიტერატურის თეორიასა და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში

Sjani

Annual Scholarly Journal of Literary Theory and Comparative Literature

12

Institute of
Literature Press

ლიტერატურის
ინსტიტუტის
გამომცემლობა

UDC (უაკ) 821.353.1.0(051.2)
ს-999

რედაქტორი

ირმა რატიანი

სარედაქციო კოლეგია

ლევან ბრეგაძე
თამარ ბარბაქაძე
თეიმურაზ დოიაშვილი
მაკა ელბაქიძე
გაგა ლომიძე
თამარ ლომიძე
რევაზ სირაძე
ბელა წიფურია

სარედაქციო კოლეგიის საპატიო წევრები

მანფრედ შმელინგი (გერმანია)
სადაო ცუკუი (იაპონია)
რუდოლფ კროიტნერი (გერმანია)
მაია ბურიმა (ლატვია)

პასუხისმგებელი მდივანი

სოლომონ ტაბუცაძე

სჯანი 12, 2011, მაისი

რედაქციის მისამართი:
საქართველო
თბილისი, 0108
მერაბ კოსტავას ქ. 5
ტელეფონი: (+995 32) 2 99-63-84
ფაქსი: (+995 32) 2 99-53-00
www.litinstituti.ge
E-mail: litinst@litinstituti.ge

Editor

Irma Ratiani

Editorial Board

Levan Bregadze
Tamar Barbakadze
Teimuraz Doiashvili
Maka Elbakidze
Gaga Lomidze
Tamar Lomidze
Revaz Siradze
Bela Tsipuria

Honorary Members of Editorial Board

Manfred Schmeling (Germany)
Sadao Tsukui (Japan)
Rudolf Kreutner (Germany)
Maja Burima (Latvia)

Responsible Editor

Solomon Tabutsadze

Sjani 12, 2011, May

Address:
Georgia
0108, Tbilisi
5, M. Kostava St.
Tel.: (+995 32) 2 99-63-84
Fax: (+995 32) 2 99-53-00
www.litinstituti.ge
E-mail: litinst@litinstituti.ge

ISSN 1512-2514

შინაარსი

Contents

პოზიცია

Position

ირმა რატიანი 7 **Irma Ratiani**
ვაჟა-ფშაველა — 150 *Vazha-Pshavela - 150*

ლიტერატურის თეორიის პრობლემები

Problems of Literary Theory

ივანე ამირხანაშვილი 9 **Ivane Amirkhanashvili**
სიტუაციის კომპოზიცია აგიოგრაფიაში *Composition of the Situation in Hagiography*

ხათუნა თავდგირიძე 15 **Khatuna Tavdgiridze**
ტრიქსტერი და სიმულაკრა *Trickster and Simulacrum*

თამარ ჩიხლაძე 26 **Tamar Chikhladze**
ეპიგრაფი, როგორც ინტერტექსტუალური ფენომენი (კლოდ სიმონი და ფრანსუაზ საგანი) *Epigraph as an Intertextual Phenomenon (By Claude Simon and Françoise Sagan)*

არვი სეპპი 35 **Arvi Sepp**
სიმართლე და პოეზია. დღიურის ლიტერატურული და კულტურული თეორიისათვის *Wahrheit und Dichtung: Für eineLliteratur- und Kulturwissenschaftliche Tagebuchtheorie*

Салида Шаммед кызы Шарифова 50 **Salida Shammed kızı Sharifova**
Виды жанрового смешения в современной романистике *Types of Genre Mix in the Modern Romance Novel*

პოეტიკური პრაქტიკები

Poetical Practices

თემურ კობახიძე 64 **Temur Kobakhidze**
დანტე, ჯოზეფ კონრადი და იოანეს გამოცხადება ტომას ელიოტის „კაცის ფიტულებში“ *Dante, Joseph Conrad, and the Revelation of St. John in T. S. Eliot's "The Hollow Men"*

სარა ოსიპოვ ჩინგი 79 **Sarah Ossipow Cheang**
ბლეზ პასკალი და მარინა ცვეტაევა: უცნაური სიახლოვე *Blaise Pascal and Marina Tsvetaeva: An Uncanny Proximity*

Ганна Улюра 85 **Ganna Uliura**
С чужого голоса: «устное повествование» в российской женской прозе 1990-2000-х — *From Someone Else's Voice: "Spoken Narrative" in Russian Women's Prose of 1990-2000*

Дмитрий Спиридонов 103 **Dmitri Spiridonov**
Три ветви генеалогии нелинейного повествования в современной европейской прозе — *Three Branches in Genealogy of Contemporary European Non-Linear Narrative*

ლიტერატურათმცოდნეობის ქრესტომათია — Chrestomathy of Literary Theory

რომან ინგარდენი 113 **Roman Ingarden**
კონკრეტიზაცია და რეკონსტრუკცია — *Concretization and Reconstruction*

ლექსმცოდნეობა — Theory of Poetry

ლელა ხაჩიძე 135 **Lela Khachidze**
ტიპოლოგიური პარალელები (VIII — X საუკუნეების ქრისტიანული პოეზიის ისტორიიდან) — *Typological Parallels (Towards the History of Christian Poetry From the 8th to 10th Century)*

ფილოლოგიური ძიებანი — Philological Researches

კონსტანტინე ბრეგაძე 142 **Konstantine Bregadze**
გოეთეს სწავლება ურფენომენზე (Urphänomen) და მისი რეცეფცია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში — *Goethe's Theory of Proto-Phenomenon (Urphänomen) and Its Reception in Grigol Robakidze's Literary Works*

იორდან ლუცკანოვი 162 **Yordan Lyutskanov**
„ხელოვნება როგორც ხსნის საშუალება" და „ისტორია როგორც ხელოვნების შექმნა" — გაფართოება, გამორიცხვა და განმეორება: დიმიტრი მერეჟკოვსკი და მისი ახლო მეგობრები — *Expansion, Exclusion and Recurrence between "Art as a Means for Salvation" and "History as a Creation of Art": Dmitry Merezhkovsky and His Close Companions*

ინტერპრეტაცია

მაია ჯალიაშვილი
არტისტული თამაშის ვარიაციები ქართული მოდერნისტული რომანების მიხედვით

180

კრიტიკული დისკურსი

ნონა კუპრეიშვილი
XX საუკუნის ოციანი წლების ნარატიული სტრატეგიები

195

თარგმანის თეორია

ქეთევან ბეზარაშვილი
დრო და თარგმანი

203

ფოლკლორისტიკა — თანამედროვე კვლევები

ელენე გოგიაშვილი
ზებუნებრივ არსებასთან ქორწინების უძველესი მოტივი ზღაპარში

209

Галина Власова, Лилия Флёрко
Мифопоэтика литературной календарной поэзии

218

კულტურის პარადიგმები

ლელა წიფურია
მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებათა აუდიოვიზუალური ინტერპრეტაციები

226

Interpretation

Maia Jaliashvili
Variations of Artistic Game according to Georgian Modernistic Novels

180

Critical Discourse

Nona Kupreishvili
Narrative Strategies of the 20s of the 20th Century

195

Theory of Translation

Ketevan Bezarashvili
Time and Translation

203

Folkloristics – the Modern Researches

Elene Gogiashvili
Archaic Motifs of Marriage with a Supernatural Being in Folktales

209

Galina Vlassova, Liliya Flyorko
Mythopoetics of Literary Calendar Poetry

218

Paradigms of Culture

Lela Tsiphuria
Interpretations of Mikheil Javakhishvili's Writings in Visual Arts, Theatre and Film

226

დებიუტი

თინათინ ბიგანიშვილი 237
თვითკანონიზება — კანონის თეორიის ერთი წახნაგი

ანა ლეთოდიანი 244
სიმბოლოს განმარტებისათვის

Debut

Tinatin Biganishvili 237
Self-Canonization – Canon Theory

Ana Lethodiani 244
For Explanation of the Symbol

მემორია

გივი ლომიძე 256
სიკეთითა და სიყვარულით გულანთებული

გრიგოლ (ქიცა) ხერხეულიძე 260
ქართველი ფუტურისტები

Memoria

Givi Lomidze 256
Thrilled by Kindness and Love

Grigol (Kitsa) Kherkheulidze 260
Georgian Futurists

გამოხმაურება, რეცენზია

მანანა კვაჭანტირაძე 268
ახალი სამეცნიერო კრებული მოდერნიზმისა და რეალიზმის შესახებ

სოლომონ ტაბუცაძე 274
რომანტიზმის შემდეგ...

Reviews, Comments

Manana Kvachantiradze 268
New Scholarly Collection on Modernism and Realism

Solomon Tabutsadze 274
After Romanticism ...

ახალი წიგნები

მოამზადა ***გაგა ლომიძემ*** 281

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო პუბლიკაციების სტილი 285

New Books

Prepared by ***Gaga Lomidze*** 281

Style of Academic Publications of Shota Rustaveli Institute of Georgian Literature 285

ირმა რატიანი

ვაჟა-ფშაველა 150

საქართველოს ისტორიაში არიან პიროვნებები, რომელთაც საეტაპო როლი აქვთ შესრულებული ქართულ და არა მარტო ქართულ სამწერლობო თუ სამეცნიერო, საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ასპარეზზე. ერთ-ერთი უპირველესთაგანი ვაჟა-ფშაველაა, რომლის დაბადებიდან 150 წლის იუბილე მიმდინარე 2011 წელს სრულდება და ქართველი ერი მოვალეა, სათანადო პატივი მიაგოს გენიალური შემოქმედის ხსოვნას.

ვაჟა-ფშაველა იმ მოაზროვნეთა რიგს განეკუთვნება, რომელთა მნიშვნელობა ეროვნული და მსოფლიო კულტურის წინაშე არათუ ხუნდება დროთა განმავლობაში, არამედ — ფართოვდება, მეტ დატვირთვასა და მასშტაბებს იძენს, ღრმავდება მკითხველთა ყოველი ახალი თაობის ინტელექტუალური მოთხოვნილებების მიმართულებით. დღეს, 21-ე საუკუნეში, ინტერკულტურული კომუნიკაციების მზარდი განვითარებისა და გაღრმავების ეპოქაში, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ვაჟა-ფშაველას, როგორც ქართული ლიტერატურული აზროვნების გამორჩეული წარმომადგენლის ლიტერატურული მემკვიდრეობის ხელახალი ინტერპრეტაცია, რომელიც ორიენტირებული იქნება თანამედროვე საერთაშორისო ინტელექტუალური საზოგადოების ინტერესებსა და აქცენტებზე, ლიტერატურულ მოთხოვნებსა და გემოვნებაზე. ყოველი ეპოქა ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს მწერლის შემოქმედებით მემკვიდრეობას და მისი წაკითხვის ინოვაციურ შესაძლებლობებს გვთავაზობს, აღსავსეს ხშირად მოულოდნელი თვალთახედვებითა და წახნაგებით.

თანამედროვე ლიტერატურული საზოგადოებისათვის, რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული ნაციონალური ლიტერატურული მოდელების ღირებული ჩართვის მნიშვნელობა ფართომასშტაბიან კულტურულ დიალოგში, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ვაჟა-ფშაველას შემოქმედების განჭვრეტა და გააზრება ახალ პერსპექტივაში. 21-ე საუკუნის მკითხველისათვის ვაჟა-ფშაველას შემოქმედება მრავალი კუთხით, როგორც ტრადიციულით, ისე — ნოვაციურით, არის საინტერესო და საყურადღებო. მათ შორის: ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობა, მისი თემებითა და მიზნებით, გვიანი რეალიზმის ეპოქის კლასიკური ნიმუშია და ზედმიწევნით ზუსტად აირეკლავს იმ უაღრესად საინტერესო მიმართებებს, რომელიც არსებობს მე-19 საუკუნის მსოფლიო ლიტერატურულ და ქართულ ლიტერატურულ მოდელებს შორის; ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, ნასაზრდოები პროგრესული ფილოსოფიური და ლიტერატურული პრინციპებით, არის ერთგვარი სიმძიმის ცენტრი, რომელსაც ეფუძნება მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურული პროცესების — თამამი მოდერნისტული ტენდენციებისა თუ ექსპერიმენტების — შინაგანი კავშირი ტრადიციულ ქართულ მწერლობასთან და, ამ თვალსაზრისითაც, მწერლის როლი და ფუნქცია უტოლდება მისი რამდენიმე გენიალური თანამედროვის კულტურულ-ისტორიულ მისიას; ვაჟა-ფშაველა არის დღევანდელი ქართული (და არა მარტო ქართული) საზოგადოებისთვის აქტუალურ „კავკასიის თემაზე“ იშვიათი სისწორით ორიენტირებული შემოქმედი: მისი მწერლობა ეროვნული იდენტობის დაცვის ნიშნითაა აღბეჭდილი და ეროვნულობის იდეა პირდაპირ კავშირშია „კავკასიელის“ ცნების ისტორიული ღირებულების აღორძინებასთან. ეთიკური და საზოგადოებრივი რო ეტ ცონტრა, რომელსაც ვაჟა-ფშაველა საფუძვლად უდებს თავისი პერსონაჟების ღირებულებათა შკალას, სცდება ვიწრო სეპარატიზმის სტანდარტს და

ჰუმანიზმის უღრმესი შრეებისაკენ მიემართება; ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, ნასაზრდოები ქართული მითლოგიური და ფოლკლორული ტრადიციებით, მხატვრული მითისქმნადობის ელეგანტურ პროცესს წარმოადგენს, ის სრულად აირეკლავს მითოლოგიური არქეტიპების გავლენას ლიტერატურაზე და წარმოაჩენს ხალხური სიტყვიერების არა მხოლოდ მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, არამედ ყოფითი კულტურისა და მსოფლმხედველობრივ წარმოდგენათა რეფლექსირების ფუნქციას მხატვრულ ტექსტებში.

ვაჟა-ფშაველას გენია დიდი ხანია გასცდა საქართველოს საზღვრებს და საერთაშორისო კულტურული საგანძურის შემადგენელ ნაწილად იქცა. მისი ლიტერატურული თუ პუბლიცისტური მემკვიდრეობა მსოფლიო ინტელექტუალური აზროვნების ფასეული მოდელია, რომელიც არამარტო აირეკლავს უნივერსალურ ლიტერატურულ კანონს, არამედ — საკუთარი ორიგინალურობითა და თვითმყოდფადობით აფართოებს მსოფლიო ლიტერატურული პროცესის ესთეტიკურ შესაძლებლობებს. ეს არამარტო სიამაყის საგანია, არამედ — ვალდებულებაც, ქართველი ერის ზღვარდაუდებელი მეხსიერებითი ვალდებულება იმ ბუმბერაზი ტალანტის წინაშე, რომელსაც ვაჟა-ფშაველა ჰქვია.

Irma Ratiani

Vazha-Pshavela 150

Summary

Key words: Vazha-Pshavela, 150th anniversary, Modern world philological society and Vazha-Pshavela's fiction.

This year Georgia is celebrationg Vazha-Pshavela's, the great Georgian writer's 150th anniversary.

Today, in the epoch of increasing development of intercultural communications, new interpretation of the creative heritage of Vazha-Pshavela, as an outstanding representative of Georgian literary thinking, take on special significance, as well as his valuable integration in wide scale intercultural dialogue.

For the modern world philological society Vazha's fiction is noteworthy in many respects: Vazha-Pshavela's literary heritage, with its themes and purposes, is a classical example of the epoch of the late realism; Vazha-Pshavela's creative work is a center of gravity on which 20th-century Georgian literary processes are based; For today's Georgian (and not only Georgian) society Vazha-Pshavela is a writer oriented on the topical „Caucasian Theme" with rare awareness; In spite of the fact that dwelling locality of Vazha-Pshavela's characters is of micro-ethnographical nature, the compositions are universal by their plot; The ethnographic world reflected in the texts is socially so archaic that many of its elements become familiar and close for specialists only through Vazha's poetry; Consideration of Vazha-Pshavela's fiction, his poetry is impossible without knowing mythological world outlook, namely Georgian mythology and folkloric tradition. Today is very important to overview Vazha-Pshavela's intellectual heritage and to highlight the mythological-folkloric thinking as coordinating conceptual trend of world literature.

Vaja-Pshavelas intellectual heritage already belongs to the world intellectual inheritance. His genius writing not only reflects the universal literary canon, but expands it due to his creative originality and infinite fantasy.

ივანე ამირხანაშვილი

სიტუაციის კომპოზიცია აგიოგრაფიაში

(მასალები)

რეი ბრედბერის აქვს ერთი ასეთი მოთხრობა — „კალეიდოსკოპი“. ორბიტაზე რაკეტა ფეთქდება და კოსმონავტები ღია სივრცეში გაიფანტებიან. ავტორი აღწერს ერთ-ერთი განწირულის — ჰოლისის განცდებს და წერს: „ის თითქოს განუდგა საკუთარ სხეულს და გვერდიდან შეჰყურებდა, როგორც უცხო საგანს“ (ბრედბერი 1973: 420).

ზღვრულ სიტუაციაში მყოფი ადამიანის თვითობიექტივაციის ზუსტად იგივე ფიგურა თორმეტი საუკუნით ადრე აქვს გამოყენებული იოანე საბანისძეს, რომელიც საწამებლად მიმავალ ჰაბოს შესახებ წერს: „მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკუდარსა, ეგრე ჰხედვიდა თჳსსა მას გუამსა“ (აბულაძე 1967: 70).

ერთი შეხედვით, მართლაც საკვირველი მსგავსებაა, სად ფანტასტიკის ჟანრი და სად აგიოგრაფია, მაგრამ მხატვრული აზროვნების ზოგად სპეციფიკას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არის არა უბრალოდ დამთხვევა, არამედ თანხვედრა, წარმოსახვის იდენტური სტრუქტურების შეხვედრა. ჩვენ წინაშეა აღქმის არქეტიპული ანალოგიები, რომელიც ადასტურებს, რომ ლიტერატურაში მოვლენათა აღქმის მექანიზმი მუდმივია. იცვლება მხოლოდ გამოხატვის ფორმა, თუმცა ზოგჯერ არქეტიპი თავს იჩენს გადმოცემის ფორმაშიც, რის შედეგადაც ვღებულობთ ასეთ მსგავსებას.

მხატვრული ტალანტი სამყაროს აღქმის ასოციაციურ სისტემას გულისხმობს და სრულიად ადვილი შესაძლებელია, რომ ინტუიციის, ფანტაზიისა და გონების ურთიერთქმედება მსგავს ფორმებს ბადებდეს სხვადასხვა ეპოქის მწერლებში.

აგიოგრაფოსს ჟანრის კანონი არ ავალებს მხატვრული გამონაგონის შექმნას, მაგრამ იგივე კანონი არ უკრძალავს ისეთი გამონაგონით ოპერირებას, რომელიც რეალობას უკეთესად წარმოაჩენს.

რაც რეი ბრედბერის ევალება, ის ეკრძალება იოანე საბანისძეს, მაგრამ სადღაც, წარმოსახვისა და ქვეცნობიერის გადაკვეთაზე, ისინი ხვდებიან ერთმანეთს და ჩნდება ფიგურა, რომელიც საერთოა ორივე ავტორისთვის, ოღონდ ფორმალურ დონეზე, შინაარსობრივი თვალსაზრისით კი, რა თქმა უნდა, სხვაობაა, — იოანე საბანისძე იდეოლოგიურ შინაარსს დებს ამ ფიგურაში, რეი ბრედბერი კი — მხატვრულს.

რა მიზანიც უნდა დაუსახო, იდეოლოგიური თუ მხატვრული, მწერალი მაინც მწერლად რჩება, თავისდაუნებურად ერთვება შემოქმედებით პროცესში, რადგან მასზე მოქმედებს ქმნადობის ძალა, რომელიც სიტყვის შინაგანი არსიდან მომდინარეობს.

მხატვრული შემოქმედების ფსიქოლოგიური მექანიზმი მუშაობს იმ შემთხვევაშიც, როცა აგიოგრაფოსი იწყებს მოვლენის როგორც სიტუაციის გადმოცემას. სიტუაცია, ისევე, როგორც სასწაული, თხრობის საერთო მდინარებიდან რელიეფურად გამორჩეული პასაჟია, რომელსაც, გარდა დოკუმენტური ღირებულებისა, მხატვრული ზემოქმედების ეფექტიც აქვს. ეს არის ცალკე აღებული, დამოუკიდებელ სიუჟეტურ ქარგაზე აგებული ნოველური ტიპის კომპოზიციური ერთეული, საგანგებო საინფორმაციო კოდის მატარებელი დეტალი, რომელშიც კონცენტრირებული სახით თავს იყრის თხზულების იდეოლოგიური შრეები. ურიგო არ იქნებოდა, თუ ამ ხერხს პირობითად კონტრაპუნქტის მეთოდს ვუწოდებდით. ჯერ ერთი, ამგვარი სიტუაციური დეტალები გარკვეულწილად მართლაც იხრება პოლიფონიურობისკენ; მეორეც, კონტრაპუნქტის ცნება დაგვეხმარება სიტუაციის აღწერის ბელეტრისტული ხერხის განსაზღვრაში.

სიტუაციის პოეტიკაში ორი ძირითადი პრინციპი გამოირჩევა: მხატვრულ-მისტიკური და რეალისტური.

მხატვრულ-მისტიკურ პრინციპს ავტორი მაშინ მიმართავს, როცა საჭიროა სიტუაციის განზოგადება, როცა მოვლენა თავისთავად გამოდის რეალობის საზღვრებიდან, როცა იდეოლოგიური სამოსელი და მორალისტური პათოსი ფაქტის დაფიქსირების ერთადერთ ფორმად რჩება.

რაოდენ რეალურიც უნდა იყოს გიორგი მთაწმიდელის მიერ მოთხრობილი ამბები ორი სწავლული ებრაელის შესახებ, რომელთაგან ერთი ეფთვიმესთან გამართული დისკუსიის შემდეგ გაქრისტიანდა, მეორე კი, შედარებით ჯიუტი და შეურიგებელი, მოკვდა, თავისთავად მოითხოვს იდეოლოგიზირებას და განზოგადებას, ანუ უბრუნდება იმავე ფორმას, იმავე მდგომარეობას, საიდანაც დროებით გამოვიდა რეალობაში. მისი არსებობის სივრცე მხატვრულ-მისტიკურ ჩარჩოებშია მოქცეული.

სულ სხვაა სიტუაცია, როცა ამბის შინაარსი იმდენად რეალურია, რომ მწერალი იძულებული ხდება მართლისმთქმელობის საგანგებო პრინციპით აღიჭურვოს და მოქმედების განვითარება წარმართოს იმ გზით, რომელიც არ გამომდინარეობს აგიოგრაფიის კანონებიდან. გიორგი მთაწმიდელი მთელ პასაჟებს უთმობს ათონის მთაზე ქართველ-ბერძენთა დაპირისპირების თემას. ამ არააგიოგრაფიული მასალით მისი განსაკუთრებული დაინტერესება იმაშიც მჟღავნდება, რომ თხზულების მთავარ გმირს უცერემონიოდ მიუჩენს ადგილს უარყოფით კონტექსტში — მართალია, მორიდებით, მაგრამ მაინც ამხელს ეფთვიმეს კონფორმისტობასა და უპრინციპობაში, რამაც, გიორგის აზრით, ხელი შეუწყო ათონის ქართველთა საძმოს დასუსტებას და ბერძენთა აღზევებას. ეფთვიმემო, — წერს გიორგი მთაწმიდელი, — „ბერძენნი ფრიად რაიმე შეიყუარნა და განამრავლნა და სრულიად მათდა მიმართ მიდრკა, ხოლო ქართველნი, ვითარცა ნასხურნი რაიმე და უნდონი, უგულებელსყვნა და შეამცირნა. რამეთუ, ვითარცა უწყით ყოველთა, ადრე შევირყევით და მიმოსულასა მოსწრაფედ შეუდგებით და ამით მიზეზთა ფრიად ვავნებთ თჳსთაცა სულთა და ადგილსაცა“ (აბულაძე 1967: 92).

აგიოგრაფოსის მიერ გამოვლენილი მარგინალური განწყობილებანი, რა თქმა უნდა, სცილდება ჟანრის ჩარჩოებს, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გამონაკლისსაც აქვს თავისი წესი და თუ ამ თვალსაზრისითაც ვიმსჯელებთ, მაშინ სავსებით რეალურია საუბარი ქართული აგიოგრაფიის გამორჩეულ თავისებურებაზე, რომელსაც შეგვიძლია ეროვნული ისტორიზმის პრინციპი ვუწოდოთ. გიორგი მთაწმიდელის, გიორგი მცირეს, იოანე საბანისძის, გიორგი მერჩულეს თხზულებებში არის ადგილები, სადაც სიტუაციის კომპოზიცია ისტორიზმის პრინციპად წარმოგვიდგება.

გიორგი მცირეს თხზულებაში არის ასეთი ეპიზოდი: სვიმონწმიდელი ბერები გადაწყვეტენ ლავრიდან ქართველი ბერების გაძევებას და იწყებენ ცილისწამებისა და ბეზღობის კამპანიას ანტიოქიის პატრიარქ თევდოსის წინაშე. იქმნება ისეთი სიტუაცია, რომ ქართველებს აღარაფერი შველის, თითქმის განწირულნი არიან, მშველელი არ ჩანს. ამას ისიც ემატება, რომ თევდოსი ახალი აღსაყდრებულია და ვითარებაში იმდენად ერკვევა, რამდენადაც მხოლოდ ერთ მხარეს — ცილისმწამებლებს უსმენს. საკითხის საბოლოოდ გადაჭრამდე პატრიარქი სხვათა შორის იკითხავს, ქართველებში „არა ვინ არსა... ბერძნულისა ენისა მეცნიერი და წერილთა სწავლული?“ (აბულაძე1967: 150). არის ვიღაც, ერთი მონაზონი, — აგდებით მიუგებენ მაბეზღარნი, რომლებიც დარწმუნებულნი არიან თავიანთ გამარჯვებაში.

ავტორი საგანგებო ფონს უქმნის გმირის გამოჩენას, რათა რაც შეიძლება დიდებულად წარადგინოს მკითხველის წინაშე. უიმედობის უდაბნოში მოსულმა გმირმა იმედის ოაზისი უნდა გააჩინოს. ცხადია, ასეც ხდება. გიორგი მთაწმიდელის ღვთიური ბრწყინვალებითა და სიბრძნით აღფრთოვანებული ანტიოქიის პატრიარქი დიამეტრულად იცვლის აზრს, მოშურნეებსა და ავის მზრახველებს სასჯელს განუ-

წესებს, ქართველ ბერებს კი პატივს მიაგებს და სვიმონწმიდაზე ჟამისწირვის უფლებასაც მისცემს, რაზეც მანამდე ხელი არ მიუწვდებოდათ. ამ თითქოს დასრულებულ ეპიზოდს გაგრძელება მოჰყვება: გიორგი მთაწმიდელი გამარჯვებას არ სჯერდება და უფრო შორს მიდის — დოკუმენტური ლიტერატურის მოშველიებითა და ბრძნული ლოგიკით თევდოსის უმტკიცებს ქართული ეკლესიის უპირატესობას ანტიოქიის ეკლესიის წინაშე. სიტუაციის გამძაფრება ავტორის ინტერესებში შედის — რაც უფრო მძაფრია ამბავი, მით უფრო დამაჯერებელია ფინალი: გიორგი მთაწმიდელი ტრიუმფატორია, პატრიარქი მას თავის ფავორიტად აღიარებს.

რაც უფრო მრავლდება მოღვაწის კეთილი საქმენი და იზრდება მისი ავტორიტეტი, იმდენადვე მძაფრდება ბოროტი შური მის წინააღმდეგ. ეს არის საშუალება არა მარტო იმისათვის, რომ ავტორმა თხრობა რელიეფური და მიმზიდველი გახადოს, არამედ იმისათვის, რომ დამაჯერებლობა შეჰმატოს გმირის ხატის წინასწარ აღებულ სქემას.

ანტინომია, როგორც სქემა! შენიშვნა წამების ჟანრის შესახებ: მარტვილობის ჟანრული სპეციფიკა ოპოზიციური დაპირისპირების დინამიკით განისაზღვრება. სადაც არ არსებობს ანტინომიური სქემა, იქ შეიძლება გაქრეს ჟანრი როგორც ასეთი.

„მარტვილობის“ ნარატივი გულისხმობს გმირისა და ანტიგმირის დაპირისპირების პერიპეტიებს, რომლის ფინალში ხორციელდება წამების აქტი, მოვლენათა განვითარების ლოგიკური ბოლო. სხვა შემთხვევაში ტექსტი მხოლოდ ისტორიოგრაფიული დოკუმენტია და არა იდეოლოგიური ნაწარმოები. სწორედ ასეთი ვითარება გვაქვს ლეონტი მროველის „არჩილ მეფის წამებაში“. არჩილი თავისი ნებით მიდის სარკინოზებთან იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ სული დადოს „სახსრად ქრისტიანეთა“. ლოგიკური დასკვნა ბოლოდან თავშია გადმოტანილი. ლიტერატურული კანონის უგულვებელყოფა აგიოგრაფიად ჩაფიქრებულ თხრობას ისტორიულ ნარატივად აქცევს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოპოზიციურ წყვილს იქ, სადაც ქრისტიანულ იდეოლოგიას უცხო აღმსარებლობა უპირისპირდება. ასეთ შემთხვევაში სიტუაცია ასეთია — ოპონენტი თავს ესხმის ქრისტიანობის დამცველს, რომელიც, თავდამსხმელისგან განსხვავებით, სიმშვიდეს ინარჩუნებს იმდენად, რამდენადაც წინასწარვეა დარწმუნებული თავის გამარჯვებაში. თუმცა ავტორის მიზანი არ არის ის, რომ სიტუაცია წინასწარ გამოცხადებული გამარჯვების ქრონიკას დაემსგავსოს, ამიტომ სხვა გზა არ დარჩენია, გარდა იმისა, რომ ლოგიკის ოპტიმალური დოზით შეაზავოს ამბის ბანალურობა და რაც შეიძლება რაციონალური გახადოს დაპირისპირების მორალი, რომელიც ფინალში საკრალურ გარდუვალობად უნდა იქცეს.

სხვათა შორის, აგიოგრაფიის აღნიშნული სპეციფიკა თავისებურად აქვს გააზრებული მილორად პავიჩს, რომლის „ხაზარული ლექსიკონის“ ძირითადი ხაზი სწორედ პოლემიკური სიტუაციის მოდუსზეა აგებული (Павич 1999). მწერალი ღრმად სწვდება ქრისტიანობის წიგნიერ ტრადიციას და ზუსტად განაზოგადებს სიტყვისგების მართლმადიდებლურ ესთეტიკას. მან შეაპირისპირა სამი ლიტერატურული ტრადიცია: ქრისტიანული („წითელი წიგნი“), ებრაული („ყვითელი წიგნი“), ისლამური („მწვანე წიგნი“) და გვიჩვენა, თუ როგორ გაიაზრებს თითოეული კონფესია ერთსა და იმავე მოვლენას. რასაკვირველია, დიდი ძიება არ დასჭირდებოდა იმის აღმოჩენას, რომ ებრაელთა მწიგნობრობა არის მისტიკური, ისლამისტებისა — ექსპრესიული, ქრისტიანებისა — ლოგიკური. უფრო საგულისხმო ის არის, რომ ბანალურობის ლოგიკაში დანახულია ესთეტიკური კანონი – ადამიანური, ზედმიწევნით ლიტერატურული, კერძოდ, აგიოგრაფიული.

აგიოგრაფოსები შესაძლოა საგანგებოდ არ ქმნიან არტეფაქტებს, მაგრამ მათს თხრობაში შეინიშნება მოვლენათა გამხატვრულების ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, არტიზაციის ტენდენციები. გიორგი მერჩულეს მიერ გადმოცემული ჯავახეთის კრება — ეს არის მიკროპიესა კარგი დრამატურგიული დეტალებით, მაღალი ესთეტიკური

ხარისხით, რომელსაც აქვს კონფლიქტურ წინააღმდეგობაზე აგებული სიუჟეტი და ლამის სასცენოდ გამზადებული ფინალი.

ჯავახეთის კრება. კათალიკოსის არჩევნები. არსენი ეფრემის წინააღმდეგ.

არსენის მამა მირიანი თითქმის მალულად, ფაქტიურად უკანონოდ, რამდენიმე ეპისკოპოსის კურთხევითა და სამცხის დიდებულთა დახმარებით შვილს დაადგენს ქართლის კათალიკოსად. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ ილაშქრებენ დანარჩენი ეპისკოპოსები, რომლებსაც თავიანთი კანდიდატი ჰყავთ — ეფრემი. მირიანზე გამწყრალი გუარამ მამფალი ეპისკოპოსთა კრებას მოიწვევს.

გიორგი მერჩულე არ მალავს, რომ არსენი უკანონოდ არის არჩეული და ამიტომ სიმართლე ეფრემის თანამდგომთა მხარესაა. ამის დამალვა შეუძლებელია. არადა, მისი, როგორც ავტორის, მიზანია აჩვენოს, რომ პირიქით, მართალი სწორედ არსენია, ვინაიდან მას მხარს უჭერს მამა გრიგოლი, რომლის აზრი და სიტყვა ღვთიური სამართლითაა ბეჭედდასმული.

რიტორიკის ან ლოგიკურ მტკიცებულებათა მოხმობა დემაგოგიად იქცეოდა და მკითხველის თვალში ვერანაირად ვერ გამართლდებოდა არსენი, არც გრიგოლის ავტორიტეტს შეემატებოდა თაყვანისცემის იოტი. მაშ, რა ქნას ავტორმა, როგორ გადმოგვცეს რეალურად მომხდარი, თითქმის დაუჯერებელი ამბავი, როცა ერთი კაცის სიტყვას თავდაყირა დაუყენებია საგანგებოდ მომზადებული კრების სცენარი. ამბავი გიორგი მერჩულეს გრიგოლის მოწაფეთა მოწაფეებისგან სმენოდა, მაგრამ, ცხადია, არა იმ სასურველი ეფექტით, რომ აელო და მათი მონათხრობი პირდაპირ, ყოველგვარი ჩარევის გარეშე ჩაესვა თავის თხზულებაში.

გიორგი მერჩულე ირჩევს ალბათ ერთადერთსა და სწორ ვარიანტს — ამბავს დიალოგებისა და რემარკების სახით გადმოგვცემს, ფაქტიურად წერს დრამატურგიულ ეპიზოდს პიესისათვის დამახასიათებელი ყველა სავალდებულო კომპოზიციური ატრიბუტით. „პიესას" აქვს ექსპოზიციური ნაწილი, სადაც კვანძი იკვრება; შუა ნაწილი ანუ პერიპეტიები და ფინალი, კვანძის გახსნა.

შესავალში მოკლედაა მოხაზული კონფლიქტის არსი, კერძოდ ის, თუ როგორ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს არსენისა და ეფრემის მომხრეთა ბანაკები. მონაკვეთი მთავრდება იმით, რომ ნაჩვენებია არსენის მომხრეთა ამაო გარჯა, როგორმე დაამტკიცონ თავიანთი ფავორიტის კურთხევის კანონიერება.

მეორე, ანუ პერიპეტიულ ნაწილს იწყებს ერუშელი ეპისკოპოსის მიერ მოულოდნელად წარმოთქმული ფრაზა:

„—ოდეს მოვიდეს ვარსკულავი უდაბნოთაჲ, მაშინ განემართოს საქმე და განზრახვაჲ ყოველთაჲ" (აბულაძე 1963: 287).

ნათქვამს ყველა გაკვირვებულ მზერას შეაგებებს, უცებ ვერ მიხვდებიან, ვინ იგულისხმა „ვარსკულავში" ერუშელმა ეპისკოპოსმა, ამიტომ იგი თვითონვე გახსნის ქარაგმას: დიდ გრიგოლს, არქიმანდრიტს, ხანძთისა და შატბერდის მაშენებელს ვგულისხმობო.

ერთ-ერთი ეპისკოპოსი, როგორც ჩანს, ეფრემის დასიდან, ირონიულ რეპლიკას ისვრის:

„— იგი ოდენ არსა ვარსკულავი მნათობი?"

დამსწრეებმა ჩააჩუმეს რეპლიკის ავტორი, რადგან მისთვის არ ეცალათ. ისინი ძლიერ განიცდიდნენ გრიგოლის არყოფნას და „წადიერად მოელოდნენ". მის გარეშე კრება ჩიხში შედიოდა. გრიგოლის დაგვიანების ეფექტი გიორგი მერჩულეს ისე აქვს გათამაშებული, რომ მკითხველსაც ეუფლება გულნაკლულობის განცდა, ისიც „წადიერად" მოელის წმიდა მამის გამოჩენას და ავტორიც არ აგვიანებს:

„და მეყსეულად იხილეს წმიდა იგი მომავალი..." (აბულაძე 1963: 287).

დაგვიანებამ თავისი საქმე გააკეთა, — მოწინააღმდეგეები მორალურად დათრგუნა, მომხრეები გაამხნევა. კრების მონაწილეთა განწყობილება გრიგოლისთვის სასურველ კალაპოტში ექცევა, თუმცა, ეტყობა, იგი ამაზე აღარ ფიქრობს, საზოგა-

დოებას საერთო სალამს უძღვნის, შემდეგ კი ეფრემს გაიხმობს და ეტყვის, არსენის ჩამოეცალოს გზიდან. ეფრემი მტკიცე უარზეა. განრისხებული მოძღვარი სასჯელით ემუქრება მოწაფეს, რომელსაც სხვა გზა აღარ რჩება, გარდა იმისა, რომ დამორჩილდეს. გრიგოლისა და ეფრემის დაძაბული დიალოგი მოკლე, ლაკონიური, ემოციურად დამუხტული ფრაზებითაა გადმოცემული, რაც ააშკარავებს ავტორის სურვილს გამოკვეთოს და წინა პლანზე წამოსწიოს თხრობის დრამატული ეფექტი.

ამ ამბის ანუ ჩვენ მიერ მიკროპიესად წოდებულ პერიპეტიულ ნაწილს განაგრძობს გუარამისა და გრიგოლის შესიტყვება. გუარამი თვითდაჯერებულია, გამომწვევად იქცევა და არც არსენის მომხრეთა ლანძღვას ერიდება. დარწმუნებულია, რომ თავისას გაიტანს, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, „კანონი შჯულისა ... არა ბრძანებს ეპისკოპოსისა და კათალიკოზისა მძლავრებით დაჯდომასა“ (აბულაძე 1963: 288). მამა გრიგოლი სრულიად აუღელვებლად და ლოგიკური დასაბუთებით უხსნის გუარამს, რომ შჯულის კანონის განჩხრეკა ერისკაცთა კომპეტენციაში არ შედის და რომ „არსენი კათალიკოზი ნებითა ღმრთისაითა კათალიკოზ არს“ (აბულაძე 1963: 288). დაბნეული და ნირწამხდარი გუარამი იმასლა ახერხებს, რომ ეპისკოპოსებს მისცემს საბოლოო სიტყვის უფლებას.

სიტუაციის აღწერის მხატვრული ტენდენციები მხოლოდ და მხოლოდ დეტალია საერთო კომპოზიციისა, მაგრამ, ამავე დროს, ეს არის იმპერატიული კარნახი, რომელიც ავტორის შინაგანი განწყობიდან მომდინარეობს და მხატვრულ გამოცდილებად ყალიბდება. შემოქმედებითი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, ეს არის ესთეტიკური განზოგადების მექანიზმი, რომელიც არაცნობიერის სფეროს უკავშირდება. აღნიშნული მექანიზმი მოქმედებას იწყებს ინსპირაციის მომენტში, როცა საქმეში ერთვება მწერლის ეგრეთ წოდებული ექსპრესიულობის უნარი. ინსპირაციის ცნება, ერთი შეხედვით, არ ჯდება აგიოგრაფიული ჟანრის კანონში, მაგრამ, როგორც ცნობილია, ლიტერატურაში ფასეულობას ბადებს ნიჭი და არა კანონი.

დამოწმებანი:

Abuladze, Ilia. khelmdzghvaneli da redakt'ori. *Dzveli Kartuli Agiograpiuli Lit'erat'uris Dzeglebi.* ts'igni II. Tbilisi. metsniereba,1963 (აბულაძე, ილია. ხელმძღვანელი და რედაქტორი. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები.* წიგნი II. თბ.: მეცნიერება, 1963).

Abuladze, Ilia. khelmdzghvaneli da redakt'ori. *Dzveli Kartuli Agiograpiuli Lit'erat'uris Dzeglebi. ts'igni I (V-X ss) Tbilisi: sakartvelos metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba, 1967* (აბულაძე, ილია. ხელმძღვანელი და რედაქტორი. *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები.* წიგნი I (V-X სს.) თბ.: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1967).

Bradbury, Roland. „Fahrenheit 451⁰“. *Marsis Kronik'a. Motkhrobebi.* (in Georgian language). Tbilisi: „merani“, 1973 (ბრედბერი, როლანდ. „451⁰ ფარენჰაიტით“. *მარსის ქრონიკა. მოთხრობები.* თბ.: „მერანი“, 1973).

Pavic, Milorad. *Khazarskiy Slovar. muzhskaya versiya.* Sankt-Petrburg: „Azbuka“, „Amfora“, 1999 (Павич, Милорад. *Хазарский словарь.* Мужская версия. Санкт-Петербург: „Азбука“, „Амфора“, 1999).

Ivane Amirkhanashvili

Composition of the Situation in Hagiography

(Materials)

Summary

Key words: overlap, inspiration, hagiography.

Of course, marginal attitudes manifested by hagiography go beyond the genre frame, although justice requires to point out that an exception also has its own rule and if we take into consideration this view too, then it is quite realistic to speak about the peculiarity of Georgian hagiography which can be termed as the principle of national historicism. In the works written by Giorgi Mtatsmindeli, Giorgi Mtsire, Ioane Sabanisdze, Giorgi Merchule there are places in which the composition of situation appears as a principle of historicism.

Antinomy as a scheme of the genre of martyr: specificity of genre of Martyrology is determined by the dynamics of confrontation. If antinomic scheme is absent, the genre as such may disappear.

The narrative of „martyrdom" implies the peripeteias of hero and antihero confrontation ending with an act of martyrdom in the finale, logical end of the development of events. Otherwise, the text represents only historiographical document and not ideological work. We have just such situation in the „Martyrdom of King Archil" by Leonti Mroveli. Archil goes to the Sarkinoses by his own free will with firm decision of self-sacrifice for Christian belief. Logical conclusion is transferred from the ending to the beginning. The ignorance of literary rule turns the narration intended as hagiography into historical narrative.

Special importance is given to contradictory pairs where Christian ideology is opposed to the alien faith. In such case the situation is as follows: an opponent attacks the defender of Christianity who unlike an assailant remains calm because the hero is assured of his victory beforehand. However, the author does not aim to make the situation look like a chronicle of victory. Therefore, he has no choice but mixing the triviality of the account with optimal dose of logic, and make the moral of opposition rational as far as it is possible that must turn into sacral inevitability in the finale.

Presumably, the hagiographers did not create the artifacts intentionally but the trend of artistry of the events is marked in their narrations. The „Javakheti Gathering" rendered by Giorgi Merchule („The Life of Grigol Khandzteli" written by Giorgi Merchule) is a micro play with good dramatic details, high aesthetic quality with a plot constructed on conflict contradiction and a finale almost made for the stage.

ხათუნა თავდგირიძე

ტრიქსტერი და სიმულაკრა

მითი ყველაზე იდუმალი და ამავე დროს ყველაზე გამჭვირვალე მსოფლმხედველობრივი დეკლამაციაა, რისი გამოთქმაც კაცობრიობამ შეძლო თავისი ტრანსცენდენტური წარსულის შესახებ. მაგრამ მითი არ არის მხოლოდ წარსული, მითი ჩვენი პოსტმოდერნისტული აწმყოც არის და არის ჯერაც უცნობი მომავალი. ეს ცხადზე ცხადია — კაცობრიობას მთელი თავისი არსებობის მანძილზე არ უცხოვრია მითისაგან მოწყვეტით, მითისაგან განყენებულ პარადიგმაში. მითი ის მოჯადოებული ტრანსცენდენტური წრეა, რომლისგანაც განჯადოება კაცობრიობას არ უწერია, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ ხდომილებებს, მითიური თუ ისტორიული დროის მდინარებიდან ამოვარდნის შემთხვევებს, გასვლას „არადროში“, სადაც არ ვრცელდება ყოფიერების არცერთი ფორმის(მითიური, ისტორიული) კანონები, რადგან ეს „გასვლა“ ზედროულია და მარადისობას იმეორებს. და თუ საბოლოოდ კაცობრიობა მაინც განჯადოვდება — თავს დააღწევს მითის „მარადიული ბრუნვის“ მოჯადოებულ წრეს, ეს სწორედ ამგვარ ცალკეულ ხდომილებათა წყალობით მოხდება. იგი ახალი პარადიგმისკენ შემოატრიალებს ფანტაზმებისა და გაუჩინარებისკენ მიდრეკილ ჩვენს არსებობას. ჯერჯერობით კი, ჩვენ ისევ ვრჩებით მითის ტყვეობაში — პოსტმოდერნიზმი ახალი, თანამედროვე სახელწოდებაა „მითიური დროის“ — მითიური ეპოქის აღსანიშნად, რომელიც უშუალო მემკვიდრეა არქაულ კულტურებში დადასტურებული ტერმინებისა — ალთირა, ალჩერა, ჯუგური, ბუგარი, ლალაუ, უნგუდი, ვინგარა, მუნგამი, ბუნამი და ა.შ. ეს ტერმინები „მითიურ დროს“ ახასიათებენ, როგორც ხილვების, ფანტაზმების, როგორც „სიზმრის დროის“ ეპოქას.

პოსტმოდერნისტული ეპოქა ესაა ფანტაზმებისა და სიმულაციების ეპოქა. თუ ჩვენ ჯერ კიდევ ვიმყოფებით პოსტმოდერნიზმში და თუ ჩვენ ჯერ კიდევ არ გადაგვილახავს „ბოროტი სახის დემონი“, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ჰიპერრეალურ (ბოდრიარის ტერმინოლოგიით) სამყაროში, სადაც რეალობა არსებობს არა ობიექტურ რეალობაში(რაც ასევე პირობითია), არამედ იმ ფორმა-შინაარსში, რომელსაც აკანონებს ისეთი ტოტალური ფენომენები, როგორიცა ტრანსპოლიტიკა, მასმედია, პიარტექნოლოგიები, მასკულტურა, სოციალური ვებ-ქსელები, გასართობი სისტემები და ა.შ. ესაა დიადი ფანტაზმის ეპოქა, რომელიც იმ არქაულ მითიურ დროში გვაბრუნებს, როცა აზროვნებასა და მსოფლმხედველობას მითი და მისი ფანტასმაგორიული ჰიპერრეალური პარადიგმები განსაზღვრავდა. „მითიური დრო“ ესაა ჩვენს სინამდვილეშიც აქტუალიზირებული *„იგივე“* და *„განსხვავებული“* ყოფიერება, რომელიც „მარადიული ბრუნვის“ ძალით ისევ მობრუნდა და დღესაც აწესებს თავისი სუბიექტური მითიური რეალობის კანონებს, რომლის ძალით ობიექტური სამყარო და სინამდვილე ხელახლა იქმნება, როგორც მეორე დამოუკიდებელი, ობიექტური ყოფიერება და რომელიც რეალური ცნობიერებისათვის შეუმჩნეველი სინამდვილის გვერდით იწყებს საწინააღმდეგო ცხოვრებას. ჩვენი ეპოქა ღრმა შინაგან კავშირს ამჟღავნებს მითთან. იგი მითის მსგავსად იმყოფება სიმულაკრას ტყვეობაში, რომლის ფუნქციონირების შედეგია ყველა ის ფანტასმაგორიული გამოვლინება, რომელსაც ჩვენი დროის სოციალური მანქანა ამუშავებს. ჩვენი დროის სოციალური მანქანა „ძველ მითზე“ აშენებს „ახალ მითს“. ეს „ზედნაშენი“ — *მითი მითში* არის სწორედ რეალობის ახალი მდგომარეობა და ახალი „ხარისხი“, როგორც სიმულაკრას ფუნქციონირების შედეგი — სიმულაცია. როლან ბარტისეული ტერმინი — „მითი“, როგორც კულტურაში ფუნქციონირებული ცრუ, არანამდვილი საზრისის მქონე ერთეულის აღმნიშვნელი, ჟან ბოდრიართან ჩანაცვლებულია სხვა, ფილოსოფიურ-ონტოლოგიური ტრადიციის მქონე ტერმინით — „სიმულაკრა“ (**Бодрийяр** 2000: 8).

სიმულაკრას („მოჩვენებითობა", „მსგავსება") გაგება არსებობს უძველესი დროიდან, ანტიკურობიდან მოყოლებული. ამასთან, იგი ჩართული იყო პლატონის მიერ ფორმულირებული თეოლოგიური სქემის რეპრეზენტაციაში (Бодрийяр 2000: 9).

მითისა და სიმულაკრას გენეტიკური კავშირი თანაბრად ვლინდება მათი ფუნქციონირების როგორც ღრმად ონტოლოგიურ, ისე, ემპირიულ — კულტურულ, სოციალურ და ა.შ. პროცესებში. თუმცა მათი ფუნქციონირება ისტორიის განვითარების თითოეულ გარდამტეხ ეტაპზე სხვადასხვა ფორმა-შინაარსში რეალიზდება. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ თუკი მითიური, არქაული ეპოქის ონტოლოგია უცილობლად გულისხმობს გარკვეული ტიპის „ორიგინალ," ნამდვილ პარადიგმებს, მოგვიანებით ასეთი ორიგინალური მითოსური პარადიგმები რეპრესირებულია სიმულაკრას ტოტალური ბატონობით. საბოლოოდ სიმულაკრა მთლიანად ეუფლება მითს, იტაცებს მას და სრულად ჩაენაცვლება. ამიტომ „ახალი მითის" სიმულაკრათი ჩანაცვლება" (რაც ვერ გავრცელდება „ძველ მითზე") იმ რეალურ ვითარებას ასახავს, რაც დროსა და სივრცეში სიმულაკრას გაძლიერება და განახლებული ფუნქციონირება — ტოტალურ სიმულაციას, მითოსურ პარადიგმას განაპირობებს.

„სიმულაცია" მომდინარეობს სიტყვიდან simulacrum (მრავლ. რ. — simulacra). იგი არის სიმულაკრას ფუნქციონირების შედეგი და ასახავს იმ პროცესს, როცა ასლი შორდება თავის ორიგინალს. ბოდრიარის აზრით, სიმულაკრუმი, ანუ „ასლის ასლი" იმდენად დაშორდა ორიგინალს, რომ სრულებით გაწყვიტა რაიმენაირი კავშირი თავის პირველწყაროსთან. „თუკი „გადამუშავებისა" და „წარმოების" სტადიაზე საგნობრივი სიმულაკრები მიიღებოდა ზოგიერთი რეალურად არსებული სახის კოპირების გზით, უკვე „სიმულაციის" სტადიაში სახეები ფაქტობრივად არ არსებობენ – ისინი გადასროლილნი არიან აბსოლუტურ წარსულში „გადაკარგულ და არასოდეს არსებულ ობიექტებში" (Бодрийяр 2000:18). ამ აზრით, სიმულაკრა არის „ასლი", რომელსაც არ გააჩნია „ორიგინალი", „პირველწყარო". დელიოზიც უარყოფს სიმულაკრუმის კავშირს „ორიგინალთან", მაგრამ იმავდროულად, ასევე უარყოფს მის თუნდაც ძალიან შორეულ, უკვე გაუქმებულ კავშირს „ასლთან". დელიოზისთვის ასლი და სიმულაკრა სხვადასხვა ხასიათის სისტემებია. თითოეული მათგანი ეფუძნება „მსგავსებას" და „განსხვავებას", რის კვალზეც გვევლინებიან „ჭეშმარიტ პრეტენდენტად" (ასლის შემთხვევაში) და „ცრუ პრეტენდენტად" (სიმულაკრას შემთხვევაში) (Делез 1998: 335). სიმულაკრას ფუნქციას მითში ახორციელებს „მითოლოგიური გაიძვერა" — დემიურგის უარყოფითი დემონური ორეული — ტრიქსტერი. ტრიქსტერის გაიძვერული, ცბიერი, გაქნილი მანიფესტაციები მითში მიმართულია „მითიურ ორიგინალთან" — დემიურგთან სრული იდენტიფიცირების „ცრუ პრეტენდენტობაში". იგი არის „ერთი დანაყოფის" მეორე დემონური ნაწილი, რომელიც არ წარმოადგენს რაიმე ტიპის იმანენტურობას, თავისთავადობას, არამედ მისი არსებობა მთლიანად დაფუძნებულია დემიურგის არსებობაზე, ხოლო ფუნქციონირება განპირობებულია — დემიურგის სიმულირებით. ამას გარდა, სიმულაკრას ფუნქციონირების პროცესის ონტოლოგიური ასპექტი მითში აისახა კოსმოგონიების გადამრავლებით, რომლებიც ხასიათდება, როგორც „კოსმოგონიური სიმულაკრა".

სიმულაციის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია რეალობის შეცვლა, სიმულაცია მხოლოდ სიმულირებს რეალობას, მაგრამ იგი არაფერს მალავს. სიმულაციასა და დამალვას ასხვავებს „ყოფნა" და „არყოფნა" — „დამალვა არის თავის მოჩვენება, თითქოს არა გაქვს რაც სხვას აქვს, სიმულაცია არის თავის მოჩვენება, თითქოს გაქვს, რაც სხვას არა აქვს... დამალვა, ანუ თავის მოჩვენება ტოვებს რეალობას პრინციპულად ხელშეუხებელს: სხვაობა მათ შორის ყოველთვის ცხადია. ის მხოლოდ შენიღბულია. სიმულაცია კი ემუქრება განსხვავებას „ჭეშმარიტსა" და „მცდარს", „წარმოსახვითსა" და (imaginery) „რეალურს" შორის... დღესდღეობით დგას არა იმიტაციის, რედუპლიკაციის, ანდა პაროდიის, არამედ რეალობის ნიშნებით თავისთავადი რეალობის შეცვლის საკითხი. ეს არის ყოველგვარი რეალური პროცესის მისი ოპერაციული

ორეულით ჩანაცვლების ოპერაცია“ (ბოდრიარი 1997: 52). ეს არის თვისობრივად მითოსური სიმულაცია, რომელიც არსებულ რეალობას ჩაანაცვლებს სხვა რეალობით, რომელიც ძველ მითს ჩაანაცვლებს ახალი მითით. სხვაობა ძველ და ახალ მითს შორის ყოველთვის გარეგანია, იცვლება სიმულირების „მასალა“, მასიმულირებელი მექანიზმი კი უცვლელი რჩება. ბარტის სემიოლოგიური კონცეფციის მიხედვით, მითი ახორციელებს საზრისის დეფორმაცია(კოცეფტის მიერ), მაგრამ იგი არაფერს მალავს (Барт 1994: 87). მართლაც მითის პირველადი ფუნქციაა დეფორმაცია და არა რაიმეს დამალვა. მითში არაფერია დაფარული, ყველა სიმულაციური და სპეკულაციური პროცედურა გაშიშვლებულია და გამჭვირვალედ მიუთითებს პარადიგმის დეფორმაციას. მითი მითიური ზებუნებრივი არსებებისა და ზებუნებრივ გამვლინებათა აღწერა-წარმოდგენისას ცდილობს აჩვენოს იმის არსებობა რაც არ არის(ან არის და ღიად არასოდეს გამოჩნდება), ამით მითი ცვლის არა მხოლოდ ყოფიერების გარეგნულ ფორმებს, არამედ — ყოფიერების საზრისს. ამ აზრით, სიმულაცია არის „შესაქმის მითი“, იგი დუბლირებს შესაქმის პირველად აქტს, რომლის პროცესში რეალურად ახორციელებს ხელახალ ეპიფანიებს, შესაქმის კოსმოგონიურ რიტუალებს. მაგრამ მითის რიტუალური ხასიათი და შესაქმის სიმულაციები მიუთითებს მითის წიაღში საწყისის, ნამდვილი ყოფიერებისა და მისი შემოქმედის არ არსებობაზე. სწორედ „საწყისის“ მოპოვების გამო მიმართავს მითი თავის პირველად სტრუქტურულ სპეკულაციებს, რომლებიც შემდგომში, მითის მთელი აქტივობის მანძილზე კვლავ და კვლავ მეორდება და რაც საბოლოოდ განსაზღვრავს კიდეც მითის სიმულაციურ პარადიგმას.

მითის მიმართება მის გარეთ დარჩენილ ტრანსცენდენტურ საწყისთან, ეს არის მითის, „ორიგინალისა“ და მისი „ასლის“; მითის, „ასლისა“ და სიმულაკრათა ურთიერთმიმართების დიალექტიკური პრობლემა. სწორედ მათ ქაოსურ გადამრავლებასა და ურთიერთზემოქმედებაში, რაც ახალი წესრიგის გაჩენას მოასწავებს, კონსტრუირდება მითის სიმულაციური პარადიგმა. პარადიგმა, რომელიც მუდმივად ფარავს თავისთავს და აჩენს რაღაც სხვა ცრუ პარადიგმებს. ცრუ პარადიგმები ძალზედ თვალთმაქცურად, თვალის ახვევით ცდილობენ ჩვენი ყურადღების აცილება-გადატანას მითის არაპარადიგმულობიდან პარადიგმულობაზე. ეს „აცილება“ ჰგავს „შემოღამებას“ მითიური სამყაროში, რომლის დროსაც საგნები და მოვლენები ისევე ირევიან და ინთქმებიან ერთმანეთში, როგორც საგანთა ჩრდილები ჩამქრალი მზის ბინდბუნდში. მითიური სამყაროს ამ „ბინდბუნდში“ ფერმკრთალდება „ასლთა“ და სიმულაკრათა რეალური კონტურები, რომლებიც ამიერიდან მოქცეულნი მითის სიმულაციურ პარადიგმაში სტრუქტურულ და მსოფლმხედველობრივ მითიურ მნიშვნელობებს იძენენ. პლატონიზმში, რომელიც არსებითად (და ყველაზე ხშირად) მითიური აზრის (მსოფლმხედველობის) დიალექტიკურ გადამუშავებას წარმოადგენს, იმთავითვე დიფერენცირებულია მითოსური სუმულაციის დონეები, განსაზღვრულია „ორიგინალისა“ და მისი „ასლის“ ურთიერთმიმართება, რომელიც მჟღავნდება სამი მხარის გამოვლენაში — იდეათა(ორიგინალი, ნიმუში), ასლთა(ხატები, იკონები) და სიმულაკრათა დაპირისპირებაში; ხოლო თავად დიფერნცირების მიზანს პლატონთან წარმოადგენს არა გვარების სახეებად დაშლა, არამედ, — როგორც ამას დელიოზი აღნიშნავს (დელიოზი, „პლატონი და სიმულაკრა“ (Делез1998: 331-337). მას გაცილებით ღრმა მიზანი გააჩნია, რომელიც მდგომარეობს მათი წარმოშობის განსაზღვრაში: გაიმიჯნოს (დაიყოს) ჭეშმარიტი პრეტენდენტები ცრუ პრეტენდენტებისაგან; წმინდა — არაწმინდასაგან; ნამდვილი — არანამდვილისაგან. ამ მიზნის მისაღწევად პლატონი მიმართავს მითს. რამდენადაც პლატონისთვის მითი არის დაყოფის შემადგენელი ნაწილი და დაყოფისთვის დამახასიათებელია მითსა და დიალექტიკას შორის განსხვავების გადალახვა, პლატონი „დაყოფას“ ჩაანაცვლებს მითით.

მითი, თავისი უცვლელი ციკლური სტრუქტურით, მოგვითხრობს ყოფიერების საწყისებზე და საშუალებას იძლევა შექმნას ისეთი მოდელი, რომელიც შეგვიძლია

განვიხილოდ, როგორც პრეტენდენტი. მითი იძლევა იმანენტურ მოდელს, დასაბუთება-შემოწმებას, რომლის მიხედვით, შეიძლება პრეტენდენტთა განსჯა და მათი პრეტენზიების შეფასება. დაყოფის პროცედურის მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი დასახული მიზნის მიღწევა, რომელიც სახეთა იდეასთან იდენტიფიცირებაში მდგომარეობს. განსხვავება გადაადგილდება ორი ტიპის სახეთა შორის — პლატონი მთელ სახე-ხატებს აცალკევებს ორ ნაწილად, ასლ-იკონებად და სიმულაკრა-ფანტაზმებად: ***ასლები*** — მეორადი მფლობელები. ისინი არიან მტკიცე საფუძველზე მდგარი პრეტენდენტები, რომელთა პრეტენზიები გარანტირებულია მსგავსებით. ***სიმულაკრები*** — ცრუ პრეტენდენტები. მათი პრეტენზიები იგება არამსგავსებაზე, რაც მდგომარეობს არსობრივ გარყვნილებაში, ან გადახრაში. ამ ორი სახეობის — ასლთა და სიმულაკრათა დიალექტიკური საზრისი კონსტრუირდება მათი იდეასთან, ანუ „ორიგინალთან“ იდენტობაში. მსგავსებას კი განაპირობებს არა იმდენად გარეგნული, რამდენადაც შინაგანი იდენტობა. სწორედ უმაღლესი გაიგივება იდეასთან, რაც მინიჭებული აქვთ ასლებს და რასაც მოკლებულნი არიან სიმულაკრები, განსაზღვრავს მათი პრეტენდენტობის მართებულობას (Делез 1998: 331-334).

ამდენად, პლატონიზმი ყოფიერებაში(მითიც ყოფიერების ფორმაა) იმთავითვე გამორიცხავს იდეის//ორიგინალის მოხელთებას („გამოჭერას“). საუბარი მხოლოდ იმაზე შეიძლება იყოს, ჭეშმარიტი და ცრუ პრეტენდენტები, ასლები და სიმულაკრები და მათი ურთიერთზემოქმედება მითის სიმულაციური პარადიგმის როგორ ფორმას განაპირობებენ. როგორ დიალექტიკურ ფორმას და შინაარსს ატარებს მითის სიმულაციურ პარადიგმაში დიფერენცირებულ სახეთა წინააღმდეგობრიობა? პლატონის დიფერენციაციით, ორიგინალთან//იდეასთან ყველაზე ახლოს დგას „ასლი“. იგი წარმოადგენს იდეის უშუალო განმეორებას და შესაბამისად არის პირველასლი, ან როგორც დელიოზი ამბობს — „ჭეშმარიტი პრეტენდენტი“. სწორედ „პირველასლებით“, „ჭეშმარიტი პრეტენდენტებით“ ივსებს მითი საწყისის და ნამდვილი შემოქმედი ღმერთის არარსებობის (არყოფნის) ცარიელ სივრცეს. საწყისი//ღმერთი არის ის „პირველი სიმულირებული“, როგორც ბოდრიარი უწოდებს — „გიგანტური სიმულირებული“ (ბოდრიარი 1997: 54), რომელიც მითის სიმულაციურ პარადიგმაში ჭეშმარიტი ღმერთის სახელით აქტივობს. მაგრამ მითის სიმულაციურ პარადიგმაში ყოველივე ღმერთის სიმულირებით არ ამოიწურება. მითის არსი განისაზღვრება თავად მითიური სამყაროს, მითიური ყოფიერების აღმნიშვნელ პარადიგმათა ურთიერთდაპირისპირების დონეზე.

მითის საწყისი სუბსტანციური ბირთვი, რომელიც არის მითის უნივერსალური მითიური პარადიგმა, პირველყოფილ მითოლოგიებში აღინიშნება ტერმინით — „მითიური დრო“//„სიზმრის დრო“ (drem time), რომლის წიაღშიც განხორციელებული მოვლენები და საგნები ატარებენ პარადიგმული პირველმოვლენებისა და პირველსაგნების სტატუსს. „მითიური დროის“ პარადიგმა მითის მყარ სიმულაციურ გამოვლინებებშიც ახერხებს დარჩეს „არასიმულირებული“, იმდენად რამდენადაც თავად მითითებს თავის წიაღში პარადიგმის იმგვარი „სახეობის“ არსებობაზე, რომელიც მოკლებულია საწყისი („ორიგინალი“) პარადიგმულობის მნიშვნელობას. არქაული მითები განვითარებული მითოლოგიებისაგან განსხვავებით არ სპეკულირებენ „საწყისით“. არ საუბრობენ ისეთ ფენემენებზე რომელთაც თავიანთ წიაღში ვერ აღმოაჩენენ. ამიტომ პირველყოფილი მითოლოგიები არ შეიცავენ კოსმოგონიებს, არ საუბრობენ საწყისის აპოფატიკურ ღმერთზე და სამყაროს შესაქმეზე, რომელიც განუსაზღვრელ ტრანსცენდენტურობაში მითის გარეთ განხორციელდა. „მითიური დრო“ („სიზმრის დრო“) თავისი სოციოკოსმოგონიით წარმოადგენს თვისობრივად განსხვავებულ, უნიკალურ მითიურ სისტემას, უნიკალურს თავის წიაღში მოღვაწე „არასიმულირებული“, ***ღმერთთან//ორიგინალთან იდენტიფიცირებაში არ მყოფი*** ფენომენებით — პირველწინაპრებით, კულტურული გმირებით, დემიურგებით, რომლებიც შესაბამისად, გვევლინებიან არა „ჭეშმარიტ პრეტენდენტებად“ — „ასლებად“,

არამედ თავისებურ, ***„მითიურ ორიგინალებად“.*** ამით მითიურ სახეთა დიალექტიკურ დიფერენციაციაში თითქოს ყველაფერი გარკვეულია, რომ არა კიდევ ერთი საკითხი: თუკი „მითიური ორიგინალები“ წარმოადგენენ არა „იდეა//ორიგინალებს“, არამედ თავისებურ, სპეციფიურ „მითიურ ორიგინალებს“, შესაბამისად, მათთან მიმართებაში მაინც არსებობს გარკვეული ტიპის რეგლამენტი//შეზღუდვა. რაში მდგომარეობს ეს შეზღუდვა? პლატონის „იდეა//ორიგინალისაგან“ განსხვავებით, რომელიც ზოგადონტოლოგიური უნივერსალური ღირებულებაა, „მითიური ორიგინალები“ უმაღლეს უნივერსალურ ღირებულებებს ფლობენ მხოლოდ „მითიური დროის“ ფარგლებში. სწორედ აქ იჩენს თავს მნიშვნელოვანი სტრუქტურულ-პარადიგმული წინააღმდეგობა: უმაღლეს იდეაში//ორიგინალში, როგორც უნივერსუმში არ შეიძლება არსებობდეს არანაირი ტიპის შეზღუდვა და თუკი ასეთი შეზღუდვა მაინც ჩნდება, იგი ეჭვქვეშ აყენებს „ორიგინალის“ „ორიგინალთან“ იდენტობა. ამ შემთხვევაში საკითხი ასე დაისმის:

მითიური დროის პარადიგმული რეგლამენტით შეზღუდული „მითიური ორიგინალი“ არის კი „ორიგინალი – უნივერსუმი“?

რა თქმა უნდა, „მითიური ორიგინალი“ არ არის „ორიგინალი-უნივერსუმი“ (პლატონისეული „იდეა“), ანუ უმაღლესი ონტოლოგიური ღირებულება, მაგრამ იმავდროულად, ისიც ცხადია, რომ იგი არც „ასლია“ — ორიგინალ-უნივერსუმის უშუალო მემკვიდრე. აქ უდაოდ დიალექტიკურ ჩიხში შევდივართ, საიდანაც გამოსვლა მხოლოდ ორივე მხარის „უკან დახევით“ არის შესაძლებელი. ორივე მხარის „უკან დახევის“ კვალზე გამოიკვეთება სრულიად ახალი ტიპის სახე — **„მედიაციური ორიგინალი“,** რომელიც წარმოადგენს რაღაც გარდამავალ მედიაციურ რგოლს[1] „ორიგინალსა“ და „ასლს“ შორის. ეს „მედიაციური ორიგინალი“ არის სწორედ „მითიური ორიგინალი“, რომელიც არ ემთხვევა „იდეა/ორიგინალს“ და არც მის ჭეშმარიტ პრეტენდენტს — „ასლს“. ამგვარი დიალექტიკური სტრუქტურით კონსტრუირებული „მითიური ორიგინალები“ მითის სიმულაციურ პარადიგმაში ახორციელებენ არასიმულაციურ პარადიგმას. ეს წმინდა პარადიგმა თითქოს დაცული უნდა იყოს ყოველგვარი სიმულაციური გამოვლინებისაგან, მაგრამ ესქატოლოგიური მითი სწორედ თავის ყველაზე წმინდა წიაღში — შუაგულში ბადებს ახალ ძალას – დამანგრეველ ფენომენს, რომელიც ამიერიდან ტოტალურად და შეუქცევადად აღძრავს მითოსურ სიმულაციებს.

მითის სიმულაციურ პარადიგმაში ჩვენ ეს-ესაა გამოვაცალკევეთ „არასიმულაციური პარადიგმა“ — „მითიური დრო“. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა „მითიური დრო“ მაინც არ არის დაცული სიმულაციური გამოვლინებებისაგან და მთლიანად არ არის დახურული სიმულაციური ფენომენებისთვის.

„მითიური დროის“ პარადიგმა სიმულირდება ისეთი სიმულაციური ფენომენის მიერ, როგორიცაა „მითოლოგიური გაიძვერა“ — ტრიქსტერი. „მითიური ორიგინალის“ სიმულირებისთვის მითის სიმულაციური პარადიგმა თავის წიაღში აჩენს დემიურგის უარყოფით დემონურ ორეულს — ტრიქსტერს. ლევი-სტროსი ამერიკული მითოლოგიის პერსონაჟის ტრიქსტერის სახის გაჩენას, რაც დიდი ხნის მანძილზე გამოცანად რჩებოდა, უკავშირებს მითის სტრუქტურულ თავისებურებას — წარმოშვას ურთიერთდაპირისპირება მისი შემდგომი თანდათანობითი მოხსნის — მედიაციის მიზნით (Леви-Строс 2001: 235). ლევი-სტროსის მედიაციური კონცეფციიდან გამომდინარეობს, რომ ტრიქსტერი მითის სტრუქტურაში(მითის სტრუქტურული შემდგომი მედიაციური ოპერაციების ხელში) წარმოადგენს „წინააღმდეგობრიობის ინსტრუმენტს“, რომლის მეშვეობით ხორციელდება მთელი რიგი გარდამავალი მედიაციური ოპერაციები და კონსტრუირდება მთელი რიგი მედიაციური სტრუქტურული რგოლები.

ტრიქსტერის ფუნქცია — მითის „მედიაციურ“ სტრუქტურაში შექმნას დაპირისპირებული მხარე, მითებში საბოლოოდ გაფორმდება საპირისპირო(ბოროტი) საწყისის პარადიგმად, მაგრამ ვიდრე ტრიქსტერი პარადიგმულობას (საწყისს) შეიძენდეს, მას სახეთა დიალექტიკურ ევოლუციაში გარკვეული საფეხურები აქვს გასავლელი.

ტრიქსტერის თავდაპირველი და უმთავრესი დიალექტიკური საზრისი მდგომარეობს მის მითიურ მანიფესტაციებში — „მითიურ ორიგინალთან", დემიურგთან სრული იდენტიფიცირების „ცრუ პრეტენდენტობაში". იგი არის „ერთი დანაყოფის" (დელიოზი) მეორე დემონური ნაწილი, რომელიც არ წარმოადგენს რაიმე ტიპის იმანენტურობას, თავისთავადობას, არამედ მისი არსებობა მთლიანად დაფუძნებულია დემიურგის არსებობაზე, ხოლო ფუნქციონირება განპირობებულია — დემიურგის სიმულირებით. ამდენად, ტრიქსტერის სახე მითში მეორეული(თუმც არც ძალიან გვიანი) მოვლენაა და მისი წარმოშობა არქაული „დაუნაწევრებელი პირველადი ცნობიერების"[2] შემდგომ დიფერენციაციას უკავშირდება. როგორც ე.მელეტინსკი წერს, „მითიური პერსონაჟები ხშირად მოქმედებენ ცბიერად და ვერაგულად, იმდენად, რამდენადაც პირველყოფილ საზოგადოებაში „ჭკუა" არ არის განცალკევებული ცბიერებისა და ჯადოქრობისაგან... მხოლოდ მას შემდეგ, როცა თვით მითოლოგიურ ცნობიერებაში ჩნდება წარმოდგენა ცბიერებისა და ჭკუის, ტყუილისა და კეთილშობილების, სოციალური ორგანიზაციისა და ქაოსის განცალკევებისა, სწორედ მაშინ ჩნდება ფიგურა მითოლოგიური გაიძვერასი, როგორც კულტურული გმირის ორეულისა" (Мелетинский 1976:188).

ვინ არის ტრიქსტერი და ვის შეესაბამება იგი სახეთა დიალექტიკურ დიფერენციაციაში?

ტრიქსტერი ტიპიური სიმულაკრაა, თავისი დემონური და „არასახიერი" სისტემით. სწორედ ამ ორი უმთავრესი დიალექტიკური ასპექტით ისინი სრულ იდენტობაში მოდიან ერთმანეთთან:

1. *ტრიქსტერი, ისევე როგორც სიმულაკრა არის სისტემა „არასახიერი" (უსახო) სტრუქტურით.*

2. *ტრიქსტერი, ისევე როგორც სიმულაკრა არის სისტემა დემონური სტრუქტურით.*

ტრიქსტერ-სიმულაკრას არ გააჩნია საწყისი, იგი დემიურგის საწყისზეა მიბმული და მოკლებულია ყოველგვარ სახიერებას. **ტრიქსტერი-სიმულაკრა ეს არის სისტემა „არასახიერი" (უსახო) სტრუქტურით.** სწორედ ეს გვევლინება მთავარ დიალექტიკურ განმასხვავებელ ფაქტორად სიმულაკრასა და ასლს შორის. ამ დიალექტიკური მნიშვნელობით სიმულაკრა არ შეიძლება მივიჩნიოთ „ასლის" ერთ-ერთ დაშორებულ სახეობად, რადგან როგორც დელიოზი ამბობს, „ვუწოდოთ სიმულაკრას ასლის ასლი, იკონური სახის უსასრულო დეგრადირება, ან უსასრულოდ დაშორებული მსგავსება, ეს იქნებოდა მთავარი ფაქტორის უგულებელყოფა — ის რომ სიმულაკრები და ასლები განსხვავებულნი არიან თავიანთი ბუნებით, რისი წყალობითაც ისინი წარმოადგენენ ერთი დაყოფის ორ ნაწილს. ასლი — ეს სახეა, რომელიც აღჭურვილია მსგავსებით, მაშინ როდესაც, სიმულაკრა — არის სახე, რომელიც ჩამოცილებულია მსგავსებას" (Делез 1998: 335). „მსგავსებასთან" („ორიგინალთან" მსგავსება) ჩამოცილება სიმულაკრას ხდის უარსოს და „უსახოს" — ***მისი სახე მოკლებულია „სახი-ერებას"*** **(აქვს სახე, მაგრამ არა აქვს „სახიერება")** აცლის მას ინდივიდუუმის გაგებას და ანიჭებს „ორეულის", „ტყუპისცალის" დიალექტიკურ შინაარსს. მისი სახეც შესაბამისად გაფორმდა მითებში – როგორც დემიურგი-ძმის ***„ტყუპისცალი"*** და ***„ორეული"***. ასეთივე შინაარსით გაფორმდა იგი ჯადოსნურ ზღაპარში, სადაც ვ. პროპის უზუსტესი დეფინიციით „ცრუ გმირის" სახით მოგვევლინა (Пропп 1998: 60-63). „ცრუ გმირი", როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, არ წარმოადგენს თავისთავად დამოუკიდებელ პერსონას, არამედ მხოლოდ - მთავარი გმირის ილუზორულ, „ცრუ" ორეულს, რომლის მიზანსაც მთავარი გმირის მონაპოვრის მითვისება და საბოლოოდ მისი პიროვნების უზურპაცია წარმოადგენს. დემიურგი-ყვავის ორეული ყვავი-ტრიქსტერი და მისი მსგავსი პერსონაჟები ინდიელთა და პალეოაზიურ მითებში იჩენენ არა მხოლოდ ზოგადი სახის ცბიერებას, არამედ მათი ქმედება განსაზღვრულია კონკრეტული კანონზომიერებით — ***გაიმეოროს და მიბაძოს დემიურგის ქმედებებს*** — შესაქმის აქტებს.

ტრიქსტერი, ისევე როგორც სიმულაკრა გაიძვერობით, გაქნილობით, ცბიერებით პრეტენდირებს „მითიური ორიგინალის“ — დემიურგის ადგილს, მაგრამ მიუხედავად მრავალი ცდისა, იგი ვერასოდეს აღწევს მიზანს — ჩაენაცვლოს დემიურგს//„ორიგინალს“. ტრიქსტერის მოღვაწეობა ყველაზე არქაულ მითებში მთავრდება სრული კრახით — დემიურგი ძმისადმი მიმბაძველობით შექმნილი ბუნებითი ობიექტები და მოვლენები უდღეურია და მალევე ნადგურდება. ასეთია ტყუპი-ორეულის ბუნჯილისა და მისი ძმის პალიანის მითოსური ციკლი ავსტრალიურ (ვიქტორიას მხარე) მითებში. ბუნჯილი ქმნის მიწას, ხეებს, ცხოველებს და ადამიანებს, მას ამ შესაქმეებში ეხმარება ტყუპისცალი ძმა პალიანი, მაგრამ ამ უკანასკნელის მიერ შექმნილი არსებები ძალიან სწრაფად იღუპებიან (Золотарев 1964: 97). არქაული დაუნაწევრებელი ცნობიერების დიფერენციაციასა და დუალური მსოფლმხედველობის გაჩენას, რასაც თან სდევს პირველადი დუალური ორგანიზაციების ჩამოყალიბება, როგორც ჩანს, კორექტივები შეაქვს ტრიქსტერის მითოლოგიურ სახეში, რომლის წარუმატებელი და რაც მთავარია — ***უშედეგო*** მოღვაწეობა ამიერიდან აღინიშნება **„მითიური კვალით“** — დემიურგული აქტების მიბაძვა-პროფანაციაში იგი წარმოშობს დემიურგულ შესაქმეებთან დუალურად დაპირისპირებულ უარყოფით ონტოლოგიურ გამოვლინებებს. ამ აზრით ტრიქსტერი-სიმულაკრას მოღვაწეობა განსაზღვრულ პარადიგმულ მნიშვნელობას იძენს, მაგრამ იგი უნდა განვიხილოთ, როგორც არსს, საწყისს მოკლებული პარადიგმა — ისეთი პარადიგმა, რომელიც უშუალოდ დემიურგის საწყისზე, დემიურგის პარადიგმაზეა მიბმული. აქედან, ტრიქსტერი-სიმულაკრას მოღვაწეობის შედეგი — უარყოფით გამოვლინებათა გაჩენა, არ არის „ქმნადობის“, შესაქმის ეკვივალენტური; მისი ქმედებები არის არა კრეაციული აქტები, არამედ — „ტექნიკური ილეთები“, ხოლო მისგან მომდინარე „ბოროტებას“ გააჩნია არა იმანენტური ბუნება, არამედ — „ნაკლული სიკეთის“ მნიშვნელობა(შდრ: ნეოპლატონიზმსა და აქედან არეოპაგიტიკაში სიკეთის მონიზმი და ბოროტების როგორც „არაარსის“ გაგება.).

ტრიქსტერი-სიმულაკრას მითოლოგიური სახის საბოლოო გაფორმებასთან არის დაკავშირებული მისგან მომდინარე ბოროტი საწყისის(არსის) პარადიგმის გაჩენა. სწორედ ამ დიალექტიკური ნიშნით, მითებში ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ორი სხვადასხვა მსოფლმხედველობრივი ეტაპის გამომხატველი ტყუპი ძმის კოსმოლოგიური სისტემა: 1. ერთსაწყისოვანი ტყუპი-ორეულის სისტემა — დემიურგი და ტრიქსტერი და 2. ორსაწყისოვანი დუალური ტყუპის სისტემა — ორმუზდისა და არიმანის(ირანული კოსმოგონია)[3] კლასიკური ტიპის, რომლის არქაულ ფორმებს პირველი სისტემის პარალელურად პირველყოფილ მითოლოგიებშიც ვხვდებით.

ის რაც მითოლოგიური ტყუპი ძმის ამ ორ სისტემას აერთიანებს არის დემიურგის („მითიური ორიგინალის“) ადგილის პრეტენდირება. უსამართლო პრეტენდირებისას მჟღავნდება „მითოლოგიური გაიძვერას“ დემონური ბუნება. ***ტრიქსტერი-სიმულაკრა ეს არის სისტემა დემონური სტრუქტურით.*** სიმულაკრას დემონურ ხასიათზე მიუთითებს ბოდრიარი („სახეთა ბოროტი დემონი და სიმულაკრას პრეცესია“). იგი სახეთა განვითარების ფაზების დიფერნციაციისას გამოყოფს მეორე ფაზას, რომელიც „ნიღბავს და ამახინჯებს ძირეულ რეალობას“ და რომელიც არის „ბოროტი გარესახე — უწმინდური რიგის მოვლენა“ (ბოდრიარი 1994: 223-224). სიმულაკრას თვალშისაცემ დემონურ ხასიათზე საუბრობს დელიოზიც. მისი აზრით, „უდავოა, რომ ეს ფაქტორი ჯერ კიდევ ქმნის მსგავსების ეფექტს. მაგრამ მთლიანობის ეს ეფექტი სრულიად გარეგნულია და თავისი წარმოებითი საშუალებებით სრულიად განსხვავებული იმათგან, რაც მოდელის სიღრმეში მოქმედებს. სიმულაკრები იგება შეუსაბამობებზე და განსხვავებებზე, ის ატარებს სახესხვაობას თავის სიღრმეში და თუ სიმულაკრას გააჩნია რაღაც მოდელი, ის სრულიად სხვა ტიპის მოდელია, ისეთი, რომელიც განპირობებულია შინაგანი სახესხვაობით“ (Делез 1998: 334-335). ტრიქსტერის დემონური, ბოროტქმნადი(მიმბაძველობით) შტრიხები ძირითადად იკვეთება ტყუპების

მითებში, სადაც დემიურგის მოღვაწეობას, მის კულტურულ აქტებს წარუმატებლად და კომიკურად ბაძავს მისი ტყუპისცალი ძმა — ტრიქტერი. მითებში ძმები შეიძლება იყვნენ ბევრნი, მაგრამ მათ შორის გამოიყოფა ორი — „ჭკვიანი“ და „სულელი“, ანუ დემიურგის დადებითი და უარყოფითი ვარიანტი. მალანეზიელ გუნანტუნებში ისინი არიან ტო-კაბინანა და ტო-კარვუვუ — ანთროპომორფული პირველწინაპრები. ძმები ქმნიან ადგილობრივ რელიეფს, ეთნიკურ ჯგუფებს, ადამიანებს ასწავლიან ნადირობას და თევზჭერას, ქმნიან მცენარეულ კულტურებს, ზოომორფულ სამყაროს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს და ა.შ. ოღონდაც ამ შესაქმეებში ძმები მონაწილეობენ არაერთგვაროვნად: ტო-კაბინანა ქმნის ყოველივე სასიკეთოს და ღირებულს, ხოლო ტო-კარვუვუ ძმისადმი წარუმატებელი მიბაძვით აჩენს ძმის შექმნილი სიკეთეების შესაბამის უარყოფით გამოვლინებებს(დღე და ღამე, ნათელი და ბნელი, სიცოცხლე და სიკვდილი და ა.შ.), რაც საბოლოოდ სამყაროს დუალური დაყოფა-ორგანიზების საფუძველი ხდება. ტო-კარვუვუ ატარებს დემონიზმისა და კომიზმის შტრიხებს, „მისი დემონიზმი, — ე.მელეტინსკის აღნიშვნით, ვლინდება წარუმატებელი მიბაძვის შედეგებში(როგორც ტიპიური „სულელი“ ის შიგნიდან ფარავს ქოხს, რის გამოც ქოხს წვიმა ასველებს) (Мелетинский 1976: 183).

ტიქსტერ-სიმულაკრას დემონური ხასიათი, რასაც ღრმად დიალექტიკური შინაარსი გააჩნია, უპირველესად ვლინდება ყოფით, ემპირიულ ნიშნებში. როგორც მითებიდან ჩანს, ესაა ტიპიური აგრესორი, მატყუარა და გაიძვერა. „ის რასაც სიმულაკრები პრეტენდირებენ (ობიექტი, ხარისხი და ა.შ.) წერს დელიოზი, — ისინი ამას აღწევენ ცბიერებით, გაიძვერობით, აგრესიით, ინსინუაციებით, არასამართლიანობით. ისინი იდეის შემოვლის გზით მიდიან „მამის საწინააღმდეგოდ“ (Делез 1998: 334-335). ამ ნახევრადემპირიულ (გაიძვერობა, ცბიერება, აგრესია და ა.შ.) დიალექტიკურ-მითოლოგიურ ფონზე ტრიქსტერ-სიმულაკრა იძენს კომიზმის შტრიხებს, რაც მისივე დემონიზმის ნაწილია. მითიურ კომიზმს განაპირობებს მიმბაძველობის დემონური ინტენცია, ანუ ტრიქსტერ-სიმულაკრას „სულელური“ წარუმატებელი ბაძვა „ორიგინალური“ (დემიურგული) აქტებისადმი, რაც თავისი წარუმატებელი შედეგით ჩვეულებრივ გამოიყურება კომიკურად და პაროდიულად. „დემონიზმისა და კომიზმის სინკრეტიზმი, — როგორც ე.მელეტინსკი აღნიშნავს, თითქმის უნივერსალური შტრიხია არქაული ფოლკლორისა“ (Мелетинский 1976: 183).

მართლაც, არის რაღაც ღრმად კომიკური(ტრაგი-კომიკური) სიმულაკრას დემონურ უსასრულო გადამრავლებაში, ისევე როგორც ტრიქსტერის მიმბაძველობით წარუმატებელ მოღვაწეობაში; ისიც მართალია, რომ მითი მას „სულელად“ („დურაჩოკი“ რუსულ ფოლკლორში) ხატავს, მაგრამ ამ პაროდიული სპექტაკლის (წარმოდგენის) მიღმა ცხადად იკვეთება სახე „მითოლოგიური გაიძვერასი“, რომელიც სინამდვილეში საკმაოდ „ჭკვიანი გაიძვერაა“ და სრულყოფილი ოსტატობით ფლობს ბოროტების ხელოვნებას. იგი „თავს ისულელებს“ და გარემოცვის ყურადღებას ადუნებს, თვალთმაქცურად ქმნის ხელსაყრელ ფონს საკუთარი მიზნების განსახორციელებლად. ცხადია, ტრიქსტერ-სიმულაკრა არ არის მარტივი დუბლიკატი, სუსტი და ტრადიციული მოწინააღმდეგე. სახეზეა მისი დემონური უდიდესი დესტრუქციული ძალა, რომელიც მითში აღინიშნება არა მხოლოდ „კვალის” გაჩენით, არამედ — უმნიშვნელოვანესი მითოლოგიური კატაკლიზმებით. იგი ამიერიდან გვევლინება „კოცმოგონიურ სიმულაკრად“. კოსმოგონიური სიმულაკრა შიგნიდან ანგრევს, ან „თავდაყირა აყენებს“ (ამოატრიალებს) წესრიგს და ამ დემონური ორომტრიალის მოწყობისას ***იგი არ არის მარტო.*** რა ძალასაც შეუძლია მითის შიგა კოსმიური წესრიგის მსხვრევა, სწორედ იმ ძალის „აგენტი“ და მსახურია სიმულაკრაც. ამგვარ ფენომენად მითში „მარადიული დაბრუნება“ გვევლინება. სიმულაკრას საშუალებით მითზე ძალადობს „მარადიული ბრუნვა“, რომელიც მითის წიაღში წარმოშობს და ამუშავებს კოსმოგონიურ სიმულაკრას, ამრავლებს და აძლიერებს მის გავლენას და ხდება მიზეზი იმისა, რაც მეორდება კვლავ და კვლავ, რაც ციკლურად ბრუნავს ერთ ცენტრზე. თუმცა დროთა

განმავლობაში დასაშვებია ძალადობის კონვერტირება — უსასრულო სიმრავლეში სიმულაკრა ძლიერდება და თავად ხდება დომინანტი — ამიერიდან სიმულაკრა თავად ძალადობს „მარადიულ დაბრუნებაზე" და ახლა ის ხდება „დაბრუნების" განმსაზღვრელი და იგი თავად ხდება „მარადიული ბრუნვა". როგორც დელიოზი ამბობს, „სიმულაცია განუცალკევებელია მარადიული ბრუნვისაგან, რომელიც გადმოატრიალებს გამოსახულებას ან თავდაყირა დააყენებს რეპრეზენტაციების სამყაროს... მარადიულ დაბრუნებასა და სიმულაკრას შორის არსებობს იმდენად ღრმა კავშირი, რომ ერთი გაიგება მხოლოდ მეორეთი" (Делез 1998: 237-238). მარადიული დაბრუნების ყოველ ჯერზე ბრუნდება გადამრავლებულ სიმულაკრათა ახალი „სერია", შესაბამისად, ყოველი ბრუნვისას იზრდება ფანტაზმი სიმულაციის დონე. „სიმულაცია არის თავად ფანტაზმი, ანუ სიმულაკრას ფუნქციონირების შედეგი. ეს საშუალებას იძლევა სიცრუე განვიხილოთ, როგორც ძალაუფლება, სეუდოს, იმავე აზრით, როგორადაც ნიცშე საუბრობდა სიცრუის უდედეს ძალაუფლებაზე. მაღლა ამოსვლისას სიმულაკრა *იგივეს* და *მსგავსს*, მოდელს და ასლს უმორჩილებს სიცრუის (ფანტაზმის) ძალაუფლებას" (Делез 1998: 237). ***„სიმულაკრას სიცრუე" სიმულაციას სძენს კიდევ და კიდევ მეტ ძალაუფლებას, ყოველი ახალი ბრუნვისას უფრო და უფრო მეტად დაიმორჩილოს მითიური სამყარო, რომელიც წარმოიშვა სიმულაკრას მოლოდინში და განვითარდა სიმულაკრათა მოლვაწობის შედეგად.*** სწორედ ამიტომ, მითიური დრო იწყება პირველი სიმულაციური აქტით — სამყაროს ხილვით — ფანტაზმით(რაც მითებში პირველი შესაქმის აქტით გაფორმდა) და სრულდება სამყაროსა და მისი ფანტაზმის სრული გაუჩინარებით — ესქატოლოგიით, რითაც სრულდება სიმულაკრათა მოქმედების — „ბრუნვის" ერთი სერია. ეს არ არის ტრადიციული შესაქმე და ტრადიციული ესქატოლოგია, როგორსაც რელიგიური ტექსტები აღწერენ, როგორითაც ხშირად მითებიც თვალთმაქცობენ. ეს არის სხვა დიალექტიკური რიგის (რანგის) აღსასრული. კოსმოგონიურ სიმულაკრა რომელიც მითში წარმართავს „მარადიულ დაბრუნებას" იმყოფება ქაოსის შუაგულში, „ის რაღაც სხვაა, როგორც თავად ქაოსი ან ქაოსის დამადასტურებელი ძალაუფლება" (Делез 1998: 238). კოსმოგონიურ სიმულაკრას „ქაოსის დამადასტურებელი ძალაუფლება" ფატალურია მითისთვის, რადგან „მარადიულ ბრუნვაში" მითიური სამყარო: მითიური ხილვები, ფანტაზმები და ჰიპერრეალური სახეები მიდრეკილია მუდმივი, უწყვეტი, პროგრესირებადი გამჭვირვალობისაკენ. მრავალჯერადობასა და განმეორებადობაში, „მობრუნების" ყოველ ჯერზე „ცვდება", იკარგება „რეალურობის ხარისხი", რასაც საბოლოოდ მივყავართ სრულ გაუჩინარებამდე – **მითის ესქატოლოგიამდე.** მაგრამ სწორედ აქ იფეთქებს ახალი ძალით კოსმოგონიურ სიმულაკრათა ახალი სერია, რომელიც კიდევ ერთხელ „ამოატრიალებს" („მოაბრუნებს") „წესრიგს"; ვინ იცის უკვე მერამდენედ შთაბერავს სულს მომაკვდავ კოსმიურ ციკლს, რომ ხელახალი ეპიფანიისას, კიდევ უფრო გამრავლდეს, გაძლიერდეს საკუთარი „სიცრუის ძალაუფლებაში" და კიდევ უფრო ძლიერად აღძრას მითოსური სიმულაცია, რომ საბოლოოდ და სრულად დაეუფლოს მითს და მითიურ ყოფიერებას.

შენიშვნები

1. ლევი-სტროსის აზრით, მითში „თითოეული დიდი სტრუქტურული ერთეული თავისი ბუნებით არის რაღაც *„ურთიერთობა"* (Леви-Строс 2001: 219). „მითი ჩვეულებრივ აპერირებს ურთიერთ-დაპირისპირებულობაზე და ილტვის წინააღმდეგობათა თანდათანობითი მოხსნის -- მედიაციისაკენ" (Леви-Строс 2001: 235). ლევი-სტროსს ამგვარად წარმოუდგენია „გარდამავალი მედიაციური ოპერაციები": „ვთქვათ, ორი წევრი, რომელთათვისაც ერთიდან მეორეში გადასვლა წარმოუდგენელია, ჩანაცვლებულია ორი სხვა ეკვივალენტური წევრით, რომელთათვისაც დასაშვებია მესამე, გარდამავლის არსებობა. ამის შემდგომ ერთი უკანასკნელი წევ-

რი და მედიატორი, თავის მხრივ, იცვლება ახალი ტრიადით. ეს ოპერაცია შესაძლებელია კიდევ განვაგრძოთ..." (Леви-Строс 2001: 235).

2. პირველყოფილ აზროვნებას ახასიათებს სამი განსაკუთრებულობა: ის *კონკრეტულია, დაუნაწევრებელი და სახოვანი,* რაც განპირობებულია იმ სოციალური ვითარებით, რომელშიც არქაული ადამიანი იმყოფება. დაუნაწევრებელი აზროვნება წარმოშობს ისეთ გამოვლინებებს, როგორიცაა სხვადასხვაგვარი საგნების გაიგივება, სუბიექტისა და ობიექტის შერწყმა, აგრეთვე შერწყმა საგნისა და მისი ნიშნისა, საგნისა და მისი აღმნიშვნელი სიტყვისა, არსებისა და მისი სახელისა, დროისა და სივრცის მიმართებისა, წარმოშობისა და არსისა. პირველყოფილი აზროვნება არ ასხვავებს მოვლენას მისი იმიტაციისაგან (ჭექა-ქუხილი და ის რიტუალური ჩვეულება რომელიც ჭექა-ქუხილს იმიტირებს). არქაული ადამიანისთვის ეს ყველაფერი არის მთლიანი სამყარო, მთლიანი ისტორია, რომელიც როგორც იწყება ისევე სრულდება. სამყაროს დასაწყისი და დასასრული დევს საერთო, შეუცნობელ და უხილავ საწყისში (Фрейденберг 1978: 20-21).

3. ირანული (ავესტური) კოსმოგონიის მიხედვით ტყუპი ძმები ორმუზდი (აჰურამაზდა) და არიმანი (ანგრიმანიუსი) დასაბამს აძლევენ სამყაროში ორი ურთიერთდაპირისპირებული, დუალური საწყისის — კეთილის და ბოროტის გაჩენას. მითი მოგვითხრობს ზერვანის ათასწლოვან მსხვერპლშეწირვაზე, რათა მისცემოდა შვილი ორმუზდი რომელსაც სამყარო უნდა შეექმნა. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ ზერვანი დაეჭვდა ორმუზდის ამქვეყნად მოვლინებაში და სწორედ ამ ეჭვის დროს ორმუზთან ერთად არიმანიც ჩაისახა. მას შემდეგ ორი მეფე ჰყავს სამყაროს კეთილი ორმუზდი და ბოროტი არიმანი. ნათელი ორმუზდისაა, ბნელი არიმანის. რაც დადებითია სამყაროში ორმუზდის შექმნილია, ხოლო ყველაფერი უარყოფითი არიმანის ნახელავია.

დამოწმებანი:

Barthes, Roland. „Mif Sevodnya". *Izbrannye Raboty: Semiotika.* Moskva: izdatel'skaya gruppa „Progress", „Univers", 1994. 71-130 (Барт, Роланд. „Миф сегодня". *Избранные работы: Семиотика. Поэтика.* М.: Издательская группа „Прогресс", „Универс", 1994. Сс. 72-130).

Baudrillard, Jean. „Sakheta Borot'i Demoni da Simulak'ras P'rotsesia" (in Georgian language). *Polilogi,* „Dato Barbakadzis zhurnalis" bibliotek'a, № 4, Tb: 1994 (ბოდრიარი, ჟან. სახეთა ბოროტი დემონი და სიმულაკრას პრეცესია. „*პოლილოგი*", „დათო ბარბაქაძის ჟურნალის" ბიბლიოთეკა, №4, თბ.: 1994).

Baudrillard, Jean. „Simulirebulebi da Simulatsiebi" (in Georgian language). Trans. Gigi Tevzadze. *P'araleluri T'ekst'ebi. Pilosopia da Sazogadoeba.* № 1, Tb: „nek'eri", 1997 (ბოდრიარი, ჟან. „სიმულირებულები და სიმულაციები". თარგმნა გიგი თევზაძემ. *პარალელური ტექსტები. ფილოსოფია და საზოგადოება,* № 1, თბ.: „ნეკერი", 1997).

Baudrillard, Jean. *Simvolicheskiy Obmen i Smert'* (in Russian language). M: „Dobrosvet", 2000 (Бодрийяр, Жан. *Символический обмен и смерть.* М.: „Добросвет" 2000).

Deleuze, Gilles. *Logika Smysla (in Russian language).* M: „Raritet", Ekaterinburg: „Delovaya kniga", 1998 (Делез, Жиль. *Логика смысла.* М.: „Раритет", Екатеринбург: „Деловая книга", 1998).

Freydenberg, Ol'ga. M. *Mif i Literatura Drevnosti.* Moskva: 1978 (Фрейденберг,Ольга.М. *Миф и литература древности.* М.:1978).

Levi-Strauss, Claude. *Strukturnaya Antropologiya* (in Russian language). Moskva: 2001 (Леви-Строс, Клод. *Структурная антропология.* М.: 2001).

Meletinskiy, Elcazar. M. *Poetika mifa.* Moskva: 1976 (Мелстинский, Елсазар.М. *Поэтика мифа.* М.:1976).

Propp, Vladimir. *Morfologiya „Volshebnoy" Skazki.* M: Labirint 1998 (Пропп, Владимир. *Морфология «Волшебной» сказки.* М.: Лабиринт, 1998).

Zolotarev, Akim. M. *Rodovoy Stroy i Pervobytnaya Mifologiya.* Moskva: 1964 (Золотарев, Аким. М. *Родовой строй и первобытная мифология.* М.: 1964).

Khatuna Tavdgiridze

Trickster and Simulacrum

Summary

Key words: myth, simulation, trickster, simulacrum, eschatology

Myth is hyperreal simulated world, where there is no place for neither empiric nor transcendental reality. Relation of myth towards the transcendental beginning and the creator of the universe, which is left beyond it, is a dialectical problem of relation on the one hand the „original" of myth and its copy, and on the other hand of myth, the „copy" and simulacra (comp. relation of Plato`s ideas, copies and simulacra). Myth`s simulated paradigm is constructed in their chaotic multiplication and relation,which makes a new order.

Myth`s initial substantial nucleus, which is universal mythical paradigm is called „dream time" in primitive mythology. Things and phenomena which are carried out in „dream time" have the status of paradigmatic firstevents and firstthings. According to its sociocosmogony „mythical time" [dream time] is quite a different, unique mythical system_ with „nonsimulated", not identical phenomena to the GOD/Original_with original ancestors,cultural heroes, Demiurgs,which accordingly are not „real pretenders - „copies", but they are „mythical originals". „Mythical Original" is not „Original - the Absolute" (Plato- 'idea'), that is the highest ontological value. This is absolutely new type - „Meditative Original", which is something transitive meditative ring between „the original" and „the copy".This „meditative original" is just „the mythical original", which is not the same, neither 'ideal/original' nor its real pretender-'the copy'.The pure paradigm of myth constructed by such dialectical structure must somehow be protected from all kinds of simulations. But in the very pure midst of myth a new power is born -a destructive phenomenon,which now totally causes mythical simulations.

The paradigm of „mythical time" is simulated by such simulated phenomenon as „mythological villain-Trickster". Manifestations of Trickster in myth are directed to the „false pretenderence" of the whole identification of „mythical original"-Demiurg. Trickster is a typical simulacra with its demonic and „faceless' system". Just with these main dialectical aspects they are absolutely identical.

Trickster – Simulacra does not have the beginning, it is tied to the Demiurg`s beginning and it has not got any face . This is the main dialectical differential factor between Simulacra and the copy. Simulacra – is a face which is far from „similarity". that makes Simulacra „faceless" pointless, but gives it dialectical matter of „twin" and „double". It is formed in magic fairy-tale with the same matter, in which it appears as „false-hero" according to V. Prop`s most accurate definition.

Demonic character of Trickster-Simulacra, which has deeply dialectical matter is first of all shown in its empiric processes. It is a typical aggressor, a liar and scoundrel.

Trickster-Simulacra obtains comic traits in the half-empiric dialectical mythical background, which is part of its demonic energy. Comical character is caused by demonic intentions that is Trickster-Simulacra`s „foolish" unsuccessful (imitation of „original" Demiurg) acts, which looks comic and full of parody. Birth of paradigm of wicked essence is connected with the final formation of Trickster-Simulacra`s mythological image. According to this dialectical sign we have to distinguish between two cosmological systems of twin brothers with which expresses two different stages of world outline; 1 System of twin-brothers with one beginning-Demiurg and Trickster. 2. System of dual twins with two beginnings-of classical type of Ormuzd and Ariman (Iranic cosmogony) archaic forms of which we can see in primitive mythology.

თამარ ჩიხლაძე

ეპიგრაფი, როგორც ინტერტექსტუალური ფენომენი
(კლოდ სიმონი და ფრანსუაზ საგანი)

ეპიგრაფი ლიტერატურაში არის პროზაული ან პოეტური ფრაზა, რომელიც წინ უძღვის წიგნს ან მის ცალკეულ თავებს, რათა მოგვაწოდოს მათი შინაარსის მოკლე დახასიათება ან რაიმე ცნობები და ნათელი მოჰფინოს ავტორის განზრახვას. ის „სხვისი მეტყველების" რთული ნაირსახეობაა, რომელიც გათვლილია იმ კონტექსტის აღქმაზეც, საიდანაც ისაა აღებული, ანუ ეპიგრაფი იმ ავტორის ტექსტის ერთეულიცაა, ვინც იგი გამოიყენა. ეპიგრაფი ინტერტექსტულაობის ერთ-ერთი მარკერია, რომელიც ქმნის სხვადასხვა კონტექსტს, ჟანრულ თუ სტილისტურ შტრიხებს, ავითარებს სიუჟეტურ ხაზებს, ხელს უწყობს ტექსტის ესთეტიკური და ექსპრესიული ფუნქციის შექმნას. ეპიგრაფები ამა თუ იმ ეპოქის კულტურული მემკვიდრეობის კუთვნილებებია და მის ტრადიციებზე მეტყველებს. მაშასადამე, ის წარმოადგენს ტექსტურ „სხვა ადგილს", განცალკევებულ პარაგრაფს ან მოკლე გამონათქვამს, რომელსაც ავტორი წიგნის ან ცალკეული თავის დასაწყისში ათავსებს, რათა მის დედააზრზე მიუთითოს.

როგორც ფრანგული ენის განმარტებითი ლექსიკონი განსაზღვრავს, „l'épigraphe a valeur paradigmatique et est un moyen de codifier la lecture ; elle redouble la fonction des titres, en même temps qu'elle marque une manière de dialoguer du texte avec la sentence de référence que se donne l'auteur" (Larousse 1985: 16)

„ეპიგრაფს აქვს პარადიგმატული ღირებულება და წარმოადგენს კითხვის კოდირების საშუალებას. ის აძლიერებს სათაურების ფუნქციას, ამავე დროს, გამოხატავს ტექსტის დიალოგურ ხერხს დამოწმებულ სენტენციასთან, რომელსაც ავტორი თავისთვის მიიწერს".*

მწერალი მეტატექსტსა და ტექსტს შორის ქმნის ინტერდისკურსულ დამოკიდებულებებს, რომელიც, შესაძლოა, გაანალიზებულ იქნეს სხვადასხვა, მაგალითად, თემატურ, დიეგეტურ (ანუ თხრობით), ასევე, ფორმულირების პლანში. მისი მიზნები ლიტერატურულ სფეროს სცილდება.

ეპიგრგაფი რამდენიმე სახის არსებობს: დიეგეტური, რომელიც აჯამებს ნაწარმოების მთელ შინაარსს ანუ წარმოადგენს მის რეზიუმეს; მორალური, რომელიც ააშკარავებს სენტენციას, დაკავშირებულს მთავარ მოვლენებთან და ნაწარმოების დასკვნასთან; თემატური, რომელიც კონცენტრირდება ერთი აზრის ირგვლივ, რაც შესაძლოა, არც იყოს თხრობაში მთავარი; ასევე, მონათხრობის წინასწარ ამსახველი ეპიგრაფი-შესავალი, სადაც, ამბის დაწყებისთანავე, იხაზება გეოგრაფიულ, პოლიტიკურ ან სხვა საკითხთან დაკავშირებული მთავარი შტრიხები; ლიტერატურული ეპიგრაფი, რომლის სტილი ან ააშკარავებს, ან წარმოადგენს, ან ეწინააღმდეგება თვით თხზულების სტილს; დაბოლოს, ეპიგრაფი, რომელიც ექსპლიციტურად ასახავს თხზულების სათაურს.

ეპიგრაფების ინტერპრეტაციის მოხდენა მკითხველის მიერ, ზოგჯერ, გართულებულია. მას, ხშირად, წიგნის რამდენიმე გვერდის, თავის ან მისი სრულად წაკითხვა უწევს, რათა კარგად გაიგოს ეპიგრაფის მნიშვნელობა. თუ მკითხველი მას არ იცნობს ან არ ახსოვს, იძულებულია, წაიკითხოს (ან ხელახლა გადაიკითხოს) მისი პირველწყარო და ასე ჩაწვდეს მის როლს და აზრს კონკრეტულ ნაწარმოებში. ეპიგრაფები ხშირად სიმბოლური, ორაზროვანი და გაუგებარია. ამიტომ ტექსტის ჰერმენევტიკულ სამუშაოში ეპიგრაფიც აქტიურადაა ჩართული.

---

* ყველა ციტატის თარგმანი ჩემია (თ.ჩ.)

ალბათ, არ არსებობს მწერალი, ვისაც ეპიგრაფი ერთხელ მაინც არ გამოეყენებინოს თავის შემოქმედებაში. რაც უფრო ერუდირებულია შემოქმედი, მით ხშირად მიმართავს „სხვისი სიტყვების“ დამოწმებას, მათთან პარალელების გავლებას. ყოველი დიდი აზრი გამოძახილს პიულობს სხვა, უკვე არსებულთან. ძველი და ახალი ერთმანეთს ერწყმის, ერთმანეთს ამდიდრებს და ქმნის ერთ დიდ, ზოგადსაკაცობრიო კულტურულ სამყაროს, რომელიც აღარ ცნობს დროს და საზღვრებს. ფრანგული მწერლობაც არაა მოკლებული ამგვარ ერუდიტებს. ჩვენ განვიხილავთ მათ შორის გამორჩეული რამდენიმე თანამედროვე მწერლის შემოქმედებას იმ მიზნით, რათა გავარკვიოთ მათ მიერ მოხმობილი ეპიგრაფების შინაარსი, კონტექსტი, მნიშვნელობა და თავისებურები.

ნობელის პრემიის ლაურეატი, კლოდ სიმონი (1913-2005), მიჩნეულია ფრანგული „ახალი რომანის“ წარმომადგენლად. პრუსტი და ფოლკნერი მისი შთაგონების წყაროდ ითვლება. ფრანგი ლიტერატურათმცოდნე დ. რაბატე წერს:

„მის შემოქმედებაში რეალობა მაგმაა (მასთან ხშირია ატალახებული მიწის ხსენება), უწყვეტი დინება, რომელიც სპობს დროს, პერმანენტული უბედურება, რომელიც მრავლად აჩენს შთაბეჭდილებებს, ტრავმებს, ზმანებებს [...] ბუნდოვანება ის ზუსტი საშუალებაა, რომლითაც რეალობა უნდა გადმოსცე, მუსიკასავით ააგო ისე, რომ მისი შინაგანი ანარქია არ შეამცირო“ (Rabatė 1998: 1115-116).

რაც შეეხება ეპიგრაფებს, მწერალი მათ მრავლად იყენებს. ჩვენთვის საინტერესო იქნება დაკვირვება იმ ეფექტზე, რომელსაც მისი ეპიგრაფები მკითხველზე ახდენს.. მწერალი, ვინც თავის თორმეტ რომანს ურთავს ეპიგრაფებს, რა თქმა უნდა, ამას არც სავალდებულოდ მიიჩნევს და არც თავისასარიდებელ სამუშაოდ. თითოეული ეპიგრაფის არსებობას განსაზღვრავს ნაწარმოებთა შინაგანი მოტივები. მაგალითად, რომან „გულივერს“ (Gulliver 1952)ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ლიხტენბერგის გამონათქვამი:

„Non cogitant, ergo sunt..
Lichtenberg“ (Simon 1952: 5).

მისი ქართული თარგმანი ასე ჟღერს: „ისინი არ აზროვნებენ, მაშასადამე, არსებობენ“, რაც ერთი შეხედვით, დეკარტეს ცნობილ ფორმულას მოგვაგონებს — „cogito, ergo sum“. ტექსტი მოკლეა და თანაც, ლათინურ ენაზე. ავტორი მოხსენიებულია, წყარო — არა. საერთოდ, ლათინურ ენას გააჩნია ფილოსოფიური ან მორალური ღირებულება, რომლის კონოტაცია ან დადებითია ან უარყოფითი იმის მიხედვით, რა ტიპის განათლება აქვს მიღებული მკითხველს. ამ ეპიგრაფს თავისუფლად შეუძლია, გამოიწვიოს ფილოსოფიური კამათი, მაგრამ ჩვენთვის მთავარია, გავარკვიოთ, რის მტკიცებას „აპირებს“ თვითონ რომანი? „არ აზროვნებენ, მაშასადამე არსებობენ“ — ეს ორაზროვანი სენტენცია გულისხმობს პერსონაჟებს რომანისა, რომლის მოქმედება II მსფლიო ომის შემდეგ ხდება. ფიქრის არარსებობის, მაგრამ ფიზიკურად არსებობის მდგომარეობა მიმდინარე მოვლენებს განუპირობებიათ. გადარჩენის ინსტინქტმა და მტრის ახლო ყოფნის შეგნების უგულებელყოფამ ადამიანებს არსებობა შეუნარჩუნა. ისინი კი, ვინც იაზროვნეს და იმოქმედეს, რეალურად თუ სიმბოლურად, უკვე აღარ არსებობენ. ეს ჰიპოთეზები სვამს გარკვეულ კითხვებს, რომელთა პასუხებიც მკითხველმა რომანში უნდა ეძებოს. მან უნდა გაარკვიოს, ვინ არიან ეს „ისინი“, ვისზეც ლიხტენბერგი საუბრობს და ისინიც, ვისაც კ. სიმონი გულისხმობს. მკითხველი იმასაც უნდა მიხვდეს, ნარატიულად როგორ უნდა იქნეს გაგებული ზმნები: „აზროვნება“ და „ყოფნა“, რა დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეთ ერთმანეთთან ლიხტენბერგს და გულივერს — ამ „სხვა ინტერტექსტუალურ ელემენტს“, „ისინი“, ჯ.სვიფტის პერსონაჟის მსგავსად, ხომ არ ხვდებიან იმდროინდელი სოციალური ორგანიზაციებისა და მთავრობის ექსტრავაგანტულ წარმომადგენლებს, რომლებშიც

მკითხველის თანამედროვენი იგულისხმებიან?

პოლემიკური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით, რომანის შინაარსის ცოდნასთან ერთად, ეპიგრაფი დიქოტომიურ მექანიზმს ქმნის, რომელიც ერთმანეთისგან აცალკევებს, ერთი მხრივ, მკითხველებს, რომლებსაც ლათინური და დეკარტეს გამონათქვამის ეს წინააღმდეგობრივი სენტენცია ესმით, მათ, ვინც ემსგავსებიან გულივერ-დამკვირვებლებს და კრიტიკოსებს და, მეორე მხრივ, მხითხველებს, რომლებსაც არაფერი ესმით, არ სვამენ კითხვებს და ქცევით ემსგავსებიან „მათ", რომელთა საკამათო თუ უგულებელსაყოფ პიროვნულობას რომანში აღმოაჩენენ.

რომანს „ქარი: ბაროკოს საკურთხევლის აღდგენის მცდელობა" (*Le Vent: Tentative de restitution d'un retable baroque*. 1957) ეპიგრაფად აქვს პოლ ვალერის შემდეგი გამონათქვამი:

„Deux dangers ne cessent de menacer le monde: l'ordre et le désordre". P. Valery (Simon 1957: 4).

„ორი საფრთხე განუწყვეტლივ ემუქრება სამყაროს: წესრიგი და უწესრიგობა".

სახელწოდება „ქარი", წინა რომანისგან განსხავებით, „სხვა" ტექსტზე არ მიუთითებს, მაგრამ ქვე-სათაური (ბაროკოს საკურთხევლის აღდგენის მცდელობა) გვახსენებს სხვა ნაწარმოებს, რომელიც ერთბაშად უქმნის პრობლემას მკითხველს სიტყვა „აღდგენის" პოლისემოურობასთან დაკავშირებით: ნიშნავს ეს დაბრუნებას იმისას, რაც გაძარცვულ იქნა (ვის მიერ, როგორ, ტექსტი ამას დაადგენს თუ არა), ნიშნავს ეს ნაწილებისგან აღდგენას (იქნება ეს მთელი ნარატივის ძიება) თუ ახალი ნაწარმოების შექმნა სხვაზე (ამ შემთხვევაში ამ რომანზე) დაყრდნობით, ასე ვთქვათ, გადაკეთება? თუმცა ეს ყოველივე მხოლოდ „მცდელობა" იქნება, რომელიც სირთულეს, შესაძლოა, საქმის შედგომის ამაოებასაც კი უსვამდეს ხაზს. ამ პრობლემატური სათაურის შემდეგ მკითხველი ეცნობა ეპიგრაფს. მის ავტორს შეკრული აქვს ერთგვარი ჩარჩო, რომელშიც სამყაროს ათავსებს; წესრიგი და უწესრიგობა ორი საფრთხეა ადამიანისთვის ისე, როგორც სიცხე ან სიცივე, სინათლე ან სიბნელე. ავტორი იმასაც მიუთითებს, რომ ეს საფრთხეები უცხოა სამყაროსთვის და არ შედის მის შემადგენლობაში. კლოდ სიმონთან ყველაფერი სხვაგვარადაა. მან აირჩია ეს ფრაზა, რომელიც ღირებულია ორი სიტყვის — l'ordre et le désordre — მომხიბვლელი ევფონიურობის გამო. პოლიტიკური თვალსაზრისით, რასაც მწერალი სხვა ნაწარმოებებშიც გამოხატავს, წესრიგი სამყაროს განმსაზღვრელი ძალაა, თუნდაც ეს წესრიგი სამართალმოკლებული და უწესრიგობის ხელშემწყობი იყოს. უწესრიგობა, შესაძლოა, იქცეს ახალ წესრიგად, თუ ის დიდხანს გაგრძელდება. ამგვარად, კ. სიმონთან ეს ორი ცნება აღარაა იგივე კონცეფციის შემცველი, რაც პ. ვალერისთან.

აღნიშნული რომანის სათაური, ქვე-სათაური და ეპიგრაფი შესავალია იმ ნაწარმოებისა, რომელიც გვაძლევს სამყაროს, ასევე, იმის განმარტებას, რაც მას ემუქრება, ქარს, ამ, თითქოს უადგილო ელემენტს კი, რომელიც სამოცდათხუთმეტნაირი ინტერპრეტაციით გვხვდება რომანში, მთავარი მნიშვნელობა ენიჭება. მთხრობელი-პერსონაჟის, პროფესიით ფოტოგრაფის მიერ ეს ჩარჩო შევსებულია კლიშეთი, რომელსაც მანამ უყურებენ, სანამ არ შეეცდებიან გაშიფრონ „აღდგენის მცდელობის" მთავარი აზრი. აღიშნული პერსონაჟი ამბობს:

„Un idiot. Voilà tout. Et rien d'autre. Et tout ce qu'on a pu raconter ou inventer, ou essayer de déduire ou d'expliquer, ça ne fait encore que confirmer ce que n'importe qui pouvait voir du premier coup d'oeil" (Simon 1957: 9).

„იდიოტობაა, მორჩა, აღარაფერია. ყველაფერი, რისი მოყოლაც ან გამოგონებაც შეძლეს, ან რაზეც დასკვნები გამოიტანეს ან ახსნეს, მხოლოდ იმის მტკიცებაა, რასაც ნებისმიერი ადამიანი ერთი თვალის შევლებითაც დაინახავს".

მაშასადამე, წესრიგისა და უწესრიგობის ცნებები მისადაგებული აღმოჩნდება ნარატიული სტრუქტურისთვის: აღდგენის მცდელობა აიძულებს მოვლენებს, „აირჩიოს" ერთი წესრიგი, მაშინ როდესაც პრივილეგირებული ქრონოლოიური წესრიგი

უკვე უარყოფილია რომანში თავმოყრილი ჭარბი ინფორმაციის გამო.

რომანი „ბალახი" (L'Herbe 1958) ასევე საინტერესოა თავისი შემდეგი ეპიგრაფით:

„Personne ne fait l'histoire, on ne la voit pas, pas plus qu'on ne voit l'herbe pousser". Boris Pasternak (Simon 1957: 4)

„ისტორიას არავინ ქმნის, მას ვერ ხედავენ, იმაზე მეტად ვერა, ვიდრე ბალახის ამოსვლაა" *(ბორის პასტერნაკი)*.

აქ კ. სიმონი ერთადერთხელ იყენებს ეპიგრაფად სხვა რომანის სახელწოდებას, რომელსაც „ეპიგრაფ-მანიფესტს უწოდებს" (Caminade 1964: 118). ის აღნიშნავს, რომ პასტერნაკის ამ წიგნის კითხვისას, ისე გაიტაცა ნაწერმა, რომ ის ისტორიას ველარ ხედავდა ისე, როგორც ვერ ხედავენ ამომავალ ბალახს. თუმცა ეს ბალახი მაინც ქმნის მდელოს ანუ ნაწარმოებს. ამ პროცესმა უბიძგა მას, გათავისუფლებულიყო დროის თანმიმდევრობითი საზომებისგან, „ქრონოლოგიის შანტაჟისგან" (Caminade 1964: 118).

უნდა ითქვას, რომ აქ ინტერტექსტუალური ეფექტი პირდაპირია. მისახვედრია, რომ ადამიანების თავგადასავალი, რომელსაც ამ წიგნში შევხვდებით, არ კონტროლდება პერსონაჟების მიერ. ფსიქოლოგიის ნაცვლად მოქმედებს ბიოლოგიური მექანიზმები და ტროპიზმები. მკითხველი შეიტყობს, რომ მოხუცი ქალის საშინელი აგონია იგივე „მომაკვდავი ზაფხულის აგონიაა" (Caminade 1964: 124) პასტერნაკის ფრაზა, გაგებული როგორც დიეგეტური შიდა ტექსტი, გვევლინება მეტაფორულ გამონათქვამადაც. კ. სიმონის რომანი მცირე მოვლენების ლოგიკურ თანმიმდევრობას კი არ აგებს, უფრო ცდილობს, აავსოს ტექსტი კომპლექსური სიტუაციებით, რომლებიც ხან წარსულისკენ და ხანაც მომავლისკენ მიემართებიან.

წიგნი „ახალი რომანის" ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. მაშინ, როდესაც მთხრობელი ძალზე სუბიექტურად ცდილობს სიტუაციების აღწერას, მთავარი პერსონაჟი, ლუიზა სიმართლის ძიებისას, მიჰყვება რა თავის ვარაუდებს და ფიქრებს, აყალიბებს შინაგან უკუსვლით მონოლოგს ამ სიმართლის მთლიანად მოსახელთებლად. რომანში თხრობა ბალახის ზრდასავით შეუმჩნევლად ვითარდება, ეს ის შემთხვევაა, როდესაც სათაური და ეპიგრაფი ერთნაირად გაიგება ანუ ადგილი აქვს თემატურ ანალოგიას.

კლოდ სიმონის მაგალითზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თხზულების სათაური და ეპიგრაფი სემანტიკურად იკვრება ერთმანეთთან, რათა მოლოდინის ჰორიზონტი შექმნას. მაგრამ თითოეული მათგანის აზრისა და მკითხველის მიერ მათი გათავისების მიხედვით, ეს ჰორიზონტი ხან გამჭირვალეა და აადვილებს კითხვას, ხანაც თავსატეხად იქცევა, რომლის ამოხსნა ტექსტის მთლიანად წაკითხვის დროსაც კი შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, მოტანილი ეპიგრაფების შესწავლამ გვიჩვენა, რომ მწერლის სტრატეგიის .წინასწარ განჭვრეტა შესაძლებელია.

ამგვარად, კლოდ სიმონი, თავისი ეპიგრაფებით, გვთავაზობს საინტერესო ინტელექტუალურ თამაშს, რომელიც მკითხველს აქცევს უფრო ყურადღებიან და ლიტერატურულ წვრილმანებში ჩაძიებულ ადამიანად.

XX საუკუნის ფსიქოლოგიური რომანების პარალელურად არსებობს ჟანრი, რომელსაც შეიძლება „საზოგადოებრივი რომანი" ვუწოდოთ, სადაც ნატურალისტური ხერხებით არის წარმოჩენილი ერთი სოციალური კლასის აღმავლობისა და დაცემის სურათები. ამგვარი ჟანრის წარმომადგენლად ითვლება ფრანსუაზ საგანი (1935-2005), რომლის რამდენიმე ნაწარმოებს ქართველი მკითხველიც იცნობს.

საყურადღებოა, რომ მწერალი ქალი თავიდანვე იჩენს განსაკუთრებულ ინტერესს უცხოელი კლასიკოსების მიმართ, როგორებიც არიან დიკენსი, ფოლკნერი, ფიცჯერალდი, ტოლსტოი თუ დოსტოევსკი. გამორჩეულია შექსპირი, რომელსაც თავის შემოქმედებაში არაერთხელ მოიხსენიებს. პიესაში „ციხე-დარბაზი შვეციაში" (*Un Château en Suède*. 1960) პარალელი ჰამლეტის დრამასთან ექსპლიციტურია. ასევე, მწერალი ოტელოს დრამაში ეძებს რომან „აულაგებელი საწოლის" (*Le Lit défait*. 1977) სასიყვარულო მეტაფორებს მაშინ, როდესაც ერთ-ერთი გმირი, ბეატრიჩე, ედუარდს

ბრალს სდებს გულცივობაში. ის ამბობს:

„Ce jeune homme désarmé cache un Othello" (Sagan 1977: 62).

„ეს შეუიარაღებელი ახალგაზრდა თავის თავში ოტელოს მალავს"

ხოლო გამცემი ნიკოლა, რომელიც შუამავლობს შეყვარებულებს შორის, თავს მიიჩნევს „თავაზიან იაგოდ" (გენტილ Iაგო) (Sagan 1977: 27).

ფრ. საგანმა თავის ორ რომანს „ერთ თვეში, ერთ წელიწადში" (*Dans un mois, dans un an.* 1957) და „გულის მცველი" (*Le Garde du Cœur* 1968) ეპიგრაფებად წაუმძღვარა შექსპირის ტექსტები. ისინი ერთდროულად წარმოადგენენ გეოგრაფიულ, ისტორიულ და კულტურულ „სხვა ადგილს", ვინაიდან შექსპირის სიტყვები ზღვებსა თუ საუკუნეებს მიღმა ჟღერს. მაშასადამე, საქმე ეხება საერთო, ზოგად „სხვა ადგილს", იმ თეატრალურ ნასესხობებს, რომლებიც რომანების წიაღშია მოთავსებული.

ფრ. საგანი, როგორც კლასიკოსი მწერალი, იმოწმებს ლაფონტენსაც და მისებურად ითავისებს აზრის გადმოცემის ხელოვნებას ისევე კარგად, როგორც იმ დიდი საუკუნის მორალისტები. შექსპირისეული ინტერტექსტი ახალ პერსპექტივებს სახავს, კერძოდ კი, ბაროკოს ნაწარმოებისას, რომელიც დაფუძნებულია ელემენტების სიმბოლიზმზე, რეალობისა და წარმოსახვის ნაზავზე.

ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანია, გაირკვეს, რა როლს თამაშობს ინტერტექსტი (სხვა ადგილიდან მოტანილი სიტყვა) ფრანსუაზ საგანის რომანულ სამყაროში, შექსპირისეული ჰეტეროგენული დისკურსი იძლევა თუ არა საშუალებას, გაიხსნას ბაროკოსათვის დამახასიათებელი ჰორიზონტი კლასიკური სიწმინდისადმი საგანისეულ მიდრეკილებაზე გავლით.

რომანს „ერთ თვეში, ერთ წელიწადში" წინ უძღვის „მაკბეტის" მეორე მოქმედებიდან აღებული ფრაზა, რომლითაც ლედი მაკბეტი ქმარს დასამშვიდებლად მიმართავს. ამ უკანასკნელს ეს-ესაა მეფე მოუკლავს და სწუხს იმის გამო, რომ უფლისწულების ლოცვის გაგონებისას, ვერ შეძლო, სიტყვა „ამინ" წარმოეთქვა:

„Il ne faut pas commencer à penser de cette manière,
c'est à devenir fou. (*Macbeth*, Acte II)" (Sagan 1957: 5).
„მაგ საქმეებს არ უნდა ეგრე ჩაუკვირდე,
თორემ ჭკუიდან შეგვშლის ეგ ფიქრი".
(Shakespeare 2009: მოქმედება II. სურათი I)

რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი, ბეატრისი, თავისი გადაჭარებული საქციელით გამოძახილს პოულობს მაკბეტში. საოცარია ის ფაქტი, რომ საქმე გვაქვს ცნობილი ტრაგედიებიდან ორმაგ ნასესხობასთან: სახელისა — რასინის „ბერენისიდან" და ეპიგრაფისა — შექსპირის „მაკბეტიდან". ამ ტრაგიკულ რეზონანს შეუძლია გააოცოს მკითხველი იმ რომანის პირველივე გვერდებიდან, რომელიც უფრო მეტადაა მიბრუნებული გრძნობების ანალიზისკენ, ვიდრე ტრაგიკული გატაცების თეატრალიზაციისკენ. რომანი ბოლომდე უნდა იქნეს წაკითხული, რათა ეპიგრაფის აზრი და ინტერტექსუალური ნიშანი გამოჩნდეს. ეს მკითხველს ხელახალი წაკითხვისა და რეტროაქტიური ინტერპრეტაციის გაკეთებისკენ მოუწოდებს.

შესპირისეული ციტატა რომანში ელიფსის შემდეგ გვხვდება, როდესაც ბერნარი და ჟოზე, სადილობისას, რამდენიმე სიტყვას ეუბნებიან ერთმანეთს:

„— Josée, dit-il, ce n'est pas possible. Qu'avons-nous fait tous ?... Que s'est-il passé? Qu'est-ce que cela veut dire ?

— Il ne faut pas commencer à penser de cette manière, dit-elle tendrement, c'est à devenir fou" (Sagan 1957: 87)

„— ჟოზე, თქვა მან, ეს შეუძლებელია.ეს რა ჩავიდინეთ?.. ეს რა მოხდა? რას ნიშნავს ეს?

„— მაგ საქმეებს არ უნდა ეგრე ჩაუკვირდე, თორემ ჭკუიდან შეგვშლის ეგ ფიქრი".

ასე, რომ ტრაგიგული სტრუქტურა შექსპირისეული ტრაგედიისა სწორხაზოვანია და დაფუძნებულია რომანის შეუქცევად მოქმედებასა თუ მეტყველებაზე. ეს ციკლური რომანია, რომლის დასასრულს მსგავსების ნიშნები თავს იყრის. ერთი წლის შემდეგაც იმ პერსონაჟებს ვხვდებით, ვინც პირველ თავში მოქმედებდნენ, საღამოსაც იგივე მასპინძლები, გვარად მალინასები აწყობენ, მუსიკოსებიც იმავე ნაწარმოებს ასრულებენ. ჟოზეს კვლავ ჟაკი უყვარს, ბერნარს — ჟოზე. მხოლოდ ალენია განსხვავებული, სიყვარულში ხელმოცარული და ალკოჰოლს მიძალებული. მწერალი არ მიჰყვება არც ბაროკოს და არც კლასიკურ მოდელს. ის არჩევანს ჩვენ გვიტოვებს. ერთი წლის შემდეგ ბერნარი ცდილობს, წარმოიდგინოს, რომ ჟოზესთან ერთად ისევ მარტო იქნება და ამგვარად, კიდევ ერთი წელი გავა. აქ ტრაგიზმი უფრო ნაკლებადაა მიმართული ფატალურობისკენ, ვიდრე არსებობის ღრმა აბსურდულობის შეგრძნებისკენ. ბოლო რიტორიკული შეკითხვა: „რას ნიშნავს ეს?“ ჰერმენევტულია. ბერნარი, ბერენისივით, რომელიც ტიტუსის სასიყვარულო ფიცის შემდეგ, ვერ წვდება საქმის შეტრიალების არსს, და მაკბეტივით, რომელიც საძინებლიდან უფლისწულების ხმის გაგონებისას, მერყეობას იწყებს, გაურკვეველ მდგომარეობაში ვარდება.ბოლოს, მისი სავალალო ყოფა იმ კაცისას ემსგავსება, ვინც მკითხველივით ეძებს ამ თავგადასავლის აზრს. ის, როგორც ჩანს, გაკვირვებულია ჟოზეს ირონიული პასუხით. ლედი მაკბეტიც ხომ ასე უხსნის თავის ქმარს, ჰერმენევტიზმს სიგიჟემდე მიჰყავს ადამიანიო:

„Il ne faut pas commencer à penser de cette manière, dit-elle tendrement, c'est à devenir fou“.

„მაგ საქმეებს არ უნდა ეგრე ჩაუკვირდე, თორემ ჭკუიდან შეგვშლის ეგ ფიქრი“.

ინტერტექსტუალობა, ტრაგიკული ნიშნების მომრავლება, ოცნებასა და სიგიჟეს შორის მოქცეული შინაგანი სივრცე რომანს მელანქოლიურს ხდის. შექსპირისთვის სიგიჟე სიმართლის გაგებას ნიშნავს. ეს ვნებიანი სიგიჟეა, რომელიც იპყრობს რასინის გმირებსაც — ფედრასა და ნერონს. ფრ. საგანი ტრაგიკულობის მესამე, უფრო თანამედროვე გზას ირჩევს — აბსურდულობას, სადაც აზრი საბოლოოდ დაკარგულია. ავტორი ყოველდღიური ცხოვრების მიზნების დრამატიზებას ახდენს. ამ ყოფაში გრძნობები ქრება, რაც არსებობას აბსურდულს ხდის. ამას კი გარდაუვალი სიკვდილი მოსდევს.

„მაგ საქმეებს არ უნდა ეგრე ჩაუკვირდე, თორემ ჭკუიდან შეგვშლის ეგ ფიქრი“ — ამ ეპირაფის ფორმაში ყველაფერი აკრძალვის გამომხატველია, მაშასადამე, წესის დარღვევის სურვილისაც. დიდებამოწყურებულმა მაკბეტმა, ისე, როგორც „ბერენისში“ ტიტუსმა, მსხვერპლი გაიღეს მაშინ, როცა ბერნარი, სილაჩრის გამო, თავს დამნაშავედ თვლის ოჯახის დანგრევის გამო. ჟოზეს მიმართ გულის გაციების შემდეგ, გადაწყვეტს, სამოგზაუროდ წავიდეს და ნიკოლი ერთი თვით თავის მშობლებთან გააგზავნოს. ორი თვის შემდეგ ჟოზე იგებს, რომ ნიკოლი, ბერნარისგან ფაქტიურად მიტოვებული ცოლი, ფეხმძიმედაა. ბერნარი დააგვიანებს ჩამოსვლას. ნიკოლი მუცელს მოიშლის. ეს ფაქტი სიმბოლური გამოძახილია მაკბეტის კუდიანთან დიალოგისა, რომელშიც ვლინდება მისი აკვიატებული აზრი მამობაზე და შური სხვათა შტამომავლობისუნარიანობის მიმართ. ძალაუფლების უზურპაცია მისი „ახალი შვილია“. შექსპირის ტრაგედიაში მაკბეტი თუ აბსოლუტურ დამნაშავედაა აღიარებული, რომლის დანაშაულის კვალი ვერ წაიშლება, ფრ. საგანის რომანში აბსოლუტური უპასუხისმგებლობის გრძნობა ბატონობს.

რომან „გულის მცველის“ (*Le Garde du Coeur*) ეპიგრაფად გამოყენებულია „მაკბეტის“ პერსონაჟის — ბანქოს სიტყვები (ამით ის კუდიანების უეცარი გაქრობით გაკვირვებულ მაკბეტს მიმართავს):

„The earth hath bubbles
As the water has“ (Sagan 1968: 7).

როგორც წინა მაგალითზე ვნახეთ, „სხვის სიტყვას“ შეუძლია, ასახოს სიგიჟე ან მელანქოლია. აღნიშნული ეპიგრაფი კი გვიჩვენებს, რომ ის სიზმარს ან ილუზიას გამოხატავს. სათაურის ეპიგრაფთან ასოცირება, ერთი შეხედვით, რთულია. ის ფაქტიც ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მას ფრანგული თარგმანი არ ახლავს თან და ფრანგი მკითხველისთვის ამ ეპიგრაფის გაგება მასში გამოხატული აზრის ძიებასაც გულისხმობს. „მაკბეტი“ ჩართულია ამ ტრაგიკულ რომანში, სადაც ერთ ჩვეულებრივ დანაშაულს ფატალური დასასრული მოჰყვება. შექსპირის პიესის მეორე მოქმედებაში დუნკანის მკვლელობას მოსდევს მცველების, ბანქოს, მაკდუფის ოჯახის განადგურება, ბოლოს, დამნაშავე წყვილის სიკვდილიც. მსგავსი ტრაგიზმის გამეორება შეგვიძლია მნახოთ „გულის მცველშიც“, სადაც ერთმანეთის მიყოლებით კვდებიან ფრანკი, დროთის ყოფილი ქმარი, ჯერი ბოლტონი, ლუელა შრიმპი და რენა კუპერი, რომლებიც ერთმანეთს ექიშპებოდნენ დროთის გამო, და ბოლოს, ლევისის რეჟისორი ბილ მაკლი. ფრ. საგანის რომანიც და შექსპირის ტრაგედიაც შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ძიება, რომელმაც სინათლე უნდა მოჰფინოს ამ მკვლელობებს. „გულის მცველში“ სიკვდილის წრე იკვრება დროთის ირგვლივ, რომელიც ეჭვობს, რომ ეს ყველაფერი მისმა პროტეჟე ლევისმა ჩაიდინა. ეს უკანასკნელი იშვიათი გულგრილობით აღიარებს და იხსენებს თავის ბნელ საქმეებს, ასევე, ალიბის და თავს იმშვიდებს, რომ ამ მკვლელობებს ან თვითმკლელობად ან უბედურ შემთხვევად ჩათვლიან. დროთი მის იუმორს არ იწონებს მაშინ, როცა ლედი მაკბეტი არა მარტო მონაწილეა მკვლელობებისა, არამედ - დანაშაულის სულისჩამდგმელი. თუმცა დროთი უნებურად გახდა სასიყვარულო ვნებების მიზეზი. ახალგაზრდა კაცი — პიგმალიონი სიყვარულის მონსტრად იქცევა. სათაური, „გულის მცველი“ (ფრანგ. — *Le Garde du cœur*), ლექსიკურად ეხმიანება „სხეულის მცველს“ (ფრანგ. — garde du corps). სათაურის ამ კონოტატიური და ბგერითი თამაშით ფრ. საგანი შექსპირისეულ პოეტურ ციტატას, რომელიც ეპიგრაფად აქვს გამოყენებული, პირველსახეს უნარჩუნებს შემდეგი სიტყვების: «hath», «has» და «as» ბგერითი შემადგენლობის ერთმანეთთან სიახლოვის გამო, რათა ერთმანეთთან კიდევ უფრო დააკავშიროს სათაური და ეპიგრაფი. ლევისი განასახიერებს თავის მართლების პარადოქსულ ფიგურას, რომელიც იცავს დროთის „გულს“ ამ ქალის გამკიცხავების ფიზიკური განადგურების გზით. ლევისი ამას უხალისოდ, მაგრამ უსინდისოდ სჩადის. მისი აღიარება პარადიად აღიქმება, ვინაიდან, მაკბეტისგან განსხვავებით, არავითარ სინდისის ქენჯნას არ განიცდის. შექსპირის პიესაში ამბიცია იბადება სამი კუდიანის წინასწარმეტყველებით, რომლებიც მაკბეტს თითქოს ექსტაზის მდგომარეობაში ტოვებენ. მკვლელობების სივრცე მოქცეულია ერთი ციხე-დარბაზის ფარგლებში, ლევისის სიგიჟე კი შორს იჭრება და ყველას სწვდება, ვინც კი რამე უკეთურებას განიძრახავს დროთის მიმართ. ფრ. საგანის რომანი მთავრდება სხვა მკვლელობების მოლოდინით, რასაც დროთი შემდეგი უხალისო სიტყვებით გამოხატავს:

„Évidemment, j'aurais sûrement du mal à empêcher Lewis de tuer des gens de temps en temps, mais avec un peu de surveillance et de chance“ (Sagan 1968: 127).

„ცხადია, ალბათ გამიჭირდება, ხელი შევუშალო ლევისს დროდადრო ხალხის ხოცვაში, მაგრამ ცოტა ყურადღება მმართებს, იღბალიც ხომ საჭიროა“...

როგორც ჩანს, რომანი დაფუძნებულია პერსონაჟების უპასუხისმგებლობასა და სიმკაცრით სავსე უდარდელობაზე. ისინი თანახმანი არიან, ერთად იცხოვრონ სიცრუეში. ამ ყველაფერში კი ტრაგიზმს ადგილი აღარ რჩება და თემაც მიმართულებას იცვლის „მაკბეტში“ განსახიერებული დამნაშავეობიდან ისეთი რომანის შექმნისაკენ, სადაც ადამიანები დანაშაულში ცხოვრებას მთელ თავიანთ ბედნიერებას უძღვნიან.

ამ რომანის ეპიგრაფის ი. მაჩაბელისეული თარგმანი — „მიწაც წყალივით ზოგჯერ ბუშტებს აისვრის ხოლმე“ (Shakespeare 2009: მოქმედება I სურათი III) ისე, როგორც ფრანგი მ. გიზოტისა — „De la terre comme de l'eau s'élèvent des bulles d'air“ (შექ-

სპირი 1864: 18) ინგლისურისგან განსხვავებით, იყენებს აღმასვლის გამომხატველ სიტყვას — s'élèvent (აისვრის). (ბუშტის) ასროლის და გაქრობის მოტივი, რომელიც ოკულტიზმისა და სიზმრის კუთვნილებაა, მთლიანად ესადაგება ფრ. საგანისეულ ესთეტიკას — ყველაფერი მსუბუქი და წარმოსახვითია.

ფრ. საგანის რომანებისა და ეპიგრაფების ანალიზი მეტყველებს მწერლის ერუდიციაზე, კულტურული კავშირების დამყარების უნარზე და, რაც მთავარია, შექსპირისადმი, როგორც ყველა ეპოქის გენიისადმი, თაყვანისცემაზე. რომანისტს შეუძლია, შეიგრძნოს და გადმოსცეს ტრაგიზმი, მაგრამ არა კლასიკური და ფატალური, არამედ აბსურდის თანამედროვე ფორმით. ფრ. საგანი პატივს მიაგებს შექსპირს მისი გამონათქვამების ეპიგრაფებად გამოყენების გზით, რომელთა ახალ იმპულსებს მკითხველი გადაჰყავს იქ, სადაც აღარ არსებობს მორალის ცნება, ხოლო აზრის არსებობა უტოპიაა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეპიგრაფების სიუხვე მრავალი თანამედროვე მწერლის შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი პარამეტრია. ეპიგრაფი, როგორც ფიქციის ტექნიკა და პარატექსტის კომპონენტი, გამოყენებულია მათი სამყაროს ორგანიზაციის სტრუქტურულ ელემენტად, ტრანსფორმაციული და მუდმივად განვითარებადი სამყაროს ამსახველი თხრობის მრავლალფეროვნების შესაქმნელად.

ამდენად, ეპიგრაფების შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ამა თუ იმ მწერლის მიერ გამოყენებული ეპიგრაფები მკითხველის დიდ ყურადღებას ყოველთვის იმსახურებს.

დამოწმებანი:

Brunel, Pierre. *Formes baroques au théâtre.* Paris: Klincksieck, 1996.

Caminade, Pierre. *Déjeuner avec l'herbe.* Entretiens: 1964.

Larousse.„Épigraphe". *du Dictionnaire historique, thématique et technique des Littératures.* Larousse: 1985.

Oeuvres, Francois, Robert Laffont. *Collection Bouquins.* Paris: 1993.

Qiunt C «Shakespeare comme ailleurs intertextuel : les épigraphes anglaises de Françoise Sagan». *La Licorne,* Cahier n° 4 (2010). n.p. Web. 11 Feb. 2011 http://licorne.edel.univ-poitiers.fr/document4890.php

Rabaté, Dominique. *Pranguli Tanamedrove Romani 1900 Ts'lidan.* (in Georgian language). GCI, 1998 (რაბატე, დომინიკ. *ფრანგული თანამედროვე რომანი 1900 წლიდან.* „ჯისიაი". 1998).

Rousset, Jean. *La littérature de l'âge baroque en France: Circé et le paon.* Paris: J. Corti, 1995.

Sagan, Françoise. *Dans un mois, dans un an, in Oeuvres,* Robert Laffont, coll. « Bouquins ». Paris:1957.

Sagan, Françoise. *Le Garde du cœur. in Oeuvres,* op. cit. 1968.

Sagan, Françoise. *Le Lit défait, in Oeuvres.* Robert Laffont, coll. « Bouquins ». Paris: 1977.

Shakespeare, William. *Macbeth. Traduction de M. Guizot in Œuvres complètes.* Paris: Didier, 1864, vol 2.

Shakespeare, William. *Macbeth.* targmani Ivane Machabeli (in Georgian language). 2009 11 Feb. 2011. http://lib.ge/body_text. php?7908 (შექსპირი, უილიამ. *მაკბეტი.* თარგმანი ივანე მაჩაბლისა. http://lib.ge/body_text. php?7908).

Simon, Claude. *Gulliver.* - Paris: Calmann-Lévy, 1952

Simon, Claude. *Le Vent.* Pari : Minuit, 1957.

Simon, Claude. *L'Herbe*: Minuit, 1958.

Venet, Gisèle. *Temps et vision tragique, Shakespeare et ses contemporains.* Paris: Sorbonne Nouvelle, 1985.

Woodbridge, Linda. *The Scythe of Saturn: Shakespeare and Magical Thinking.* Urbana: Illinois University Press, 1994.

Tamar Chikhladze

Epigraph as an Intertextual Phenomenon (By Claude Simon and Françoise Sagan)

Summary

Key words: epigraph, interpretation, novel.

Intertextual analysis is one of the actual issues of the contemporary literary criticism. The article studies the variety of epigraph as an intertextual marker, its role and peculiarities of its function in the works of arts.

In literature, an epigraph is a phrase, quotation, or poem that may serve as a preface, a summary, a counter-example and can link the work to a wider literary canon, either to invite comparison or to enlist a conventional context. Epigraphs are belonged to any cultural traditions. It is a textual 'other place', a retired paragraph or expression that indicate on the main points of a literary work. Between this meta-text and own text, a writer creates an interdiscoursal dependence that possibly can be analyzed in different plans: thematical, diegetical and also, in formulating plans. The aims of an epigraph are unlimited. The erudite a writer is the more frequently he will use the 'other's speech', because any great idea has its echo to the other one - to the already existed ideas.

The epigraphs are various. Sometimes their interpretation by readers is too difficult.

The article consideres some epigraphs of the literary works of modern french writers - Claude Simon and Françoise Sagan in order to find out their epigraph's content, sense or originality.

It is significant that in Claude Simon's works the interest is the observation on the effect of functions and the influence of the epigraphs on the readers. This intellectual game makes a reader more attentive and searchers for literary small things.

As for Françoise Sagan, in her literary universe the intertext or epigraphs give a possibility to open the horison of the original epoch from where it is taken and include the ideology of the writer too. The new impulse of epigraphs helps a reader to penetrate in Sagan's universe that has a stamp of absurdity and tragedy. The studding of Françoise Sagan's novels and epigraphs indicates on the writer's erudition, on her skills of creation the cultural relationship. The novelist can feel and express the tragedy not classical and fatal but in modern absurd form.

The epigraph as a technique of a fiction and a component of Para text, is used in these writers' novels as a structural element of organisation of such creative space for making a diversity of narration that reflects the transformational and continually developing world.

It is very important to study epigraphs that are always compelled by readers' attention.

AVRI SEPP
(German)

Wahrheit und Dichtung:
Für eine Literatur- und Kulturwissenschaftliche Tagebuchtheorie

1. Literatur- und kulturwissenschaftliche Annäherungen an das Tagebuch

Die Analyse von Tagebüchern stellt Anknüpfungspunkte für eine Vielzahl sowohl literatur - als auch kulturwissenschaftlich hochaktueller Fragestellungen bereit. Im Tagebuch liegt eine höchst persönliche Interpretation des Alltags, des eigenen Lebens und des historischen Kontextes vor. Gerade das Verhältnis von Selbstwahrnehmung und Wahrnehmung des Zeitgeschehens, von Zeitgeschichte und Individualgeschichte, eröffnet ein singulares, aussagekräftiges Quellenmaterial. Die genrespezifischen Besonderheiten des Tagebuchs setzen eine Herangehensweise voraus, die der Dialektik von Privatheit und Öffentlichkeit Rechnung trägt. Zur konkreten Veranschaulichung der gattungstheoretischen Überlegungen werden im Zuge dieses Teils vielfach Beispiele aus Victor Klemperers Tagebüchern angeführt, um die Rückbindung der Gattungstheorie an die konkrete Analyse von Klemperers Diarien zu versichern.

На наш взгляд, метажанр базируется на доминантном межродовом жанровом смешении и это предполагает его отличие от мегажанра. Доминирующим типом жанрового смешения для мегажанра является межвидовое жанровое смешение. Помимо внеродовой направленности метажанр отличает стремление выйти за рамки литературного пространства в иную, более широкую систему координат, тогда как эта тенденция в мегажанре проявляется более слабо. В результате чего метажанровость произведения предполагает особую связь с «производными» жанровыми конструкциями. В качестве примера можно привести роман-утопию. Современные исследователи в романе утопии выделяют метажанровую и жанровую уровни. (Шадурский 2009: 38) Роман-утопия выступает как «метажанр» не только по отношению к своим производным, но также к роману-антиутопии и его разновидностям (квазиутопии, дистопии, какотопии) (Шадурский 2009: 84-89).

Литература:

Bakhtin, Mikhail. „Epos i Roman". *Voprosy Literatury i Estetiki.* Issledovaniya raznikh let. Moskva, 1975 (Бахтин, Михаил М. „Эпос и роман". *Вопросы литературы и эстетики.* Исследования разных лет. М.: 1975).

Bakhtin, Mikhail. *Epos i Roman.* Sankt-Peterburg: izdatel'stvo „Azbuka", 2000 (Бахтин, Михаил М. *Эпос и роман.* Санкт Петербург: Издательство «Азбука», 2000).

Baranov, S. Y. . Ed. *Funktsional'noe Izuchenie Literatury i Problema Zhanra. Zhanry v Istoriko-literaturnom Protsesse.* Vologda: 1985 (Баранов, С.Ю. *Функциональное изучение литературы и проблема жанра. Жанры в историко-литературном процессе.* Под редакцией проф. В.В.Гуры, Вологда: 1985).

Belchikov, Yuli A. „Kontaminatsiya". *Lingvisticheskiy Entsiklopedicheskiy Slovar'.* M: Sovetskaya entsiklopediya, 1990 (Бельчиков, Юля А. „Контаминация". *Лингвистический энциклопедический словарь.* Гл. ред. В.Н. Ярцева. М.: Советская энциклопедия, 1990).

Burlina, Elena Y. *Kul'tura i Zhanr: Metodologicheskie Problemy Zhanroobrazovaniya i Zhanrovogo Sintcza.* Saratov: 1987 (Бурлина, Елена Я. *Культура и жанр: Методологические проблемы жанрообразования и жанрового синтеза.* Саратов: 1987.

Culler, Jonathan. *Teoriya Literatury, Kratkoe Vvedenie.* Trans. Georgieva, Ana. Moskva: AST Astrel', 2006 (Каллер, Джонатан. *Теория литературы. Краткое введение.* М.: АСТ* Астрель, 2006).

Daugovish, Sergei O. „O „Zhanrovoi Pamyati" Dostoevskogo (perechityvaya M. Bakhtina). *Literature, Folklore, Arts.* 705 (2006): 41-45 (Дауговиш, Сергеи. О «жанровой памяти» Достоевского (перечитывая М.М. Бахтина). *Literature, Folklore,* Arts. 705 (2006): 41-45).

Egorova, Irina V. *Forma i Smysl Rannikh Proizvedeniy Charl'za Dikkensa.* PhD. Diss. Moskva: 2009 (Егорова, Ирина В. *Форма и смысл ранних произведений Чарльза Диккенса.* Автореф. дисс. на соискание учёной степени кандидата филологических наук. М.: 2009).

Fedorov, Fedor. „Bakhtin i Teoriya Romana". *Literature, Folklore, Arts.* 705 (2006): 8-21 (Федоров, Федор. „Бахтин и теория романа". *Literature, Folklore, Arts.* 705. (2006):8-21).

Fokkema, Douwe W., H. Bertens, eds. *The Semantic and Syntactic Organisation of Postmodernist Texts. Approaching Postmodernism.* Amsterdam-Philadelphia: 1986.

Hassan, Ihab. „Making Sense: the Triumph of Postmodern Discourse". *New Literary History* 18-2 (1987).

Kagirova, O.M. *Printsipy Organizatsii Romannogo Tselogo v Tvorchestve Borisa Pil'nyaka 1920-kh Godov.* PhD. Diss. Izhevsk: Udmurt State University, 2006 (Кагирова О.М. Принципы организации романного целого в творчестве Бориса Пильняка 1920-х годов. Автореф. дисс. на соискание учёной степени кандидата филологических наук. Ижевск: 2006).

Khalizev, Valentin. *Teoriya Literatury.* Moskva: Vyschaya shkola, 2007 (Хализев, Валентин Е. *Теория литературы.* М.: Высшая школа, 2007).

Kozhinov, Vadim V. *Proiskhozhdenie Romana. Teoretiko-istoricheskiy Ocherk.* Moscow: Sovetskiy pisatel', 1963 (Кожинов, Вадим В. *Происхождение романа. Теоретико-исторический очерк.* М.: Советский писатель, 1963).

Kudelin, Andrey B. *Srednevekovaya Arabskaya Poetika: Voprosy Sovremennykh Issledovaniy.* St-Peterburg: St-Petersburg State University of Humanities and Social Sciences Press, 2006 (Куделин, Андрей Б. *Средневековая арабская поэтика: вопросы современных исследований.* Спб.: Изд-во СПб ГУП, 2006).

Leiderman, Naum L. *Dvizhenie Vremeni i Zakony Zhanra. Zhanrovye Zakonomernosti Razvitiya Sovetskoi Prozy v 60-70-e Gody.* Sverdlovsk: Ural Press, 1982 (Лейдерман, Наум Л. *Движение времени и законы жанра. Жанровые закономерности развития советской прозы в 60-70-е годы.* Свердловск: Средне - Уральское издательство, 1982).

Likhina, Natalya E. *Aktual'nye Problemy Sovremennoi Russkoi Literatury: Postmodernizm.* Kaliningrad: Kaliningrad University, 1997 (Лихина, Наталья Е. *Актуальные проблемы современной русской литературы: Постмодернизм.* Калининград: Калининградский университет, 1997).

Nevskaya, Darya. „Problema Dialogichnosti „Sozdayushego" i „Sozdannogo" Tekstov". *Literature, Folklore, Arts. Vol. 705.* (2006): n.pag. Web. 15 May, 2011 (Невская, Дарья. „Проблема диалогичности «создающего» и «созданного» текстов (Граф Амори «Финал. Окончание произведения «Яма» А. И. Куприна»)". *Literature, Folklore, Arts. Vol. 705.* (2006): n.pag. Web. 15 May, 2011).

Novalis, William Wackenroder, et al. *Literaturnaya Teoriya Nemetskogo Romantizma.* Trans. Tamara I. Silman. Leningrad: Izdatel'stvo pisatelei v Leningrade, 1934 (Новалис, Вилиам Вакенродер. *Литературная теория немецкого романтизма.* Ленинград: Издательство писателей в Ленинграде, 1934.

Popova, Irina M.,et al. *Problemy Sovremennoi Russkoi Literatury.* Tambov: 2004 (Попова, Ирина М., Хворова Людмила Е. *Проблемы современной русской литературы.* Тамбов: Изд-во ТГТУ, 2004).

Reingold, Sergei. „Russkaya Literatura i Postmodernizm". *Znamya. 9 (1998) n. pag. Web. 12 May, 2011* (Рейнгольд, Сергей. „Русская литература и Постмодернизм". *Знамя. 9.* (1998).

Rimark, Nikolay T., and Vladislav P. Skobelev. *Teoriya Avtora i Problema Khudozhestvennoi Deyatel'nosti.* Voronezh. Logos-Trast, 1994 (Рымарь, Николай Т., Владислав П. Скобелев . *Теория автора и проблема художественной деятельности.* Воронеж: Логос-Траст, 1994).

Samorukova, Irina V. *Diskurs - Khudozhestvennoe Vyskazyvanie - Literaturnoe Proizvedenie. Tipologiya i Struktura Esteticheskoi Deyatel'nosti.* Samara: 2002 (Саморукова, Ирина В. *Дискурс – художественное высказывание – литературное произведение. Типология и структура эстетической деятельности.* Самара: 2002)

Schlegel, Friedrich. *Estetika.* Filosofiya. Kritika. v 2-kh t. T. 1. Moscow: 1983. (Шлегель, Фридрих. *Эстетика.Философия.Критика:* В 2-х т. Т. 1. М.: 1983).

Schlegel, Friedrich. *Estetika.* Filosofiya. Kritika. v 2-kh t. T. 2. Moscow: 1983 (Шлегель, Фридрих. *Эстетика.Философия.Критика:* В 2-х т. Т. 2. М.: 1983).

Shadurski, Maksim I. *Literaturnaya Utopiya ot Mora do Khaksli: Problemy Zhanrovoi Poetiki i Semiosfery. Obretenie Ostrova.* Moscow:URSS, 2007 (Шадурский, Максим И. *Литературная утопия от Мора до Хаксли: Проблемы жанровой поэтики и семиосферы. Обретение острова.* Москва: ЛКИ, 2007).

Shadurski, Maksim I. *Khudozhestvennaya Model' Mira v Romanakh-utopiyakh S. Batlera i O. Khaksli. PhD. Diss.* Minsk, 2009 (Шадурский, Максим И. *Художественная модель мира в романах-утопиях С. Батлера и О. Хаскли.* Дисс. на соискание учёной степени кандидата филологических наук.

Минск: 2009).

Shklovski, Victor B. *Izbrannoe. V 2-kh t.* T 2. Moskva: Khudozhestvennaya literatura, 1983 (Шкловский, Виктор Б. Избранное. В 2-х т. Т. 2.М.: Художественная литература, 1983).

Sisoeva, Ol'ga A. Parodiya kak Zhanroobrazuyushii Faktor Romannoi Prozy Sashi Sokolova. *PhD.* Diss. Moskva: 2008 (Сысоева, Ольга А. *Пародия как жанрообразующий фактор романной прозы Саши Соколова.* Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, М.: 2008).

Skoropanova, Irina. *Russkaya Postmodernistskaya Literatura.* Moskva: Flinta: Nauka, 2001 (Скоропанова, Ирина С. *Русская постмодернистская литература.* М.: Флинта: Наука, 2001).

Spivak, R. S. *Russkaya Filosofskaya Lirika: Problemy Tipologii Zhanrov..* Krasnoyarsk: 1985 (Спивак, Р.С. *Русская философская лирика: Проблемы типологии жанров.* Красноярск: 1985).

Sproge, Lyudmila. „Verbalizatsiya Portreta v Russkom Simbolizme i Akmeizme". *Literature, Folklore, Art. 705* (2006): 53-60 (Спроге, Людмила. „Вербализация портрета в русском символизме и акмеизме". *Literature, Folklore, Arts. 705.* (2006): 53-60).

Tetel'nam, A. *I. Vzaimodeistvie Zhanrov v Tvorchestve Oskara Uail'da.* PhD. Diss. Kazan: 2007 (Тетельнам, А.И. *Взаимодействие жанров в творчестве Оскара Уайльда.* Автореф. дисс. на соискание ученой степени кандидата филологических наук, Казань: 2007).

Tinyanov, Juri N. *Poetika. Istoriya Literatury. Kino.* Moskva: Nauka, 1977 (Тынянов, Юрий Н. *Поэтика. История литературы. Кино.* М.: Наука,1977).

Titova, Valentina V. *Zhanrovaya Tipologiya Poem M. I. Tsvetaevoy. PhD.* Diss. Volgograd: 1997 (Титова, Валентина В. *Жанровая типология поэм М.И. Цветаевой.* Диссертация на соискание ученой степени кандидата филологических наук, Волгоград: 1997).

Troitskaya, Anastasia L. Intertekstual'nii Khronotop Goticheskogo Romana (na materiale angloyazychnykh proizvedenii). Diss. St. Petersburg: 2008. (Троицкая, Анастасия Л. *Интертекстуальный хронотоп готического романа (на материале англоязычных произведений).* Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Санкт-Петербург, 2008).

Trotskii, Lev D. *Literatura i Revolyutsiya.* Moskva: Politizdat, 1991 (Троцкий, Лев Д. *Литература и революция.* М.: Политиздат, 1991).

Wellek, Rene. and Austin Warren. *Teoriya Literatury.* Moskva: Progress, 1978 (Уэллек, Ренеб и Остин Уоррен . *Теория литературы.* М.: Прогресс,1978).

Sharifova Salida Shammed kızı

Types of Genre Mix in the Modern Romance Novel

Summary

Key words: the evolution of genres, novel, meta genres, the mix of genres, the formation of new genres, types of genre mix.

Article is devoted to the mix of genres.

The author relies on the postulates of communicative and socio-cognitive theories of genre.

Some individuals confuse literary genres or subgenres with other kinds of literary entities, such as literary devices, figurative language, forms, or periods. Communicative and socio-cognitive theories help to avoid confusion.

The author understands the genre as a set of conventions concerning the relationship between author and addressee of the text. The author extends the definition of a communicative genre and has proposed to supplement by three plans of the genre: the plan for content, structure

plan and the plan of perception.

The definition of mix of genres is given in the article by the author. Genre mixing (contamination of the genre) _ a union in art-work elements of two or more genres, provided that genre features one of the genres remain dominant.

Author described the influence of mix of genres on the multeity of genres and on the formation of new genres.

The author assesses the mix of genres as:

- a method for creating a new genre;
- a method of evolution the genre.

The mix of genres is the main method of the manifold types of novel.

Genre mixing is carried out not chaotically. Genre mixing is carried out in accordance with the content and issues of artwork. This reflects the influence of the internal action of the novel (which is associated with the plot-story eventfulness).

The history of the concept of mix of genres had been explained in the article (German Romantic school, the Russian literary theory, Western communicative theory, etc.).

Attention is paid to three forms of mix of genres. An internal genre mixing involves mixing different types of one genre. Between literary genus mixing involves mixing elements of various sorts. Inside literary genus mixing involves mixing elements of the genres of one genus.

Many scholars, critics, philosophers, and others have invented a variety of systems for treating literature as a collection of genres; many have produced lists of genres and subgenres.

Author proposes to classify artworks according to the criterion of genre mixing.

Depending on the type of:

- artworks with the internally genre mixing;
- artworks with the inside literary genus mixing;
- artworks with the between literary genus genre mixing;

Depending on the complexity:

- simple genre mixing;
- multi level genre mixing.

In the artwork both can be used different type of genre mixing. This leads to the phenomenon of multi-level genre mixing.

Through a comparative analysis meta genre and mega genre, it was determined that in meta genre dominates between literary genus mixing, in mega genre dominates inside literary genus mixing. Genre mixing in meta novel is associated with the spreading of the essay and self-reflection. Duplex art construction of the meta novel suggests that in the foreground housed novelistic plot, while the second _ self-reflection plot.

Author researched the relationship of mix of genres with the imitation of genres, parody, options, etc. The author draws parallels between the mix of genres and the meta genres.

თემურ კობახიძე

დანტე, ჯოზეფ კონრადი და იოანეს გამოცხადება ტომას ელიოტის „კაცის ფიტულებში“

ვლადიმირი: წავიდეთ?
ესტრაგონი: წავიდეთ.
(დგანან)

სემიუელ ბეკეტი
„გოდოს მოლოდინში“

„კაცის ფიტულები“ ელიოტმა 1925 წელს გამოაქვეყნა, როდესაც „უნაყოფო მიწის“ (1922) გარშემო ამტყდარი პოლემიკა ჯერ კიდევ მიმცხრალი არ იყო და პირველი სერიოზული ლიტერატურულ-კრიტიკული შთაბეჭდილებები ჩამოყალიბების, ან სულაც მოფიქრებისა და დაღვინების პროცესში იმყოფებოდა. ამ ფონზე „კაცის ფიტულების“ გამოქვეყნებამ შედარებით უხმაუროდ ჩაიარა. „უნაყოფო მიწის“ შესახებ კამათში ჩართულმა იმჟამინდელმა მკითხველმა საზოგადოებამ ლექსი ნეიტრალურად მიიღო და ვერც შეამჩნია, რომ ფაქტობრივად, „კაცის ფიტულების“ შექმნით, ინგლისურენოვან მოდერნისტულ პოეზიაში მთელი ეტაპი დასრულდა. ინგლისურენოვან პოეზიაში-თქო ვამბობთ, რადგან 20-იანსა და მომდევნო წლებში ელიოტი ამ პოეზიის შემოქმედებით და ინტელექტუალურ ასპექტს ლამის ერთპიროვნულად განასახიერებდა. არსებითად, იმ დროის ანგლო-ამერიკულ პოეზიაში და ლიტერატურულ თეორიაში ხდებოდა ის, რაც ხდებოდა ელიოტის პოეზიაში და მის ლიტერატურულ წერილებში — ათწლეულების მანძილზე, ელიოტის შემოქმედება ყველა ამ „ხდომილებათა“ ეპიცენტრად აღიქმებოდა.

„კაცის ფიტულების“ გულგრილად დახვედრა სავსებით გასაგები გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ „უნაყოფო მიწის“ გამოქვეყნებას მართლაც დიდი რეზონანსი მოჰყვა და მკითხველმა საზოგადოებამ ელიოტის ახალი ნაწარმოები ამ დიდი პოემის ფარვატერში აღიქვა. უფრო მეტიც, ეზრა პაუნდისადმი მიწერილ, შემოქმედებითი ეჭვებით აღსავსე წერილში თვით ელიოტი „პოსტ-უნაყოფოს“ („post-Waste“) უწოდებს „კაცის ფიტულებს“ და მერყეობს კიდეც მის გამოქვეყნებაზე (Southam 202), რაც, უნდა ვივარაუდოთ, მწერლისა თუ პოეტის მიერ საკუთარი ნაწარმოების სუბიექტური შეფასების კლასიკური მაგალითია. ანალოგიურ ნევროზულ სიტუაციაში კაფკა საერთოდ, თავისი ნაწერების დაწვას სთხოვდა მაქს ბროდს. ფაქტია, რომ „კაცის ფიტულებით“ ელიოტის პოეზიაში მთავრდება „ინფერნალური“ ეტაპი, თანადროული სამყაროს პოეტური აღქმა, როგორც ჯოჯოხეთისა, ანუ ის ტრადიცია, რომელსაც ელიოტის წინამორბედთაგან ჯერ კიდევ ბოდლერმა და ფრანგმა სიმბოლისტებმა დაუდეს საფუძველი და რომელიც შორეულ სათავეს დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ იღებს. ადრეული ლექსებისა და „უნაყოფო მიწისათვის“ დომინანტურ, ამქვეყნიური ჯოჯოხეთისა თუ ქვეყნიერების აღსასრულის მეტაფორიკას ელიოტი თავის პოეზიაში აღარასოდეს დაუბრუნდება. „კაცის ფიტულებში“ პოეტი აჯამებს თავის ესქატოლოგიურ ხილვებს, რის შემდეგადაც, ფ. ო. მატისენის ხატოვანი თქმით, მის შემოქმედებაში შესამჩნევი ხდება სალხინებლის წრეებ (Matthiessen 1947: 66).

ფართო გაგებით, როგორც მხატვრული ტრადიცია, თანადროულობის ჯოჯოხეთად წარმოსახვა უსასრულოდ მრავალფეროვანია; საოცრად მდიდარი და ასოციაციებით დახუნძლულია განათლებული ევროპელის ცნობიერებაში არსებული

შესაბამისი ზოგადკულტურული ხატიც. ლიტერატურისა და საერთოდ, მხატვრული აზროვნების ისტორიაში უამრავი ხელოვანი დაინტერესებულა ინფერნარული თემატიკით, შეუქმნია კიდეც კალმით, ფუნჯითა თუ საჭრეთლით, თავისი საკუთარი, „პერსონალური“ ჯოჯოხეთი“. ქვესკნელში ჩასვლით“ იწყება თომას მანის „იოსები და ძმანი მისნი“-ს პირველივე გვერდები, დანტეს „ჯოჯოხეთის“ ციტატი წინ უძღვის ეპიგრაფად მის „დოქტორ ფაუსტუსს“. ჯოჯოხეთის შემზარავ სცენებსა და „სიკვდილის როკვებს“ ვხვდებით ევროპულ გოთიკურ ტაძართა დიდებულ ფასადებზე და ინტერიერების მორთულობაში, ჩონჩხებსა და „გაღიმებულ“ თავის ქალებს — მათ უთვალავ საძვალეებსა და მიწისქვეშა სამარხებში, ძველებურ გრავიურებსა და ძველისძველ წიგნთა ილუსტრაციებში. ყოველივე ეს, ცხადია, იმ ფსიქოლოგიური სამყაროს ერთი, თუნდაც მცირედი ნაწილია, რითაც კულტურული ევროპელი დღესაც თავის მეტაფიზიკურ აზროვნებას ჰკვებავს. მაგრამ თვით ამ ერთობ პირქუში ჟანრის გენიალური „ექსტრემალებიც“ — იერონიმუს ბოსხი, პიტერ ბროიგელი, ალბრეხტ დიურერი, ნაწილობრივ ელ გრეკო და ალბათ გოიაც (ზოგიერთ თავის ტილოში) — ელიოტზე ბევრად უფრო ლმობიერნი, შეუდარებლად უფრო ჰუმანურნი და ფერადოვანნი არიან თავ-თავიანთი „ჯოჯოხეთების“ წარმოსახვისას. თვით დანტეს ტანჯულთა სულების უმრავლესობაც უბადლო დრამატიზმით დახატულ, დინამიურსა და სისხლავსე, ტრაგიკულ პერსონაჟებს წარმოადგენს. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ მიქელანჯელოს „განკითხვის დღეში“ ჯოჯოხეთიდან აღმდგარი სულები, ობიექტურად, რენესანსულ პიროვნებას უმღერიან ხოტბას. ყველა ამათგან განსხვავებით, „კაცის ფიტულების“ ჯოჯოხეთი მშრალი, შავ-თეთრი და თავისი ერთფეროვნებით უსასრულოდ სასოწარმკვეთია. კაცის ფიტულები აბსოლუტურად ერთსახოვანნი არიან. მათში ჩამქრალია თვით ავტორისეული ირონიაც — ხერხი, რომელიც მკაფიოდ აფერადოვნებდა ელიოტის მთელ ადრეულ პოეზიას „ჯ. ელფრიდ პრუფროკის სამიჯნურო სიმღერიდან“ (1917) „უნაყოფო მიწის“ ჩათვლით.

საქმე ის არის, რომ ამ თავის საკმაოდ მოზრდილ, ასოციაციურად ძალზე ტევად ლექსში ელიოტი ძირფესვიანად სცვლის ჯოჯოხეთის ტრადიციულ მხატვრულსა და ზოგადკულტურულ ხატს. შავბნელ ჯურღმულებში ცოდვილთა სულების შიშისმომგვრელი ტანჯვა-წამების ნაცვლად, ის წარმოსახავს სრული ზნეობრივი და ფიზიკური პარალიჩის შემზარავ სურათს. „კაცის ფიტულების“ პერსონაჟთა სამყაროში არ არსებობს პროტაგონისტი, აქ არც გმირს ვხვდებით, არც ანტიგმირს. წარმოსახულია უბრალოდ, დამბლადაცემულ სტატისტთა მასა, რომელიც ავტორისეულ ჩანაფიქრშივე უმოძრაოა, უსახურია, უფერულია. ელიოტამდე ალბათ არავის არ გამოუხატავს ფასეულობათა დეგრადაციის შედეგად შექმნილი ჩიხის ესოდენ შემაძრწუნებელი განცდა, განცდა ქვეყნიერების ზნეობრივი აღსასრულისა, რომელიც ყოველგვარ პოპმპეზურსა თუ საზეიმო ხასიათს მოკლებულია და უსუსურ სლუკუნში გამოიხატება:

This is the way the world ends
This is the way the world ends
This is the way the world ends
Not with a bang but a whimper.

[ასე მთავრდება სამყარო, ასე მთავრდება სამყარო, ასე მთავრდება სამყარო, აფეთქებით კი არა, სლუკუნით.]

თანამოაზრე ლიტერატორთა წრეში ლექსის ეს ფინალი იმდენად ეფექტური აღმოჩნდა, რომ მან ელიოტის მეგობარს, ცნობილ პოეტსა და კრიტიკოსს ელინ ტეიტს ჯერ კიდევ 1926 წელს ათქმევინა: „ბატონი ელიოტი ზედმიწევნით ფაქიზად და მიზანშეწონილად აზროვნებს. შესაძლოა, მას მეტი აღარც არაფერი ჰქონდეს პოეზიაში სათქმელი. ყოველ შემთხვევაში, „კაცის ფიტულები“ სულ ცოტა, მთელი ეტაპის დასასრულია“-ო (Brooker 14).

ცხადია, „კაცის ფიტულების“ კრიზისული განწყობილება თვით კრიზისული რეალობით არის ნაკარნახევი, მაგრამ ეს რეალობა ელიოტის პოეზიაში „მხატვრულად ასახული“ კი არ არის, როგორც ამას ყალბ ტრადიციად ქცეული კლიშე გვკარნახობს, რამედ მასში მხატვრულად გარდასახულია. ლექსი უდავოდ კრიზისულია, იმ თვალსაზრისით, რომ მასში წარმოსახული უსასრულოდ ტევადი, სიმბოლური სურათი ყოვლისმომცველ კრიზისს, ზნეობრივ იდეალთა განადგურებას, სრულ ურწმუნობასა და იმედგაცრუებას გამოხატავს. მაგრამლიტერატურაში ჩახედულ მკითხველს არ დასჭირდება იმის შეხსენება, რომ კრიზისული სიტუაციის მხატვრული წარმოსახვა სულაც არ გულისხმობს მისი წარმომსახველი ავტორის შემოქმედებით კრიზისს, არც წარმოსახვით პერსონაჟთა ზნეობრივი უუნარობა — თვით მწერლისა თუ პოეტის მხატვრულ უუნარობას. ყალბი და ნაძალადევი „ოპტიმიზმის“ საწინააღმდეგოდ, ხშირად სწორედ დისონანსი, დისჰარმონია, დეფორმაცია, კრიზისული, გაორებული მსოფლაღქმა იძლევა მძლავრ ბიძგს, რათა მაღალი ესთეტიკური ფასეულობა შეიქმნას. მხატვრული აზროვნების ისტორიაში ამის მაგალითი უთვალავია, მიქელანჯელოს გვიანდელი, ე.წ. „დაუმთავრებელი“ პიეტებიდან დოსტოევსკის დიდებული პროზის ჩათვლთ, რომ აღარაფერი ვთქვათ მთლიანად მაღალი მოდერნიზმის ლიტერატურაზე, ფრანც კაფკას, ჯეიმზ ჯოისის და სხვათა შემოქმედებაზე.

მაინცდამაინც და „სავალდებულოდ“ პრიქუში თემატიკა მოდერნიზმის პრინციპულ, განმასხვავებელ ნიშანთა რიცხვს ნამდვილად არ განეკუთვნება. ნაწარმოების ასოციაციური მრავალპლანოვნება შესაძლოა, სულ სხვა განცდით შინაარსს გამოხატავდეს (რეფლექსიურს, მედიტაციურს, ანალიტიკურს, ირონიულს, გროტესკულს, სარკასტულს და ა.შ.). თემატიკა, შესაძლოა, ირონიულად „პედაგოგიურიც“ კი იყოს (როგორც, ვთქვათ, თომას მანის „ჯადოსნურ მთაში“), მაგრამ საკუთრივ პოეტიკური თვალსაზრისით მოდერნისტული ნაწარმოები ყოველთვის მრავალნიშნადი და რთულია. „კაცის ფიტულებში“ ელიოტი უსაზღვროდ ამძაფრებს და მხატვრულად განაზოგადებს კრიზისის მოტივს. ფასეულობათა ნიველირების შედაგად წარმოქმნილ დეგრადაციას ის ამ დეგრადაციის კულმინაციურ სურათად წარმოსახავს. კრიზისული თემატიკის გახსნისას, „ფიტულებში“ მხატვრული მიზანშეწონილების ის ზღვარია მიღწეული, რომლის იოტისოდენი გადაცდენაც კი შემოქმედებით მარცხს გამოიწვევდა. აქ განმსაზღვრელ როლს ასრულებს მხატვრულ განაცხადსა და მის „გამართლებას“ შორის იმ ზუსტი შესაბამისობის მიგნება, რომელიც მოხოლოდ ავტორისეული ინტუიციით მიიღწევა. როგორც სიტყვის ჭეშმარიტ ოსტატს, ელიოტს არც აქ ღალატობს ხელოვანის ალღო და მაღალი გემოვნება. პაუნდის მიერ განსაზღვრული პოეტური სახე, მითუფრო, სახეთა ერთობლიობა, როგორც „დროის მომენტში მოცემული განცდით-ინტელექტუალური კომპლექსი“ (Pound 1935: 4). მის პოეზიაში ზედმიწევნით დახვეწილი საშუალებებით, ღრმა ასოციაციური ქვეტექსტების მოხმობით ხორციელდება.

ნაშრომში „პროტესტანტული ერა“ (1948), ქრისტიანი ეგზისტენციალისტი პაულ ტილიხი (1886-1965) საოცარი სიზუსტით ახასიათებს „კაცის ფიტულთა“ ეპოქის ზოგადევროპულ ფსიქოლოგიურ განწყობლიებებს: „დიდი ბრიტანეთიდან იტალიამდე მთელი ევროპა... წარმოადგენდა სრული კულტურული მოშლილობისა და დეგრადაციის სურათს... ეს იყო შიშის, ან უფრო — რაღაც გაურკვეველი ძრწოლვის გაბატონებული განცდა, არა მხოლოდ პოლიტიკასთან ან ეკონომიკასთან, არამედ კულტურასთან და რელიგიასთან დაკავშირებული. გამქრალი იყო დაცულობის შეგრძნება, დანგრეული იყო ყველა საფუძველი, სიახლის ასაშენებლად არ არსებობდა არავითარი საყრდენი... დაუცველობის განცდას ემატებოდა საერთო გაურკვევლობა, ხალხს აღარ შეეძლო ცხოვრება სამყაროში, სადაც ყველაფერი გაურკვეველი იყო... კულტურული დეგრადაციის მთავარი სიმპტომი იყო სრული სიმარტოვის, არსებობის უაზრობის შეგრძნება და მისგან გამოწვეული ცინიზმი. ადრეულ ეპოქათა რელიგიური სიმბოლოები, ან თითქოსდა მათი შემცვლელი ფილოსოფიური თუ პოლიტიკური

იდეები, ვეღარ გამოხატავდნენ ცხოვრების საზრისს“ (Tillich 1957: 284).

პ. ტილიხი ძირითადად, 30-იან წლებზე საუბრობს, მაგრამ ელიოტმა ეს განწყობილებები ბევრად უფრო ადრე გამოხატა, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ევროპასა და ამერიკაში ოციანი წლები ბობოქრობდა — „ჯაზის ეპოქის ზღაპრებისა“ და „ოქროს ოციანების“ ხანა. ქართველ მკითხველს საშუალება აქვს ამ ეპოქას დაწვრილებით გაეცნოს ვასილ კაჭარავს მშვენიერი წიგნით „ამერიკა, 1920-იანი წლები“ (2008). რომელიც სხარტი, ხატოვანი ენით გადმოსცემს იმ მხიარული დროის განუმეორებელ სურნელს. ახალგაზრდული მასკულტურა ევროპასა და ამერიკაში ძალიან დიდი ხნის შემდეგ, მხოლოდ 60-იან წლებში აღმოცენდება, მაგრამ მის ამ ადრეულ ანალოგსა და წინამორბედს უკვე 1929 წელს დაწყებული დიდი დეპრესია მოუღებს ბოლოს. ელიოტი ყველაფერში, მათ შორის, როგორც ჩანს, წინათგრძნობებშიც ექსკლუზივი იყო: დიდი ხელოვანისათვის ჩვეული ინტუიციით, მომავალი კრახის განწყობილებას ის უკვე „უნაყოფო მიწასა“ (1922) და „კაცის ფიტულებში“ (1925) გადმოსცემს. ამერიკიდან შემოსული მოულოდნელი თავისუფლების, სინკოპირებული რიტმებითა და ადრეული ჯაზით გატაცების, ბუტლეგერების, „ფლეპერებისა“ და განგსტერული ისტორიების, გაუთავებელი სმისა და ეპატაჟური დროსტარების მიღმა პოეტი სულ სხვა სიღრმეებს აღიქვამს, რასაც წარმოსახავს კიდეც „კაცის ფიტულებთან“ თითქმის ერთდროულად შექმნილ „სუინი აგონისტში, ანუ არისტოფანული მელოდრამის ნაწყვეტებში“, რომელიც 1932 წელს გამოქვეყნდა.

ფაქტია, რომ იმჟამინდელი მასკულტურა ვერ ჰქმნის ელიოტის 20-იანი წლების პოეზიის ინტელექტუალურ, ან თუნდაც თემატურ დომინანტას. მისი შემოქმედება ვერც თვითონ ექცევა ამ სუბკულტურის სათავეში და ვერც ისისხლხორცებს მას (ვთქვათ, ჰემინგუეის „ფიესტის“, ფ. სკოტ ფიცჯერალდის „ნაზია ღამის“, ან „დიადი გეტსბის“ მსგავსად). მიუხედავად იმისა, რომ პოეტი საოცრად ნაყოფიერი იყო 20-იან წლებში, მისი შემოქმედება „დაკარგული თაობის“ ლიტერატურას ნამდვილად არ განეკუთვნება. კაფკას, ჯოისის, მანის, ჰესეს და მაღალი მოდერნიზმის სხვა წარმომადგენლთა დარად, თავის უშუალო მხატვრულ შთაბეჭდილებებს ელიოტი სულ სხვა, რიტუალურ-მითოსური და სიმბოლური საყოველთაობის პლანში განაზოგადებს. შემდგომ, უკვე „ოთხ კვარტეტში“, მთელ ამ პერიოდს ის ორ ომს შუა „უაზროდ გაფლანგულ ოცწლეულს“ უწოდებს, რაც, წესით, ნებისმიერ თანამედროვე გემოვნებიან მკითხველში ოციანი წლების პოპულარულ-ნოსტალგიური აღქმის გადაფასებას უნდა იწვევდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ „კაცის ფიტულები“ კონკრეტული ისტორიული ეპოქის ტრაგიზმს მხოლოდ ნაწილობრივ გამოხატავს. ძირითადად, ლექსში ადამიანური ყოფიერების ურთულეს საკითხთა „განცდითი ეკვივალენტია“ შექმნილი: ელიოტი სხვა ნიშანთა სისტემით გამოხატავს იმას, რასაც ტილიხი და მისი დროის სხვა მოაზროვნეები „მშრალი“, კოჰერენტული ფორმით, კონკრეტული ისტორიული პერიოდის შესახებ წერდნენ. პოეტი მეტყველებს არა ფილოსოფიურ ანდა თეოლოგიურ ცნებათა, არამედ პოეტურ სახე-სიმბოლოთა ენით, რაც უსაზღვროდ ზრდის ლექსის ასოციაციურ სპექტრს, განაზოგადებს მის ინტელექტუალურ კონტექსტს და ღრმა ემოციურ ქვეტექსტს წარმოქმნის.

„კაცის ფიტულების“ გარდამავალი, ელიოტის ადრეული პოეზიისაგან განსხვავებული ხასიათი იმითაც გამოიხატება, რომ მასში არაორაზროვნად გაისმის თანაგრძნობის ნოტა — ადრეულ ლექსთა ირონიული ღიმილისაგან ძალზე შორს მდგარი წ უ ხ ი ლ ი იმის თაობაზე, რომ „კაქტუსის მიწის“ მკვიდრნი არიან არა „დაკარგული, მძვინვარე სულები“, არამედ „კაცის ფიტულები, ჩალით გამოტენილნი“:

Remember us – if at all – not as lost
Violent souls, but only
As the hollow men
The stuffed men.

ლექსს ორი ეპიგრაფი აქვს წამძღვარებული. პირველი მათგანი წარმოადგენს ფრაზას, რომელსაც ჯოზეფ კონრადის "წყვდიადის გულში" ერთ-ერთი ზანგი წარმოსთქვამს თეთრკანიანი კოლონისტის, ვინმე კურცის სიკვდილისას: „მისტა კურც — იგი მკვდარი". მეორე ეპიგრაფად ელიოტი ტრადიციული საბავშვო თამაშობის სიტყვებს იყენებს: „გაიღეთ პენი საბრალო გაისთვის!" გაი ფოქსის სიკვდილით დასჯის ყოველ წლისთავზე (1605 წელს ფოქსმა შეთქმულება მოაწყო ინგლისის პარლამენტის აფეთქების მიზნით) ბავშვები მის სიმბოლურ ფიტულს ქუჩა-ქუჩა დაატარებენ და ყველა შემხვედრს ეხვეწებიან, გაიღეთ პენი საბრალო გაისთვისო. ამ ხატოვანი სახალხო დღესასწაულის დროს, ყოველი წლის 5 ნოემბერს, მთელ ინგლისში დაბინდებისას ისმის ფოიერვერკის ტკაცანი, ისვრიან შუშხუნებს და მოედნებზე წვავენ გაი ფოქსის ჩალით გატენილ ფიტულებს.

ლექსის კონტექსტში ორივე ეპიგრაფი პირქუშად და აბსურდულად ჯღერს. ჯერ — ვიღაც შავკანიანი მსახურის წამოძახილი უსაშველოდ დამახინჯებულ ინგლისურზე, შემდეგ — ასეთვე უაზრო თხოვნა გაი ფოქსის სიმბოლური ფიტულის შეწყალებისა თუ მისი „დახმარების" თაობაზე, რასაც ლექსის დასაწყისშივე მოსდევს შემაძრწუნებელ, ფიტულისმაგვარ სახეთა ერთფეროვანი რიგი, მათი

Shape without form, shade without colour,
Paralysed force, gesture without motion...
[მასა — უფორმო, ჩრდილი — უფერული, ძალა — პარალიზებული, ჟესტი — უძრავი]

ფიტულები არც კი მოძრაობენ — ისინი დგანან, რაც „თივით გატენილობასთან" ერთად, მინდვრის საფრთხობელას ასოციაციას წარმოჰქმნის. გარემო, სადაც ისინი დგანან და ჩურჩულებენ, უდაბნოა — „კაქტუსის მიწა", — იქ ეს ფიტულები ჯოხებად არიან ჩარჭობილი.

Let me also wear
Such deliberate disguises
Rat's coat, crowskin, crossed staves
In a field
[მოდი ვატარებ საფრთხლო ნიღბებს: ვირთხის დაძონძილს, ყორნის კანს, ჯვარედინ ყავარჯნებს, მინდორში]

ცოცხალ ფიტულთა ბრბო მხოლოდ ფორმალურად არის ცოცხალი, არსებითად კი მკვდარია, პარალიზებულია. მკვდარი მიწაა ის მიწაც, სადაც ეს ფიტულები სახლობენ. „აქაურსა" და „იქაურ" ჯოჯოხეთს შორის ზღვარი წაშლილია — ლექსში ისინი მხოლოდ ტერმინოლოგიურად თუ განსხვავდებიან. თუმცა, როგორც ჩანს, „იქ" ყოფნა მაინც უკეთესი უნდა იყოს (იქ, „სიკვდილის სხვა საუფლოში" თითქოს იმედის ნაპერწკალიც გაიელვებს დანტეს „სამოთხიდან" ნასესხები სიმბოლოს, ათასფურცლიანი ვარდის სახით). მაგრამ საბოლოოდ, ესეც ილუზიაა, რადგან ჭეშმარიტი ყოფა იმქვეყნად კი არა, სწორედ აქ ხორციელდება, „სიკვდილის აქაურ სიზმრეულ საუფლოში", კაქტუსის მიწაზე, სადაც „აღმართულან ქვის კერპები, მიცვალებულთა ხელები რომ ეპოტინებიან":

Here the stone images
Are raised, here they receive
The supplication of a dead man's hand
Under the twinkle of a fading star.

ლექსი „გარდამავალია“ პოეტიკური თვალსაზრისითაც. „უნაყოფო მიწისაგან“ განსხვავებით, „ფიტულებში“ ელიოტის პოეტური მეტყველება შეუდარებლად უფრო სადაა. აქ ის ნაკლებად არის გადატვირთული მრავალნიშნადი ასოციაციებით და უფრო „ნაცრისყრის ოთხშაბათისათვის” დამახასიათებელ აზრის მელოდიკას ენათესავება, თუმცა განწყობილებით ამ პოემისაგან ძალზე შორს დგას. კაქტუსის მიწის აპოკალიფსურ ხილვათა ფონზე შემაძრწუნებელ ეფექტს ჰქმნის, ერთი მხრივ, საბავშვო თამაშის ტექსტისა, ხოლო მორე მხირვ — საეკლესიო ღვთისმსახურების, ლიტურგიის ტექსტის იმიტაცია („ფიტულებში“ სწორედ „ანა-ბანა-ნიცას“ მაგვარი ინგლისური ტექსტია პაროდირებული):

Here the stone images
Are raised, here they receive
The supplication of a dead man's hand
Under the twinkle of a fading star.

განათლებული ინგლისელის ყურს ჯოჯოხეთურ კაკოფონიად უნდა ჩაესმოდეს ამ ორი სტილური და აზრობრივი პაროდიის სინთეზი. მართლაც, სად „ანა-ბანა-ნიცა“ და სად „რამეთუ შენი არს სუფევა” (Thine is the Kingdom — რეფრენია ლექსის ბოლო ეპიზოდის), თუმცა პოეტი, რომელსაც ამ დროისათვის „უნაყოფო მიწის“ შექმნის ეტაპი უკვე გამოვლილი აქვს, ადვილად აერთიანებს მათ ერთგვარი რიტუალური ნიშნით და ღვთისმსახურებაც, ლექსის მთლიანობის დაურღვევლად, პაროდიულად სახეშეცვლილ საბავშვო თამაშად იქცევა იქ, სადაც ყოველგვარ „იმქვეყნიურ“ ილუზიებს მოკლებული, მშრალი და ერთფეროვანი სიკვდილი სუფევს.

ლექსი თავიდანვე იყო ჩაფიქრებული, როგორც „უნაყოფო მიწის“ ფინალის ერთ-ერთი ვარიანტი და ის გამოხატავს კიდეც არა მხოლოდ ამ პოემის, არამედ ელიოტის მთელი ადრეული პოეზიის ცენტრალური თემის, მაძიებლობის ფინალს. „კაქტუსის მიწის“ მკვიდრნი დამბლადაცემული არსებები არიან, ტირესიას („უნაყოფო მიწის“ პაროდიული პარციფალის) ტირაჟირებული და საბოლოოდ დეგრადირებული ავატარები, ძიება-დასრულებული, სტატისტებად ქცეული და არარეალიზებული „მაძიებლები“. ეს ბრბო ევროპული სულის მაძიებლობის დასასრულის სიმბოლოა: გრაალის ძიება უმწეო სლუკუნით დამთავრდა და ახლა მხოლოდ პარალიზებულ ნახევრადგვამთა ჩუმი ხრიალი გაისმის, როგორც ქარის ხმა მიმხმარ ბალახში, ან როგორც ვირთხების ფაჩუნი დამსხვრეულ მინაზე, მტვრიან სარდაფში:

Our dried voices, when
We whisper together
Are quiet and meaningless
As wind in dry grass
Or rats' feet over broken glass
In our dry cellar

საინტერესოა, თუ რას წარმოადგენს „კაცის ფიტულების“ პირწმინდად პოეტიკური ასპექტი, საიდან აისახება მასში მაძიებლობა, სად არის თვით ამ ასოციაციური მოტივის თემატური ძირი. თუ ყოველივეს „სლუკუნით დასრულება“ მართლა ფინალია და შეჯამება, უძღოდა კი წინ ამ ფინალს რაიმე, თუნდაც სიმბოლური ძიება? „უნაყოფო მიწაში“ ძიება მაგისტრალური თემაა, ყველა სხვა თემატურ ნაკადთა გამაერთიანებელი, მაგრამ „კაცის ფიტულების“ კითხვისას ძიების მოტივი, როგორც პოეტიკური სტრუქტურა, რომელზედაც რაიმე თემატური ხაზი ყოფილიყოს დაფუძნებული, პრაქტიკულად არ აღიქმება. არა მხოლოდ ზოგად-სიმბოლური, არამედ კონკრეტული სიტუაციის სტატიკაც (ის, რომ ფიტულები ლექსში ფაქტობ-

რივად, კი არ მოძრაობენ, არამედ დგანან) თითქოს გამორიცხავს ძიების მომენტს, რადგან ძიების მოტივში პროცესი, დინამიკა, საძიებლისკენ სიმბოლური გადაადგილება (ან საკუთარ თავში ძიება-ჩაღრმავება) უმნიშვნელოვანესია. გზის და შესაბამისად, ძიების მითოლოგემა, როგორც ხსნის წინაპირობა (ისე, როგორც, ვთქვათ, „მოგვთა მგზავრობაში") უშუალოდ ტექსტში აქ პრაქტიკულად არ გვხვდება. მაგრამ როგორც საერთოდ, ელიოტის პოეზიაში, აქაც სახეთა ასოცირებაა მთავარი და ამ შემთხვევაში ლექსის სწორი, სიღრმისეული აღქმისათვის უმნიშვნელოვანესია ჯოზეფ კონრადის „წყვდიადის გულიდან" ნასესხები ეპიგრაფი – „Mistah Kurz – he dead", ისევე, როგორც ლექსის სხვა კონრადისეული ასოციაციები.

კონრადის ამ უსაშველოდ გაწელილი ნოველის (მცირე რომანის?) ასოციაციური ფონი „კაცის ფიტულებში" ძირითადია. ელიოტის გაცნობიერებულ მიზანს შეადგენდა ის, რომ „კაცის ფიტულების" კითხვისას, სხვა ასოციაციებთან ერთად, მკითხველის ცნობიერებაში „წყვდიადის გული" ამოტივტივებულიყო, როგორც პარალელური ასოციაციური ტექსტი. კონრადის მინიშნებების გარდა, ამას ისიც მოწმობს, რომ იდელაში, მოდერნისტული ასოციაციური პოეტიკა მრავალგზის გადამოწმებულსა და ზედმიწევნით გათვლილ-გაანგარიშებულ მხატვრულ სტრუქტურას წარმოადგენს. როგორც თვით ელიოტი აღნიშნავდა თავის ერთ-ერთ პროგრამულ ესეიში, „როდესაც მწერალი ჰქმნის ნაწარმოებს, მისი შრომის დიდი ნაწილი კრიტიკული ხასიათისაა. ესაა გაცრა, გამოხშირვა, ჩამოყალიბება, ამოშლა, ჩასწორება, გადამოწმება და მთელი ეს საშინლად მძიმე შრომა იმდენადვეა ლიტერატურულ-კრიტიკული, რამდენადაც შემოქმედებითი ხასიათისა" (Eliot1951: 30). „კაცის ფიტულები" არ წარმოადგენს და ვერც შეიძლება წარმოადგენდეს სპონტანურ ასოციაციათა თავისუფალ ნაკადს. სწორედ ამ თვისებით გამოიხატება „ფიტულების", როგორც მოდერნისტული პოეზიის ნიმუშის, მნიშვნელოვანი თავისებურება — მისი ინტერტექსტუალობა, ანუ საკუთრივ ელიოტის ტექსტისა და მასში დამოწმებული ტექსტის (ტექსტების) ასოციაციური ურთიერთშეღწევადობა. ცხადია, „ურთიერთშეღწევადობაში" ვგულისხმობთ იმასაც, რომ ელიოტის პოეზიას ნაზიარები მკითხველი ვერასოდეს ვერ აღიქვამს კონრადის „წყვდიადის გულს" ისე, თითქოს მას მანამდე „კაცის ფიტულები" არ ჰქონდეს წაკითხული — ერთი ნაწარმოები უცილებლად შესცვლის მეორის აღქმას.

ლექსში მრავლადაა სხვა აშკარა თუ ფარული მინიშნებებიც, რომელთაგან, როგორც ეს ხშირად ხდება ელიოტის პოეზიაში, უმთავრესია დანტეს „ღვთაებრივი კომედიის" ალუზიები. მნიშვნელოვანია ბიბლიის, ფრეიზერის „ოქროს რტოს", შექსპირის „იულიუს კეისრის" მინიშნებებიც. მაგრამ საერთო პირქუში ატმოსფეროთი, „ვერშემდგარი" მაძიებლობის მოტივითა და პოეტური ენის სპეციფიკით, „კაცის ფიტულებში" ელიოტის სათქმელს ყველაზე მეტად „წყვდიადის გულის" მხატვრული სამყარო შეესაბამება.

კონრადის რომანში ვინმე ჩარლი მარლოუ, შორეული ზღავოსნობის კაპიტანი, ჰყვება აფრიკის ერთ-ერთი უდიდესი მდინარით (იგულისხმება კონგო) შავი კონტინენტის სიღრმეში, „წყვდიადის გულში" თავისი მგზავრობის ამბავს. მოგზაურობის ფორმალური მიზეზი სპილოს ძვლის მომპოვებელ კომპანიასთან კონტრაქტია, არსებითად კი მგზავრობა გადაიქცევა ვინმე კურცის, უკვე დიდი ხნის წინ ჯუნგლების გულში დამკვიდრებული ლეგენდარული თეთრკანიანის, ძიებად. კურციც სპილოს ძვლის ბიზნესშია, მაგრამ ის აფრიკული ჯუნგლების „თავის" შემოგარენს მართავს, როგორც ტომის ბელადი, ან პირველყოფილი ღვთაება, ან ამ ღვთაების განმსახიერებელი შამანი. ერთი მხრივ, კურცი შიშის ზარს სცემს ყველას, ხოლო მეორე მხრივ — როგორც ზანგებში, ისე იმავე ბიზნესში ჩართულ თეთრკანიანებში ის ლამის რელიგიურ თაყვანისცემას იწვევს. გზად მის შესახებ გაგონილის გამო, მარლოუც კურცის პიროვნების გავლენის ქვეშ ექცევა და არსებითად, მისი მგზავრობის მიზანს უკვე ბიზნესი კი აღარ წარმოადგენს, როგორც ეს დასაწყისში იყო, არამედ კურცის გაცნობა, რომელიც ახლა უკვე მასშიც დაუოკებელ ინტერესს იწვევს. საბო-

ლოოდ, მდინარეზე ურთულესი მოგზაურობის შემდეგ, მარლოუ კურცს შეხვდება, მაგრამ ფაქტობრივად, ხელში შერჩება მისი ცოცხალი გვამი — მომაკვდავი ადამიანი, რომელიც სულ მალე გარდაიცვლება (“hollow sham” (Conrad 109)). მარლოუ მასთან ხეირიან კონტაქტსაც კი ვერ ამყარებს და მისი ძიებაც, არსებითად, უშედეგოდ მთავრდება.

კონრადის ეს, როგორც მას ხშირად უწოდებენ, „პროტომოდერნისტული“ ნაწარმოები ყველაზე ნაკლებად სწორედ სიუჟეტით არის საინტერესო, რომელიც კითხვისას, მასში წარმოსახული მდინარესავით მდორედ მიედინება. „წყვდიადის გულში“ გვხვდება ისეთი პირწმინდად მოდერნისტული ხერხები, როგორიცაა პაროდიული მითოლოგიური ალუზია, მთელი თავისი მრავალნიშნადობით. მგზავრობის დასაწყისში, კონტრაქტზე ხელის მოსაწერად მოსულ მარლოუს თითქოს გზას ულოცავს ორი ღრმად მოხუცებული, შალის ძაფის მრთველი ქალბატონი, რომლებიც მითოლოგიურ ბედის ქალღმერთებს — მოირებს განასახიერებენ (ძაფი ბედია ადამიანის). მათგან ერთ-ერთის იდუმალებით აღსავსე მზერა მარლოუს ათქმევინებს: „Ave, შალის ძაფის ბებერო მრთველებო! Morituri te salutant“. ანალოგიური შეძახილით — Ave, Caesar! Morituri te salutant! — გლადიატორები მიმართავდნენ რომის იმპერატორს ბრძოლის დაწყების წინ, კოლიზეუმში გამოსვლისას. კონრადის პოეტიკის ირონიულ-ასოციაციური მრავალნიშნადობა უკვე აქაც აშკარაა, მაგრამ ალბათ ძირითადი, რის გამოც მისი ნაწარმოები მაღალი მოდერნიზმის წინამორბედად აღიქმება ისაა, რომ „წყვდიადის გულის“ გამომსახველობით საშუალებათა მთელი სისიტემა ეფუძნება ძიების მითოლოგემას, როგორც გაცნობიერებული პოეტიკის ბირთვს და ნაწარმოების ჩანაფიქრის უმნიშვნელოვენეს ნაწილს. „ძიების“ მოტივის გასაძლიერებლად თვით იმ სპილოს ძვლის მომპოვებელ კომპანიას, რომელშიც მარლოუ იწყებს სამსახურს, „ელდორადოს კვლევა-ძიების ექსპედიცია“ (Eldorado Exploring Expedition) ჰქვია. არსებითად, კონრადის კაპიტანი მარლოუ (ჰერმან მელვილის კიდევ უფრო ადრეულ კაპიტან აჰაბთან ერთად), ინგლისურენოვანი ლიტერატურის ერთ-ერთი პირველი გაცნობიერებულად „მითოლოგიზირებული“ პერსონაჟია, ერთ-ერთი პირველი პაროდიული „მაძიებელი რაინდი“ (Quester Knight).

„წყვდიადის გულის“ ყველა პერსონაჟი, ისინი, ვინც მარლოუს ამ ჯოჯოხეთში მოგზაურობისას თან ახლავს, ან იქ ჩასვლისას ხვდება — ცენტრალური სადგურის თეთრკანიანი თანამშრომლები, ზანგი მუშები და მტვირთავები, გემის მეზღვაურთა გუნდის წევრები, „არსაიდან“ გაჩენილი მომლოცველები (სრულიად გაურკვეველია, რაღაც „წმინდა ადგილების“ მოსანახულებლად მიემართებიან ისინი მარლოუსთან ერთად, თუ იმისთვის, რათა კურცს სცენ თაყვანი), — სავსებით მიზანდასახულად ფუტურო, ცარიელ, უსახურ სტატისტებად არიან წარმოსახული. არც ერთი მათგანის ხასიათი არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი, რაც, ცხადია, ავტორისეული ჩანაფიქრის ნაწილს შეადგენს და არა ნაწარმოების „სისუსტეს“. ერთადერთს, ამათგან გროტესკულად გამორჩეულს — კომპანიის „არისტოკრატ“ აგენტს, რომლის კარიერულ გეგმებს მარლოუს გამოჩენასთან ერთად ეღება ბოლო, თვით მარლოუ ზიზღნარევი ირონიით მოიხსენიებს: „მე ვაცალე ლაქლაქი ამ პაპიე-მაშესგან შეთითხნილ მეფისტოფელს და უცებ მომეჩვენა, რომ თუ მის სხეულში თითს ჩავთხრიდი, შიგ ექნებოდა სიცარიელე და ცოტაოდენი თხევადი ჭუჭყი...“ (Conrad 2005: 34). ის, რომ ელიოტის ფიტულები ხმამაღლა ვერ მეტყველებენ და მხოლოდ ჩურჩული შეუძლიათ, ასევე კონრადის ასოციაციაა: მარლოუ იხსენებს, როგორ „უჩურჩულებდა [კურცს] უდაბნო მის შესახებ ისეთ რამეებს, რაც მან თვითონ არ იცოდა... და ეს მომაჯადოვებელი ჩურჩული მასში ხმაურიან ექოს გამოსცემდა, რადგანაც ის სრულიად ცარიელი იყო (he was hollow at the core)“ (Conrad 2005: 79). კონრადის პოეტიკური სამყაროს გამოძახილია ისიც, რომ „კაცის ფიტულებში“ გამომშრალი ქარი ზუზუნებს: „წყვდიადის გულში“ ერთ-ერთი ანორექსიული ზანგი მხოლოდ იმიტომ კვდება, რომ დარაბა რჩება მიუხურავი და იქიდან ქარი უბერავს — „ისევე, როგორც კურცს, მას არა ჰქონდა საყრდენი, როგორც

ფულურო ხეს, ქარის ქროლვას მინდობილს" (Conrad 2005: 78).

კონრადის სამყარო ბუნდოვანია, რთულია, გაურკვეველია. მარლოუს მოგზაურობაც (თვით მდინარეზე გემით მგზავრობის ფაქტისა და სპილოს ძვლის ფრომალური მიზეზის გარდა) აგრეთვე ბუნდოვანებით არის მოცული. ბუნდოვანი და გაურკვეველია თვით კურცი — „ძლიერი, მბრძანებლური ხმის" პარტონი და ამავე დროს მომაკვდავი, მისი და მარლოუს შეხვედრისას უკვე თითქმის გვამად ქცეული თეთრკანიანი შამანი. მის „დემონურ ღვთაებრივობას", რომელსაც მარლოუს თქმით, „ადგილობრივ ეშმაკთა იერარქიაში ძალიან მაღალი რანგი ეკავა", ველურები ეთაყვანებიან, როგორც განსახიერებულ ბოროტებას. თითქოს პარადოქსია, მაგრამ ეს ადგილობრივი „მოლოქი" თეთრკანიანებშიც უსაზღვრო პატივისცემას და ლამის თაყვანისცემის განცდას იწვევს. კურცი როგორც მინიმუმ ბიპოლარულია: ჯუნგლების თეთრკანიანი ბოროტი ღვთაება, ის ზანგთა მშობლიური წყვდიადის გულს განაგებს, მაგრამ მას თეთრკანიანებიც ეთაყვანებიან. ამ თავის ამპლუაში ის მედიდურიც არის, მაგრამ ამავე დროს, საცოდავია, ღრმად ავადმყოფია, მომაკვდავია, „ცარიელია".

როგორც არ უნდა იყოს, თვით კონრადისათვის ამგვარი მრავალნიშნადობა, თხრობის აშკარა ბუნდოვანება და ამ გზით, მკითხველისათვის ნაწარმოებში ორიენტაციის გართულება სავსებით გაცნობიერებული ხერხი იყო, რომელსაც ის განგებ მიმართავდა. „გარკვეულობა, ჩემო კარგო, მხატვრული ნაწარმოების ხარისხისათვის საბედისწეროა, ის მას მრავალნიშნადობას აცლის, ანადგურებს ყოველგვარ ილუზიას," სწერდა კონრადი მეგობარს. „თქვენ, როგორც ჩანს, სიტყვასიტყვითი გარკვეულობის, ფაქტის გამოხატვის გწამთ. ცხადი და ნათელი დებულება მართლაც უმნიშვნელოა. მისი დანიშნულება ის არის, რომ მან მკითხველის ყურადღება შეიტყუოს და გადაიტანოს ისეთი რამეებიდან, რაც ხელოვნებაში მართლა მნიშვნელოვანია" (Conrad 2005: The Collected Letters v. 7, 457). აქედან — კონრადისეული თხრობის პარადოქსული სიმარტივე, რომელიც მის მიერ რეალურად მოთხრობილის სირთულეს არ შეესაამება და ნაწარმოების აღქმისას დამაბნეველად მოქმედებს. ეს აზრის გამოხატვის უშუალოება და ამავე დროს, რეალური სათქმელის ბუნდოვანება, შეუსაბამობა იმისა, რაც ითქმის იმასთან, რაც იგულისხმება, ანუ კონრადის მწერლური სტილი, ან უფრო ფართო გაგებით, მისი მხატვრული მეთოდი, „წყვდიადის გულს" ანათესავებს როგორც „კაცის ფიტულებთან", ისე „უნაყოფო მიწასთან", „1920 წლის ლექსებთან" და ელიოტის სხვა ადრეულ ნაწარმოებებთან. ელიოტის პოეტური სამყაროსათვის კონრადი იმითაც არის ახლობელი, რომ გროვერ სმიტის სამართლიანი შენიშვნით, „მისი ბოლომდე გაგება ხშირად მხოლოდ პირველყოფილი მემკვიდრეობის წესის, ინიციაციისა და ნაყოფიერების რიტუალების შესწავლით არის შესაძლებელი" (Smith 1966: 104).

თუმცა „კაცის ფიტულები" „უნაყოფო მიწის" დანამატს ნამდვილად არ წარმოადგენს, მისი წაკითხვა, როგორც ძიებისა და და ამ ძიების ჩაშლის ფინალური ეპიზოდისა, შესაძლებელიც არის და მართებულიც. ძიება, მოგზაურობა, ხან ზნეობრივ, რელიგიურ, ხან საერო ფასეულობათა საძიებლად წასვლა ელიოტის მთელ ადრეულ პოეზიას მსჭვალავს თვით „ჯ. ელფრდ პრუფროკის სამიჯნურო სიმღერის" ცნობილი დასაწყისიდან:

Let us go then, you and I,
When the evening is spread out against the sky
Like a patient etherised upon a table...

[***მოდი წავიდეთ*** (ხაზი ჩემია — თ.კ.) მე და შენ, სანამ საღამო გაკრულია ცაზე, როგორც ნარკოზიანი ავადმყოფი (საოპერაციო) მაგიდაზე]

„კაცის ფიტულები“ მთელი ამ მაგისტრალური თემის ფინალური ეპიზოდია. ლექსის პერსონაჟები უკვე კი აღარ „მიდიან“ სადღაც, არამედ საბოლოოდ და ძალიან საფუძვლიანად „დგანან“. საქმე ისაა, რომ ელიოტის ამ ლექსში გრაალის ვერ მოპოვება, „მეთევზე მეფის“ ვერ განკურნება და ღვთაებრივ საწყისს ვერ ზიარება სიმბოლურად, ასოციაციურად და პაროდიულად უკვე ეპიგრაფშია განცხადებული. ზანგი ბიჭის წამოძახილი, რომ „კურცი მკვდარია“, სიმბოლურ-ასოციაციურსა და პაროდიულ კონტექსტში ნიშნავს იმას, რომ მკვდარია ღმერთი, მკვდარია კელტური მითოლოგიის მეთევზე-მეფეც და რომ ძიება დასრულდა კრახით. აღარსად წასვლას აზრი არა აქვს და მითუმეტეს, აზრი აღარ აქვს ძიებას. ფიტულები — არარეალიზებულ „მაძიებელთა“ მთელი ეს უსახური ბრბო, ფაქტობრივად, იმქვეყნად ცხოვრობს, რადგან როგორც ვთქვით, ლექსში სააქაოს და საიქიოს შორის ზღვარი წაშლილია.

„ამქვეყნიური ჯოჯოხეთის“ ელიოტისეული ხილვა რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ალუზიით არის დაკავშირებული დანტეს „ღვთაებრივ კომედიასთან“, რომელიც, ცხადია, აგრეთვე „ხილვას“ წარმოადგენს. თვით კაცის ფიტულების — ცარიელი, უუნარო ადამიანების ცენტრალური სახე, სიტყვასიტყვით არის ნასესხები შექსპირის „იულიუს კეისრიდან“, სადაც ბრუტუსი „სიყვარულისგან დაცლილ“ ადამიანებზე საუბრობს, რომლებიც ადვილად ითრგუნებიან, როგორც ბებერი ჯალაგი, ფაფარს რომ დასცემს, როცა დეზი მოხვდება:

> But hollow men, like horses hot at hand,
> Make gallant show and promise of their mettle;
> But when they should endure the bloody spur,
> They fall their crests, and, like deceitful jades,
> Sink in the trial. (*Julius Caesar*, Act.4, Sc.2).

შექსპირული ნასესხობა აქ უშუალოა და სიტყვასიტყვითი. ლექსში რაიმე ღრმა, სტრუქტურული დატვირთვა მას ნაკლებად აქვს. „იულიუს კეისრის“ სხვა მინიშნებებთან ერთად, ის ნაწარმოების ერთიან შექსპირულ ასოციაციურ ფონს ჰქმნის, მაგრამ ეს ფონი მნიშვნელობით მეორადია. მის დეტალურ განხილვას ყოველი ცალკეული სტროფის დაწვრილებითი კომენტარი დასჭირდებოდა, რაც ქართველი მკითხველისათვის ნაკლებად საინერესო უნდა იყოს. ბევრად უფრო მნიშვნელოვნად გვესახება ის, რომ ძირითადი სულისკვეთებით, მთელი ლექსი ისევე, როგორც მისი ცენტრალური სახე, „წყვდიადის გულის“ გარდა, დანტეს „ჯოჯოხეთს“ და იოანეს გამოცხადებას ეფუძნება.

ელიოტის „კაცის ფიტულებს“ დანტე და ვირგილიუსი „ჯოჯოხეთის“ მესამე ქებაში, საიქიოს კარიბჭესთან ხვდებიან. აქ, „უვარსკვლავო წყვდიადში“, მათ შემოესმით აჩრდილთა „ოხვრა, გოდება და განწირული კვნესა ყველა არსებულ ენაზე“. სულთა ამ შემზარავი გმინვით დათრგუნული დანტე ეკითხება მეგზურს, ვისი ხმებია ეს, რომელი ტანჯული ბრბოსიო. და ვირგილიუსი პასუხობს:

> ... Questo misero modo
> tegnon l'anime triste di coloro
> che visser sanza 'nfamia e sanza lodo.
>
> Mischiate sono a quel cattivo coro
> de li angeli che non furon ribelli
> né fur fedeli a Dio, ma per sé fuoro.
>
> Caccianli i ciel per non esser men belli,
> né lo profondo inferno li riceve,
> ch'alcuna gloria i rei avrebber d'elli...

... Questi non hanno speranza di morte,
e la lor cieca vita è tanto bassa,
che 'nvidïosi son d'ogne altra sorte.
Fama di loro il mondo esser non lassa;
misericordia e giustizia li sdegna:[50]
non ragioniam di lor, ma guarda e passa.
(*Inferno*, Canto III, 36-42; 46-51)

[ეს უბადრუკი ხალხია, ვინც ისე იცხოვრა, რომ ვერც დიდება ნახა და ვერც სირცხვილი ამქვეყნად. მათ ახლავს უგვან ანგელოსთა დასი, რომლებიც არც აუმხედრდნენ უფალს და არც ერთგულენი დარჩნენ მისი. ეს ლაქა ზეცამ მოიშორა, მაგრამ მათ არც ქვესკნელი იღებს... სიკვდილი მათთვის მიუღწეველია, მათი სიცოცხლე კი იმდენად აუტანელი, რომ სხვას ყველაფერს ისინი მიითვლიდნენ შვებად. ქვეყნად მათ არავინ არ გაიხსენებს, მათ ზურგი შეაქცია ღვთის სამსჯავრომაც და მადლმაც. დახედე და გაიარე — არ ღირს ესენი ბჭობად].

სწორედ ეს ზნეობრივად ნეიტრალურ აჩრდილთა ბრბო, რომელთაც ცხოვრებაში არც სიკეთე, არც ბოროტება არ უქმნიათ, არის ელიოტის პოემის ცოცხლად მკვდარ პერსონაჟთა ერთობლიობა, მისი პოემის „კაცის ფიტულები". ამ გლახაკებს თვით უფლის სამსჯავრომ, მათი ბედის გადაწვეტის ნაცვლად, ზურგი აქცია და ამიტომ, მათ ზეცა არ იღებს, მაგრამ მათთვის დახშულია ჯოჯოხეთის კარიც. ისინი არც ცოცხალნი არიან, მაგრამ არც მკვდარნი, მათთვის არც საიქიო არსებობს, არც სააქაო. თანაც „იქაურ" და „აქაურ" ჯოჯოხეთს შორის ზღვარი წაშლილია.

დანტეს „ჯოჯოხეთის" მესამე ქებას ისევე, როგორც მთლიანად „ღვთაებრივ კომედიას", ელიოტის პოეზიის სწორი აღქმა-გააზრებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ სულისკვეთებათა თანხვედრასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ კონკრეტულ ალუზიასთან, ელიოტის ტექსტში დანტეს პოემის ცენტრალურ მინიშნებასთან, რომელიც კონრადის ასოციაციურ ფონთან სინთეზში, ნაწარმოების კონცეპტუალურ საფუძველს შეადგენს. მეორე მხრივ, ელიოტის პოეზიაში და კრიტიკულ წერილებში „ზნეობრივი ნეიტრალიტეტის" თემა მთელ ლიტერატურულ და ღვთისმეტყველურ ტრადიციად წარმოგვიდგება. პოეტი მასზე ყურადღებას ამახვილებს შარლ ბოდლერისადმი მიძღვნილ ესეში, სადაც ის აღნიშნავს, რომ „რადგან ადამიანები ვართ, ის, რასაც ვაკეთებთ, ან სიკეთე უნდა იყოს, ან ბოროტება და ადამიანებიც იქამდე ვართ, სანამ ან ერთს ვაკეთებთ, ან მეორეს. პარადოქსივით ჟღერს, მაგრამ უმჯობესია ბოროტება ჩავიდინოთ, ვიდრე საერთოდ არაფერი ვქნათ: ასე, ვარსებობთ მაინც" (Eliot 1951: 429).

სხვანაირად რომ ვთქვათ, ელიოტის წარმოდგენით, ზნეობრივი ნეიტრალიტეტი სრულ უზნეობაზე, თვით „ბოროტის ქმნაზე" უარესია. არც ღმერთს, არც ეშმაკს არ მინდობა, ზნეობრივი სახის საერთოდ უქონლობა არსებობაც არ არის, ის „არარსებობაა". ბოროტის მქმნელს ცხადია, ცხონება არ ეღირსება, მაგრამ სრულიად უსახურთაგან განსხვავებით, მას ჯოჯოხეთში ადგილი ნამდვილად ელოდება. ყოველ შემთხვევაში, ჯოჯოხეთის კართან მარადიული „აყუდება" მას არ უწევს, რაც თავისთავად, საბუთია იმის, რომ ეს ბოროტი გარდაცვალებამდე მაინც ცოცხალი იყო. ზნეობრივი კრიტერიუმის საერთოდ უქონლობასთან შედარებით, „ნეგატიური ზნეობის" პრიორიტეტს ელიოტი იქვე რომაელთა მიმართ პავლე მოციქულის ეპისტოლეს ციტატით იმოწმებს: „ნუთუ არ იცით, რომ ვისაც თქვენს თავს მისცემთ მონებად მორჩილებისთვის, მისი მონები ხართ, ვისაც დაემორჩილებით: ან ცოდვისა სასიკვდილოდ, ან მორჩილებისა სიმართლისათვის" (რომაელთა, 6:16). ანუ რადგან ის ცოცხლებს მიმართავს და არა „მკვდრებს", ცოდვისა და სიმართლის დილემას იქით, სხვა, ზნეობრივი „ნეიტრალიტეტის" ალტერნატივა, მოციქულს ვერც წარმოუდგენია.

„კაცის ფიტულების" ყოველი სტროფის დაწვრილებითი ანალიზი ამ ნაწარმოების მხატვრული შინაარსისაგან გაძარცვას გამოიწვევდა. „ამ ლექსის კომენტირება

უსაზღვროდ ძნელია. მისი ენა და ხატოვანება თავისი სიმატრივით განაიარაღებს მკითხველს, მაგრამ ეს სიმარტივე უსასრულოდ ქარაგმულია, ალუზიებით აღსავსეა, ბუნდოვანია“, აღნიშნავს ელიოტის ადრეული პოეზიის დაწვრილებითი კომენტარის ავტორი საუთამი (Southam1994: 202). საქმე ისაა, რომ ასოციაციური პოეტიკა ამ ასოციაციათა სინთეზს სწორედ მკითხველის ცნობიერებაში გულისხმობს: ალუზიების სიმრავლე მხოლოდ აღქმული და ცნობიერებაში სინთეზირბული სახით იძლევა განცდით-ინტელექტუალურ ეფექტს. ქაღალდზე დალაგებულ, თუნდაც ლოგიკურად სრულყოფილ „ფილოლოგიურ“ ანალიზში ის საკმაოდ მშრალსა და ემოციურად ნეიტრელურ შთაბეჭდილებას ახდენს. აქ,როგორც ნამდვილი მოზაიკით ტკბობისას, ასოციაციათა სინთეზირებისათვის დისტანციაა საჭირო, რათა ფერადი მინის ცალკეული ნატეხები შინაგან მზერას ერთიან ხატად წარმოუდგეს. დრო, წაკითხულისგან დისტანცირება და შემდეგ წაკითხულთან ხელახალი დაბრუნება ელიოტის პოეზიის აღქმის მთავარი „ინსტრუმენტებია“. ამიტომაა, რომ ყოველი ცალკეული ალუზიისა თუ რემინისცენციის გაშლა-გაშიფვრა უფრო პათანატომის მიერ გვამის გაკვეთას ემსგავსება, ვიდრე ცოცხალი პოეტური ქსოვილის ლიტერატურათმცოდნეობით კომენტარს. საბოლოოდ, მკითხველს ლექსის ნაცვლად, სწორედ ის „მასალა“ შერჩება ხელში, რომლისგანაც ლექსი მხოლოდ შემდგომ იქმნება. საერთოდ წარმოუდგენელია პოეტური ნააზრევის „მოყოლაც“ — იქ, „სადაც შესაძლებელია „მოყოლა“, იქ საწოლი აშლილი არ არის, იქ პოეზიას არა თუ არ სძინებია, თვალიც არ მოუხუჭავსო“, აღნიშნავს ოსიპ მანდელშტამი (Мандельштам 1991: 221). მაგრამ თუ მაინც, თვალსაჩინოების მიზნით, უკიდურესად გავამარტივებთ პოეტის სათქმელს, ანუ თუ ლექსს მის მთავარ ღირსებას — ასოციაციურ მეტაფორიკას ჩამოვაცილებთ და მშრალ დებულებათა სახით შევეცდებით ამ სათქმელის ჩამოყალიბებას, საბოლოოდ, რელიგიურ თვალსაზრისამდე მივალთ.

ელიოტის ბიოგრაფიასა და მის შემოქმედებას შორის პირდაპირი კავშირების ძიება მთლად სწორი გზა არ უნდა იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ გაშუალებული სახით, პოეტის რელიგიური მრწამსი უკვე მის ადრეულ ნაწარმოებებში წარმოჩინდა. ერთი მხრივ, ელიოტის პოეტიკა თამაშისებურია, ასოციაციურია და მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მეორე მხრივ, ლინდალ გორდონის ცნობით (Gordon 1998: 211), თუმცა ოფიციალურად ელიოტი ანგლიოკათოლიკედ მხოლოდ 1928 წელს მოინათლა, ის უკვე 1921 წლიდან აქტიურად ესწრებოდა ანგლიკანურ წირვებს და ფაქტობრივად, ეკლესიურ ცხოვრებას ეწეოდა. ხსნა, ცოდვათაგან განწმენდა, ღვთაებრივ საწყისთან ზიარება ცხოვრების იმ კონკრეტულ პერიოდში მისთვის ძირითადი ზნეობრივი პრობლემა იყო. შესაძლოა, სწორედ ელიოტის ღრმა რელიგიური მედიტაციებით, ან ახლადმოქცეულის ერთგვარი „რადიკალიზმით“ აიხსნება ის, რომ მისი „ფიტულები“ ზნეობრივ წარმოდგენათა ფარგლებში საერთოდ ვერ მოიაზრება, რომ მათ თვით „ნეგატიური ზნეობაც“ არ გააჩნიათ. რელიგიური ფესვებით, ეს აზრი დანტეს ჯოჯოხეთის გარდა, იოანეს გამოცხადებას უკავშირდება. დანტეს მესამე ქებაც, უნდა ვივარაუდოთ, სწორედ იოანეს გამოცხადების ერთ-ერთი ეპიზოდით არის შთაგონებული, რაც ელიოტის ლექსის ესქატოლოგიურ განწყობილებას სავსებით შეესატყვისება. იოანეს გამოცხადებაში საუბარია ლავდიკიელთა ეკლესიის „ნელ-თბილ“, უსახო მრევლზე: „ვიცნი საქმენი შენნი, რამეთუ არცა გრილი ხარ, არცა ტფილი. ჯერ-იყო, რათამცა, ანუ გრილი იყავ, ანუ ტფილი. არამედ ესრეთ ნელ-ტფილი ხარ და არცა გრილი, არცა ტფილი. მეგულების აღმოგდება შენი პირისაგან ჩემისა. ... რამეთუ შენ ხარ უბადრუკ და საწყალობელ და გლახაკ და ბრმა და შიშუელ“ (აპოკალიფსი 3:15-17).

(რაც მე არ შემიმოწმებია), მაშინ ეს პერსონაჟი ამ თვალსაზრისით **ვერ იქნებოდა განსაზღვრული**, თუმცა კონტექსტისა და იმ ფაქტის საფუძველზე, რომ ის ადამიანი იყო და თვალებიც თავის ადგილზე ჰქონდა, იგულისხმება, რომ მისი თვალები **რაღაც** ფერისა უნდა ყოფილიყო; მაგრამ რა ფერისა, ეს გაურკვეველი დარჩებოდა. ანალოგიური ვითარებაა მრავალ სხვა შემთხვევაშიც. ასახული საგნის იმ მხარეს ან იმ ადგილს, რომლის შესახებ ტექსტის საფუძველზე ზუსტად ვერ ვიტყვით, როგორ არის ეს საგანი განსაზღვრული ამ თვალსაზრისით, ვეძახი მე „განუსაზღვრელობის ადგილს“.[2] ყოველი ნივთი, ყოველი პერსონაჟი, ყოველი პროცესი და ა.შ., რომელიც ლიტერატურულ ნაწარმოებშია ასახული, უთვალავ განუსაზღვრელობის ადგილს შეიცავს. განსაკუთრებით ადამიანთა და ნივთთა ბედ-იღბალს ახლავს უამრავი განუსაზღვრელობის ადგილი. პერსონაჟის ცხოვრების მთელი პერიოდები ჩვეულებრივ ვერ პოულობს ვერავითარ ექსპლიციტურ გამოხატულებას, ასე რომ, ამ ადამიანთა ცვალებადი თვისებები განუსაზღვრელი რჩება. ტექსტში არსებული მინიშნებების საფუძველზე მხოლოდ ის ვიცით, რომ ეს პერსონაჟი ამ დროს არსებობდა, მაგრამ რას აკეთებდა იგი მაშინ და რას განიცდიდა, ამაზე ტექსტი დუმს. მაგრამ რაკიღა თითქმის ყოველთვის მნიშვნელობათა შრე, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში ლექსიკური მხარისა და გამოთქმის გამომსახველობითი ფუნქცია, ყოველივეს განსაზღვრავს, რაც ასახულ საგანთა შრეში მოიპოვება, ეს მხოლოდ ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ ჩვენ, მკითხველებმა, **არ ვიცით**, რა მოხდა დროის იმ პერიოდებში, რომლებიც ნაწარმოებში არ ასახულა, არამედ ის მოვლენები საერთოდ არ არიან განსაზღვრულნი; ისინი არც A-ს წარმოადგენენ და არც არა A-ს.

განუსაზღვრელობის ადგილთა არსებობა არ არის შემთხვევითი, იგი კომპოზიციური ნაკლის შედეგი როდია. ის ყოველი ლიტერატურული ნაწარმოებისთვის აუცილებელია. საქმე ის გახლავთ, რომ შეუძლებელია სიტყვების ან ფრაზების **სასრული** რაოდენობით ნაწარმოებში ასახულ ინდივიდუალურ საგანთა განსაზღვრულობების **უსასრულო** მრავალფეროვნება ერთმნიშვნელოვნად და ამომწურავად გამოიხატოს; გარკვეულ განსაზღვრულობათა ნაკლებობა მუდამ იქნება. ამის საწინააღმდეგოდ შეიძლება თქვან, რომ **ერთი** სიტყვის ან წინადადების საშუალებით შესაძლებელია თვისებათა ან ფაქტთა მთელი მრავალფეროვნება მიზანმიმართულად განისაზღვროს. მაშასადამე, არ არის სავალდებულო, მათი რაოდენობა სიტყვათა ან წინადადებათა რაოდენობის ტოლი იყოს. მეორეც, არ არის საჭირო ყველაფერი **პირდაპირ** განისაზღვროს, ბევრი რამ **გაშუალებულად** გამომდინარეობს ტექსტში მოცემული მნიშვნელობის მქონე განსაზღვრებებიდან. თანაც, პირველ შემთხვევაში, თუმცა მრავალფეროვნება თავის ინდივიდუალობაშია მოცემული, მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით ამ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ ყველა ცალკეულ ელემენტზე (განსაზღვრულობანი, თვისებები, მდგომარეობები და ა. შ.), ასე რომ, სულ ცოტა, ამ ელემენტთა ინდივიდუალური დეტალები განუსაზღვრელი რჩება. ხოლო, რაც შეეხება იმას, რაც ტექსტის მოცემულობათაგან გამომდინარეობს, ამ გზით ყველა ის თვისება ვერ განისაზღვრება, რომლებიც საგნის მუდმივ და აუცილებელ განსაზღვრულობათა გვერდით არააუცილებელნი და ამდენად ცვალებადნი არიან. აქედან, მაგალითად, გამომდინარეობს, რომ იულიუს კეისარს, რაკი იგი ადამიანი იყო, სხეულის ყველა „ნორმალური“ ნაწილი ექნებოდა; მაგრამ მისი ამ ადამიანურობიდან არ ჩანს, რამხელა ფეხები ან როგორი ჟღერადობის ხმა ჰქონდა. თუკი ეს ტექსტში საგანგებოდ არ არის აღნიშნული და თუ არც სხვა ისეთი ფაქტებია მოცემული, საიდანაც ამის მიხვედრა შეიძლება, მაშინ კეისრის სხეულის ზემოთ დასახელებული ნიშნები (ვთქვათ, **შექსპირის** დრამაში) განსაზღვრული **არ იქნება** და ამის შედეგად ამ დრამის შრეში საერთოდ **არ იქნება წარმოდგენილი.** არსებობს განსაკუთრებული საფუძველი საიმისოდ, რომ მცდელობა, ასახული საგნობრიობის **რაც შეიძლება მეტი** დეტალი წარმოაჩინო, არ გახლავთ სასურველი. გამოსახატავ პიროვნებათა მხოლოდ **ზოგიერთი** თვისება თუ მდგომარეობა არის მნიშვნელოვანი და სასარგებლო მხატვრულ-კომპოზიციური თვალსაზრისით, მაშინ, როცა სხვები უმჯობესია განუსაზღვრელი

დარჩეს ან მხოლოდ ზოგადი შტრიხებით იყოს მინიშნებული. მათი მიახლოებით ამოცნობა შესაძლებელია, ისინი განზრახ არიან დატოვებული ბნელში, რათა ხელის შემშლელად არ მოგვევლინონ, და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მომენტები უფრო მკვეთრად გამოიკვეთოს. განუსაზღვრელობის ადგილთა არჩევანი ნაწარმოებიდან ნაწარმოებამდე იცვლება და შესაძლოა ქმნიდეს როგორც ამა თუ იმ ნაწარმოების, ასევე ლიტერატურული და საერთოდ მხატვრული სტილის დამახასიათებელ შტრიხს. ეგრეთ წოდებული ლიტერატურული ჟანრებიც შესაძლოა ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. მაგალითად, ლირიკული ლექსების ძირითად სახეობათა ანალიზმა, ჩატარებულმა ლვოლვში, ჩემს კონსერვატორიაში, 1934-35 წლებში, წარმოაჩინა, რომ განუსაზღვრელობის ადგილებს მათში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. და რაც უფრო „წმინდად“ ლირიკულია ესა თუ ის ლექსი, უფრო ნაკლებად არის მასში — უხეშად რომ ვთქვათ — რეალურად განსაზღვრული ის, რაც ტექსტში პოზიტიურადაა თქმული; უმეტესობა უთქმელი რჩება.[3]

ლიტერატურული ნაწარმოების საგნობრივ შრეში განუსაზღვრელობის ადგილთა არსებობა უწინარეს ყოვლისა ორი სხვადასხვაგვარი წაკითხვის შესაძლებლობას იძლევა: ზოგჯერ მკითხველი ცდილობს ყველა არსებული განუსაზღვრელობის ადგილი განუსაზღვრელადვე დატოვოს, რათა ნაწარმოები მისთვის დამახასიათებელ სტრუქტურაში აღიქვას. ჩვეულებრივ კი ლიტერატურულ ნაწარმოებს სულ სხვაგვარად ვკითხულობთ: ჩვენ არ ვცნობთ განუსაზღვრელობის ადგილთა განუსაზღვრელობას და მრავალ მათგანს უნებურად განსაზღვრებულობით ვავსებთ, რის უფლებასაც ტექსტი არ გვაძლევს. ამგვარად ჩვენ კითხვისას სხვადასხვა პუნქტში ტექსტს მილმა გავდივართ, ისე, რომ ამ მოვლენას მკაფიოდ ვერ ვაცნობიერებთ. ამას ჩვენ ნაწილობრივ — თუ შეიძლება ასე ითქვას — ტექსტის სუგესტიური ზემოქმედების ზეგავლენით ვიქმთ, ნაწილობრივ კი ბუნებრივი მიდრეკილების ზეგავლენითაც, რადგან მიჩვეულნი ვართ, ინდივიდუალური საგნები და პიროვნებები წვრილმანი განსხვავებულობის მომენტთა წყალობით ყოველმხრივ განსაზღვრულად ჩავთვალოთ. ამის მიზეზი ისიც არის, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებში წარმოსახული საგნები საზოგადოდ რეალურობისთვის დამახასიათებელი ნიშნების მატარებელნი არიან, ასე რომ, ბუნებრივი გვეჩვენება, თუკი ისინი ნამდვილი, რეალური, ინდივიდუალური საგნებივით ყოველმხრივ და ერთმნიშვნელოვნად იქნებიან განსაზღვრულნი წვრილმანი თავისებურებების მეშვეობით. მეორე მხრივ, ამავე მიმართულებით მოქმედებს ტენდენცია, ლიტერატურული ქმნილება **ესთეტიკური** თვალსაზრისით აღვიქვათ. თუმცაღა ვერ ვიტყვით, რომ ყოველგვარ ესთეტიკურ მიმართებაში ბატონობს ანდა უნდა ბატონობდეს კონკრეტულ, ყოველმხრივ განსაზღვრულ საგნობრიობებთან უშუალო ურთიერთობის დამყარების ტენდენცია. ვინაიდან აბსტრაქტულიც, როგორც ასეთი, და — როგორც ბოლო დროს შენიშნულ იქნა[4] — „დაუსრულებელიც“ შესაძლოა იყოს ესთეტიკური გამოცდილებისა და ესთეტიკური შეფასების ობიექტი. მაგრამ მრავალი ისეთი ნაწარმოებიც არსებობს, რომელიც მკითხველს საშუალებას აძლევს ასახული სინამდვილე რაც შეიძლება სრულყოფილი სახით აღიქვას და ამით რამდენიმე განუსაზღვრელობის ადგილი მაინც შეავსოს. ასეთ დროს მკითხველი რამდენადმე „სტრიქონებს შორის“ კითხულობს, და ძალაუნებურად ავსებს წინადადებების და მათში გამოყენებული სახელების — თუ შეიძლება ასე ითქვას — „ზეგამოხატულებითი“ გაგებით ასახული საგნობრიობის ზოგიერთ მხარეს, რომელიც თვით ტექსტის მიერ განსაზღვრული არ არის. ამ შემავსებელ განსაზღვრას ვუწოდებ მე ასახულ საგანთა „კონკრეტიზებას“. ამ დროს იჩენს თავს მკითხველის საკუთარი, თანაშემოქმედებითი მოღვაწეობა: საკუთარი ინიციატივით და წარმოსახვის უნარის მეშვეობით „ავსებს“ ის განუსაზღვრელობის სხვადასხვა ადგილს მომენტებით, რომლებიც, ასე ვთქვათ, მრავალ შესაძლო ან დასაშვებ მომენტთაგან შეირჩევა, თუმცა უკანასკნელი — როგორც შემდეგ გამოჩნდება — აუცილებელი არ არის. ჩვეულებრივ ეს „შერჩევა“ მკითხველის მიერ გაუცნობიერებლად და წინასწარ შემუშავებული განზრახვის გარეშე ხდება. ის (მკითხველი) უბრალოდ ნებაზე მიუშვებს ფანტაზიას და

სათანადო საგნებს ახალი მომენტების მთელი წყებით ავსებს ისე, რომ ისინი სრულად განსაზღვრულნი ჩანან. მართალია, სინამდვილეში ისინი კვლავ მრავალ განუსაზღვრელობის ადგილს შეიცავენ, მაგრამ ის, რაც განსაზღვრულია, თითქოს პირით მკითხველისკენ არის მობრუნებული და ფარავს განსაზღვრაში არსებულ ხარვეზებს. როგორ ხდება ეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, დამოკიდებულია როგორც თვით ნაწარმოების თავისებურებებზე, ასევე მკითხველზე, მის მდგომარეობაზე ან განწყობაზე, რომელიც მას იმჟამად აქვს. ამიტომაც ერთი და იმავე ნაწარმოების კონკრეტიზაციებს შორის შესაძლოა მნიშვნელოვანი განსხვავებანი არსებობდეს მაშინაც კი, როცა მათ ერთი და იგივე მკითხველი ახორციელებს სხვადასხვა წაკითხვისას. ამ გარემოებას თან სდევს ლიტერატურული ნაწარმოების არასწორი გაგების და მისი უმართებულო ესთეტიკური აღქმის განსაკუთრებული საფრთხე. ასე რომ, ამას საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ობიექტურობაზე ან ლიტერატურული ნაწარმოების შემეცნების ნამდვილობაზე დაკვირვებისას. ამ უკანასკნელ საკითხებს ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით, როცა **სამეცნიერო თხზულების** შემეცნების პრობლემას წამოვჭრით, და იმ საკითხს განვიხილავთ, რანაირად ხდება ამა თუ იმ (ლიტერატურული) ესთეტიკური საგნის ჭეშმარიტი **შემეცნება**.

ჯერ კი გასაანალიზებელი გვაქვს ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახულ საგანთა კონკრეტიზაციის როლი ლიტერატურული ქმნილების ესთეტიკური აღქმის პროცესში, ანუ ის როლი, რომელსაც ეს კონკრეტიზაცია თამაშობს ნაწარმოების მოკრძალებული, არაესთეტიკური (außerästhetische) (ან „წინარეესთეტიკური“) აღქმიდან მის ესთეტიკურ აღქმაზე გადასვლისას.

1. იმ შემთხვევების გარდა, როცა ლიტერატურული ქმნილება თავისი ტექსტუალური აგებულების გამო მკითხველისაგან გარკვეულ **თავშეკავებას** მოითხოვს განუსაზღვრელობის ადგილთა შევსებისას, ნაწარმოების სათანადო ესთეტიკური აღქმა განპირობებულია ნაწარმოებში ასახულ საგანთა შესაბამისი კონკრეტიზაციით.

2. განუსაზღვრელობის **ყოველი** ადგილი ნაწარმოების მნიშვნელობათა შრესთან **თანხმობით** შესაძლოა სხვადასხვანაირად იქნეს შევსებული. თუ, მაგალითად, შექსპირის „ჰამლეტში“ არ არის ნათქვამი, როგორი აგებულებისა იყო ჰამლეტი, დანიის პრინცი, ან როგორი ტემბრის ხმა ჰქონდა, ან რა პოზა ჰქონდა მიღებული, როცა იორიკის თავის ქალას ესაუბრებოდა, მაშინ მკითხველს (ან მსახიობს თეატრში — რაც, სხვათა შორის, დამატებით პრობლემებს წარმოშობს) შეუძლია ყველა ამ შემთხვევაში ჰამლეტის სახის ასეთი თუ ისეთი კონკრეტიზაცია მოახდინოს, შეუძლია წარმოიდგინოს იგი „კეთილაღნაგ“ ან, პირიქით, ცოტა ჩასუქებულ ტიპად. ნაწარმოების ტექსტთან ამა თუ იმ კონკრეტიზაციის **თანხვედრის** თვალსაზრისით ორივე მათგანი არამარტო შესაძლებელია, არამედ ორივე თანაბრად დასაშვებია, თუკი განუსაზღვრელობის ადგილის შევსება ნაწარმოების ჟანრის ფარგლებს არ სცილდება. მაგრამ დასაკონკრეტებელი ნაწარმოების ესთეტიკური **ღირებულების** თვალსაზრისით ყველა ეს „დასაშვები“ კონკრეტიზაცია თანაბრად მისაღები როდია. ეს შესაძლოა დახატული პერსონაჟის წმინდა გარეგნულ, სხეულებრივ მონაცემებთან მიმართებით გარკვეულ ფარგლებში საკმაოდ უმნიშვნელო რამ იყოს. მაგრამ განუსაზღვრელობის მრავალი ადგილი, ვთქვათ, ადამიანის ხასიათთან, მის მგრძნობელობასთან, მისი აზროვნების სიღრმესთან და მის ემოციურობასთან დაკავშირებული, არ შეიძლება ნებისმიერად შეივსოს, ვინაიდან ასეთ შევსებებს დიდი მნიშვნელობა აქვს დახატული პერსონაჟისთვის. ზოგიერთმა შევსებამ შეიძლება ნაწარმოები გააღარიბოს და გააბანალუროს, მაშინ, როცა სხვაგვარმა შევსებამ შეიძლება ის გააღრმაოს და ბევრად უფრო ორიგინალური გახადოს — რაც ხშირად ხდება თეატრში ამა თუ იმ დრამატული ნაწარმოების წარმოდგენისას. შემსრულებელი თავისი ქცევის მანერით განსახიერებული პერსონაჟის იმგვარ კონკრეტიზაციას ახდენს, რომ იგი ბევრად უფრო საინტერესო და ღრმა გამოდის, ვიდრე ამას ტექსტი გვაფიქრებინებდა. თუმცა ეს — როგორც ხშირად ამბობენ — „ინტერპრეტაცია“ მთლიანად ტექსტის მიერ დაშვებულ

ფარგლებში ხორციელდება, მაინც ამის შედეგად (კონკრეტიზებული) ხელოვნების ქმნილების ღირებულება არსებითად მოდიფიცირებულია. ამიტომ სხვადასხვაგვარი კონკრეტიზაცია არ შეიძლება თანაბარი ღირებულებისა იყოს, მეტადრე, რაკი განუსაზღვრელობის გარკვეულ ადგილთა სხვაგვარმა შევსებამ ასახული სინამდვილის შრეში შესაძლოა ახალი ესთეტიკურად ძვირფასი თვისებები შეიტანოს.

3. საგნობრივი შრის სხვადასხვა კონკრეტიზაციებს უცილობლად **მთელი** ნაწარმოების სხვადასხვა კონკრეტიზაციებამდე მივყავართ. საგნობრივ შრეში შეტანილი ესთეტიკურად ძვირფასი თვისებები ნაწარმოების სხვა შრეთა ესთეტიკურად მნიშვნელოვან თვისებებს შორის ახალ ურთიერთკავშირებს გამოიწვევს (თანხმიერს ან შესაძლოა წინააღმდეგობრივსაც). ნაწარმოების საბოლოო ესთეტიკურად ძვირფასი აკორდი ამის შედეგად შესაძლოა არსებით მოდიფიკაციას დაექვემდებაროს, რაც ზოგ შემთხვევაში მომგებიანი იქნება მთლიანი ნაწარმოებისთვის, ზოგჯერ კი წამგებიანი.

4. კონკრეტიზაციის ყაიდა იმასაც გვიჩვენებს, ნაწარმოების ესა თუ ის კონკრეტიზაცია ავტორის განზრახულობათა „სულისკვეთების“ გათვალისწინებით ხდება, უახლოვდება მას თუ პირიქით — შორდება. კონკრეტიზებული ნაწარმოები ან იმ **სტილის** შესატყვისი და მონათესავეა, რა სტილშიც ნაწარმოებია შესრულებული, ანუ ნაწარმოების რეალური სტილის შესატყვისია, ანდა კონკრეტიზაციის მანერის გამოისობით კარგავს ამ სტილს. ერთი და იმავე ნაწარმოების „სტილურად ახლომდგომი“ კონკრეტიზაციებიც შესაძლოა ერთმანეთისგან განსხვავდებოდნენ და, ან დაახლოებით ერთი ღირებულებისანი იყვნენ, ანდა ამ თვალსაზრისით სხვადასხვაობდნენ. არც კონკრეტიზაციის სისწორის და ერთგულების და არც ესთეტიკური ღირებულების თვალსაზრისით არ არის უმნიშვნელო ის ამბავი, როგორ წარიმართა რეალურად ნაწარმოების კონკრეტიზაცია. და ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება კითხვები ლიტერატურული ნაწარმოების ადეკვატური ესთეტიკური **აღქმის** და აგრეთვე — ამის შემდგომად — მისი მართებული **შეფასების** თაობაზე. ამ შეკითხვებს, ჩვეულებრივ, ისე განიხილავენ, თითქოს ნაწარმოებში არანაირი განუსაზღვრელობის ადგილები არ არსებობდეს და თითქოს არავითარი კონკრეტიზაცია არ ხდებოდეს. ამ კითხვებს საერთოდ მცდარად სვამენ და, შესაბამისად, არც მათზე გაცემული პასუხები შეიძლება იყოს სწორი. მხოლოდ ნაწარმოების კონკრეტიზაციის გათვალისწინება იძლევა ამ პრობლემებისადმი მართებული მიდგომის შესაძლებლობას. მეორე მხრივ, წამოიჭრება სრულიად განსხვავებული პრობლემები ნაწარმოების კონკრეტიზაციის ყაიდის იმ კულტურული ეპოქის ატმოსფეროზე დამოკიდებულებასთან დაკავშირებით, რომელ ეპოქაშიც ხდება ეს კონკრეტიზაცია, აგრეთვე ამ დამოკიდებულების საზღვრებთან დაკავშირებითაც. აქედან ფართო პერსპექტივები იხსნება სხვადასხვა ეპოქებში ერთი და იმავე ლიტერატურული ქმნილების ე. წ. „სიცოცხლის“, როგორც ისტორიული პროცესის, პრობლემებთან მიმართებით, პროცესისა, რომელშიც ნაწარმოების არსებობის განუწყვეტლობა და იდენტურობა ყოველგვარი ცვალებადობის მიუხედავად შენარჩუნებულებულია.

წარმოდგენათა აქტუალიზება და კონკრეტიზება

ლიტერატურულ ნაწარმოებში ასახულ საგანთა ობიექტივაცია და კონკრეტიზება ხელიხელჩაკიდებული დაიარება მინიმუმ ზოგიერთ სქემატიზებულ **წარმოდგენათა** აქტუალიზებასა და კონკრეტიზებასთან ერთად. ამით ჩვენ გადავდივართ მკითხველთან მიმართებით ლიტერატურული ნაწარმოების უკანასკნელი, ჯერ კიდევ განსახილავი, შრის დაფუძნების განხილვაზე.[5]

„წარმოდგენათა“ შრე ლიტერატურულ ქმნილებაში ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მეტადრე, როცა საქმე ეხება მისი ესთეტიკური ღირებულების დაფუძნებას მისივე კონკრეტიზაციისას. ამიტომაც ყაიდას, რომლითაც კითხვისას წარმოდგენათა აქტუალიზება და კონკრეტიზება ხდება, დიდი მნიშვნელობა აქვს

ლიტერატურული ქმნილების ესთეტიკური აღქმისათვის. ამასთან, წარმოდგენები ნაწარმოების იმ ელემენტს შეადგენენ, რომელიც კონკრეტიზაციისას ბევრად უფრო მეტად არის დამოკიდებული მკითხველსა და ნაწარმოების კითხვის ყაიდაზე, ვიდრე მისი სხვა ელემენტები. თვით ნაწარმოებში წარმოდგენები მხოლოდ **პოტენციური მზადყოფნის** მდგომარეობაში არიან, ისინი ნაწარმოებში მხოლოდ „გამზადებული აწყვია“. წმინდა თეორიულად ისინი, ცხადია, შინაარსების მეოხებით წარმოსახულ საგნებთან არიან გაერთიანებული. მაგრამ მათი აქტუალიზების პროცესში შინაარსების, ანუ მათში წარმოსახული საგნის თვისებათა, წილი შედარებით ნაკლებია, ჩვეულებრივ მკითხველისთვის მათი თავს მოხვევა გარკვეულწილად სხვა, ნაწარმოების შინაარსისგან დამოუკიდებელი ფაქტორების, კერძოდ, ენობრივი (sprachlautliche) შრის თავისებურებათა წყალობით ხდება. ყოველივე ის, რაც რომელიმე გარკვეული საგნის აღმქმელი სუბიექტის მიერ **განიცდება**, საიმისოდ, რომ აქტუალური კონკრეტული აღქმის საგნად იქცეს, მოითხოვს, სუბიექტმა კონკრეტული აღქმა განახორციელოს ან მინიმუმ ცოცხლად წარმოიდგინოს წაკითხული. ისინი (წარმოდგენები) გარკვეული, ახლად აღქმული საგნის წარმოჩენის მათთვის დამახასიათებელ ფუნქციას მხოლოდ მას შემდეგ ასრულებენ, რაც წარმოდგენების განცდა კონკრეტული ხდება. ჩვენს პრობლემურ სიტუაციასთან მიმართებით ეს ნიშნავს: ნაწარმოების კითხვის პროცესში წარმოდგენები მკითხველისთვის აქტუალური რომ გახდეს და ამ გზით წაკითხული ნაწარმოების შემადგენელ ნაწილად იქცეს, ამისათვის მან (მკითხველმა) აღქმის ანალოგიური ფუნქცია უნდა განახორციელოს, ვინაიდან ნაწარმოებში შინაარსის მეშვეობით ასახული საგნები სულაც არ არიან ეფექტურად აღქმადნი. სწორედ ეს პრიმიტიული ფაქტი მოგვიწოდებს, რომ წმინდა ლიტერატურულად წარმოსახული [შინაარსი] სხვა, არალიტერატურული გზით — სცენაზე ან ფილმში — მინიმუმ კვაზი-აღქმადი უნდა გახდეს. თუ ეს საგნები არამარტო წმინდა აზრობრივად, სიგნატიურად არიან ნაგულისხმები, არამედ რამენაირად წარმოჩენილ უნდა იქნენ, ეს შესაძლოა მხოლოდ კითხვისას ცოცხალი წარმოდგენის მეოხებით განხორციელდეს. და ეს სხვას არაფერს ნიშნავს, გარდა იმისა, რომ მკითხველი წარმოსახვის ცოცხალ მასალაში სახეობრივ წარმოდგენებს პროდუქტიულად განიცდის და ამის შედეგად ასახულ საგნებს თვალნათლივ აღსაქმელ, წარმოსასახავ მოვლენებად აქცევს. რაკი მკითხველი ნაწარმოების ყველა შრის ადეკვატურ რეკონსტრუქციასა და მის [ნაწარმოების] შემეცნებას ესწრაფის, იგი ცდილობს, მზად იყოს იმ სუგესტიის (შთაგონების) მისაღებად, რასაც მას ნაწარმოები სთავაზობს, და სწორედ ის წარმოდგენები აითვისოს, რომლებიც თხზულებაში „გამზადებული აწყვია“. როცა იგი ფანტაზიით წარმოსახულ, თვალნათლივ მასალაში ამ აქტუალიზებულ შეხედულებებს ითვისებს, შესაბამის ასახულ საგანს თვალსაჩინო, დამახასიათებელი თვისებების „ტანსაცმლით“ მოსავს; ის ამ საგანს რამდენადმე „ფანტაზიაში“ ხედავს, ისე, რომ ეს საგანი მას თითქმის საკუთარი სხეულებრივი სახით წარმოუდგება [თვალწინ]. ამ გზით იწყებს მკითხველი საგნებთან კვაზი-უშუალო ურთიერთობას. ეს **მხოლოდ განცდილი** (ანუ არასაგნობრივად ნაგულისხმები!) შეხედულებები თავის როლს ასრულებენ კითხვის პროცესში და ხშირად მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ნაწარმოების ესთეტიკურ აღქმასა და იმ საბოლოო სახის ფორმირებაზე, რომელსაც ნაწარმოები ღებულობს კონკრეტიზაციის შედეგად. თუ მკითხველი ეცდება — და პრინციპში უნდა ეცადოს კიდეც! — კონკრეტიზაციის მეშვეობით ნაწარმოების საკუთარი სახის რეკონსტრუქცია მოახდინოს და დაინახოს ის, მაშინ იგი წარმოდგენების აქტუალიზებისას თვითნებურად არ უნდა მოიქცეს. რადგანაც ლიტერატურულ მხატვრულ ნაწარმოებში გარკვეული საგნები და ადამიანები არა მხოლოდ ენობრივი საშუალებებით არიან ინტენციონალურად (მიზანმიმართულად) მოხაზულნი, არამედ ისინი მკითხველს შესაბამისად შერჩეული წარმოდგენების შუქზე უნდა **წარუდგნენ**. ხოლო მკითხველის ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ ნაწარმოებიდან მომდინარე სუგესტიას (შთაგონებას) და დირექტივებს დაემორჩილოს და მთლად ნებისმიერი კი

არა, არამედ ნაწარმოების მიერ შთაგონებული წარმოდგენების აქტუალიზება მოახდინოს. თუმცა იგი (მკითხველი) ამ დროს არასოდეს არ არის მთლიანად მიჯაჭვული ნაწარმოებს. მაგრამ თუ სავსებით გაითავისუფლებს თავს [ნაწარმოებისგან], თუ არაფრად ჩააგდებს იმას, რა წარმოდგენების შუქზე უნდა იქნეს დანახული ნაწარმოებში დახატული სამყარო — მაშინ მისი აცდენა ნაწარმოების გაგებისკენ მიმავალი გზიდან თითქმის გარდუვალია, და ადეკვატურ გაგებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. და თუნდაც ამ დროს შემთხვევით ნაწარმოების კონკრეტიზაციამ ესთეტიკურად რელევანტური თვისებები შეიძინოს და ამით მისი ესთეტიკური ღირებულება ამაღლდეს კიდეც, მაინც ნაწარმოები ვერ იქნება სწორად დანახული და ზოგჯერ საშინლადაც გაყალბდება.

მაგრამ მნიშვნელოვანია არამარტო ის, ამა თუ იმ საგანთან დაკავშირებული **რომელი** წარმოდგენების აქტუალიზება მოხდება, არამედ ისიც, თუ როგორ მოხდება მათი კონკრეტიზაცია. თვით ნაწარმოებში მარტოოდენ სქემატიზებული წარმოდგენები მოიპოვება, გარკვეული სქემები, რომლებიც აღქმის სხვადასხვა სახეცვლილებისას შენარჩუნებულნი არიან როგორც მუდმივი სტრუქტურები. როგორც კი მკითხველის მიერ მათი აქტუალიზება განხორციელდება, თავისთავად მოხდება ამა თუ იმ გზით მათი კონკრეტიზებაც. ისინი კონკრეტული მონაცემებით შეივსებიან, სრულიყოფიან, ხოლო რა გზით განხორციელდება ეს, მნიშვნელოვანწილად მკითხველზეა დამოკიდებული. ის ავსებს წარმოდგენათა იმ ზოგად სქემებს დეტალებით, რომლებიც შეესაბამებიან მის ალღოს, მისი აღქმისთვის დამახასიათებელ ჩვევებს, მის მიდრეკილებას ამა თუ იმ ღირებულებისა და ღირებულებრივი ურთიერთდამოკიდებულებისადმი, რაც სხვადასხვა მკითხველთან სხვადასხვა იქნება ან სხვადასხვა შეიძლება იყოს. ამ დროს ის (მკითხველი) ხშირად თავის ადრინდელ გამოცდილებას ეყრდნობა და [ნაწარმოებში] წარმოსახულ სამყაროს იმ მსოფლგანცდის ჭრილში წარმოიდგენს, რომელიც მან ცხოვრებაში შეიმუშავა. თუ ის თხზულებაში ისეთ საგანს წააწყდება, რომელიც მას ცხოვრებაში არ უხილავს და არ იცის როგორ „გამოიყურება“ ის, იგი შეეცდება ეს საგანი ფანტაზიით თავისებურად „წარმოსახოს“. ზოგჯერ ნაწარმოები იმდენად შთამაგონებელია, რომ მისი ზეგავლენით მკითხველი ახერხებს წარმოდგენათა მიახლოებით რეკონსტრუირებას. ზოგჯერ კი ის უნებლიეთ გამოგონილ, ფიქტიურ წარმოდგენებს ქმნის, რომლებიც ნაწარმოებიდან ნაკლებად გამომდინარეობენ და უფრო მისი საკუთარი ფანტაზიის ნაყოფნი არიან. ზოგჯერ კი იგი ამ თვალსაზრისით სულ ვერაფერს ახერხებს და საერთოდ უძლურია რამენაირი წარმოდგენა შეიმუშაოს. იგი — მისი სიტყვით — ვერ „ხედავს“ ასახულ საგანს, ის მისთვის მხოლოდ წმინდა ნიშანს წარმოადგენს და ამის შედეგად კარგავს [ნაწარმოებში] ასახულ სამყაროსთან კვაზი-უშუალო კონტაქტს. მიუხედავად ამისა მისი გაგება შესაძლოა ადეკვატური იყოს იმ აზრით, რომ იგი საგნებს კითხვისას იმ და მხოლოდ იმ თვისებებს მიაწერს, რომლებიც შესაძლოა წმინდა ენობრივად განისაზღვრონ და რომლებიც ტექსტშია მოცემული. იქ, სადაც რეკონსტრუირებული და აქტუალიზებული წარმოდგენები განსაზღვრების წმინდა ენობრივი მანერის დასახმარებლად უნდა მოვიხმოთ, რათა საგნები მკითხველის მიერ სწორად იქნეს აღქმული, წარმოდგენათა რეკონსტრუქციისა და აქტუალიზების უნარს მოკლებული მკითხველი ვერც იმას შეძლებს, სათანადო საგნები მათ ერთიანობაში აღიქვას და ნაწარმოები მთლიანად და სიღრმისეულად გაიგოს. წარმოდგენათა აქტუალიზება და კონკრეტიზება ხშირად ლიტერატურული მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური აღქმის შედარებით ყველაზე ცუდად განვითარებული კომპონენტია, და სწორედ ამის შედეგია შედარებით დიდი გადახვევები ნაწარმოების შინაარსისაგან.

საილუსტრაციოდ ავიღოთ ერთი ადგილი სტეფან **ჟერომსკის*** რომანიდან; ამ ეპიზოდში მოქმედება პარიზში მიმდინარეობს, რაც ამ ფრაზებში გარკვევით არ არის ნათქვამი, მაგრამ ეს ადრინდელი პასაჟებიდან გამომდინარეობს:

* სტეფან ჟერომსკი (1864-1925) — პოლონელი მწერალი (მთარგმ.).

„იგი ქუჩებში დახეტიალობდა, მაგრამ ბულვარს ვერ პოულობდა. გამვლელს დაეკითხა; მან გაიცინა და აჩვენა ბულვარი, რომელიც მხოლოდ ორიოდე ნაბიჯზე იყო იქიდან. ფეხებმა იგი თავისით წაიყვანეს იქით. ათასფერად აბრჭყვიალებული შუქრეკლამები, ყვითელი, მუქი წითელი, მწვანე, ლურჯი და იისფერი მოელვარე ნიშნები, წრეები და ასოები შუშის ნამსხვრევებივით უსერავდა თვალებს. საკუთარი თავისთვის ანგარიშმიუცემლად, მექანიკურად შევიდა კუთხეში მდებარე კაფეში და ერთი ჭიქა კონიაკი მოითხოვა“.

რაკი ჩვენი მკითხველი ამ რომანს ალბათ არ იცნობს და ამიტომაც არ იცის, რა შემთხვევები უძღოდა წინ ამ სცენას,[6] გვერდზე გადავდოთ გმირის საერთო ფსიქიკური მდგომარეობა, ნურც მის სახელს ვახსენებთ, რასაც ახლა ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, და ჩვენი მზერა მივაპყროთ მხოლოდ ბულვარის ფრაგმენტულ აღწერილობას და შესაბამის წარმოდგენათა აქტუალიზების შესაძლებლობას. წინა ეპიზოდებიდან ცნობილია, რომ პარიზის ერთ-ერთ ბულვარზეა საუბარი; მაგრამ პარიზში მრავალი ბულვარია, ასე რომ, ეს ცნობა არ კმარა იმის მისახვედრად, თუ სად თამაშდება ეს სცენა. ბევრს არას ნიშნავს იმის თქმაც, რომ კუთხეში კაფე „კარდინალი“ მდებარეობს, რადგანაც პარიზში ბევრი კაფეა, რომელსაც „კარდინალი“ ჰქვია. ალბათ მკითხველი — თუ ის საერთოდ პარიზს იცნობს — ვიზუალურად „წარმოიდგენს“ საღამოს პარიზის **რომელიმე** რეკლამებით განათებულ ბულვარს. კითხვისას მას ნეონის ნათურები აუციმციმდება თვალწინ და მის ცნობიერებაში აქტუალიზდება წამიერი ხედი საღამო ჟამს გაჩახჩახებული ქუჩისა. თუ მკითხველი შემთხვევით იმ კაფეს ინტერიერს იცნობს, მაშინ მის გონებაში დროებით ეს კაფე ამოტივტივდება; ხოლო თუ არ იცნობს, მაშინ მკითხველის ფანტაზია წარმოსახავს **რომელიმე** პარიზულ კაფეს, მკრთალად განათებულს, ბევრი მაგიდით და ხალხის მოზიმზიმე მასას ამა თუ იმ რაკურსით. იქნებ მკითხველს თვალწინ წარმოუდგეს კაფეს დიდი განათებული ფანჯრები და ტროტუარზე განლაგებული მაგიდები და სკამები „დაინახოს“, რის შემდეგაც შესაძლოა კაფეს ინტერიერსაც შეავლოს მცირე ხნით თვალი. და ერთ მაგიდასთან მკითხველმა იქნებ უცნობი მამაკაციც შენიშნოს, რომელიც სახის ნაღვლიანი გამომეტყველებით შეკვეთილ კონიაკს ელის. სხვა მკითხველმა შესაძლოა კაფეში მსხდომი ადამიანების საუბრისაგან წარმოქმნილი ხმაური ან დახლთან ჭიქების წკრიალი გაიგონის, თუმცა ტექსტში ამის შესახებ არაფერია თქმული; აკუსტიკური მოვლენების წარმოშობა მაინც მოსალოდნელია, როცა დიდი ქალაქის კაფეს ცოცხლად წარმოვიდგენთ.

ამ მაგალითზე ჩვენ ვხედავთ, რაოდენ მრავალგვარად შეიძლება განხორციელდეს ტექსტით შთაგონებული წარმოდგენების აქტუალიზება და რა სხვადასხვაგვარად შეიძლება მოხდეს მათი კონკრეტიზება. თუ მკითხველი უფრო გმირის ფსიქიკური მდგომარეობის მიმართ გამოიჩენს ინტერესს, მაშინ გარეგნული გრძნობისმიერი წარმოდგენები იმ რეალურ გარემოზე, რომელშიც გმირი იმყოფება, მის გონებაში შესაძლოა საერთოდ არ გაცოცხლდეს. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ ქუჩისა და კაფეს აქ წარმოდგენილი აღწერილობა აშკარად მეორეხარისხოვანია, ხოლო უცნობის ფსიქიკური მდგომარეობა კი მთავარ თემას წარმოადგენს.

ცხადია, შესაძლებელია მრავალი ტექსტის მოხმობა, რომლებშიც აღწერილი სცენები მკითხველს ძალიან დიდი ძალითა და ცხოველმყოფელობით ახვევს თავს, მაგალითად, ვიზუალურ წრმოდგენებს. კლასიკურ მაგალითს გვაწვდის პოლონელი მწერალი ჰენრიკ **სენკევიჩი**. გავიხსენოთ, მაგალითად, ცირკში ურსუსის ხართან ბრძოლის აღწერა („ვიდრე ხვალ“), სადაც ძალზე ცოცხალი ვიზუალური წარმოდგენების შემდეგ უმაღლესი დაძაბულობის მომენტში, როცა ურსუსი ხარს კისერს მოამტვრევს, ერთბაშად აკუსტიკური მოვლენები გამოხატავენ ცირკში გამეფებულ სიჩუმეს.[7] ყველა ამგვარ შემთხვევაში მკითხველი წარმოდგენათა აქტუალიზებისას ბევრად უფრო ძლიერ არის დამოკიდებული ტექსტზე, ვიდრე ეს ხდება ამ თვალსაზრისით უსიცოცხლო ნაწარმოებებში. იგი მისთვის თავს მოხვეული სხვადასხვა სახის

წარმოდგენათა ტყვეობაში იმყოფება და რაც მეტად ექვემდებარება ის მათ, მით უფრო ცოცხალი, მკაფიო და მრავალფეროვანი სახით წარმოუდგება მას თვალწინ [ნაწარმოებში] ასახული სამყარო.

მაგრამ არ უნდა გვეგონოს, რომ მკითხველს მაშინ ეძალება ცოცხალი და მრავალფეროვანი წარმოდგენები, როცა ტექსტში საგანთა ეს წარმოდგენები აღწერილია. პირიქით, ეს წარმოდგენები მაშინ იქცევიან **ობიექტებად,** რომელნიც იქნებ სულაც არ არიან თვალნათლივ აღქმადნი (მაშინ, როცა ჩვენს შემთხვევაში საგნებისა და ადამიანების შესახებ **განცდილ**, არაობიექტივირებულ, კონკრეტულ **წარმოდგენებთან** გვაქვს საქმე), რომლებიც მხოლოდ მაშინ ასრულებენ საგანთა წარმოჩენის ფუნქციას, როცა სიტყვათა და წინადადებათა აზრი მკითხველის მზერას ასახულ **საგნებსა** და **ადამიანებზე** მიმართავს და როცა საგანთა გარკვეული აღქმადი თვისებების თუ მხარეების უბრალო დასახელებაც კი იმას იწვევს, რომ მკითხველს ერთბაშად ეძალება შესაბამისი წარმოდგენები. მაშინ იგი ხედავს საგნებს, ესმის ბგერები, რომელთაც წკრიალა ნივთები გამოსცემენ, და ა. შ. არც ის უნდა ვიფიქროთ, თითქოს ტექსტის სწორედ ის მონაკვეთები ახვევენ თავს მკითხველს დიდი ძალით აქტუალიზებულ წარმოდგენებს, რომლებშიც საგანთა აღქმადი თვისებები დიდი სიზუსტით არის აღწერილი. პირიქით, ხშირად საგნობრივი სიტუაციის ერთადერთ შტრიხზე მინიშნება საკმარისია, რათა მკითხველში მთელი ამ სიტუაციის ან სიტუაციაში მონაწილე საგნებისა და ადამიანების შესახებ ცოცხალი წარმოდგენა გამოვიწვიოთ. მაგალითად გამოგვადგება ზემოთ ნახსენები სცენა ურსუსის ბრძოლისა ხართან: სათანადო მომენტში გვესმის მსახურთა ჩირაღდნებიდან ნახშირის ნამსხვრევთა ჩამოცვენის ხმა: **ასეთი სიჩუმე** იდგა ცირკში. ცირკის ვიზუალურ წარმოდგენებს, მაყურებელთა მერხებს, არენას და ა. შ. უერთდება, ერთი მხრივ, ჩირაღდნების მოციმციმე შუქი, მეორე მხრივ, სწორედ მთელ თეატრში დასადგურებული ღრმა სიჩუმის „წარმოდგენა“, რომელიც კონტრასტს ქმნის ნახშირის ნამსხვრევთა ცვენით გამოწვეულ ყრუ ხმაურთან. და ამ სიჩუმეში უცბად **გვესმის** ხარის გადამტვრეული კინჩხის ხრჭიალი.

ის ნაწარმოებები, რომლებშიც მკითხველისთვის წარმოდგენების თავს მოხვევა ესოდენ ძლიერი სუგესტიური (შთამაგონებელი) ძალით ხდება, თავიანთ წარმოდგენების შრეში ბევრად უფრო ზუსტად რეკონსტრუირდებიან, ვიდრე ნაწარმოებები, რომლებშიც წარმოდგენები უფრო იდეაში (idcaliter) არიან განსაზღვრულნი და ასახული საგნების გვერდით აქვთ მიჩენილი ადგილი, ისე, რომ მკითხველისთვის მათი თავსმოხვევა არ ხდება. ნაწარმოებები, რომლებიც გრძნობითი გამოცდილების **სხვადასხვა** სფეროდან მომდინარე მზამზარეულ წარმოდგენათა თვალსაჩინო ელემენტებით ძალიან მდიდარნი არიან, შესაძლოა მკითხველის მიერ მცდარად იქნენ რეკონსტრუირებულნი, ვინაიდან მან (მკითხველმა) შეიძლება წარმოდგენათა მრავალფეროვნებას თავი ვერ გაართვას. მკითხველები ხშირად ცალმხრივნი არიან, ისინი ახდენენ, მაგალითად, ვიზუალური წარმოდგენების აქტუალიზებას, მაგრამ აკუსტიკურ ან ტაქტუალურ* წარმოდგენებს აქტუალიზების გარეშე ტოვებენ. როცა საჭიროა აქტუალიზება ძალზე განსხვავებულ გრძნობითი სფეროებიდან, მეტადრე ადამიანის ფსიქიკური სტრუქტურის სფეროდან, მომდინარე წარმოდგენებისა, ეს ამოცანა ხშირად მკითხველის ფანტაზიის შესაძლებლობებს აღემატება. მაშინ ის უპირატესად ერთი რომელიმე გრძნობითი სფეროდან მომდინარე წარმოდგენების აქტუალიზებას ახდენს და სხვა მრავალ გრძნობით წარმოდგენას უყურადღებოდ ტოვებს. ამის შედეგად მას შესაძლოა მიუგნებელი დარჩეს ნაწარმოებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ესთეტიკურად რელევანტური თვისებები; ნაწარმოების ესთეტიკური აღქმა არასრულყოფილი რჩება — იგი ნაწარმოების შესატყვისი ვერ იქნება.

* მუსიკალურ ტაქტთან დაკავშირებულ (მთარგმ.)

ასახული საგნები აქტუალიზებული წარმოდგენების წყალობით მეტ პლასტიკურობასა და მკაფიოობას იძენენ, ისინი უფრო ცოცხალნი და უფრო კონკრეტულნი ხდებიან, რის გამოც მკითხველი თითქოსდა უშუალო კონტაქტს ამყარებს მათთან. მაგრამ კითხვის პროცესში აქტუალიზებულ წარმოდგენებს ჩვენ მარტო ასახული საგნების თვალნათლივ წარმოჩენის ინტენსიურობასა და სიმდიდრეს როდი ვუმადლით. მათ ნაწარმოებში თავის მხრივ შეაქვთ თავისებური, ესთეტიკურად ძვირფასი მომენტები, მაგალითად, გარკვეული დეკორატიული მომენტები. ამ მომენტების შერჩევა ხშირად მჭიდროდ უკავშირდება ნაწარმოებში ან მის ერთ-ერთ ნაწილში გაბატონებულ განწყობას ან რაიმე მეტაფიზიკურ ფასეულობას. ამ გზით გაადვილებული წარმოჩენა გარკვეული მეტაფიზიკური ფასეულობისა ქმნის ნაწარმოების კულმინაციურ პუნქტს და დიდ როლს თამაშობს კითხვისას ნაწარმოების ესთეტიკური კონკრეტიზაციის კონსტიტუირების (დაფუძნების) პროცესში.

იმის გამო, რომ მკითხველის მიერ წარმოდგენათა აქტუალიზება და კონკრეტიზება მრავალგვარად ხდება, შესაძლოა ერთი და იმავე ნაწარმოების ესთეტიკური აღქმა ამ თვალსაზრისით სულ სხვადასხვაგვარი იყოს. ამის შედეგად მხოლოდ ზოგიერთი ესთეტიკური აღქმა, ანუ კონკრეტიზაცია ემთხვევა ნაწარმოების არსს. ნაწარმოების თვით მართებული ესთეტიკური კონკრეტიზაციებიც შესაძლოა ამ თვალსაზრისით ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდებოდნენ და სულ სხვადასხვა ესთეტიკურად ძვირფასი თვისებები და სხვადასხვა ესთეტიკური ღირებულებები წარმოაჩინონ. აქ ჩვენ კვლავ მივადექით ერთ-ერთ მიზეზს იმისას, რომ მკითხველები — ზოგჯერ სწორედაც რომ დიდად განათლებული და მგრძნობიარე კრიტიკოსები — ერთი და იმავე ლიტერატურული მხატვრული ნაწარმოების შეფასებისას ვერ თანხმდებიან. ამ საკითხს ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით.

მკითხველის მიერ აქტუალიზებული წარმოდგენები თითქმის ვერასოდეს ქმნიან ერთ მთლიან კონტინუუმს (უწყვეტობას), არამედ ჩვეულებრივ ერთმანეთისაგან იზოლირებულად გამოდიან ასპარეზზე; ისინი მკითხველს მხოლოდ დროდადრო ეუფლებიან და მეტ-ნაკლებად ცოცხლად განიცდებიან მის მიერ. როცა წარმოდგენები ერთმანეთისაგან იზოლირებულნი არიან, მათი შინაარსების გარკვეული სტაბილიზება ხდება. კითხვის პროცესში გარკვეული სტერეოტიპებიც, წარმოდგენათა გარკვეული სტაბილიზებული ფორმები, წარმოიქმნება, რომელთა მეშვეობით მკითხველი საგნებს თვალსაჩინოს ხდის. ნაცვლად იმისა, რომ რომელიმე (ასახული) პიროვნება ვითარებებისდა მიხედვით სხვადასხვა სახით წარმოვიდგინოთ, ჩვენ მას ხშირად სულ ერთი და იმავე სახით წარმოვიდგენთ, მხედველობაში არ ვიღებთ, ამასობაში მისი თვისებები რომ შეიცვალა. ეს მაშინ ხდება, როცა, მაგალითად, რომანში პერსონაჟის ცხოვრების ვრცელი მონაკვეთებია ასახული ისე, რომ იგი აშკარად ხანში შედის, ყოველ შემთხვევაში ხანში უნდა შედიოდეს. მკითხველი კი მას კვლავაც იმავე, ანუ სტერეოტიპად ქცეული სახით წარმოიდგენს. იგივე ითქმის რომელიმე ქალაქის ქუჩების შესახებაც, რომელთა წარმოდგენა [მკითხველის მიერ] მუდამ ერთი და იმავე წერტილიდან ხდება, მაშინ, როცა ისინი ნაწარმოებში სხვადასხვა პოზიციიდან აისახებიან. ეს გახლავთ კიდევ ერთი მიზეზი ლიტერატურული ნაწარმოების არაადეკვატური ესთეტიკური აღქმისა, მიზეზი, რომელიც ამ შემთხვევაში წმინდა სუბიექტური ხასიათისაა, მაგრამ გავლენას ახდენს ნაწარმოების ესთეტიკურად რელევანტური (არსებითი მნიშვნელობის მქონე) თვისების შემჩნევა-ვერშემჩნევაზე.

ეს შენიშვნები საკმარისი უნდა იყოს იმაში დასარწმუნებლად, რომ ლიტერატურული მხატვრული ნაწარმოები ამ თვალსაზრისით შესაძლოა ძალზე სხვადასხვაგვარად იქნეს აღქმული.

ლიტერატურული მხატვრული ნაწარმოების წინარეესთეტიკური „დაზვერვა“

ლიტერატურული მხატვრული ნაწარმოების კონკრეტიზაციის განხორციელებისას ჩვეულებრივ განუსაზღვრელობის ზოგიერთი ადგილის კონკრეტული შევსება ხდება ან, ყოველ შემთხვევაში, შესაძლო შევსებათა ვარიაციულობის საზღვარი ვიწროვდება. ყოველი ამგვარი შევსება ნაწარმოების პოზიტიური განსაზღვრულობების დამატებას წარმოადგენს, უწინარეს ყოვლისა ასახულ საგანთა შრეში.[8] ეს შევსება ხელოვნების თვალსაზრისით შესაძლოა უმნიშვნელო იყოს, ანუ არ ჰქონდეს მნიშვნელობა ესთეტიკურად რელევანტური (არსებითი მნიშვნელობის მქონე) თვისებების კონსტიტუირებისთვის (დაფუძნებისთვის). მაშინ იგი თუმცა უვნებელია, მაგრამ, ამ პოზიციიდან თუ განვსჯით, არც საჭიროა. მაგრამ იგი (შევსება) ხელოვნების თვალსაზრისით შესაძლოა მნიშვნელოვანიც იყოს, თანაც ორი მიმართულებით: ან პოზიტიური თვალსაზრისით, როცა ის რამენაირად უწყობს ხელს გარკვეული ესთეტიკურად რელევანტური თვისებების კონსტიტუირებას, რომელი თვისებებიც სხვა ამგვარ თვისებებთან პოზიტიურ თანხმობაში იმყოფება, ან კიდევ — ნეგატიური თვალსაზრისით, როცა ის ამგვარი თვისებების კონსტიტუირებას ან ხელს უშლის, ანდა ისეთი თვისების კონსტიტუირებამდე მივყავართ, რომელიც დანარჩენ ესთეტიკურად ვალენტურ თვისებებთან დისონანსს ქმნის. მაგრამ ის კიდევ ორი თვალსაზრისით შესაძლოა იყოს ნაწარმოების ერთიანი სახისთვის საზიანო. პირველი: მან შეიძლება განუსაზღვრელობის ისეთი ადგილი შეავსოს, რომელიც ნაწარმოების კონკრეტიზაციისას შეუვსებელი უნდა დარჩენილიყო, და მეორე: ასეთი შევსება შესაძლოა ვერ ახდენდეს პირდაპირ ზეგავლენას ესთეტიკურად ძვირფას თვისებებზე და თვითონაც ღირებულებრივად ნეიტრალური იყოს, მაგრამ ასახულ საგანთა დანარჩენ განსაზღვრულობებთან არ იყოს თანხმობაში, მაგალითად, [ნაწარმოებში] ასახული სამყაროს სტილს არ შეესატყვისებოდეს.

ამასთან დაკავშირებით ლიტერატურულ მხატვრულ ნაწარმოებზე ანალიტიკური დაკვირვების წინაშე რამდენიმე ამოცანა დგას, რომლებიც — რამდენადაც ჩემთვის ცნობილია — აქამდე ლიტერატურის შემსწავლელი მეცნიერების მიერ სრულიად უგულებელყოფილი იყო, და რომელთაც ლიტერატურული მხატვრული ნაწარმოების ფუნქციასთან უმჭიდროესი კავშირი აქვთ. კერძოდ:

1. უწინარეს ყოვლისა დასადგენია, განუსაზღვრელობის რა ადგილები მოიპოვება საკვლევ ნაწარმოებში. არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ამ ამოცანის ამომწურავად შესრულება ოდესმე შესაძლებელი გახდეს. მაგრამ ეს არც არის საჭირო, ვინაიდან განუსაზღვრელობის მრავალი ადგილი მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურაში არავითარ როლს არ თამაშობს. წინადადებების და წინადადებათა ერთობლიობის აზრის ანალიზი ისე უნდა განხორციელდეს, რომ მან (ამ ანალიზმა) უთქმელი ან მიჩქმალული საგრძნობი გახადოს და იმაზეც მიუთითოს, განუსაზღვრელობის რომელი ადგილებია მნიშვნელოვანი ნაწარმოების სტრუქტურისთვის, რის გამოც ისინი განმარტებულ უნდა იქნენ. იმის დადგენა, თუ განუსაზღვრელობის რომელ ადგილს ენიჭება ასეთი მნიშვნელობა, ცხადია, ადვილი არ არის და მოითხოვს იმის კარგად გაგებას, რაც ნაწარმოების ენობრივ შრეში გარკვევით არის გამოთქმული. და მაშინ შევამჩნევთ იმას, რაც არ თქმულა, რაც მკითხველისთვის მხოლოდ ნაწარმოების ტექსტზე დაყრდნობით ცნობილი ვერ გახდება.

2. შემდგომი ნაბიჯი გახლავთ იმის გარკვევა, თუ განუსაზღვრელობის რომელი ადგილი უნდა შეივსოს და რომელი უნდა დარჩეს შეუვსებლად. ეს უნდა მოხდეს იმის გათვალისწინებით, რომ ტექსტის ანალიზისას ვგრძნობთ ინფორმაციის ნაკლებობას საგნებისა და მათი ბედის შესახებ, რისი შედეგიც არის ის, რომ ყველაფერი ბოლომდე არ გვესმის. მეორე მხრივ, ტექსტი ახდენს გარკვეულ სუგესტიას (შთაგონებას) მკითხველზე, რის გამოც იგი განუსაზღვრელობის ზოგიერთ ადგილს ავსებს, ხოლო

ზოგიერთს კი, რომელსაც კითხვისას უყურადღებოდ აუვლის გვერდს, შეუვსებელს ტოვებს. ანალიზურ დაკვირვებას ისღა დარჩენია, ეს მოვლენა ნათლად გააცნობიეროს.

3. უნდა გაირკვეს, განუსაზღვრელობის ცალკეულ ადგილთა შესაძლო შევსებისას ვარიანტთა რა სპექტრს გვიდგენს განუსაზღვრელობის ამ ადგილთა განმსაზღვრელი კონტექსტი. ვარიაციულობის ამ საზღვარს ორგვარი თვალსაზრისით უნდა შევხედოთ: ა) მხოლოდ განუსაზღვრელობის ამა თუ იმ ადგილთა დანიშნულების გათვალისწინებით, ფართო კონტექსტისა და განუსაზღვრელობის სხვა ადგილთათვის ანგარიშგაუწევლად, და ბ) იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ვიწროვდება განუსაზღვრელობის ამა თუ იმ ადგილთა ვარიაციულობის საზღვარი განუსაზღვრელობის სხვა ადგილთა შევსებისა და ტექსტის ერთხმივობის მოთხოვნის შედეგად.[9] ეს შევიწროება ჯერ წმინდად იმ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ, რომ საჭიროა ლიტერატურული მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკურად ნეიტრალური ღირებულების მქონე ჩონჩხში შეუსაბამობებისა და წინააღმდეგობების თავიდან აცილება. ესთეტიკურად ვალენტურ თვისებათა კონსტიტუირების შესაძლებლობათა გათვალისწინებას განუსაზღვრელობის ცალკეული ადგილების ესთეტიკურად დასაშვებ შევსებათა ვარიაციულობის საზღვრის შემდგომი დავიწროების საჭიროებამდე მივყავართ.

განუსაზღვრელობის ცალკეულ ადგილთა შევსების ვარიაციულობის საზღვარზე დაკვირვებისას ორი გარემოება გაგვიწევს დახმარებას: პირველი ის, რომ განუსაზღვრელობის ადგილები უმეტესად ზოგადი სახელებით და ნომინალური გამოთქმებით არიან წარმოდგენილნი. ამ ნომინალური გამოთქმების მოცულობა განსაზღვრავს კონტექსტის გათვალისწინებით ამა თუ იმ შესაძლო შევსების ვარიაციულობის საზღვარს. ეს საზღვარი V ყოველთვის ან 2-ს უდრის, ან მეტია 2-ზე, ვინაიდან თუ V = 1, მაშინ ეს არ ყოფილა განუსაზღვრელობის ადგილი, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ყველაფერი, თუნდაც გამოუთქმელად დატოვებული, ერთმნიშვნელოვნად იქნება განსაზღვრული. მაგრამ ყველა შემთხვევა, რომელიც ამ საზღვრებში თავსდება, როდია სავსებით ერთგვაროვანი. ტექსტი, როგორც უკვე ითქვა, რამდენადმე შთააგონებს მკითხველს იმ ვარიანტებს განუსაზღვრელობის ადგილთა შესაძლო შევსების სფეროდან, რომლებიც ამ შემთხვევაში ბუნებრივია და რომელთა აქტუალიზება ამის გამო კითხვის პროცესში უფრო მოსალოდნელია. ეს ვარიანტები უნდა გავითვალისწინოთ ნაწარმოებზე ანალიტიკური დაკვირვებისას და უნდა გავიაზროთ მათი აქტუალიზების შედეგები კონკრეტიზაციის გახორციელებისას. ცხადია, არ უნდა დაგვავიწყდეს მკითხველის, განსაკუთრებით ესთეტიკური აღქმისთვის განწყობილი მკითხველის, როლი კონკრეტიზაციის განხორციელების პროცესში და არც ამ კონკრეტიზაციის მამოდიფიცირებელი ზეგავლენა. მკითხველთა და მათ მდგომარეობათა დიდი მრავალფეროვნების გამო ეს ზეგავლენა ძალიან ძნელი შესაფასებელია. მაგრამ იმასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ესთეტიკური განწყობით კონკრეტიზაციის შერჩევისას მკითხველი ტექსტის უკვე წაკითხული ნაწილების ზეგავლენას განიცდის და ამის შედეგად ძლიერ ემორჩილება ნაწარმოების სულისკვეთებას.

4. ლიტერატურულ ნაწარმოებზე ანალიტიკური დაკვირვებისას უძნელესი ამოცანა იმ მომენტში იჩენს თავს, როცა უნდა გადავწყვიტოთ, განუსაზღვრელობის ადგილის შევსების მეშვეობით ესთეტიკურად ძვირფასი რომელი თვისებების კონსტიტუირება უნდა მოხდეს კონკრეტიზაციის გზით. აქ სხვადასხვა შესაძლებლობა არსებობს, რომლებიც წინასწარ უნდა განჭვრიტოს მკვლევარმა. ეს ნიშნავს, რომ იგი ვალდებულია საკვლევი ნაწარმოების სხვადასხვა ესთეტიკური კონკრეტიზაციების კონსტიტუირება (დაფუძნება) მოსინჯოს, ისინი მათში წარმოდგენილი ესთეტიკურად მნიშვნელოვანი თვისებების თვალსაზრისით შეამოწმოს და ამავდროულად გაერკვეს, არსებულ განუსაზღვრელობის ადგილთა რომელ შევსებებზე არის დამოკიდებული მათი აქტუალიზება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მან ნაწარმოები ცალმხრივად არ უნდა წაიკითხოს და უპირატესობა მის მიერ აქტუალიზებულ კონკ-

რეტიზაციას არ უნდა მიანიჭოს. უეჭველია, რომ ჩვეულებრივ ამ ამოცანის შესრულება მხოლოდ ნაწილობრივ არის შესაძლებელი, ვინაიდან შესაძლო კონკრეტიზაციათა რაოდენობა ძალიან დიდია. და მაინც ამ ამოცანის თუნდაც ნაწილობრივი შესრულება არაჩვეულებრივად მნიშვნელოვანია ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული დონის შესამეცნებლად. მრავალი მკვლევარის ერთობლივი მუშაობა ერთსა და იმავე მხატვრულ ნაწარმოებზე ამ თვალსაზრისით, ბუნებრივია, ძალზე სასარგებლოა.

მთელი ამ პრობლემატიკის შესწავლა კიდევ ორი გარემოების გამო არის მნიშვნელოვანი: არა მხოლოდ თვით ამა თუ იმ კონკრეტული მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური სტრუქტურის გაგებისათვის, არამედ მაშინაც, როცა ერთი გარკვეული ლიტერატურული ჟანრის (მაგალითად, რომანის, ლირიკის, დრამის) ან სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობის თუ სტილის (მაგალითად, რომანტიზმის ლიტერატურის, პოზიტივისტური ნატურალიზმის, მოდერნული ექსპრესიონისტული ლიტერატურის და ა. შ.) ლიტერატურულ ნაწარმოებთა ესთეტიკური ძალმოსილების ზოგად პრობლემათა გარკვევას ეხება საქმე. კერძოდ, წამოიჭრება კითხვა, ერთ რომელიმე ნაწარმოებში არსებულ განუსაზღვრელობის ადგილთა მრავალფეროვნება და ასევე მათი ტიპების შერჩევა, ხომ არ არის თვით ამ ლიტერატურული ჟანრის ან შესაბამისი ლიტერატურული მიმართულების დამახასიათებელი, და ამ პრობლემის გამოკვლევა მნიშვნელოვან წვლილს ხომ არ შეიტანდა ამ ჟანრთა ან ლიტერატურულ სტილთა არსის წვდომის საქმეში, იმ მონაცემებთან ერთად, რომლებსაც მხატვრული ქმნილების სრულად განსაზღვრულ მხარეზე დაკვირვებით მოვიპოვებთ. წინასწარ ძნელია თქმა, რა შედეგებამდე მიგვიყვანდა ასეთი კვლევა. მაგრამ საინტერესო იქნებოდა სათანადო კვლევა-ძიების ჩატარება, მაგალითად, თანამედროვე რომანებზე და ამ თვალსაზრისით, ვთქვათ, **ზოლას** რომანების **პრუსტის** რომანებთან, **ჯოისის** „ულისეს“ **გოლსუორსის** რომანების ციკლთან ან **მერედიტის** ნაწარმოებებთან შედარება. ანდა რა შედეგს მივიღებდით, თუ, მაგალითად, **თომას მანის** ნაწარმოებებს ამ თვალსაზრისით შევადარებდით **ფოლკნერის** ქმნილებებს? თუ მოხერხდებოდა იმის წარმოჩენა, რომ ამ შემთხვევებში ლიტერატურულ ნაწარმოებებში განუსაზღვრელობის ადგილთა გამოყენების მხრივ დამახასიათებელი კანონზომიერებანი შეიმჩნევა, მაშინ ისიც შესაძლებელი იქნებოდა, შერჩეული ლიტერატურული ჟანრის ან ლიტერატურული მიმდინარეობის ნაწარმოებთა შესაძლო ესთეტიკური კონკრე-ტიზაციისთვის დამახასიათებელ მრავალფეროვნებაზეც გველაპარაკა.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც წამოიჭრება, შეეხება ცალკეული ლიტერატურული მხატვრული ქმნილების იმ განუსაზღვრელობის ადგილებს, რომლებიც ესთეტიკური კონკრეტიზაციის პროცესში **არ** უნდა იქნენ შევსებულნი. ყოველ ლიტერატურულ მხატვრულ ნაწარმოებში და განსაკუთრებით ნამდვილ რეფლექსიურ ლირიკაში არსებობს ართქმულის, დაფარულის, განუსაზღვრელის, ღიად დატოვებული აზრის შემცველი ადგილები, რომლებიც, მიუხედავად თავიანთი უცნაური არყოფნისა და ასევე უცნაური შეუმჩნევლობისა და ყურადღების მიღმა დარჩენისა, მაინც არსებით როლს თამაშობენ ნაწარმოების მხატვრულ სტრუქტურაში. ნაწარმოებზე ანალიტიკური დაკვირვების პროცესში ისინი გამოხმობილ უნდა იქნენ ამ თავიანთი შეუმჩნევლობიდან, პერიფერიის ბნელში არსებობიდან, და უნდა გავიცნობიეროთ, რომ მათი მხატვრული ფუნქცია დაირღვეოდა, თუკი მათ ლიკვიდაციას მოვინდომებდით და ამა თუ იმ სახით მათ შევსებას შევეცდებოდით. ასეთი ადგილების პოზიტიურად განსაზღვრული მონაცემებით შევსებისას ყოვლად ზედმეტ ლაყბობას მივიღებდით და ამავდროულად მნიშვნელოვნად დავარღვევდით წონასწორობას იმისას, რაც ნაწარმოებში სწორედაც რომ ცნობილია, სრულად განსაზღვრულია და მზის სინათლეზეა გამოტანილი. გრძნობადახვეწილი, საკმაო ესთეტიკური კულტურის მქონე მკითხველი ამგვარ განუსაზღვრელობის ადგილებს დუმილით უვლის გვერდს, და სწორედ ეს აძლევს მას შესაძლებლობას, ხელოვანის მიერ ჩაფიქრებული ესთეტიკური საგნის მიახლოებითი კონსტიტუირება მაინც მოახდინოს. ნაკლები კულტურის

მქონე მკითხველი, ესთეტიკის სფეროში დილეტანტი, რომლის შესახებაც მორიც **გაიგერი*** ლაპარაკობს, და რომელსაც მხოლოდ პერსონაჟთა ბედ-იღბალი აინტერესებს, უყურადღებოდ ტოვებს ამგვარ განუსაზღვრელობის ადგილთა ლიკვიდაციის აკრძალვას და წყალწყალა ლაყბობით ავსებს იმას, რისი შევსებაც არ არის საჭირო, და ამით ჩინებულად ფორმირებულ ხელოვნების ქმნილებას იაფფასიან, საეჭვი ესთეტიკური ღირებულების მქონე ლიტერატურად აქცევს. მაგრამ ამ კატეგორიას განეკუთვნებიან ლიტერატურის ის მკვლევარებიც, რომლებიც **ჰიოლდერლინის** ან **რილკეს**, ან კიდევ — სულ სხვა ყაიდის მაგალითი რომ დავასახელოთ — **თრაკლის** გრძნობადახვეწილ, ღრმა, მაგრამ ამავდროულად მხოლოდ მინიშნებებზე დამყარებულ რეფლექსიურ ლირიკას მეტაფიზიკურ ტრაქტატებს მიუთხზავენ ხოლმე და იმას წამოაყრანტალებენ, რასაც ხელოვნების ქმნილებაში გამართლება აქვს მხოლოდ როგორც პერსპექტივას, მხოლოდ როგორც მინიშნებას, წინათგრძნობას და ასეთადაც უნდა დარჩეს. ასე რომ, ლიტერატურის მკვლევარმა, რომელიც ლიტერატურულ მხატვრულ ნაწარმოებზე ანალიტიკურ დაკვირვებას ახორციელებს, მას შემდეგ, რაც ზუსტად გაარკვევს, სად არის ნაწარმოებში განუსაზღვრელობის ის ადგილები, რომლებიც ასეთებად უნდა დარჩნენ კონკრეტიზაციის პროცესშიც, თავი უნდა შეიკავოს მათი კონკრეტიზაციისაგან.

მთელი ამ პრობლემატიკის გათვალისწინება მკვლევარს საშუალებას მისცემს წინასწარ განჭვრიტოს, რომელ და რა ხარისხის ესთეტიკურად ძვირფას კონკრეტიზაციებამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამა თუ იმ მხატვრულმა ნაწარმოებმა (მგრძნობიარე და ესთეტიკურად აქტიური მკითხველის არსებობის ვითარებაში). ამის მიღწევა შეიძლება იმის გარეშეც, რომ მივიღოთ გადაწყვეტილება, შესაძლო კონკრეტიზაციათაგან რომელია „სწორი“ „ინტერპრეტაცია“ მოცემული ნაწარმოებისა, და იმის გარეშეც, რომ დაუყოვნებლივ ვეცადოთ ნაწარმოების „შეფასებას“ (ანუ მისი ღირებულების დადგენას). მაგრამ როგორც კი იმ დასკვნამდე მივალთ, რომ მოცემული ნაწარმოები ესთეტიკურად ფასეული სხვადასხვა კონკრეტიზაციების შესაძლებლობას იძლევა და ზოგიერთი მათგანის მკითხველისათვის სუგესტირება (შთაგონება) ხდება, უკვე პოეტურ ნაწარმოებთან ურთიერთობის იმ ფაზაში ვიმყოფებით, რომელშიც შეფასების პრობლემა იჩენს თავს. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არა ვართ სათანადოდ მომზადებულნი, რომ ეს პრობლემა წამოვჭრათ და მისი გადაწყვეტა ვცადოთ. ამჟამად მხოლოდ იმის გაცნობიერება არის მნიშვნელოვანი, რომ ეს შეფასება ორი სრულიად განსხვავებული მიმართულებით შეიძლება წარიმართოს: თვით ლიტერატურულ მხატვრულ ნაწარმოებთან მიმართებით და მის ცალკეულ, ესთეტიკური დამოკიდებულების შედეგად მოპოვებულ კონკრეტიზაციათა მიმართებით. და ამავდროულად ნათლად უნდა წარმოვიდგინოთ, რომ თითოეულ ამ შემთხვევაში სავსებით განსხვავებული ყაიდის შეფასებებთან გვაქვს საქმე; თვით ნაწარმოებთან დაკავშირებით მწერლური ხელოვნების შეფასებებთან, ხოლო ესთეტიკურ კონკრეტიზაციებთან დაკავშირებით — ესთეტიკურ შეფასებებთან. მაგრამ რაკილა კონკრეტიზაციის კონკრეტულ სხეულში თვით ნაწარმოები ჩინჩხის სახით არის შენარჩუნებული, შეიძლება ითქვას, რომ თვით კონკრეტიზაციაში მოცემულია როგორც ჩონჩხის მწერლურ-ხელოვნებითი ღირებულებები (die künstlerischen Werte), ასევე კონკრეტიზებული მთელის ესთეტიკური ღირებულებებიც.[10] სასარგებლო იქნება ამ ღირებულებებს შორის რადიკალური განსხვავების თაობაზე რამდენიმე სიტყვით მაინც მივანიშნოთ. მხატვრულ ქმნილებას მწერლურ-ხელოვნებითი ღირებულება ექნება, თუ ის თავის თავში მისი ბუნებისგან განსხვავებული ღირებულების, კერძოდ, ესთეტიკური ღირებულების აქტუალიზაციისთვის აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობას შეიცავს, — იმ ესთეტიკური ღირებულებისა, რომელიც მოცემული ქმნილების კონკრეტიზაციის შედეგად იჩენს თავს. მწერლურ-ხელოვნებითი ღირებულება, ეს

* მორიც გაიგერი (1880-1937) — გერმანელი ფილოსოფოსი, მნიშვნელოვანი ნაშრომების ავტორი მათემატიკის ფილოსოფიასა, ესთეტიკასა და ფსიქოლოგიაში. (მთარგმ.)

არის ღირებულება საშუალებისა, თუ შეიძლება ასე ითქვას, იარაღისა, რომელსაც უნარი აქვს, ხელსაყრელი ვითარებისას ესთეტიკური ღირებულება წარმოაჩინოს. სათანადო ესთეტიკური ღირებულების აქტუალიზებისთვის საჭირო ამ დამატებით პირობას — ამ „ხელსაყრელ“ ვითარებას — ქმნის მხატვრული ნაწარმოების დამკვირვებელი, რომელმაც იცის, როგორ ისარგებლოს მხატვრული ქმნილების შესაძლებლობებით, რათა მისი [ნაწარმოების] შესატყვისი კონკრეტიზაციის აქტუალიზება მოახდინოს, რის შედეგადაც ის ესთეტიკური ღირებულება გამოვლინდება და არსებობას იწყებს. იგი თავის გამოვლინებაში ორმაგად არის დაფუძნებული: შესაბამის მხატვრულ ქმნილებაში, რომელიც აღჭურვილია სათანადო მწერლურ-ხელოვნებითი ღირებულებებით, და დამკვირვებელში, რომელიც მას (ამ ღირებულებას) კონკრეტიზაციისას მხატვრული ნაწარმოების და მეტადრე მისი მწერლურ-ხელოვნებითი ღირებულებების მეშვეობით მოვლენურ თვითარსებობას ანიჭებს. მაშინ, როცა მწერლურ-ხელოვნებითი ღირებულება გამოკვეთილად ფარდობითი ღირებულებაა, მისი ვალენტობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის, რისი აქტუალიზებისთვისაც იგი აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს, თავის თავში და თავისთვის — ანუ ამ თვალსაზრისით აბსოლუტურად — ღირებულია და თავის თანაგანმაპირობებელს, როგორც ასეთს, ღირებულებას ანიჭებს. ეს თავისთავად აბსოლუტური ღირებულება არის სწორედ ესთეტიკური ღირებულება, რომლის მასალა (ღირებულების ხარისხი) თავისი ბუნებით მხოლოდ „ხილვადია“, ანუ თავის თავს მოვლენურ თვითაქტუალობაში (in einer erscheinungsmäßigen Selbstgegenwart) ამოწურავს.

ყოველ მწერლურ-ხელოვნებით ღირებულებასთან დაკავშირებით შეინიშნება ძალზე თავისებური ვითარება: ერთი მხრივ, ნათელი ჩანს, რომ ის (ღირებულება), თუკი იგი ამა თუ იმ ლიტერატურულ მხატვრულ ქმნილებას ნამდვილად გააჩნია, ამ ქმნილებისავე ეფექტურ დეტალებზე უნდა იყოს დაფუძნებული, ისე, რომ შემფასებელი მკითხველის (მეტადრე „კრიტიკოსის“) როლზე ლაპარაკი არ უნდა გვჭირდებოდეს. მეორე მხრივ კი, ეს ღირებულება მოცემული ნაწარმოების **შესაძლო** კონკრეტიზაციათა ესთეტიკური ღირებულებებითაც არის განპირობებული. ამ შესაძლებლობის რეალიზებისთვის მოცემული ნაწარმოები თუმცა აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის. კონკრეტიზაციათა რეალიზება დიდწილად მკითხველზეა დამოკიდებული, რომელიც საზოგადოდ არ არის ვალდებული ნაწარმოების ესა თუ ის კონკრეტიზაცია მოახდინოს (მას შეუძლია, მაგალითად, საერთოდ უარი თქვას წაკითხვაზე) და იგი (კონკრეტიზაცია) კერძო შემთხვევაში (im individuellen Fall) ისეთ პარამეტრებში განახორციელოს, რომ ნაწარმოების მწერლურ-ხელოვნებითი ღირებულების მიერ მინიშნებული ესთეტიკური ღირებულება წარმოჩნდეს. ამრიგად, **ეფექტურად** მიეწერება თუ არა ნაწარმოებს მწერლურ-ხელოვნებითი ღირებულება, ეს მკითხველის ქცევით არის განპირობებული. მეორე მხრივ — ამის შესახებ ახლავე გვექნება საუბარი — მკითხველი მთლად დამოუკიდებელი როდია მხატვრული ქმნილების განსაზღვრულობებისაგან, რის გამოც მხატვრულ ქმნილებაში მწერლურ-ხელოვნებითი ღირებულების დაფუძნების ხარისხი იზრდება. მწერლურ-ხელოვნებითი ღირებულება იმაზეა დაფუძნებული, რომ მოცემულ ნაწარმოებში არსებობს თვისებათა სათანადო ერთობლიობა, რომელიც მხატვრული ქმნილების ამა თუ იმ კონკრეტიზაციისას აუცილებელი ყოფიერებითი (ontische) ბაზისია ესთეტიკურად მნიშვნელოვან თვისებათა (ანდა აგრეთვე ფორმალურ მომენტთა) კომპლექტის კონსტიტუირებისთვის, რომლებიც თავის მხრივ თავის თავში თვისებრივად განსაზღვრული ესთეტიკური ღირებულების ფუნდამენტს წარმოადგენენ. ესთეტიკური ღირებულების კონსტიტუირებისთვის საკმარის ბაზისს რა ფაქტორიც აკლია, ის თავის მხრივ მკითხველმა უნდა დაუმატოს. იგი ამას ზოგჯერ მხატვრული თხზულებისგან სრულიად დამოუკიდებლად აკეთებს, მაგრამ შესაძლოა საამისოდ მხატვრული ქმნილების გარკვეულმა თვისებებმაც უბიძგოს. მაშასადამე, მხატვრული ქმნილების მწერლურ-ხელოვნებითი ღირებულება მის იმ თვისებებში ძევს, რომელთა მეშვეობითაც

იგი ესთეტიკური მიმღეობისთვის მზადმყოფ დამკვირვებელზე (auf den ästhetischen Betrachter) ზემოქმედებს და მას (დამკვირვებელს) კონკრეტიზაციის პროცესში ესთეტიკური ღირებულების ყოფიერებითი ფუნდამენტის ნაკლულ შემადგენელთა კონსტიტუირებისთვის აღძრავს. თუ მხატვრულ ქმნილებას აკლია თვისებათა ის შემადგენლობა, რომელიც მას (ნაწარმოებს) დამკვირვებლისკენ მიმართული აქტიურობის შესაძლებლობას აძლევს, მაშინ ესთეტიკური ღირებულების კონსტიტუირება ერთი რომელიმე გარკვეული კონკრეტიზაციისას — თუკი საქმე საერთოდ აქამდე მივა — **მხოლოდ და მხოლოდ** დამკვირვებლის უნარის ანაბარა რჩება, თუმცა კი ესთეტიკური ღირებულების კონსტიტუირებისთვის საჭირო აუცილებელი წმინდა ყოფიერებითი ბაზისი მხატვრულ ქმნილებაში მოიპოვება. ხოლო, თუ არც ეს ბაზისია და მაინც ხდება ესთეტიკური ღირებულების კონსტიტუირება, მაშინ ეს ღირებულება პირწმინდად დამკვირვებლის შემოქმედების ნაყოფია, რაგინდ ესთეტიკური საგნის თვისებად ჩანდეს ის. იგი არამც და არამც არ არის დაფუძნებული მხატვრულ ქმნილებაში და ამ აზრით არც „ობიექტურია“.[11]

ცხადია, არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როცა ნაწარმოები ესთეტიკური ღირებულების კონსტიტუირებისთვის აუცილებელ და ამ თვალსაზრისით საკმარის პირობას შეიცავს, და ამრიგად მხატვრული ქმნილების თვისებები ესთეტიკური ღირებულების მაკონსტიტუირებელ, ესთეტიკურად რელევანტურ თვისებათა სრულ შემადგენლობას ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავს და საკმარის ზემოქმედებასაც ახდენს დამკვირვებელზე, ისე, რომ ეს უკანასკნელი მოცემულ ნაწარმოებთან ურთიერთობისას იძულებულია ნაწარმოებით წინასწარგანსაზღვრული ესთეტიკური ღირებულების კონკრეტიზაცია მოახდინოს და ამის შედეგად წარმოაჩინოს კიდეც იგი. ამ შემთხვევაში ეს ღირებულება, მიუხედავად იმისა, რომ მისი აქტუალიზება დამკვირვებლის აქტიურობაზეა დამოკიდებული, დაფუძნებულია ნაწარმოებში და ამ აზრით „ობიექტურია“.

პირველი ნაბიჯი მხატვრული ქმნილების შეფასებისკენ მისი მწერლურ-ხელოვნებითი ღირებულების თვალსაზრისით ის იქნება, რომ „დაზვერვითი“ დაკვირვებისას მის კონკრეტიზაციათა მთელი წყების გათვალისწინებით თვისებათა ის შემადგენლობა ვეძიოთ, რომელიც შესაძლო ესთეტიკური ღირებულების ბაზისს უნდა შეიცავდეს. და როცა ამ შემადგენლობას ვიპოვით, უნდა ვიკითხოთ, რა ხასიათი აქვს ამ შემადგენლობას, ვითარცა ღირებულების დაფუძნებას, ანუ იმ შესაძლებლობებიდან, რომლებიც ახლახან გავმიჯნეთ ურთიერთისგან, რომელთან გვაქვს საქმე. უეჭველია, რომ მკვლევარი მრავალფეროვან ვითარებათა წინაშე დგება, რომლებისთვისაც ძალზე ძნელია თავის გართმევა, მეტადრე იმის გამო, რომ ძალიან ბევრი სხვადასხვა სიტუაციაა შესაფასებელი ღირებულების დაფუძნების ხასიათთან მიმართების თვალსაზრისით. დიდი სიფრთხილე და ასევე დიდი მოთმინებაა საჭირო, რომ თავი შევიკავოთ ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისაგან. ვინაიდან, როგორც კი ღირებულებისა და მისი დასაბუთების საკითხი წამოიჭრება, ჩვეულებრივ, დიდი ხმაური ატყდება ხოლმე ღირებულების, ანუ ნაწარმოების ხარისხის განმსაზღვრელი ე. წ. „კრიტერიუმების“ გამო. მოითხოვენ ღირებულების „ობიექტურობის“ დასადგენი მთლად ზოგადი „კრიტერიუმების“ დასახელებას. და ამავდროულად წინდაწინვე ამტკიცებენ, რომ **არავითარი** ამდაგვარი უცდომელი კრიტერიუმები არ არსებობს, რომ ისინი ეპოქების მიხედვით იცვლება, სხვადასხვა კულტურული წრე, მეტიც — სხვადასხვა ადამიანი — სხვადასხვა კრიტერიუმებს იყენებს და ამიტომაც არავითარი მყარი კრიტერიუმები და არც არავითარი „ობიექტური“ ღირებულებები არ მოიპოვებაო და ა. შ. აქ არ მინდა დავკარგო დრო ამ ფართოდ გავრცელებულ შეხედულებებთან საკამათოდ. მე ვფიქრობ, რომ როგორც სხვადასხვა ჟანრების, ასევე ცალკეული მხატვრული ქმნილებების ცოდნის და ბოლოს მათ ღირებულებებში გარკვევის თვალსაზრისით ჩვენ ჯერ ძალიან ნაკლებად ვართ მზად საიმისოდ, რათა თუნდაც მხოლოდ წამოვჭრათ საკითხი **მატერიალური** „კრიტერიუმების“ თაობაზე. ჩემი აზრით, საჭიროა

ხელოვნების ქმნილებათა და მეტადრე ლიტერატურულ ქმნილებათა შესახებ უფრო ზუსტი და უფრო ღრმა ცოდნის მოპოვება, რათა ან ძნელ საკითხში წინ წავიწიოთ.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელზეც აქ მსურს მივუთითო, შეეხება ლიტერატურული ქმნილების მწერლურ-ხელოვნებითი დონის განსაზღვრის საფუძველს. რაზეა იგი დამოკიდებული? ცხადია, იგულისხმება არა თვითნებური გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, რომელი ღირებულება გვსურს ჩავთვალოთ ან უნდა ჩავთვალოთ უფრო მაღალ ან უფრო დაბალ ღირებულებად. საქმე ეხება იმას, რომელი ობიექტური, თვით ნაწარმოებში მოცემული ან მის მიერ გამოწვეულ შესაძლო კონკრეტიზაციებთან დაკავშირებული გარემოება განსაზღვრავს მწერლურ-ხელოვნებითი ღირებულების დონეს. ამ კითხვაზე რამდენიმე შესაძლო პასუხი არსებობს. ხომ არ გვეფიქრა, რომ კონკრეტული ლიტერატურული ქმნილების მწერლურ-ხელოვნებითი ღირებულება მით უფრო მაღალია, რაც უფრო მრავალრიცხოვანი და რაც უფრო ძვირფასია მისი შესაძლო, „მართებული“ ესთეტიკური კონკრეტიზაციები? თუ ასეა, მაშინ, როგორც ჩანს, ნაწარმოები ჩანასახში ატარებს მაღალ ესთეტიკურ ღირებულებათა მრავალფეროვნებას, და ის უნარი, წინასწარ განსაზღვრო ყველა ღირებულება და ხელი შეუწყო მათს სახეობრივ აქტუალიზებას, ეტყობა, ამ ესთეტიკურ ღირებულებათა მრავალფეროვნებასთან ერთად იზრდება. და ეს უნარი სხვა არაფერია, თუ არა თვით მწერლურ-ხელოვნებითი ღირებულება. ჩვეულებრივ ხომ ასე ამბობენ: ნამდვილად „დიდი“ ლიტერატურული ქმნილებანი ისინია, რომლებიც სხვადასხვა კულტურულ ეპოქებში ხელახლა ცოცხლდებოდნენ და ახალ წარმატებებს აღწევდნენ. დიდი ბერძენი ტრაგიკოსები, **„ილიადა“**, **შექსპირის** თხზულებები, **გოეთეს** ლირიკა და ა. შ. — ეს ის ნაწარმოებებია, რომლებიც ახალ კულტურულ ეპოქებში ახლებურ კონკრეტიზაციას განიცდიან, ისე, რომ ეს სიახლე მათ იდენტობას არ ემუქრება. ამავდროულად სწორედ ეს გარემოება გარკვეულ ეჭვებს აღძრავს მწერლურ-ხელოვნებითი ღირებულების ამ გაგების მიმართ: რაც უფრო მრავალრიცხოვანია მხატვრული ნაწარმოების შესაძლო განსხვავებულ კონკრეტიზაციათა რაოდენობა, მით უფრო ნაკლებად არის იგი თავის თავში ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული და მით უფრო მეტი განუსაზღვრელობის ადგილისა და პოტენციური ელემენტის შემცველი იქნება ის. და მაშინ მისი (ნაწარმოების) მონაწილეობა კონკრეტიზაციათა და მათში კონსტიტუირებული ესთეტიკური ღირებულებების წარმოქმნაში უმნიშვნელო იქნება და სულ უფრო და უფრო შემცირდება. ამ ღირებულებათა აქტუალიზებისთვის პასუხისმგებლობა კი დიდწილად ნაწარმოების მკითხველებს (ან დამთვალიერებლებს) ეკისრებათ.[12] და, როგორც ჩანს, ამგვარ ნაწარმოებთა მწერლურ-ხელოვნებითი ღირებულება არც ისე მაღალია. მაგრამ აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ მწერლურ-ხელოვნებითი ღირებულების ორგვარი როლი: ერთი მათგანი მდგომარეობს ესთეტიკურად მნიშვნელოვან თვისებათა და მათში წარმოდგენილ ესთეტიკურ ღირებულებათა ყოფიერებისმიერ (ონტიკურ) დაფუძნებაში, ხოლო მეორე — მკითხველზე ზემოქმედებაში, რათა მას კონკრეტიზაციის განხორციელება შთააგონოს. რამდენადაც პირველ როლთან დაკავშირებით უნდა ვაღიაროთ, რომ „დიდ“ ქმნილებათა წვლილი შედარებით მცირეა ესთეტიკურ ღირებულებათა კონსტიტუირებისას, რომლებიც თავიანთ მრავალფეროვან კონკრეტიზაციებში იჩენენ თავს, მაინც მათი მწერლურ-ხელოვნებითი მნიშვნელოვანება მკითხველთა ინტერესისა და აქტიურობის გაღვიძების საქმეში ახალ-ახალი კონკრეტიზაციების ფორმირებისას მაღალი შეფასების ღირსია.

ზოგიერთი ლიტერატურული ქმნილების მაღალოსტატურობა იმაშიც შეიძლება მდგომარეობდეს, რომ ისინი სწორედაც ძალიან ცოტა ესთეტიკურად მაღალფასეულ კონკრეტიზაციათა შესაძლებლობას იძლევიან. ასეთი მხატვრული ნაწარმოები თავის სტრუქტურაში შინაგანად ისე დახშულია, რომ მას შედარებით ცოტა განუსაზღვრელობის ადგილი და პოტენციური მომენტი მოეპოვება, რომელთა ხარჯზე მისი შევსება და აქტუალიზებაა შესაძლებელი. ის აგრეთვე შინაგანად ისე მკაცრად არის

აგებული, რომ განუსაზღვრელობის ცალკეულ ადგილთა შევსების ვარიაციულობის საზღვარი ერთმანეთს განაპირობებს და ავიწროებს, ისე, რომ დასაშვებ ფასეულ კონკრეტიზაციათა რიცხვი ძლიერ მცირდება. კონკრეტიზაციის პროცესში მხოლოდ ძალზე მცირე ცვლილებების განხორციელებაა შესაძლებელი იმგვარად, რომ მთელი ნაწარმოების მაღალი ესთეტიკური ღირებულება ამის შედეგად არ შეიბღალოს. აგებულების შინაგან დახშულობაში მდგომარეობს მხატვრული ქმნილების მაღალი მწერლურ-ხელოვნებითი ღირებულება და ასევე მის მცირერიცხოვან კონკრეტიზაციათა ესთეტიკური ღირებულებაც. და ეს ღირებულება სულაც არ არის უფრო დაბალი, ვიდრე იმ ქმნილებათა ღირებულება, რომლებიც მრავალი სხვადასხვა ფასეული კონკრეტიზაციის შესაძლებლობას იძლევიან.

ზემოთქმულთან კავშირში მწერლურ-ხელოვნებითი ღირებულების დონის სხვაგვარი გაგების შესაძლებლობა იკვეთება. სახელდობრ, ეს შესაძლებლობა ამა თუ იმ ნაწარმოების მეშვეობით განპირობებული ესთეტიკური ღირებულებების რელატივიზებაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ ნაწარმოების საკუთარ მხატვრულ ღირსებაში, მწერლურ-ხელოვნებითი ტექნიკის სრულყოფილებაში, საიდანაც მკითხველზე მისი შესაძლო ზემოქმედება ან ესთეტიკურად ძვირფას თვისებათა დაფუძნების მისი უნარი წარმოდგება. ეს მხატვრული ღირსება, ვითარცა მხატვრული ქმნილების არქიტექტონიკის განსაკუთრებული ნიშანი, არის აღტაცების საგანი.

მაშასადამე ჩვენ ვხედავთ, რომ ლიტერატურული ქმნილების მწერლურ-ხელოვნებითი ღირებულება სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული და ის სხვადასხვა ნაწარმოებში სხვადასხვაგვარად განისაზღვრება. საქმე მხოლოდ იმას ეხება, რომ ყოველთვის ნათლად უნდა ვიცოდეთ, ამა თუ იმ შემთხვევაში ღირებულების რომელ სახეობასთან გვაქვს საქმე და რას ეფუძნება იგი. ამ გარემოებამაც უნდა გვიბიძგოს იქითკენ, რომ არავითარი ზოგადი „კრიტერიუმები“ არ უნდა დავსახოთ წინდაწინ და ცალკეულ მხატვრულ ქმნილებებს წინასწარ შემუშავებული აზრით კი არ მივუდგეთ, არამედ ვისწავლოთ მათგან. და მაშინ დამოკიდებულება მწერლურ-ხელოვნებით ღირებულებებსა და მათ ყოფიერებისმიერ (ontisch) საფუძველს შორის, რომელიც სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებული შეიძლება იყოს, ნელ-ნელა ნათელი გახდება.

ეს ის ვითარებაა, რომელსაც ლიტერატურული მხატვრული ქმნილების ანალიტიკოსმა ანგარიში უნდა გაუწიოს. მისი ვალია გასაანალიზებელ მხატვრულ ქმნილებაში ის ელემენტები და მომენტები ეძებოს, რომლებიც ესთეტიკურად ფასეული „სწორი“ კონკრეტიზაციების მრავალფეროვნებას ინტენციურად (მიზანდასახულად) განსაზღვრავენ, მეორე მხრივ კი, ნაწარმოების ის თავისებურებებიც აღმოაჩინოს, რომლებსაც ეფუძნება მკითხველზე ზემოქმედების ყაიდა და ძალა, მკითხველის გონებაში გარკვეული მიმართულებით წარმართულ კონკრეტიზაციათა აქტუალიზებისთვის რომ არის საჭირო. როგორც შესაძლო კონკრეტიზაციათა მიმართ ყურადღების გამოჩენა მკვლევარს თვით ლიტერატურული ქმნილების მიღმა ამ კონკრეტიზაციათა მოსახილველად უბიძგებს, ასევე უბიძგებს მას, მეორე მხრივ, ლიტერატურული ქმნილების ზემოქმედების უნართა მიმართ ყურადღების გამოჩენა პოტენციური მკითხველის და მხატვრული ნაწარმოების მიმართ მისი შესაძლო დამოკიდებულების გათვალისწინების მიმართულებით, რაც არ უნდა ძლიერ იყოს მკვლევარი ორივე შემთხვევაში კონცენტრირებული თვით მხატვრული ქმნილების ამა თუ იმ მხარესა და სახეობრივ სისტემაზე. და ეს კონცენტრაცია ყველაზე დიდია იქ, სადაც ლიტერატურული ქმნილების „მხატვრულ ძალას“ აღმოვაჩენთ და მის თავისებურებაში წვდომის სურვილი გაგვიჩნდება. ეს არის რთული სიტუაცია, რომლის წინაშეც დგას მხატვრულ ქმნილებაზე ანალიტიკური, წინარეესთეტიკური დაკვირვება, როდესაც მისთვის უკვე გამოიკვეთება ნაწარმოების მხატვრული ღირებულების აღმოჩენის საკითხი. ე. წ. „ლიტერატურული შეფასებისადმი“ მიძღვნილ მრავალრიცხოვან გამოკვლევებში, რომლებიც ბოლო წლებში გამოჩნდა, მე მგონი, ეს

ვითარება ნათლად ვერავინ შენიშნა. ჯერ ეს ვითარება უნდა გაანალიზდეს როგორც ზოგადად, ასევე ცალკეულ შემთხვევებშიც, **ვიდრე** შევუდგებოდეთ თვით ნაწარმოების „ლიტერატურულ შეფასებას“. როგორც ბოლო მსჯელობიდან გამომდინარეობს, ჩვენ ჯერ კიდევ არა ვართ სათანადოდ მომზადებულნი საიმისოდ, რომ ლიტერატურული ქმნილების „ლიტერატურული“ და „ესთეტიკური“ შეფასების პრობლემის გადაწყვეტას ახლავე შევუდგეთ. ამჟამად ჩვენ ის საკითხიც კი ღიად უნდა დავტოვოთ, „ლიტერატურული შეფასება“ განსაკუთრებული **შემეცნებითი** ოპერაციაა, თუ ერთგვარი მიმართება, რომელიც შემეცნების სფეროს საზღვრებს სცილდება და რომელსაც განსაკუთრებული გრძნობის საუფლოში გადავყავართ. როგორც ჩანს, ერთმნიშვნელოვნად ამის განსაზღვრა შეუძლებელია. არსებობს „შეფასების“ სხვადასხვა ტიპი და სხვადასხვა ყაიდა. ერთნი განსაკუთრებული სახის შემეცნების სფეროს განეკუთვნებიან, ხოლო მეორენი ესთეტიკური მიმღების (des ästhetischen Empfängers) სავსებით განსხვავებულ ქცევებში (Verhaltensweisen) მდგომარეობენ. მაგრამ როგორც კი ლიტერატურული ქმნილების შეფასების ან მისი ღირებულების წვდომის პრობლემას მივადგებით, ნაწარმოებზე მხოლოდ წინარეესთეტიკური ანალიტიკური (ან, შესაძლოა, სინთეზური) დაკვირვებით ვეღარ დავკმაყოფილდებით და ლიტერატურული მხატვრული ქმნილების ესთეტიკურ კონკრეტიზაციათა წვდომის ყაიდის პრობლემის გადაწყვეტას უნდა მივყოთ ხელი.

შენიშვნები:

1. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს, ექვემდებარებიან თუ არა ამგვარ მოდიფიკაციას ის თხრობითი წინადადებებიც, რომლებიც ტექსტში ჩართული არიან, როგორც, მაგალითად, პერსონაჟთა მიერ წარმოთქმული ფრაზები. ამას განსაკუთრებით დრამისთვის აქვს მნიშვნელობა. სხვა პრობლემას შეადგენს საკითხი, რომელი ენობრივი ან შესაძლოა არაენობრივი საშუალებებით გამოიყვანება ფსევდო-მსჯელობათა ეს ხასიათი. ეს ის პრობლემაა, რომელსაც კეტე **ჰამბურგერი*** იკვლევდა. ამას კიდევ დავუბრუნდები იმ საკითხის განხილვისას, თუ როგორ უნდა მიხვდეს მკითხველი, რომ მას, მაგალითად, ამა თუ იმ რომანში მხოლოდ კვაზი-მსჯელობებთან და არა ჭეშმარიტ მსჯელობებთან აქვს საქმე.

2. შდრ. **ლიტერატურული მხატვრული ქმნილება****, § 38.

3. ამ თემას აქ უფრო დაწვრილებით ვერ განვიხილავთ. ლიტერატურული ნაწარმოებების სხვადასხვა ტიპთა სისტემატურ კვლევას შეუძლია ძალიან საინტერესო შედეგები მოგვცეს განუსაზვრელი ადგილების როლთან და აგრეთვე იმასთან დაკავშირებით, რა დამოკიდებულება არსებობს მკაფიოდ განსაზღვრულსა და განუსაზღვრელს შორის.

4. შდრ. ჰ. ლიუცელერის*** მოხსენება დაუსრულებლის შესახებ აღმოსავლურ ხელოვნებაში, წაკითხული ამსტერდამში 1964 წელს ესთეტიკის საკითხებისადმი მიძღვნილს V საერთაშორისო კონგრესზე.

5. სიტყვა „წარმოდგენას“ (Ansicht) ვიყენებ მე აქ — როგორც უკვე „ლიტერატურულ მხატვრულ ქმნილებაში“ იყო მინიშნებული — ძალიან ფართო მნიშვნელობით, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ყველა წარმოდგენას, რომელიც გრძნობითად აღმქმელ სუბიექტს უჩნდება, არამედ იმ „წარმოდგენებსაც“, რომლებიც წარმოაჩენენ ინდივიდუუმთა რეალურ ფსიქო-ფიზიკურ თავისებურებებსა და სტრუქტურებს, თანაც იმისგან დამოუკიდებლად, წარმოშობილნი არიან ისინი ე. წ. „შინაგანი“ აღქმის თუ უცხო სულიერი ცხოვრების წვდომის შედეგად.

---

* კეტე ჰამბურგერი (1896-1992) — გერმანელი გერმანისტი, ლიტერატურათმცოდნე და ფილოსოფოსი. (მთარგმ.)

** რომან ინგარდენის ნაშრომი („Das literarische Kunstwerk“), რომელიც 1931 წელს გამოიცა. (მთარგმ.)

*** ჰაინრიხ ლიუცელერი (1902-1988) — გერმანელი ფოლოსოფოსი, ხელოვნების ისტორიკოსი და ლიტერატურათმცოდნე. (მთარგმ.)

6. ციტირებული ადგილი ამავე დროს გამოგვადგება ადრე მინიშნებული სიტუაციის მაგალითად. კერძოდ, საქმე ეხება წინადადებათა აზრის მოდიფიკაციას სხვა წინადადებათა აზრის ზეგავლენით, რომლებიც წინ უსწრებენ პირველს. თუ ეს წინმსწრები წინადადებები რაღაც მიზეზის გამო უგულებელყოფილ იქნა (ვთქვათ, უბრალოდ, გამოტოვებულია, როგორც ამ ჩვენს მაგალითში), მაშინ მკითხველი მოცემული წინადადებების აზრს გაიგებს მხოლოდ მათში წარმოდგენილი სიტყვებისა და მათი სინტაქსური ფუნქციების საფუძველზე. წინმსწრებ წინადადებათა ექო, რომელიც კონტექსტში მათ აზრს ავსებს ან მის მოდიფიცირებას ახდენს, აქ აღარ ისმის. ამგვარად, ჩვენმა მკითხველმა არ იცის, ვისზეა აქ, კაცმა რომ თქვას, ლაპარაკი, როგორ ფსიქიკურ მდგომარეობაში იმყოფება ის. ჩვენი მკითხველი მხოლოდ გრძნობს, რომ უცნობი [პერსონაჟი] სწორედაც რომ ცნობილია, და იგი [ეს პერსონაჟი] რაღაცნაირ გაურკვეველ ვითარებაში იმყოფება, ვინაიდან მას — როგორც ჩანს — რაღაც სულის შემძვრელი რამ შეემთხვა, მაგრამ ცხოვრების რომელ სფეროში შეემთხვა (სიყვარული იყო ეს, წარუმატებლობა თუ სხვა რამ) და რა მდგომარეობაში შეემთხვა — ეს ყოველივე უცნობია და მკითხველისგანაც რაღაც უცნობად აღიქმება, ისეთ რამედ, რისი ნაკლულებაც აშკარად იგრძნობა, და ის, როგორც ნაკლი, მაშინვე აღმოიფხვრება, როცა კი წინამავალ ტექსტს გავეცნობით. ამასთან კავშირში ამ დროს წარმოშობილ წარმოდგენებს საგრძნობი ზიანი ადგება და ისინი პრინციპში ვიზუალურამდე არიან რედუცირებულნი.

7. წავიკითხოთ აგრეთვე თუნდაც შემდეგი სცენა ჯოზეფ **კონრადის** „ლორდ ჯიმიდან“ (Lord Jim): „ჯიმი მიაბიჯებდა საკომანდო ხიდზე, და საკუთარი ნაბიჯების ხმა ხმამაღლა ჩაესმოდა დიდ სიჩუმეში, თითქოს მათ ფხიზელი ვარსკვლავები ირეკლავდნენ და უკან აბრუნებდნენ; მისი მზერა ჰორიზონტის ხაზის გასწვრივ მიმოდიოდა და თითქოს რაღაც მიუწვდომლის მოხელთებას ხარბად ცდილობდა. მაგრამ მისი თვალები ვერ ამჩნევდნენ მოახლოებული უბედური შემთხვევის აჩრდილს. ერთადერთი ჩრდილი ზღვაზე შავი კვამლის ჩრდილი იყო, რომელიც საკვამურიდან კვლავ და კვლავ ეცემოდა ზღვას, როგორც ვეებერთელა დროშა, რომლის ბოლო ჰაერში განქარდებოდა. ორი მალაიელი — მდუმარედ და თითქმის უძრავად — მართავდა გემს, საჭის ორივე მხარეს მდგარნი, ხოლო საჭის თითბრის კიდე დროდადრო იმ სინათლის ოვალში ბრწყინავდა, კომპასის ხუფიდან რომ ეცემოდა. ზოგჯერ საჭის განათებულ ნაწილზე შავთითებიანი ხელი გამოჩნდებოდა, რომელიც საჭის მანებს რიგრიგობით ეჭიდებოდა. საჭის მილების ფერსოებში ჯაჭვის რგოლები ხმამაღლა ხრჭიალებდა... ჯიმი დროდადრო კომპასს შეავლებდა მზერას...“.

8. ეს შევსება ჩვეულებრივ დაფარულად ხდება, ანუ ენობრივი ორმაგი შრის აშკარა გაფართოების ან შეცვლის გარეშე, თუმცაღა შემავსებელი მომენტი მკითხველის მიერ როგორმე ნაგულისხმევი უნდა იყოს.

9. ამა თუ იმ ნაწარმოების ტექსტის სტრუქტურა არის ის, რაც ამ მოთხოვნას და მის საზღვრებს ადგენს. ყველა ლიტერატურული ტექსტი როდია მკაცრად ერთხმა (einstimmig), მაგრამ არსებობს — ლიტერატურულად კარგად კონსტრუირებულ ნაწარმოებებში — გარკვეული „ლოგიკა“ (მუდმივობა) ამ უთახმოებისა (Unstimmigkeit).

10. უნდა დავამატოთ, რომ კონკრეტიზებულმა ლიტერატურულმა ნაწარმოებმა შესაძლოა სხვა ღირებულებებიც განასახიეროს, ან, უკეთ რომ ვთქვათ, წარმოაჩინოს, მაგალითად, მორალური და პედაგოგიკური ღირებულებები, სოციალური თუ ზოგადკულტურული ყაიდის ღირებულებები, და მაშინ ის ამის შედეგად ადამიანურ და სოციალურ ცხოვრებაში სხვა ფუნქციებს ასრულებს. ოღონდ ყველა ეს შესაძლო ღირებულება მხატვრული ნაწარმოებისთვის მეორეული ბუნებისაა და მათ აქ მხედველობაში ვერ მივიღებთ. მაგრამ, რაც არ უნდა უცნაური ჩანდეს, ჩვეულებრივ, ხელოვნებისა და ესთეტიკის მიღმა მდგომი ეს ღირებულებები მკითხველისა და თვით კრიტიკოსთა უპირველესი ყურადღების საგანია. ამას ძლიერ ურთიერთგანსხვავებული მიზეზები აქვს, რომლებსაც აქ ვერ განვიხილავთ. არცთუ უკანასკნელ როლს ამ დროს ის ერთობ მნიშვნელოვანი გარემოება თამაშობს, რომ, როგორც მკითხველები, ასევე ე. წ. კრიტიკოსები არასაკმარისად არიან აღზრდილნი საიმისოდ, რომ ხელოვნებასთან და ესთეტიკურ საგნებთან სათანადო მიმართება დაამყარონ. ისინი ესთეტიკური ღირებულებების სპეციფიკასა და ხელოვნების თავისებურებას ნათლად არ აცნობიერებენ და, დასაძლევი სირთულეების წინაშე მდგარნი, თავს იმით შველიან, რომ ხელოვნებას სხვა სფეროებში გაურ-

ბიან, სადაც თითქოსდა ღირებულებების შეცნობა და შეფასებაც არც ისე ძნელია. მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებითი საშველია.

11. შდრ. ჩემი სტატია „მოსაზრებანი ობიექტურობის პრობლემის თაობაზე", „ფილოსოფიური კვლევის ჟურნალი" („Zeitschrift für philosophische Forschung"), 1967, 1 და 2.

12. როცა დღევანდელ ლირიკას კითხულობ, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს პოეტები იმ აზრზე დგანან, რომ თავიანთი ნაწარმოები რაც შეიძლება განუსაზღვრელი უნდა დატოვონ, რათა მკითხველის განკარგულებაში რაც შეიძლება ფართო ასპარეზი იყოს დასაშვები კონკრეტიზაციებისთვის, რომლებსაც ის (მკითხველი) თავის ნებაზე ამა თუ იმ სახეს მისცემს. ეს გერმანიაში უკვე შტეფან **გეორგედან** დაიწყო, როცა მან თავის ლექსებში პუნქტუაციის ნიშნებზე ხელი აიღო, რათა ლექსის ინტერპრეტაციისას მკითხველის თავისუფლება არ შეეზღუდა. დღევანდელი ლირიკა ამ მიმართულებით შეუდარებლად შორს მიდის, ისე შორს, რომ კორექტულ, დასრულებულ ფრაზებზე ხშირად უარს ამბობენ, რათა მკითხველს ლექსის თავის გუნებისად შევსების თავისუფლება არ მოუსპონ. ლიტერატურული ნაწარმოების სქემატური ხასიათი ასეთ დროს ზოგჯერ აბსურდულობის ზღვარს უახლოვდება.

გერმანულიდან თარგმნა **ლევან ბრეგაძემ.**

თარგმნილია რაინერ ვარნინგის მიერ შედგენილი კრებულიდან „რეცეფციული ესთეტიკა" (მიუნხენი, ვილჰელმ ფინკის გამომცემლობა, 1994, მე-4 უცვლელი გამოცემა). წინამდებარე სტატია, შემდგენელის შენიშვნით, წარმოადგენს პოლონელი ფილოსოფოსის რომან ინგარდენის (1893-1970) მიერ გერმანულად დაწერილი წიგნის „ლიტერატურული ქმნილების შემეცნებისათვის" („Vom Erkennen des litararischen Werkes", Tübingen, 1968) ფრაგმენტებს (გვ. 11-12, 49-63, 300-311). სათაური („კონკრეტიზაცია და რეკონსტრუქცია") შემდგენელის დარქმეულია (მთარგმ.).

Roman Ingarden. Konkretisation und Rekonstruktion.
Roman Ingarden. Concretization and Reconstruction.
Translated from by ***Levan Bregadze***

ლელა ხაჩიძე

ტიპოლოგიური პარალელები

(VIII-X საუკუნეების ქრისტიანული პოეზიის ისტორიიდან)

ბიზანტიური სასულიერო პოეზიის I პერიოდის „დავიწყებულ“ ავტორთა შორის ყურადღებას იქცევს **ანდრეა პიროსის** „იდუმალებით მოცული“ პიროვნება. ის იყო თანამედროვე და თანამოაზრე ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის რეფორმატორების – იოანე დამასკელის და კოზმა იერუსალიმელისა. ანდრეა პიროსის მოღვაწეობის ხანა ვერ გადასცილდება VIII საუკუნეს (Карабинов 1910: 115).

ანდრეა პიროსის შემოქმედების ძირითად ნაწილს წარმოადგენს დიდმარხვის პერიოდისათვის განკუთვნილი 85 მცირე ფორმის საგალობელი (სტიქარონი). ეს საგალობლები შექმნილია საგანგებოდ „მარხვანისათვის“ და მოიცავს დიდმარხვის ვრცელ პერიოდს — ხორციელის კვირიაკიდან დაწყებული ბზობის პარასკევის ჩათვლით. ანდრეა პიროსის სახელითაა წარწერილი ბერძნულ ხელნაწერებში ბზობის კვირიაკის სტიქარონიც: „მოვედით, უგალობდეთ ახალსა ისრაელსა...“.

დიდმარხვის ამ პერიოდის თითოეულ დღეზე, ცისკრისა და მწუხრის განგებებზე, დადებულია ანდრეა პიროსის 2-2 მცირე ფორმის საგალობელი. გამონაკლისს წარმოადგენს მეოთხე შვიდეულის ოთხშაბათი, რომელზეც 3 მცირე ფორმის საგალობელია დადებული.

ანდრეა პიროსის ყველა ეს სტიქარონი „თჳთძლისპირია“ — ტექსტებთან ერთად, მათი რიტმულ-მელოდიური საზომებიც ამავე ავტორს ეკუთვნის. ეს საგალობლები ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის საუკეთესო ნიმუშებადაა მიჩნეული. ისინი გამოირჩევა მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმით.

იოანე მერკუროპულოს მიხედვით, რომელსაც ეკუთვნის იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის „ცხოვრება“, დიდმარხვისათვის განკუთვნილი „თჳთძლისპირი“ სტიქარონების მთელი ციკლი ეკუთვნის კოზმა იერუსალიმელს და ეს იყო მისი პირველი თხზულებები (Wellesz 1980: 97).

ამ ცნობის საწინააღმდეგოდ, ბერძნულ ენაზე შემონახული მცირე ფორმის საგალობელთა კრებულები ერთხმად აღიარებენ ანდრეა პიროსს საგალობელთა ამ ციკლის ავტორად.

ანდრეა პიროსი წარმოშობით იერუსალიმიდან იყო. იერუსალიმური პერიოდის ჰიმნოგრაფიულ ტრადიციებს ასახავს მისი შემოქმედებაც. ამ ავტორის საგალობლები შექმნილია სახარებისეული საკითხავების იერუსალიმური სისტემის მიხედვით. დიდმარხვის მოსამზადებელი პერიოდიდან იგი იცნობს მხოლოდ ყველიერის შვიდეულს. ამ შემთხვევაშიც ის იერუსალიმურ ტრადიციას ასახავს, რადგან მეზვერისა და ფარისევლის, აგრეთვე უძლები შვილის კვირიაკეები კონსტანტინოპოლურ ნიადაგზე აღმოცენდა და იერუსალიმური პრაქტიკა მათ არ იცნობს (Карабинов 1910: 22-23).

სამეცნიერო ლიტერატურაში ნაჩვენებია ანდრეა პიროსის საგალობელთა კავშირი წინადროინდელ — კერძოდ, ანდრეა კრიტელის შემოქმედებასთან. ბერძნულ ხელნაწერებში დასტურდება ამ ორი ავტორის აღრევის შემთხვევებიც.

ანდრეა პიროსს, თავის მხრივ, გავლენა მოუხდენია VIII-IX საუკუნეების ბიზანტიელ ჰიმნოგრაფთა შემოქმედებაზე.

„ივირონში“ დაცულ ბერძნულ ხელნაწერში № 954 გვხვდება თომა მოციქულისადმი მიძღვნილი ერთი სტიქარონი, რომლის ტექსტი ანდრეა პიროსს უნდა ეკუთვნოდეს, მელოდია კი — თეოფანე გრაპტოსს (Leeb 1970: 45).

ანდრეა პიროსის შემოქმედებაზე დიდი გავლენა მოუხდენია ანდრეა კრიტელის „დიდნი გალობანს“. ეს გარემოება ანდრეა პიროსის მოღვაწეობის პერიოდის დადგენის საშუალებასაც იძლევა.

წარმოვადგენთ ანდრეა პიროსის **ბზობის სამშაბათისათვის** განკუთვნილი „თვითძლისპირი“ სტიქარონის სლავურ და ჩვენ მიერ შესრულებულ პწკარედულ თარგმანს:

Поползуяшися прегрѣшении, и плѣнитися сокрышиися связана, о душе что унываеши; что льнеши ся; бывай присно якоже Тогъ Содома и Гоморры, нечистоты запаленія. Не возвращайся вспять, и будеши яко столпъ сольный, на горѣ спасайся добродѣтелей, бывай присно немилосердиа обогатяго, безъутробія горѣнія. Въ нѣдра прейди Авраамова яко Лазарь, смиренномудріемъ возопій: упованіе мое, и прибѣжище мое, Господи слава Тебѣ.

ცოდვით დავრდომილო
და ცოდვის მუხრუჭით შეკრულო,
სულო ჩემო ბედკრულო,
რაისთჳს შემაძრწუნებ მე?
რაისთჳს მცონარე ხარ?
ილტვოდე მარადის, ვითარცა ლოთი,
უწმინდურებით აღსავსე სოდომისა
და გომორისაგან.

ნუ დაბრუნდები ოდესმე უკან,
რათა არ იქცე მარილის სვეტად,
ხსნას ჰპოვებ მხოლოდ ქველმოქმედებით,
ელტვოდე მდიდარს —
ცოდვილს, უწყალოს,
დაუშრეტელი ცეცხლით რომ იწვის.

შემოუერთდი აბრაამის წიაღს,
როგორც ლაზარე
და ბრძნად იტყოდი:
„შესავედრებელო ჩემო
და ნავსაყუდელო ჩემო,
უფალო, დიდებაჲ შენდა!“

დასავლურ და სლავურ „მარხვანებში“ ანდრეა პიროსის საგალობლები ხშირად წარწერილია, როგორც „αγιαπολιτου“ ან „აღმოსავლური“. ასე მაგ. ბულგარეთში, XI ს-ში გადაწერილ ხელნაწერში — ე.წ. „ბიტოლის ტრიოდიონში“ შესულია რიგი საგალობლებისა, წარწერით: „восточен“.

ანდრეა პიროსის შემოქმედების კვლევისათვის უაღრესად საინტერესო მასალას იძლევა ქართული ხელნაწერები, რომლებშიც ანდრეას სახელით წარწერილია მთელი რიგი საგალობლებისა. ესაა მეცნიერებისათვის ჯერ-ჯერობით უცნობი, შეიძლება ითქვას, **უნიკალური მასალა.** საინტერესოა, რომ ქართულ ხელნაწერებში დასტურდება ტერმინ „ანატოლიურით“ წარწერილი მცირე ფორმის საგალობლებიც.

ამრიგად, ანდრეა პიროსის სახით ჩვენს თვალწინაა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ნაკლებად ცნობილი, შესანიშნავი ავტორი, რომელსაც მცირე ფორმის საგალობელთა მთელი ციკლი შეუქმნია „მარხვანისათვის“.

ანალოგიურ შემთხვევას ვხვდებით ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაშიც. მონოგრაფიაში „იოანე მინჩხის პოეზია“ ჩვენს მიერ ნაჩვენებია ის განსაკუთრებული ღვაწლი, რაც **იოანე მინჩხს** მიუძღვის ქართული “მარხვანის” ფორმირებაში. დიდმარხვის თითოეული დღისათვის მას შეუქმნია მცირე ფორმის საგალობელთა მთელი ციკლი — 88 სტიქარონი, რაც დიდმარხვის ლიტურგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს ქმნის.

დიდმარხვის თითოეულ დღეზე, ჩვეულებრივ, დადებულია მინჩხის 2-2 სტიქარონი — ცისკრისა და მწუხრის განგებათათვის. დიდმარხვის კვირიაკეებსა და განსაკუთრებით მნიშვნელოვან დღესასწაულებზე კი მინჩხის 2-ზე მეტი სტიქარონია წარმოდგენილი.

იოანე მინჩხსაც საგალობლები უწერია დიდმარხვის მთელი პერიოდისათვის -- ხორციელის შაბათიდან დიდი შაბათის ჩათვლით. ეს საგალობლები ჰიმნოგრაფიის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს და ახლებურად განსაზღვრავს ორიგინალური ქართული ჰიმნოგრაფიის დონეს და შესაძლებლობებს.

მინჩხის მცირე ფორმის საგალობლები, ჩვეულებრივ, ზუსტად შეესაბამება „მარხვანში“ მათთვის მიკუთვნებულ ადგილს და ანდრეა პიროსის სტიქარონთა მსგავსად, ასახავს საკითხავთა იერუსალიმურ სისტემას.

წარმოვადგენთ **ბზობის საშშაბათისათვის** განკუთვნილი იოანე მინჩხის ერთერთი მცირე საგალობლის ტექსტს:

„ნეტარ არს, რომელმან გულის ჴმა-ყო
გლახაკისა და დავრდომილისაჲ,
უფალმან დაიცვას იგი
და აცხოვნოს იგი
და სანატრელ ყოს ქუეყანასა ზედა,
რამეთუ თჳთ ღმერთი არს
მამაჲ ობოლთაჲ და მსაჯული ქურივთაჲ
და გლახაკთა მეგობარი
და მჴსნელი ყოველთა დაწუნებულთაჲ
და შემწე, რომელნი ხადიან მას
და ჭეშმარიტად ნეტარ არს კაცი,
რომელი ესავს უფალსა.

წყალობაჲ ღმრთისაჲ ჰფარავს მარადის,
რომელთა ეწყალიან გლახაკნი,
ობოლნი და უღონონი,
ხოლო უწყალოჲ არს
სამართლად საშჯელი უწყალოთათჳს,
იხილეთ მდიდრისაჲ მის,
რომელი მარადის იმოსებოდა
სამოსლითა ბრწყინვალითა
და გლახაკთაჲ არაჲ შეიწყალებდა,
აწ ჰმოსიეს ბნელი ალი ჯოჯოხეთს შინა,
იწუების და არაჲ დაიწუების
და არა ოდეს ჰპოვებს განსუენებასა.

მამაო, ტკბილო და მოწყალეო,
რაჲმცა ვილოცეთ, არა უწყით ჩუენ,
რამეთუ შეგინებულ ვართ
და განმაცჳბრებს ჩუენ
ბრალთა და ცოდვათა ჩუენთა სიმრავლე,
არამედ გევედრებით,
დააწთვე ჩუენ ზედა წყალობაჲ შენი
და ნუ დამსჯი საქმეთაებრ,
რამეთუ შენნი დაბადებულნი ვართ
და მარადის მაქებელნი სახელსა შენსა,
ღირს მყვენ სადგურსა ლაზარეს თანა
და ნუ მდიდარსა მას თანა!“

ქართული ხელნაწერების შედარებითმა შესწავლამ ცხადყო, რომ იოანე მინჩხი იყო შემდგენელი და რედაქტორი „იადგარიდან“ ცალკე კრებულად გამოყოფილი I ქართული „მარხვანისა“, რომელიც შეიცავდა 4 ავტორის შემოქმედებას. პირველ მათგანს — ელია იერუსალიმელს ეკუთვნოდა დიდმარხვის საკვირაო კანონები, თეოდორე სტუდიელსა და სტეფანე საბაწმიდელს კი — საგალობელთა ორი ციკლი (ხაჩიძე 1987: 23-25). სტეფანე საბაწმიდელი ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში ნაკლებად ცნობილი ავტორია და სწორედ ქართული თარგმანები იძლევა მისი შემოქმედების აღდგენის საშუალებას.

I ქართული „მარხვანი“ საფუძვლად დაედო ამ კრებულის ახალ რედაქციებს. იოანე მინჩხის შემოქმედებას კი დიდი გავლენა მოუხდენია შემდგომდროინდელი ქართული პოეზიის განვითარებაზე.

როგორც ვხედავთ, ორივე ავტორი — ანდრეა პიროსი და იოანე მინჩხი უძველესი ტიპის „მარხვანისთვის“ ქმნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს — სტიქარონულ რეპერტუარს. ორივე მათგანის საგალობლები ჰიმნოგრაფიის შედევრებს წარმოადგენს. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ პირველი ქართული „მარხვანის“ ერთ-ერთი ავტორი – სტეფანე საბაწმიდელი კარგად იცნობს ანდრეა პიროსის შემოქმედებას და ერთგვარად, მის გავლენასაც განიცდის.

სახარების საკითხავთა იერუსალიმური სისტემის მიხედვით ბზობის სამშაბათს დადებულია შემდეგი საკითხავები: 1. ლუკა: 16,19-31 (იგავი მდიდრისა და ლაზარეს შესახებ); 2. მათე: 23, 1-39 (იესოს მიერ მწიგნობართა და ფარისეველთა მხილება); 3. იოანე: 9,1-38 (ბრმადშობილის შესახებ); 4. იოანე: 11, 55-57 (მღდელთმოძღუართა და ფარისეველთა განზრახვა).

საინტერესოა, რომ საკითხავთა სწორედ ამ სისტემიდან ორივე ჰიმნოგრაფი ასახავს პირველს (ლუკა 16: 19-31).

მინჩხის საგალობელი მთლიანად ამ იგავითაა შთაგონებული. სახარებისეულ საკითხავის მსგავსია საგალობლის სულისკვეთება, ზოგადი შინაარსიც და ფრაზეოლოგიაც. სახარებისეულ საკითხავში მდიდრის ვედრება საგალობელში ასეა გარდათქმული: „დააწთვე ჩუენ ზედა წყალობაჲ შენი“.

ყურადღებას იქცევს III ტროპარის დასაწყისში წარმოთქმული ერთგვარი „აღსარებაც“, რაც გამოწვეულია ცოდვით დაცემის უღრმესი განცდით.

საინტერესოა საგალობლის II ტროპარში წარმოდგენილი „სამოსლის“ სიმბოლიკა — მდიდრული, ბრწყინვალე სამოსის ტრანსფორმაცია ჯოჯოხეთის ალად: „აწ ჰმოსიეს ბნელი ალი ჯოჯოხეთს შინა“.

მინჩხის ამ საგალობლის ბოლო ტროპარს წარმოადგენს ორიგინალური ღმრთისმშობლისა, რომელშიც ყოვლადწმინდა გააზრებულია პირველქმნილი ედემის განსაახლებად მოვლენილ „სულიერ სამოთხედ“.

ანდრეა პიროსის ამავე დღისათვის განკუთვნილ საგალობელში კი თანაბარი ძალითაა ასახული ძველი და ახალი აღთქმის გარკვეული ეპიზოდები. საგალობლის I ნაწილი, სადაც გვხვდება ლოთის, აგრეთვე სოდომის, გომორის, მარილის სვეტის ხსენება — შთაგონებული უნდა იყოს ანდრეა კრიტელის „დიდნი გალობნის“ III გალობით.

41-ე ფსალმუნის მსგავსად, ავტორი მიმართავს საკუთარ სულს, რომელიც ცოდვის „მუხრუჭითაა“ შებორკილი, მიბაძოს ლოთს, რომელიც განერიდა სოდომისა და გომორის უწმინდურებას და აფრთხილებს, აღარასოდეს გაიხსენოს ის, რაც უარყო, რათა მარილის სვეტად არ იქცეს.

საგალობლის II ნაწილში კი ასახულია ლუკას სახარების იგივე მონაკვეთი, რაც მინჩხის საგალობელში — მდიდრისა და ლაზარეს იგავი.

ავტორი აქაც საკუთარ სულს მიმართავს, რათა განერიდოს სოდომისა და გომორის ტოლფას საფრთხეს — შეუბრალებელი კაცის სიმდიდრეს, რასაც შედეგად დაუშრეტელი ცეცხლი მოსდევს. სახარებაში აღწერილი ლაზარეს ყოფა „წიაღთა აბრაჰამისთა“ მას სულის ხსნად ესახება.

შეიძლება ითქვას, რომ ანდრია პიროსის საგალობელში ავტორის ინტიმური და მძაფრი ემოციები შესაბამისი ფორმითაა მოცემული. აქ ემოცია თითქოს პირველქმნილი სახითაა გადმოცემული. ამ მხრივ ეს საგალობელი ძველი აღთქმის წიგნების მხატვრულ ენასთან დგება. შესაბამისად, მისთვის დამახასიათებელია პასაჟების სიმრავლე ძველი აღთქმიდან.

იოანე მინჩხის მხატვრული სახეები, განწყობილებები, ემოციები არ ჩამორჩება ზემოთ აღწერილს, მაგრამ მათი ფორმა გადმოცემისა გაწონასწორებულია, გონისმიერი. ამ მხრივ ის „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ ენას გვაგონებს.

ვფიქრობთ, დიდმარხვის ერთი კონკრეტული დღისათვის განკუთვნილი ეს საგალობლები საკმაო წარმოდგენას გვიქმნის მათ შემოქმედთა სტილისა და შემოქმედებითი პრინციპების შესახებ.

დამოწმებანი:

Karabinov, Ivan. *„Postnaya Triod“*. Sankt-Peterburg: 1910 (Карабинов, Иван. *Постная Триодь*. СПб.: 1910).

Khachidze, Lela. comp. and ed. *Ioane Minchkhis P'oczia*. Tbilisi: 1987 (ხაჩიძე, ლელა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო. *იოანე მინჩხის პოეზია*. თბ.: 1987).

Leeb, H. *Die Gesänge im Gemeindegottesdienst von Jerusalem* (vom. 5. bis 8 Jahrhudert. Wien: 1970.

Wellesz, Egon. *A History of Byzantine Music and Hymnography*. Oxford: 1980.

Lela Khachidze

Typological Parallels

(Towards the History of Christian Poetry from the 8th to 10th Century)

Summary

Key words: Andrew Pyrrhus, hymnography, stichera.

Among „forgotten" authors of the first period of Byzantine Christian poetry the personality of Andrew Pyrrhus „shrouded in mystery" attracts special attention. He was a contemporary of the reformers of Byzantine hymnography – John Damascus and Kosmas of Jerusalem and shared their ideas. The period of Andrew Pyrrhus's creative activity must be referred to the 8th century. To him belong 85 small-sized hymns created for the „Triodion", all of which are the „Automela".

The hymns by Andrew Pyrrhus are designed for the long period of Lent – from the Apokreos Sunday up to the Palm Friday. These hymns are considered to be the masterpiece of the Byzantine hymnography.

For each day of Lent Andrew Pyrrhus created two small-sized hymns that reflect traditions of the Jerusalemite period. From preparatory period of the Lent he recognizes only the Week of Apokreos. In this case he also follows Jerusalemite tradition because the weeks preceding Lent known as: Sunday of the Publican and Pharisee as well as Sunday of the Prodigal Son germinated in Constantinople and they are not known to Jerusalemite practice.

Andrew Pyrrhus knows very well the creative works of his ancestors, namely Andrea of Crete. On his part, he had an impact on the creations of Byzantine hymnologists of the 8th-9th centuries.

According to John Mercuropulos who wrote "The Life" of John Damascus and Kosmas of Jerusalem the whole cycle of stichera intended for the Lent belongs to Kosmas of Jerusalem and it was his first composition.

In contrast to this the collections of small-sized hymns preserved in Greek recognize in one voice Andrew Pyrrhus to be an author of this cycle.

In Western and Slavonic „Triodions" Andrew Pyrrhus's hymns are often inscribed as „agiapolitou" or „Oriental".

For the research into Andrew Pyrrhus's creative activity extremely interesting material is preserved in ancient Georgian manuscripts which bear a number of inscriptions of Andrew's name on the hymns. This is a unique material as yet unknown to the scholars. In Georgian manuscripts small-sized hymns with the inscription „Anatolian" are also evidenced.

Similar case can be found in the history of Georgian hymnography. Great Georgian hymnologist of the 10th century Ioanne Minchkhi created a whole cycle of small-sized hymns for each day of Lent – 88 stichera that produces one of the most important components of Lent liturgy.

For each day of Lent usually 2 – 2 stichera are composed and for the weeks of Lent and especially important holidays more than 2 of Minchkhi's sticheras are added.

Ioane Minchkhi also wrote the hymns for the whole Lent period – from Apokreos Sunday including the Great Saturday. These hymns represent the best specimens of the hymnography and define the level and opportunities of the original Georgian hymnography in a new way.

Comparative study of Georgian manuscripts has evidenced that Ioanne Minchkhi was a compiler and editor of the first Georgian „Tropologion" separated from „Iadgari" as an independent collection that contained creative works of 4 authors. To the first of them - Elias of Jerusalem belong Canons for the Sundays of Lent, to Stephanus Sabbaites and Theodore Studites – two

cycles of the „Three-Odes". Stephanus Sabbaites is a less known author in Byzantine hymnography and it is Georgian translations that give the possibility to reconstruct his creative works.

The first Georgian „Tropoligion" was a base for the new reduction of this collection. Ioanne Minchkhi's creative work made great impact on the evolution of Georgian poetry for the subsequent period.

Both authors - Andrew Pyrrhus and Ioanne Minchkhi, created one of the most important components for the „Troidion" of ancient type – stichera repertoire. The hymns of both authors represent a masterpiece of hymnography. It is interesting to note that one of the authors of the first Georgian „Troidion" - Stephanus Sabbaites knows very well Andrew Pyrrhus's creativity and experiences his influence.

Minchkhi's small-sized hymns usually exactly correspond to the place given to them in „Troidion" and similar to Andrew Pyrrhus's stichera reflect Jerusalemite system of readings.

A comparison of the hymns belonging to these two authors that are meant for one day of Lent, namely for the Palm Tuesday, gives an interesting picture.

According to Jerusalemite system of Gospel readings on the Palm Tuesday the followings readings are established: 1.Luke: 16,19-31 (Parable of the rich man and Lazarus); 2. Matthew: 23, 1-39 (Jesus rips the scribers and the Pharisees); 3.John: 9, 1-38 (Healing of the blind man); 4.John: 11, 55-57 (the plans of chief priests and the Pharisees).

Interestingly, it is just from this system of the readings that both hymnographers reflect the first – Luke 16,19-31.

Michkhi's ode is written completely from this parable. The spirit of the hymn, general plot and phraseology are also similar to the Gospel reading.

It is interesting to note the symbolic of "garment" represented in the second Troparion – transformation from rich, luxurious garment into the flame of Hell.

The last troparion of Minchkhi's hymn is devoted to the St. Virgin, in which the Most Holy is interpreted as a „spiritual Eden".

In the Ode written by Andrew Pyrrhus meant for the same day certain reminiscences from both the Old and New Testaments are reflected with equal force. The first part of the ode where there is mentioning of Lot, as well as Sodom, Gomorrah, pillar of salt – must have been inspired by third ode of „The Great Canon" of St. Andrew of Crete.

Like Psalm 41, St. Andrew addresses his soul that is sunk in a slumber of sin to follow Lot who kept away from sinful life of Sodom and Gomorrah and warns never to become a pillar of salt by turning back to sinful life.

In the second part of the Ode the same episode from Luke is reflected as in Minchkhi's ode – the parable of the rich man and Lazarus.

Here too the author addresses his soul to avoid the danger equivalent to Sodom and Gomorrah – the wealth of a brutal man that results in unquenchable fire. Lazarus's being in „Abraham's bosom" described in the Gospel seemed to him salvation of the soul.

It can be said that in Andrew Pyrrhus's hymns the author's intimate and tough emotions are given in relevant form. Here the emotion seems to be rendered in original form. In this respect this hymn keeps up with the artistic language of the Books of Old Testament. Hence, the multiplicity of passages from the Old Testament is typical for it.

Ioanne Minchkhi's artistic images, attitudes, emotions do not yield the above mentioned ones but the form of their rendering is equilibrium, sound. In this regard, it reminds artistic language of the Vepkhistqaosani.

In our view, these hymns meant for one concrete day of Lent give rather clear idea on the style and creative principles of the authors.

კონსტანტინე ბრეგაძე

გოეთეს სწავლება ურფენომენზე (Urphänomen) და მისი რეცეფცია გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაში

შესავალი

ქართული ლიტერატურული მოდერნიზმი, როგორც ევროპული ლიტერატურული მოდერნიზმის ორგანული და ორიგინალური ნაწილი, ბუნებრივია, რომ მიყვება და იზიარებს ევროპული ლიტერატურული მოდერნიზმის წიაღში შემუშავებულ პოეტური მეტაენისა და ნარატივის კონცეფციებს, ასევე პოეტოლოგიური პრინციპების ზოგად კანონზომიერებებსა და ესთეტიკური კონცეფციების უმთავრეს პოსტულატებს, და აქედან გამომდინარე, სრულიად ლოგიკურია, რომ ქართულ ლიტერატურულ მოდერნიზმშიც (ისევე როგორც ზოგადად ევროპულ ლიტერატურულ მოდერნიზმში) ვლინდება შემდეგი ორი მხატვრულ-შემოქმედებითი განზომილება: ერთი მხრივ, მითოსური (ბიბლიური, ძველბერძნული, ქართული, შუამდინარული, წინააზიური) არქეტიპების, ხოლო, მეორე მხრივ, თანამედროვე თუ წინამორბედი ფილოსოფიური მოძღვრებებიდან მომდინარე იდეური იმპულსების (შოპენჰაუერი, კირკეგაარდი, ნიცშე, ფროიდი) ესთეტიკური ათვისება, გადამუშავება და ამის საფუძველზე საკუთარი ორიგინალური სახისმეტყველებისა და ფილოსოფიური საზრისის შემცველი უნიკალური მხატვრული ტექსტების შექმნა (მაგ. გრ. რობაქიძის „გველის პერანგი“, „ენგადი“, „ლამარა“; კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“ და „მთვარის მოტაცება“, მისივე ექსპრესიონისტული ნოველები — „ტაბუ“, „ფოტოგრაფი” „ზარები გრიგალში“, „ქალის რძე“, „ხოგაის მინდია“ და სხვა; გალაკტიონის სიმბოლისტური და ექსპრესიონისტული ლირიკა).

თუმცა, ქართული მოდერნისტული მხატვრული ტექსტების ორიგინალობისა და უნიკალურობის უმთავრესი ნიშანი და წინაპირობა ორიგინალური სახისმეტყველება, პოეტური მეტყველება და მხატვრული რიტორიკაა, რაც, ერთი მხრივ, ეფუძნება მხატვრული თხზვის ავტორისეულ დიდ ტალანტს, ხოლო მეორე მხრივ, თითქმის მეცნიერებამდე აყვანილ ენობრივ ექპერიმენტებსა, თუ ლინგვისტურ წიაღსვლებს საკუთარი დედაენის წიაღში. აქაც, ქართველი მოდერნისტი ავტორები, ისევე როგორც მათი ევროპელი კოლეგები, შემოქმედებითი პროცესის პარალელურად თავად ენის ონტოლოგიურ არსს შეიმეცნებენ და ქმნიან პოეტური მეტყველებისა და მხატვრული მეტაენის საკუთარ კონცეფციას (მაგ. გრ. რობაქიძის ცნობილი ესსე „სიტყვის როია“, 1923), რაზეც შემდგომ ქართველი მოდერნისტი ავტორები აფუძნებენ საკუთარ პოეტურ პრაქტიკებს და ახორციელებენ საყოველთაო ფუნდამენტური მოდერნისტული პრობლემატიკის (მეტაფიზიკურ-მითოსური საწყისებისაგან გაუცხოება, ყოფიერებაში თვითიდენტიფიკაციის შეუძლებლობა, ეგზისტენციალური შიში, დეჰუმანიზაცია) საკუთარ ორიგინალურ მხატვრულ რიტორიკასა და სახისმეტველებაზე დაფუძნებულ ესთეტიკურ ათვისებას.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალსიწინებით ცხადია, რომ არც გრ. რობაქიძის (1880-1962) მოდერნისტული შემოქმედებაა გამონაკლისი, და ამდენად, თავის თავში ისიც შეიცავს მოდერნისტული მხატვრული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ ჩემს მიერ ზემოთ გამოყოფილ იმ ორ შემოქმედებით ინტენციასა თუ ტენდენციას: ანუ, რობაქიძის მხატვრულ ტექსტებშიც იმთავითვე უკუფენილი და ინტენცირებულია მითოსური პარადიგმებისა და სხვა და სხვა ფილოსოფიურ მოძღვრებათა ესთეტიკურ-შემოქმედებითი რეცეფციები და მათი ესთეტიკური ათვისება-გადა-

მუშავება, რის საფუძველზეც რობაქიძე უკვე ქმნის ახალ ორიგინალურ მხატვრულ სივრცესა და ახალ ესთეტიკურ ღირებულებას საკუთარი მხატვრული ტექსტების სახით — შდრ. „გველის პერანგი", „ჩაკლული სული", „გრაალის მცველები", „მეგი — ქართველი გოგონა", „ფალესტრა", „ენგადი", „ლამარა", „ლონდა" და სხვ.

მაგრამ ამ მხატვრულ ტექსტებს საყოველთაოდ ცნობილი მითოსური პარადიგმებისა და ფილოსოფიური იდეების „შიშველი" სქემატიზებისა და კოპირების მოსალოდნელი საფრთხისაგან იცავს თავად ამ ტექსტებშივე მოცემული ორიგინალური *მაგიურ-საკრალური* და *დიონისურ-ნათელხილვითი* მხატვრული რიტორიკა (განსაკუთრებით „გველის პერანგსა" და „ლონდაში") და აქედან გამომდინარე, მოდერნისტული მხატვრული ტექსტებისათვის დამახასიათებელი დენადი და სუგესტიური ორიგინალური სახისმეტყველება. ჩემი აზრით, სწორედ რობაქიძესათვის დამახასიათებელი სუგესტიური მხატვრული რიტორიკა და სახისმეტყველებაა პირველ რიგში ის უმთავრესი წინაპირობა, რაც მის მხატვრულ ტექსტებს ანიჭებს ორიგინალობასა და მაღალ ესთეტიკურ ღირებულებას.[1]

ცნობილია, რომ ქართული მოდერნისტული მწერლობის მთავარი იდეოლოგი და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ავტორი სწორედ გერმანელ მწერალსა და მოაზროვნეს, იოჰან ვოლფგანგ გოეთეს (1749-1832) მიიჩნევდა საკუთარი შემოქმედების უპირველეს ინსპირატორად. შეიძლება თამამად ითქვას, რომ რობაქიძე, როგორც მოაზროვნე და მოდერნისტი ავტორი გოეთეანელია, რომელიც თავის ესთეტიკურ და პოეტოლოგიურ კონცეფციასა და ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას უპირველესყოვლისა სწორედ გოეთეს *ურფენომენის* (Urphänomen, *პირველფენომენი, პირველმოვლენა*, რობაქიძის მიხედვით — *თაურმოვლენა*) კონცეფციაზე აფუძნებს. რობაქიძე თავის ფილოსოფიურ თუ ლიტერატურულ წერილებში („სათავენი ჩემი შემოქმედებისა", „ვაჟას ენგადი", „ჩემი ცხოვრება", „პირველშიში და მითოსი" და სხვ.) მუდმივად წინ წამოსწევს გოეთეს *ურფენომენის* კონცეფციის არქეტიპულ როლს როგორც მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების, ისე მხატვრული შემოქმედების პოეტოლოგიური პრინციპების, შემოქმედებითი მეთოდისა და სახისმეტყველებითი პარადიგმების განვითარებისა და ჩამოყალიბების თვალსაზრისით:

გოეთეს მოძღვრება თაურფენომენის შესახებ ჩემთვის საგანთა შემეცნების საფუძვლად იქცა. სინამდვილის ხედვა ჩამოყალიბების პროცესსა და მთელის დინებაში, და არა ცალკეულ მომენტებში — განა მწერლისა (ხაზი ჩემია — კ. ბ.) *და მოაზროვნის უმაღლესი ამოცანა არაა? [...] არა ერთეულის მარადიული დაბრუნება თავის თავისაკენ, არამედ ერთეულში მარადიულის დაბრუნება თავის თავისაკენ. შემდეგში ამ შეცნობამ ხორცშესხმა ჰპოვა ჩემ რომან „გველის პერანგში"* (და არა მარტო აქ, არამედ რობაქიძის ფაქტიურად ყველა მხატვრულ ტექსტში — კ. ბ.) (რობაქიძე 1994: 226, 228).*

---

* მართალია ჩვენში ცალკეული მკვლევარები გარკვეულწილად განიხილავენ გოეთეს *ურფენომენის* მოძღვრებისა და რობაქიძის შემოქმედების ურთიერთმიმართების პრობლემატიკას და რობაქიძის შემოქმედებაში მის რეცეფციას (გომართელი 1997: 163; ლომიძე 2001: 145-151), მაგრამ, სწორედ რომ, *გარკვეულწილად განიხილავენ*, ვინაიდან აღნიშნული პრობლემა დეტალური კვლევის საგანი ჯერ არ გამხდარა, იგი მუდმივად ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა და როგორც წესი, ზოგადი და მიმოხილვითი მსჯელობით ამოიწურებოდა. თუმცა, ამ თვალსაზრისით გამონაკლისს წარმოადგენს მ.კვატაიას სტატია „თაურმცენარის პარადიგმიდან მარადიული დაბრუნების იდეამდე" (კვატაია 2008: 200-209), მაგრამ ავტორი არამართებულ დასკვნას აკეთებს, თითქოს რობაქიძისათვის უპირობოდ მისაღები იყოს ნიცშეს *მარადიული დაბრუნების* კონცეპტი (კვატაია 2008: 208).

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ გოეთეს *ურფენომენის* კონცეფციისა და რობაქიძის შემოქმედების ურთიერთმიმართების სპეციფიკის განსაზღვრა პრინციპულად მნიშვნელოვანია რობაქიძის მთელი მხატვრული შემოქმედებისა და მსოფლმხედველობის კონცეპტუალურად მართებული ინტერპრეტაციის თვალსაზრისით. წინამდებარე სტატიაც აღნიშნული საკითხის ჰერმენევტიკის ცდას წარმოადგენს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი უმთავრესი შემოქმედებითი და პოეტოლოგიური ინსპირაციის წყარო, უმთავრესი იდეურ-ფილოსოფიური კონცეფცია, რომელიც კვებავს და განსაზღვრავს ზოგადად რობაქიძის შემოქმედებას და მის სპეციფიკას საკუთრივ ქართულ მსოფლმხედველობრივ პარადიგმებთან ერთად (ქართული მითოსისა და ქართული ენის მსოფლხატი) არის სწორედ გოეთეს *ურფენომენის* (რობაქიძის მიხედვით „თაურფენომენის“) კონცეფცია, რომელიც რობაქიძის მიერ რეციფირებულ სხვა ფილოსოფიურ მოძღვრებათა იმპლიციტური საფუძველია: ანუ, რობაქიძის შემოქმედებაში რეციფირებული სხვადასხვა რელიგიურ-ფილოსოფიური მიძღვრებანი განხილული და გააზრებულია სწორედ გოეთეს პირველფენომენის მოძღვრების კონტექსტში (მაგ. იგივე ნიცშეს *მარადიული დაბრუნების* კონცეპტი).* რობაქიძის მთელ შემოქმედებაში ექსპლიციტურად თუ იმპლიციტურად მუდმივად მყოფობს გოეთეს სწავლება ურფენომენზე, მაგრამ რობაქიძესთან გოეთეს *ურფენომენის* კონცეფციის რეცეფციის თვალსაზრისით პირველ რიგში უნდა გამოვყოთ ორი ტექსტი, სადაც, ჩემი აზრით, ყველაზე უფრო სრულყოფილად წარმოჩნდა გოეთეს მოძღვრების არქეტიპული მნიშვნელობა რობაქიძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შემოქმედებისათვის: ეს ტექსტებია, ფილოსოფიური ესსე „თაურშიში და მითოსი“ („Der Urangst und Mythos“) რობაქიძის ონტოლოგიურ-ფილოსოფიური ესსეების კრებულიდან „დემონი და მითოსი“ („Dämon und Mythos“) [1935] და *ონტოლოგიური რომანი* „გველის პერანგი“ [1926]. ქვემოთ სწორედ ამ ორ ტექსტზე გავამახვილებ ყურადღებას, ვინაიდან, ვიმეორებ, უპირველესყოვლისა სწორედ ეს ორი ტექსტი ვლინდება გოეთეს *მოძღვრების* რობაქიძისეული რეცეფციის პარადიგმატულ ნიმუშებად.

I. ურფენომენის იდეის რეცეფცია ფილოსოფიურ ესსეში „პირველშიში და მითოსი“

როგორც ცნობილია, გოეთემ *ურფენომენის* კონცეფცია თავისი ბუნებისმეტყველური კვლევების, კერძოდ, ბოტანიკური კვლევების ფარგლებში განავითარა, როდესაც მან წამოაყენა ე. წ. *პირველმცენარის* (Urpflanze) იდეა, რომლის თანახმადაც ორგანული ბუნების ცალკეული ფორმების (გოეთეს მიხედვით „გეშტალტ“-ების „Gestalt“), ამ შემთხვევაში, მცენარეთა სამყაროს ფორმების ეგზისტენცია დეტერმინებულია მათივე მეტაფიზიკური პირველსაწყისებით: ანუ, მცენარეთა სამყაროს მარავალფეროვან სახეობებს („გეშტალტ“-ებს) საფუძვლად უდევს ყველა მცენარისათვის ერთი საერთო, საყოველთაო მეტაფიზიკური *შინასახე* (გოეთეს მიხედვით „ტიპი“, „Typus“), ანუ *პირველმცენარე* (Metzler... 2004: 442-443). შესაბამისად, ბუნების ფენომენები (ამ შემთხვევაში მცენარეთა სამყაროს ფორმები) ემპირიულ სინამდვილეში ვლინდებიან როგორც ამ *პირველმცენარის*, ანუ *ურფენომენის* ემპირიული ემანაციები. გოეთე *პირველმცენარის* იდეას შემდგომ საფუძვლად უდებს ორგანული ბუნების სხვა ფორმებსაც, მაგ. ცხოველთა სამყაროს (იხ. მისი ნატურფილოსოფიური ლექსი „ცხოველთა მეტამორფოზა“/„Metamorphose der Tiere“), და ადამიანის ანთროპოლოგიურ არსსაც (იხ. მისი მისტიკური პოეტური ციკლი „ორფი-

* ის, რომ რობაქიძე ორიგინალში იყო გაცნობილი გოეთეს საბუნებისმეტყველო ნაშრომებს, კერძოდ, გამოკვლევას „მცენარეთა მეტამორფოზის ახსნის ცდა“ (“Versuch die Metamorphose der Pflanzen zu erklären“), კარგად ჩანს ესსეში „პირველშიში და მითოსი“, სადაც რობაქიძე დეტალურად აღწერს და აანალიზებს გოეთესთან *ურფენომენის* იდეის განვითარების გზას და იქვე ამონარიდიც კი მოყავს გოეთეს აღნიშნული გამოკვლევიდან, სადაც გოეთემ თავისი ცნობილი *პირველმცენარის* (Urpflanze) კონცეპტი განავითარა. გარდა ამისა, რობაქიძეს აღნიშნულ ესსეში ასევე ციტატები მოყავს გოეთეს წრილიდან ჰერდერისადმი (17.VI.1787), სადაც გოეთე ჰერდერს ატყობინებს, თუ როგორ მივიდა იგი *პირველმცენარის* (შესაბამისად, *ურფენომენის*) იდეამდე იტალიაში თავისი პირველი მოგზაურობის დროს (რობაქიძე 1935ა: 38-40).

კული პირველსიტყვები"/„Urworte. Orphisch". გოეთეს ურფენომენის კონცეფციასა და ციკლის ურთერთმიმართებაზე დაწვრ. იხ. ნ. ბაქანიძის სატატია „პირველქმნილი ორფიკული სიტყვები" — ბაქანიძე 2004: 90-105). ხოლო ნარკვევში „მცენარეთა მეტამორფოზის ახსნის ცდა" ("Versuch die Metamorphose der Pflanzen zu erklären") (1790) ერთწლიან მცენარეებზე დაკვირვების საფუძველზე გოეთე ავითარებს თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც მცენარის საფეხურებრივი განვითრების (გოეთეს მიხედვით „მეტამორფოზის") ყოველ ეტაპზე თითოეული სეგმენტი, მაგ. ფოთოლი, თავის თავში პოტენციურად შეიცავს მთლიანი მცენარის შინასახეს და შესაბამისად, ამ ცალკეული სეგმენტიდან (მაგ. ფოთლიდან) მთლიანი მცენარის აღმოცენების უნარს (Goethe 2000: 101).

ესსეში „თაურშიში და მითოსი" რობაქიძე ზოგადად ადამიანის, და კონკრეტულად, მოდერნიზმის ეპოქის ადამიანის არსებობის ონტოლოგიის ახსნას სწორედ გოეთეს *ურფენომენის* (შესაბამისად, პირველმცენარის) კონცეფციაზე აფუძნებს. რობაქიძე სუბიექტის ეგზისტენციას ზღვრისეულ სიტუაციაში მოიაზრებს. აქ ეგზისტენციალური საზღვრის როლს მეტაფიზიკური შიშით აღძრული სიკვდილის ფენომენის ინტენსიური განცდა ასრულებს, რომლის მოქმედების შედეგადაც სუბიექტი თავისებური *ან-ან*-ის მდგომარეობაში აღმოჩნდება: ერთი მხრივ, აქ სიკვდილი ვლინდება როგორც აპრიორული ფენომენი, რომელიც საბოლოო ზღვარს უდებს სუბიექტის შემდგომ ეგზისტენციას და გადაჰყავს იგი არარასეულ განზომილებაში, ანუ, აქ სიკვდილი გვევლინება სუბიექტის *სუბიექტურობის*, მისი *თვითობის* (Selbst) გაქრობისა და მოსპობის აპრიორულ წინაპირობად; ხოლო, მეორე მხრივ, რობაქიძე უშვებს სიკვდილის, ანუ მეტაფიზიკურის ზღვარზე მყოფი სუბიექტის თავის მითოსურ პირველსაწყისებთან, ანუ პირველფენომენისეულ ტრანსცენდენტურ სივრცეში დაბრუნებისა და მისი არაემპირიულის სფეროში შემდგომი ეგზისტენციის შესაძლებლობასაც:

ჩვენ თაურშიშისთვისა ვართ განწირულნი.

თუმცა ყოველი ზღვარი ორლესულია („zwieschneidig"), და სწორედ იქ, სადაც არადმყოფელი („nichtend") სიცარიელე ჩასაფრებულა, იქვე მოისმის ღვთის სუნთქვაც. დაუშრეტელად ღვივის ჩვენში თაურსაწყისი („Urbeginn"). იგი იდუმალ მყოფობს ყოველ საგანსა და ყოველ მოვლენაში [ციტატის თარგმანი სტატიის ავტორს ეკუთვნის — კ. ბ.] (Robakidse 1935a: 36).

ამგვარად, ამ ზღვრისეულ ეგზისტენციაში წარმოიქმნება სწორედ სუბიექტის არსებობისეული *ან-ან:* იგი *ან* კარგავს თავის სუბიექტურობას და არარასეულ განზომილებაში ქრება, *ან* სუბიექტი საკუთარი ტრანსცენდირებადი ენტელექიის საფუძველზე ტრანსცენდირებს და უერთდება არაემპირიულ, მეტაფიზიკურ პირველფენომენისეულ განზომილებას. შესაბამისად, აქ საკითხი დგას ასეც: თუ, რა არის სუბიექტის სუბიექტურობის, პიროვნულობის არსებობის წინაპირობა — მხოლოდ ემპირიული სინამდვილე, თუ არაემპირიული სინამდვილეც; ანუ, შეუძლია თუ არა სუბიექტს საკუთარი ენტელექიის საფუძველზე, რომელიც ორგანული ბუნების სხვა ფორმებისაგან (მაგ. მცენარეებისაგან) განსხვავებით თავისთავად კი არ ვითარდება, არამედ საკუთარი ცნობიერებისეული ნებელობის საფუძველზე, ე. ი. შეუძლია თუ არა სუბიექტს ტრანსცენდირება (გადალახვა, გადასვლა), ანუ ზღვრისეული მდგომარეობის დაძლევისას საკუთარი სუბიექტურობის არაემპირიულ და ტრანსცენდენტურ სინამდვილეშიც შენარჩუნება (აღნიშნულ საკითხზე იხ. ქვემოთ).

სუბიექტის ამ აპრიორული ზღვრისეული ეგზისტენციის ჰერმენევტიკას რობაქიძე ესსეში შემდგომ ახორციელებს სწორედ გოეთეს *ურფენომენის* მოძღვრების ჭრილში:

სავსებით არამართებული ჩანს მარადიული კვლავმობრუნების ამგვარი (ე.ი. ნიცშესეული — კ. ბ.) *გააზრება: არა ცალკეული უბრუნდება თავისთავს მარადიულად, არამედ მარადიული უბრუნდება თავისთავს ცალკეულში, ე. ი. თაურსაწყისი.*

იგია ამ ქვეყნად ყველა მოვლენის თაურმითოსი. [...] თაურმცენარის იდეამ ერთბაშად გადაწყვიტა უმნიშვნელოვანესი პრობლემები. პირველად მსოფლიო ისტორიაში მთელი ყოფიერება სახეობრივ-ბუნებითი მჭვრეტელობის საფუძველზე („bild- und natursichtig") მითოსურ რეალობად იქნა შემეცნებული. [...] თაურმცენარე მცენარის მითიური სინამდვილეა — არა ისტორიული ფაქტი, ერთჯერადი მოვლენა, არამედ კოსმიური, რომელიც მუდმივად ვლინდება. თაურმცენარე მითოსის გრძნობად-პოეტური სახეა. [...] ასე თვლემს ყოველ საწყისში პირველსაწყისი და მარადიული ხორცს ისხამს ცალკეულში. და როდესაც ცალკეული („das Einzelne") მარადიულის („das Ewige") გამანაყოფიერებელ მოქმედებას თავის თავში შეიგრძნობს, მაშინ ის მარადიულის თანაზიარი შეიქნება. და შემდგომ მისთვის (ე. ი. ცალკეულისთვის, ანუ სუბიექტისთვის — კ. ბ.) *ის მომაკვდინებელი ზღვარი აღარ იქცევა უცილობელ საფრთხედ, და საკუთარი თვითობაც („Selbst") გადარჩება მეტაფიზიკურ ზღვართან შეხლისას* [ციტატის თარგმანი სტატიის ავტორს ეკუთვნის — კ. ბ.] (Robakidse 1935ა: 38, 41-42).

პირველ რიგში ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ აქ რობაქიძე გოეთეს *ურფენომენის* კონცეფციის ჭრილში ნიცშეს *ერთიდაიმავეს მარადიული დაბრუნების* („die ewige Wiederkunft des Gleichen") კონცეპტის კორექტირებას ახდენს: კერძოდ, როგორც ცნობილია, ნიცშეს მიხედვით ყოფაში სუბიექტის არსებობა *სიცოცხლის*, როგორც ყოფიერების მეტაფიზიკური და ირაციონალური საწყისის საფუძველზე დროში უსასრულოდ მეორდება როგორც დაბადებისა და სიკვდილის ერთიდაიგივე უსასარულო პროცესი: „ყოველი მიდის, ყოველი ბრუნდება; მარად ბრუნავს ბორბალი ყოფისა. ყოველი კვდება, ყოველი კვლავ ჰყვავის, მარად რბის წელი ყოფისა. ყოველი წარხდების, ყოველი ახლად ეწყობა; მარად შენდება იგივე სახლი ყოფისა. ყოველი განიყრება. ყოველი ახლად შეიყრება; მარად ერთგულია თავისა წრე ყოფისა" (ნიცშე 1993: 166). შესაბამისად, ყოფაში არავითარი საბოლოო არსებობისეული მიზანი უკვე აღარ არის მოცემული, და ამდენად სუბიექტის ეგზისტენციაც საზრისსაა მოკლებული, რამდენადაც *მარადიული დაბრუნების* კონცეპტით ნიცშემ იმთვაითვე გააუქმა *მეტაფიზიკური ნუგეში* („metaphysischer Trost"), ანუ, სუბიექტის ტრანსცენდენტურში შემდგომი არაემპირიული ეგზისტენციის შესაძლებლობა, და ამდენად ადამიანის არსებობა აბსურდად აქცია (მეტაფორულად რომ ვთქვათ, ადამიანის არსებობა დოლურაში გამომწყვდეული მორბენალი ზაზუნას არსებობას დაემსგავსა):

[...] ყოფა, ისეთი, როგორიც ის არის, საზრისსა და მიზანსაა მოკლებული, მაგრამ შეუქცევადია და განმეორებადი; ფინალობას მოკლებული, იგი არარაში ისწრაფვის: მარადიული კვლავდაბრუნება. ეს არის ნიჰილიზმის უკიდურესი ფორმა: მარადიული არარა („უსაზრისობა") [ციტატის თარგმანი სტატიის ავტორს ეკუთვნის — კ. ბ.] („[...] das Dasein, so wie es ist, ohne Sinn und Ziel, aber unvermeidlich wiederkehrend, ohne ein Finale ins Nichts: die ewige Wiederkehr. Das ist die extremste Form des Nihilismus: das Nichts (das „Sinnlose") ewig!") (Nietzsche 1996: 194)

ამის საპირისპიროდ გოეთეს *ურფენომენის* მოძღვრებაზე დაყრდნობით რობაქიძე ესსეში „პირველშიში და მითოსი„ ავითარებს ონტოლოგიურ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც სუბიექტი („ცალკეული") თავისი ტრანსცენდირებადი შინაგანი არსიდან (ენტელექიიდან) გამომდინარე იმთავითვე ისწრაფვის ურფენომენისაკენ, ანუ პირველსაწყისისეული ეგზისტენციისაკენ, მეტაფიზიკური პირველსაწყისებისაკენ, ანუ საკუთარი ჭეშმარიტი არსებობისაკენ. თავის მხრივ კი ობიექტი, ამ შემთხვევაში ურფენომენი, ანუ მეტაფიზიკური პირველსაწყისი, ემპირიულ სინამდვილეში ვლინდება ორგანული ბუნების მრავალფეროვანი ფორმების სახით — მცენარეთა და ცხოველთა სამყარო, თავად ადამიანის მრავალფეროვანი ანთროპოლოგიური არსი და მისი ისტორიული ყოფა, რომელიც ვლინდება ეროვნული კულტურების მრავალფეროვანების სახით. ამდენად, *ურფენომენი* (პირველფენომენი, თაურფენომენი) ვლინდება მოვლენათა სამყაროს, ე.ი. ემპირიული სინამდვილის ფენომენებში, რომ-

ლებიც კვლავ უბრუნდებიან ურფენომენისეულ ჭეშმარიტ ეგზისტენციას. აქ გვაქვს სუბიექტ-ობიექტის დიალქტიკური მთლიანობა და მათი ურთიერთგამომდინარეობა. შესაბამისად, ყოფიერებაში სუბიექტი მუდმივად, უსასრულოდ კი არ გადის სიკვდილ-სიცოცხლის ერთსა და იმავე ციკლს, რასაც ნიცშეს მიხედვით საფუძვლად უდევს *სიცოცხლე* (Leben), როგორც ყოფიერების მეტაფიზიკური ირაციონალური აპრიორული პირველსაწყისი, არამედ ყოფიერებაში მარადიული, ანუ ურფენომენისეული მარადიულად ვლინდება ემპირიული სინამდვილის ცალკეულ ფორმებში, მათ შორის ადამიანის ანთროპოლოგიურ არსშიც, და მარადიულობისაკენ, ანუ ურფენომენისაკენ სწარფვის უნარს ანიჭებს მათ — მცენარეებსა და ცხოველთა სამყაროში ეს სწრაფვა გაუცნობიერებლია, ხოლო ადამიანში გაცნობიერებული (შდრ. გოეთეს ციკლი „ორფიკული პირველსიტყვები“).

ამგვარად, რობაქიძის მიხედვით *ურფენომენი* მარადიულად ვლინდება ემპირიული სინამდვილის ფენომენებში, რომლებიც შემდგომ აპრიორულად უბრუნდებიან პირველფენომენისეულ ჭეშმარიტ ეგზისტენციას, რამდენადაც ემპირიული სინამდვილის ფენომენთა მრავალსახოვნებას, ანუ *გეშტალტებს*, ერთი საერთო, საყოველთაო *შინასახე* (გოეთეს მიხედვით *ტიპი*) უდევს ონტოლოგიურ საფუძვლად (მაგ., გოეთესთან მცენარეთა სამყაროს მრავალფეროვნება თავს იყრის *პირველმცენარეში*, ანუ ერთიან საყოველთაო მცენარესეულ *ურფენომენში*). თუმცა, შემდგომ რობაქიძე ერთგავარდ აფართოვებს გოეთეს ურფენომენისეულის სფეროს და მისკენ მიმართავს როგორც ცალკეული სუბიექტის, ისე ერებისა, და შესაბამისად, მთელი კაცობრიობის ეგზისტენციას, რომლებიც, ერთი მხრივ, წარმოადგენენ პირველადამიანის (ამ შემთხვევაში ბიბლიური ადამის) ემპირიულ გამოვლინებებს ისტორიულ სივრცეში, სადაც, როგორც ცალკე სუბიექტი, ისე ერი და მთელი კაცობრიობა თავის თავში ატარებს პირველადამიანის შინასახეს. ხოლო, მეორე მხრივ, სუბიექტის, ერისა, და შესაბამისად, კაცობრიობის ონტოლოგიური ამოცანა და მისი ეთიკური მზაობისა და ქმედების საფუძველია ამ პირველადამი(ანი)სეული, ანუ ურფენომენისეული საწყისებისაკენ შეუქცევადი სწრაფვა, რაც რობაქიძის ონტოლოგიური დაშვების თანახმად აპრიორულადაა მოცემული ადამიანის (შესაბამისად, კაცობრიობის) შინაგან არსში (რობაქიძე 1994: 231-232).

შესაბამისად, რობაქიძის მიხედვით, გოეთეს *ურფენომენის* მოძღვრებაში მთელი ემპირიული სინამდვილე და მასში მოცემული ორგანული ბუნების ფენომენები მოიაზრება არა როგორც საგანთსამყარო (Dingwelt), ე. ი. მხოლოდ როგორც წმინდად მატერიალური სინამდვილე, არამედ როგორც პირველსაწყისებისაკენ წინმსწარფველი ცხოველმყოფელი ფენომენები, რომელთა არსებობის საფუძველსაც სწორედ მეტაფიზიკური პირველფენომენისეული რეალობა ქმნის, რასაც რობაქიძე სხვაგვარად „მითოსურ რეალობას“ უწოდებს: ანუ, რობაქიძის (შესაბამისად გოეთეს) თანახმად ყოფიერებაში მუდმივად, დაუსრულებლად მოცემულია *ურფენომენის* მეტაფიზიკურიდან ფიზიკურში, მითოსურიდან ისტორიულში და პირუკუ მიმოქცევა. რობაქიძის მიხედვით სწორედ ყოფიერებისა და ადამიანური ეგზისტენციის ამგვარი გაგებაა პირველშიშისა და არარასეულ განქარვებაში არ აღმოჩენის შესაძლებლბის წინაპირობა.

ამიტომაც, რობაქიძის თანახმად სწორედ გოეთეს პირველფენომენის მოძღვრებაა დასავლეთის გონის ისტორიაში ის ერთადერთი მსოფლმხედველობრივი და ონტოლოგიური კონცეფცია, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მოდერნიზმის ეპოქის ფუნდამენტური ონტოლოგიური და ეგზისტენციალური პრობლემების გადაჭრა (მეტაფიზიკურ-მითოსური საწყისებისაგან გაუცხოება, ყოფიერებაში თვითიდენტიფიკაციის შეუძლებლობა, ეგზისტენციალური შიში, დეჰუმანიზაცია), რაც რობაქიძის რწმენით არც გოეთემდე (კანტი) და არც გოეთეს შემდგომ (ნიცშე) ვერცერთმა დასავლურმა ფილოსოფიურმა სისტემამ ვერ შეძლო, ვინაიდან როგორც კანტთან, ისე ნიცშესთან იმთავითვე გამორიცხულია სუბიექტის მიერ საგანთა მეტაფიზიკური

არსის ჭვრეტა და მასთან სუბსტანციონალური შერთვა:

თუმცა მითოსური ხილვით საგანთა ჭვრეტის ნიჭი უკვე დიდი ხანია დაკარგულია და მომაკვდინებლად ცივი ცნებები კი აქ საბოლოოდ გვიმტყუნებენ. საბედნიეროდ ამ თვალსაზრისით დასავლეთში ერთი დიდი გამონაკლისი მაინც არსებობს: გოეთე [ციტატის თარგმანი სტატიის ავტორს ეკუთვნის — კ. ბ.] (Robakidse 1935ა: 38).

ამიტომაცაა, რომ მოდერნიზმის ეპოქაში თანამედროვე ადამიანის მიერ არსებობის შიშის დაძლევის შესაძლებლობის უმთავრეს მსოფლმხედველობრივ ბაზისად რობაქიძეს სწორედ გოეთეს *ურფენომენის* მოძღვრება ესახებოდა, რაზეც იგი თავის ესსეში „პირველშიში და მითოსი" პირდაპირ მიუთითებდა:

ამგვარად, მითოსური რეალობის (ე. ი. ურფენომენისეული სინამდვილის, მეტაფიზიკური პირველსაწყისების — კ. ბ.) *ცხოველმყოფელი შინაგანი განცდა და ქმნადობა („das lebendige Innewerden") წარმოჩნდება ერთადერთ გზად, რათა დაძლეულ იქნას პირველშიში* [ციტატის თარგმანი სტატიის ავტორს ეკუთვნის – კ. ბ.] (Robakidse 1935ა: 42).

II. ურფენომენის იდეის რეცეფცია რომან „გველის პერანგში"

ახლა ვნახოთ, თუ როგორ ვლინდება გოეთეს *ურფენომენის* კონცეფცია საკუთრივ რობაქიძის ესთეტიკურ მრწამსსა და მის შემოქმედებით მეთოდში.

რობაქიძის ესთეტიკურ კონცეფციაში გოეთეს *ურფენომენის* იდეა უკავშირდება *მითოსის* ცნებას, *მითოსის* გაგებას, რობაქიძესთან *მითოსი* და *ურფენომენი* ფაქტიურად სინონიმური, ურთიერთიდენტური ცნებებია:

კონკრეტული წარმოდგენისათვის მითოსისა მე ყოველთვის ვიგონებ ხოლმე გოეტჰეს სწავლას „ურფენომენ"-ზე (თაურმოვლენაზე), რომელიც უგენიალურესი ცნაურებაა დასავლეთის კულტურაში გონისა. ორი სიტყვით იგი. მცენარე ცხადდება განამდვილებით რომელიმე ხტილში თავისი ვითარებისა: ან მორჩობისას, ან ცენებისას, ან ყლორტობისას თუ ფოთლობისას, ასე ვთქვათ „წილობით" და არა „მთლად". გოეტჰე იკვლევს მცენარეს ორმაგი ჭვრეტით: წინისკე — მორჩითგან ყლორტამდე თუ ფოთლამდე, უკანისკე — ყლორტითგან თუ ფოთლითგან მორჩამდე. ამჩნევს: ამ ვითარების ხაზზე მცენარის ყოველი ნაწილაკისაგან შესაძლოა წარმოიშვას მთელი მცენარე. მაშასადამე, მცენარე მთელი ყოველ ხტილში მისის ვითარებისა ვირტუალურ უნდა იმყოფებოდეს. და აი, 1786 წელს ხედავს ვაიმარელი მესაიდუმლოე სიცილიაში წარმოსახვით თაურმცენარეს მცენარეში. ანუ: შინა-სახეს მცენარისა. თაურმცენარე იღებს სახელს „ურფენომენი". [...] დასკვნა: თაურმცენარე მცენარისათვის მითოსია — ვითარ არასოდეს ხილული მყოფადი, ხოლო ყოველთვის გულვებული (რობაქიძის კრებული... 1996: 166-167).

აქ აშკარაა, რომ რობაქიძესთან *მითოსური* უდრის *ურფენომენისეულს*, და პირიქით. ხოლო, როგორც ცნობილია, რობაქიძის მხატვრული ტექსტებში — რომანებში, დრამებში — a priori მითოსური პარადიგმებია ინტეგრირებული, ანუ მისი მხატვრული ტექსტების უპირველესი პოეტოლოგიური მახასიათებელია მითოსური სახისმეტყველებითი თხზვის წესი, რასაც რობაქიძე „მითოსურ რეალიზმს" უწოდებს. ასეთი ტიპის მხატვრულ ტექსტებში კი მუდმივი მონაცვლეობაა მითოსურის, ანუ ურფენომენისეულის, პირველსაწყისისეულისა ერთი მხრივ, და ისტორიული ხდომილებისა მეორე მხრივ: ანუ, რობაქიძის მხატვრულ ტექსტებში გვაქვს მუდმივი მონაცვლეობა და ურთიერთგამომდინარეობა *შინაგანისა* და *გარეგანის*, შესაბამისად, *მითოსურისა* და *ისტორიულის*, *ტრანსცენდენტურისა* და *ემპირიულის*.

აქედან გამომდინარე, ასეთი მხატვრული ტექსტების პერსონაჟები მხოლოდ ისტორიულ გარემოში მოქმედი „ისტორიული" პერსონაჟები კი არ არიან, არამედ ისინი ეგზისტენციალური თვალსაზრისით აპრიორულად ისწრაფვიან საკუთარი

პირველსაწყისისეული მდგომარეობის მოსაპოვებლად: ანუ, რობაქიძის პერსონაჟების კონკრეტულ ისტორიულ გარემოში, ემპირიულ სინამდვილეში არსებობა დეტერმინებულია მათივე მითოსური, ანუ პირველფენომენისეული საწყისებით: რობაქიძის პერსონაჟების ქცევის საფუძველი სწორედ მითოსური პირველსაწყისებისაკენ სწრაფვაა (რობაქიძის რომანების პოეტიკის თავისებურებებზე დაწვრ. იხ. ჩემი სტატია „გრიგოლ რობაქიძის რომანების პოეტიკა“, ბრეგაძე 2010ა: 58-68).

რობაქიძის შემოქმედებაში *მითოსური რეალიზმის*, როგორც შემოქმედებითი კონცეფციისა და მეთოდის ყველაზე უფრო სრულყოფილი მხატვრული რეალიზებაა რომანი „გველის პერანგი“. რობაქიძე რომანის სიუჟეტურ ხაზს, თავად მთავარი პერსონაჟის, არჩიბალდ მეკეშის გზას გოეთეს მიერ *ურფენომენის* მოძღვრების ფარგლებში შემუშავებულ სუბიექტ-ობიექტის ურთიერთმიმართების სქემას უდებს საფუძვლად, რომლის მიხედვითაც *ცალკეული* (სუბიექტი) იმთავითვე ისწრაფვის *საყოველთაოსაკენ* (ობიექტისაკენ), ანუ, ამ შემთხვევაში ურ(პირველ)ფენომენისეული ეგზისტენციისაკენ. ამ სვლას სუბიექტი (ამ შემთხვევაში რობაქიძის პერსონაჟები) — ისევე როგორც გოეთეს *ურფენომენის* მიძღვრებაში ცალკეული მცენარე — ერთდროულად ორი მიმართულებით წარმართავს: *წინ* (vorwärts) — ემპირიული სინამდვილის ფარგლებში და *უკან* (rückwärts) — პირველფენომენისული ყოფიერებისაკენ. ანუ, წინსვლა, მომავლისაკენ სვლა, ამავდროულად არის უკუსვლა, ანუ წარსულისაკენ დაბრუნება. ამ შემთხვევაში სუბიექტი ტრანსცენდირებს, რის საფუძველზეც იგი ემპირიულ დროსა და სივრცეს გადალახავს და პირველფენომენისეული ეგზისტენციის კვლავ მოპოვებას ესწრაფვის.

რობაქიძის რომანის მთავარი პერსონაჟი, არჩიბალდ მეკეში სწორედ ამ ორმხრივ, ორმაგ ეგზისტენციალურ გზას გაივლის: ერთი მხრივ, იგი ახორციელებს სვლას *წინ*, რაც მისი ისტორიულ გარემოში, ე. ი. ემპირიულ სინამდვილეში ყოფის ადეკვატურია; ხოლო, მეორე მხრივ, სვლა *წინ*, ანუ ემპირიულ სინამდვილეში ეგზისტენცია ამავდროულად არის სვლა *უკან* — ანუ, მეტაფიზიკური ძირებისაკენ დაბრუნება, მისი მოპოვება და ამგვარად ჭეშმარიტი ეგზისტენციის დამკვიდრება. რომანში არჩიბალდ მეკეშის წინაპართა ნამოსახლარზე დაბრუნება, იქ დაფუძნება, მატასის ცოლად შერთვა და ნამოსახლარის კვლავ აღორძინება სიმბოლურად სწორედ სუბიექტის ამ ონტო-ეგზისტენციალურ აქტს განასახიერებს. შესაბამისად, რომანში ინტენცირებული მამის ძიების მოტივი სიმბოლურად სწორედ პირველსაწყისის ძიებას, ურფენომენისეული ეგზისტენციისაკენ სწრაფვასა და მის მოპოვებას განასახიერებს.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა რომანის სქემა, რომელსაც რობაქიძე გადმოსცემს თავის ლიტერატურულ წერილში „სათავენი ჩემი შემოქმედებისა“:

გველის პერანგი: შვილი, რომელსაც საქართველო სიზმრად ახსოვს, დაეძებს დაკარგულ მამას; „მამის“ ძებნაში იძვრის თანდათან, მეტი და მეტი სიმძაფრით, შორეული ფესვი: „მამული“; „მამულის“ ნახვაში იელვებს ხანისხან: თაური ყოვლისა, „მამა“ უზენაესი. ერთი რკალი მოიცვის მეორეთი, მეორე მესამეთი — აქ „მოცვა“ სრულდება. გმირის თავგადასავალი: გარეგან — წინსვლა, შინაგან — უკუქცევა (რობაქიძის კრებული... 1996: 86).

აქ, საკუთარი რომანის სქემის გადმოცემისას აშკარაა, რომ რობაქიძე თავის რომანის სიუჟეტურ ხაზს, კომპოზიციას, სახისმეტყველებასა და პერსონაჟისეულ ქცევას, ერთი სიტყვით, რომანის მთელ პოეტიკას სწორედ გოეთეს მიერ კონციფირებულ *პირველმცენარის* — შესაბამისად, *ურფენომენის* — კონცეპტზე აფუძნებს, რომლის თანახმადაც ცალკეული ემპირიული მცენარე ერთდროულად ვითარდება როგორც *წინ*, ისე *უკან*: ანუ, ერთი მხრივ, საკუთარი მორფოლოგიიდან გამომდინარე მცენარე ემპირიულ სინამდვილეში ავლენს თავს, რაც არის სვლა წინ (გოეთეს მიხედვით „მეტამორფოზა“), ე. ი. განვითარება ჩანასახოვანი მდგომარეობიდან ვიდრე ნაყოფამდე; მაგრამ, მეორე მხრივ, კონკრეტულ ემპირიულ მცენარეში ამავდრო-

ულად მოცემულია თავად მისი მეტაფიზიკურ-მითოსური *შინასახე, პირველმცენარე,* და შესაბამისად, ემპირიული მცენარის გარეგანი განვითარება ამავდროულად საკუთარ მცენარეულ პირველსაწყისებთან დაბრუნებაა, რამდენადაც მის ემპირიულ მორფოლოგიაში „მითოსურად", მეტაფიზიკურად მყოფობს პირველსაწყისისეული (პირველმცენარესეული) ენტელექია (Goethe 2000: 64-65, 100-101).[2]

აქედან გამომდინარე, რობაქიძისათვის ონტოლოგიური ჭეშმარიტება ფენომენის ერთდროულად ორმხრივ, ორი მიმართულებით განვითარებაში მდგომარეობს: ერთი მხრივ, *წინ,* როდესაც სუბიექტი ემპირიული რეალობის ფარგლებში ავითარებს თავის სუბიექტურობას, და მეორე მხრივ, *უკან,* როდესაც ამ განვითარებაში სუბიექტი ტრანსცენდირებს და ისწრაფვის თავისი მითოსური პირველსაწყისებისაკენ, ანუ მამისეული ყოფიერებისაკენ. არჩიბალდ მეკეში სწორედ ამ ორმაგ გზას გადის: მისი წინსვლა, ანუ ისტორიულ გარემოში დროითი და სივრცითი სწორხაზოვანი გადაადგილება (ე. ი. მომავლისკენ სვლა), ამავდროულად არის უკუსვალა, ანუ მითოსურ (არაისტორიული), ე. ი. ურფენომენისეულ საწყისებთან დაბრუნება (ე. ი. წარსულში დაბრუნება).

აქედან გამომდინარე, არჩიბალდ მეკეშში, როგორც *ცალკეულში (*ანუ, გოეთესეულ „გეშტალტში") მითოსურად მყოფობს საკუთარი *გვარის* (ანუ, გოეთესეული „ტიპის", მთელის) პირველსახე (რობაქიძის მიხედვით — „შინა-სახე"). არჩიბალდ მეკეში და მისი წინაპრები (ირუბაქ, რადამე, კარდუ, ასევე რამდენიმე „ვინმე თავადი ირუბაქიძე") გვევლინებიან ირუბაქიძის გვარის (ურფენომენის) *ცალკეულ* გამოვლინებებად (ფენომენებად, "გეშტალტებად") ემპირიულ-ისტორიულ სინამდვილეში, ხოლო თითოეულ ირუბაქიძეში იმთავითვე მყოფობს ამ გვარის პირველსახე (შინასახე), მითოსური პირველირუბაქიძე (ურფენომენი), რაც რომანში სიმბოლიზებულია *მზის ნიშნით,* რომელსაც მკერდზე ყოველი ირუბაქიძე ატარებს (იხ. თავი „ირუბაქიძე"). ამიტომაა, რომ არჩიბალდ მეკეში ანთროპოლოგიურად ზუსტად იმეორებს საკუთარი წინაპრების როგორც ფიზიკურ, ისე მენტალურ და ფსიქიკურ ნიშანთვისებებს.

ვინაიდან რომანის ნარატიული ასპექტი არჩიბალდ მეკეშის მოგზაურობაზეა აგებული, შესაბამისად, რომანის სიუჟეტში მითოსური და ისტორიული განზომილებების მუდმივი მონაცვლეობაა მოცემული, ისინი ერთმანეთში გადადიან და ურთიერთგამომდინარეობენ: რომანის ნარატივში მუდმივი მონაცვლეობაა *შინაგანისა* და *გარეგანის, ფიზიკურისა* და *მეტაფიზიკურის, ურფენომენისეულისა* და *ფენომენისეულის.* ამიტომ, რომანის ნარატივისა და სახისმეტყველების ორმაგობიდან გამომდინარე, რომანში ორმაგი სახისმეტყველებითი ფუნქცია აქვს *მამის* მხატვრულ სახეს: ერთი მხრივ, იგი არჩიბალდ მეკეშის ფიზიკურ-ბიოლოგიური, ემპირიული მამაა (თამაზი, თამუნჩო), მაგრამ ამავდროულად *მამის* სახეს წმინადად მითოსური დატვირთვაც აქვს და იგი სიმბოლურად განასახიერებს მითოსურ პირველსაწყისებს, პირველფენომენის სფეროს — სუბიექტის ჭეშმარიტი ეგზისტენციის სფეროს. აქედან გამომდინარე, ეგზისტენციალური და ონტოლოგიური თვალსაზრისით მეკეშისეული მამის ძიება, რაც საფუძველშივე აპრიორულია, სიმბოლურად სწორედ მითოსური, ანუ ურფენომენისეული ყოფიერებისაკენ ცნობიერ სწრაფვას განასახიერებს.

აღსანიშნავია, რომ ურ(პირველ)ფენომენის იდეა, ანუ *მთელისა* და *ცალკეულის* ურთიერთმიმართების ონტოლოგია და *მამის* მეტაფიზიკური არსი რომანში ტაბა-ტაბაძს პირით ცხადდება, რაც შემთხვევითი არაა, რამდენადაც რობაქიძის რწმენით პირველფენომენისეული სინამდვილის მისტიური განცდა მეტ-ნაკლებად აღმოსავლეთმა შეინარჩუნა, ხოლო დასავლეთმა უკიდურესად სუბიექტივიზებული „მე"-ს გამო — რაც გამოვლინდა, როგორც ყოფიერებიდან ღმერთის იდეის დესტრუირებისა და მხოლოდ ემპირიული სინამდვილით თვითშემოზღუდვის შესაძლებლობის წინაპირობა (რაციონალიზმი, პოზიტივიზმი, კანტი, ნიცშე) — დიდი ხანია დაკარგა ეს სპირიტუალური უნარი (შდრ. რობაქიძის კულტურფილოსოფიური ესსე „სიცოცხლის განცდა დასავლეთსა და აღმოსავლეთში"/„Lebensgefühl im Westen und Osten", Robakid-

ze 1935ბ: 43-63). ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ტაბა-ტაბაᲣსა და არჩიბალდ მეკეშის დიალოგი, სადაც ტაბა-ტაბაᲣ მეკეშს განუმარტავს მამის მეტაფიზიკურ არსს და ნაწილისა და მთელის ურთიერთმიმართების ონტოლოგიას. ტაბა-ტაბაᲣს ეს განმარტებანი ფაქტიურად გოეთეს *ურფენომენის* მოძღვრების ძირითადი პოსტულატების გაცხადებაა (იხ. ზემოთ):

— თითოეული და მთელი...
მთელი — არა გროვა ცალკეულების —
არამედ: სხეული თვითეულების...
თვითეული მარტო: თითქო მთელს გამოყოფილი...
თვითეული სხვებთან თითქო მთელში გახსნილი...
ქვა. მცენარე. წყალი. ცხოველი. კაცი.
ყოველი ამ რიგით და ამ სახით...
ერთი ჰქმნის მეორეს, მეორე მესამეს, მესამე მეოთხეს.
და ასე ბოლომდის —
სანამ რკალი თავის პირველ რკალს არ დაუბრუნდება. [...]
— ყველას კი „ერთი“ ჰქმნის...
— ერთი. უთუოდ ერთი... უსახელო... მაგარმ ყოველი ქმნილი მქმნელშია თვითონ — (გონება მიდის ზევით და ზევით)... ყოველი მქნელი ქმნილშია თვითონ — (გონება მიდის ქვევით და ქვევით)... ხოლო ქმნილიც მეტია მქნელზე და მქნელიც მეტია ქმნილზე... რაც ხდება — ისაა საოცარი და საცნაური — (გონებაში „ერთი“ იბადება)... დიახ: ელოლჰიმ — ერთი და თან მრავალი...
— რა არის ეს „ერთი“, მატერია თუ სული?
— ეს დაყოფა ევროპის ანალიტიკაა... იგი არ არის არც მატერია და არც სული... ან უკეთ: მატერიაცაა და სულიც... ან კიდევ უკეთ: იგი ამ დაყოფის მიღმა დგას: მიღმაა, იქითა მხარეს[...].
— ნეტარ არს შვილი, რომელიც მამის წიაღს უბრუნდება. აქ არის დიდი სიხარული...
— მამაც ხომ „შვილია“ ვისმეს მიმართ!..
— უთუოდ.
— მერე?!
— მე ვიღებ მას როგორც „მამას“... შვილიც ხომ „მამაა“ ვისმეს მიმართ! დაუსრულებელ დგმაში მე ვიღებ არა ამ მამას და არა იმ მამას — (იგი „შვილიცაა“ იმთავითვე) — არამედ საერთოდს „მამას“, რომელიც აროდეს შვილი არაა და ყოველ შვილშია როგორც მამა“.. რუახჰ ელოლჰიმ: სუნთქვა ყოველის...
— ბუნდოვანია...
— ეგ მისთვის: რომ დასავლეთში არ იციან „მამა“... აქ „შვილია“ მხოლოდ. ისიც მოწყვეტილი... აღმოსავლეთში ჰამლეტ შეუძლებელია: მამას მოცილებული... აქ არც ფაუსტია: მამას რომ დაეძებს... ჩვენში „შვილი“ იმთავითვე მამის წიაღშია...ეს კანტის თავში არ შევა (რობაქიძე 1997ა: 43-44, 45-46)

ტაბა-ტაბაᲣსა და მეკეშის ფილოსოფიურ დიალოგში რობაქიძის მიერ კანტის ხსენება შემთხვევითი არაა, რამდენადაც სწორედ მისი ფილოსოფიით იწყება სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთმიმართების ახლებური გააზრება (რობაქიძის მიხედვით „ევროპული ანალიტიკა“): კერძოდ, კანტმა შემმეცნებელი სუბიექტის შემეცნების ფორმების (გრძნობადი აღქმა, წარმოდგენა, წარმოსახვა, განსჯის უნარი), შემეცნებითი მიმართება მხოლოდ ემპირიული სინამდვილით შემოსაზღვრა (ტრანსცენდენტალური ზღვარდადება), ხოლო ამ ემპირიული სინამდვილისაგან და სუბიექტის ცნობიერებისაგან გამიჯნა და მათ მიღმა „განათავსა“ ე. წ. „საგანი თავისთავად“ („Ding an sich“) — ობიექტი, როგორც სუბიექტის გონებისათვის შეუმეცნებელი მეტაფიზიკური სფერო, ანუ, *საგანი თავისთავად*, როგორც ტრანსცენდენტური მოცემულობა, რომელიც საბოლოო ჯამში სუბიექტის ცნობიერებისათვის მიუწვდომელია და არ ექვემდებარება შემეცნებას. ამგვარად, სუბიექტის გონებასა (Vernunft) და

მისი შემეცნების ფორმებს მხოლოდ ემპირიული სინამდვილის მონაცემთა შემეცნების შესაძლებლობა დარჩათ. აქ კი წარმოიქმნა შემდეგი ონტო-ეგზისტენციალური დუალიზმი: ერთი მხრივ, სუბიექტის სუბიექტურობა (ცნობიერება) განვითარდა მხოლოდ ერთი მიმართულებით — ემპირიულ სინამდვილეში და აპრიორულად თვითშემოიზღუდა ამ განზომილებით. ხოლო, მეორე მხრივ, გამოიკვეთა მეტაფიზიკურის სფერო („საგანი თავისთავად"), როგორც სუბიექტის მიერ ვერასდროს შემეცნებადი განზომილება (ობიექტი). ამგვარად, კანტმა სუბიექტისათვის ემპირიული სინამდვილე აქცია როგორც საკუთარი სუბიექტურობის („მე"-ს), მისი ცნობიერების განვითარების უცილობელი წინაპირობა, მაგრამ ეგზისტენციალური თვალსაზრისით ამ ცალმხრივმა განვითარებამ სუბიექტი საბოლოოდ გამიჯნა „საგნისაგან თავისთავად", ანუ ტრანსცენდენტურობისაგან.

ამგვარად, კანტმა მეტაფიზიკური საწყისების გარეშე და მხოლოდ ემპირიული სინამდვილის ამარა დატოვა სუბიექტი და მისი ცნობიერების შემეცნებითი ქმედება და სწორედ აქ წარმოიშვა დასავლური გონის, დასავლელი სუბიექტის ეგზისტენციალური ტრაგედია: განვითარებული სუბიექტურობის ხარჯზე მან დაკარგა პირველსაწყისისეული, ანუ ურფენომენისეული ყოფიერების წვდომისა და კვლავმოპოვების შესაძლებლობა. აქ კი დადგა სუბიექტის ეგზისტენციის ჭეშმარიტი ბუნების პრობლემა: კერძოდ, როგორია საბოლოო ჯამში მისი ჭეშმარიტი არსებობის ფორმა, ანუ, როგორია სუბიექტის არსებობის საბოლოო მიზანი — მისი არსებობა ამოწურვადია, ანუ შემმეცნებელი სუბიექტის არსებობა დროისა და სივრცის ფარგლებში მთავრდება, თუ ყოფის ამ კატეგორიების მიღმაა და მარადიულად გრძელდება არაემპირიულ განზომილებაშიც. შესაბამისად, სუბიექტის სუბიექტურობა ემპირიული სინამდვილის ღირებულებაა, თუ მისი სუბიექტურობა საგანთსამყაროს მიღმაც მყოფობს.

გოეთეს *ურფენომენის* მოძღვრებაზე დაყრდნობით რობაქიძე თავის ონტოლოგიურ კონცეფციაში, და შესაბამისად რომანშიც, უკუაგდებს კანტისეულ ონტოლოგიურ დუალიზმს, ე. ი. ემპირიული და მეტაფიზიკური ყოფიერების, სუბიექტისა და ობიექტის აპრიორულ დაპირისპირებას და ყოფიერებას მოაზრებს როგორც ფიზიკურისა და მეტაფიზიკურის დიალექტიკურ მთლიანობას. შესაბამისად, სუბიექტის არსებობა მხოლოდ ემპირიული სინამდვილით კი არ შემოიფარგლება, არამედ იგი კვლავ უბრუნდება თავის მეტაფიზიკურ, ურფენომენისეულ პირველსაწყისებს, რაც სუბიექტის, როგორც ცალკეულის უცილობელი ონტოლოგიური მიზანია (სწორედ აქ გადის არჩიბალდ მეკეშის გზაც).

რობაქიძე რომანში სწორედ მითოსური პირველმამის (ანუ ურფენომენის) მეკეშისეული ძიების კონტექსტში იაზრებს მოდერნიზმის ეპოქის ადამიანის ფუნდამენტურ ეგზისტენციალურ პრობლემატიკას — პირველშიშის დაძლევის პრობლემას, რაც რობაქიძის მიხედვით ვერც თანამედროვე დასავლურმა ტექნიკურმა ცივილიზაციამ, და ვერც თანამედროვე დასავლურმა ფილოსოფიურმა დისკურსმა (კანტი, ნიცშე) გადაჭრა, არამედ — კიდევ უფრო გაამძაფრა. თანამედროვე ადამიანის ეგზისტენციალური გამოუვალობა (ჰაიდეგერის მიხედით — „გადაგდებულობა"/„Geworfenheit") რომანის დასაწყისში სწორედ მეკეშის პირველშიშისეული მდგომარეობის გადმოცემისას იკვეთება:

არჩიბალდ მეკეში წევს. ჯერ კიდევ ღამეა. მთვარეს ელევა ფანტასმები. მაგრამ არჩიბალდს არ სძინავს. ან უკეთ: ნახევარ ძილში სიცხადის პირასაა გამოსული მისი შეცნობა. იცის — სად არის. არ იცის მხოლოდ მიმართება. არეულია. ამრეზილი. აღრენილი. [...] არც იქით — არც აქეთ. არც წინ — არც უკან. არც ზემოდ – არც ქვემოდ. გზნება პიროვნების ფანტასტურ ობობას ქსელშია მოქცეული: ყოველი კიდური პირს იცვლის და საყრდენი მუხლი გამქრალია. ირღვევა პიროვნება: ორად, სამად, ოთხად, ხუთად. უფრო ორად. ერთი: მეორის განზე დგას. ერთი უყურებს. მეორე მოქმედობს. არჩიბალდ მეკეში თვალს ადევნებს არჩიბალდ მეკეშს. შიში ერევა: რომელიც ხან

ერთს ბზარავს და ხან მეორეს (რობაქიძე 1997ა: 17).

ამგვარად, არჩიბალდ მეკეში, როგორც თანამედროვე ადამიანი და მასთან ერთად მოდერნიზმის ეპოქა კანტიანური დუალიზმის მსხვერპლი აღმოჩნდა, რამაც სუბიექტის ეგზისტენცია განსაზღვრა მხოლოდ ემპირიული სინამდვილის ფარგლებში და წარმოქმნა მისი „გადაგდებულობის" (თუ „მიგდებულობის") წინაპირობა. ეს „გადაგდებული" ეგზისტენცია კი ნიცშემ „მეტაფიზიკური ნუგეშის" („metaphysischer Trost") საბოლოო გაუქმებით (ღმერთის სიკვდილი) *მარადიულ დაბრუნებად* გაადაქცია და ასე გახდა ყოფა საზრისს მოკლებული, ხოლო თანამედროვე დასავლელი ადამიანი ეგზისტენციალური პირველშიშისა და არარას ტყვე (აქვე არ დაგვავიწყდეს, რომ მეკეში სწორედ დასავლური მითოსსმოკლებული კულტურის „პროდუქტია"). შესაბამისად, უკიდურესად სუბიექტივირებულ *დასავლურ* „მე"-ს ცნობიერებაში მოხდა მითოსური პირველსაწყისების ხსოვნისა და მათი მისტიკური ჭვრეტის სპირიტუალური უნარის გაუქმება, რაც ეგზისტენციალური თვალსაზრისით დასავლელ ადამიანს რომანისეული *მარკიზ პრობკას* პერსონაჟის პერსპექტივას, ანუ არარასეულ პერსპექტივას უსახავს (შდრ. ფრ. კაფკას ხოჭოდქცეული პერსონაჟი — *გრეგორ ზამზა* — მოთხრობიდან „მეტამორფოზა", ან *ლუკაია ლაბახუა* კ. გამსახურდიას რომანიდან „მთვარის მოტაცება").

სწორედ *პრობკასეული* პერსპექტივა ემუქრება არჩიბალდ მეკეშს და ზოგადად მოდერნიზმის ეპოქის ადამიანს, თუკი ის მხოლოდ ერთი მიმართულებით, *წინ*, ანუ მხოლოდ დროსა და სივრცეში, ე. ი. ემპირიული სინამდვილის ფარგლებში განავითარებს თავის სუბიექტურობას და ამავდროულად არ ექნება უკან, ანუ პირველსაწყისებისაკენ, ურფენომენისეული ყოფიერებისაკენ სწარფვის სულიერი და გონითი ძალა.

ამიტომაც, რობაქიძესათვის ონტოლოგიური ჭეშმარიტება ფენომენის ერთდროულად ორმხრივ, ორი მიმართულებით განვითარებაში მდგომარეობს: *წინ*, როდესაც სუბიექტი ემპირიული რეალობის ფარგლებში ავითარებს თავის სუბიექტურობას, ანუ ახორციელებეს თვითდადგინებისა და იდენტიფიკაციის აქტს ობიექტურ სინამდვილესთან მიმართებაში, და *უკან*, როდესაც ამ განვითარებაში სუბიექტი ტრანსცენდირებს და ისწრაფვის მამისეული ყოფიერებისაკენ, ანუ მითოსური პირველსაწყისებისაკენ — ე. ი. გადალახავს თავის ემპირიულ „მე"-ს და ამგვარად უერთებს თავის სუბიექტურობას მეტაფიზიკურ-ტრანსცენდენტურ სინამდვილეს. არჩიბალდ მეკეში საბოლოო ჯამში სწორედ ამ ორმაგ გზას გადის და სწორედ ამ ორმხრივ განვითარებაში ჭვრეტს რობაქიძე თანამედროვე ადამიანის ეგზისტენციალური ხსნის გზას.

მაგრამ რობაქიძესათვის, როგორც ჭეშმარიტი მოდერნისტი ავტორისათვის დამახასიათებელია შემოქმედებითი და მსოფლმხედველობრივი სკეპსისიც, რაც თავად რომანშივეა ინტენცირებული ინდური მითოსის ქალღმერთ *მაიას* (ანუ, *მოლანდება, მოჩვენება*) მხატვრულ სახეში: იგი რომანის ტექსტში ყოფიერებისა და ადამიანური ეგზისტენციის, მისი სუბიექტურობის ეფემერულ, ილუზორულ, მოჩვენებით და წარმავალ არსზე მიანიშნებს (ბაქრაძე 1999: 106). ეს კი იმპლიციტურად გულისხმობს, რომ რობაქიძეს, როგორც მოდერნისტ ავტორს შინაგანად სკეპსისი იპყრობს საკუთარი შემოქმედებითი და მსოფლმხედველობრივი პოზიციის მიმართ: კერძოდ, თუკი დავუშვებთ, რომ სუბიექტი თავისი ტრანსცენდირებადი ბუნებიდან გამომდინარე უცილობლად უბრუნდება თავის მეტაფიზიკურ პირველსაწყისებს, ე.ი. თავისი ჭეშმარიტი არსებობის სფეროს, მაშინ ეგზისტენციალური თვალსაზრისით საკითხი დგას ასეც: შენარჩუნებულია თუ არა თავად სუბიექტის სუბიექტურობა, მისი პიროვნულობა მეტაფიზიკურ განზომილებაშიც, თუ იგი უპიროვნო არსებობაში გადადის და ტრანსცენდენტურთან აპრიორული შერთვისას ქრება სუბიექტის პიროვნულობაც. ფაქტიურად, ეს ისევ არარაში გადასვლის, ანუ საბოლოო გაქრობის ტოლფასია.

ეს ეგზისტენციალური დილემა რობაქიძესთან ზოგადად, და მათ შორის რომანშიც, ღიადაა დატოვებული. მართალია რობაქიძეს, ერთი მხრივ, აქვს ფილოსოფიური რწმენა იმისა (ეს რწმენა მასთან პირველ რიგში გოეთეს *ურფენომენის* სწავლებითაა შემუშავებული), რომ ადამიანის არსებობა მარადიულია და ონტოლოგიური აუცილებლობით ის თავის ტრანსცენდენტურ პირველსაწყისებს უბრუნდება, ანუ უბრუნდება თავის ჭეშმარიტ ეგზისტენციას. მაგრამ, მეორე მხრივ, რობაქიძესთვის ბუნდოვანია, ამ გადასვლასა და გადალახვაში (გოეთეს მიხედვით „აღმასვლაში"/„Steigerung") სუბიექტის პიროვნება, სუბიექტურობა შენარჩუნებულია, თუ იგი საბოლოო ჯამში უპიროვნო არარასეული ეგზისტენციის მსხვერპლია, ანუ, როდესაც სუბიექტის ეგზისტენციას საბოლოო ზღვარი ედება.*

ამიტომაც, მიუხედავად რომან „გველის პერანგის" გარკვეული მსოფლმხედველობრივი ოპტიმიზმისა (გომართელი 1997: 194), რომანის ტექსტში მაინც თავის იჩენს ზოგადმოდერნისტული სკეპსისი, თუ რამდენად შესაძლებელია მეტაფიზიკურ, პირველსაწყისისეულ სინამდვილეში სუბიექტის სუბიექტურობის, ანუ მისი პიროვნულობის შემდგომი სუბსტანციონალური მარადიული ეგზისტენცია. შესაბამისად, რობაქიძესთან ეგზისტენციალური თვალსაზრისით საკითხი დგას ასე: სუბიექტის სუბიექტურობის, ანუ სუბიექტის პიროვნულობის არსებობის შესაძლებლობის წინაპირობა მხოლოდ ემპირიული სინამდვილეა, ანუ, სუბიექტურობა მხოლოდ მოვლენათა სამყაროს ღირებულებაა, და შესაბამისად, სუბიექტი აღარ აგრძელებს სუბსტანციონალურ ეგზისტენციას არაემპირიულ, მეტაფიზიკურ სინამდვილეში და ამ განზომილების ღირებულება აღარაა; თუ, არსებობს მეტაფიზიკურ პირველსაწყისებთან შერთვისას სუბიექტის სუბიექტურობის შემდგომი არაემპირიული სუბსტანციონალური, ე. ი. პიროვნულ-ინდივიდუალური ეგზისტენციის შესაძლებლობაც.

რომანში გარკვეულწილად მინიშნებულიც კია, რომ *ერთთან*, ესე იგი ტრანსცენდენტურობასთან, ურფენომენისეულ ყოფიერებასთან შერთვა პიროვნულობის, სუბიექტურობის გაუქმების ხარჯზე უნდა მოხდეს („პიროვანის დაკარგვა"):

დაცილება: ყოველ საგანს — ყოველ არსს — ყოველ მოვლენას. საკუთარ „მესაც". ყვინვა და ჩაძირვა სილრმით და სიგანით: შორს-შორს — ზესკნელში თუ ქვესკნელში. მზის დიდი გაჩერება ბიბლიისა. ფოთლის ურხეველობა. გარინდება და გაქვავება: გალხობა და გადნობა. „პიროვანის" დაკარგვა. გაქრობა ყოველ „მაიის" და ხილვა „ერთის" — რომელიც ყველაშია როგორც „მამა" წარმომშობი: სულისჩამდგმელი და ამმოძრავებელი (რობაქიძე 1997ა: 100).

საბოლოო ჯამში, აღნიშნული პრობლემა „გველის პერანგში", და ზოგადად რობაქიძის მთელს მხატვრულ შემოქმედებაში ღიად რჩება. აქ კი რობაქიძე როგორც მოდერნისტი ავტორი მაინც ავლენს როგორც პიროვნულ, ისე მოდერნისტული ეპოქისათვის დამახასიათებელ ზოგადმსოფლმხედველობრივ სკეფსისსაც (იხ. რომანის თავი „მაცა"), და მიუხედავად რომანის ეგზისტენციალური ოპტიმიზმისა ეს ორი მსოფლმხედველობრივი განწყობა და ნარატივი რომანის ტექსტში მუდმივად თანაარსებობს:

* ეს პრობლემა გოეთესთანაც ღიად რჩება, თუმცა მსოფლმხედველობრივი მოტივაცია განსხვავებულია: გოეთე, როგორც *ვაიმარული კლასიკის* წარმომადგენელი და ამ ლიტერატურულ-მსოფლმხედველობრივი მიმართულებისათვის იმთავითვე ორგანულად დამახასიათებელი *ზომიერებისა* (Mass) და *თვითშეზღუდვის* (Entsagen) პოსტულატიდან გამომდინარე ზომიერებას იცავს სუბიექტის სუბიექტურობის ზედმეტი განვითარების თვალსაზრისით, როგორც ემპირიული სინამდვილის ფარგლებში, ისე არაემპირიული სინამდვილის ფარგლებშიც, ვინაიდან ზედმეტად განვითარებული სუბიექტურობა კლასიკოსი გოეთესათვის უკვე ირაციონალურისა და მისტიკის სფეროა, რაც მისთვის ეთიკური და ანთროპოლოგიური თვალსაზრისით უკვე პათოლოგიაა („das Kranke"), ანუ არაჭეშმარიტების სფეროა, ვინაიდან გოეთეს იმავე *ურფენომენის* კონცეფციის მიხედვით სუბიექტის, ანუ *ცალკეულის* ეგზისტენცია იმთავითვე უნდა დაექვემდებაროს *საყოველთაოს* ონტოლოგიურ კანონზომიერებებს.

— ყველაფერი ცვლაა... სიცოცხლე ცვლაა...
— მაგრამ ცვლაში არარა რჩება რა?!
— რჩება: მაგრამ მისი ხელშეხება ძნელია...
— სიცოცხლის სიტკბო კი ეს ხელშეხებაა...
— ხელშეუხებელიც ტკბილია... თუ შეიგ ზნე...
— სწორედ მაგ „თუ" არის ყველაფერი...
— ხედავ ამ კვირტს?! გაიშლება... აყვავილდება... ნაყოფს გამოიღებს... შემდეგ: ნაყოფი დამწიფდება... მოწყდება... დაჭნება... გაჰქრება...
— მაშ ყველაფერი ჰქრება...
— არაფერი არ ჰქრება. „ერთი" „სხვაში" გადავა...
— მაგრამ ეს „სხვა" ის რომ არ იქნება: პირველი?!
— „ისიც" იქნება... ამაშია ყველაფერი მოქცეული...
— ძნელი საგ ზნობია... (რობაქიძე 1997ა: 263).[3]

ამგვარად, ერთი მხრივ, გოეთეს *ურფენომენზე* დაყრდნობით რობაქიძე ადამიანის ეგზისტენციასა და მის ანთროპოლოგიურ არსს განიხილავს როგორც მეტაფიზიკური, ურფენომენისეული არსებობისაკენ აპრიორულად წინმსწრაფველ და ტრანსცენდირებად მოცემულობას; მაგრამ, მეორე მხრივ, რობაქიძესთან ღიად დგას საკითხი, თუ იმავე ეგზისტენციალური თვალსაზრისით რამდენად ინარჩუნებს ადამიანი ტრანსცენდენტურ სინამდვილეშიც ემპირიული რეალობის ფარგლებში განვითარებულ სუბიექტურობას.

ამიტომაც, მიუღებელია ა. გომართელის თვალსაზრისი, თითქოს რომანში ცალსახა და სრული მსოფლმხედველობრივი ოპტიმიზმი იყოს გაცხადებული: „გველის პერანგს *ოპტიმისტური დასასრული აქვს. გმირის ხანგრძლივი და მძიმე ოდისეა წარმატებით მთავრდება*" (გომართელი 1997: 194). „გველის პერანგში" რომ ცალსახა ოპტიმიზმი იმთავითვე გამორიცხულია, ამაზე თუნდაც ტექსტში მოცემული ინდუისტურ ქალღმერთ *მაიას* მხატვრული სახის შემოტანაც კმარა (მაია — ილუზიისა და ცთუნების ძველინდური ქალღმერთი, რომლიც თავისი ილუზიებითა და მოჩვენებითი წარმოსახვებით ადამიანებს აცთუნებს და მათ გონებას ბინდავს), რამდენადაც იგი რომანში სიმბოლურად განასახიერებს ადამიანთა ყოფის სწორედ მოჩვენებით, ილუზორულ, ეფემერულ და წარმავალ ონტოლოგიურ არსს (შდრ. გალაკტიონის „ყველაფერი ქარია და ჩვენება"), რაზეც მართებულად მიანიშნა აკ. ბაქრაძემ (ბაქრაძე 1999: 106). ვფიქრობ, მსოფმხედველობრივი ოპტიმიზმი და სკეფსისი რომანის ტექსტში თანაარსებობენ (იხ. ზემოთ) და აქ შეუძლებელია ცალმხრივ ოპტიმიზმზე საუბარი, მიუხედავად იმისა, რომ რომანს მსოფლმხედველობრივ ბაზისად გოეთეს *ურფენომენის* მოძღვრება უდევს, რაც რობაქიძის ტექსტში თითქოსდა ავითარებს *მეტაფიზიკური ნუგეშის* შესაძლებლობის წინაპირობას. მაგრამ ამ შემთხვევაში რობაქიძე, როგორც მოდერნისტი ავტორი რომანის ტექსტში აბსოლუტური ოპტიმიზმის გაუქმებით სრულ შემოქმედებით ადეკვატურობას ავლენს, ვინაიდან ზოგადად მოდერნისტი ავტორი, და კერძოდ, რობაქიძე შემოქმედბითად არასოდესაა „ჰეფი ენდისადმი" განწყობილი, მისი შემოქმედებითი პოზიცია იმთავითვე ორ დაპირისპირებულ მსოფლმხედველობრივ განწყობას — პესიმისტურსა და ოპტიმისტურს — ერთდროულად მოიცავს და შეითავსებს, რაც შემდგომ ვლინდება კიდეც მის ტექსტში როგორც ორი მსოფლმხედველობრივი განწყობის დაპირისპირება (მსოფლმხედველობრივი ამბივალენტურობა, როგორც წესი, თითქმის ყველა ქართველ თუ უცხოელ მოდერნისტ ავტორთან გვხვდება, მაგ. კ. გამსახურდია, გალაკტიონი, ცისფერყანწელები, დ. შენგელაია, მ. ჯავახიშვილი, თ მანი, რ. მუზილი, ჰ. ჰესე, ჰ. ბროხი, ჯ. ჯოისი, ტ. ს. ელიოტი, გ. თრაქლი, რ. მ. რილკე და სხვა.).[4]. რა თქმა უნდა, შესაძლებელია მსჯელობა იმაზე, თუ რომელი მოდერნისტი ავტორია უფრო მეტად ოპტიმისტი თავისი მსოფლმხედველობრივი განწყობით — მაგ. რობაქიძე თუ გამსახურდია (გომართელი 1997: 193-194), — მაგრამ საფუძველშივე მცდარია მსჯელობა რობაქიძის

ცალსახა მსოფლმხედველობრივ ოპტიმიზმზე, რაც ბუნებრივია არ გვხვდება რობაქიძის როგორც „გველის პერანგში“, ისე ზოგადად მის მხატვრულ შემოქმედებაში. ხაზს ვუსვამ, „გველის პერანგში“ რობაქიძე როგორც მოდერნისტი ავტორი სწორედ მოდერნისტული მხატვრული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ მსოფლმხედველობრივ ორმაგობას თუ გაორებას ავლენს, და ამდენად, ზედმიწევნით იცავს ლიტერატურული მოდერნიზმის ესთეტიკურ და მსოფლმხედველობრივ პრინციპებს, რითაც რობაქიძე სრულ შემოქმედებით ადეკვატურობას ამჟღავნებს.

დასკვნა

გოეთეს სწავლება *ურფენომენზე* რობაქიძის შემოქმედებაში ტრანსფორმირდება როგორც შემოქმედებითი მეთოდი და მისი მხატვრული ტექსტების („გველის პერანგი“, „მეგი – ქართველი ასული“, „ქალღმერთის ძახილი“, „გრაალის მცველები“, „ლამარა„, „ლონდა“ და სხვ.) პოეტოლოგიური პრინციპი (ბრეგაძე 2010ა: 61, 63), რაც საბოლოო ჯამში რობაქიძესთან ვლინდება შემდეგი ფორმებით:

1. როგორც საკუთარი ფილოსოფიურ-ონტოლოგიური მსოფლხედვის ბაზისი;
2. როგორც შემოქმედებითი მეთოდი (მითოსურ-სიმბოლური თხზვის წესი);
3. როგორც საკუთარი მხატვრული ტექსტების პოეტიკის (ნარატივი, მხატვრული რიტორიკა, სიმბოლოთქმნა, კომპოზიცია) ესთეტიკური ბაზისი.

ხოლო წმინდად ფილოსოფიურ-ეგზისტენციალური თვალსაზრისით რობაქიძეს სწორედ გოეთეს *ურფენომენის* მოძღვრება ესახებოდა მოდერნიზმის ეპოქის ადამიანის არსებობისეული პრობლემატიკის (მეტაფიზიკურ-მითოსური საწყისებისაგან გაუცხოება, ყოფიერებაში თვითიდენტიფიკაციის შეუძლებლობა, ეგზისტენციალური შიში, დეჰუმანიზაცია) გადაჭრის უპირველეს მსოფლმხედველობრივ ბაზისად.

სწორედ არჩიბალდ მეკეშისეულ ორმხრივ განვითარებაში ჭვრეტს რობაქიძე მოდერნიზმის ეპოქის ადამიანის ეგზისტენციალური ხსნისა და პირველშიშის დაძლევის გზას:

და როდესაც ცალკეული („das Einzelne“) მარადიულის („das Ewige“) (იმავე ურფენომენისეულის — კ. ბ.) გამანაყოფიერებელ მოქმედებას თავის თავში შეიგრძნობს, მაშინ ის მარადიულის თანაზიარი შეიქნება. და შემდგომ მისთვის ის მომაკვდინებელი ზღვარი აღარ იქცევა უცილობელ საფრთხედ, და საკუთარი თვითობაც („Selbst“) გადარჩება მეტაფიზიკურ ზღვართან შეხლისას [ციტატის თარგმანი სტატიის ავტორს ეკუთვნის — კ. ბ.] (Robakidse 1935ა: 42).

შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ პოსტპოსტმოდერნისტულ ეპოქაში თანამედროვე ადამიანის ონტო-ეგზისტენციალური პრობლემატიკისა და მისი მაღალეთიკური განწყობისა და მზაობის ხელახალი ეფექტური გააზრებისა და ჰერმენევტიკის თვალსაზრისით დღესაც აქტუალურია გოეთეს სწავლება *ურფენომენზე*, რომლის ხელახალი ფილოსოფიური რეცეფციის აუცილებლობისა და აქტუალობის საკითხი XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული, და შესაძლოა, დასავლური კულტურის სივრცეში პირველმა (და ერთადერთმა) სწორედ გრიგოლ რობაქიძემ დასვა და ეს რეცეფცია განახორციელა კიდეც, რის საფუძველზეც შემდგომ მან ჩამოაყალიბა და გადმოსცა საკუთარი ონტოლოგიური ჰერმენევტიკა.

შენიშვნები:

1. თავის ნაშრომში „ქართული სიმბოლისტური პროზა" ქართული ლიტერატურული მოდერნიზმის მკვლევარი ა. გომართელი აღნიშნავს: *„მოდერნიზმის, კერძოდ სიმბოლიზმის იდეოლოგად იგი (რობაქიძე — კ. ბ.) ბოლომდე დარჩა. შემოქმედებაშიც ამავე პრინციპებს ავლენდა. სიმბოლიზმი მისთვს მსოფლმხედველობაც იყო [...]. ხშირად შეზღუდულიც იყო თეორიული მრწამსით, რამაც მის შემოქმედებას სქემატიზმის დაღი დაასვა"* (გომართელი 1997: 160). აქ პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ თავად რობაქიძის შემოქმედებითი მეთოდი, რასაც იგი „მითოსურ რეალიზმს" უწოდებდა, და რაც რობაქიძის მიხედვით მხატვრული ასახვის ობიექტის *უშუალო გადმოცემას*, ანუ, მხატვრული ქმნის პროცესში ობიექტის მითოსურ-მეტაფიზიკური უშუალო ასახვა-გადმოცემის პრინციპს ეფუძნება, როდესაც მიმდინარეობს ყოფიერების მეტაფიზიკური პირველსაწყისების ინტენსიური წვდომა მხატვრული ტექსტის საფუძველზე, სწორედ ეს მეთოდია რობაქიძის მხატვრულ ტექსტებში სქემატიზმის უკუგდების წინაპირობა (რობაქიძის შემოქმედებით მეთოდსა და პოეტოლოგიურ პრინციპებზე იხ. ჩემი სტატია „გრიგოლ რობაქიძის რომანების პოეტიკა", ბრეგაძე 2010ა: 58-68). ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ რობაქიძის მხატვრული ტექსტები, მაგ. „გველის პერანგი", კონკრეტულ მითოსურ პარადიგმებსა თუ ფილოსოფიურ იდეებს ეფუძნება და მათგან იღებს შემოქმედებით იმპულსებს (ძველბერძნული და წინააზიური მითოსური პარადიგმები, გოეთეს *ურფენომენის* კონცეპტი, ასევე ნიცშეს *ზეკაცისა* და *მარადიული დაბრუნების* კონცეპტები და სხვ.), რასაც შესაძლოა გამოეწვია რობაქიძის მხატვრული ტექსტების „მექანიკურ", „არაორგანულ", არაშემოქმედბით, არაპოეტურ სახისმეტყველებით სქემებში მოქცევა, მის ტექსტებში, მაგ. იმავე „გველის პერანგში", სწორედ ეს სქემატურობაა დაძლეული თავად რობაქიძისეული ორიგინალური მხატვრული რიტორიკის საფუძველზე, რასაც მე *მაგიურ-ნათელხილვითი, დიონისური მხატვრული მეტყველება* ვუწოდე (ბრეგაძე 2010ა: 66).

აღსანიშნავია, რომ თავის ლიტერატურულ წერილებში („სიტყვის როია", „ვაჟას ენგადი" „სათავენი ჩემი შემოქმედებისა") რობაქიძე მუდმივად უტრიალებს ენის არსის პრობლემას როგორც წმინდად ონტოლოგიური, ისე ესთეტიკური თვალსაზრისით, სადაც ის სწორედ მხატვრული რიტორიკის, პოეტური მეტყველებისა და სიმბოლოთქმნის პრობლემატიკას განიხილავს. აი რას წერს იგი ესსეში „სიტყვის როია" (1923): *„სახელი* (აქ: პოეტური სიტყვა, სახესიმბოლო, თავად პოეტური მეტყველება — კ. ბ.) *არის ასტრალის დაღი. იგი საიდუმლოთია მოცული. ძველი თქმა მართალია: რომელიმე ქალაქს აქვს მეორე სახელი: იდუმალი. იგი მისი უკანასკნელი სიმაგრეა. ვინც მას გამოიცნობს, ქალაქს აიღებს. ქურუმები ძველად ორი ენით მეტყველებდნენ: ჩვეული და უჩვეულოთი. უჩვეულო სიტყვა მხოლოდ შეწირულებმა იცოდნენ. ამ სიტყვას ჰქონდა მაგიური ძალა. ჰიერატიულ სიტყვას ჟანგი არ ეძება. არ ცვდება იგი"* (აქვე ურიგო არ იქნება გავისხსენოთ გერმანელი რომანტიკოსი პოეტის, ნოვალისის შემდეგი დებულება: „პოეტი და ქურუმი პირველადვე ერთნი იყვნენ" [„Dichter und Prister waren im Anfang eins"] — კ. ბ.) (რობაქიძე 1923: 15) (აღნიშნულ საკითხზე იხ. ბ. წიფურიას სტატია „სიტყვის სახელდებითი ფუნქცია სიმბოლიზმში და გრიგოლ რობაქიძის *სიტყვის როია*" (წიფურია 2001: 247-253); ასევე მ. ჯალიაშვილის სტატია — „პროზისა და პოეზიის სინთეზი გრიგოლ რობაქიძის *გველის პერანგში*" (ჯალიაშვილი 1998: 291-296). სწორედ ამ *უჩვეულო* და *საკრალურ-მაგიური, მოგვური* პოეტური მეტყველებისაკენ ტენდირებს რობაქიძის მხატვრული ტექსტების მხატვრული რიტორიკა., რომლის შემოქმედებითი ამოცანაც ყოფიერების ფენომენთა ჭეშმარიტი მეტაფიზიკური არსის წვდომა და „გახსნაა", ანუ, პოეტური სიტყვით უმაღლესი ჭეშმარიტების მოპოვებაა (რუსთაველის მიხედვით „სახელის მოხვეჭა"). აქ მოდერნისტი რობაქიძე (ისევე როგორც სხვა ქართველი თუ არარქართველი მოდერნისტი ავტორები, მაგ. ფრანგი ან ქართველი სიმბოლისტები, ან კ. გამსახურდია) სწორედ რომანტიკოსებისეული მაგიურ-საკრალური პოეტური მეტყველების ტრადიციის მიმდევარი და განმავრცობელია.

საერთოდ, მსგავსი ონტო-ლინგვისტური თეორიული წიაღსვლები ზოგადად დამახასიათებელია არა მარტო მოდერნისტი მწერლებისათვის, არამედ, ასევე ფილოსოფოსთათვისაც — მაგ. მარტინ ჰაიდეგერი: ჰაიდეგერისათვის ყოფიერების მეტაფიზიკური საფუძველი სა-

კუთრივ ენის ფენომენში მყოფობს, და მისთვის ყოფიერების ჰერმენევტიკა ენის ონტოლოგიური არსის შემეცნებისა და გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია (იხ. მისი სტატიების კრებული ენის ონტოლოგიისა და ჰერმენევტიკის საკითხებზე „გზად ენისაკენ" [„Unterwegs zur Sprache"], Heidegger 1986).

2. აქვე რამდენიმე ამონარიდი გოეთეს აღნიშნული ნაშრომიდან: *„5. მცენარის მეტამორფოზა სამი სახისაა: რეგულარული (regelmässig), არარეგულარული (unregelmässig) და შემთხვევითი (zufällig). 6. რეგულარულ მეტამორფოზას ასევე შეგვიძლია ვუწოდოთ წინმსწრაფველი (fortschreitend) მეტამორფოზა: მასზე დაკვირვება ყოველთვის შესაძლებელია, ვინაიდან იგი საფეხურებრივი განვითარების სახით ვლინდება — მარცვლიდან ვიდრე ნაყოფის ჩამოყალიბებამდე. 7. არარეგულარულ მეტამორფოზას ასევე შეგვიძლია ვუწოდოთ უკანმსწრაფველი (rückschreitend) მეტამორფოზა. როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც ბუნება უმაღლესი მიზნისაკენ წინ მიისრაფვის, აქ* (ე. ი. არარეგულარული მეტამორფოზის დროს — კ. ბ.) *იგი ერთი ან რამდენიმე საფეხურით უკან იხევს. როდესაც ბუნება იქ* (წინსწრაფვაში — კ. ბ.) *დაუოკებელი სწრაფვითა და სრული ძალისხმევით ყვავილებს ქმნის, აქ* (უკანსწრაფვაში — კ. ბ.) *ყუჩდება და თავის ქმნილებას არაქმედით და უღონო მდგომარეობაში გარდასახავს. [...] 120. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ერთმანეთისაგან ვმიჯნავთ ფენომენთა წინ და უკან განვითარებას, ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მტვრიანა ეს იგივე შეკუმშული ყვავილის ფურცელია, ხოლო ყვავილის ფურცელზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის გაშლის პროცესში მყოფი ბუტკოა. ხოლო ყვავილის თასის ფოთოლი იგივე შეკუმშული ღეროს ფოთოლია, ხოლო ღეროს ფოთოლზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის გაშლილი ყვავილის თასის ფოთოლია. 121. ხოლო ღეროზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის გაშლილი კოკორია, ხოლო კოკორზე, — რომ ის შეკუმშული ღეროა"* [ციტატის თარგმანი სტატიის ავტორს ეკუთვნის — კ. ბ.] (Goethe 2000: 64-65, 100-101).

3. იგივე სკეფსისი, ანუ სუბიექტის პიროვნულობის ეგზისტენციალური ფინალობის, ანუ სუბიექტის არსებობის სასრულობა-უსასრულობის პრობლემა რომან-ფრაგმენტ „ფალესტრაშიცაა" ინტენცირებული, ხოლო რომან „ჩაკლულ სულში" უკიდურესობამდეა გამძაფრებული (ბრეგაძე 2010ბ: 45-46): *„დიახ, უმწარესი და უტკბილესი: „მე", აქ მარხია ყოფის საიდუმლო. უმწარესი — რადგან სიკვდილია იგი, უტკბილესი — რადგან სიცოცხლეა იგი. თითქმის ერთსა და იმავე დროს. თვითონ ყოფა მარადი ქცევაა, მუდმივი ცვლა, უწყვეტი დენა. ამ დენაში, ამ ცვლაში, ამ ქცევაში ცხადდება და ცნაურდება „მე", „პირი". მარადი ქცევა, მუდმივი ცვლა. ქცევა და ცვლა — რის?! [...] „მე" უნდა გაიხსნეს, უნდა გაირღვეს, არსი უნდა გადავიდეს ყოვლადში, პიროვნება უნდა ეზიაროს ზეპიროვნულს [...] „მე" უნდა გაირღვეს, რომ ყოვლადს ეზიაროს". პერეც შეჩერდა. „მე მხოლოდ ერთი რამ არ მესმის გარკვევით, თქვა ქალმა, „მე" ზიარ უნდა იქნას ყოვლის, არა?! „მე" სულ უნდა გაითქვიფოს, გაჰქრეს, თუ..." — „თუ მაინც დარჩეს თავის-თავად, სულ პაწაწინად, მაგრამ მაინც თავისად?!", გამოგლიჯა ახალისებულმა პერეცმა სიტყვა ჟანნეტს და განაგრძო: „მართლაც: „მე" უნდა გაირღვეს, მაგრამ უნდა გაითქვიფოს?! სრულიად სავსებით?! აღარ უნდა დარჩეს თავის თავის ხსოვა?! ერთი ნამცეცი მაინც არა?! აი სატკივარი..." — „დიახ, ეგრეა სწორეთ... მაგრამ ჩემ კითხვას ადასტურებ მხოლოდ და არ უპასუხებ", დაუმატა ჟანეტმა. კიკო პერეც დაფიქრდა. ხალისი მოაკლდა. შემდეგ ნაღვლით ჩაილულღულა, თითქო თავისთვის: „რა ვიცი"!.. ჩამოწვა დუმილი. პერეც მოილუშა. მარმარის მაგიდაზე მხოლოდ მისი ქაცვების კაკუნი ისმოდა. კანკალა კაცი იჭვნეულ იხედებოდა"* (რობაქიძე 1997ბ: 347-348; 352-353).

4. მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით ზ. შათირიშვილი მოდერნისტულ მხატვრულ ტექსტებში გამოყოფს სამი ტიპის ნარატივს: *ინდივიდუალისტურს (ლიბერალურს), ეზოტერიკულსა და რევოლუციურს* (შათირიშვილი 2004: 30), სადაც თითოეულ მათგანში მოდერნიზმის ეპოქაში სუბიექტის ონტო-ეგზისტენციალური პრობლემატიკის (გაუცხოება, თვითიდენტიფიკაციის შეუძლებლობა, არსებობის შიში, დეჰუმანიზაცია) გააზრების სამი ურთიერთსაპირისპირო თვალთახედვაა წარმოდგენილი: *„კერძოდ, ეზოტერიკული მოდერნიზმი ამ უგვარტომობიდან* (ე. ი. თანამედროვე ადამიანის გაუცხოებული მდგომარეობიდიდან — კ. ბ.) *გამოსავალს პირველსაწყისთან, წინაპრებთან, ჭეშმარიტ მამასთან დაბრუნებასა და ტრადიციის აღდგენაში ხედავს. როგორც წესი, ასეთ ნარატივებში ვხვდებით მე-სა და სუბიექტურობის*

გადალახვის ცდას (იქვე ავტორი რობაქიძის „გველის პერანგს" სწორედ ამ ტიპის ნარატივის ნიმუშად მოიზარებს [შათირიშვილი 2004: 31] — კ. ბ). [...] *რევოლუციური მოდერნიზმის ნარატივი მიუსაფრობისა და უგვარტომობის გადალახვის საკუთარ ვარიანტს გვთავაზობს. ერთი მხრივ, იგი მოგვითხრობს მამისა თუ ტრადიციული ინსტიტუტების წინააღმდეგ ამბოხის ამბავს, ანდა გვთავაზობს ახალ გვარს, უფრო ზუსტად ტოტალურად ახალ მთლიანობას (კომუნიტასს). [...] რაც შეეხება ლიბერალურ* (ანუ ინდივიდუალისტურ — კ. ბ.) *მოდერნიზმს, როგორც წესი, აქ ხდება ტოპოსის ნეგატიური თემატიზება — უგვარტომო ან ტრადიციისაგან გაუცხოებული პერსონაჟი ვერ ახერხებს საკუთარი უგვარტომობისა და მიუსაფრობის დაძლევას. აქ იმდენად მამისადმი ამბოხს კი არ ვხვდებით, რამდენადაც მამისა და შვილის აცდენას ანდა გაუცხოებას — „ულისე", „ბუდენბროკები" კაფკას „მეტამორფოზა"* (დავამატებდი — გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი" და „მთვარის მოტაცება" — კ. ბ.)" (შათირიშვილი 2004: 31-33).

ჩემი აზრით, რობაქიძის „გველის პერანგში" ერთდროულად მოცემულია როგორც *ეზოტერიკული*, ისე *ლიბერალური (ინდივიდუალისტური) ნარატივები*, ეს ორი განზომილება რომანის ტექსტში თანაარსებობენ (იხ. ზემოთ) და ამდენად, შესაძლებელია „გველის პერანგში" ინტენცირებულ ორი ტიპის ნარატივზე საუბარი — ერთი მხრივ, *ეზოტერიკულ*, და მეორე მხრივ, *ინდივიდუალისტურზე*. ხოლო შემდგომ რობაქიძის შემოქმედებაში, კერძოდ, რომან „ჩაკლულ სულში" *ეზოტერიკული* ნარატივი საერთოდ ქრება და ამ რომანის ტექსტი უკვე წარმოჩნდება როგორც *ინდივიდუალისტური* ნარატივის ტიპიური ნიმუში, სადაც მოდერნიზმის ეპოქის ადამიანის ონტო-ეგზისტენციალური უპერსპექტივობაა ინტენცირებული (ბრეგაძე 2010ბ: 45-46).

დამოწმებანი:

Bakanidze, Nino. „P'irvelkmnili Orpik'uli Sit'q'vebi". *Goete da Ezoterizmi.* Tbilisi: TSU, 2004 (ბაქანიძე, ნინო. „პირველქმნილი ორფიკული სიტყვები". — *გოეთე და ეზოტერიზმი.* თბ.: თსუ, 2004).

Bakradze, Akaki. *K'ardu anu Grigol Robakidzis Tskhovreba da Ghvats'li.* Tbilisi: lomisi, 1999 (ბაქრაძე, აკაკი. *კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი.* თბ.: „ლომისი", 1999).

Bregadze, Konst'ant'ine (a). „Grigol Robakidzis Romanebis P'oetika". *Sjani.* 11 (2010):58-67 (ბრეგაძე, კონსტანტინე (ა). „გრიგოლ რობაქიძის რომანების პოეტიკა". *სჯანი.* 11 (2010): 58-67).

Bregadze, Konst'ant'ine (b). „Grigol Robakidzis Chakluli Suli rogorts T'ot'alit'aruli Sakhelmts'ipos Mitosur-Demonuri Arsisa da Modernist'uli Ep'okis Hermenevt'ik'a". *Semiot'ik'a.* 7 (2010) (ბრეგაძე, კონსტანტინე (ბ). „გრიგოლ რობაქიძის ჩაკლული სული როგორც ტოტალიტარული (საბჭოთა) სახელმწიფოს მითოსურ-დემონური არსისა და მოდერნისტული ეპოქის ჰერმენევტიკა". *სემიოტიკა.* 7 (2010).

Goethe, Johann W. *Versuch die Metamorphose der Pflanzen zu erklären. in: Werke, Hamburger Ausgabe in 14 Bänden.* Deutscher Taschenbuch Verlag, München: 2000. Bd. 13.

Gomarteli, A. *Kartuli Simbolist'uri P'roza.* Tbilisi: TSU, 1997 (გომართელი, ა. *ქართული სიმბოლისტური პროზა.* თბ.: თსუ, 1997).

Heidegger, Martin. Unterwegs zur Sprache, 8. Aufl., Neske. Pfulingen, 1986.

Jaliashvili, Maia. „P'rozisa da P'oeziis Sintezi Grigol Robakidzis Gvelis P'erangshi". *Literary Researches.* XIX (1998) (ჯალიაშვილი, მაია. „პროზისა და პოეზიის სინთეზი გრიგოლ რობაქიძის გველის პერანგში". *ლიტერატურული ძიებანი.* XIX (1998).

K'vat'aia, Manana. „Taurmtsenaris P'aradigmidan Maradiuli Dabrunebis Ideamde". *Kartuli Polklori* XX (2008): 119-124 (კვატაია, მანანა. „თაურმცენარის პარადიგმიდან მარადიული დაბრუნების იდეამდე". *ქართული ფოლკლორი.* XX (2008): 119-124).

Lomidze, Gaga. „Mamis Ts'iaghshi Dabrunebis Goeteseuli K'ontseptsia da Robakidzis Gvelis P'erangi". *Saiubileo K'rebuli: Goete-250.* Tbilisi: 2001 (ლომიძე, გაგა. „მამის წიაღში დაბრუნების გოეთესეული კონცეფცია და რობაქიძის გველის პერანგი". *საიუბილეო კრებულში: გოეთე — 250.* თბ.: 2001).

Metzler Goethes Lexikon. Verlag Metzler, Stuttgart: 2004.

Nietzsche, Friedrich. *Ese It'q'oda Zarat'ust'ra.* (in Georgian Language). Tbilisi: 1993 (ნიცშე, ფრიდრიხ. *ესე იტყოდა ზარატუსტრა.* გერმანულიდან თარგმნა ერ. ტატიშვილმა, რედ. თ. ბუაჩიძე. თბ.: 1993).

Nietzsche, Friedrich. *Die nachgelassenen Fragmente, (Hg.) von G. Wohlfahrt, Reclam,* Stuttgart: 1996.

Robakidse, Grigol (a). *Urangst und Mythos. - G. Robakidse, Dämon und Mythos. Eine magische Bildfolge, Eugen Diederichs Verlag.* Jena: 1935.

Robakidse, Grigol (b). *Lebensgefühl im Westen und Osten (S. 43-63); in: G. Robakidse, Dämon und Mythos. Eine magische Bildfolge, Eugen Diederichs Verlag,* Jena: 1935.

Robakidze, Grigol. „Sit'q'vis Roia". *Meotsnebe Niamorebi.* 9 (1923) (რობაქიძე, გრიგოლ. „სიტყვის როია". *მეოცნებე ნიამორები.* 9 (1923).

Robakidze, Grigol. *Tkhzulebani.* Vol. 2. Tbilisi: 1994 (რობაქიძე, გრიგოლ. *თხზულებანი.* სერია: შერისხულნი. ტ. 2, თბ.: 1994).

Robakidze, Grigol (a). „Gvelis P'erangi". *Kartuli P'roza.* T'. XXX. Tbilisi: „sakartvelo", 1997 (რობაქიძე, გრიგოლ (ა). „გველის პერანგი". *ქართული პროზა.* ტ. XXX, თბ.: „საქართველო", 1997).

Robakidze, Grigol (b). „Palestra". *Kartuli P'roza.* T'. XXX. Tbilisi: „sakartvelo", 1997 (რობაქიძე, გრიგოლ (ბ). „ფალესტრა". *ქართული პროზა.* ტ. XXX, თბ.: „საქართველო", 1997).

Robakidze, Grigol. „Chemtvis Simartle Q'velaperia". *Grigol Robakidzis K'rebuli.* Tbilisi: 1996 (რობაქიძე, გრიგოლი. გრიგოლ რობაქიძის კრებული. ჩემთვის სიმართლე ყველაფერია. თბილისი: 1996).

Shatirishvili, Zaza. „Akhali Drois Narat'ivebi da Modernizmis Lit'erat'ura". *Sjani.* 5 (2004): 28-33 (შათირიშვილი, ზაზა. „ახალი დროის ნარატივები და მოდერნიზმის ლიტერატურა" [რამდენიმე შენიშვნა]. *სჯანი.* 5 (2004): 28-33).

რომანის ამბავი წარმოდგენილია 21 თავსა და ეპილოგში. ყოველი თავის სათაურად გამოტანილია სახელი — რომელიც გამოკვეთს უმთავრესს. ხანდახან ისინი ირეკლავენ გმირის „ეპიფანიებს“. მაგალითად, „მამალი ცეცხლი“. ამ თავს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ქალდეური თქმა: „არის ცეცხლი მამალი და არის...“ ეს დაუმთავრებელი ფრაზა ამოსუნთქვასა და ჩასუნთქვას შორის გავლებული ზღვარივითაა. არჩიბალდი სიტყვა „ირუბაქიძეს“ შეიგრძნობს, როგორც ცეცხლს. სულ ახლახან მან თავისი გვარის ისტორია გაიგო, ამიტომ ავსებულია ფიქრით რადამესზე, თამარზე. ის ყოველი მათგანის ხასიათში შეიგრძნობს საერთოს და ეს არის „მამა“. ვამეხის დანახვისასაც იმავე ხასიათს გრძნობს, ხოლო როცა იხილავს, როგორ დაამტვრევს გახელებული ვამეხი ტოტებს, მიხვდება: „ის“ არის: უშუალო — ცეცხლი — ალეწილი“ (რობაქიძე 1989: 101).

არჩიბალდი ოლგასთან შეხვედრისასაც გრძნობს ცეცხლს, მაგრამ სხვაგვარს. „ეს არის პიროვანი ცეცხლი. ასეთი ცეცხლი დამახასიათებელია „ეგვიპტური პროფილისათვის“, მაგრამ ის ცეცხლი, ვამეხში რომ „იგზნო“, სხვაა. „შუაგულში მყოფი“. ეს არის სწორედ „მამალი ცეცხლი“ – „წვა შორეული. დაცილება: ყოველ საგანს — ყოველ არსს — ყოველ მოვლენას. საკუთარ „მესაც“, ყვინვა და ჩაძირვა სიღრმით და სიგანით: შორსშორს – ზესკნელში თუ ქვესკნელში. მზის დიდი გაჩერება ბიბლიისა. ფოთოლის ურხეველობა. გარინდება და გაქვავება; გალხობა და გადნობა. „პიროვანის“ დაკარგვა. გაქრობა ყოველ „მაიის“ და ხილვა „ერთის“ — რომელიც ყველაშია როგორც „მამა“ წარმომშობი: სულის ჩამდგმელი და ამმოძრავებელი“ (რობაქიძე 1989: 101)

ხანდახან კონკრეტულს კი არა, ზოგადს გამოხატავს ესა თუ ის გადახვევა. ჰამადანის ბაზარში არჩიბალდი ასეთ სანახაობას წააწყდება: „იქვე: მორიელი და ფალანგა ებრძვიან ერთმანეთს სასიკვდილოთ. ირგვლივ ცეცხლის რკალი მოუვლიათ:

გაქცევა რომ არ შეეძლოს არცერთს.

ფალანგა ხტის. მორიელი მისდევს.

ფალანგა ცეცხლს მიადგება. შეჩერდება.

მორიელი მივარდება და ჰგესლავს. ფალანგა კვდება.

მორიელი გარბის. მაგრამ გარშემო ცეცხლის ზღუდეა.

მაშინ კუდს მოიქნევს მორიელი და გესლიან წვეტს თავში ჩაისობს.

მორიელი თავს იკლავს.

ხრიალში შიში გადავარდება" (რობაქიძე 1989: 57).

ამ ეპიზოდში ბედისწერის გარდუვალობაა ნაჩვენები. მწერალი მას წარმოაჩენს, როგორც ადამიანური ცხოვრების ერთ მნიშვნელოვან ასპექტს.

ასეთივე მნიშვნელოვანი გადახვევაა რომანში აქლემ ბეხანის ამბავი, რომელიც სამყაროში ადამიანის მარტოსულობას, მიუსაფრობას, განწირულებას გამოხატავს. მწერალს დიდი ერუდიცია საშუალებას აძლევს ხშირად მოძებნოს ანალოგი მითოსში, ისტორიასა თუ ლეგენდაში. ამით ხდება ერთგვარი გადახვევა, რომ მობრუნების შემდეგ უკეთ შეიგრძნოს მკითხველმა ეპიზოდის აზრი.

ხანდახან ამგვარი გადახვევები ერთმანეთზეა დახვავებული. ყოველი გრძნობა არჩიბალდში იწვევს მოგონებას, ოღონდაც ეს მოგონება არ არის პირადად განცდილი, არამედ ძველ წიგნებში ამოკითხული. გახელებული ვამეხი მას მოაგონებს ამორძალების ისტორიას და ეს პატარა ამბავი, როგორც მინიატურა, ისეა ჩართული რომანში. „როცა თქვენ ტოტებს სჭრიდით – ეს გახელება მომაგონდა. ასეთები მხოლოდ ამორძალთა მხარეში იბადებიან. ფიცხელი ხართ" (რობაქიძე 1989: 100).

ვამეხზე ფიქრი არჩიბალდს ჩააღრმავებს „შუაგულისკენ" — სადაც „მამალი ცეცხლია", ეს ფიქრი კი ეგვიპტურ პირამიდებს გაუცოცხლებს და არჩიბალდს ისევ აგონდება. იგი იხსენებს კონსტანტინეპოლის მუზეუმში ნანახ ორ სარკოფაგს-ელინურსა და ეგვიპტურს. „ჰელლენურ სარკოფაგთან სიკვდილი თითქოს თამაშია და სიცოცხლე. აქ კი შიში და საიდუმლო" (რობაქიძე 1989: 102). ეს მოგონება კი მას „მამალი ცეცხლის" შეცნობაში ეხმარება.

ოლგასთან მოულოდნელი შეხვედრა მას სულ სხვა შეხვედრას „მოაგონებს" — პითაგორასა და თეანოსას. ამ შემთხვევაშიც ამბავი ჩაერთვება, როგორც დამოუკიდებელი მინიატურა. „პითაგორ ხედავს: საკმარისია სათუთი შეხება — და ქალი დაიღვრება სისავსისგან. „მაღალო! დიდო! მიხსენ სიყვარულისგან: რომელიც კლავს სულს და ნთქავს სხეულს". პითაგორ ერთს კიდევ გადახედავს" (რობაქიძე 1989: 102).

ამგვარი ხშირი „გადახვევები" ქმნიან რომანის განსხვავებულ ფორმას, მის მოზაიკურობას განაპირობებენ.

ტაბა ტაბაისა და არჩიბალდს ერთად გაახსენდებათ ლენინი პარიზში. სპარსი, ჰინდუ თუ ეგვიპტელი ტაბა ტაბაი არჩიბალდს ეტყვის, რომ მაშინ მის პიროვნებას იპყრობდა „თვითონ პიროვნება — გარეშე იმისა, თუ რას ამბობდა, ან თუ რას ფიქრობდა. პიროვნება უშუალოდ: მის შუაგულში აღებული". ამან კი ტაბა ტაბაის გაახსენა პაპის — ალექსანდრე მეექვსისა და მისი ვაჟის, ცეზარ ბორჯიას ამბავი. ცეზარი მოწამლეს, მაგრამ იგი გადარჩა, რადგან მაშინვე ხარი დააკვლევინა და მის გაფატრულ მუცელში ჩაეშვა. „ხურვალე მუცელს ხარისას გაკერავენ, რამოდენიმე საათი ბორჯია ხარის მუცელშია გაგუდული. შემდეგ გამოდის იგი მუცლიდან განკურნებული სრულიად: გადახალისებული და ტანდახვეწილი" (რობაქიძე 1989: 186). ეს კი ტაბა ტაბაისთვის ნიშნავს იმგვარი კაცის გამძლეობას, რომელშიც მთელი მოდგმის სიცოცხლეა თავმოყრილი.

პოეტის დასაფლავება, რომელიც რომანის იმ თავშია წარმოდგენილი, რომელსაც „კუბო მზეში" ჰქვია, ჩანაცვლებაა იმ აზრის გამოსაკვეთად, რომ ცხოვრება და პოეზია მარადიული კონტრასტია, რომლის ტრაგიკული აღქმა მხოლოდ აუბედურებს ადამიანს, ამიტომაც ჟღერს ირონია, როგორც თავდაღწევა, როგორც გამოსავალი.

„გველის პერანგში“ საინტერესოა ის ხერხი, რომლითაც ირუბაქიძეთა გვარის ისტორიაა გაცოცხლებული. აქაც დარღვეულია ტრადიციული თხრობა. წარმოჩენილია თანმიმდევრობით მე-6, მე-9, მე-12, მე-13 და მე-14 საუკუნეებში მცხოვრებ ცალკეულ ირუბაქიძეთა ყოფიდან გამორჩეული ეპიზოდები. ყოველი ირუბაქიძის შესახებ რაიმე უცნაური ისტორიაა მოთხრობილი. მათ პორტრეტებში კი მოჩანს როგორც გვარის საზოგადო თვისებები, ასევე ქართველი ერისაც.

თამაშის ეფექტი განსაკუთრებით იკვეთება „დიონისოს ღიმილში“, სადაც თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს.

მაქს ფრიში წერს: „რა თქმა უნდა, პირველი პირით თხრობა მწერლის პირადი „მე“-ს გამოვლენა არ არის, მაგრამ, ალბათ, მწერალი კი უნდა იყო, რომ იცოდე, ყოველი პიროვნება, რომელიც სიტყვაში თავისთავს გააცხადებს, უკვე როლს თამაშობს, ყოველთვის, ყველგან, ცხოვრებაშიც, ამ წუთშიც როლს თამაშობს. ყოველი ადამიანი (ამ შემთხვევაში ვგულისხმობ არა მწერალს, არამედ მის გმირს), ადრე თუ გვიან, თხზავს ისტორიას, რომელსაც ხშირად დიდი მახვერპლის ფასადაც, თავისი საკუთარი ცხოვრების ისტორიად მიიჩნევს. იქნებ ერთი კი არა, რამდენიმე ისტორიაც კი შეთხზას, რომლებიც სახელებითა და თარიღებით ისე იქნება დახუნძლული, რომ მის ჭეშმარიტებაში თითქოს ეჭვი არც უნდა შეგვეპაროს, მაგრამ ყველა ისტორია, ჩემი აზრით, მაინც გამონაგონია და ამის გამო იოლად შესაცვლელიც“ (ფრიში 1981: 516). ეს თამაში, თავისი ერთდროულად რთული და მარტივი წესებით, წარმოდგენილია მაქს ფრიშის რომანში „ვიქნები თუნდაც განტენბაინი“.

„დიონისოს ღიმილის“ დაყოფაც ცალკეულ „ქებად“ მწერლისთვის ისტორიის გადმოცემის ერთგვარი ხერხია. ქება ამხელს მთავარი გმირის — სავარსამიძის ცხოვრებისადმი პათეტიკურ დამოკიდებულებას. ცამეტი ქება, შიგ წარმოდგენილი ცალკეული თავებით ქმნის იმგვარ სისტემას, სადაც ყოველი კომპონენტი მიისწრაფის დამოუკიდებლობისასკენ. მართლაც, ყოველი ცალკე თავი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც თავისთავადი „ჩაკეტილი სივრცე“. სხვა თავებთან „ურთიერთობა“ კი ამდიდრებს და ავსებს მას.

პირველი ქების პირველი თავი, „კაცი, რომელიც იცინის“, წარმოადგენს ერთგვარ „შეპაექრებას“ ვიქტორ ჰიუგოსთან. აქ თავისთავად რომანის სათაური იქცევა გათამაშების საგნად. პარკში განმარტოებულ მოხუცს აღარ ძალუძს სიცილი, იმიტომ, რომ ინვალიდია, მახინჯია და აღარ შეუძლია სახის იმგვარი გამომეტყველების მიღება, რომელსაც სიცილს უწოდებენ ადამიანები. აქ თამაში გართულებულია. ერთი მხრივ, წარმოჩენილია ომის საშინელება, მეორე მხრივ, ადამიანთა უსამართლობა. (როგორც ჰიუგოსთან, ასევე გამსახურდიასთან სიცილი თუ გაუცინარობა არ არის ადამიანთა ბუნებრივი მიმიკა, არამედ მათთვის თავსმოხვეული სასტიკი რეალობა. „მე მიხარია, რომ ის კაცი ახლა მე არ ვარ“, — ამბობს სავარსამიძე, მაგრამ მთელი რომანის განმავლობაში იგი იმგვარ სიტუაციებში ვარდება, სადაც ცხოვრება აიძულებს მას, რომ უამრავ მორგებულ ნიღაბთაგან, ერთ-ერთი ასეთიც იყოს, გაუცინარი კაცის სახე.

„დიონისოს ღიმილშიც“ „თამაში“ წარმოდგენილია, როგორც ერთი თემის ვარიაციული ჩანაცვლებით დამუშავების ხერხი. ამ მიზნით არის გამოყენებული არაკებიც, შეგონებებიც.

ამგვარი „თამაშით“ — შენიღბვა-შენაცვლებითა და სხვადასხვა ნიღბის აფარებით, რომანში ხდება ყოფის არასრულყოფილების დაძლევა. რომანის გმირს გადახდება იმდენად მრავალფეროვანი ამბები, რაც ერთი ადამიანისთვის ჩვეულებრივ ცხოვრებაში წარმოუდგენელი იქნებოდა. წარმოსახვაში და ემოციურად, რა თქმა უნდა, რეალური ფათერაკის გარეშე შეიძლება განიცადოს კაცმა ნებისმიერი შემთხვევა, მაგრამ მწერლობაში და, კონკრეტულად, რომანში სწორედ მწერლის „მდიდარი სამყარო“ გამოიხატება. ჩვეულებისამებრ, ხომ რომანისთვის ნიშნეულია უცნაური, საინტერესო და არაჩვეულებრივი ამბების სიუხვე.

ოსკარ უაილდი წერდა: „არ არის ვნება, რომლის შეგრძნებაც არ შეგვეძლოს, არ არის სიამე, რომლით ტკბობაც არ გვქონდეს ბოძებული. ინიციაციისთვის თვითონ შეგვიძლია თავისუფალი დრო შევარჩიოთ. ცხოვრება! ნუ გაგვიშვებთ ცხოვრებისკენ გულისნადების აღსასრულებლად ან გამოცდილების მისაღებად. ცხოვრების გარემოებები ზღუდავენ, იგი თანმიმდევრულად ვერ გამოსახავს, არ გააჩნია ფორმისა და სულის მშვენიერი შესატყვისობა“ (უაილდი 1982: 93). ამგვარად, რომანი, უპირველესად, თვით მწერლისთვის და შემდეგ მკითხველისთვის, არის ერთგვარი „ინიციაცია“, ზიარება ნამდვილ ცხოვრებასთან, მაგრამ ეს, იმავდროულად „თამაშიცაა“, თავისმოტყუება, როცა ტყუილი ხდება თვითმიზანი და წყარო პერსონაჟებთან იდენტიფიცირებით მოგვრილი სიამოვნებისა.

„ემმა ბოვარი — ეს მე ვარ“, — თქვა ფლობერმა და ამგვარად შეკრა ერთგვარი ფორმულა, რომელსაც ნებისმიერი პერსონაჟის ახსნა შეუძლია. ეს არ გამორიცხავს, რა თქმა უნდა, პროტოტიპებსა და არქეტიპებს, მაგრამ უმთავრესი მაინც პიროვნული მეა და ამ „ჭურჭელში“ ჩასხმული ნებისმიერი სითხე მხოლოდ მისი „ფორმით“ გვევლინება. თუ ფლობერი მხოლოდ ერთ პერსონაჟზე აცხადებდა „პრეტენზიას“, XX საუკუნის მოდერნისტული რომანის ავტორისთვის ყველა პერსონაჟი მისი „შინაარსია“, სხვადასხვა დროსა და სივრცეში გამოვლენილი.

საზოგადოდ, მოდერნისტი მწერლისთვის დამახასიათებელია შენიღბვა. არტურ ლუნდკვისტი თომას ელიოტზე წერდა: „მან შეიმუშავა გარკვეული შენაცვლებების სისტემა. იგი დიდი სიყვარულით მიილტვის შენიღბვისა და შენაცვლებისკენ, რამდენადაც, ეს ხერხები, მისი აზრით, პასუხობს მხატვრული შემოქმედების კანონს და კიდევ იმისთვის, რომ ამ გზით გათავისუფლდეს თავისი თავისგან და იოლად აღმოაჩინოს საკუთარი „მე“. მას ერთდროულად კიდეც ეშინია და სურვილიცა აქვს თავისი თავის პოვნისა. პოეზია მას აძლევს ორმხრივ შესაძლებლობას, დაფაროს და, ამავე დროს, გასცეს საკუთარი „მე“. ელიოტის უკაცრიელი პეიზაჟები, მარიონეტები და დამბლადაცემული მოხუცები ამჟღავნებენ მისსავე თვისებებს: უნაყოფობას, დამთრგუნველ ეჭვს, მჩქეფარე ცხოვრების წყურვილს“ (ლუნდკვისტი 1992: 170).

ცნობილია, რომ მწერლობა ადამიანს საშუალებას აძლევს, სინათლეზე გამოიტანოს ის, რაც მასში დაფარულია. მწერალი ხშირად მრავალრიცხოვან პერსონაჟებში „გაანაწილებს“ ხოლმე საკუთარ ვნებებს.

„ნუთუ არ იცი, რომ მოვა შუაღამე, როცა ყველამ თავისი ნიღაბი უნდა მოიხსნას?“ — წერდა ს. კირკეგორი (კირკეგორი 1991: 11). მწერლებისთვის შემოქმედება სწორედ ამგვარი შუაღამეა, როცა ისინი ნიღაბს იხსნიან, მაგრამ ნიღბის მოხსნა გამოვლინდება, როგორც თავისებური თამაში. ერთი ნიღბით შეკრული სახე თითქოს ერთბაშად მოირღვევა და უამრავ ნატეხებად დანაწილდება, ამიტომაც კვლავ ნიღბის შერჩევა ხდება ყოველი ცალკეული ნაწილისთვის. ამგვარად, ერთს ენაცვლება მრავალი და მათი დათვალიერება-გაჩხრეკა გულისხმობს ადამიანში მისი მრავალსახოვნების დადასტურებას.

არტისტული თამაში მოდერნისტულ რომანებში ხორციელდება, უპირველესად, თხრობის ახალი ტექნიკის საშუალებით. ქართველი მოდერნისტები, ერთი მხრივ, ეყრდნობოდნენ კლასიკური პროზის ტრადიციებს, მეორე მხრივ კი, იყენებდნენ ახალს. საზოგადოდ, მოდერნისტულ პროზაში აღორძინდა ბაროკოსთვის დამახასიათებელი ხერხი სიუჟეტის განვრცობა-დრამატიზაციისა. ეს არის „ამპლიფიკაცია“ (ლათ. amplificatio — გაფართოება), იგი საშუალებას ქმნის, რომ გაიზარდოს სიუჟეტის ისტორიული, ზნეობრივი, რელიგიური მნიშვნელობა. ჟ. ჟენეტი საუბრობს სიუჟეტის განვრცობის სამ საშუალებაზე და მათ უწოდებს ამპლიფიკაციებს: 1. განვითარების (ან გაფართოების) ხარჯზე; 2. ჩადგმული მოთხრობების ხარჯზე; 3. ავტორისეული ჩარევების ხარჯზე (ჟენეტი 1994: 389).

ქართულ მოდერნისტულ რომანებში გვხვდება ამპლიფიკაციის სამივე სახე, მაგრამ განსაკუთრებით კი მეორე — ჩადგმული მოთხრობები. ასევე ხშირია ამპლი-

ფიკაცია განვითარების გზით, როდესაც ავტორი ერთგვარად წელავს თხრობას, „შიგნიდან ბერავს“, დეტალებს უსაზღვროდ ამრავლებს (მაგალითად, ჯოისთან ამგვარი ამპლიფიკაცია წინა პლანზეა — იგი ძალიან დეტალურად აღწერს წვრილმანებს). კ.გამსახურდიას „დიონისოს ღიმილში“ ამგვარი ამპლიფიკაციის მაგალითად შეიძლება დასახელდეს სხვდასხვა ქალაქისა და დასახლებათა, მუზეუმთა, ნახატთა, ქუჩათა დეტალური აღწერები, გრძელი დიალოგები, სადაც პერსონაჟები ხანგრძლივად საუბრობენ, კამათობენ კულტურული, რელიგიური, პოლიტიკური თუ სოციალური საკითხების გარშემო.

სავარსამიძე და ჯენეტი შევიდნენ ნოტრდამში. მათი ყურადღება მოხატულმა კედლებმა მიიპყრო. მწერალი დაწვრილებით „აღაწერინებს“ პერსონაჟს ნახატს: „აპოკალიფსურ მოტივებზე მოხატულ, ვიწრო მაღალ ფანჯრებიდან იისფერი შუქი იფრქვევა. ამეთვისტოსფერ ფანჯრების ფონზე: პატმოსის ჭალაკი, ზეწრით შესუდრული ძე-კაცის მსგავსი თოვლივით სპეტაკი თავი, ალისებური ბრწყინვალე თვალები. მისი პირიდან ორპირ აღლესილი მახვილი ამოდის. ხელთ უპყრია კლიტენი სიკვდილისა და ჯოჯოხეთისანი. მარჯვნით ვარსკვლავი შვიდი, და შვიდი სასანთლენი, ოქროისანი. ნაირ-ნაირი აპოკალიფსური ცხოველი: ლომის მსგავსი, კუროს მსგავსი, არწივის მსგავსი, მეოთხესაც პირი კაცისა, თითოეულის წინ და უკან ორ-ორი თვალი, და ფრთა ექვს-ექვსი. (გამსახურდია 1992: 84).

გრიგოლ რობაქიძე ხშირად აღწერს ნივთებს, ნახატებს დაწვრილებით. აი, როგორ აღწერს ხალიჩას: „მწვანე ვასაკისფერი მოლი. აქაიქ თითქო მზის ფოთლები. შიგდაშიგ: დიდრონი მოთეთრო ლაქები. შუაგულში: ტანაშოლტილი ნიამორი მთვარის უნაზეს პროფილით და უცნაურ ყელმოღერებით. მასთან გვერდით: მორცხვი ქალწული. ისიც: თითქო მთვარესავით გარინდული. მარცხენა ხელი ნიამორის ყელს ეალერსება. თვალები სხვაგან იცქირებიან: მზეჭაბუკს თუ ელიან. თვალს აცილებ ნიამორსა და ქალწულს – და ორ მხრით. ორი ვაჟი მშვილდ-ისრით. ორივეს სურთ ქალწულის დატყვევება?!“ (რობაქიძე 1989: 61).

„დიონისოს ღიმილში“ ხშირად გვხვდება ამპლიფიკაციის ის სახეც, რომელიც გულისხმობს ტექსტში „მეორეულ“ მოთხრობათა ჩასმას. სხვადასხვა პერსონაჟი ჰყვება რაიმე ამბავს, თავის თავგადასავალს. მაგალითად, ბიანკას ნაამბობი ბარონესას ოჯახზე, იოჰანეს ნოიშტეტის მონათხრობი ნიკარაგუაზე, მოღალატე ცოლზე, მუსუს ზანგზე და სხვა. სწორედ ეს ამპლიფიკაციები განაპირობებენ ტექსტის დიდ მოცულობას, მიუხედავად რამდენიმე წინადადებით გადმოსაცემი სიუჟეტისა. მეორადი მოთხრობები ჩართულია „სანავარდოშიც“, მაგალითად, ზემოთ ნახსენები ზღაპრები.

ჟ. ჟენეტის აზრით, ნარატიული შინაარსის თვალსაზრისით — ეს მეორადი მონათხრობი პირველთან მიმართებით შეიძლება იყოს ან ჰომოდიეგეტიკური ე.ი. ეხებოდეს იმავე პერსონაჟებს, რომლებიც მონაწილეობენ მთავარ მოთხრობაში, ან ჰეტეროდიეგეტიკური, ეხებოდეს სრულიად სხვა მოქმედ პირებს, ან სრულიადაც არ იყოს მომიჯნავე ამბავი მთავარისა (რომელიც არ გამორიცხავს სხვაგვარ კავშირს, მაგალითად, ანალოგიას, კონტრასტს ან სხვა) (ჟენეტი 1998: 392). „გველის პერანგში“ ამორძალთა ამბავი ჩართულია ანალოგიისათვის. ასევე პითაგორასა და თეანოს ამბავი მოხმობილია სიყვარულის არსის გადმოცემის გასაღრმავებლად. „სანავარდოში“ ალი ფაინას შესახებ ზღაპარი ჩართულია სინამდვილისადმი ბონდოს გაორებული დამოკიდებულების გასამძაფრებლად და სხვა. ჰომოდიეგეტიკური ამპლიფიკაციები ხშირია „დიონისოს ღიმილში“. ასეთია, მაგალითად, ვიტენზონის ამბავი, ჯენეტისა და სხვა.

მესამე ტიპის ამპლიფიკაცია გულისხმობს ავტორის ჩარევას თხრობაში და თავისი დამოკიდებულების გამომჟღავნებას. ეს ტიპი ამპლიფიკაციისა გამოდის თხრობის სამყაროდან დისკურსის სამყაროში. „გველის პერანგში“ იშვიათად, მაგრამ მაინც ჩნდება ავტორის რეპლიკები, რომლებიც გმირისადმი დამოკიდებულებას

გამოხატავენ.

„არჩიბალდ ტაროს სინჯავს. ყნოსავს — (პირველად?!)

ტაროს სურნელი ხსოვნაში არ ამოიშლება.

ირღვევა შორეული. მოსჩანან შორეულში ბავშვის ხელები.

(ხელები ტაროს ხომ არ ეთამაშებიან) (რობაქიძე 1989: 159).

ქართველი მოდერნისტები იმითაც გამოირჩეოდნენ, რომ ეძებდნენ ენის განვითარების ახალ გზებსა და სანიშნებს, რაც მათ რომანებში წარმოჩნდა კიდეც. ისინი იყვნენ ფორმის ჭეშმარიტი თაყვანისმცემლები. როგორც უაილდი წერდა: „დაიწყეთ ფორმის თაყვანისცემით და ხელოვნებაში არ დარჩება საიდუმლო, თქვენ წინაშე რომ არ გამჟღავნდეს“ (უაილდი. 136).

ამ რომანებში, მართლაც, ბევრი საიდუმლოა წარმოჩენილი, რომლებიც მკითხველზე ზემოქმედებას სწორედ თხრობის ახალი ტექნიკის წყალობით ახდენენ. ეს ტექნიკა კი, უპირველესად, გულისხმობს პროზისა და პოეზიის სინთეზის მრავალფეროვან ვარიაციებს. აქ ხშირად პოეტური მედიტაციების გზით ფილოსოფიურ-რელიგიური საკითხები ესთეტიკურ ღირებულებას იძენენ. მუსიკა ამ რომანებში წარმოდგენილია, როგორც მათი შინაგანი ხერხემალი, რომელიც აპირობებს თხრობის სიმტკიცეს.

სტეფან მალარმე წერდა: „საჭიროა მხოლოდ მინიშნება და სხვა არაფერი. საგანთა ჭვრეტა, ზმანებებით ნასაზრდოები, ზმანებათა მიერ მონაქროლი სახეები – აი, რა არის ნამდვილი შემოქმედება“ (მალარმე 1997: 7). „ზმანებათა მიერ მონაქროლი სახეებით“ ქართველი მოდერნისტები ქმნიან სრულიად ახლებურ მხატვრულ სისტემას, რომლის ყოველ ნაწილს აქვს თავისი დამოუკიდებელი ცენტრი, იმავდროულად, დაკავშირებულია იმ ერთიანსა და საზოგადოსთან, რომელიც რომანის ხან ხილულ, ხან ფარულ საყრდენად გვევლინება.

თომას მანი „ჯადოსნურ მთაში“ ერთგან წერს: „აქ მხოლოდ ჩვენი თხრობის სტიქიამ მოგვიყვანა“ (მანი 1984: 559). თხრობამ, როგორც დამოუკიდებელმა ფენომენმა, განსაკუთრებული ღირებულება სწორედ XX საუკუნის რომანებში შეიძინა. აქ წინა რიგში წამოიწია „თხრობამ თხრობისთვის“, ეს განსაკუთრებით თვალში საცემია ფოლკნერისა თუ პრუსტის პროზაში.

თხრობა მოდერნისტულ რომანში თითქოს გამოეყოფა იმ დრო-სივრცეს, რომელშიც მოქმედება ხდება და პერსონაჟები „მოძრაობენ“ და იძენს თვითკმარ ღირებულებას. თითქოს თავისთავში ჩაიკეტება. ამ დროს თხრობა გამოირჩევა ლირიკული ნაკადის სიჭარბით. მსგავსი მაგალითები უხვადაა „დიონისოს ღიმილში“, სადაც თხრობა იძენს ჰიმნების ფორმას და მთლიანად „გადაფარავს“ პერსონაჟს, მაგალითად, ჰიმნები ღვინისადმი, ჰიმნები ხეებისადმი, ქადაგება თევზებისადმი და სხვა.

ვ. ვულფი წერდა, რომ თანამედროვე რომანს მეტი საერთო ჰქონდა პოეზიასთან, რადგან უპირატესად ასახავდა არა ადამიანთა ურთიერთობებს, არამედ მარტოობაში საკუთარ თავთან გამართულ დიალოგებს (ვულფი 1988: 13).

მარტოობაში საკუთარ თავთან გამართული დიალოგები უხვადაა ქართულ მოდერნისტულ რომანებში. ესეც წარმოგვიდგება, როგორც არტისტული თამაშის ერთი სახე.

„ამბავი და რომანი, იდეა და ფორმა ნემსივითა და ძაფივით არის და არასოდეს მსმენია, რომ მკერავთა ამქარს ძაფის ხმარება ერჩიოს ვინმესთვის უნემსოდ“, — წერდა ჰენრი ჯეიმსი (ჯეიმსი 1989: 285).

ფოლკნერი ფიქრობდა, რომ ყველა ენა უნდა იცვლებოდეს, ან შეეძლოს ცვალებდობა. გრამატიკა და წესებიც ამ დინების ნაწილია. ექსპერიმენტის საშუალებით იგებ, საუკეთესოა ძველი წესები თუ უნდა შეიცვალოს. არა მგონია, რომ ამას ზიანი მოჰქონდეს სტილისთვის. სტილი, თუკი მისი სიცოცხლე გსურთ, ისევე, როგორც ყველაფერი, უნდა მოძრაობდეს, თუ გაიყინა — მოკვდება, ცარიელი რიტორიკაღა დარჩება. სტილი იმის მიხედვით უნდა შეიცვალოს, რისი თქმაც სურს მწერალს“

(ფოლკნერი 1984: 145).

სწორედ ასეთი „მოძრავი სტილია“ გამოყენებული ქართულ მოდერნისტულ რომანებში. აქ გვხვდება სხვადასხვა ლიტერატურული სკოლებისთვის დამახასიათებელი სტილის მონაცვლეობა. ეპიზოდები ხან იმპრესიონისტული სტილითაა შესრულებული, ხან ექსპრესიონისტული, ხან რეალისტური და ა.შ. ყველანაირი სტილი კი გამოყენებულია ადამიანის სულის სიღრმეთა დასახატავად.

„ყველაზე სრულყოფილი ხელოვნება ისაა, რომელიც ყველაზე უფრო სრულყოფილად ასახავს ადამიანს თავის უსაზღვრო მრავალსახეობით“, — წერდა ო. უაილდი. „არ არსებობს ხელოვნება სტილის გარეშე და არ არსებობს სტილი მთლიანობის გარეშე. მთლიანობა კი პიროვნებისაა“ (უაილდი 1982: 39).

ქართული მოდერნისტული რომანების ცალკეული ფრაგმენტი თითქოს ჯაზის ტექნიკითაა შესრულებული. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, გრიგოლ რობაქიძის „ფალესტრაში“ წარმოდგენილი შეხედულებანი ევროპაში შემოჭრილ ამ ახალ მუსიკაზე: „ყოველ საკრავს თითქოს თავისი მელოდია მიჰყავს, მაგრამ, იმავე დროს, ერთგულია საერთო გეზის — სწორედ ისე, როგორც საქართველოს კუთხის, გურიის, გასაოცარ სიმღერას“. „ყოველი საკრავი, ყოველი ტონი, ყოველი ჩასუნთქვა თუ მოსმა თუ დარტყმა — თავისკენ იწევს, ხტის და უხვევს, მაგრამ არც ერთის არც ერთი გადახვევა არ იქცევა „გადაცდენად“. ყოველი მათგანი მთელს უბრუნდება, როგორც მამას თუ დედას, როგორც თავის საშოს“. „სიმღერა „ბლიუზ“, მელანქოლიური სუნთქვა ქალაქების, იშვიათი, მაგრამ ფიცხელი და ბასრი. აქ მელოდია გატიტვლებული გამოდიოდა, რომელსაც არხევდა თუ არწევდა უმჩნევი რიტმიული ხაზი, ოდნავ კვეთილი და წამახული“ (რობაქიძე 1989: 367). ამგვარად, რომანში ყოველი „გადახვევა“ არტისტული თამაშის ელემენტად წარმოჩნდება.

დ. შენგელაია წერდა: „პროზა მოდის უზარმაზარი ციკლონივით და ძნელია მისი გალბობა ლირიკის ფსიქოლოგიურ წყალში. მას მხოლოდ ერთადერთი თვალი აქვს და ეს თვალი შემოქმედებაში მუდამ გარედან იცქირება შიგნით. იგი არ იკარგება საკუთარ სახეებში. მხატვარი სახეებს ობიექტურად და გულგრილად უნდა ალაგებდეს. დიდი გამბედაობაა საჭირო, რომ არ გქონდეს არც რითმა, არც ზომა (მეტრი) და სხვა და სხვა და ისე შეხვიდე ზღვა სახეებში და დაიწყო მისი გადალაგება“. იგი წერდა, რომ მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო ქართული დიალექტები. „პროვინციალიზმი ჩვენ გვწამს, როგორც ინვენტარი. იგი საგანს აბრუნებს ახალი სახით და სახეს გვაძლევს მეტი რელიეფურობით და თავიდან აუცილებლობით. ამ გზით იყო წასული ჩემი რომანი „სანავარდო“ და ამავე გზით წავალ შემდეგშიც მეტის გარკვეულობით” (შენგელაია 1986: 260).

საზოგადოდ, ქართულ მოდერნისტულ რომანებში თხრობის ტექნიკა მეტად თავისუფალია. ჟ. ჟენეტი განასხვავებს თხრობის სამ სახეს: 1. დამაჯერებელს, იგივე იმპლიციტურად მოტივირებულს; 2. მოტივირებულს; 3. თავისუფალ თხრობას. (ჟენეტი 1998: 321).

თავისუფალი თხრობისას პერსონაჟი იქცევა მკითხველისთვის „მოულოდნელად“, ამ შემთხვევაში ქცევის მოტივაცია ძევს ადამიანის ფსიქიკის ულრმეს შრეებში. ამგვარი თავისუფალი თხრობა დამახასიათებელია ქართული მოდერნისტული რომანებისთვის. სავარსამიძის მიერ დოქტორ ვიტენზონიოს პასპორტის „მოპარვა“, ინგებორთან მისი ცდუნება, არჩილ მაყაშვილის სამშობლოდან „გაქცევის“ მცდელობა, ბონდო ჭილაძის სკაპცებთან მისვლა და სხვა.

ცალკეული ეპიზოდი ქართულ მოდერნისტულ რომანებში შერეული „ტექნიკითაა“ შესრულებული. იმავდროულად, ეს არის „კონტრაპუნქტული პროზა“, როგორც ჰ. ფრიდრიხი შენიშნავდა: „სავსე ჩახლართული სირთულეებით, უნარით, ერთი ფიქრი მეორისას ისე ჩააწნას, რომ ორივე, ზოგჯერ რამდენიმე აზრიც კი ერთდროულად აამეტყველოს. ამ მეთოდს ბევრი საერთო აქვს მუსიკასთან, განსაკუთრებით იმით, რომ ჩნდება რამდენიმე აზრის ერთდროულად მოძრავი სინთეზი, რომელიც,

როგორც დამოუკიდებელი წარმონაქმნი, აზრის ცალკეულ ხაზებს მოიცავს, კონტრაპუნქტული მუსიკალური ფრაზის სინთეზური აკუსტიკური ზემოქმედების მსგავსად“ (ფრიდრიხი 1990: 311).

ცნობილია, რომ ევროპულ კულტურას საფუძვლად დაედო ორი ტრადიცია, ორი სტილისტური სისტემა. ერთი ჰომეროსის ეპოსს ენათესავება, მეორე კი – ძველ აღთქმას. პირველი, ჰომეროსისეული სტილი არის დასრულებული აღწერა საგნებისა, სინათლე ზომიერად არის განაწილებული ყველა საგანზე, ყვალაფერი ურთიერთკავშირშია, მეტყველება თავისუფლად მიედინება, მოქმედება წარიმართება პირველ პლანში, ერთმნიშვნელოვანი სიცხადე გამოსჭვივის ყველგან. მეორე სტილი მისგან განსხვავდება, რადგან აქ ერთი ნაწილი გამოეყოფა სხვათაგან, დანარჩენი კი იჩრდილება, მოქმედებები წყვეტილია, ყველგან იგრძნობა გამოუთქმელის ზემოქმედება, შემოდის უკანა პლანი, თითოეულ ფრაგმენტს ენიჭება სიმბოლური მრავალმნიშვნელოვნება, სახეები მოითხოვენ განმარტებას.

ქართულ მოდერნისტულ რომანში ეს ორივე სტილისტური სისტემა თავისებურად გამომჟღავნდა, ერთმანეთს შეერია.

საზოგადოდ, სამყაროს ესთეტიკური ჭვრეტა ანტიკური ხელოვნებისთვის იყო დამახასიათებელი. აქ დაცული იყო კოსმოსთან დისტანცია. ქრისტიანულ კულტურაში კი წარმოჩნდა ადამიანის ზნეობრივი კონტაქტი სამყაროსთან.

სავარსამიძის სამყაროსთან დამოკიდებულებაში კარგად მოჩანს ამ ორგვარი სისტემის მონაცვლეობა. საზოგადოდ, ეს ქართული ბუნებისთვისაა დამახასიათებელი, რამდენადაც მასში ძლიერია წარმართული სული.

ჯოზეფ ფრენკმა თანამედროვე ლიტერატურაზე დაკვირვებისას შენიშნა, რომ მისთვის დამახასიათებელია სივრცობრიობა. მან ლესინგის მეთოდი გამოიყენა ელიოტის, პაუნდის, პრუსტის, ჯოისის ნაწარმოებთა ანალიზისას. მისი აზრით, ესთეტიკური ფორმა აღარ არის გაიგივებული ტექნიკის გარეგან პრობლემებთან, ის აღარ არის მხოლოდ „სამოსი“. ფორმა იქმნება უშუალოდ ნაწარმოების შინაგანი ორგანიზაციის პროცესში. დრო და სივრცე გააზრებულ იქნა, როგორც ორი უკიდურესი კატეგორია, რომლებიც განსაზღვრავენ ლიტერატურისა და ფერწერის საზღვრებს (Фрзнк1987: 197).

თანამედროვე რომანის ესთეტიკური ფორმის ანალიზისას ფრენკი ამოსავლად მიიჩნევს ფლობერის „მადამ ბოვარის“ ცნობილ — მესაქონლეობის გამოფენის სცენას, სადაც მოქმედება ერთდროულად სამ დონეზე ხორციელდება. ამასთანავე, ყოველი დროის სივრცული მდგომარეობა ზუსტად შეესაბამება მის სულიერ, შინაგან აზრს. ერთდროულად იხატება მოედანი — ბრბოთი გაჭედილი, ერთმანეთში არეული ხალხითა და გამოფენაზე მოყანილი საქონლით, ოდნავ შემაღლებულ სცენაზე ერთმანეთს ცვლიან ორატორები. ყველაფერ ამას კი ზემოდან, ფანჯრიდან უყურებენ ემა და რუდოლფი, თან ერთმანეთს სიყვარულზე ესაუბრებიან. მოგვიანებით ფლობერი ამ სცენასთან დაკავშირებით შენიშნავდა: "ყველაფერი ერთდროულად უნდა აჟღერდეს – მკითხველმა უნდა გაიგონოს — საქონლის ბღავილი, შეყვარებულთა ჩურჩული და ჩინოვნიკთა რიტორიკა, ყველაფერი ერთდროულად“ (Фрзнк 1987: 200).

ფრენკის აზრით, ეს სცენა მცირე მასშტაბით წარმოადგენს რომანის „სივრცობრივ“ ფორმას. თხრობის დრო თითქოს ჩაიკეტება. ყურადღება კონცენტრირდება პერსონაჟთა ურთიერთობაზე დროის უძრავ მონაკვეთში. ეპიზოდის აზრი მიიწვდომება მხოლოდ სხვადასხვა აზრობრივი პლასტის ურთიერთქმედების გაგების შემდეგ.

ქართულ მოდერნისტულ რომანში გამოყენებულია ამგვარი ხერხი. რობაქიძე „გველის პერანგში“ ხანდახან რამდენსამე განსხვავებულ მოქმედებას ერთ სიბრტყეში მოაქცევს და ქმნის ერთდროულობის შეგრძნებას. ასეა, როცა ხატავს „მოქანავე ქალაქ-ხომალდს — ტფილისს“. ეპიზოდი წარმოდგენილია, როგორც ქალაქის „ბოდვა“. ლანდები ერთმანეთში ირევიან, საუბრობენ. მათ ლაპარაკში კი ფრაგმენტულად იხატება საქართველოს ისტორია. იქმნება ფანტასმაგორიის განცდა:

„პირველი: არსის ხვედრი არსშია თვითონ.
მეორე: არ არის სიმართლე უმაღლეს ამისა.
მესამე: თვითონ გაუწირავს თავი.
(ვის?! ხომალდს?! ტფილისს?!)
ხომალდი ქანაობს — (უცხო ქარია?!)
ლანდები გადაცვივდებიან".
„პირველი: არ წახვიდე ამ მხრით.
მეორე: გვერდით მარაბდაა.
მესამე: მარაბდა ნაძრახი ადგილია.
(როგორ?! ვისგან?!)
პირველი: იქ დახვდა ქართველთა ჯარი მონგოლებს.
მეორე: ოთხმოცი ათასი თორმეტი ათასს.
მესამე: ოთხმოცი ათასი უკუიქცა.
(შესაძლებელია!) (რობაქიძე 1989: 221).

ავტორის ეჭვიანი ჩანართები თითქოს დროს აუქმებს, მხატვრულ სივრცეს „არღვევს" და მკითხველსაც მოთხრობილი და აღწერილი ამბის თანამონაწილედ აქცევს. იქმნება ილუზია, თითქოს და სწორედ მკითხველის „მინდობასა" თუ „მიყოლაზე" იყოს დამოკიდებული შემდგომი ამბები.

უცებ შემოჭრილი ასოციაცია უკან მიიდევნებს ასოციაციათა ნაკადს, რომელიც მკითხველში აღვიძებს ნაცნობი თუ შორეული ტკივილის განცდას. ამ შემთხვევაში, ადამიანთა ბედის მსგავსებასაც ესმება ხაზი და, იმავდროულად, კონკრეტული ტკივილიც განზოგადდება. დავითის ქნარს შემოაქვს ტრაგიკული ტონალობა:

„მე გადავლახავდი გარდუვალს".
ამას დარჩენილი გული ჰკივის. მაგრამ პირველი გულის კივილი ვეღარ დაეწევა.
ქვითინი გაგუდული.
საულ! საულ! დღეს ვერ დაგამშვიდებს შენ ქნარი დავითის" (რობაქიძე 1989: 266).

ტკივილი თითქოს ამსხვრევს ადამიანს და ეს მსხვრევა „გასამებული" არჩიბალდით წარმოდგება.

„წაიკითხე!
ჩურჩულით ეუბნება ერთი.
მეორე ბარათს ჰკიდებს ხელს..."
სხვა: გაგუდული ქვითინი ..."
„საულ! საულ! ვინ დაგამშვიდოს?!" (რობაქიძე 1989: 267).

ამგვარად, ამ წერილში წარმოვაჩინეთ არტისტული თამაშის ზოგიერთი ასპექტი ქართულ მოდერნისტულ რომანში.

დამოწმებანი:

Bakhtin, Mikhail. „K`arnavalizebuli Literatura" (in Georgian language). *Lit'erat'uris Teoris Krest'omatia.* II. Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba, 2010 (ბახტინი, მიხეილ. „კარნავალიზებული ლიტერატურა". *ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია.* II. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010).

Eikhenbaumi, Boris. „Rogoraa Agebuli Gogolis Shineli" (in Georgian language). *Lit'erat'uris Teoria.* II. Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba,2010 (ეიხენბაუმი, ბორის. „როგორაა აგებული გოგოლის „შინელი". *ლიტერატურის თეორია.* II. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010).

Faulkner, William. *Saubrebi.* (in Georgian language). Tbilisi: 1984 (ფოლკნერი, უილიამ. *საუბრები.* თბ.: 1984).

Frenk, Dzhozef. Prostranstvennaja Forma v Sovremennoj Literature. M: 1987 (Фрзнк, Джозеф. *Пространственная форма в современной литературе*. M: 1987)

Friedrich, Holderlin. „Tanamedrove Lirik'is St'ruktura" (in Georgian language). *Saunje* 5 (1990) (ფრიდრიხი, ჰოლდერლინი. „თანამედროვე ლირიკის სტრუქტურა". *საუნჯე*. 5 (1990)).

Frisch, Max. *Viknebi Tundats Gant'enbaini. (*in Georgian language). Tbilisi: 1981 (ფრიში, მაქს. *ვიქნები თუნდაც განტენბაინი*. თბ.: 1981).

Gamsakhurdia, K'onst'ant'ine. „Dionisos Ghimili". *Tkhzulebani 20 T'omad.* T'. II. Tbilisi: 1992 (გამსახურდია, კონსტანტინე. „დიონისოს ღიმილი". *თხზულებანი 20 ტომად*. ტ. II. თბ.: 1992).

Genette, Gerard. *Figury. (*in Russian language). M: 1998 (Женетт, Жерар. *Фигуры*. M: 1998).

Huizinga, Johan. „K'ult'uris Tamashshi Ts'armoshobis Shesakheb" (in Georgian language). *Lit'erat'ura da Khelovneba*. №3-4 (1992 (ჰოიზინგა, იოჰან. „კულტურის თამაშში წარმოშობის შესახებ". *ლიტერატურა და ხელოვნება*. №3-4 (1992)).

Kafka, Frants. „Zamok". Novelly i Pritchi. Peterburg: 1991 (Кафка, Франц. "Замок". *Новеллы и Притчи*. П: 1991).

Kierkegaard, Soren. „Estet'ik'urisa da Etik'uris Ts'onast'oroba" (in Georgian language). *Lari*. Tbilisi: 1991 (კირკეგორი, სორენი. „ესთეტიკურისა და ეთიკურის წონასწორობა". *ლარი*. თბ.: 1991).

Lundkvist, Artur. *Sk'andinaviuri Eseebi (*in Georgian language). Tbilisi : 1992 (ლუნდკვისტი, ართურ. *სკანდინავიური ესეები*. თბ.: 1992).

Mallarme, Stephane. „Simbolizmis Shesakheb" (in Georgian language). *Arili*. 27 April, 1997 (მალარმე, სტეფან. „სიმბოლიზმის შესახებ". *არილი*. 27 მარტი, 1997).

Mann, Thomas. *Jadosnuri Mta.* (in Georgian Language). I. Tbilisi: 1978 (მანი, თომას. *ჯადოსნური მთა*. ტ. I. თბ.: 1978).

Mann, Thomas. *Jadosnuri Mta.* (in Georgian Language). II. 1984 (მანი, თომას. *ჯადოსნური მთა*. ტ. II. თბ.: 1984).

Robakidze, Grigol. *Gvelis P'erangi. Palest'ra.* Tbilisi: 1989 (რობაქიძე, გრიგოლ. *გველის პერანგი. ფალესტრა*. თბ.: 1989).

Shengelaia, Demna. *Sanavardo. Rcheuli.* Tbilisi: 1983 (შენგელაია, დემნა. *სანავარდო. რჩეული*. თბ.: 1983).

Shengelaia, Demna. *Kartuli Lit'erat'uruli Esse.* Tbilisi: 1986 (შენგელაია, დემნა. *ქართული ლიტერატურული ესსე*. თბ.: 1986).

Wilde, Oscar. *Dorian Greis P'ort'ret'i.* (in Georgian Language). Tbilisi: 1982 (უაილდი, ოსკარ. *დორიან გრეის პორტრეტი*. თბ.: 1982).

Woolf, Virginia. *Eseebi.* (in Georgian Language). Tbilisi: 1988 (ვულფი, ვირჯინია. *ესეები*. თბ.: 1988).

Maia Jaliashvili

Variations of Artistic Game According to Georgian Modernistic Novels

Summary

Key words: Georgian literature, modernism, artistic game.

In the Georgian modernistic novels, we mean, Grigol Robakidze's „The Snake Skin", Konstantine Gamsakhurdia's „Dionysus' smile" and Demna Shengelaia's „Sanavardo", the game is revealed as a new mastery, a different level of art, which determines the form of artistic text.

There is an opinion, that artistic creativity is a peculiar kind of game. Game elements are in all three above-mentioned novels. First of all, it seems in the style of narrative and in the composition of artistic system. For example, the epigraph of „Sanavardo" can be considered as some kind of musical and semantic tone of novel and that artistic games, that is represented. This can be considered as cryptogram, which is easy to understand for Georgian readers, because they know the well-known Georgian text literature, from which this fragment is given. And for those readers for whom this work is unknown, we mean „The Martyrdom of The Holy Queen Shushanik" by Jacob Tsurtaveli, epigraph will become clear idea after all understanding the essence of the novel. There are association replacement or interchange in the Georgian modernistic novels. Sometimes, at first sight, quite unexpectedly one episode followed by another episode. This association connection is often ironical and causes the feeling of expectations. In a certain sense some kind of carnival feeling also appeared in such episodes. This represents a devaluation of values. This demonstrates that the society no longer appreciates the old, traditional values and has pseudo cultural attitudes. There are close to each other and we often meet both tragic and comic episodes in novels, or including ironical echo, which strengthens the feeling of tragicomedy of life and, in this way, the reader is relieved from unpleasant tension.

It is known that European culture was based on two traditions, very different from each other's stylistic system. One of them is linked to Homer's epic, the second one is related to the Bible. Homer' style means the complete description of subject and events, narrative clarity. The second style is different. One episode is often separated from others. The rest is the shadow of another episode. The story is narrated in fragmentary. This kind of artistic work contains a lot of symbols, which needs understanding. Artistic work requires appropriate method of interpretation. These two stylistic systems are assimilated with each other in Georgian modern novel.

It is known that European culture was based on two traditions, very different from each other's stylistic system. One of them is linked to Homer's epic, the second one is related to the Bible. Homer' style means the writers are using artistic elements of games in all three novels in order to define, on the one hand, the character of personage, on the other hand, the epoch, society, human relations, to paint the preceding time and the eternal spirit of mankind. There is crossing to each other's philosophical, physiological, lyrical, religious and the intellectual streams in Georgian modernistic novels, and by this way, the novel entirely and its narrative becomes very interesting, because methods of artistic game are attractive, original, impressive, diverse, and innovative.

ნონა კუპრეიშვილი

XX საუკუნის ოციანი წლების ნარატიული სტრატეგიები

XX საუკუნის ოციანი წლების ქართული პროზა მრავალგვარი ნარატიული ხერხებითაა არტიკულირებული. ესაა შედეგი, ერთი მხრივ, თვით ეპოქის რევოლუციური, ფეთქებადი ხასიათისა (XXს. I ნახევარი არა მარტო „სოციალური“, არამედ „სამეცნიერო“ და თვით „სექსუალური“ რევოლუციების ხანაა), მეორე მხრივ კი, იმ ახალი ფორმის ძიებისა, რომელიც პირობითი ნიშნებითა და კულტურული სისტემებით დაფარული „წმინდა“ (უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, „დაწმენდილი“ — ნ.კ.) რეალობის“ მიღმაა საძიებელი (Эпштейн 2004: 58). ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში ეს მოვლენა სამართლიანად განიხილება არა მარტო ესთეტიკურ ჭრილში, ასე ვთქვათ, ფართო გაგებით, „სტილისტური ტრანსფორმაციების“ თვალსაზრისით, არამედ ფასეულობათა ერთი სისტემის მეორეთი ჩანაცვლების მომენტის ისტორიულობის კონტექსტში. იმთავითვე იდეოლოგიური და ენობრივი დიქოტომიების ნიშნით წარმართული მაშინდელი ლიტერატურული პროცესი კულტურული არჩევნისათვის წარმოებული უკომპრომისო ბრძოლის ხასიათს იძენს და ცხოვრების ყველა სფეროს ეხება. ამიტომაც ოციან წლებში კულტურული კოდის ცვლილებას ხშირად ეგზისტენციალურ სიტუაციასთანაც ვაიგივებთ.

ცნობილია, რომ არადოგმატური აზროვნების ატმოსფერომ, პოეზიასა და პროზაში დანერგილმა ექსპერიმენტებმა რევოლუცია კრიტიკაშიც გამოიწვია (რუსული ფორმალისტური სკოლა პროზის თეორია). ბახტინის სიტყვებით, „თავისუფალი სჯა“ „გაწაფული აზრით“ ანუ ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობილი ანალიზით შეიცვალა. ჩვენს სტატიაში წარმოდგენილი თხრობითი მხატვრული ნიმუშები ნარატივის რთული სტრუქტურის არაერთი კომპონენტის აღმოჩენას და მათი ნარატივისავე სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფუნქციათა მიმართებით განხილვის საშუალებას იძლევა. თუმცა არის საკითხები, რომლებიც, შესაძლოა, უშუალოდ ამ სტრატეგიების მიღმა მოიაზრება, მაგრამ, უდავოა, რომ პირდაპირ თუ ირიბად ისინი სასურველი მხატვრული ფორმის რეალიზაციის ხარისხზე საგრძნობ გავლენას ახდენენ.

გასაბჭოების პირველ წლებში ნარატიული ანუ თხრობითი მხატვრული ტექსტების მომრავლებას (დასავლური და, განსაკუთრებით, რუსული პროზის მსგავსად გააქტიურებულ ქართულ პროზას „გაღვიძებული კონსერვატორიც“ კი უწოდეს) თავად „ნარაციის ცნებაში ფარულად მინიშნებული განჯისა და ინტერპრეტაციის იდეები“ განაპირობებენ. სხვა სიტყვებით, მომხდარი, თავისი მასშტაბურობის გამო, ლექსის ფორმატში აშკარად ვერ თავსდება და ნანახისა და განცდილის ასახვისას არა მარტო თანმიმდევრობის დაცვას, არამედ მისი ინტერპრეტაციების აუცილებლობას ითხოვს. დროის ნიშნითაა აღბეჭდილი ის ფაქტიც, რომ შესამჩნევად იმღვრევა რეალობასა და მხატვრული გამონაგონის ზღვარზე დაყენებული ხედვის ფოკუსიც, რაც ფიქციური (გამონაგონი) და არაფიქციური (რეალურ ამბებზე დაფუძნებული) ტექსტების ჟანრობრივ ურთიერთდაახლოებას იწვევს. აი, როგორ აღიქვამს ამ ფაქტს ნ. მიწიშვილი: „საქმე ისაა, რომ გამოგონილ ამბავს სჯობს ნამდვილი ამბავი. ის, რაც გუშინწინ და გუშინ განვიცადეთ და ვნახეთ თვითოეულმა ჩვენთაგანმა და რისი მოწამე დღესა ვართ... ცხოვრება დღეს იმდენად საინტერესო შეიქმნა, რომ თუ მწერალმა შესძლო ამ სინამდვილის მხატვრული ხელით და კარგის ენით აწერა — ეს სინამდვილე ყოველთვის დასჩაგრავს და წაახდენს გამოგონილი გმირის ისტორიას, იმდენად ამაღელვებელი, იმდენად წარმტაცი და მოულოდნელობით სავსეა იგი...“ (მიწიშვილი 1927: 6). თუმცა, როდესაც საქმე ისეთ ლიტერატურულ მოვლენასთან გვაქვს, როგორიც სწორედ ოციან წლებში შექმნილი „ჯაყოს ხიზნებია“, რეალურისა

და გამონაგონის ურთიერ-თმიმართება რამდენადმე განსხვავებულ განზომილებას იძენს. „გამონაგონი აქ ერთგვარი კვლევის“ შედეგად წარმოგვიდგება, თავად მოქმედებას კი არა, „მოქმედების შუალედურ მოტივებს“ რომ სწავლობს. მთხრობელი სწორედ ისტორიის მეშვეობით გადმოგვცემს შესაძებელისა და აუცილებელის ზოგიერთ უნივერსალურ მოდელს, რომელიც ადამიანურ ცხოვრებას ახასიათებს“ (ხარბედია 2006: 180). დაკვირვებულ მკითხველს იტაცებს თვალის მიდევნება „ყოვლისმცოდნე ავტორის“ თვითალაგმვისა და თვალთახედვათა სიმრავლის წარმოჩენისათვის. აშკარავდება, რომ მწერალი ამჯობინებს ავტორის, მთხრობელებისა და პერსონაჟების თვალთახედვათა ვარირებით შეკრას კომპოზიცია. თუმცა ავტორისა და პერსონაჟის თვალთახედვის ხარისხი ზოგჯერ იმდენად მაღალია, რომ თამამად შეიძლება საუბარი ჰენრი ჯეიმსონისეული „ამრეკლავი პერსონაჟის“ შესახებ. პროლეტარული მწერლები, რომელთაც რევოლუციური იდეებისადმი ფანატიკური რწმენა არ აკლდათ და მეტი დამაჯერებლობისთვის მაუზერით შეიარაღებულნიც მიმოდიოდნენ, ვერ ქმნიდნენ „ეპოქის სულის“ ამსახველ ტექსტებს. (სხვათაშორის, ტ. ტაბიძე ამ მოვლენას იმ მარტივი მიზეზით ხსნიდა, რომ „რევოლუცია ორგანულად არ იყო გამოტანჯული ქართველი ხალხისგან, არამედ მოვიდა ფოსტით პეტროგრადიდან“ — ტაბიძე 1923: 3). ბოლშევიკ-კრიტიკოსი, მე-11 არმიის ცხენოსანი დივიზიის ყოფილი სამხედრო კომისარი, ვ. ბახტაძე წერდა: „...მოთხრობის და მით უფრო რომანის შექმნა გაცილებით უფრო ძნელი და მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე გარითმული და გარიტმული სიტყვების ლექსად აწყობა... ამიტომ არ არის სრულებითაც გასაკვირი ის ფაქტი, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მერვე წელზე ჩვენ კიდევ არა გვაქვს არც ერთი რევოლუციური რომანი“ (ბახტაძე 1962: 301). მართლაც, მაღალმხატვრული ნარაციის მიზანი ხომ არა რეალობის იმიტაციაა, არამედ მწერლის ფანტაზიის მაპროვოცირებელი რეალობის „ლოგიკური სტრუქტურის, მისი საზრისის“ მოხელთება. ამგვარი ტექსტის ანალიზს ერთ კონკრეტულ დასკვნამდე მივყავართ: „ამა თუ იმ მოვლენის რეალობა მეორეხარისხოვანია იმასთან შედარებით, რომ ის შეთხზეს...“ (ელსი 2006: 181).

გავიხსენოთ ნ. მიწიშვილის დოკუმენტური პროზა, რომანი „თებერვალი“ — უნდა მივიჩნიოთ თუ არა იგი არაფიქციურ თხრობით ტექსტად? ნაწარმოები სავსებით რეალურ ამბავზეა აგებული. კერძოდ, 1921 წლის მარტში „ბათუმის გასხვანაირების“ მიზეზად ქცეული „თავისუფალი საქართველოს უკანასკნელი დღის“ ქრონიკაზე, თუმცა დროითი სტრუქტურა ისეა გართულებული, რომ მთხრობელის ფსიქოლოგიური განცდა ლამის ფარავს რეალობას. რომანის სიუჟეტური დრო დატვირთულია და მრავალფეროვანია, იმდენად, რომ პოლიტიკურ, სოციალურ და პიროვნულ სფეროთა დეფორმაციას იწვევს. ხდება “ადამიანის დროსთან დამოკიდებულების იმ მახასიათებელი ნიშნების გამოაშკარავება, რომლებიც ცხოვრებაში დაფარულია“ (ხარბედია 2006: 189). ასე რომ, „ზუსტი სადერმაკაციო ხაზის გავლება დოკუმენტალიზმსა და შთაბეჭდილებებს, გნებავთ, გამოგონილს შორის, აშკარად ჭირს. ეს კი თავის მხრივ მხოლოდ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ფიქციური და არაფიქციური ტექსტი ერთსა და იმავე წესებს ემორჩილება“ (წიფურია 2009: 180).

ისტორიის რიტმის მოხელთების სურვილით მოტივირებული ძველი დასრულებული ფორმების ნაცვლად „ფორმის გადააზრების“ (შკლოვსკი) პრინციპთა დეკლარირება სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობის მწერლებს განსხვავებული ნარტიული სტრატეგიების გამოყენებისკენ უბიძგებს. იქმნება მხატვრულ შესაძლებლობათა მთელი პალიტრა. როგორც ვიცით, რეალისტურ ხაზს ძირითადად ავითარებენ შ. დადიანი, მ. ჯავახიშვილი, ლ. ქიაჩელი; მოდერნისტულს — ვ. ბარნოვი, ნ.ლორთქიფანიძე, გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია, დ. შენგელაია, ბ. მელიქიშვილი, მ. მრევლიშვილი; ავანგარდისტულს — კვლავ დ. შენგელაია, სტ. კასრაძე, ა. ბელიაშვილი, პ. ნოზაძე. თუმცა ამგვარი დაყოფა პირობითია, რადგან ერთი და იგივე ავტორი ხშირად განსხვავებული ესთეტიკური ან ანტიესთეტიკური პრინციპების რეალიზა-

ციას ახდენს (ეს განსაკუთრებით ახალბედა ავტორთა პირველცდებში იჩენს თავს, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი). ამ თვალსაზრისით მოძრაობა შეინიშნება არა მარტო მოდერნიზმიდან რეალიზმისკენ (კ. გამსახურდია, ლ. ქიაჩელი, ნ. ლორთქიფანიძე), რაც ბოლშევიკური ლიტერატურულ პოლიტიკის პირდაპირი შედეგი იყო, არამედ თვით მოდერნისტულ-ავანგარდისტულ დაჯგუფებათა შიგნით, როდესაც სიმბოლისტური რომანის „სანავარდოს“ შემდეგ დ. შენგელაია, როგორც თვითონ მიიჩნევს, ავანგარდისტულ, უფრო კონკრეტულად კი ტაქტილურ რომან (მასალებს რომანისთვის) „ტფილისს“ ქმნის. მწერალი იგონებს: „1924 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა „სანავარდო“. ცნობილი მწერალი გავხდი! ცისფერყანწელებს განსაკუთრებით მოვწონდი... მიუხედავად ცისფერყანწელების სურვილისა და ბუნებრივი მოლოდინისა, მათ ჯგუფს არ მივმხრობივარ. მემარცხენეობა ვარჩიე... ახალგაზრდობაში თაყვანს ვცემდი ფრანგული და რუსული სიმბოლიზმის კორიფეებს და ბევრად დავალებულიც ვიყავი, კერძოდ, სიმბოლისტური პროზისგან — სიმბოლისტების იდეალიზმი არასოდეს გამიზიარებია, რადგან ბუნებით ყოველთვის მატერიალისტი ვიყავი“... (შენგელაია 1977: 564). ამას მოსდევს საბჭოურ ზეწოლას დანებებული შემოქმედის თვითშეფასების იმგვარი ფორმა, (გ.ასათიანი „სამი საღამო დემნა შენგელაიასთან“) იმგვარი ქმედითი არგუმენტის დამოწმება — (მამის სოციალ-დემოკრატობა, მუშების უბანში, ნაძალადევში, გატარებული ბავშვობა), რომელიც გარკვეული თვალსაზრისით გვიხსნის კიდევაც შთაგონების ხარჯზე მწერლის შემდგომი სახეცვლილების მიზეზს.

პროლეტარული მწერლობა კი, რომელიც „უტრადიციობითა და უშვილობით“ იწონებს თავს, თავისი ესთეტიკური პარამეტრებით ვერც ძველსა და ვერც ახალ ყალიბში თავსდება, რადგან ფორმით ნატურალისტური და შინაარსით სოციალისტური ნარაციული ტექსტები ადეკვატურად ვერ „გადათქვამენ რეალობას“ და ვერც მის „ლოგიკურ სტრუქტურას“ წვდებიან. საგულისხმოა მათი ეპიგონური ინტერესებიც: სწორედ იმ ავტორებს ბაძავენ, ვისაც შეურიგებელ იდეოლოგიურ მოწინააღმდეგედ მიიჩნევენ. ასე, კ. ლორთქიფანიძე მ. ჯავახიშვილის მიერ ხორცშესხმულ მედროვეობის იდეას უტრიალებს და თავის ადრეულ მოთხრობაში „ხავსი“, მას, ისევე, როგორც „თეთრ საყელოში“ მხატვრულად რეალიზებულ თემას (სინამდვილეში ახალი დროების მიღებისა და აქტუალიზების პრობლემად რომ მოიაზრება და არა მთისა და ბარის, პრიმიტივისა და ცივილიზაციის დაპირისპირებად, როგორც ამას მაშინდელი კრიტიკა და კ. ლორთქიფანიძე მიიჩნევენ) საკმაოდ სუმბურულ ასახვას აძლევს. რაც შეეხება მოთხრობის დასაწყისს, იგი ენობრივ-სტილური დაქვემდებარების ისეთი ნიმუშია, რომ და „თეთრი საყელოს“ პირველი ფურცლებიდან ლამის გადაწერილ ტექსტს მოგვაგონებს: „აქ შევისვენოთ: — მითხრა გახამ: თავზე უზარმაზარი კლდე გვახურავს, ზევით ნაძვნარი, ძირს გველივით გასწრაფული გარბის წვრილი გზა. ძუნძულ-გადაყრილი ღრიალებს ენგური, გეშინია, თან გიზიდავს. ჭაღარა ღრუბლები დაბაჩუნობენ ნელა, ხან ისვენებენ მთის წვერზე, თუ ქარი მობერავს დგებიან ზანტად, აბოლებენ ცას. შორს ენგურის ბღავილს ეხმაურება ხევები...“ (ლორთქიფანიძე 1926: 38). განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ისევ და ისევ მ. ჯავახიშვილის მიერ ღრმად გააზრებული და მხატვრულად დამუშავებული „სასიყვარულო სამკუთხედის“ თემა-მოდელი (თეიმურაზი — მარგო — ჯაყო), რომელიც, პირველ რიგში, „ურთულესი დროითი გამოცდილების თხრობითი ოსტატობით დაძლევის“ შედეგია. ოჯახური ისტორიის მოყოლა-ნარაცია ჯავახიშვილთან აქაც, როგორც ყოველთვის, მნიშვნელოვანია როგორც პროცესის (რა პროცესში არიან ჩართულნი პერსონაჟები, ანუ რას აკეთებენ), ასევე ობიექტის თვალსაზრისით (ანუ ვის ან რის შესახებ ყვებიან). პროლეტპროზაიკოსები კი (მაგ. ნ. ზომლეთელი, ს. თალაკვაძე, ი. ლისაშვილი ან ვ. მალაქიაშვილი-ხუროძე) ნარაციის ამ მახასიათებლების სინთეზირებას ვერ ახდენენ და მზა მოდელის რეპრეზენტირებით კმაყოფილდებიან. დ. შენგელაიაც კი, რომელიც ამ პერიოდში საკუთარი ხელწერის ძიებას იწყებს და, როგორც აღვნიშნეთ, მოდერნიზმსა

და ავანგარდიზმს შორის მერყეობს, მოთხრობაში „ჯავშნიანი მატარებელი № B. E. 365 Октябрь“ თხრობას სწორედ იმავე „სასიყვარულო სამკუთხედის“ თემაზე აგებს. მოგვიანებით მოთხრობის ტექსტში შეაქვს „ჯაყოს ხიზნებში“ გამოყენებული ერთერთი კონცეპტუალური დატვირთვის მქონე ტერმინი „ნაკაცარი“, ცვლის სათაურს („ჯავშნიანი მატარებლიდან“→„კაც“) და ახალ ვარიანტს ძველის თარიღს,1924 წელს, უტოვებს (სწორედ ამიტომ, ერთხანს საბჭოთა მკლევრები ტერმინ „ნაკაცარის“ შემქმნელად არა მ. ჯავახიშვილს, არამედ დ. შენგელაიას მიიჩნევდნენ მაშინ, როდესაც რომანის ტექსტში ანალოგიური სიტყვათწარმოების არაერთი ნიმუში გვაქვს: ნამოურავალი, ნავექილარი, ნახუცარი...). ამასთან თხრობის ტემპი, თვალთახედვა (იგივე თვალსაზრისი), გარეგანი და შინაგანი ფოკალიზაციის ჯავახიშვილისეული სისტემა დ. შენგელაისა მიერ ვარირებულ ტექსტში, ცხადია, დეფორმირებულია და არა მხატვრულ ამოცანას, არამედ საბჭოური კონიუქტურის მოთხოვნებს ემორჩილება, ანუ ხდება ავტორის მიერ შექმნილი სამყაროს იდეოლოგიურ ჭრილში აღქმა. შედეგად ვღებულობთ ტექსტს, რომელშიც „იდეოლოგიური თვალსაზრისი წარმოდგენილია რომელიმე ერთი დომინანტური პოზიციით. სწორედ ამ პოზიციას ექვემდებარება ყველა დანარჩენი“ (ლომიძე 2010: 33). სხვა სიტყვებით, ნარაცია იმ წესების კონდენსირებულ ერთობლიობად წარმოგვიდგება, რომელიც ამ დროისათვის უკვე თითქმის შეთანხმებულია და საბჭოურ კულტურულ ჩარჩოებში გამოსაყენებლად მზადდება. თავად ავტორთა მიერ თხრობითი მხატვრული ტექსტების კომპოზიციურ-თემატურ ხელყოფის პრაქტიკა ოციან წლებში იკრებს ძალას (შემდეგ ათწლეულებში იგი მენტორი-რედაქტორის სრულუფლებიანობასთანაა გაიგივებული). მ.ჯავახიშვილი გახმაურებულ და მწვავე მოთხრობას „დამპატიჟე“ „რკინის საცერად“ გადააკეთებს, ლ. ქიაჩელი „ჰაკი აძბას“ ორგვარ ფინალს შექმნის, კ. გამსახურდია კი „მთვარის მოტაცებიდან“ მამისმკვლელობის ეპიზოდს ამოიღებს და ა.შ. ყველაზე საგრძნობ ზიანს ეს მანიპულირება მაინც მ. ჯავახიშვილს აყენებს. საერთოდაც, ესაა მწერალი, რომელსაც საკუთარ ნარატიულ სტრუქტურაში გარკვეული ტიპის ცვლილების შეტანისთანავე ნაწარმოების მხატვრული ქსოვილი თითქმის ეშლება.

თუ თვალთახედვა — თვალსაზრისის საკითხს, როგორც ნარატოლოგიის ერთერთი ძირითადი ტერმინის შემდგომ გააზრებას განვიზრახავთ, შეგვიძლია დავსძინოთ, რომ ოციანი წლების თხრობითი მხატვრული ტექსტები ჰგუობდა რომელიმე კონკრეტული პერსონაჟის თვალსაზრისით წარმოდგენილ ავტორისეულ შეფასება-პოზიციას, როგორც ეს კ. გამსახურდიას „დიონისოს ღიმილშია“ მოცემული, სადაც ცენტრალური ფიგურა მთხრობელი — კ. სავარსამიძეა. ლ. ქიაჩელთან კი ოცდაათიან წლებში შექმნილ ტექსტებში განსხვავებული პოზიციების თანაბარუფლებიანობის პრინციპია ხორცშესხმული (მაგ.კუზმა კილგა — ჰაკი აძბა).

სერიოზული პრეტენზია ახალი კულტურული პარადიგმის ადეკვატურ ასახვაზე გაუჩნდა სწორედ ოციან წლებში შექმნილ ქართველ ფუტურისტთა ლიტერატურულ გაერთიანებას. შექმნილი სიტუაციის პარადოქსი იმაში მდგომარეობდა, რომ ფუტურისტები თავიანთი ეპატაჟური მანიფესტებით, პირველობისაკენ დაუფარავი სწრაფვითა და სიმულტანიზმით აბუნდოვანებდნენ ისედაც რთულ, პოლარიზაციისათვის განწირულ ლიტერატურულ ცხოვრებას და ამასთან საშიშ კონკურენტებს იძენდნენ. ასე, მაგალითად, „რაპული“ სულისკვეთების კრიტიკოსი გ. მუშიშვილი-ხოფერია მთელი სერიოზულობით აცხადებდა: „ფუტურიზმი, რომელიც დიდ მემარცხენეობას იჩენს, მემარცხენეობაში გვეჯიბრება ლიტერატურულ ფრონტზე...“ (მუშიშვილი 1927: 48). საკუთარი პოზიციები ამ იტალიურ-რუსული ავანგარდისტული ძიებების ნაგვიანევმა გამოძახილმა გამოხატა როგორც „რეაქცია სიმბოლისტურ ესთეტიკასა და, მათი გაგებით, ბურჟუაზიული“ (ჩვენს სინამდვილეში კი უფრო მეშჩანური) „კონფორმიზმის სამყაროზე“. „ცისფერყანწელებისათვის“ მოფიქრებულია მომაკვდინებელი ფორმულა: „პოეზია+პოეტი=0“, რომელსაც უნდა ჩაენაცვლოს ახალი: „ინერცია+მონტაჟორი=როშვას“ (ანუ პოეტი „როშარია“. გავიხსენოთ

გალაკტიონის „ფორმალისტური როშარობა ან ს. ჩიქოვანისეული: „...ძველი მცხეთა, საქართველოს ფუძე, მე ვარ მისი გაზაფხულის როშარი“) (სიგუა 1994: 204). ხელოვნების სხვადასხვა ფორმათა დაახლოებად აღქმული ზემონახსენები სიმულტანიზმი მწერალთა, მხატვართა და კინორეჟისორთა ერთიანობის განსაკუთრებულ სიმბიოზს ქმნის. სწორედ ამ კონტექსტში „უსაგნო ხელოვნებაზე“ ორიენტირებული ქართველი ფუტურისტები ანათემას გადასცემენ მათი კორპორაციის მიღმა შექმნილ თხრობით მხატვრულ ტექსტებს, პათოსით: დაუნდობელი ბრძოლა ავტორიტეტებს. ს. ჩიქოვანი: „...ვერსად იშოვეს რედაქტორის გრძელი კამოდი ჯავახიშვილის ნაწერების შესანახავი...“ (ჩიქოვანი 1933: 333). პ. ნოზაძე: „..ბალზაკი და ილია ჭავჭავაძე გავირთხებული, გათმებული და გაწვერულვაშებული მოღვაწენი“ (ჟ. „H_2So_4“, პ. ნოზაძე „ტრაქტატი დაწერილი პოეზიისათვის“, 1924, 1) და სხვა. არჩ. ჯორჯაძის მიერ „მშვენიერ ტყუილად“ წოდებული ესთეტიკური ტყუილი, სიუჟეტი, კომპოზიცია, რაზედაც იგებოდა ტრადიციული ბელეტრისტიკა, გაუმართლებელ დ უსარგებლო ანაქრონიზმადაა გამოცხადებული. მას კარდინალურად შეცვლილი ყოფის ასახვა არ შეუძლია, ამიტომაც უახლოეს მომავალში სიკვდილი მოელის — მოვლენათა ასეთ პროგნოზირებას ახდენს ქართული ფუტურიზმის თეორეტიკოსი ს. ჩიქოვანი წერილში „ბელეტრისტიკის სიკვდილი“ (1929 წ.). ფუტურისტულ-ავანგარდისტული ნოვაციებით პროვოცირებული თხრობითი მხატვრული ტექსტების არსებობაში გვარწმუნებს ახალგაზრდა კრიტიკოსი ა. გაწერელია, რომელიც ქართული პროზის განსხვავებულ მიმართულებათა ორიგინალურ დეფინიციასაც გვთავაზობს: „წმინდა რეალისტური (მ. ჯავახიშვილი), მისტიკურ-ექსპრესიონისტული (კ.გამსახურდია), სიმბოლისტურ-მეტაფიზიკური (გრ. რობაქიძე) და ტაქტილური (დ. შენგელაია)“. ცნობილია, რომ დ.შენგელაიას ფუტურისზმის ავანგარდულ დამრტყმელ ძალად პროზაში, ა. გაწერელიას გარდა, სხვებიც აღიარებდნენ. მაგ. ბ. ჟღენტი. თუმცა მწერალი (როგორც ჩინებული ესეისტი) თვითონაც ცდილობდა საკუთარი მხატვრული პრაქტიკის თეორიულ დასაბუთებას. (წერილებში „Comentaria de bello Galico“, „ტაქტილიზმი“, ჟ. „მემარცხენეობა, 1927: 1). მის მიერ დეკლარირებული „ლექსის კოშმარის“,ლირიკის სეზონის დამთავრებას ლოგიკურად უნდა მოჰყოლოდა ახალი და უჩვეულო ფუტურისტული ნარაცია, რომლის შემქმნელნი ბასრი თვალით, ერუდიციით, ინტუიციით და რაც მთავარია, „პროვინციალიზმის, როგორც ინვენტარის“, ხალხური მასალის, „პრიმიტივის“ ფლობის უნარით იქნებოდნენ გამორჩეულნი. პროზის სტიქიას კი ახალგაზრდა მწერალი ასე შეიგრძნობს: „პროზა მოდის უზარმაზარ ციკლონივით და ძნელი იქნება მისი გალბობა ლირიკის ფსიქოლოგიურ წყალში...“. სრული უსიუჟეტობა, აყირავებული კომპოზიცია და სიტყვებთან, როგორც ნივთებთან „შეხებით მისვლა“ (სწორედ ასე განმარტავდა მწერალი ტაქტილობას) მიუღწეველი სულაც არ იყო, რადგან, მისი აზრით, ასე უკვე იყო შექმნილი „ტფილისი“ და ს. ჩიქოვანის პოემა „ფიქრები მტკვრის პირას“.

XX საუკუნის ოციანი წლების მოდერნისტული რომანების ნარატიული სტრუქტურის ანალიზის დროს გამართლებული ჩანს „მოძრავი სტილის“ ცნების აქცენტირება (ჯალიაშვილი 2011: 8), რაც ერთ ნაწარმოებში სხვადასხვა ლიტერატურული სკოლებისათვის დამახასიათებელ სტილთა მონაცვლეობას გულისხმობს. მართლაც, ამ პერიოდის ლიტერატურულ დებიუტანტთა ესთეტიკური მიკერძოებების განსაზღვრა არც თუ ისე ადვილია. „ნიჭიერებაზე ატმოსფერული მოთხოვნილების“ ათწლეულში მწერლობაში, კერძოდ კი პროზაში მოსულ დამწყებ და იმედისმომცემ პროზაიკოსებთან [ბ. მელიქიშვილი („ტარიგი“, „.მკერდშებოლილი მერცხალი“, „თურმანი“), პ.ნოზაძე („დღე და ღამე რევოლუციის“), სტ. კასრაძე („გვართსამხილავი“, „მეჯინიბე“, „უდაბურობა“, „ქალაქის კუჭი“), მ. მრევლიშვილი („ინონ“, „ობობა“), აკ. ბელიაშვილი („ცხრა ცენტრი“). სახეზეა „მასალის ესთეტიზაციაც“ და „მასალის უტილიტარიზაციაც“, რაც ქართულ თემასთან მითოსური ფონის მორგების (ბ.მელიქიშვილი), კინოკადრირების პრინციპის (სტ. კასრაძე), უსიუჟეტო თხრობის

(პ.ნოზაძე), აქამდე პროვინციული ყოფის ამსახველი, ამჯერად კი საგრძნობლად ურბანიზებული ქართული პროზისთვის კი უშვეულო ახალი ტიპის პერსონაჟის, ტერორისტისა და სადისტის (მ. მრევლიშვილი), ვერბალირების ორიგინალური ფორმითაა გამოხატული. შთამბეჭდავია ამ ნარატორთა ენა, როგორც მათი თვითგამოხატვის უნივერსალური საშუალება, რომელიც განთავისუფლებულია იმდენად და იქამდე, საიდანაც ამ ენის თვითსპობა იწყება. გამოყენებულია, უფრო სწორად კი, „ულმობელობის ველშია გატარებული“ ყველა ის წარმატებული და გახმაურებული მიღწევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ევროპულ მოდერნისტულ-ავანგარდისტული ლიტერატურის სპექტრში, მაგრამ ყოველივე ეს ხდება არა კოპირებისათვის, არამედ ამ ძიებების ქართული ვარიანტის შექმნისათვის. სამწუხაროდ, აღნიშნული პროცესი ნაძალადევად იქნა შეწყვეტილი. 60-იანი წლების „ნეომოდერნიზაციის“ ეტაპის გასვლის შემდეგ კი, უკვე განსხვავებული მუხტით, ბევრი რამ პოსტმოდერნიზმის პრაქტიკასა და თეორიაში მეორდება.

დამოწმებანი:

Epstein, Mikhail. „Ot Modernizma k Postmodernizmu...“. *NLO.* 58 (2004) (Эпштейн, Михаил. „От модернизма к постмодернизму...“. *НЛО.* 58 (2004)).

Jaliashvili, Maia. „Art'ist'uli Tamashis Variatsiebi Kartuli Modernist'uli Romanebis Mikhedvit“. *Sjani* 12 (2011) (ჯალიაშვილი, მაია. „არტისტული თამაშის ვარიაციები ქართული მოდერნისტული რომანების მიხედვით“. *სჯანი*12 (2011)).

Kharbedia, Malkhaz. „Narat'ologia“. *Lit'erat'uris Teoria. XX Sauk'unis Dziritadi Metodologiuri K'ontseptsiebi da Mimdinareobani. Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba,* 2006 (ხარბედია, მალხაზ. „ნარატოლოგია“. *ლიტერატურის თეორია. XX ს. ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობანი.* თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2006).

Kvachant'iradze, Manana. *Ts'erilebi Lit'erat'uraze.* Tbilisi: 2001 (კვაჭანტირაძე, მანანა. *წერილები ლიტერატურაზე.* თბ.: 2001).

Lit'erat'uris Teoriis Krestomat'ia. II. Tbilisi: *lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba, 2010* (*ლიტერატურის თეორიის ქრესთომატია.* II. თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010).

Lomidze, Gaga. „Realist'ur/P'ost'modernist'uli P'rozis Komp'ozitsia“. *Sjani.* 11 (2010): 33-48 (ლომიძე, გაგა. „რეალისტურ/პოსტმოდრნისტული პროზის კომპოზიცია“. *სჯანი.* 11 (2010): 33-48).

Mits'ishvili, Nikoloz. „Akt'ualuri Sakitkhebi: Dokument'aluri P'roza“. *Kartuli Mts'erloba.* 1 (1928) (მიწიშვილი, ნიკოლოზ. „აქტუალური საკითხები: დოკუმენტალური პროზა“. *ქართული მწერლობა.* № 1 (1928)).

Shengelaia, Demna. *Rcheuli.* Tbilisi: sabchota sakartvelo, 1977 (შენგელაია, დემნა. *რჩეული.* თბ.: „საბჭ. საქართველო“, 1977).

Sigua, Soso. *Avangardizmi Kartul Lit'erat'urashi.* Tbilisi: „didost'at'i“, 1994.(სიგუა, სოსო. *ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში.* თბ.: „დიდოსტატი“, 1994).

T'abidze, T'itsian. *Dadaizmi da Tsisperq'antselebi. Evropa tu Azia.* Tbilisi, lit'erat'uruli mat'ianc, 1923 (ტაბიძე, ტიციან. *„დადაიზმი და ცისფერი ყანწები“. — ევროპა თუ აზია.* თბ.: „ლიტერატურული მატიანე“, 1923.

Uspenskij, Boris. *O Poetike Kompozitsii.* Moskva: Sovetskij Pisatel', 1982 (Успенский, Борис А. *Поэтика композиции.* М.: Сов. писатель, 1982).

Nona Kupreishvili

Narrative Strategies of the 20s of the 20th Century

Summary

Key words: Georgian Avant-garde prose, European orientation, prose reconstruction.

The revival of Georgian artistic prose became an important event in the twenties of the 20th century. This turnabout realized on the wave of modernist avant-garde was termed by critics at that time as „prose restoration", „awakening of the conservative", and the prose itself - „sensitive seismograph of the garesknеli (another world)". The historical-cultural precondition of such change in the tenths of the 20th century became the process of modernization started for the creation of a new cultural paradigm that marked European orientation of Georgian culture.

As a result of tremendous efforts creative group of Georgian symbolists managed to make a breakthrough from the viewpoint of poetics, form and content of the verse. Now it was the turn of prose that was also waiting for reformation.

The ultimate purpose of the Bolsheviks - to create controlled literature – initially seemed to be obscure and manifested itself in relatively „naïve" initiative: „To set up a commission for elaboration of aesthetic terminology under the leadership of the „Commissariat for Education". The first meeting that was held in the chief committee was attended by: G.Rtskhiladze, K.Makashvili, L.Kiacheli, K.Gamsakhurdia, S.Abasheli, P.Ingorokva, G.Kikodze. The material was divided according to the branches. K.Gamsakhurdia was charged to pick up the terms from the materials of the theory of poetics; Kartvelishvili - from music; the artist Shavardnadze - from painting; professor Chubinashvili – from architecture. These individuals were required to submit their work to the Commission within 14 days". At the same time, more and more polarized writers had to produce proper response on the focus „turbidity" set on the boundary of reality and artistic invention that caused the approximation of fictitious (invented) and non-fictitious (based on real story) texts. N.Mitsishvili, who was directly included into current events, considered that the strengthening of a genre documentary prose was necessary. It is this with pathos that today already known his works (February, Death, Epopee) having confessional character were written. However, when we deal with such literary phenomena as the novel „Jaqo's Dispossessed" created in the twenties, the interrelation between reality and fiction acquires somehow different dimension. The fiction here is represented as a result of investigation and the action itself that studies not the action but „intermediate motives of the action". The narrator renders some universal models of possibility and necessity that characterize human life by means of history proper. It is seen in the novel the process of restriction of one's own self by „all-knowing author" and demonstration of various views. Through the variation of the view points of an author, narrator and characters the composition of a novel is created. Frequently the views of an author and protagonist come so close to each other that one can easily discover a „reflective" personage like in Henry James.

The atmosphere of non-dogmatic thinking, experiments introduced in poetry and prose brought about revolutionary change in criticism too. The theory of prose created in the depths of the Russian formalist school made possible the discovery of more than one component in narrative artistic specimens as a complex structure of narration and consideration of social and psychological functions in relation to narrative itself.

Instead of the old finished forms the sharing with the principles of the „rethinking of the form" (V.Shklovskii), motivated by a desire to catch the rhythm of time, its „raised pulsation" compelled Georgian prose writers to the application of different narrative structures. There was created the whole pallete of artistic styles, means of expression classified in the twenties as: „pure realistic (M.Javakhishvili), mystical expressionist (K.Gamsakhurdia, symbolic-metaphysical

(G.Robakidze) and tactile (D.Shengelaya)" – (A.Gatserelia).

In special literature there are given rather reserved evaluations concerning the avant garde prose. It is believed that futurism appeared to be more fruitful in poetry than in prose the specifics of which consists in deformation of the events, sharp ironical and parody spirit, abstrusity, i.e. unconscious language; besides this, multiplicity of fonts used with hidden regularity, different sizes and number of storeys. A group of Russian innovative writers (A.Kruchionikh, I.Terentiev, I.Zdanevich) who escaped from Russian civil war and found shelter in Tbilisi, displayed great loyalty to the leftist traditions of avant-gardism, unlike those poets (Khlebnikov, Mayakovsky, Kamenskii, Aseev, Burliuk, etc) who stayed in their motherland and led Russian futurism in different direction. Being heterogenic from the beginning, at the verge of the tens and twenties still more heterogeneous Tbilisi was disgusted among the local intelligentsia. Their patriotic aspirations were alien to the requirements of manifesto of the Futurists who tended to free a word from overall diktat, moreover Dadaists. From this viewpoint of special importance is this sample of „consultation" of Georgian Futurists with Igor Terentiev: Georgian Futurists to I.Terentiev: „Our Tasks? Who is to be bitten? With what to scold? What to do?" Terentiev: „Nothing, but poetic international. Handle with combination of languages". Response: „It is impossible in Georgia, they will kill us"... Clearly, the environment so sensitive to language identity as was ours in the depth of which new literary trend was to be established made certain corrections in the plans of young futurists. In spite of this the relation of Georgian avant-garde to classical narrative artistic specimens is unambiguously negative. (S.Chikovani's „The Death of Belles-Lettres", D.Shengelaya, „Comentaria de bello Galico".

An aesthetic lie called „wonderful" by A. Jorjadze, plot, composition, on which traditional fiction was constructed, was announced as useless anachronism. In spite of this, making their debut prosaic writers (B.Melikishvili, S.Kasradze, M.Mrevlishvili, I.Ioseliani, P.Nozadze, A.Beliashvili) presented the principle of both „aesthetization" and „utilization" of the material with equal force. Such essential components of the narrative as: time and time structure, plot and fable, standpoint and vision of the characters and author, and according to Zh.Zhenet's terminology focalization and narration focus linked with it or multifaceted narrative text, were expressed in the best specimens of narration by young prose writers in original and interesting way.

For instance, with account of ideological and stylistic peculiarities realized in Vazha's poetry and Barnov's prose, sharing Erekle Tatishvili's teaching the young writer B.Melikishvili develops not only the motives of Georgian myth and folklore but displays the ability to „strive for the mystery of the world, understand religious and philosophical system, stylistic artistry". In the novel „The White-Breasted Swallow" inspired by tragic events of the twenties (the August revolt of 1924) we see mytho-poetic interpretation of the idea of freedom. The phrases „to save face", Toreli can see but is blind" contain the allusions of preservation personal and national identity. Language archaization, tense rhythm, original syntax structure, timeless of action, interesting samples of tropic thinking – are the samples of modernist stylistic search. In this we can see the range of approximation to the depth of the language by B.Melikishvili's as a writer. It is noteworthy being interested in rural theme before, now in urbanized Georgian prose there appears a protagonist, neurotics and terrorist, in M.Mrevlishvili's strange novel „Inon". S.Lasradze in his prose saturated with an unusual rhythm that is frequently constructed according to the principle of film shots, gives rise to joy of experience novelty and different perception of the environment. As to D.Shengelaya, his brilliant novel „Sanavardo" is a perfect specimen of stylization Georgian environment. „Sanavardo" represents an interesting synthesis of Georgian tradition and Russian modernism.

To some extent, this prose also can be called experimental. Obviously, after „overcoming" such stage, the centuries-old Georgian writing turned to be an integral part of modern world literature instead of being trapped in the frames of socialist realism.

ქეთევან ბეზარაშვილი

დრო და თარგმანი

წინამდებარე ნაშრომში მოკლედ განვიხილავთ წმინდა წერილის თარგმანის ორ ძირითად სახეს, გავიხსენებთ დიდ მთარგმნელ მამებს — ეფთვიმე ათონელსა და ეფრემ მცირეს, რომელთა მოღვაწეობის მიმართულება, გარდა მათი პირადი გემოვნებისა, განპირობებელი იყო მათი ეპოქის მოთხოვნით. ასევე მოკლედ შევეხებით თარგმანის, უწინარესად, წმ. წერილის თარგმნის საჭიროებას, რაც ასევე ეპოქის მოთხოვნით აიხსნება.

თარგმნის მეთოდი

აღმოსავლური ქრისტიანული ლიტერატურის მთარგმნელობით გამოცდილებაში განირჩეოდა უმთავრესად თარგმნის ორი ძირითადი მეთოდი: 1) თავისუფალი (პარაფრაზირებული, განმარტებითი) ტიპის თარგმანი, რომელიც მთარგმნელის პირად შეხედულებებს გამოხატავდა; 2) სიტყვასიტყვითი (ზედმიწევნითი, ლიტერალური). საყოველთაოთ გავრცელებული სამეცნიერო ტერმინოლოგიის მიხედვით, ასეთ თარგმანებს უწოდებენ: დინამიკური ეკვივალენტის ტიპის თარგმანს და ფორმალური ეკვივალენტის ტიპის თარგმანს, ანუ სემანტიკურს და ფორმალურს (Brock 1993: 1-17; Nida 1964: 149; ბეზარაშვილი 2004: 425-519, 331). ლათინური სახელწოდების მიხედვით პირველი ტიპის თარგმანს უწოდებენ sersus de sersu, ხოლო მეორეს — verbum e verbo.

პირველი ტიპის თარგმანი მკითხველისკენაა მიმართული, მას დედანი მიაქვს მკითხველთან და ცდილობს ორიგინალის აზრი მკითხველისთვის გასაგები და მისაღები ფორმით გადმოსცეს: ორიგინალის ფორმობრივი და შინაარსობრივი სტრუქტურა შეუსაბამოს თარგმანის ენის ბუნებრივ გამომსახველობით საშუალებებს.

მეორე ტიპის თარგმანი კი არის ტექსტზე, წყაროზე ორიენტირებული, მისთვის მთავარია ორიგინალის ტექსტის ზუსტი გადმოცემა, თუმცა ეს თარგმანს ნაკლებად ბუნებრივს ხდის.

ფორმალური ეკვივალენტის ტიპის თარგმანი მკითხველისთვის ერთგვარად უცხო და მოულოდნელია ორიგინალის ენასთან მისი ზედმიწევნით შინაარსობრივი და ფორმალური სიახლოვის გამო. ეს თარგმანი არის მკითხველთა ფართო მასისთვის უცხო, მაშინ, როდესაც პირველი, ანუ დინამიკური ეკვივალენტის ტიპის თარგმანი განკუთვნილია მასებისთვის.

პირველი ქართველი მთარგმნელები

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისით, მწიგნობრული სკოლები ერთიანდებოდა რომელიმე კოდიფიკატორის, ავტორიტეტული და მისაბაძი პიროვნების გარშემო. ასეთები იყვნენ პირველი ანონიმი ქართველი მთარგმნელები, რომელთაც გიორგი ათონელი ეფთვინე ათონელს ადარებს და ვისაც სამაგალითოდ სახავს ეფრემ მცირე თავის კოლოფონებში. ასეთი იყო ივირონში ეფთვიმე ათონელი, ვინც „განანათლა ქართუელთა ენაჲ და ქუეყანაჲ“ და „ვისაც პატივს უყოფდეს ბერძენნი და ქართველნი“. ასეთი იყო შავ მთაზე და ათონზე გიორგი მთაწმინდელი — „ვინც განაკვირვა არა ხოლო ქართველნი, არამედ ბერძენნიც და ასურნი“. და ასეთიც იყო ძველ ტრადიციებზე აღზრდილი ახალი კოდიფიკატორი ეფრემ მცირე.

ეფთვიმე ათონელი ქმნის დინამიკური ეკვივალენტის ტიპის თარგმანს, ეფრემ მცირე კი — ფორმალური ეკვივალენტის ტიპის თარგმანს, რომელსაც ავტომატურად

გადმოყვებოდა დედნის ესა თუ ის თავისებურება.

ეფთვიმე ბაძავს ევანგელურ სიცხადესა და სისადავეს, ეფრემი კი — ელინური რიტორიკა-ფილოსოფიის მიფარულება-ლაკონიურობას.

ქრისტიანული ესთეტიკის მახასიათებლები

ქრისტიანული მსოფლმხედველობის მშვენიერება საღვთო აზრისა და ღვთის სიტყვის უბრალოებაშია და არა მისი გამოსახვის მაღალფარდოვანებაში. საღვთო სისადავე (**aploth~**) ქრისტიანულ ესთეტიკაში ხდება მშვენიერების საფუძველი (Бычков 1981: 245-246). ეს აზრი ასე აქვს გამოხატული პავლე მოციქულს: „დაღათუ უცებ ვარ სიტყჳთა, არამე არა ცნობითაცა“ (II კორ. 11, 6). მოციქულნი იწოდებიან, როგორც „კაცნი უწიგნონი და უმეცარნი“ — **anqrwpoi agrammata** (საქმე 4, 13). ქრისტიანული საღვთო სიბრძნისა და მისი გადმოცემის მშვენიერება გულისხმობს პირველსახისა და სიწრფოების, პავლესეული სისადავის ბაძვასა და რიტორიკული სამკაულების ნაკლებობას.

ლაპარაკია სტილის სისადავეზე მაღალი, საღვთო გაგებით და არა დაბალ სტილზე, რადგან *სტილის საღვთო სისადავე, თავისი წარმოშობით, სტილის ყველა სახეობაზე აღმატებულია და სტილთა ტრადიციული თეორიების მიღმა რჩება. სიმარტივე და სიდიადე თანაბარი სტილისტური ღირებულებისაა, რადგან თავად ღმერთია სისადავე და სიდიადე.*

ქრისტიანული ლიტერატურისთვის დამახასიათებელია სტილისტური და შინაარსობრივი სიცხადე-ბუნდოვანება, როგორც ერთიანობა. ორგვარი აზრი ცხადი და დაფარული, თითოეულისთვის იმდენადაა გასაგები, რამდენის მიღებაც მას შეუძლია. ასეთი ანტინომურობა ახასიათებს არამარტო წმინდა წერილსაც, არამედ სიცხადე-ბუნდოვანებას, სისადავე-სიღრმეს...

ეფრემ მცირე ასახელებს სტილის ორ სახეობას: მდაბიურსა და მაღალს, მაგრამ საგანგებოდ განასხვავებს წმ. წერილის სტილს, რომელიც რაც უნდა მარტივად ჩავთვალოთ, მესამე დონე კი არ არის, არამედ სტილთა დონეების მიღმა დგას და მათზე აღმატებულია, როგორც საღვთო წარმოშობის მქონე და ხელშეუხებელი. ამავე კატეგორიას განეკუთვნება წმ. მამათა თხზულებები: „...ვერვინ იკადრებს შეხებად, ვითარცა წმიდა სახარებასა და ეპისტოლეთა პავლე მოციქულისათა, როდესაც ლიტონითა სიტყუათა აღწერილ იყოს, ბრძენთა და მართლმადიდებელთაგან ვერვინ შეეხების, არათუ ვინმე იყოს სულელი, უფროისღა მწვალებელ და განვრდომილ ეკლესიისაგან“. წმ. წერილის ამ სისადავეს, რომელსაც ეფრემ მცირე „ლიტონითა (**liton**) სიტყვითა აღწერილს“ უწოდებს, ადრექრისტიანული ლიტერატურიდან მოყოლებული, საღვთო სისადავე, მეთევზურთა სიმარტივე ეწოდებოდა (**aploth**“), მიუხედავად იმისა, რომ ქართულად ორივეს ერთნაირი სახელწოდება აქვს: „ლიტონი“.

ეფრემის მიერ ეფთვიმეს თარგმანების ხელახლა თარგმნა გამოწვეული იყო იმით, რომ მან (ეფთვიმემ) თარგმნა ეპოქის მოთხოვნილების მიხედვით („ვით მას ჟამსა შეჰგუანდა“), შემდეგ შემუშავდა ახალი მთარგმნელობითი თეორია, თარგმანებში კი – ახალი მთარგმნელობითი პრაქტიკა, როგორც დედნის ფორმალური ეკვივალენტის ტიპი (ბეზარაშვილი 2004: 159, 198, 152, 387).

თარგმნა ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად

ფორმალური ეკვივალენტის ტიპის თარგმანი ძირითადად ორენოვანი კულტურებისთვისაა დამახასიათებელი, სადაც სათარგმნი დედნის, პირველწყაროს ენის პრესტიჟის საკითხი წარმმართველია. მაგ; ასეთია ბიბლიის აკვილასეული რედაქცია (II ს.) ებრაულთან დაახლოების მიზნით შექმნილი პალესტინის ორენოვანი იუდეველებისათვის. ასეთივეა სირიული სკოლის თარგმანები და სხვ.

დედნის ტექსტობრივი სირთულე და ბუნდოვანება ტექსტის ფორმალური

თარგმანის მიზეზია. ქრისტოლოგიური კამათების გავლენით ნელ-ნელა ენიჭებოდა უპირატესობა ზუსტ თარგმანს თავისუფალთან შედარებით.

ამა თუ იმ ეპოქის ეს პოლემიკა აიძულებდა სხვადასხვა მოღვაწეს ბერძნულ დედანთან სიხლოვე შეენარჩუნებინა. პრეციზიულობა, ზედმიწევნითობა, განსაკუთრებით ტერმინოლოგიის თვალსაზრისით, აუცილებელი ხდებოდა.

თუკი თავდაპირველად თარგმანი თავისუფალი იყო, მოგვიანებით ეს უკვე აღარ შეესაბამებოდა ქართული საზოგადოების გაზრდილ თეოლოგიურ და ლიტერატურულ მოთხოვნებს, რასაც თან ერთვოდა თავად ქართული მთარგმნელობითი ტრადიციის და ქართული საღვთისმეტყველო აზრის განვითარება.

თარგმანის პრეციზიულობა, პირველ რიგში, ბიბლიის წიგნების ეფრემისეულ რედაქციაში გამოვლინდა, რადგან ბიბლიური წიგნები თავიანთი საღვთო წარმოშობის გამო, იყო ელინოფილური, ლიტერალური თარგმანის საყოველთაოდ გავრცელების მიზეზი ქრისტიანული ლიტერატურის ყველა ეპოქისთვის (Barr 1979: 279-325, 324; Brock 1979: 69-87, 72-79).

სწორედ ამ მოთხოვნების გამო X-XII საუკუნეების უდიდესმა ქართველმა მთარგმნელებმა (ეფთვიმე და გიორგი ათონელები, ეფრემ მცირე, გელათური სკოლა) რამდენჯერმე გადაამუშავეს ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანები ბერძნულთან დაახლოების მიზნით.

მთარგმნელობითი ხერხები

ვინაიდან თარგმანი ბერძნულთან დაახლოებული ხდებოდა, მასში აისახა კიდეც ბიზანტიური რიტორიკის თეორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომელთაგანაც ერთ-ერთი ძირითადი იყო ბაძვის (mimhsi~) ცნება, წარმოშობილი ღვთის ბაძვის თეოლოგიური ცნებიდან: (ὁμοίωσι" θεw), რომელსაც ქრისტიანული ასპექტი გააჩნია.

სიღრმე-მიფარულება და სიცხადე-ლაკონიურობა, საჩინო და ფარული აზრი ასევე არის გადმოტანილი ეფთვიმე ათონელისეულსა და ეფრემ მცირისეულ ქართულ თარგმანებში. ეფრემი ინარჩუნებს ორიგინალის სიღრმე-სირთულეს და ბუნდოვანებას, ამასთან, ლაკონიურობს უკვე სულიერად მომწიფებული მკითხველისათვის. ეფთვიმე კი ირჩევს სტილის სისადავეს, სინათლეს, სიცხადეს სულიერად ჩვილთათვის (ბეზარაშვილი 2004: 219-220).

თუმცა, როგორც აღნიშნავენ, განსხვავება ამ ორი ტიპის თარგმანს შორის მოუხელთებელია და ძნელად გასამიჯნი. არც მათი აღმნიშვნელი ტერმინები და კლასიფიკაციაა აბსოლუტური და ზუსტ კრიტერიუმებზე დამყარებული. არსებობს თავისუფლების და სიზუსტის სხვადასხვა ხარისხი. ასევე არსებობს თავისუფალი და ზედმიწევნითი თარგმანების დაპირისპირებისა და შერწყმის განსხვავებული გზა. ერთსა და იმავე თარგმანში შესაძლებელია შერწყმული იყოს ორივე ტიპის თარგმანის ნიშნები სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა ფორმით. მაგ., შესაძლებელია თარგმანის მთლიანი სემანტიკური გამოხატულება თავისუფალი მიმართულებისა იყოს, ხოლო იშვიათად, ცალკეული ფრაზის თარგმანი — ფორმალური და ა.შ. არსებობს შუალედური, გარდამავალი საფეხური მათ შორის და სხვ. ამასთან, არსებობს ზედმიწევნითობის ხარისხები: ზოგი ფორმალური ეკვივალენტის ტიპის თარგმანი წარმოადგენს ორიგინალის ადეკვატურ, სემანტიკურ გადმოღებას. მას ახასიათებს კალკების ნაკლები გამოყენება, ზოგისთვის კი — სემანტიკური ადეკვატურობა არ არის არსებითი და მისი ზედმიწევნითობის ტექნიკა დამოკიდებულია მის მიმართებაზე ორიგინალის ფორმასთან. სარკისებური თარგმანიც შეიძლება იყოს ტენდენციური და ა.შ. ამიტომ, რიგ შემთხვევებში, ამა თუ იმ თარგმანს უნდა მივუდგეთ კონკრეტულ მთარგმნელთა თვალთახედვით.

საღვთო წერილის შინაარსობრივი ბუდნოვანება გადმოცემულია ლაკონიურობითა და ტერმინოლოგიური სისადავით, ხოლო ე.წ. ელინოფილ წმ. მამათა ღვთის-

მეტყველება — რიტორიკული მიფარულება-ლაკონიურობით. სიტვათა მიფარულება ბუნდოვანება და ლაკონიურობა გულისხმობს ლაკონიურ მოკლე ფრაზაში დაწნეხილი ქრისტიანული თეოლოგიის განსხვავებული საკითხების, დოგმების მიწოდებას.

სულიწმიდით შთაგონებული წმ. წერილის თარგმნა მოითხოვდა დედანთან მიმართებაში სიზუსტეს, რადგან შთაგონებულად ითვლებოდა არა მხოლოდ მისი შინაარსი, არამედ თავისი ყოველი დეტალი. ბიბლიური წიგნების ბერძნული თარგმანი ლიტერალური უნდა ყოფილიყო და ებრაული ორიგინალის შესაბამისი გავლენაც განეცადა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თარგმანსაც სულიწმიდის შთაგონებულად მიიჩნევდნენ (შდრ. და იხ. სეპტუაგინტას თარგმნის ამბავი — ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მომუშავე სამოცდაათი მთარგმნელი ერთმანეთის იდენტურ თარგმანებს ქმნის).

დრო და თარგმანი

სხვადასხვა ეპოქაში თარგმანების მიმართ წაყენებული მოთხოვნები, მთარგმნელობითი სტანდარტები განსხვავდებოდა კულტურულ მოთხოვნათა, აგრეთვე ცვალებადი ლიტერატურული გემოვნების შესაბამისად. ასე რომ, ერთ ეპოქაში შესრულებული თარგმანი შეიძლება მეორე ეპოქისათვის სრულიად მიუღებელი გამხდარიყო. ელინოფილებმა ხელმეორედ თარგმნეს უკვე ნათარგმნი ტექსტები და ეს იყო, საზოგადოდ, საერთო ტენდენცია აღმოსავლურ ქრისტიანულ ლიტერატურაში. ხოლო დღეს, სიტყვასიტყვითი თარგმანები ზოგჯერ გაუგებარია თანამედროვეთათვის, რადგან უპირატესობა თავისუფალი ტიპის თარგმანს ენიჭება.

მკითხველთა სხვადასხვა ინტერესი განაპირობებდა განსხვავებული ტიპის თარგმანების არსებობას — მრევლისათვის და განსწავლულთა მცირე წრისათვის.

როგორც აღნიშნავენ, შეუძლებელია თარგმანში დედანთან აბსოლუტური ეკვივალენტობის მიღწევა, რადგან ენები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან აზრის გადმოცემის ენობრივი საშუალებებით და თარგმანში ჩნდება წინააღმდეგობა მთარგმნელის თეორიულ მოსაზრებებსა და მათ განხორციელების პრაქტიკულ შესაძლებლობებს შორის. ამდენად, იქმნებოდა თარგამანის შუალედური ტიპი — დინამიკური ეკვივალენტის ტიპის თარგმანი თავისუფალი ეკვივალენტის ტიპის თარგმანის ელინოფილური მახასიათებლებით.

მოთხოვნილება თანამედროვე თარგმანისადმი

ქრისტიანობა, როგორც ცნობილია, მწიგნობრული რელიგიაა, და მის გავრცელებას „ქუეყანასა ზედა“ თან ახლდა წმ. წერილის გადმოღება მორწმუნეთა მშობლიურ ენაზე. ბიბლიის თარგმნის ისტორია, შეიძლება ითქვას, ასაკით თავად ქრისტიანობის წარმოქმნას უსწრებს. წმ. წერილის თარგმნის პროცესი, პრაქტიკულად, არასდროს შეწყვეტილა, იგი ქრისტიანობის არსებობის პარალელურად მიმდინარეობდა, რადგან თარგმანში გამოიხატება რელიგიის არსის წვდომა, მისი გაგება. შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ეპოქა თარგმანებით გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას ღვთისადმი.

ჩვენ სინამდვილეში ამოცანა ამგვარია: ღვთის სიტყვას წითელი ძალადობით დაშორებული, კვალად რელიგიურ „სიჩვილეში“ ჩავარდნილი ერის მოქცევა და მისთვის ჭეშმარიტების გზის ჩვენება.

როგორი უნდა იყოს თარგმანის ენა ასეთ შემთხვევაში? როგორ უნდა მოხდეს ზემოთ მოყვანილი მოთხოვნების დაკმაყოფილება? როგორ უნდა მოხერხდეს ტრადიციის დაცვაც და ამავდროულად ტექსტის მიტანა მკითხველამდე?

ვფიქრობთ, დაინტერესებული მკითხველი უკვე არსებული თანამედროვე თარგმანების ურთიერთშედარებით ადვილად გასცემს პასუხს ამ კითხვებს.

ამგვარად, ბიბლია გადმოდის ახალ ქართულ ენაზე. ბიბლია ახალ ქართულად სხვადასხვანაირად ითარგმნებოდა XX საუკუნის 80-იანი წლებიდან. უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით 1989 წელს საპატრიარქომ გადმოსცა ბიბლიის თარგმანი ახალ ქართულ ენაზე, რომელიც გაკეთებული იყო მასორეტული ტექსტიდან; ხოლო 1992 წლიდან ასევე უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა მთარგმნელობითი ჯგუფი თბილისის სასულიერო აკადემიაში, რომელიც შეუდგა ბიბლიის ახალ ქართულ თარგმანს. წინა (1989 წ.) თარგმანისგან განსხვავებით თარგმანი ამ ჯგუფში მიმდინარეობს *ძველი ბერძნული ტექსტიდან*. თარგმანი გამოვიდა კარგი, რომელშიც ჩანს სიყვარული და ბიბლიის ძველი ქართული თარგმანების გამოც ახალ თარგმანში იგრძნობა ძველი ენის სურნელიც და სიმბოლურ-ალეგორიული სიტყვებიც.

დაწყებული მთარგმნელობითი მუშაობა მიმდინარეობს საპატრიარქოს მიერ ბიბლიის გადმოცემით მეუფე იოანეს ხელმძღვანელობით ახალ ქართულ ენაზე, რომელიც გაკეთებულია შემდეგი პირების მიერ. ჟგუფის წევრებია: პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი (მეუფე იოანე); ჯგუფის შემადგენლები: ა. არჯევანიძე, მ.გოგილაშვილი, ქ. მათიაშვილი, შ. ნაჭყებია, მ. ოვაშვილი, მ. ჭანტურია, ლელა ჭელიძე, ქ. ღოღობერიძე (საქართველოს საპატრიარქო 2004-2010; ძველი აღთქმა 2006-2009; იურგეროვი 2009: 11-16 და სხვ.).

დამოწმებანი:

Barr, J. „The Typology of Literalism in Ancient Biblical Translations, in: Mitteilungen des Septuaginta - unternehmens (MSU) XV". *Vergelegt in der Sitzung vom* 12 Januar, *№11*, Göttingen: 1979.

Bezarashvili, Ketevan. *Rit'orik'isa da Targmanis Teoria da P'rakt'ik'a Grigol Ghvtismet'q'velis Tkhzulebata Kartuli Targmanis Mikhedvit.* Tbilisi: metsniereba, 2004 (ბეზარაშვილი, ქეთევან. *რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა ქართული თარგმანის მიხედვით.* თბ.: „მეცნიერება", 2004).

Bychkov, Viktor. *Estetika Pozdney Antichnosti.* Moskva: 1981 (Бычков, Виктор.V. *Эстетика поздней античности.* Москва: 1981).

Brock, S. „Aspects of Translation Technique in Antiquity". *Greek-Roman and Byzantine Studies*, v. 20, №1, Spring: 1979.

Brock, S. „Towards a History of Syriac Translation Technique". *Orientalia Christiana Analecta* 221, Rome: 1983.

Junger, Paul A. „Sep't'uagint'as *(LXX) Targmani*" (in Georgian languagc). Trans. Lela Chelidze and Manana Ovashvili. Tbilisi: *Rts'mena da Tsodna.* 1-16(2009) (იუნგეროვი, პავლე ა. „სეპტუაგინტას *(LXX)* თარგმანი". წიგნიდან თარგმნეს ლელა ჭელიძემ და მანანა ოვაშვილმა, „რწმენა და ცოდნა". №1-16. (2009).

Nida, Eugene A. *Towards a Science of Translation. Special Reference to Principles and Problems Involved in Bible Translation.* Leiden: 1964.

Sakartvelos Sap'at'riarko. *Ts'igni Shekmnisa. Dzveli Aghtkma. Ts'igni Gamosvlisa. Dzveli Aghtkma.* Tbilisi: 2006-2009 (საქართველოს საპატრიარქო. *წიგნი შექმნისა. ძველი აღთქმა. წიგნი გამოსვლისა, ძველი აღთქმა.* 2006-2009).

Sakartvelos Sap'at'riarko. *Aghtkma Uplisa Chvenisa Ieso Krist'esi. Ts'igni Matesi; Ts'igni Mark'ozisa; Ts'igni Luk'asi; Ts'igni Ioancsi.* Tbilisi: 2004, 2005, 2008, 2010 (საქართველოს საპატრიარქო. *აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. წიგნი მათესი; წიგნი მარკოზისა, წიგნი ლუკასი, წიგნი მარკოზისა, წიგნი ლუკასი, წიგნი იოანესი.* 2004, 2005, 2008, 2010).

Ketevan Bezarashvili

Time and Translation

Summary

Key words: holy letter, translation, Ephrem Mtsire, Euthymius the Athonite.

Old and modern Georgian translations of the Bible are at the same time difficult and simple to apprehend. The old Georgian translations of the different books of the Bible have been made in the middle ages from Greek. At present with the blessing of Catholicos-Patriarch of Georgia, Ilia II and bishop Ioanne (George Gamrekeli) the modern translations of the Bible are made from Greek by the group of several translators.

In the modern Georgian translations of the Bible, naturally, modern syntactic constructions and idioms are used, though these translations also abundantly use the unique and expressive old Georgian vocabulary. The symbolic meaning of the Biblical text is also conveyed in the modern translations in accordance with the old Georgian translations.

According to Byzantine theory of styles, there are two or three different styles, though, as the prominent Georgian scholar and translator of the 11th c., Ephrem Mtsire says in one of his colophons, the text of the Bible is beyond these styles, surpassing them, as it has the Divine origin. Consequently, the language of the modern Georgian translations of the Bible, as well as that of the old Georgian translations, is allegorical. The young Georgian translators of the Bible little by little refine their translation techniques, according to the theory of translation levels.

ელენე გოგიაშვილი

ზებუნებრივ არსებასთან ქორწინების უძველესი მოტივი ზღაპარში

ზებუნებრივი, მითოსური არსებების შესახებ რწმენა-წარმოდგენები ყველა ხალხის კულტურაში არსებობს და, შესაბამისად, ტაბუირებული ქორწინების მოტივი საზღაპრო სიუჟეტებშიც ვლინდება. ზღაპრები, რომლებშიც ადამიანისა და ზებუნებრივი არსების სიყვარულის ამბავია მოთხრობილი, არა მხოლოდ შინაარსობრივად ამჟღავნებენ მჭიდრო კავშირს მითოლოგიურ გადმოცემებთან, არამედ სტრუქტურული თვალსაზრისითაც.

კავკასიურ ფოლკლორში მრავლად გვხვდება ისეთი ზღაპრები, რომელთა სტრუქტურული თავისებურება მითოსთან განსაკუთრებულ სიახლოვეზე მიუთითებს, კერძოდ, ზღაპრის ფინალური ეპიზოდები.

მეთოდოლოგიისათვის

სტრუქტურულ თავისებურებათა ასახსნელად, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია პერსონაჟთა ფუნქციები.

„ფუნქციის“ ცნება ფოლკლორისტიკაში სოციოლოგიის სფეროდან არის ნასესხები, თუმცა დღესდღეობით ის სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება (Fisher 1987: 543-544). განვასხვავდება ტერმინები „შიდა ფუნქცია“ და „გარე ფუნქცია“. შიდა ფუნქცია გულისხმობს ერთ ან რამდენიმე სიუჟეტს შორის მოტივთა ურთიერთობას. გარე ფუნქცია დაკავშირებულია განსაზღვრულ კონტექსტთან, რომელშიც მონაწილეობს მთხრობელი და საზოგადოება.

რადგანაც რეკონსტრუქციისადმი ინტერესს ფოლკლორისტიკაში დიდი ხნის ტრადიცია აქვს, შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შიდა ტექსტური ფუნქციების შესწავლას მაშინ, როცა კულტურის ანთროპოლოგები და ეთნოლოგები გარე ტექსტურ ფუნქციებზე დაკვირვებას ანიჭებენ უპირატესობას და ხალხურ გადმოცემებს სხვა კულტურულ ასპექტებთან ერთად აანალიზებენ. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ფოლკლორისტიკაში უკვე გაფართოებულია სამუშაო ველი და ფოლკლორული მასალა მისი სოციალურ როლის მიხედვით განიხილება, დღემდე აქტუალურად რჩება ტექსტის ანალიზი.

შიდა ტექსტური ფუნქციის უმნიშვნელოვანესი განსაზღვრება ეკუთვნის ვ.პროპს. მის მიერ დამკვიდრებული ტერმინი „ფუნქცია“ გულისხმობს მხატვრულ ნაწარმოებში პერსონაჟის ფუნქციას როგორც მის ჩვეულ ძირითად მოქმედებას საერთო ამბავთან კავშირში. პროპის მიერ ფუნქციათა განსაზღვრება მოვლენათა განსაზღვრულ რაოდენობასა და თანმიმდევრობას ეყრდნობა (პროპი 1984: 70-71). სტრუქტურული ანთროპოლოგიის ფუძემდებელი კ. ლევი-სტროსიც ტექსტის ანალიზისთვის პროპის ტერმინს იყენებდა საჭიროებისდამიხედვით, მაგალითად, მითოსური პერსონაჟების მოქმედების აღწერისას, კულტურული და სოციალური ფენომენების ასახსნელად და სხვ. (Fisher 1987: 548-549).

კვლევისას გამოყენებულია ვ. პროპის ტერმინოლოგია, რომლის თანახმად ფუნქცია გულისხმობს მოქმედებას ან პერსონაჟთა შორის ურთიერთობას. ამგვარ ფუნქციათა სერია სხვა ელემენტებთან ერთად ქმნის ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურას.

მოჯადოებული ცოლის ფუნქციები

ზღაპრის ტიპი ATU 400, რომლის მიხედვით უმცროსი ძმა მოჯადოებულ არსებაზე ქორწინდება — მსოფლიოს უმეტეს ნაწილშია გავრცელებული: მთელ ევრაზიაში და ამერიკის კონტინენტებზე. მოტივი, რომელშიც გმირი მშვილდს ალალ-ბედზე მოზიდავს და გაისვრის — სადაც დავარდება, ცოლსაც იქიდან წამოვიყვანო, გმირის ხთონურ არსებასთან (ბაყაყთან, თაგვთან, გველთან და სხვ.) ქორწინებით მთავრდება. კავკასიურ ფოლკლორში ამ ტიპის ზღაპრების სხვადასხვა ვარიანტი და ვერსია არსებობს, მაგალითად, „ორი ობოლი“ (ღლონტი 1948: 153-158), „ხელმწიფის შვილი და ბაყაყი“ (უმიკაშვილი 1964: 102-106), „ცხრა ძმა და ბაყაყი“ (უმიკაშვილი 1964: 67-69), „ბაყაყის ამბავი“ (ბეპიევა 2009: 145-146). კავკასიის მეზობელ ხალხებში ამავე ტიპის ზღაპრები პოპულარულია სლავურ (რუსულ, უკრაინულ, სლოვენიურ, სერბულ, ხორვატულ, პოლონურ) ფოლკლორში (სიხარულიძე 1974: 105-115; *Народные русские* ...1982: 384-388).

საერთოკავკასიურ საზღაპრო სიუჟეტებში, რომლებშიც ზებუნებრივ არსებასთან ქორწინების შესახებ არის მოთხრობილი, ყურადღებას იქცევს გმირისა და გველეშაპის / გველის ქორწინება.

კავკასიური ზღაპრების უმრავლესობას, რომლებშიც ქალი-გველი მონაწილეობს, ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურა იშვიათად აქვს, ძირითადად ნოველისტური ხასიათისაა, ან უბრალოდ გმირის თავგადასავალია მოთხრობილი, მაგალითად, სომხურ ხალხურ ნოველაში „გველის ზღაპარი“ მოთხრობილია ქალზე, რომელიც სინამდვილეში გველია და თავის ქმრებს ღუპავს (ალექსიძე1976: 188-194). როგორც წესი, ქალი გველი გრძნეულია, იცის განძეულის საიდუმლოებები და მკვდრის გაცოცხლებაც კი შეუძლია.

ქართულ ზღაპარში „გველადქცეული მზეთუნახავი“ (ჩიქოვანი 1952: 145-148) ერთ ბიჭს ტყეში დანთებული ცეცხლიდან ქალის ხმა შემოესმა, მიშველეთო. ცეცხლიდან წითელი გველი ამოხტა, წელზე შემოეხვია და ანიშნა, თუ რომელ გზაზე უნდა წასულიყვნენ. მიადგნენ ერთ მაღალ კოშკს, გველი შემოეხსნა ბიჭს და მზეთუნახავ ქალად იქცა. ქორწინების შემდეგ ბიჭს მშობლების მონახულება მოუნდა. ცოლმა თან ჯადოსნური ხანჯალი გაატანა, რომელიც გზაში მოტყუებით მოპარეს და მოკლეს, მაგრამ გრძნეულმა ცოლმა ქმრის გაცოცხლება მაინც შეძლო.

ქალი-გველისთვის დამახასიათებელი თვისებაა კონტაქტურობა და უშუალობა გმირთან ურთიერთობაში, პირველი ნაბიჯის გადადგმა მასთან დასამეგობრებლად. „ერთგან ბზე იწვებოდა და შიგ გველი წიოდა. მივიდა ერთი კაცი და უყურებდა. გველმა უთხრა: გამომიყვანე და ბედსა გწევო. რა უნდა გამოგიყვანო, ერთი კარგი მარგილი რომ მეჭიროს, მანდვე სულს გაგანთხევინებდიო, მაგრამ მოგლიჯა ჭიგო და დაუდო. გამოცურდა თუ არა, იმ წამსვე ყელზე შემოეხვია და უთხრა: აი იმ სახლთან მიდი, სინათლე რომ გამოდისო. მივიდა და შიგ მცხოვრებლებმა უთხრეს: თუ მაგ გველს მოიხსნი, შემოგიშვებთ, თუ არა და არც არაო. უცბად გველი ქალად იქცა და შევიდნენ სახლში. თურმე სამნი დანი ყოფილიყვნენ და უთხრეს: რახან ჩვენი და გადაარჩინე, აჰა, აი, ესენი, და მისცეს ძველი საფულე, ძველი პერანგი და ძველი ხანჯალი და წავიდა“ (ჩიქოვანი 1952: 210-212). ამ ჯადოსნური ნივთების საშუალებით გმირმა მართლაც მიაღწია საწადელს.

გველის ყელზე მოხვევა ქართულ ხალხურ პოეზიაში გავრცელებული მხატვრული სახეა, კერძოდ, ცოლის მეტაფორაა. „ყელზე გველი მომეხვია“ ცოლის ალერსს ნიშნავს, როგორც ეს ცნობილ ლექსშია „წუხელის სიზმარი ვნახე“: „ყელზე გველი მომეხვია, ნეტავ, დედავ, რაო? — შვილო, ის შენი ცოლია...“ (კოტეტიშვილი 1961: 285).

კავკასიურ ზღაპრებში ქალი-გველი რამდენიმე ფუნქციით შეიძლება შეგვხვდეს. ის შეიძლება იყოს 1) ანტაგონისტი, 2) გრძნეული შემწე, 3) მჩუქებელი ან 4) ყველა ერთად.

მოჯადოებული ქმრის ფუნქციები

კავკასიური ზღაპრები, რომლებშიც მთავარი პერსონაჟი გველეშაპი / გველი მამრობითი სქესისაა, ზღაპრის ტიპ ATU 425-ს განეკუთვნებიან.

ATU 425 საერთაშორისო საძიებელში განმარტებულია როგორც ზღაპრის ტიპი, რომელშიც ქმარი ურჩხულია (შესაბამისად, გველეშაპი, გველი კავკასიურ ზღაპრებში), ღამით კაცია, დღისით ისევ ტყავით იმოსება. ცოლი ტყავს უწვავს, რის შემდეგაც ქმარი ფრინველად (საერთოკავკასიურ ფოლკლორში — მტრედად, მერცხლად) გადაიქცევა და გაფრინდება. ცოლი მის საძებნელად მიდის და პოულობს მას. ზღაპრის ამ ტიპს აქვს უამრავი ვარიაცია, შეიცავს მრავალ მოტივსა და აქვს მრავალფეროვანი კონტამინაციის საშუალება. ეს არის ზღაპრის ტიპი, რომელიც ევროპაში ფართოდ გავრცელებულია „მზეთუნახავი და ურჩხულის“ სახელწოდებით. გველეშაპი-ქმრის სახე პოპულარულია აღმოსავლეთ ევროპაშიც. ბალკანურ ფოლკლორში, კერძოდ, მონტენეგრულ ზღაპარში „ბაშ-ჩელიკი“ გმირის ერთ-ერთი სიძეა გველთ მეფე, რომელიც მას იორდანიიდან უკვდავების წყლის მოტანაში ეხმარება (ზუბალაშვილი1974: 130-149). ჩრდილო-დასავლეთ ევროპულ ფოლკლორში პოპულარულია ზღაპრის ტიპი ATU 440, რომელშიც ქმარი მოჯადოებული ბაყაყია — „ბაყაყი მეფე“ (KHM 1), „სიძე-გომბეშო“ (ფრანგული... 1976: 186-193). გარდა ამისა, გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ზღაპრები ზებუნებრივი მეუღლის შესახებ მთელ მსოფლიოშია გავრცელებული შორეული აღმოსავლეთის ჩათვლით (Swahn 1984: 95-97).

გველეშაპი-ქმრის ზღაპარი საქართველოში მეტად პოპულარულია, რასაც ადასტურებს მისი უამრავი ვარიანტი და ვერსია, მათ შორის, „გველბიჭას ზღაპარი“ (თსუფა № 4377), „გველკაცა“ (გიგინეიშვილი 1961: 431-432; თსუფა 12732), „გველშვილა და გველჩიტა“ (თსუფა № 4263), „გველბიჭა“ (თანდილავა 1970: 122-128). საილუსტრაციოდ შეიძლება მაგალითის მოყვანა ზღაპრიდან „ზღაპარი ხელმწიფის ცოლისა, გველი რომ გაუჩნდა“ (ჩიქოვანი 1952: 40-48): ერთ ხელმწიფეს შვილის ნაცვლად გველი შეეძინა, რომელიც იზრდებოდა და დღეში თითო ბავშვს ჭამდა. ერთხელაც ერთი ობოლი გოგონა გაუგზავნეს. წინა ღამეს, სანამ წაიყვანდნენ, გოგონას დაესიზმრა, რომ თუ გველს ყვითელ ბატკანს მიართმევდა ოქროს სინით, შეჭმას გადაურჩებოდა. გოგონა ასეც მოიქცა. როცა ხელმწიფის მსახურებმა მეორე დღეს ორმოში ჩაიხედეს, ერთმანეთს ჩახვეული ქალ-ვაჟი იხილეს. გველი ვაჟად გადაქცეულიყო. ამ ზღაპრის უფრო ადრინდელი ვერსიაა „მზეჭაბუკი“ პეტრე უმიკაშვილის არქივიდან (უმიკაშვილი 1964: 188).

ATU 425-ს ტიპის საილუსტრაციოდ მოვიყვან „სამი დის“ ზღაპარს (ჩიქოვანი 1956: 29-32).

ერთ ღარიბ კაცს, რომელსაც სამი ქალიშვილი ჰყავდა, დიდი მოსავალი მოუვიდა. პურის მოწევის დრო რომ დადგა, უზარმაზარი გველეშაპი მოვიდა და ყანას შემოეხვია. მასთან მოსალაპარაკებლად კაცმა ქალიშვილები გაგზავნა. ორმა უფროსმა დამ გველეშაპისთვის სიტყვის თქმაც ვერ გაბედა, უმცროსმა კი თამამად ჰკითხა მოსვლის მიზეზი. გველეშაპმა მოითხოვა, რომ რომელიმე ქალიშვილი მისთხოვებოდა. უფროსმა დებმა მისი წინადადება შორს დაიჭირეს, უმცროსი — დათანხმდა. სოფელს რომ გასცდნენ, გველეშაპმა ტყავი გაიძრო და კოხტა ვაჟკაცი გამოვიდა. სანამ ოჯახში მიიყვანდა, ქმარმა ცოლი გააფრთხილა: „ჩვენს ქვეყანაში ქაჯურად* ლაპარაკობენ, ჩემმა დედამ რო გითხრას, კოკა გატეხეო, უნდა მიუტანოვო“. ცოლმა ქმარს ყველაფერი დაუჯერა და მის სახლში დიდი სიყვარულიც დაიმსახურა. როცა ბავშვის გაჩენის დრო მოახლოვდა, ქმარმა მოსალოგინებლად მშობლიურ სოფელში წაიყვანა. დებს მისი ბედნიერება ძალიან შეშურდათ. ერთ-ერთმა დამ, რომელმაც გზაში გამოაცილა, ბავშვი წაართვა და ახალნამშობი-

* „ქაჯური“ ანუ უკუღმა ლაპარაკი ბასკურ ფოლკლორშიც გვხვდება — ზღაპარში „ფერიას მოახლე“ რძალმა პირიქით უნდა გააკეთოს, რასაც ეტყვიან (Baskische.. 1980: 23-25).

არევი ქალი ვაშლის ხეზე დატოვა. ქალი დარჩა ხეზე, იტირა, იტირა და ბოლოს სისხლად და ცრემლად ჩამოიშალა მიწაზე. სადაც მისი სისხლი და ცრემლი მოხვდა, ლერწმის ტყე გაშენდა და ყვავილები და ბალახი ამოვიდა. ამასობაში მისი შვილი გაიზარდა. ერთხელ ძროხას აძოვებდა და სწორედ იმ ხეებთან მივიდა. მოტეხა ლერწამი და სტვირი გამოთალა. სტვირი უკრავდა და თან ამბობდა: „სტვირო, სტვირო, რასა სტირო, მე დედაშენი ვშავდები, შენ კი ჩემი შვილი ბრძანდებიო". სტვირი არ მოეწონა ბავშვის ცრუ დედას და დაუმტვრია. ნამტვრევები ისევ აგრძელებდნენ სიმღერას, ცრუ დედამ თონეში ჩაყარა. ნაცარში ქალის სახე გამოისახა. ნაცარი ბანზე დაყარეს, სადაც ალვის ხე ამოვიდა. ქმარს ისე მოეწონა ალვის ხე, ლოგინი დაიდგა მის ჩრდილქვეშ. ალვის ხე ტოტებს ჩამოუშვებდა და ქმარს ასე ეალერსებოდა. მეორე ცოლმა ეს ხეც მოაჭრევინა. ერთი ნაფოტი ერთი მოხუცი ქალის ეზოში გადავარდა და ცოტა ხანში ისევ ქალად გადაიქცა. ერთ დღეს თავისი ყოფილი ქმარი დაპატიჟა ლხინზე და ყველაფერი ბედნიერად დასრულდა. ქმარმა ცოლი იცნო, ცრუ ცოლი კი დასაჯა.

ეს ზღაპარი საქართველოში ბევრგან გვხვდება. არსებობს ინგილოური ვარიანტიც — „გველეშაპის ცოლი" (თსუფა 24319).

ATU 425-ის ტიპის კავკასიურ ზღაპრებში გველკაცი შეიძლება იყოს 1) ანტაგონისტი, 2) გრძნეული შემწე, 3) მჩუქებელი და 4) გმირი. თუმცა ეს უკანასკნელი ფუნქცია ყოველთვის სრულყოფილი არ არის. გმირის მოქმედებათა წრე გულისხმობს ზღაპრის ბოლოს შინ დაბრუნებას, „გველკაცის" ბევრ ვერსიაში კი ქმარი საერთოდ არ ბრუნდება შინ. ამგვარი ფინალი გვაფიქრებინებს, რომ „გველკაცის" ტიპის ზღაპრები სტრუქტურულად არ ესადაგებიან ჯადოსნური ზღაპრის ჟანრს. ამგვარი ტექსტები თავიანთი „არასრულყოფილების" ანუ ბოლომდე ვერჩამოყალიბებული საზღაპრო სტრუქტურის გამო არქაულობაზე მიუთითებენ. ისინი კიდევ უფრო ძველი ჩანს, ვიდრე ამ ტიპის ზღაპრის პირველი ჩანაწერი (ახ. წ. II ს.).

ATU 425-ის ტიპის ზღაპრის უძველესი ლიტერატურული ვერსია

უძველესი ფიქსირებული ტექსტი, რომელიც ATU 425-ს ტიპს განეკუთვნება, არის აპულეუსის „მეტამორფოზებში" (დაახლ. ახ. წ. 125 წ.) ჩართული „ამურისა და ფსიქეას" ამბავი (აპულეუსი 1963: 100-142).

ერთ სამეფოში მეფე-დედოფალს სამი ქალიშვილი ჰყავდა. უმცროსი ქალიშვილი ფსიქეა ისეთი მშვენიერი იყო, რომ ხალხმა ქალღმერთად შერაცხა. ამან განარისხა ქალღმერთი ვენერა და თავის ვაჟს, კუპიდონს დაავალა, ფსიქეასთვის ვინმე უღირსი კაცი შეეყვარებინა. კუპიდონს ფსიქეა თავად შეუყვარდა, თავის სასახლეში წაიყვანა და ცოლად შეირთო. კუპიდონი ყოველ ღამით მოფრინავდა თავის ცოლთან და დილით ისევ ტოვებდა. ფსიქეას მისი სახე ჯერ არ ენახა. კუპიდონმა გააფრთხილა ფსიქეა, არ დაეჯერებინა თავისი დებისთვის, თუ ისინი რჩევას მისცემდნენ, თორემ მეუღლეს სამუდამოდ დაკარგავდა. დებმა ფსიქეა მაინც დაარწმუნეს, რომ მასთან საზარელი შხამიანი ურჩხული წვებოდა. ფსიქეამ დებს დაუჯერა და ღამით, ქმარს რომ ჩაეძინა, წინასწარ მომზადებული ბასრი მახვილი და სანათი აიღო და სარეცელი გაანათა. ფსიქეა ქმრის მიმართ სიყვარულით აივსო, ამ დროს სანათურიდან ზეთი დაეწვეთა კუპიდონის მხარს და დასწვა. კუპიდონს გამოეღვიძა და გაფრინდა. ფსიქეა დაედევნა და ხანგრძლივი და მძიმე თავგადასავლების შემდეგ მივიდა ვენერასთან, რომელმაც ოთხი რთული დავალება მისცა. პირველი დავალება ერთმანეთში არეული სხვადასხვა მარცვლის დახარისხება იყო, მეორე — საძოვრებიდან ოქროს მატყლის მოპოვება, მესამე — კლდიდან შავი წყლის მოტანა, მეოთხე კი ქვესკნელში ჩასვლა და პროზერპინასგან ვენერასთვის სილამაზის წამოღება. სამი დავალების შესრულებაში ფსიქეას ჭიანჭველები, ლერწამი და არწივი დაეხმარნენ, მეოთხეჯერ კი კუპიდონმა იხსნა, რომელმაც ველარ გაძლო ცოლის უნახაობით და მასთან დაბრუნდა. ბოლოს კუპიდონი და ფსიქეა იუპიტერმა დალოცა — ფსიქეას უკვდავება მიანიჭა და შეყვარებულები სამუდამოდ შეუღლდნენ. მათი ქორწინების შედეგად დაიბადა

ქალღმერთი ვოლუპტასი (განცხრომა).

აპულეუსის „ამურისა და ფსიქეას ამბის“ ფოლკლორული წყაროსა და პარალელების შესახებ არაერთი გამოკვლევა არსებობს (Megas 1977: 464-472; სვანი 1955). 1000-ზე მეტი ვარიანტის დაწვრილებითი ანალიზისა და მათი 14 სუბტიპის კლასიფიკაციის მიხედვით ი.-ო. სვანი მივიდა დასკვნამდე, რომ ძირითადი მოტივები მთელ ინდოევროპულ კულტურულ არეალშია გავრცელებული, ხოლო ყველაზე ძველი ფორმით შენარჩუნებულია ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთით, კერძოდ, სამხრეთ იტალიაში, სიცილიაში, საბერძნეთსა და თურქეთში. გ. მეგასი მრავალრიცხოვან ბერძნულ ფოლკლორულ მასალაზე დაყრდნობით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ინდოევროპულ კულტურის წრეში ამ ზღაპრის უძველესი ფორმა ბერძნულია და მისი კვალი მიკენურ ეპოქამდე მიდის (Megas 1977: 471-472). მოგვიანებით, 1980-იან წლებში ი.-ო. სვანი კვლავ დაუბრუნდა ATU 425-ს ტიპის გამოკვლევას და განაცხადა, რომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ვერ მოიტანს შედეგს, თუ მეცნიერები არ გაითვალისწინებენ არაევროპელ უდამწერლობო ხალხთა ფოლკლორს და მხოლოდ ლიტერატურული წყაროს ძიებაზე იქნებიან ორიენტირებული: „ზღაპარმცოდნეობა, რომელიც ისტორიული კონსტრუქციისას არაევროპულ ტრადიციას მხედველობაში არ იღებს, ცალთვალაა“ (Swahn 1984: 97). არაევროპული ფოლკლორული მასალის შესწავლა ცხადჰყოფს, რომ მისი განსხვავება ევროპულთან არც ისე დიდია. წმინდა ფუნქციონალისტური ასპექტების გვერდით ამ კულტურებს შეუძლიათ თავისი გამოცდილება დაგვანახონ, მაგალითად, ის, რომ თხრობითი ტრადიციის არსებობა გარდაუვალი ფაქტია როგორც მწიგნობრულ, ისე უდამწერლობო საზოგადოებებში. ი.-ო. სვანის მართებული შენიშვნით, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ ანტიკური ხანის ზეპირ ტრადიციებზე, მაგრამ თანამედროვე უდამწერლობო ხალხების ზღაპრები, თქმულებები და მითები უტყუარ ფაქტებს წარმოადგენენ, რომელთა მეშვეობით ტრადიციის სტაბილურობას ვხედავთ ისტორიულ ასპექტში (Swahn1984: 96).

ლიტერატურული ტრადიციების გავლენა ზეპირსიტყვიერ ჟანრებზე საკმაოდ ხშირია, მაგრამ ყოველთვის შეიძლება დადგენა, რომელი ტექსტები მომდინარეობენ ლიტერატურული წყაროდან. მე-17-18 საუკუნეებში ევროპულ ფოლკლორზე დიდი გავლენა იქონიეს იტალიურმა და ფრანგულმა საზღაპრო კრებულებმა, მაგრამ წიგნიერი გზის პარალელურად თხრობის ტრადიცია ისევ ცოცხალი იყო. თუნდაც მარტო ევროპაში გავრცელებული ზღაპრების მიხედვით ვიმსჯელოთ, ATU 425 ტიპის პირველწყარო მაინც არ არის მხოლოდ ლიტერატურული. სკანდინავიაში, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, რუსეთში, კავკასიაში შეკრებილი მრავალრიცხოვანი ტექსტები ადასტურებენ, რომ ისინი ლიტერატურული ტრადიციისგან დამოუკიდებლად არსებობდნენ საზოგადოებაში.

ზღაპრები ტრაგიკული დასასრულით

თ. ქურდოვანიძის მიერ შედგენილ ქართულ ზღაპართა საძიებელში, რომელიც აარნე-თომპსონის საძიებლის მიხედვით არის დამუშავებული (ქურდოვანიძე 1976: 240-263), „სასწაულებრივი მეუღლის ტიპის“, მათ შორის, ATU 425-ის გარშემო საინტერესო სურათს ვხედავთ. ამ ტიპის ზღაპრებს აქვთ სხვადასხვა ვერსია და პერსონაჟის გარდასახვის ფართო სპექტრი. ზოგიერთ ვერსიაზე თ. ქურდოვანიძეს მითითებული აქვს: „დაზიანებული ვარიანტი“. ამგვარი მითითება ძირითადად არის საარქივო მასალებზე, რომლებიც არ არის ლიტერატურულად დამუშავებული და გამოცემული. ამ ტექსტებში ზღაპრის სიუჟეტი ბედნიერი ფინალით არ სრულდება. ამგვარი ზღაპრები ტრაგიკული დასასრულით გვხვდება ზოგიერთ გამოცემაშიც.

ზღაპარ „გველვაჟის“ ერთ-ერთი ძველი ვარიანტი გამოქვეყნებულია „ძველი საქართველოს“ I ტომში: ქალი მისდევს მტრედადქცეულ ქმარს და ის არის უნდა დაი-

ჭიროს, რომ მტრედი ისევ მაღლა ფრინდება: „ტრედი ხან თავზე ევლება მზეთუნახავს და ხან ფეხებზე აჯდება, მარამ ყოველივე ცდა მზეთუნახავისა, რომ მეიგდოს ხელში ტრედი — ამაოთ რჩება. დღესაც ასე დაფრინავს რაშით მზეთუნახავი და ტრედიც თავზე ევლება, ხან მხრებზე აჯდება მზეთუნახავს, იმათი ფოფინი და ფორთქინი დოუსრულებელია“ (თაყაიშვილი 1909: 6-10). ამ ზღაპრისვე ზემოიმერული ვარიანტია „გველკაცა“, რომელიც ასევე დაუსრულებელია: „[ქალმა] სთხუა მამამისს რაში და გიეკიდა, მარა ვერ დიეწია. მტრედი მიფრინავდა და ღუღუნობდა, რაში ფრუტუნობდა და მიზდევდა“ (გიგინეიშვილი 1961: 431-432).

მოჯადოებული ქმარი გველის ტყავის დაწვის შემდეგ ფრინველის სახეს რომ იღებს, ეს მოტივი კავკასიაშიც გვხვდება, მაგალითად, ლაკურ ზღაპარში „გუგურჩი“ (ჩლაიძე 2006: 25-32). აქ ქმარი მერცხლად იქცევა, თუმცა ქართული „გველკაცასგან“ განსხვავებით ლაკური ზღაპარი ბედნიერად მთავრდება — ცოლი და ქმარი ისევ ხვდებიან ერთმანეთს.

„გველვაჟი“ და „გველკაცა“ ჯადოსნური ზღაპრის სტრუქტურაზეა აგებული, მაგრამ ისინი იმით იქცევენ ყურადღებას, რომ ჯადოსნური ზღაპრისთვის არაბუნებრივი დასასრული აქვთ. ეს ზღაპრები არ მთავრდება. ცოლი დაუსრულებლად მისდევს ქმარს და საბოლოოდ ისინი ერთმანეთს ვერ ხვდებიან. ამ ზღაპრების შესწავლისას დგება საკითხი, ხომ არ გვაქვს საქმე მითოსიდან ზღაპარზე გარდამავალ ჟანრთან. აშკარაა, რომ ეს ტექსტები მითოსისთვის დამახასიათებელ ნიშნებს (ციკლურობა) ისევე ატარებენ, როგორც ზღაპრისას (სტრუქტურა). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სტრუქტურის მიხედვით ჯადოსნური ზღაპრები არიან, დასასრულის მიხედვით კი მითები.

მიხეილ ჯავახიშვილმა მხატვარში ლიტერატურული ტექსტის სრულყოფილად აღმქმელი და ვიზუალურად გარდამქმნელი შეიცნო და ამიტომაც შესთავაზა მას შეექმნა ქართველი მწერლების პორტრეტები. კონცეპტუალური თანხვედრის შედეგია სოსო გაბაშვილის მიერ შექმნილი მიხეილ ჯავახიშვილის პორტრეტი. 1925 წელს შექმნილი ეს ნახატი არა მხოლოდ მწერლის გარეგნული იერს, არამედ მის თვალსაწიერისა და ეპოქალური მისიის მხატვრული გამოსახვაა: მწერლის პენსნე სხივს ირეკლავს, თვალი სრულადაა დაფარული ამ დეტალით; თეთრი ფერი მწერლის პიჯაკის საყელოს ჭრილში გარჭობილი გვირილის ფურცლებზე მეორდება; და კიდევ, ასეთივე თეთრ ფურცელზეა წარმოსახული წიგნი, „ჯაყოს ხიზნები“. ეპოქალური რომანი, რომელიც სოსო გაბაშვილმა აპოკალიფსურ ხილვად წარმოსახა წიგნის გარეყდაზე, ამ კომპოზიციაში ნათელი ფურცლის დატვირთვით მოიაზრება. ოდნავ მოყვითალო ფერი დაკრავს „კვაჭი კვაჭანტირაძის“ „გამოცემას“. კომპოზიციის ცენტრში განთავსებულ მწერლის პროფილს მოლურჯო, მუქი ცისფერი ფერი აქვს. არაბუნებრივი ფერის სახე ტრაგიზმის ელემენტის მატარებელია. ეს ტონი ოდნავი ცვლილებით მეორდება კომპოზიციის კუთხეებში განლაგებულ კალმის წვერთან და მის საპირისპირო მხარეს მოთავსებულ ცის ნაწილთან, რომელიც ცირკის შენობას დაჰყურებს. ღვთაებრივი ფერის ტონი მუქია და უფრო სიმბოლური დატვირთვის მატარებელი. ასევე სიმბოლურ სახე-ნიშნებად მოიაზრება მზე და მთვარე. მზე ერთ სიბრტყეზე განლაგებული თაღებიდან ამოდის. შავი თვალებითა და მსხვილი წარბებით კოპებშეკრული წითელი მზის სიმბოლო თითქოს დადაისტურ სტილშია გადაწყვეტილი. იისფერი რკალით შემოსაზღვრული მთვარე და ვარსკვლავებიც ბავშვურ ელემენტებს შეიცავს: მუქი წითელი მზე, რომლის თავზეც ცირკის მოწითალო სახურავიდან ცილინდრიანი ჯამბაზი გადმოდის და ცირკისვე ფინიას თასმით მიბმულ მდედრ ჯამბაზს ასდევნებია. წითელი დემონის თავი, უზარმაზარი წითელი კითხვის ნიშანი, წითელი პროკლამაციები, რომელსაც მეორე ცილინდრიანი ჯამბაზი ყრის — და წითელი ფერის ტუჩები ჯავახიშვილის სახეზე... ეს გაბნეული წითელი ლაქები სისხლდენის ასოციაციას იწვევს. კომპოზიციაში ყველაფერი თითქოს შამფურივითაა აცმული წითელ კალამზე — სისხლი არავის და არაფერს ასცდა. სოსო გაბაშვილის ნახატზე მეორდება კუბისტური დეტალები, მეოცე საუკუნის ავანგარდისტულ სტილთა აღრევა კონცეპტუალურად არის გამთლიანებული. ვიზუალური ტექსტის აშკარა ალეგორიული დატვირთვა იმითაც არის ხაზგასმული, რომ ნახატზე ტრაგიკული რიცხვი „21“, უტრირებული ზომით, თითქოსდა შენობის ნომრის აღსანიშნად არის მოცემული, მაშინ, როცა ნაციონალური შინაარსის აღქმაზე ორიენტირებული თვალისთვის ეს ციფრი საქართველოს გასაბჭოების და მის შედეგად შექმნილი ტრაგიკული ქაოსის პირდაპირი ნიშანია. ამავე დროს ამ რიცხვის კონტურების ჩრდილები, რომლებიც წითლითაა მონიშნული, მომღიმარი ნიღბის ჩრდილის ასოციაციასაც იწვევს და ცინიზმის ელემენტების შემცველია. სოსო გაბაშვილის ეს ქმნილება, ისევე როგორც მისი სხვა ნამუშევრები, სამართლიანად

მიიჩნევა მიხეილ ჯავახიშვილის მწერლური პოზიციის მხატვრული ვიზუალიზაციისა და ინტერპრეტაციის არა მარტო პირველ, არამედ ყველაზე წარმატებულ მცდელობებად.

მიხეილ ჯავახიშვილის პორტრეტები შექმნეს როგორც იმდროინდელმა ცნობილმა მხატვრება, ასევე პოეტებმა გალაკტიონ ტაბიძემ და პაოლო იაშვილმა. პოეტების ნამუშევრები ესკიზური ჩანახატებია, რომლებიც მნიშვნელოვანია როგორც მწერლის ჰაბიტუსის და მისი ხასიათის შესაცნობად, ასევე იმის მანიშნებლად, თუ როგორ აღიქვამენ თანამედროვეები მწერლის ფიგურებს.

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების კვლევისას იკვეთება ის გარემოება, რომ ის, ილიასდარად, ამკვიდრებს ეროვნულ ღირებულებებს პროზასა თუ პუბლიცისტიკაში. მწერლის პუბლიცისტური წერილების თემატიკაც კი საკმარისია იმის დასტურად, თუ რაოდენ მრავალმხრივი იყო ჯავახიშვილის, როგორც პუბლიცისტის მოღვაწეობის ასპარეზი. თეატრი, როგორც საქართველოში მეოცე საუკუნის დასაწყისისთვის არსებული აუდიოვზუალური ხელოვნების ერთადერთი დარგი (ძალზე პოპულარული „ცოცხალი სურათების“ ჩათვლით), იმ პერიოდში მწერლის მიერ შექმნილ პუბლიცისტურ წერილებში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. ქართული კინო, როგორც ხელოვნება, იმხანად ჯერ არ არსებობდა, მხოლოდ ქრონიკებს იღებდნენ.

ქართული თეატრის შესახებ მიხეილი წერდა: „მე მიყვარდა ქართული თეატრი, ისე მიყვარდა, როგორც სამშობლო, ძვირფასი მეგობარი, კეთილი მამა, მოსიყვარულე ცოლი უფრო ძლიერ - ისე მიყვარდა, როგორც ჩვენი წარსულის მასწავლებელი... ხშირად თეატრის გულისთვის შიმშილ-სიცივეც ამიტანია. გულის ფანცქალით, თაყვანისცემით, თითქოს შიშით ვუყურებდი სცენას, იქ მოსიარულე და მოლაპარაკე კაცებს და ქალებს...“ – წერს მწერალი 1903 წლით დათარიღებულ თავის პირველ და იმთავითვე საპროგრამოდქცეულ წერილში „ჩვენ და ჩვენი თეატრი“ და ოპონენტს, რომელსაც ის „პატივცემულ ქართველად“ მოიხსენიებს, ქართული თეატრის ეროვნულობაზე შემდეგ მოსაზრებას უზიარებს: „ზოგიერთების აზრით, დრამის ახალ მიმართულების მომხრენი, წარმოიდგინეთ, უარსჰყოფენ ეროვნულ ხელოვნებას! საიდან, ან როდის? პირიქით, ჩვენ ვამბობთ: ხელოვნება ეროვნულ ჩარჩოში უნდა ჩაისვას და არა შოვინისტურ ბნელ ორმოში. ეროვნულ ხელოვნებიდან შოვინისტურ ხელოვნებამდე უსაზღვრო სივრცეც არის და ერთი ნაბიჯიც“ (ჯავახიშვილი 1964: 5). მიხეილ ჯავახიშვილის ეს სტატია არაერთი მეცნიერის კვლევის საგანი გახდა, ხოლო „პატივცემული ქართველის“ ვინაობა თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძემ დაადგინა: „ჩვენ და ჩვენი თეატრი“ კონცეპტუალური მნიშვნელობის სტატიაა. მიხეილ ჯავახიშვილი მოითხოვს, რომ თეატრის სცენაზე უბრალო ადამიანები გამოიყვანონ. იგი ამ პოზიციიდან აკაკი წერეთელს ეკამათება“ (კიკნაძე 2010). 1903 წელს „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული მიხეილ ჯავახიშვილის წერილი „ჩვენ და ჩვენი თეატრი“ ჯერ კიდევ დამწყები მწერლისა და პუბლიცისტის აზროვნების ეროვნულ საფუძველზე და, კიდევ, მის სითამამეზეც მეტყველებს. ამგვარი თამამი განცხადებებით სანდრო ახმეტელიც გამოირჩეოდა, რომლის წერილიც, „არის თუ არა ქართული თეატრი ქართული?“ ასევე იქცა ქართული სათეატრო აზროვნების საპროგრამო წერილად 1915 წელს, მისი გამოქვეყნებისთანავე. „არის თუ არა ქართული თეატრი გამომხატველი ქართველისა, როგორც სპეციფიური ნაციონალური ფსიქოლოგიის და რელიგიის მატარებელი ადამიანისა? გვყავს ეს ქართველი სცენაზე? შეგვიძლია გადაჭრით ვაღიაროთ, რომ ხელოვნურის სხივით შექმნილი ქართველი, იდეური გაგრძელებაა ნამდვილ არსებულ ქართველისა? გვითხრა ჩვენმა თეატრმა თუ ვინ არის ქართველი? როგორია მისი სულისკვეთება? როგორია მისი ვნება? ძალა? რით საზრდოობს? რით სულგდმულობს? ვიცნობთ ჩვენ ქართული ადამიანის სულის დრამას? ვინ არის ქართველი? ვიცნობთ მას ჩვენ, როგორც თავისებურ მსოფლიო ინდივიდუუმს? რით განირჩევა იგი სხვისგან? ვიცნობთ ჩვენ მის რელიგიურ ლტოლვილებას, რელიგიურ ექსტაზს? შეგვიძლია ვთქვათ, განვმარტოთ, თუ რა ფორმებში ხატავს

იგი თავის ექსტაზს? ვინ არის ქართველი? ვიცნობთ ჩვენ მის ფსიქოლოგიას? ვიცნობთ ჩვენ მას როგორც თავისებურ ტიპს, ჩამოყალიბებულს საქართველოს ისტორიის პირობებით? გვითხრა თეატრმა ვინ არის ვინ, რაგვარია ქართველი როგორც ადამიანი?“ (ახმეტელი 1978: 91-92).

მიხეილ ჯავახიშვილის პროზის პერსონაჟების ტიპოლოგიური ანალიზი ყველა იმ კითხვას სცემს პასუხს, რომელსაც სანდრო ახმეტელი თავის წერილში აყენებს. ჯავახიშვილის პერსონაჟთა გალერეაში სწორედ იმ ნიშან-თვისებათა მატარებელი პერსონაჟები არიან, რომლებიც ქართულ სულს ყველა პრიზმაში წარმოგვიდგენენ — როგორც დადებით, ასევე უარყოფით ასპექტში. რაოდენ უცნაურია, რომ, მიუხედავად უდიდესი სულიერი და კონცეპტუალური თანხვედრისა, ახმეტელს არასოდეს დაუდგამს მიხეილ ჯავახიშვილის რომელიმე ნაწარმოები.

მიხეილ ჯავახიშვილის ამჟამად დაკარგული პიესა „ივერიუმი“ სამი თეატრის რეპერტუარში შეიტანეს: რუსთაველის, ბათუმისა და ქუთაისის. თავად ახმეტელი მეტად მაღალი აზრის ყოფილა პიესაზე: „პიესის მხატვრულ ღირსებაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სანდრო ახმეტელს მაღალი შეფასება მიუცია „ივერიუმისთვის“ და გამოუთქვამს აზრი, რომ “ბოლო წლებში ქართულად ასეთი პიესა არავის დაუწერია“ (ჯავახიშვილი ქ. 2000: 216).

„ივერიუმის“ მთავარი გმირი კვაჭი კვაჭანტირაძე გახლდათ. პიესა ჯავახიშვილის რომანის, „კვაჭი კვაჭანტირაძის“ გაგრძელება იყო. რომანი დაბეჭდვისთანავე უაღრესად პოპულარული გახდა. „კვაჭი კვაჭანტირაძე“, ისევე როგორც მიხეილ ჯავახიშვილის ყველა პროზაული ნაწარმოები, უაღრესად ქმედითია. თავად ავტორმა კარგად იცოდა თავისი რომანის ეს ასპექტი და, ცხადია, ამ გარემოებას თეატრალებიც კარგად ხედავდნენ. შალვა დადიანი ჯავახიშვილის რომანის სასცენო ვარიანტზე მუშაობდა. ჯავახიშვილის არქივში შალვა დადიანისადმი მიწერილი არაერთი წერილი ინახება, სადაც ჯავახიშვილი დადებითად აფასებს შალვა დადიანის მიერ რომანის სასცენო ვარიანტზე მუშაობას. კვაჭი, როგორც პერსონაჟი ძალზე სწრაფად გახალხურდა, ხოლო ტერმინი „კვაჭობა“ დღესაც იგივე აზრით იხმარება, როგორც რომანის დაბეჭდვისთანავე დამკვიდრდა. სხვადასხვა ავტორების შექმნილ ორიგინალურ პიესებში კვაჭი კვაჭანტირაძე მთავარ მოქმედ პირად იყო გამოყვანილი. 1927 წელს, როდესაც „ივერიუმი“ რუსთაველის თეატრის სცენაზე უნდა დადგმულიყო, თეატრის რეპერტუარში კვაჭის თემაზე დაწერილი ოთხი პიესა აღმოჩნდა შეტანილი — ნიკოლოზ შიუკაშვილის ორი პიესა: „ამერიკელი ძია“ და „ძიის გასაბჭოება“, შალვა დადიანის ინსცენირება და „ივერიუმი“. ქეთევან ჯავახიშვილის მოგონებებშიც და მიხეილ ჯავახიშვილის მიმოწერაშიც ირკვევა, რომ მწერალი გრძნობდა მოსალოდნელ საშიშროებას რუსთაველის თეატრის სეზონში მოსალოდნელი „კვაჭიადას“ გამო. ამ მოსაზრებას გერონტი ქიქოძისთვისადმი მიწერილი წერილიც ადასტურებს. გერონტი ქიქოძე მწერალს ამშვიდებდა, რადგანაც „ივერიუმი“ რომანის გაგრძელება იყო. მწერლის საარქივო ჩანაწერების მიხედვით ირკვევა, რომ ხუთმოქმედებიანი პიესა თურქეთიდან საქართველოში დაბრუნებული კვაჭის ამბავს მოგვითხრობდა. უხერხული სიტუაციიდან გამოსავლად რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობამ „ივერიუმის“ დადგმა მომავალი სეზონისთვის გადაიტანა. მიხეილ ჯავახიშვილმა წერილებით მიმართა როგორც ნიკოლოზ შიუკაშვილს, ასევე სანდრო ახმეტელსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველ მდივანს, მიხეილ კახიანს, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო. რუსთაველის თეატრის სცენაზე კვაჭის თამაზე შექმნილი ყველა პიესა დაიდგა, გარდა თავად მწერლის ორიგინალური ნაწარმოებისა. „ივერიუმი“ არც რუსთაველის თეატრის სცენაზე და არც ქუთაისსა თუ ბათუმში აღარ დადგმულა და, სამწუხაროდ, ეს პიესა დაიკარგა. თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილი შემოქმედებითად იყო დაკავშირებული რუსთაველის თეატრთან, იყო სამხატვრო საბჭოს წევრი და მოგვიანებით კი საკავშირო დრამკომის რწმუნებული საქართველოში და ამიერკავკასიაში, გასაგები გახდება, თუ რაოდენ

უსამართლოდ მოექცნენ რუსთაველის თეატრში კვაჭის შემქმნელს მისივე პერსონაჟისთან დაკავშირებით, არც მწერლის ავტორიტეტს და საზოგადოებრივ მდგომარეობას მოერიდნენ.

მიხეილ ჯავახიშვილის ზნეობრივ სიმაღლეზე მეტყველებს 1934 წელს სანდრო ახმეტელისადმი მიწერილი ბარათი: „ძმაო სანდრო! ოციოდე წლის წინათ შენ გაჰბედე და საჯაროდ განაცხადე, ქართულ თეატრს სახე არა აქვსო. მაშინ ეს აზრი კადნიერებად ჩაგითვალეს, მაგრამ რუსთაველის თეატრმა ცხადად გაამართლა შენი ნათქვამი. შენი თაოსნობით დაარსებულმა და შენივე ხელმძღვანელობით აღზრდილმა თეატრმა თანდათან იპოვა ეროვნული ფორმა-ხასიათი, რიტმი, პლასტიურობა, გმირული სული...“ (ჯავახიშვილი 2000: 221-222). ამ პატარა პირად ბარათში კვალიც აღარ ჩანს პირადი წყენისა, რომელიც მწერალს რუსთაველის თეატრთან უთანხმოებამ მოუტანა. ამასთანავე ნათლად იკვეთება, თუ რა კრიტერიუმებით აფასებს მიხეილ ჯავახიშვილი თეატრის ეროვნულ ნიშან-თვისებებს: ფორმა-ხასიათი, რიტმი, პლასტიურობა — ეს კომპონენტები სათეატრო ხელოვნების ვიზუალური მხარეა, რომელსაც სიტყვის დიდოსტატი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა.

მიხეილ ჯავახიშვილის პირადი მიმოწერა შალვა დადიანთან, შალვა სოსლანთან და სხვებთან ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მწერლის სათეატრო ესთეტიკაზე. ამ თვალთახედვით მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების შესწავლა ძალიან ბევრს შესძენს მწერლის შემოქმედების მკვლევარებს და უცილობლად დაეხმარება იმ ავტორებს, რომლებიც მომავალში მიხეილ ჯავახიშვილის დადგმას განიზრახავენ.

მიხეილ ჯავახიშვილის დამოკიდებულებაზე აუდიოვიზუალური ხელოვნების მიმართ მეტყველებს ქეთევან ჯავახიშვილის მოგონებანი: „მამას განზრახული ჰქონდა თავისი ზოგიერთი მხატვრული ნაწარმოები სცენასა და ეკრანზე გადაეტანა. ამ მიზნით მას გაკეთებული აქვს რამდენიმე ლიბრეტო და სცენარი, რომლებიც მეტყველებენ ავტორის დიდ ინტერესზე ამ ჟანრის მიმართ. მის პირად არქივში რამდენიმე საქაღალდე ინახება, რომელთაც მწერლის ხელით გაკეთებული აქვს წარწერა: „სასცენარო მასალები“. ეს მასალები მეტყველებენ იმ ინტერესზე, რომელსაც მწერალი იჩენდა თეატრის და კინოს მიმართ. ამ საქმეს მან დიდი დრო და ენერგია მოახმარა, რომელიც, საბოლოოდ, უშედეგოდ დამთავრდა. მამას სხვადასხვა დროს გაკეთებული აქვს „არსენა მარაბდელის“, „კვაჭი კვაჭანტირაძის“, „თეთრი საყელოს“ და სხვათა ინსცენირებანი. დაწერილი აქვს რამდენიმე დამოუკიდებელი სცენარიც, მაგრამ საბოლოო მიზანი, საკუთარი სცენარი ან პიესა ენახა ეკრანსა და სცენაზე, მწერლის სიცოცხლეში არ მოხერხდა და ამ მიმართულებით პრაქტიკულად გადადგმული ნაბიჯები უშედეგოდ დამთავრდა. ამის შემდეგ მან შეწყვიტა ამ ჟანრზე მუშაობა“ (ჯავახიშვილი 2000: 215).

ამ მიმართულებით წარუმატებელ მცდელობებში, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიგულისხმოთ „ჯაყოს ხიზნების“ დადგმები ბათუმსა და ქუთაისში. რეალურად, ეს წარმოდგენები ჯავახიშვილის პროზის აუდიოვიზუალური ინტერპრეტაციის პირველი ცდები გახლდათ. 1927 წელს შალვა სოსლანისადმი მიწერილ წერილში მიხეილ ჯავახიშვილი წერს: „ჯაყო ორჯერ თუ სამჯერ დაუდგავთ ქუთაისში სეზონის დასასრულს. მითხრეს, სამივეჯერ თეატრი სავსე იყო და დიდი გამარჯვებაც ერგოო. ოღონდ გადაუმლაშებიათ სცენა ურემში“ (ჯავახიშვილი 2005: 215).

როგორც მიხეილ ჯავახიშვილის წერილებით ირკვევა, მას არც ქუთაისის და არც ბათუმის თეატრების დადგმა არ უნახახვს. აშკარაა, რომ არც ერთი წარმოდგენა არ ქცეულა განსაკუთრებულ თეატრალურ მოვლენად, ორივე წარმოდგენა მალევე ჩამოვიდა სცენიდან.

„ჯაყოს ხიზნების“ გასცენურება, ანუ „პიესად გადაკეთება“, როგორც მას მწერალი უწოდებს, სდომებია შალვა დადიანს, მოგვიანებით კი ეს შალვა სოსლანს შეუთავაზებია მოსკოვის ერთ-ერთი სტუდიისთვის. შალვა სოსლანის რუსული ვერსია მოწონებული და მიღებული იქნა მოსკოვის სტუდიაში დასადგმელად მთავარი

რეჟისორის, ნ. დემიდოვის მიერ, რომელიც შეუდგა მის მზადებას, მაგრამ სტუდია მთავრობის განკარგულებით დაიხურა. შემდგომში ამ ვერსისადმი ინტერესს აკაკი ფალავაც იჩენს.

განსაკუთრებით დრამატულია მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელის“ გარშემო შექმნილი ვითარება. მწერალი რომანზე ექვსი წელი მუშაობდა. ჯავახიშვილის რომანი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა, ის მალევე ითარგმნა და გამოიცა რუსულად, ეს კი, თავისთავად, მრავალმილიონიანი აუდიტორიისთვის ნაწარმოების გაცნობას და იმ პერიოდისათვის უაღრესად მნიშვნელოვან საკავშირო აღიარებას ნიშნავდა. იმითვე უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო გმირი, არსენა, რომელსაც შესანიშნავი ხალხურ ლექსი ეძღვნება, ქართულ ცნობიერებაში აღიქმება როგორც უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირი. მაგრამ არსენა მხოლოდ სოციალური კონფლიქტით ინსპირირებული გმირი არ გახლავთ მიხეილ ჯავახიშვილისთვის. „ისტორიული კონტექსტი მისთვის პრიორიტეტულია თვით მხატვრულ ტექსტში. „არსენა მარაბდელი“ სწორედ განსახოვნების ამ ასპექტით გამოირჩევა. შეიძლება ითქვას, რომ იგი მწერლის ყველაზე პოლიტიკური ტექსტია. „ქართლის ბედის“ პერიპეტიები აქ გაიშლება საკმაოდ პლაკატური, შედარებით იოლად აღსაქმელი ნიშან-სიმბოლოთა მეშვეობით“ (წიქარიშვილი 2004: 119).

ცხადია, „ქართლის ბედის“ პერიპეტიებით დატვირთული ტექსტის აუდიოვიზუალურ ნაწარმოებად ქცევა იმ მიზანმიმართებით, როგორც მწერალს აქვს, ნებისმიერ რეჟისორს სირთულეებს შეუქმნიდა. მაგრამ არსენა, როგორც სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირი და მისი თანამებრძოლნი უაღრესად საინტერესო ხასიათები გახლდათ როგორც თეატრისთვის, ასევე კინოსათვის. თუ იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ „არსენა მარაბდელის“ მთავარი გმირების პროტოტიპები რეალური ადამიანები არიან (მათ შორის მიხეილ ჯავახიშვილის ახლო ნათესავები, ბიძაშვილი ბაგრატ ბურნაძე და ბაბუა ანდრო ბურნაძე), რამაც მხატვრული სახეების დიდოსტატის პერსონაჟები კიდევ უფრო სისხლსავსე გახადა, მაშინ გასაგები გახდება, თუ რატომ არიან „არსენა მარაბდელის“ გმირები ესოდენ დამაჯერებლები და რატომ დაინტერესდნენ რეჟისორები რომანის დადგმით. რომანზე მუშაობის დროს ჯავახიშვილმა არსენას და ბარათაშვილის შთამომავლებიც კი მოძებნა. ცხადია, ოცდაათიანი წლების თეატრშიც და კინოშიც მომგებიან თემებს ეძებდნენ, საბჭოური კონტექსტის გათვალისწინებით კი სოციალური თემატიკა და გლეხთა სახეები, რაც „არსენა მარაბდელში“ მრავლად იყო, რომანს ინსცენირებისთვის საინტერესოს ხდიდა. და, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საუკუნის პირველი ნახევრის აუდიოვიზუალური ხელოვნებისთვის, რომანში დახატული იყო დადებითი გმირი, მართალი, ჩაგრულთა ქომაგი, ჰეროიკული, ეროვნული ნიშან-თვისებებით სავსე ხასიათი. უდაოა, რომ ამგვარი პერსონაჟის შექმნაზე სცენასა თუ ეკრანზე ნებისმიერი მაღალი რანგის მსახიობი ისურვებდა. ხოლო სოცრეალიზმის ესთეტიკური დაკვეთის ფონზე ბევრი რეჟისორი იდგა ცდუნების წინაშე, რომ არსენა ჩაგრულთა დასაცავად მებრძოლ პათეტიურ პერსონაჟად ექცია. მოვლენები ასე ვითარდებოდა: პირველად „არსენა მარაბდელის“ დადგმა გიორგი ნამორაძემ განიზრახა ოპერაში. მან ჩანაფიქრი ზაქარია ფალიაშვილს გაუზიარა და მიხეილ ჯავახიშვილსაც მიწერა თავისი ჩანაფიქრის შესახებ, ლიბრეტოზეც დაიწყეს მუშაობა, მაგრამ ეს დადგმა არ განხორციელებულა.

კიდევ უფრო რთული გამოდგა სახკინმრეწვთან ურთიერთობა. მიხეილ ჯავახიშვილს ხელშეკრულებაც კი გაუფორმეს სცენარის შესაქმნელად. ფილმი მიხეილ ჭიაურელს უნდა დაედგა და მწერალი და რეჟისორი ერთად მუშაობდნენ სცენარზე. მაგრამ ორ შემოქმედს შორის სიუჟეტის შეცვლასთან დაკავშირებით უთანხმოებამ იჩინა თავი. მიხეილ ჯავახიშვილის არქივს შემორჩა 1934 წლით დათარიღებული წერილი, სადაც იგი დაწვრილებით აღწერს უთანხმოების მიზეზს. მოგვიანებით სცენარის გადაკეთება სანდრო შანშიაშვილს დაუკვეთეს. საბოლოოდ კი სანდრო შანშიაშვილი

მარტო აღმოჩნდა „არსენას“ სცენარის ავტორი. ქეთევან ჯავახიშვილი იგონებს იმ გულისტკივილს, რომელიც მამის ცხოვრებაში დარჩა, რადგანაც „ფილმი რომანის მიხედვით გაკეთდა. ფილმის საფუძველი მამას რომანი იყო. ტიპაჟი და ზოგიერთი ეპიზოდი კი გადაკეთებულია. მწერლის ჩანაფიქრი და სიუჟეტური ხაზიც დარღვეულია. მთავარ მოქმედ პირთა სახელებიც შეცვლილია“ (ჯავახიშვილი 2000: 390).

„არსენას“ დადგმა სანდრო ახმეტელმა გადაწყვიტა. 1934 წელს მათ გააფორმეს ხელშეკრულება. მაგრამ რუსთაველის თეატრშიც სახკინმრეწვის ისტორია განმეორდა. პიესის ავტორად კვლავ სანრო შანშიაშვილი მოევლინა საზოგადოებას. მიხეილ ჯავახიშვილმა წერილი მისწერა განათლების სახალხო კომისარს, სადაც წერდა: „მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ შანშიაშვილს „არსენა მარაბდელიდან“ მრავალი მასალა გამოუყენებია, რომელიც უდაოდ მხოლოდ მე მეკუთვნის“ (ჯავახიშვილი 2000: 392). სანდრო შანშიაშვილის „არსენა“ წლების განმავლობაში იდგმებოდა რუსთაველის თეატრში. მიხეილ ჯავახიშვილის ბრძოლა საავტორო უფლებებისთვის ამ და სხვა შემთხვევებშიც უშედეგოდ მთავრდებოდა.

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მიხეილ ჯავახიშვილი კმაყოფილი დარჩა „არსენა მარაბდელის“ დადგმით, მოზარდ მაყურებელთა სპექტაკლი იყო. ინსცენირების ავტორები იყვნენ სიმონ მთვარაძე და ბორის გამრეკელი, რომელთაც წინასწარ აიღეს ნებართვა ავტორისგან. სპექტაკლი 1934 წელს დაიდგა. მიხეილ ჯავახიშვილმა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში გამოაქვეყნა წერილი სათაურით „სცენაზე გადატანილი რომანი“. საკმაოდ ვრცელი წერილი წარმოდგენას გვიქმნის, თუ რა მიაჩნია ავტორს უმთავრესად რომანის სცენაზე გადატანისას: „ჩემი რომანიდან თუნდ ხუთი პიესა გამოიჭრება, ხოლო დრამატურგებს მთვარაძეს და გამრეკელს — ერთი პიესა უნდა გამოეჭრათ, ე. ი. მასალა მაქსიმალურად შერჩეული ეპიზოდებიდან დრამატურგიულად და კომპოზიციურად მთლიანი შენობა აეგოთ. ვისაც სურს ეს პიესა და დადგმა პირუთვნელად შეაფასოს, მან ზემოხსენებული დაბრკოლებანი წინასწარ უნდა გაითვალისწინოს... თეატრის უმთავრესი საზრუნავი ის იყო, რომ მაქსიმალურად სისწორით გადმოეცათ ჩემი რომანის იდეური ღერძი და ტიპები. ეს ამოცანა პირნათლად არის შესრულებული... მე ვერ წარმომედგინა, რომ ხელის გულის ოდენა სცენაზე ამოდენა მასალა დაეტეოდა და ესოდენი დინამიკა გაიშლებოდა“ (ჯავახიშვილი 2000: 396).

მოზარდ მაყურებელთა თეატრში „არსენა მარაბდელი“ რეჟისორებმა ალექსანდრე თაყაიშვილმა და ბორის გამრეკელმა დადგეს. სპექტაკლის მხატვარი ნიკოლოზ ყაზბეგი იყო. მოზარდ მაყურებელთა თეატრის მუზეუმში დაცული საქაღალდე ძალზე მწირ ინფორმაციას გვაწვდის წარმოდგენის შესახებ. არ არის შემორჩენილი არც ერთი რეცენზია — სავარაუდოდ სპექტაკლი პრესაში არც ყოფილა შეფასებული კრიტიკოსთა მიერ. ამ სპექტაკლის შესახებ მუზეუმში დაცული ყველაზე მნიშვნელოვანი ექსპონატები მხატვარ კლარა კვეესის შესრულებული სამი ესკიზია. ესკიზებზე ასახულია სამი პერსონაჟი: არსენა მარაბდელი, ცალთვალა დევი-ღვთისავარი და არსენას რაზმის ერთ-ერთი წევრი. ესკიზებზე გმირების პორტრეტები შავ-თეთრია გრაფიკით არის გამოსახული. სამივე ფურცელი გრიმის ესკიზებია: მსხვილი ულვაშები და უდრეკი გამომეტყველება — არსენას პორტრეტი ასე გამოიყურება. არსენას როლს მსახიობი გრიგოლ კოსტავა ასრულებდა. პორტრეტზე იკითხება გმირის ვაჟკაცური ხასიათი და იმ პერიოდის თეატრის გრიმის ესთეტიკისთვის დამახასიათებელი მკვეთრი მონასმები. ცალთვალა დევი, რომლის პროტოტიპიც მწერლის ბაბუა იყო, რომანის პერსონაჟთა შორის ფიზიკური მონაცემებით გამოირჩევა. ამ როლს სპექტაკლში ა. ყიასაშვილი ასრულებდა. ღვთისავარის დახუჭული თვალი, წვერ-ულვაში, პატარა ქუდი და უსაყელო პერანგი პერსონაჟის მკაცრ პორტრეტს მსუყე დეტალებით წარმოაჩენს. მესამე ფურცელი, თავწაკრული რაზმის წევრის ესკიზი, შედარებით რბილი მონასმებით არის შექმნილი. კლარა კვეესი ხატოვნად გადმოგვცემს ეპოქის სულს. ესკიზებში იკვეთება ეპოქისთვის დამახასიათებელი პერ-

სონაჟის პორტრეტის დეტალური დამუშავება. გმირების ხასიათებში ჩანს ჰეროიზმი და პათეტიკაც, რაც ასე ახასიათებდა ოცდაათიანი წლების თეატრს. როგორც მიხეილ ჯავახიშვილის წერილიდან ჩანს, ის კმაყოფილია მსხიობების შექმნილი სახეებით და ამ ესკიზების საფუძველზე შექმნილი „ტიპებით“. „ტიპები“, ანუ სპექტაკლის პერსონაჟები და რომანის იდეური ღერძი მიხეილ ჯავახიშვილის აზრით დინამიურ სპექტაკლად იყო დადგმული. მწერლის მიერ სპექტაკლის შეფასება საკმაოდ მაღალია. პატარა სცენაზე დადგმული „არსენა მარაბდელი“ აუდიოვიზუალურ ხელოვნებაში მწერლის სიცოცხლეშივე განხორციელებული ის ერთადერთი გამონაკლისი აღმოჩნდა, რომელიც იმ მაღალ მოთხოვნებს აკმაყოფილებდა, რასაც მიხეილ ჯავახიშვილი თეატრსა და კინოს უყენებდა.

მიხეილ ჯავახიშვილის აუდიოვიზუალურ ხელოვნებასთან მიმართების კვლევისას იკვეთება მწერლის კონცეპტუალური ხედვის ასპექტები, რომლებიც მის თანადროულ თეატრალურ თუ კინოხელოვნებაში ვერ რეალიზდებოდა. მიზეზი, ცხადია ბევრია, მაგრამ უპირველესი მიზეზია ეპოქა, რომელმაც თავად მწერლის სიცოცხლეც შეიწირა. პრინციპები, რომელსაც მწერალი თავის შემოქმედებაში ამკვიდრებდა, სრულიად შეუთავსებელი აღმოჩნდა საუკუნის დასაწყისის სოციოკულტურული გარემოსთან. ამდენად მწერლის თანადროულ თეატრსა თუ კინოში ჯავახიშვილის ნაწარმოებების ღირსეულად დადგმა ვერ ხორციელდებოდა. მწერლის დახვრტის შემდეგ ჯავახიშვილის დადგმას ვეღარავინ ბედავდა და მხოლოდ მისი რეაბილიტაციის შემდგომ, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარის აუდიოვიზუალურ ხელოვნებაში მოხდა მიხეილ ჯავახიშვილის პროზის ღირსეული ინტერპრეტაცია თეატრში, კინოსა თუ ტელევიზიაში.

დამოწმებანი:

Akhmet'eli, A. *Dok'ument'ebi, Nark'vevebi.* t'. I. Tbilisi: Sakartvelos Teat'raluri Sazogadoeba, 1978 (ახმეტელი, ა. *დოკუმენტები, ნარკვევები.* ტ. I. თბ..: საქართველოს თეატრალური საზოგადოება, 1978).

Javakhishvili, K. *Mogonebani Mamaze.* Tbilisi, merani, 2000 (ჯავახიშვილი, ქ. *მოგონებანი მამაზე.* თბ.: „მერანი“, 2000).

Javakhishvili, Mikheil. *Rcheuli Tkhzulebani Ekvs T'omad.* t'. VI. Tbilisi: sabchota sakartvelo, 1964 (ჯავახიშვილი, მიხეილ. *რჩეული თხზულებანი ექვს ტომად.* ტ.VI. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1964).

Javakhishvili, Mikheil. *Ubis Ts'ignak'idan.* Tbilisi: merani, 2005 (ჯავახიშვილი, მიხეილ. *უბის წიგნაკიდან.* თბ.: „მერანი“, 2005.

Javakhishvili, Mikheil. „Mimots'era Shalva Soslantan“. *Lelvari.* Tb.: kartuli lit'erat'uris sakhelmts'ipo muzeumis gamomtsemloba „Lit'erat'uris mat'iane“, 2005 (ჯავახიშვილი, მიხეილ. „მიმოწერა შალვა სოსლანთან“. *ლელვარი.* თბ.: ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანე“, 2005).

K'ik'nadze, V. „Mikheil Javakhishvili akhali Teat'risatvis Brdzolashi“. *Kartuli Universit'et'i* 18-24 mart'i, 2010 (კიკნაძე, ვ. „მიხეილ ჯავახიშვილი ახალი თეატრისათვის ბრძოლაში“. *ქართული უნივერსიტეტი* 18-24 მარტი, 2010)

Kup'reishvili, Nona. „Soso Gabashvili – Mikheil Javakhishvilis Mkhat'vari-Int'erp'ret'at'ori“. *Lelvari.* Tb: kartuli lit'erat'uris sakhelmts'ipo muzeumis gamomtsemloba „Lit'erat'uris mat'iane“, 2005 (კუპრეიშვილი, ნონა. „სოსო გაბაშვილი – მიხეილ ჯავახიშვილის მხატვარი-ინტერპრეტატორი“. *ლელვარი.* თბ.: ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა „ლიტერატურის მატიანე“, 2005).

Ts'ikarishvili, Lela. *Mikheil Javakhishvilis Shemokmedebis Sakhismet'q'velebiti Asp'ekt'ebi. PhD.* Diss. Tbilisi: 2004 (წიქარიშვილი, ლელა. *მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების სახისმეტყველებითი ასპექტები.* ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, 10.01.01 — ქართული ლიტერატურა, 2004).

Lela Tsiphuria

Interpretations of Mikheil Javakhishvili's Writings in Visual Arts, Theatre and Film

Summary

Key words: „Kvachi Kvachantiradze", „Jaqo's Dispossessed", interpretation, audio-visual, Akhmeteli, „Arsena".

The article offers an analysis of films and theatrical performances based on the works by remarkable Georgian prose writer Mikheil Javakhishvili, and namely theatrical performances and the film projects made while his lifetime.

The main topics raised by the article are related with the contrasts and/or unities among the literary/verbal and film/theatrical ways of expression: was it possible to fully transpose the messages from literary texts into films and theatrical performances; how complete could be the understanding of artistic meaning of Javakhishvili's literary works in the time of Soviet ideology domination; and was it possible to express that meaning publicly through film and theatre?

Mikheil Javakhishvili was thoroughgoing in his attempts of resisting to the Bolshevik regime and disclosing its evil nature. He was achieving these goals through developing allegoric artistic methods, which made his novels acceptable for publishing even under the strict Soviet censorship. However, it was another difficult task to re-create the meaning of literary texts through adequate theater and film interpretations.

The article discusses the success and/or failure of film/theatre directors while achieving these goals, and also the cases when Mikheil Javakhishvili's author's rights were neglected while staging his texts.

In the first decades of the 20th century Georgian literature, as well as theatre and visual art, was the part of Western cultural context. All major cultural tendencies of Modernist European culture were reflected and recalled in Georgian culture. Mikhail Javakhishvili was also participating in this process. He has been famous in Georgia since 1903, when his first story Chanchura was published. However, after the Sovietization of the country in 1921, he was quite often criticized and morally persecuted by Soviets-biased literary critics. Through analyzing main messages of his literary works, it's seems logical that his professional and personal life was not that easy in Soviet times, and this ended in 1937, within the Great Soviet Purge, with his execution by the Soviets.

In the end of the 1920s Javakhishvili wrote a play Iveriumi. The project of staging the play was included in plans of three major Georgia theatres: Rustaveli National Theatre, Batumi Theater and Kutaisi Theater. Famous Georgian theatre director Sandro Akhmeteli highly evaluated the play, saying that nobody has written such a play in Georgian for last few years. Iveriumi was the continuation of Javakhishvili's own novel Kvachi Kvachantiradze, with the same main character Kvachi, who is now coming back to Georgia from his exile in Turkey. Since the novel was full of action and humor, with intriguing plot and the whole gallery of memorable protagonists, it became very popular from the very first day of its publishing. The author himself and his theatrical colleagues were fully aware that the novel could be effectively dramatized. Shalva Dadiani, Georgian play writer, supported Mikahil Javakhishvili in his work on the play, saying that Kvachi was already a truly popular character. Maybe because of this popularity, Kvachi Kvachantiradze also became a main character of plays by other authors; however, the Mikail Javakhishvili's author's rights were neglected. In 1927, together with Iveriumi two other plays with the same protagonist and same thematic appeared in the Rustaveli Theatre plans: American Uncle by Nikoloz Shiukashvili, and Uncle's Sovietization, by Shalva Dadiani, which was an adaptation of the novel Kvachi Kvachantiradze. According to the memoirs by Javakhishvili's daughter Ketevan, the writer was worried about this situation. And indeed, the theatre postponed, and later

cancelled staging Javakhisvili's play, while two other plays were staged. The writer addressed the letters to Nikoloz Shikuashvili, Sandro Akhmeteli, and the first secretary of Georgian Communist Party Mikhail Kakhiani, with the request of solving this awkward situation; however his attempts could not lead to any results. The situation seems even more discomfiting considering the fact that Javakhishvili, besides being a popular writer, was himself sitting in the artistic board of the Rustaveli Theatre, and little later he became the representative of All-Soviet Dramatic Committee in Georgia and Southern Caucasus; thus we can assume that the decision about neglecting his rights was made on the higher political levels, which were controlling also the cultural reality in Georgia. They play was not staged neither in Kutaisi and nor in Batumi, and, most unfortunately, the text since was lost.

Maybe the most important work by Javakhishvili, the novel Jaqo's Dispossessed has not been adequately interpreted within drama versions while author's lifetime, although, he was happy with his cooperation with the artist Soso Gabashvili, and liked cover design made by him for the second edition of the novel in 1926. In 1927, in Batumi and Kutaisi the theatrical performances based on Javakhishvili's famous novel had been offered to public. Batumi performance was the first, however, unsuccessful dramatization of Javakhishvili's prose. From writer's personal letters we can assume that he has never seen the performance, which was conducted only two or three times in the end of theatrical season, and never became an event in Georgia's cultural life.

The same novel served as a basis for a screenplay by Shalva Soslani, which was suggested to one of Moscow film studios. Russian theatre director Nikolai Demidov was interested in the project, and preparatory works has been started, but the studio was closed down with the Soviet government decree.

The story of possible theatre and film interpretation projects of another famous novel by Micheil Javakhishvili Arsena Marabdeli is most dramatic. The novel openly refers to Georgia's colonial status under the Russian power. The main protagonist Arsena, with his strong, heroic character, together with few other protagonists, represents the idea of Georgia's freedom and people's equity. Thanks to these qualities the novel was extremely interesting material for dramatization. The theatre director George Namoradze shared with Javakhishvili and famous Georgian composer Zakharia Paliashvili the idea of creating an opera performance based on the novel. The work on libretto was started, but the idea never has been materialized.

The relations with the Sakhkimretsvi, Georgian state film studio, were much more complicated. Film director, Mikheil Chiaureli started working on film project together with the writer, but they had arguments, Javakhishvili was debarred from the project, and the screenplay was developed by Sandro Shanshiashvili. The writer was very upset with neglecting his role, and misinterpreting the main ideas of the novel.

Exactly the same happened with the novel's dramatization project at the Rustaveli Theatre. Sandro Akhmeteli started his work as a director, but finally again Sandro Shanshiashvili appeared as an author of the play. Mikhail Javajhishvili's attempts of defending his rights were unsuccessful.

The only case, when Javakhishvili was happy with the dramatization of his novel Arsena Marabdeli was the performance at the Youth Theatre. The play was developed by Simon Mtvaradze and Boris Gamrekeli with the writer's permission. Javakhishvili liked the way of choosing relevant scenes from the novel, and he appreciated theatre director's, Alexander Taqaishvili's and Boris Gamrekeli's work for achieving dynamism on the stage.

After the 1937 purge the works by executed writer were dismissed from stages and screens. Only after his rehabilitation in the Thaw period the next phase of the dramatizations of Javakhishvili's prose has started in Georgia.

თინათინ ბიგანიშვილი

თვითკანონიზება — კანონის თეორიის ერთი წახნაგი

თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის, კერძოდ, პოსტმოდერნის განსახილველად ლიტერატურათმცოდნეებს არაერთი ახალი ტერმინის დამკვიდრება უწევთ. წინამდებარე სტატია სწორედ ახალი ტერმინის დამკვიდრებას ისახავს მიზნად. ესაა თვითკანონიზების გაგება. ეს ცნება ორიგინალურია, მაგრამ მისი წინამორბედია ფართოდ გავრცელებული Canon theory და კანონის თეორიის ინტერპრეტაცია ქართული ლიტერატურის ისტორიის საზღვრებში. ეს უკანასკნელი ზაზა შათირიშვილის მიერ „სამი ქართული სალიტერატურო კანონის" განხილვითა და სისტემატიზებით არის წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, თვითკანონიზების გაგება ხსენებული თეორიის განვითარებად, გავრცობად უნდა მივიჩნიოთ.

თვითკანონიზების ტერმინის, როგორც ლიტერატურათმცოდნეობითი ცნების ონტოლოგიური საფუძვლის ძიება ავტორის, ტექსტისა და მკითხველის ურთიერთობის ჯაჭვის განხილვით უნდა დავიწყოთ. ეს ურთიერთობა, თავისი არსით, სამგანზომილებიანია, გნებავთ, სამვექტორიანი, რადგან ამ ურთიერთობას სხვაგვარად სამი ქრონოტოპის გადაკვეთის წერტილი ქმნის.

ქრონოტოპი, თავის მხრივ, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ახლად დამკვიდრებული ტერმინია.

„მხატვრული დრო-სივრცე, ანუ ქრონოტოპი ავტორისა და მკითხველის ინტენციათა შეხვედრის ადგილია. იგი აპრიორულად გულისხმობს ორი პოზიციის ავტორისეული და მკითხველისეული პოზიციების — არსებობას. ავტორი გარკვეულ დრო-სივრცულ კონტექსტში ქმნის პირობით დრო-სივრცულ მიკროსამყაროს, რომელსაც მკითხველი, ასევე გარკვეული დრო-სივრცული კონტექსტიდან აღიქვამს. ამდენად, სრულიად მიზანშეწონილია „ავტორისეული დრო-სივრცისა" და „მკითხველისეული დრო-სივრცის" ცნებათა დამკვიდრება. ორივე მათგანი წარმოადგენს რეალური დრო-სივრცის მოდიფიცირებულ ვარიანტს და გამოხატავს მხატვრული დრო-სივრცის გააზრების არათანაბარ პოზიციებს, რომელთაც უშუალო მიმართება აქვთ ტექსტთან" (რატიანი 2010: 186).

ირმა რატიანი საუბრობს ავტორისეულ და მკითხველისეულ ქრონოტოპზე, რათა ტექსტის დრო-სივრცის საზღვრები დაადგინოს. ეს გვეხმარება, რომ თვითკანონიზების ცნების გასააზრებლად ხსენებული ორი განზომილებისგან ტექსტის ქრონოტოპი გავმიჯნოთ. ტექსტის ქრონოტოპი ცალკე ონტოლოგიას წარმოადგენს. ტექსტის წყარო ენაა. აქედან გამომდინარე, ენა ქრონოტოპის გაგებას ბევრად ფართოდ შეიცავს.

ენის ქრონოტოპის შესაცნობად პირველყოფილი კულტურის მიხედვით დროისა და სივრცის შინაარსის ანალიზი მოგვიწევს. პირვანდელი ყოფის მატიანემ, ანუ არქაულმა კულტურამ დროისა და სივრცის პირვანდელი გაგება შემოგვინახა, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ ეპოქაში, როცა ენა და კაცობრიული კულტურის პირველი ნიშნები შეიქმნა, ქრონოტოპი სხვაგვარ შინაარსს ატარებდა, ვიდრე ესაა დროისა და სივრცის თანამედროვე გაგება. ამიტომ ენის ქრონოტოპის ინტერპრეტირება დროისა და სივრცის იმგვარი კატეგორიებით გაანალიზებას მოითხოვს, როგორც აღიქვამდნენ დროსა და სივრცეს არქაულ ეპოქებში, როცა ენა წარმოიშვა.

არქაული პერიოდის დრო და სივრცე იყო შედეგი და არა მიზეზი ყოფისა. ყოფის ფუძედ არქაული ადამიანი უპირობოდ ღმრთაებას გულისხმობდა. აქედან გამომდინარე, დრო მხოლოდ ღვთაებრივთან ურთიერთობის რიტუალის პერიოდებს წარმოადგენდა, ხოლო სივრცე — ღვთაებრივის განფენილ მოცემულობას.

არქაული ადამიანი ყოველი მოქმედების პირველწყაროდ ღვთაებრივთან ურთიერთობას მიიჩნევდა. შესაბამისად, არ არსებობდა არც ერთი მოძრაობა რიტუალური კონტექსტის გარეშე. დრო კი ცვლილებების თანაბარერთეულებრივი თანმიმდევრობაა. არქაული ადამიანი ღვთაებრივთან ურთიერთობის თანაბარი ერთეულების თანმიმდევრობას რიტუალით აწესრიგებდა, რიტუალით ითვლიდა. დრო რიტუალის საზომი იყო, რაც უშუალოდ უკავშირდებოდა ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო, სამეურნეო, მიწათმოქმედებით და სამრეწველო საქმიანობას.

არქაული ადამიანი საგნის არსს ღვთაებრივის განფენილი მოცემულობით ხსნიდა. ამან წარმოშვა ენა და ენის პირველი შემოქმედებითი შედეგი — მითი, რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული სარიტუალო ტექსტებთან.

აქედან გამომდინარე, ენის ქრონოტოპი თავისი უკიდურესი განზოგადებით ვლინდება რიტუალით და მითით.

შუასაუკუნეების ჩათვლით, ძველი მსოფლიოს კულტურული ერების ენის ქრონოტოპი მკაცრად დადგენილ ჩარჩოებს ექვემდებარებოდა, რაც იმით გამოვლინდა, რომ ენა, შესაბამისად, ყოფა, რიტუალისა და მითის მეტნაკლებად უცვლელი ფორმებით იყო გაჯერებული. ამ მოვლენის უშუალო შედეგი გახლდათ თავისუფალი ინტერპრეტაციის არარსებობა, რაც ავტორის კანონიზების ტრადიციული საზღვრების შენარჩუნებას უწყობდა ხელს. თანამედროვეობამ კი ეს ჩარჩოები დაარღვია.

ბელა წიფურია ამის შესახებ აღნიშნავს, რომ ტექსტისა და მოვლენის თავისუფალი ინტერპრეტაცია პოსტმოდერნული ეპოქის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. ინტერპრეტაციის თავისუფლება, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა თავისთავადი შედეგია იმისა, რომ ამ ეპოქაში აღარ არსებობს აბსოლუტური ჭეშმარიტების, უნივერსალური იდეის ან ერთიანი სისტემის გაგება და მათდამი ერთგულების აუცილებლობა. სარწმუნოებრივ ეპოქაში ზოგადი მოვლენები და ლიტერატურული ტექსტები ღვთისადმი, აბსოლუტისადმი მიმართებით გაიაზრებოდა. ამდენად, ინტერპრეტაცია, ამ ცნების პოსტმოდერნული გაგებით, ანუ მოვლენათა გააზრება ინდივიდუალური შერჩევით, ფაქტობრივად, დაუშვებელი იყო და ერესის საფრთხემდე მიდიოდა. აზრობრივი მოღვაწეობის მიზანი ამ შემთხვევაში იყო არა თითოეული მოვლენისთვის საკუთარი მიზეზის, საკუთარი საარსებო სივრცის მოძიება, არამედ მათი აღქმა ღვთიური ჩანაფიქრის საფუძველზე, შესაბამება ღვთიური ჭეშმარიტების იდეასთან და ერთიან სარწმუნოებრივ სივრცეში მათი ადგილის მოძებნა. პოსტმოდერნისტული ინტერპრეტაცია კი არის სწორედ ის, რაც ამგვარი ერთიანობის დარღვევის შედეგად შეიძლება მივიღოთ (წიფურია 2005: 23).

ის, რაც, ბელა წიფურიას სტატიის მიხედვით, არის აბსოლუტური ჭეშმარიტების, უნივერსალური იდეის, ერთიანი სისტემის არარსებობა, ჩვენი აზრით, სხვაგვარად ენის ქრონოტოპის ტრადიციული რიტუალისა და ტრადიციული მითისგან დაცლის მოვლენად უნდა აღვიქვათ.

აქ კი ენის ქრონოტოპის განახლების პრინციპი იჩენს თავს. ენის ონტოლოგია აუცილებლობით გულისხმობს მითსა და რიტუალს. აქედან გამომდინარე, იქ, სადაც დარღვეულია ტრადიციული მითი და ტრადიციული რიტუალი, ახალი მითისა და ახალი რიტუალის, შესაბამისად, დროისა და სივრცის ახალი გაგების, ახალი ქრონოტოპის შექმნის აუცილებლობა ჩნდება. ეს ერთგვარი დამოკიდებულება არქეტიპებისა და ინვარიანტული სისტემებისა განხილული აქვს სოსო სიგუას. ის წერს:

„ყოველ სიახლეს აქვს კონსერვატიული საწყისი, მარადი, როგორც მიწა, რომელიც პერიოდულად იცვლის სახეს და ნაირგვარი ნიღბებით მეორდება. ყოველი ანბანი რამდენიმე ათეული ბგერის ნიშნისგან შედგება, რაც არის ბგერის სიმბოლო, მყარი, გენეტიკური და ისტორიულად განსაზღვრული წესრიგი, მაგრამ მათი კომბინაციით წარმოიშობა მილიონობით ახალი სიტყვა... ეს არის ერთისა და სიმრავლის დიალექტიკა, დროში ხორცშესხმული ზედროული“ (სიგუა 2005: 64).

ახალი რიტუალისა და ახალი მითის შექმნის აუცილებლობას და მოთხოვნას, როგორც მუდმივი რეგენერაციის წყარო, ისევ ენა ააქტივებს, ამ აქტუალობას ლიტე-

რატურას ენა კარნახობს. ამის შესახებ შესანიშნავად მსჯელობს მანანა კვაჭანტირაძე. მისი აზრით, კულტურის დიაქრონული აღქმისათვის ყველაზე საფუძვლიან და ანგარიშგასაწევ პარამეტრს, მისი ერთიანობის ყველაზე სრულყოფილ არგუმენტს ენა წარმოადგენს, სახელდობრ, მისი ის ულრმესი ფენა, სადაც განლაგდებიან ჰიპოსტასური (დალექილი, დამარხული) სტრუქტურები. ესაა მხატვრული ენა, როგორც კულტურის ყოფიერების ონტოლოგიური გარანტი და სუბიექტის მაიდენტიფიცირებელი მექანიზმი. სისტემის მთლიანობის დაცვის მიზნით იგი განუწყვეტლივ „ამოისვრის" არაცნობიერიდან დარღვეული სისტემის აღმდგენ და ჩასანაცვლებელ სტრუქტურებს (კვაჭანტირაძე 2004: 50). ჩვენს შემთხვევაში, ესაა დროისა და სივრცის ახალი გაგება, ახალი მითი და ახალი რიტუალი, რომელმაც ახალი კანონიზების წესები უნდა შექმნას.

მაშასადამე, ახალი ფორმების შექმნის აუცილებლობას ენა უზრუნველყოფს, ხოლო ენის მოთხოვნას, ენის დირექტივას შემოქმედი ასრულებს. ამდენად, ახალი რიტუალისა და ახალი მითის დამკვიდრების პასუხისმგებლობა შემოქმედს აკისრია. ეს უკანასკნელი კი ახალი ქრონოტოპის შექმნას არა წარსულის ამოძირკვით, არამედ, ტრადიციულის ბაძვის საფუძველზე ახლის წარმოქმნით უნდა ცდილობდეს. სწორედ ამას აღნიშნავს მანანა კვაჭანტირაძე, როცა შემოქმედის პასუხისმგებლობაზე საუბრობს და ამბობს, რომ წარსულთან დამოკიდებულება, როგორც კულტურის ორგანიზაციის ფორმა, არა მხოლოდ დრო-სივრცის განუწყვეტელი დეფორმაციებისა და გამრუდებების მიმართ კულტურის გამძლეობის ხარისხზე მიგვითითებს, არამედ წარმოადგენს ყველა სხვა სისტემის თვითდადგენისა და თვითაღდგენის მექანიზმს, ერთგვარ დამცავ კედელს, ამ კულტურის მატარებელი თითოეული ადამიანი კი — სისტემის ერთიანობაზე პასუხისმგებელ ინდივიდად ანუ მის დამცავ სოციალურ „მექანიზმად" გვევლინება. შემოქმედის შემთხვევაში ეს პასუხისმგებლობა ორმაგადაა დეტერმინირებული: შიგნიდან, „მე"-ს არაცნობიერი შემოქმედებითი უნარით და გარედან — დროის მადეტერმინებელი ფაქტორის გამო. სწორედ დეტერმინაციათა ამ შეჯახებისას იქმნება ერთგვარი „ძალთა ველი", რომელიც კულტურის სივრცეში სხვა არაფერია, თუ არა შემოქმედებითად გამოვლენილი ზნეობრივი და ნებელობითი აქტების დაპირისპირება დროით აღძრულ დამანგრეველ ცვლილებებთან (კვაჭანტირაძე 2004: 49, 50).

ამ პასუხისმგებლობას ყველა შემოქმედი, ფსიქოლოგიაში კარგად ცნობილი პროექციის ცნების თანახმად, საკუთარ ინდივიდუალურ შინაარსს არგებს, რაც საბოლოოდ მაინც ერთ ზოგად ფენომენს ქმნის. ესაა თვითკანონიზების ამბივალენცია — ერთი მხრივ, წარსულის ავტორიტეტთა დაუძლეველი გავლენა, მეორე მხრივ, მათ მიერ დაწესებული „ზღვრის" გადალახვის სურვილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, სწორედ ამ სუბიექტური ფაქტორის გამო, თვითკანონიზების ეს ამბივალენცია ახალი მითისა და ახალი რიტუალის, ანუ ენის ახალი ქრონოტოპის შესაქმნელად აუცილებლობას ან გარდაუვალობას არ წარმოადგენს. ამ მხრივ აუცილებელი და გარდაუვალი კი ბაძვაა, რომელიც წარსულის დამხობის და ცარიელ ნიადაგზე აგების სურვილის ნაცვლად წარსულზე დაშენების პრინციპს გულისხმობს.

აქედან გამომდინარე, ახალი მითისა და ახალი რიტუალის შექმნას, უმეტესად, თუმცა არა ყოველთვის, წინ უძღვის „მამის კასტრირების" თანდაყოლილი ინსტინქტი (ურანოსი და კრონოსი, კრონოსი და ზევსი, ოიდიპოსი და ლაიოსი). მხატვრულ ლიტერატურაში ამგვარ მოვლენას ჰაროლდ ბლუმმა „გავლენის შიში" უწოდა. მისი აზრით, გავლენის შიში შეიძლება ორგვარად გამოვლინდეს. ერთი მხრივ, შემოქმედი ამხობს წარსულის ავტორიტეტს, მისი გმობით, მეორე მხრივ, ის თავის დამკვიდრების, თვითკანონიზების მოთხოვნილებას სუბლიმირებულად ავლენს და დამხობის ნაცვლად წინამორბედს ბაძავს, მის დანატოვარს ითვისებს და ამის საშუალებით კანონიზდება.

ჰაროლდ ბლუმის მიხედვით, პოეტური ავტორიტეტის გავლენის შიშით შეპყრობილი გვიანი პოეტი, გინდაც პოეზიის სამყაროს უმცროსი მოქალაქე, ანუ ეფე-

ბოსი, ცდილობს და მიელტვის წინამორბედის გადაჭარბებას და დაჯაბნას. ეფებოსი აღფრთოვანებულია წინაპრით, მაგრამ მისი შურს და ეშინია კიდეც. მას სურს თავისი უპირატესობის ჩვენება და წარმოჩენა, სწადია მისი, როგორც მხატვრის, მოკვლა და ამას იგი სჩადის კიდეც წინამორბედი პოეტის ტექსტების ქვეცნობიერად თუ გამიზნულად უსწორო წაკითხვითა და მათი საკუთარ მანერაზე გადაწერით. ასე ეუფლება ყველაზე ანტითეტური ადამიანი — ეფებოსი — ხელოვნებას: იგი პრეტექსტებს საკუთარი პირობებისდაკვალად, გადახრებით კითხულობს და ამით აფართოებს საკუთარ წარმოსახვათა ველს და გასაქანს აძლევს მას (ტაბუცაძე 2008: 244, 245).

აქედან გამომდინარე, ახალი მითი და ახალი რიტუალი სხვა არა არის რა, თუ არა ინდივიდუალურ თარგებზე გამოჭრილი ზოგადი ფორმა მითისა და რიტუალისა. და რადგან თანამედროვეობაში სუბიექტური ფაქტორი გადამწყვეტ ფუნქციას იძენს (მანანა კვაჭანტირაძე, ბ. წიფურია), ამიტომაც ავტორთა კანონიზების ტრადიციულ ნორმას — უნივერსალურ კანონს (ზ. შათირიშვილი) თვითკანონიზების ფენომენი — სუბიექტური კანონი ჩაენაცვლა. ტრადიციული მითითა და რიტუალით დაცლილი ყოფა ვერ აკანონებს შემოქმედს, რომელმაც თავად უნდა შექმნას რიტუალისა და მითის ახალი ფორმა, ერთი მხრივ, და ამავდროულად, თავი დაიკანონოს, რათა მითითა და რიტუალით დაცლილი ყოფა იხსნას უკანონობისგან, ურიტუალობის ქაოსისგან. სხვაგვარად, დაამხოს კერპი და თავი გაიკერპოს, დაჯაბნოს წარსულის კანონმდებელი (მამის კასტრირების კომპლექსი, ურანოსის, კრონოსის, ზევსის, ოიდიპოსის მითოლოგემები), შური იძიოს ფსევდომამის წინაშე (ორესტეს, ტარიელის, ჰამლეტის ტრაგედია) და ახალი კანონები დაამკვიდროს, ან „მცნების გარდასვლის", განახლების საფუძველზე ახალი მცნება იქადაგოს (ქრისტე, პრომეთე, ტელემაქე, ავთანდილი).

ზემოთქმულის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ თავის დაკანონების, თვითკანონიზების ფენომენი სამი არქეტიპის შერწყმას მოითხოვს. ესაა ღვთაების, ქურუმისა და გმირის ერთიანი სახე, რომელიც თანამედროვე თვითკანონიზებული ავტორის შემოქმედებითი აქტივობით ვლინდება. თუმცა ის, რაც ახალი მითისა და ახალი რიტუალის, ენის ახალი ქრონოტოპის სახელითაა მოწოდებული, ყოველ ჯერზე ინდივიდუალური მითისა და ინდივიდუალური რიტუალის წარმოჩენაა, რაც, თავის მხრივ, მაინც ტრადიციული მითისა და ტრადიციული რიტუალისგან არის ნასესხები, ანუ არქაული ქრონოტოპის ინვარიაციაა.

სოსო სიგუას აზრით, ფსიქიკაში შთაბეჭდილი არქეტიპებიც ისევე მყარია და უცვლელი, როგორც გენები და ქრომოსომები, მაგრამ სწრაფვა და წარმოსახვა იძლევა მათ აურაცხელ ვარიაციას. არქეტიპები ფსიქიკაში არეკლილი პრეისტორია და ველური ვნებებია, სულის არქაიკის სიმბოლოები, არქეტიპებად შეკრული და ალანდული ინსტინქტები, იმპულსები, ვნებები, ლტოლვები ამოდიან ფსიქიკის სიღრმიდან, ტემპერამენტიდან და ხასიათიდან, როგორც ორფეოსი ჰადესიდან, სულს იდგამენ ტოტემურ, მითოსურ, რელიგიურ, ისტორიულ და ლიტერატურულ მოდელებად, კრისტალდებიან არსებულს მიმგვანებულ პერსონაჟებად, სიუჟეტებად, რაც იმართება და კორექტირდება ცნობიერებით. ძირითადად, ეს პროცესი ფარულია და შეუმჩნეველი, როგორც სისხლის მოძრაობა, უჯრედების გაყოფა და ტვინის ფუნქციონირება. სახელებსა და ფიგურებს სიცხადისთვის მოვუხმობთ ხოლმე, რადგან თავად ესენიც მეტაფორული და სინონიმური ხატებია. ჩვენთვის კი საგულისხმო ის არის, რომ არქეტიპების გვერდით სოსო სიგუა პიროვნული არაცნობიერით მოცემულ სახეებზე და შინაარსებზე ამახვილებს ყურადღებას და შემოქმედებით პროცესს ამ ორი იუნგიანული ცნების — კოლექტიური არაცნობიერისა და პიროვნული არაცნობიერის — მთლიან, ერთიან აქტივობად სახავს (სიგუა 2005: 64, 65).

მაშასადამე, ახალი მითისა და ახალი რიტუალის, ენის ახალი ქრონოტოპის შექმნის სურვილი ინსტინქტურად ვლინდება თვითკანონიზების მოთხოვნილებით, რომელიც წინამორბედის დაჯაბნის, დამხობის, უარეს შემთხვევაში, ამოძირკვის სურვილით ხასიათდება, რაც უარყოფით მოვლენად უნდა შეფასდეს და მისი საფუძველი არა ობიექტურ ლიტერატურულ-კულტურულ პროცესებსა და საჭიროებაში,

არამედ სუბიექტურ, პიროვნულ კომპლექსებში უნდა ვეძიოთ. ჰაროლდ ბლუმმა ამგვარ სუბიექტურ შინაარსს უკვე უწოდა „გავლენის შიში“. ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ არც ერთი თანამედროვე ავტორი, რომელიც თვითკანონიზებას სწორედ წინამორბედი ავტორიტეტების დამხობის მცდელობით შეუდგა, სათანადოდ არ არის მკითხველთა წრეში აღიარებული, დაფასებული და მათი მოქმედებაც უფრო უკუშედეგით დასრულდა, ვიდრე წარმატებით.

წინამორბედთა დამხობის მცდელობის შესახებ ზაზა შათირიშვილი წერს, რომ დღეს ქართული სალიტერატურო კანონი დემონტაჟის წინაშეა — არ დარჩენილა „შვიდკაცას“ (ასე უწოდებს ავტორი შვიდ დიდ ქართველ ავტორს: შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი) თითქმის არც ერთი წევრი, რომლის „დამხობის“ ცდაც არ განხორციელებულიყოს. ილია ორმაგი — ესთეტიკური და პოლიტიკური — კრიტიკის ობიექტი შეიქნა: ქართული ლიბერალური დისკურსი მას აკრიტიკებს, როგორც ნაციონალიზმის იდეოლოგიის ფუძემდებელს და „ცუდ მწერალს“. ასევე ადგილი აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და გალაკტიონის „დამხობის” ცდებსაც, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც რუსთველის დემითოლოგიზაციისა და „დისკრედიტაციის“ ცდაა. აშკარად გამოიკვეთა „ყოველივეს ნულიდან დაწყების“ ტენდენცია — ამით XX საუკუნისა და XXI საუკუნის გარიჟრაჟის რადიკალები არა მარტო XX ს-ის 20-იანი წლების ფუტურისტების ჟესტს იმეორებენ, არამედ, ამასთან ერთად, პირველი სოციალისტური ათწლეულის ტენდენციასაც, როცა ქართული ლიტერატურა ეგნატე ნინოშვილიდან იწყებოდა.

ზაზა შათირიშვილი ამბობს, რომ ამ მოვლენების დასასრულს ქართული სალიტერატურო კანონის საბოლოო დამხობას უნდა ველოდეთ. ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ გალაკტიონი ქართული სალიტერატურო კანონის უკანასკნელი კანონიზებული ავტორია (შათირიშვილი 2003: 7).

ამ კონტექსტიდან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რატომაც მიილტვიან თანამედროვე ავტორები თვითკანონიზებისკენ. საკუთარი მითისა და საკუთარი რიტუალის შექმნისკენ. სწორედ ამითაა ინიცირებული თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის რამდენიმე დომინანტური მიმართულება: „ცნობიერების ნაკადი“, სიურეალიზმი, დადაისტური ლირიკა, ირონიულ-პაროდიული ნაკადი. ეს არის ტრადიციულის შეცვლითა და დაძლევით თავის დამკვიდრების საშუალება, რაც ზოგ შემთხვევაში, წარმატებით განხორციელებული ბაძვის წყალობით, მართლაც მთავრდება ენის ახალი ქრონოტოპის შექმნით, მაგრამ ხშირად თავის გაკერპების მოთხოვნილებად და „ნერონის კომპლექსად“* რჩება.

საბოლოოდ კი ახალი მითი და ახალი რიტუალი ტრადიციული მითისა და რიტუალის ინვარიანტულ სახეს იძენს და ენის ახალი ქრონოტოპი ძველის ვარიაციად გვევლინება, რაც ტრადიციის დამხობისა და დაძლევის ფატალურ შიშსა თუ მოთხოვნილებას კომიკურ იერს სძენს, რადგან წარსულის გავლენის დაძლევა, წარსულის ამოძირკვა ისეთივე ამაო ცდაა, როგორც უსასრულო გზაზე მორბენალი ადამიანის სურვილი, რომ საკუთარ თავს გაექცეს.

საბოლოოდ, ზემოთქმულიდან გამომდინარე, თვითკანონიზება უფრო პროექციულ, სუბიექტურ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე ლიტერატურის განვითარებისთვის აუცილებელ კატეგორიად, რადგან ახალი მითისა და ახალი რიტუალის შექმნა, ენის ახალი ქრონოტოპის მოცემულობა იმანენტურად გულისხმობს ავტორის კანონიზებას. ეს კი ავტორის ქრონოტოპის მკითხველის ქრონოტოპთან გადაკვეთის წერტილის შედეგია.

---

* სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირია ამავე შინაარსით „ჰეროსტრატეს კომპლექსის“ გამოყენება, მაგრამ ამ შემთხვევაში ნიშანდობლივად ის მიგვაჩნია, რომ ნერონი უნიჭო პოეტი იყო და მისი საქციელი, რომის გადაწვა, გარდა იმისა, რომ სურდა ეს ბარბაროსობა ქრისტიანებისთვის დაებრალებინა, სწორედ ამითაც — უნიჭობით იყო ნაკარნახევი.

დამოწმებანი:

K'vach'ant'iradze, Manana. „K'ult'uris Sivrtse da P'oet'uri Sit'q'va". *K'rit'eriumi.* 10 (2004): 49-58 (კვაჭანტირაძე, მანანა. „კულტურის სივრცე და პოეტური სიტყვა". *კრიტერიუმი.* X (2004): 49-58).

Rat'iani, Irma. T'ekst'i da Kronot'op'i. Tbilisi: universit'et'is gamomtsemloba, 2010 (რატიანი, ირმა. *ტექსტი და ქრონოტოპი.* თბ.: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010).

Shatirishvili, Zaza. „K'anonis Teoria da Sami Kartuli Salit'erat'uro K'anoni". *Sjani.* IV (2003): 3-8 (შათირიშვილი, ზაზა. „კანონის თეორია და სამი ქართული სალიტერატურო კანონი". *სჯანი,* IV. (2003): 3-8).

Sigua, Soso. „Arketip'ebi da Invariant'uli Sist'ema". *K'rit'eriumi.* XIII (2005): 64-67 (სიგუა, სოსო. „არქეტიპები და ინვარიანტული სისტემა". *კრიტერიუმი.* XIII. (2005): 64-67).

T'abutsadze, Solomon. „Gavlenis Teoria". *Lit'erat'uris Teoria.* Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba, 2008 (ტაბუცაძე, სოლომონ. „გავლენის თეორია". *ლიტერატურის თეორია.* თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტეს გამომცემლობა, 2008).

Ts'ipuria, Bela. „Int'erp'ret'atsiis Tamashis Uplebamde". *Sjani.* VI (2005): 23-34 (წიფურია, ბელა. „ინტერპრეტაციის თავისუფლებიდან თამაშის უფლებამდე". *სჯანი.* VI. (2005): 23-34).

Tinatin Biganishvili

Self-Canonization – Canon Theory

Summary

Key words: Canon theory, chronotope, myth, ritual, pseudo-father.

The individual canon and the chronotop of language are correlative terms. The chronotop of language is result of culture, which is to be changed and renewed. It's a parallel phenomenon of any creative process. Tradition forms and their general systems – myth and ritual – are changed by new forms, which are inversions of tradition systems. There are many things in tradition culture to be changed and renewed.

From the archaic epoch till the medieval epoch the chronotop of the language of the ancient cultural nations submited to the strict frames. It was shown by the forms of the general myth and the general ritual, which were invariable. The main result of this appearance was the absence of the free interpretation. This phenomenon defended the tradition frames of the author's legitimate. Modern time destroyed this frames. The free interpretation of the text and the appearance is the main principle of postmodern epoch. The free interpretation and the special meaning of this phenomenon is a result of the absence of the absolute truth in a modern time, in a postmodern epoch. There is not the universal idea and the general system which would be protected by the recipient of culture. In the medieval epoch all appearences and the literary texts were connected with the idea of divinity, with the idea of Absolute. So, it was inadmissible to have own position, own attitude and there was not interpretation like in modern time (postmodern epoch). If it was admited, so, it was the same appearance of the heresy. The intention of thinking was apprehension of the subject, which were connected with the divine plan. So, it was impossible to find the own reason of the appearance or the subject. The postmodern interpretation destroyed this whole system. In the modern time we haven't the absolute truth and the universal idea. It means that the modern chronotop of the language is devastated by the tradition myth and the tradition ritual.

The new myth and the new ritual is connected with the instinct of „father's castration". Another name of this phenomenon is „the fear of the influence".

On the other hand the new myth and the new ritual have general foundation, general hypodigmus. It represents as the general myth – the new god changes the old god. The principle of mimesis is most perfect form, most perfect paradigmus of this myth. The principle of mimesis means that new forms are constructed on the old basis, on the tradition foundation. It resists to the principle of destruction, which means that the individual canon is founding by the destroyer, who has destructed and hasn't renewed tradition forms.

To create the new forms – this necessity is realized by the language. The artist (author) realizes the direction of the language. So, to create the new myth and the new ritual is a duty of the author. The author must do it not against the tradition myth and the tradition ritual, but the author must remake the tradition myth and the tradition ritual. So, the new myth and the new ritual it is the general forms of the myth and the ritual, which are made by individual scheme. Modern time is known like the time that subjective factor is the main structure of the culture (Manana Kvachantiradze, Bela tsipuria), So, the legitimate of the author by the tradition norm of the universal canon is changed by the individual canon as the subjective canon. The culture, which is devasteded by the tradition myth and the tradition ritual, cann't legitimate the new author, which must create the new form of the myth and the new form of the ritual. On the other hand, author must legitimate himself/herself, because he/she must save the culture, which is devasteded by the tradition myth and the tradition ritual. He/she must protect the culture from the chaos and lawlessness, from the chaotic structures, which are out of the main law – the general myth and the general ritual. He/she must destroy the idol and make himself/herself like the new idol. He/she must overcome the old legislator and make himself/herself like the new law – the new myth and the new rirual.

The individual canon is an author's individual condition. It is negative consequence of necessity of the new chronotop of language. It is projection of concrete writers. It is demonstrated by subjective condition. The author is oriented to make himself/herself as an idol, to make own canon and to legitimate herself/himself before time and culture will give it to him /her.

The phenomenon of the individual canon – self-legitimate – is the totality of three archetypes: the divinity, the priest and the hero. This three archetypes are shown by the activity of the modern author. Everytime when we have the new myth and the new ritual it is the individual myth and the individual ritual, which are just transformation of the tradition myth and the tradition ritual. It's just inversion of the archaic chronotop.

The chronotop of language is an alternative phenomenon of the individual canon, because it's the system of culture as the permanent transforming structure, inversion of the archaic chronotop – the tradition myth and the tradition ritual. The author has directives of culture that he/she must change and renew the chronotop of language. If this process ends successfuly, it will represent the chronotop of language as the one system uniting the three main chronotops: the author's chronotop, the reader 's chronotop and the text's chronotop.

So, this will make foundation for the author and he/she will legitimate by culture and time.

This article also presents the ancient mythologema of the individual canon (Uranos – kronos; Kronos – Zeus.), forms of individual canon in literature (Laios – Edipos; Orestes – Kliptemnestra; Tariel – Parsadan; Hamlet – Klavdius; Promethes – Zeus). We also present forms of the individual canon, which are realized not as revolt or insurrection, but the principle of mimesis (Odyssey – Thelemakhos; Avtandil – Rostevan; father Hamlet – son Hamlet, Father (God) – Son (God), Jesus Christ.).

ანა ლეთოდიანი

სიმბოლოს განმარტებისათვის

სიმბოლო საკმაოდ რთული და სპეციფიკური მოვლენაა. თავისი არსებობის მრავალათასწლიანი ისტორიის მანძილზე იგი მუდმივად იქცევს ყურადღებას და შეიძლება ითქვას, ინტერდისციპლინური კატეგორიაა. მის შესწავლას და კვლევას ცდილობს ჰუმანიტარული და არა მხოლოდ ჰუმანიტარული ცოდნის სხვადასხვა სფერო: ფილოსოფია, ესთეტიკა, ფილოლოგია, კულტუროლოგია, სემიოტიკა, ჰერმენევტიკა, სტრუქტურალიზმი, ხელოვნებათმცოდნეობა, პოლიტოლოგია, ეთნოლოგია, ანალიტიკური ფსიქოლოგია, სოციოლოგია.

სიმბოლო იქმნება და გამოიყენება ჰუმანიტარული და სოციალური აზროვნების თითქმის ყველა სფეროში: რელიგიაში, ხელოვნებაში, ლიტერატურაში, მეცნიერებაში, ადამიანის ყოველდღიურ ყოფაში (ივანოვი 1987: 316).

სიმბოლო ისევე ძველია, როგორც ადამიანის ცნობიერება (ავერინცევი 2001: 159). იგი ადამიანის მიერ გარემომცველი სამყაროს შეცნობის შედეგად აღმოცენდა. მისი გააზრება იწყება იმ დროიდან, როცა ჩამოყალიბდა სამეტყველო გარემო, ადამიანმა დაკარგა სამყაროს არაცნობიერი ხედვა და სამუდამოდ გადავიდა „გაფორმებულის" აღქმასა და ჩაწვდომაზე. ამ პერიოდიდან იწყება რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე, დიალოგური ურთიერთობა სამყაროსთან, რაც იქცა სიმბოლიზაციის სტრუქტურულ-მაწარმოებელ პრინციპად (http://www.planetadisser.com/work/work_16768.html). გარკვეული სიმბოლოები ჯერ კიდევ დამწერლობამდელი დროიდან მომდინარეობს, როცა განსაზღვრული (და როგორც წესი, მოხაზულობის მხრივ, ელემენტარული) ნიშნები წარმოადგენდა კოლექტივის ზეპირსიტყვიერ მეხსიერებაში ტექსტებისა და სიუჟეტების შენახული, კონდენსირებურ, მნემონურ პროგრამებს (Лотман 1992: http://www.durov.com/literature 1/lotman 92-e.htm).

ინტერესი სიმბოლოსადმი უძველესი დროიდან არსებობს. სხვადასხვა ეპოქაში სიმბოლოსადმი დამოკიდებულება, მისი აღქმა და გააზრება სხვადასხვაგვარი იყო, რასაც მოჰყვა სიმბოლოს შესახებ არაერთი თეორიის წარმოშობა.

სიმბოლოს, ისევე როგორც ზოგადად ნიშანთა არქეტიპებს, სიმბოლურობის ფუნქციონალურ და დისკურსიულ გამოხატვას, უპირველეს ყოვლისა, მითოსური მსოფლხედვა გვთავაზობს, მაგრამ ამ პერიოდის სიმბოლური კონსტრუქციები და მათი გამოხატვის თავდაპირველი ფორმები განსხვავებულია სიმბოლოს შესახებ გვიანდელი წარმოდგენისგან. (http://www.nauka-shop.com/mod/shop/productID/4166/). მითოსური აზროვნების ეპოქაში სიმბოლოს ფორმა და მისი არსი დაუნაწევრებელ იგივეობად აღიქმებოდა (Аверинцев 2001: 159). სიმბოლოს შინაარსი მისსავე ფორმაში ვლინდებოდა (სირაძე 2008: 15), რაც გამორიცხავდა სიმბოლოზე ყოველგვარ რეფლექსიას (Аверинцев 2001: 159); სხვა ფიზიკური თვისებების მსგავსად, სიმბოლოც საგნის თვისებას წარმოადგენდა. მაგ., ამ პერიოდში ღვთის სახელი მისი ბუნების განუყოფელ ნაწილად აღიქმებოდა (კასირერი 1998: 482-483).

სიმბოლო არ გამოხატავდა ტრანსცენდენტურ რეალობას, იგი თავად იყო რეალობა (http://www.nauka-shop.com/mod/shop/productID/4166/; კირილეს და მეთოდეს ენციკლოპედია: http://www.megabook.ru/ArticlePrintasp?AIDe). მას კოსმოლოგიური ფუნქცია ენიჭებოდა და ადამიანის მიერ ჩართული იყო სამყაროს საერთო სურათში, როგორც მისი ყოფისათვის აუცილებელი ელემენტი (http://www.nauka-shopm..com/mod/shop/productID/4166/). სიმბოლიზაციის მეშვეობით ადამიანი შეიცნობდა და აწესრიგებდა სივრცეს, რომელშიც იგი ცხოვრობდა. „პირველყოფილ გონებას ჰქონდა უნარი, ყოველგვარი იეროფანია დაენახა მისთვის დამახასიათებელი სიმბოლიზმის

ჩარჩოებში", — წერს მ. ელიადე (Элиаде 1999: 407).

დამკვიდრებული თვალსაზრისით, სიმბოლოს ფილოსოფიური გააზრება ანტიკური ხანიდან მომდინარეობს, ისევე, როგორც თავად ტერმინი „სიმბოლო"[1] (http://www.nauka-shop.com/mod/shop/productID/4166/; კირილეს და მეთოდეს ენციკლოპედია: http://www.megabook.ru/ArticlePrint.asp?AID=672087). συμβολον ძველი ბერძნული არსებითი სახელია და პირობით, ამოსაცნობ ნიშანს, ნიშან-თვისებას, სახეს, ხატს ნიშნავს. (Аверинцев 2001: 156; ივანოვი 1987: 368). თავის მხრივ, არსებითი სახელი συμβολον ნაწარმოებია ზმნისაგან συμβαλλω (თანხვედრა, შეკრება, შეერთება, შერწყმა, დამთხვევა), სადაც უფრო მკაფიოდ ჩანს ამ სიტყვების აზრი (ივანოვი 1997: 368).

ძველ საბერძნეთში „სიმბოლო" მრავალი მნიშვნელობით გამოიყენებოდა.

სახელმწიფო, საზოგადოებრივ თუ რელიგიურ ჯგუფებს, პარტიებს, გაერთიანებებს ჰქონდათ თავიანთი, ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ნიშნები (სიმბოლოები). სიმბოლო წარმოადგენდა პირობით საიდუმლო ნიშანს მაგ: ციბელას/კიბელას,[2] ცერერას[3] და სხვა ღვთაებათა თაყვანისმცემელთათვის.

მოგვიანებით, საბერძნეთშივე „სიმბოლო" აღნიშნავდა სახელმწიფო ხაზინიდან, გულუხვ მდიდართაგან დაბალ ფასში ან უსასყიდლოდ მისაღებ პურის ბილეთს ან ნომერს; თეატრში სახალხო თამაშებსა თუ გლადიატორთა ბრძოლაზე დასასწრებ ბილეთებს; რომაულ „ტესარებს" (გასანთლულ ფირფიტებს, რომლებზეც იწერებოდა სამხედრო ბრძანებები). ზოგჯერ სიმბოლო ნიშნავდა ხაზინაში ქველმოქმედების, კეთილი საქმეებისათვის შეტანილ გარკვეულ თანხას; შეგროვილი ფულით სუფრის გაშლას და საყოველთაო გამასპინძლებას; უცხო ქვეყნის ელჩისათვის რწმუნების სიგელის გადაცემას; „სიმბოლო" წარმოადგენდა ორ, მეზობელ სახელმწიფოს შორის დადებულ ხელშეკრულებას იმ ქმედებათა შესახებ, რომელნიც უნდა განხორციელებულიყო ერთ-ერთი ამ სახელმწიფოს მოქალაქეების მეორე სახელმწიფოს მოქალაქეებთან დავის შემთხვევაში (ასეთი ხელშეკრულებები მკაცრად სრულდებოდა, მაგალითად, ათენში) (Брогкауз... *энциклопедия* 1990: http://www.bashedu.ru/perspage/abdullin-ar/kult-simvol/2-1ht).

„სიმბოლოს" ჰქონდა ასევე ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობა. „სიმბოლო" ეწოდებოდა გასანთლულ ფირფიტას, რომელზეც განშორებისას მეგობრები რამეს წერდნენ ან ხატავდნენ, შემდეგ ფირფიტას ტეხდნენ ორ ნაწილად. შეხვედრისის ისინი ან მათი მემკვიდრეები (უფრო მეტად ეს უკანასკნელნი) იმ შემთხვევაში აღიარებდნენ ერთმანეთს კვლავ მეგობრებად, მოკეთეებად, თუკი ფირფიტა მათ ხელთ არსებული ნახატების ერთად დაწყობისას გამთლიანდებოდა ანუ „სიმბოლოს" მეშვეობით ადამიანები ერთმანეთს ამოიცნობდნენ ხოლმე. (Аверинцев 2001: 156; ბროკჰაუზი... ენციკლოპედია 1990: http://www.bashedu.ru/perspage/abdullin-ar/kult-simvol/2-1htm).

მიუხედავად იმისა, რომ ძველ ბერძნულ συμβολον/συμβαλλω-ს მრავალი მნიშვნელობა ჰქონდა, თავისი არსით იგი ჯერ კიდევ არ ნიშნავდა სიმბოლოს მისი დღევანდელი გაგებით.

ძველ ბერძნულ ტექსტებში სიმბოლო ყოველთვის გაიაზრება, როგორც რაღაც ორი საწყისის სინთეზი და არა რაღაცის სიმბოლო. იგი არ უკავშირდება რამე ობიექტს, რისი სიმბოლოც შეიძლება იყოს, არ მიანიშნებს რამე სხვაზე, უფრო ემბლემას[4] წარმოადგენს. ელინისტური აზროვნება მუდმივად ურევს ერთმანეთში სიმბოლოს და ალეგორიას[5] (Аверинцев 2001: 156). მან დააყენა საკითხი თვით აბსოლუტის ადეკვატური ფორმებით გამოხატვის შესაძლებლობის შესახებ.

პლატონი ცდილობდა გაემიჯნა სიმბოლო ფილოსოფიამდელი მითისგან „ეიდოსები", რომლებიც არც აბსტრაქციაა, არც სახეები ამ კონტექსტში შეიძლება გავიაზროთ სწორედ, როგორც სიმბოლოები (კირილესა და მეთოდეს დიდი ენციკლოპედია: http://www.megabook.ru/ArticlePrint.asp?AID=672087). იგი სიმბოლოს განმარტავს როგორც ობიექტის უმაღლესი იდეალური ფორმის ინტუიტურ წვდომას (http://planetadisser.com/see/dis_117363.html).

მართალია პინდარეს, ევრიპიდეს, დემოკრიტეს, ემპედოკლეს და არისტოტელეს რამდენიმე ტექსტში სიმბოლოს ენიჭება მისი ჭეშმარიტი მნიშვნელობა (საპირისპირო საწყისების შერწყმა), მაგრამ მიუხედავად ამისა ა. ტახო-გოდის აზრით, კლასიკური საბერძნეთის ლიტერატურაში არ არსებობდა მისწრაფება გამოხატულიყო, დამკვიდრებულიყო და გაფორმებულიყო სიტყვაში სიმბოლიზაციის გამოვლენა, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ ამ ეპოქის მითოსური ცნობიერება და შემოქმედება თავად არის სიმბოლური და ამიტომ დამატებით სიმბოლიზაციას არ საჭიროებდა (უნივერსალური ენციკლოპედია: http://www.mega.km.ru/bes_2004/encyclop.asp?TopicNumber=6335; http://www.bashedu.ru/perspage/abdullin_ar/kult_simvol/2_1.htm).

მნიშვნელოვანი წვლილი სიმბოლოს განსაზღვრაში ნეოპლატონიზმის იდეალისტურ დიალექტიკას მიუძღვის. ნეოპლატონიზმის კონცეფცია სიმბოლოს შესახებ ამგვარი იყო, სიმბოლო უპირისპირდება გამოსახულებას, რადგან ეს უკანასკნელი მიბაძვის შედეგია. გამოსახულება უნდა ჰგავდეს ნიმუშს, სიმბოლო კი უნდა წარმოადგენდეს „ჭეშმარიტ არსს", რაც მიიღწევა არა საგნის კოპირებით, არამედ პირიქით, მასში საპირისპირო საწყისების აღმოჩენით. საპირისპირო საწყისების თანაარსებობა შესაძლებელია მხოლოდ სიმბოლოში (პროკლე დიადოქოსი: http://planetadisser.com/see/dis_117363.html).

ნეოპლატონიზმმა ტერმინი „სიმბოლო" განსაზღვრა, როგორც მსოფლმხედველობის ერთ-ერთი უნივერსალური, ესთეტიკური კატეგორია. მოგვიანებით, ამ სახით დამკვიდრდა სიმბოლო ევროპულ ტრადიციაში (უნივერსალური ენციკლოპედია: http://www.mega.km.ru_2004/emcyclop.asp?Topic=6335).

ნეოპლატონიზმმა ტერმინი „სიმბოლო" განსაზღვრა, როგორც მსოფლმხედველობის ერთ-ერთი უნივერსალური, ესთეტიკური კატეგორია. მოგვიანებით, ამ სახით დამკვიდრდა სიმბოლო ევროპულ ტრადიციაში (უნივერსალური ენციკლოპედია http://www.mega.km.ru/bes_2004/encyclop.asp?TopicNumber=6335).

სიმბოლოს ნეოპლატონური თეორია ქრისტიანობაში გადავიდა არეოპაგეტიკის მეშვეობით. არეოპაგეტიკის მიხედვით, ჭეშმარიტების შესახებ ცოდნის გადმოცემის ორგვარი გზა არსებობს: „ერთი — გამოუთქმელი, მეორე — ცხადი და იოლად შესაცნობი. ამათგან, პირველი — სიმბოლური და მისტიკურია, მეორე კი ფილოსოფიური და ყველასთვის მისაწვდომი". დიონისე არეოპაგელის სწავლებით, უმაღლესი ჭეშმარიტება პირველი გზით გადმოიცემა (http://planetadisser.com/see/dis_117363.html), რადგან ყველაფერი, რასაც ვხედავთ, არის უხილავის, საკრალურის, ღვთის განუსაზღვრელი არსის სიმბოლო (ამასთან, ამქვეყნიური იერარქიის საფეხურები აღადგენენ უმაღლესი, ზეციური იერარქიის სახეს).

სიმბოლოს ამგვარი გააზრება შუა საუკუნეებში თანაარსებობდა დიდაქტიკურ ალეგორიზმთან ერთად (Аверинцев 2001: 159).[6] ეს არის ეპოქა, რომელშიც სიმბოლოს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. იგი ერთ-ერთ ზოგადკულტურულ პრინციპს წარმოადგენდა (უნივერსალური ენციკლოპედია: http://www.mega.km.ru/bes_2004/encyclop.asp?TopicNumber=6335). სიმბოლიზმი მსჭვალავს შუასაუკუნეობრივი ცხოვრების ყველა სფეროს, რელიგიურით დაწყებული საზოგადოებრივით დამთავრებული (სირაძე 1982: 76). სასულიერო მოღვაწეები იყვნენ პირველი, ვინც სერიოზულად დაიწყო სიმბოლოს სტრუქტურული ანალიზი. პირველებმა მათ დაყვეს ნიშანი ორ ტიპად: რეალური ნიშანი ანუ სახე და პირობითი ნიშანი ანუ სიმბოლო („რამეთუ აჩრდილი აქუნდა სჯულსა მერმეთა მათ კეთილთა, არა თჳთ იგი ხატი საქმეთაჲ მათ წლითი წლად მსხუერპლთა მათ შესწირველ სამარადისოდ, ვერასადა შემძლებელ იყვნეს იგინი შემწირველთა მათ განსრულებად" (ებრ. 10. 1) (ახალი აღთქუმაჲ 2008: 713, 714).

რენესანსის პერიოდში, სიმბოლო განისაზღვრა, როგორც არსის შეცნობის ინსტრუმენტი. ამასთანავე იგი ხდება ესთეტიკური კატეგორია; ეს ბუნებრივია, რადგან ამ დროს ფილოსოფიური ცოდნის სისტემაში ესთეტიკას განსაკუთრებული როლი ეკავა (http://planetadisser.com/see/dis_117363). რენესანსის ეპოქაში ყურადღება გამა-

ხვილებული იყო სიმბოლოს ინტუიტურ აღქმაზე, მის მრავალმნიშვნელობაზე, მაგრამ ამ პერიოდში სიმბოლოს შესახებ ახალი თეორია არ შექმნილა.

მანერიზმის, ბაროკოს, კლასიციზმის, განმანათლებლობის ესთეტიკური მოდელები სიმბოლოებით მდიდარ რელიგიურ თუ მხატვრულ სამყაროებს გვთავაზობენ, თუმცა, ყველა აღნიშნულ ეპოქაში სიმბოლოს ძირითადად ქარაგმულად თქმისა და ჰერალდიკური რეპრეზენტაციის საშუალებად გაიაზრებდნენ, მასში ამაზე მეტ მნიშვნელობას ვერ ჭვრეტდნენ. (Аверинцев 2001:159; უნივერსალური ენციკლოპედია: http://www.mega.km.ru/bes_2004/encyclop.asp?TopicNumber=6335) ვითარება იცვლება მე-18 საუკუნიდან. კანტის სწავლების (სწავლება „წარმოდგენის" შესახებ) წყალობით, სიმბოლო პირველად იძენს რეალობის სულიერი გათვისების განსაკუთრებულ სტატუსს. იგი სიმბოლოს განმარტავს, როგორც წარმოდგენის განსაკუთრებულ ფორმას, რომლის საშუალებითაც გადმოიცემა რაღაც ისეთი, რაც არ შეიძლება გადმოიცეს დისკურსიული განსჯის მეშვეობით. კანტის თანახმად, სიმბოლო არის გამოსახვის სპეციფიკური ფორმა, რომელიც გონებით გაიგება, თუმცა, მხოლოდ რეფლექსიის და არა შინაარსის ფორმით. იგი გონების იდეის წარმოდგენის გრძნობისმიერი საშუალებაა. გაიგო სიმბოლო... ნიშნავს ჩასწვდე იდეას.

კანტის თეორიის საფუძველზე, სიმბოლოს გაგების შესახებ ორი მიმართულება განვითარდა. მათგან პირველს წარმოადგენდა შილერის თეორია და რომანტიკოსების ტრადიცია, ხოლო მეორეს გოეთეს თეორია.

შილერი გვთავაზობს სიმბოლოს ესთეტიკურ კონცეფციას. იგი სიმბოლოს განსაზღვრავს, როგორც დიალექტიკურად დაძაბულ ურთიერთობას სულსა და მატერიას, სასრულსა და უსასრულობას, ფორმასა და რეალობას, თავისუფლებასა და ყოფიერებას შორის, რომელთა „შერიგება" შესაძლებელია მხოლოდ ესთეტიკურ სფეროში, რაც ადამიანს ჰარმონიულობას, მთლიანობას ანიჭებს (http://planetadisser.com/see/dis_117363.html).

გერმანული რომანტიზმის ფილოსოფიაში (შლეგელი, ნოვალისი, კროიცერი, შელინგი...) სიმბოლოს სპეციფიკა გაიაზრება რომანტიზმის ძირითად თემებთან მიმართებით (უნივერსალური ენციკლოპედია http://www.mega.km.ru/bes_2004/encyclop.asp?TopicNumber=6335). გერმანელი რომანტიკოსები სიმბოლოს გამოსახულებისა და იდეის ორგანულ იგივეობად, შემოქმედებას კი „მარადიულ" სიმბოლოებად აღიქვამდნენ. შლეგელისათვის სიმბოლო არის სახე უსასრულო სუბსტანციისა, რომელსაც ჩვენ მხოლოდ ფრაგმენტულად ვხედავთ. მისი ერთი ცენტრი მდებარეობს სასრულ, მეორე კი, უსასრულო რეალობაში. სიმბოლოს დახმარებით შეგვიძლია გამოვყოთ ის რეალური არსებობა, ჭეშმარიტი აზრი, რომელიც ამაღლებულია ყოველგვარ ილუზიაზე (http://planetadisser.com/see/dis_117363.html; Аверинцев: http://www.krotov.info/lib_sec/01_a/ave/rinstser 6.htm).

გოეთეს თვალსაზრით, ბუნებრივი და ადამიანური შემოქმედების ყველანაირი ფორმა მარადისობის მნიშვნელოვან და მეტყველ სიმბოლოს წარმოადგენს, „ყველაფერი, რაც კი ხდება სიმბოლოა" (http://planetadisser.com/see/dis_117363.html). თუმცა გოეთე, რომანტიკოსებისაგან განსხვავებით, სიმბოლოს მოუხელთებლობასა და დაუნაწევრობას უკავშირებს არა მისტიკურ მიღმიურობას, არამედ ცხოვრებისეულ ორგანულობას, რომელიც სიმბოლოთა მეშვეობით გამოიხატება (Аверинцев 2001: 159; კირილეს და მეთოდეს დიდი ენციკლოპედია: www.mega.km.ru). რომანტიზმთან დაახლოებულ ვერსიას გვთავაზობს ა. შოპენჰაუერი, რომელმაც სამყარო გამოსახა, როგორც უშინაარსო ნების სიმბოლიზაცია იდეებსა და წარმოდგენებში. http://www.mega.km.ru/bes_2004/encyclop.asp?TopicNumber=6335).

რომანტიკოსების საწინააღმდეგო შეხედულებას გამოთქვამს ჰეგელი. სიმბოლოს სტრუქტურაზე საუბრისას, იგი, ყურადღებას ამახვილებს სიმბოლოზე, როგორც პირობითობაზე დაფუძნებულ ნიშანზე, ხაზს უსვამს მის რაციონალურ მხარეს. ჰეგელის თქმით, „ზოგადად სიმბოლო... შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც

გარკვეული ნიშანი ან უბრალოდ აღნიშვნა, რომელშიც კავშირი აზრსა და გამოსახვას შორის არის გამჭვირვალე". იგი სიმბოლოს განიხილავს აგრეთვე ფორმალური თვალსაზრისითაც ანუ როგორც რეპრეზენტაციისა და კომუნიკაციის ერთ-ერთ საშუალებას (ბასინი: http://www.gumer.info/bogoslov_Buks/Philos/Bas/11php).

XIX საუკუნის 80-იან წლებში სიმბოლიზმმა, როგორც ლიტერატურულმა მიმდინარეობამ სიმბოლო დაუბრუნა ესთეტიკის სფეროს. სიმბოლისტების თვალსაზრისით, სიმბოლო, — ეს არის მატერიალურ საგნებში დაფარული ჭეშმარიტი, საიდუმლო არსი, იდეა. ის ხელოვნებაში ხსნის საზრისთა აღმოჩენის უსასრულო პერსპექტივას (თუმცა, მისი საბოლოო ინტერპრეტაციის მცდელობა ამ პერსპექტივას და თავად სიმბოლოსაც გააქრობს) (ნაკუდაშვილი 1999: 83).

სიმბოლოსადმი ინტერესი განსაკუთრებით მძაფრდება XX საუკუნის დასაწყისიდან. ამ პერიოდის დასავლური აზრის მდინარება სიმბოლოს გაგების არაერთ ერთმანეთისაგან განსხვავებულ მოდელს წარმოგვიდგენს. მოკლედ შევეხებით მხოლოდ რამდენიმე მათგანს.

ე. კასირერის ნეოკანტიანიზმისაგან აღმოცენებული „სიმბოლური ფორმების ფილოსოფიამ" სიმბოლოს ადამიანური სამყაროსთვის უკიდურესად ფართო მნიშვნელობა მიანიჭა; იგი სულიერი რეალობის ამსახველ უნივერსალურ საშუალებად, კულტურის შეცნობისა და შემოქმედების საყოველთაო ფუნქციად მიიჩნია. კასირერი ფიქრობს, რომ ადამიანი არის „სიმბოლური ცხოველი", ენა, მითი, რელიგია, ხელოვნება და მეცნიერება სიმბოლური ფორმების არსია, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი აწესრიგებს გარშემომყოფ ქაოსს.

სიმბოლოს ფსიქოლოგიურ ანალიზს ავითარებდნენ: ზ. ფროიდი, ი. კრისტევა, ა.სტორი, კ. იუნგი (http://www.dslib.ru/religio-vedevie/ten.htm).

ზ. ფროიდს სიმბოლო დაჰყავს არაცნობიერი ფსიქიკური მოქმედებების ფუნქციამდე ანუ მისი შეხედულებით, სიმბოლო გათანაბრებულია ფსიქო-პათოლოგიურ სიმპტომთან (http://www.lib.ua.ru.net//diss/cont/198071.html).

კ. იუნგმა უარყო ფროიდის თვალსაზრისი. მან გააგრძელა რომანტიკული ტრადიცია და ადამიანთა სიმბოლოები ახსნა, როგორც არაცნობიერის (ანუ არქეტიპის) გამოხატვის მყარი ფიგურები, რომლებიც თავიანთი არსით დაუნაწევრებელია და გამოხატვას ჰპოვებს სხვადასხვა კულტურის სიმბოლოებში. იუნგის წარმოდგენა სიმბოლოს შესახებ მთლიანად შლის საზღვრებს სიმბოლოსა და მითს შორის, სიმბოლოს გადააქცევს მყარ აზრობრივ საფუძველს მოკლებულ სტიქიად (Аверинцев 2001: 161; კირილეს და მეთოდეს დიდი ენციკლოპედია: http://www.mega.km).

XX საუკუნის II ნახევარში ჩ. პირსის, უ. მორისის, რ. კარნაპის და სხვათა მიერ სემიოტიკის (ნიშნებისა და ნიშანთა სისტემების შესახებ მეცნიერება) ძირითადი პრინციპების დამუშავებამ იმოქმედა ფილოსოფიაში სიმბოლოს სტატუსზე. სემიოტიკის ფარგლებში, ნიშანთა სისტემების შედარებითი ანალიზისას, სიმბოლო განიხილება, როგორც ერთ-ერთი ნიშანი, როგორც კონვენციური (დადგენილი) ურთიერთობა ნიშანსა და მნიშვნელობას შორის (ჩ. პირსი) (Шатин 2003: http://www.philology.ru/literature1/shatin-03.htm). ჩ. პირსის შეხედულებით, სიმბოლო, იმგვარი ნიშანია, რომელიც ენაცვლება ობიექტს, ამასთან აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის კავშირი თავისუფალი ხასიათისაა.

ფ. დე სოსიური „ზოგადი ლინგვისტიკის" კურსში ამტკიცებს, რომ ეს თავისუფლება არ არის აბსოლუტური და სიმბოლოში აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის არსებობს ბუნებრივი კავშირის რუდიმეტი.

სიმბოლოს სტრუქტურალისტური ინტერპრეტაცია ორ პოზიციას გამოხატავს. ერთი მხრივ, წარმოადგენს რა სოციოკულტურულ ფენომენს, სიმბოლო განეკუთვნება „დისკურსიის სფეროს". ამ შემთხვევაში, ენის სხვა ნიშნებთან მიმართებით სიმბოლურ და მითოსურ მნიშვნელობას არ გააჩნია საკუთარი მახასიათებლები. ისინი გამოირჩევიან მხოლოდ დესკრიფციის, ინტერპრეტაციის, ასევე კლასიფიკაციისა და

კატეგორიზაციის თვალსაზრისით.

მეორე მხრივ, სიმბოლო გამოდის კულტურული ლოგოსის საზღვრებიდან, იძენს მითებისა და რიტუალების ფორმას. ასეთ დროს, იგი წარმოადგენს „საკრალურ ენას“ (http://5ka.su/ref/culture/o_object10106.html).

სიმბოლოს სტრუქტურალისტური თეორიის მიხედვით (XX საუკუნის II ნახევარი), „სიმბოლო“ შეესაბამება „სიმულაკრას“ ცნებას (სიმულაკრა — ერთგვარი ასლი, რომელიც ისეა დაშორებული ორიგინალს, რომ პირველწყარო აღარც აქვს (ლიტერატურის თეორია 2008: 342).

სიმბოლოთა პროფანაციისა და დესაკრალიზაციის პრობლემა აისახა: ჟ. ბოდრიარის, რ. ბარტის, უ. ეკოს და სხვათა ნაშრომებში (http://www.dslib.ru/religio-vedevie/ten.htm).

„ტარტუ — მოსკოვური“ სკოლის ლიდერი ი. ლოტმანი კულტურას აფასებს, როგორც ნიშანთა სისტემას, იგი თვლის, რომ რეალური სამყარო ამ სისტემაში აღიქმება როგორც ტექსტი. კულტურის დანიშნულება კი არის შეტყობინებებისა და მათში არსებული აზრის „გაშიფვრა“. ი. ლოტმანი სიმბოლოს მიიჩნევს კულტურის უმნიშვნელოვანეს ნიშნობრივ საშუალებად, ტექსტად, რომლის შინაარსიც მრავალმხრივია და რომელიც შემჭიდროვებული სახით თან ახლავს კულტურული პროგრამების ტრანსლირებას.

ც. ტოდოროვის „სიმბოლოთა თეორიების“ ცენტრში მოქცეულია ესთეტიკისა და პოეტიკის პრობლემები. იკვლევს რა, სიმბოლოს ისტორიულ კონცეფციებს (ნეტარი ავგუსტინე, რომანტიკოსები, ფ. დე სოსიური), იგი ეყრდნობა სიმბოლოს ლინგვისტურ, სტრუქტურალისტურ გაგებას.

კ. იასპერსისათვის ყოფიერება შეიცნობა სიმბოლოში და სიმბოლოს მეშვეობით. მისი თვალსაზრისით, სიმბოლო — ეს არის მონაწილეობის საშუალება ყოფიერების სხვადასხვა დონეზე, სხვადასხვა დოზით. მისი დახმარებით შეგვიძლია შევაღწიოთ „მოუხელთებელ რეალობაში“, მითში და ბოლოს სიმბოლოს მეშვეობით მივდივართ ღმერთთან (http://simbols.ru/9/).

დ. რასმუსენის განსაზღვრებით, სიმბოლო ერთდროულად არის აფექტური და კოგნიტური, ეგზისტენციალური და ონტოლოგიური ფენომენი. მისი გაგებით, სიმბოლო არის კულტურის ბაზისი, ცენტრი, ყოფიერების შეცნობის გასაღები.

მ. ჰაიდეგერის „ფუნდამენტური ონტოლოგია“ და ჰ. გ. გადამერის ჰერმენევტიკა ცდილობენ ენა გაათავისუფლონ სციენტური ცენზურისაგან და სიმბოლოს მისცენ საშუალება იყოს სამყაროს გაგების თვითკმარი საშუალება. ჰაიდეგერთან ქრება სიმბოლოს ანალიტიკური ინტერპრეტაცია. გადამერი ეყრდნობა სიმბოლოზმის შესახებ გერმანელი რომანტიკოსების (გოეთე, ზოლგერი, შელინგი, კროიცერი...) თვალსაზრისს, ასევე კანტის შეხედულებას (http://5ka.su/ref/culture/o_object10106.html).

ა. ლოსევი ცდილობს ახსნას სიმბოლოს დიალექტიკური ბუნება. იგი სიმბოლოს სამყაროს შეცნობის უნივერსალურ ინსტრუმენტად მიიჩნევს.

კულტუროლოგიური, ესთეტიკური თვალსაზრისით სიმბოლოს ასევე შეისწავლიდნენ პ. ფლორენსკი, ს. ავერინცევი.

სიმბოლოებზე, როგორც ცნობიერი გზავნილებისა და ცნობიერების რეზულტატების რეპრეზენტაციის საშუალებებზე მსჯელობენ მ. მამარდაშვილი და ა. პიატიგორსკი. მათი მოსაზრებით, სიმბოლო ადამიანის ცნობიერებას აკავშირებს კულტურულ ცხოვრებასთან (მამარდაშვილი... 1999: 195).

სიმბოლოს არსის, ფუნქციის, სიმბოლური სტრუქტურების, ფორმის, სისტემის დადგენა-შესწავლა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო. ამას სიმბოლოს შესწავლის ისტორიის ზემოთ წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვა და ჩამოთვლილ ავტორთა სიმრავლეც ცხადჰყოფს. და მაინც როგორ შეიძლება განისაზღვროს სიმბოლო, რომლის შესახებაც ამდენი თქმულა?

ნაშრომში სიმბოლოს არსის, ფუნქციის განსაზღვრის მცდელობისას ძირითადად ვეყრდნობით ს. ავერინცევის შეხედულებებს, ასევე ც. ტოდოროვის ნაშრომში

„სიმბოლოს თეორიები“ შეკრებილ სხვადასხვა მკვლევრის შეხედულებას, თუმცა, ვითვალისწინებთ: ა. ლოსევის, პ. ფლორენსკის, მ. ივანოვის და სხვათა მოსაზრებებსაც.

ყოველგვარი სიმბოლო არის გამოსახულება და ყველა გამოსახულება, გარკვეულ წილად, არის სიმბოლო, თუმცა, სიმბოლო, როგორც კატეგორია გადის საკუთარი საზღვრებიდან და წარმოადგენს ისეთ რაობას, რომელიც განუყოფლადაა შერწყმული გამოსახულებასთან, მაგრამ არ უდრის მას. საგნობრივი გამოსახულება და ღრმა აზრი სიმბოლოს სტრუქტურის ორ პოლუსს წარმოადგენს (Аверинцев 2001: 155). სიმბოლო, უპირველეს ყოვლისა, თავისთავად არსებობს და მის მიერ რამეს აღნიშვნა მეორეული მოვლენაა. მასში მოცემულია კონკრეტული, გამოსახულებიდან (სახიდან) ზოგადი, იდეალისაკენ გადასვლა (გოეთე) (Тодоров 1999: 239, 240). სიმბოლოს სტრუქტურა მიმართულია იქეთკენ, რომ ნებისმიერი კერძო მოვლენის მეშვეობით შექმნას სამყაროს მთლიანი ხატი (Аверинцев 2001: 156). სიმბოლური ერთგვარად ნიშნავს სახეობრივს, ტიპურს, ამიტომ შესაძლებელია იგი განვიხილოთ, როგორც ზოგადი კანონის გამოვლინება (გოეთე) (Тодоров 1999: 239, 240). სიმბოლო ერთდროულად არის შერწყმა: კერძოსა და ზოგადისა, მატერიალურისა და სულიერისა (გოეთე, კროიცერი) (Тодоров 1999: 255, 340).

სიმბოლურია ის, რაც არა მხოლოდ აღნიშნავს იდეას, არამედ თავად არის იგი (მაგალითად, წმინდა მარიამ მაგდალინელი არა მარტო აღნიშნავს სინანულს, არამედ თავად არის „ცოცხალი სინანული“).

სიმბოლო რეალობის ცოცხალ ჭვრეტას ეფუძნება (Лосев1919: 218), მაგრამ ის არ არის რეალობის უშუალო იმიტაცია (მ. ივანოვი 1987: 379), პირდაპირი ანარეკლი. იგი არის მინიშნება, იდუმალი აზრის მონაცვლე და მისკენ მეგზური (ვიაჩ. ივანოვი) (ჰოფმანი: http://slovar.lib.ru/dictionary/simvol.htm). სიმბოლო მიმართულების მომცემია, რათა სწორად გავიგოთ სინამდვილეში რას აღნიშნავს თითოეული სახე (Шеллинг 1996: 156, 157). იგი მოვლენების თუ საგნების სიღრმისაკენ წარმართავს ჩვენს ყურადღებას (სირაძე 1982: 79) და შინაგან, არსებით მხარეზე მიუთითებს (მ.ივანოვი 1987: 370). სიმბოლო ერთდროულად არის აზრთა წარმოებისა და გამოუთქმელის გამოთქმის საშუალება (ჰუმბოლდტი) (Тодоров 1999: 249; ნაკუდაშვილი 1999: 82). როგორც უკვე აღინიშნა, ყოველგვარი სიმბოლო არის განზოგადება (გოეთე) (Тодоров 1999: 340), ისეთი სახის განზოგადება, რომელიც უსასრულო აზრობრივ პერსპექტივას ქმნის (Лосев 1995: http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/Los_PrSimv/01ph) (ფლორენსკი) (Лепахин 2005: http://bestreferat.ru/referat-3746.html). მას ამოუწურავი შინაარსი აქვს. სიმბოლოს აზრობრივი პოტენციები ყოველთვის უფრო ფართოა, ვიდრე მისი მოცემული რეალიზაცია (ლოტმანი 1992: http://www.durov.com/literature 1/lotman 92-e.htm). სიმბოლოს ყოველგვარი ინტერპრეტაცია თავად რჩება სიმბოლოდ, ოღონდ რამდენადმე რაციონალიზებულ სიმბოლოდ (ბახტინი: http://slovar.lib.ru/dictionary/simvol.htm).

სიმბოლო არ არის „უსულო ტვიფარი“ (ვ. ივანოვი) (ჰოფმანი: http://slovar.lib.ru/dictionary/simvol.htm). იგი თავისი არსით დინამიკურია (Шеллинг 1996: 156). სიმბოლოების შინაარსი და მნიშვნელობა არ არის მოცემული ერთხელ და სამუდამოდ. ის, როგორც „ცოცხალი“ სტრუქტურა რჩება თავისთავადი, თუმცა, მუდმივი ქმნადობის პროცესშია. (საერთოდ, სიმბოლო უფრო ქმედებაა, ვიდრე შედეგი (ზოლგერი) (Тодоров 1999: 255). ცნობილი სიმბოლოები ახლებურ ღირებულებებსა და ინტერესებს იძენენ (http://nauka-shop.com/mod/shop/product ID/4166).

სიმბოლოს არსებითი ნიშანია, რომ იგი არასოდეს ეკუთვნის რომელიმე კულტურის ერთ რომელიმე სინქრონულ ჭრილს, ის ყოველთვის მსჭვალავს ამ ჭრილს, წარსულიდან მოსული მიდის რა მომავალში. სიმბოლოები მსჭვალავენ კულტურის დიაქრონიას. მათ კულტურის ერთი პლასტიდან მეორეში გადააქვთ ტექსტები, სიუჟეტური სქემები და სხვა სემიოტიკური წარმონაქმნები. სიმბოლო, როგორც განმეორებადი რამ, არის გზავნილი სხვა კულტურული ეპოქებისა (=სხვა კულტურების),

როგორც გახსენება ძველი (=მარადიული) საფუძვლებისა (Лотман 1992: http://www.durov.com/literature 1/lotman 92-e.htm).

სიმბოლურ აზროვნება ევოლუციას განიცდის. სხვადასხვა ეპოქაში ირეკლება ამ ეპოქების რელიგიური, მითოსური, ხელოვნებისმიერი (გამსახურდია 1991: 19), პოლიტიკურ-იდეოლოგიური მემკვიდრეობა, ღირებულებების, ნორმებისა და იდეების ძირითადი არსი. კულტურულ კონტექსტთან აქტიური ურთიერთობისას არა მხოლოდ სიმბოლო ტრანსფორმირდება მისი ზეგავლენით, არამედ თვითონაც ახდენს მის გარდასახვას (Лотман 1992: http://www.durov.com/literature1/lotman 92-e.htm). სიმბოლოები ჩნდებიან, ტრანსფორმირდებიან და ქრებიან, მაგრამ მათ შესწევთ უნარი საკუთარ წიაღში კვლავ აღმოჩენისა. ამდენად, ისინი მარადიული საშუალებებია და ფორმითაც მარადიულნი არიან (პ. ფლორენსკი) (ლეპახინი 2005: http://bestreferat.ru/referat-3746.html).

სიმბოლო არ არის უბრალო და ყველასთვის მისაწვდომი (მ. ივანოვი 1987: 379). სიმბოლოს „გაშიფვრა" მარტივი განსაზღვრებით, მხოლოდ გონების ძალით შეუძლებელია. იგი არ არსებობს რამე რაციონალური ფორმულის სახით (Аверинцев 2001: 155). სიმბოლო თავისი არსით, უპირველეს ყოვლისა, დიალოგური მოვლენაა. მისი არსი მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობაში ვლინდება (Аверинцев 2001: 158). სიმბოლოს სრულფასოვანი არსებობა აღმქმელის გარეშე წარმოუდგენელია. (http://nauka-shop.com/mod/shop/product ID/4166). მისი არსობრივი სტრუქტურა ორიენტირებულია აღმქმელის აქტიურ შინაგან მუშაობაზე (Аверинцев 2001: 157). ის ითხოვს არა მხოლოდ განცდას, არამედ მასში შეღწევასა და განმარტებას (კუპერი: http://book.ariom.ru/txt188.html). თუმცა, სიმბოლოს განმარტებისას სიფრთხილეა საჭირო, რადგან დიალოგი, რომელიც ხორციელდება მისი შინაარსის ჩაწვდომით შესაძლებელია დაირღვეს განმმარტებლის არასწორი ინტერპრეტაციის შემთხვევაში (Аверинцев 2001: 158).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სიმბოლო მართლაც განსაკუთრებული, მრავალფუნქციური ფენომენია. იგი ერთდროულად წარმოადგენს სამყაროს, რეალობის შეცნობის ინსტრუმენტსა და გამოსახვის ფუნდამენტურ მეთოდს (კუპერი: http://book.ariom.ru/txt188.html). სიმბოლო ადამიანის ცნობიერებას აკავშირებს კულტურულ ცხოვრებასთან. მასში აკუმულირდება გარკვეული საზოგადოებრივი ერთობის ცხოვრებისეული გამოცდილება, ამავე დროს იგი ასრულებს საკომუნიკაციო-ინფორმაციულ ფუნქციას, რადგან მას შესწევს უნარი იდეებისა და ღირებულებების ურთიერთგაცვლისა, როგორც შიდა, ასევე ინტერკულტურული კონტაქტების დონეზე. სიმბოლო, გამოიყენება სხვადასხვა პროცესის, მოვლენის თუ საგნის ანალიზისას, რადგან მას ძალუძს მრავალი ისეთი ასპექტის გამომჟღავნება, რაც სხვა საშუალებათათვის მიუწვდომელია. იგი ერთგვარი აზროვნების სტილიცაა.

სრულიად ვეთანხმებით ს. ავერინცევის მოსაზრებას, რომ სიმბოლოლოგია უნდა ვაღიაროთ არა როგორც არამეცნიერული, არამედ მეცნიერების მიღმა არსებული (ნაირმეცნიერული) ცოდნის ფორმაც, რომელსაც გააჩნია საკუთარი შიდა კანონები და სიზუსტის კრიტერიუმები (Аверинцев 2001: 157).

სიმბოლოს შესახებ არსებულ შეხედულებათაგან, რომელთა შორის ხშირად არის განსხვავებები, წინააღმდეგობები (ეს ზემოთ წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვიდანაც ნათლად ჩანს), შევეცადეთ გამოგვეყო, ის ძირითადი და მნიშვნელოვანი, რაც ვფიქრობთ, უკეთ წარმოაჩენს სიმბოლოს არსს, ფუნქციას. საკითხის ამგვარი გააზრებით გამოვხატეთ სიმბოლოსადმი ჩვენი დამოკიდებულება.

შენიშვნები:

1. სიმბოლოს კვლევის ანტიკურ სათავეებზე საუბრისას უნდა ვიგულისხმოთ სიმბოლოს უფრო, როგორც ტერმინის, ცნების და არა ფენომენის ისტორია, რადგან სიმბოლოების გააზრება ალბათ მაშინვე უნდა დაწყებულიყო, როცა ისინი გაჩნდნენ (www.nauka-shop.com/mod/shop/productID/4166/).

2. (ბერძნ. Κυβελη, ლათ. Cybele) ბერძნ. მითოლოგიაში ფრიგიული წარმოშობის, სიცოცხლის შემოქმედი ძალის, ნაყოფიერების ღვთაება. იგი ხშირად გაიგივებული იყო რეასთან) (მითოლოგიური ლექსიკონი 1991: 286; http://bibliotekar.ru/bek2/110.htm; http://dic.academic.ru/dic_fwords/8748/...)

3. ცერერა (რომ.), დემეტრა (ბერძნ.); უძველესი იტალიური და რომაული ხთონური ღვთაება; ნადირობის ქალღმერთი, ნაყოფიერების, მიწათმოქმედებისა და ქორწინების მფარველი (მითოლოგიური ლექსიკონი 1991: 604; http://www.foxdesign.ru/legend/demetra.html).

4. ემბლემა (ძვ. ბერძნ. εμβλημα; ლათ. emblem - ჩართვა, ჩამატება, ჩანართი; ამობურცული სამკაული) არის რამე ცნების ან იდეის განმარტება გარკვეული გამოსახულების დახმარებით. იგი უნდა იყოს მარტივი და ცხადი. მაყურებელმა მასში უნდა დაინახოს ზუსტად ის, რაც მისთვის სურდათ ეთქვათ. ემბლემას ხშირად განიხილავენ ალეგორიის სახესხვაობად, ვიწრო გაგებით კი — სიმბოლურ გამოსახულებად. თუმცა, სიმბოლოსაგან განსხვავებით, იგი ხორცს არ ასხამს ცნების შინაარსს, მხოლოდ მიუთითებს მასზე (სოკოლოვი: 1999; www.ec-dejavu.net/e-2/Emblem.html; ბროკჰაუზი... 1890-1907: www.ec-dejavu.net/e-2/Emblem.html).

5. ალეგორია (ბერძნ. αλλ – ηγορεω — „ქარაგმულად, სხვაგვარად გამოხატვა“ (ცანავა 2009: 14, 15) წარმოადგენს სახეს, რომელშიც კონკრეტულ საგანს (მოვლენას, სახელს) ცვლის აბსტრაქტული ცნება ან განყენებული იდეა. მათ შორის კავშირი, როგორც წესი, პირობითი, ლოგიკური და ერთმნიშვნელოვანია. მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლოსაგან განსხვავებით, ალეგორიას ყოველთვის აქვს ერთი მნიშვნელობა, რომელიც განპირობებულია ტრადიციით ან მწერლის ვარაუდით.

ალეგორიული სახეები, როგორც წესი არ ჰგვანან იმ საგნებს ან მოვლენებს, რომელთაც აღნიშნავენ. ისინი უფრო მათი პირობითი ნიშნებია. ამ თვალსაზრისით, ალეგორია ძალიან ახლოს დგას სახე-ემბლემასთან (www.durov.com/study/1114521593-102.html).

6. დიდაქტიკური ალეგორიზმი ქრისტიანული კულტურის ძველი მეთოდია. იგავური (ქარაგმული) დიდაქტიკით დაიწყო ქრისტიანული ხელოვნება.

თანდათანობით ალეგორიზმი ქრისტიანულ კულტურაში აღქმულ იქნა როგორც რელიგიური შემოქმედების გაგების მეორადი, დამხმარე მეთოდი. თუმცა, სულიერი დაცემის მომენტებში ადამიანის სიმბოლოთშემოქმედების უნარი სუსტდება და ამ დროს კულტურაში თანდათან შემოდის უმაღლესი არსებობის ალეგორიული სახეები.

მე-16-ე საუკუნის დასაწყისიდან კულტურის ისტორია სულ უფრო და უფრო შორდება აბსოლუტის სიმბოლურად გამოსახვასა თუ გამოთქმას და ხშირად მას ენაცვლება ღვთაებრივი ბუნების გამოხატვა: მეტაფორის, ემბლემის ან განყენებული იდეოლოგემების მეშვეობით. სიმბოლური თანხვედრა იცვლება ქარაგმულად თქმით (ერმოლინი: http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Cul ture/Ermol/14.php).

დამოწმებანი:

Akhali Aghtkumay. Metsnierulad Dadgenili T'ekst'i Ts'minda Ekvtime da Giorgi Mtats'mindelta Redaktsiebisa (Ts'm. Otkhtavi da Samotsikulo Redaktsia Giorgi Mtats'mindelisa, gamotskhadeba - redaktsia Ekvtime Mtats'mindelisa). 2008 (*ახალი აღთქუმაჲ.* მეცნიერულად დადგენილი ტექსტი წმ. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელთა რედაქციებისა (წმ. ოთხთავი და სამოციქულო რედაქცია გიორგი მთაწმინდელისა, გამოცხადება-რედაქცია ექვთიმე მთაწმინდელისა). იბეჭდება ბათუმისა და ქობულეთის მთავარეპისკოპოსის დიმიტრის (შიოლაშვილი) ლოცვა-კურთხევით. 2008

Averintsev, Sergey S. *Sofiya-Logos Slovar'.* Kiev: 2001 (Аверинцев, Сергей С. *София-Логос (Словарь).* Киев: 2001).

Averintsev, Sergey S. „Simvol". *Yakov Krotov's Library.* n.d. 17 Feb. 2011. http://krotov.info/lib_sec/01_a/ave/rintsev6.htm (Аверинцев, Сергей С. „Символ". http://krotov.info/lib_sec/01_a/ave/rintsev6.htm)

Bassin, E. J. „Iskusstvo i Kommunikatsiya: Ocherki iz Istorii Filosofsko-Esteticheskoy Mysli". *Gumer Library – Philosophy.* n.d. 17 Feb. 2011. http://www,gumer.info/bogoslov_Buks/philos/Bas/11php (Басин, Е.Я. „Искусство и коммуникация: Очерки из истории философско-эстетической мысли". http://www.gumer.info/bogoslov_Buks/philos/Bas/11php).

Brogkauz i Efron. *Malyj Entsiklopedichcskiy Slovar'.* n.d. 19 Feb. 2011. www.ecdejavu.net/e-2/Emblem.html (Брогкауз и Ефрон *Малый энциклопедичепкий словарь.* 19 февраль 2011. www.ecdejavu.net/e-2/Emblem.html).

Brogkauz i Efron. *Malyj Entsiklopedicheskiy Slovar.* n.d. 19 Feb. 2011. http://www.bashedu.ru/perspage/abdullin-ar/kult_simvol_1.htm) (Брогкауз и Ефрон. *Малый энциклопедичепкий словарь.* 19 февраль 2011. http://www.bashedu.ru/perspage/abdullin-ar/kult_simvol_1.htm).

Cassirer, Ernst. *Ra aris Adamiani?* (in Georgian language). Lamara Ramishvili. Trans. Tbilisi: 1983 (კასირერი, ერნსტი. *რა არის ადამიანი?* გერმანულიდან თარგმნა ლამარა რამიშვილმა. თბ.: 1983).

Cooper, James. *Entsiklopediya Simvolov.* n.d. 19 Feb. 2011. http://book.ariom.ru/txt 1888. html. (Купер, Джеймс. *Энциклопедия символов.* 19 февраль 2011. http://book.ariom.ru/txt 1888. html).

Eliade, Mircha. „Obrazy i Simvoly" (esse o magiko-realiznoy simvolike). *Izbrannye Sochineniya: Mif o Vechnom Vozvrashenii; Obrazy i Simvoly; Svyashennoe i Mirskoe.* Moskva: Ladimor, 2000 (Элиаде, Мирча. „Образы и символы" (эссе о магико-религиозной символике). *Избранные сочинения: Миф о вечном возвращении; Образы и символы; Священное и мирское.* — М.: Ладомир, 2000)

Ermolin, Elena. „Russkaya Kul'tura. Personalistskaya paradigma Obrazovatel'nogo Protsessa". *Bibliotcka Gumer – Kulturologiya.* n.d. 19 Feb. 2011. www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/Ermol/14.php. (Ермолин, Елена. „Русская культура. Персоналистская парадигма образовательного процесса". *Библиотека Гумер – Культурология.* 19 февраль 2011. www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/Ermol/14.php).

Gofmanm, Viktor. *Jazyk Simvolistov.* M.: 1937 (Гофманн, Виктор. *Язык символистов.* ЛН. М. 1937. т. 27-28).

Ivanovi, M. „Simbolo Ghvtismet'q'velebisatvis". N. Khutsishvili. Trans. *Saghvtismet'q'velo K'rebuli.* 3. Tbilisi: 1987 (ივანოვი, მ. „სიმბოლო ღვთისმეტყველებისათვის". თარგმნა ნ. ხუციშვილმა. *საღვთისმეტყველო კრებული.* 3, თბ.: 1987).

Lepakhin, Valeriy V. *Ikon i Simvol.* 10 Sept. 2011 Web. 19 Feb. 2011. http://www.bestreferat.ru/referat-3746.html (Лепахин, Валерий В. *Икона и символ.* 19 сентябр 2005. 19 февраль 2011. http://www.bestreferat.ru/referat-3746.html)

Lit'erat'uris Teoria. XX Sauk'unis Dziritadi Metodologiuri K'ontseptsiebi da Mimdinareobebi. Tbilisi: Lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba, 2008 (*ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები.* თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008).

Losev, Aleksei F. *Problema Simvola v Realisticheskoe Iskusstve.* n. d. 17 Feb. 2011. http://www.gumer.info/bibliotek_Buks/ Culture/Los_prismv/01.php (Лосев, Алексей Ф. *Проблема символа в реалистическое искусстве:* http://www.gumer.info/bibliotek_Buks/ Culture/Los_prismv/01.php)

Lotman, Yuriy M. *Simvol v Sisteme Kul'tury.* n. d. 17 Feb. 2011. http://www.durov.com/literature1/lotman92-htm) (Лотман Юрий М. *Символ в системе культуры.* http://www.durov.com/literature1/lotman92-htm).

Mamardashvili, M K. Aleksandr Pyatigorskiy. *Simvol i Soznanie. Metafizicheskie Rassuzhdeniya o Soznanii, simvole i Yazike.* M.: 1999 (Мамардашвили, Мераб К., Александр М. Пятигорский. *Символ и сознание. Метафизические рассуждения о сознании, символе и языке.* M.:1999).

Megaentsiklopediya Kirrila i Mefodiya. Web. http://www.megabook.ru (*Мегаэнциклопедия Киррила и Мефодия.* http://www.megabook.ru)

Meletinskiy, Eleazar M. Ed. *Mifologicheskiy Slovar'.* M: Sovetskaya Entsiklopediya, 1991. (Мелетинский, Елеазар М. Главный. Редактор. *Мифологический словарь.* М.: `Советская Энциклопедия~, 1991).

Nak'udashvili, N. *Lit'erat'uruli Mimdinareobebi.* Tbilisi: 1999 (ნაკუდაშვილი, ნ. *ლიტერატურული მიმდინარეობები.* თბ.: 1999).

Schelling, Freidrich. *Filosofiya Iskusstva.* Moskva: 1995 (Шеллинг, Фридрих П. *Философия искусства.* M., 1996).

Shatin, Juri V. *Mif i Simvol kak Semioticheskie Kategorii* (Jazik i Kul'tura). Novosibirsk: 2003. 19 Feb. 2011. http://www.philology.ru/literature1/shatin-03/htm. (Шатин, Ю. В. *Миф и символ как семиотические категории.* (Язык и культура-Новосибирск, 2003. с. 7-10). http://www.philology.ru/literature1/shatin-03/htm)

Siradze, Revaz. *Sakhismet'q'veleba.* Tbilisi: 1982 (სირაძე, რევაზ. *სახისმეტყველება.* თბ.: 1982).

Siradze, Revaz. Kultura da *Sakhismet'q'veleba.* Tbilisi: Int'elekt'i, 2008 (სირაძე, რევაზ. *კულტურა და სახისმეტყველება.* თბ.: ინტელექტი, 2008).

Sokolov, M N. *Emblema. Misteriya Sosedstva. K metamorfologii Iskusstva Vozrozhdeniya.* M.: 1999. 19 Feb. 2011. http://ec-dejavu.net/e-2/Emblem.htm. (Соколов. М. Н. *Эмблема. Мистерия соседства. К метаморфологии искусства Возрождения.* M., 1999, с. 144-19 151. http://ec-dejavu.net/e-2/Emblem.htm).

Todorov, Tsvetan. *Teorii Simvola.* Boris Narumov Trans. Moskva: 1999 (Тодоров, Цветан. *Теории символа.* Перевод с французского Бориса Нарумова. Дик. М.: 1999).

Tsanava, Rusudan. *Metapora.* Tbilisi: Lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba , 2009 (ცანავა, რუსუდან. *მეტაფორა.* თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009).

www.mega.km.ru/bes_2004/encyclop.asp?Topic Number =6335

http://slovar.lib.ru/dictionary/simvol.htm

www.bibliotekar.ru/bek2/110.htm

http://www.bashedu.ru/perspage/abdullin_ar/kult_simvol/2_1.htm;

http://www.dslib.ru/religio-vedenie/ten.html

www.durov.com/study/1114521593-102.html

http://dic.academic.ru/ dic/_fwords/8748

http:// www.foxdesign.ru/legend/demetra.htm

http://5ka.su/ref/culture/o_object10106.html

http://www.lib.ua-ru.net/diss/cont/198071.html

http://nauka-shop.com/mod/shop/product ID/4166

http://planetadisser.com/work/work_16768.html

http://simbols.ru/9/

Ana Lethodiani

For Explanation of the Symbol

Summary

Key words: symbol, explanation, viewpoint.

Symbol is a quite complex and specific phenomenon. It could be found in any spheres of life and activity of an individual: in art, religion, literature, science and everyday life.

The symbol has the history of many thousands of years. It emerged in result of cognition of the surrounding world by the humans.

Each symbol is an image and each image, to certain extent, is a symbol, though, the symbol, as a category, spreads beyond its limits and comprises something indivisibly merged with the image, though not equal to it. Subject image and deep sense are two poles of the symbol structure. Primarily, the symbol exists as such and designation of something with the symbol is the secondary phenomenon. It provides movement from specific image to general, ideal.

Symbol is based on the vivid observation of reality, though it is not a direct imitation, direct reflection thereof. It drives our attention to the depths of the events and things and shows their internal, substantial part.

Contents and meaning of the symbols is not given once and forever. It, as a vivid structure, remains as such, though being in the permanent process of formation. Known symbols acquire new values and interests.

The symbol could not be „decoded" only by the power of mind, simple definition. It does not exist in a form f some rational formula. Symbol, with its substance, is the dialogue phenomenon and its valid existence, without perceiver is impossible. It requires feeling, "penetration" and explanation. Each interpretation of the symbol, itself, is the rationalized symbol, to certain extent. Though, it should be noted that in definition of the symbol care should be taken as dialogue, implemented through in-depth understanding of its contents, could be destroyed in the event of its improper interpretation.

Thus, it could be said that the symbol is a specific many-functional phenomenon. Simultaneously, it is the instrument for cognition of the world, reality and expresses the fundamental method. The symbol links human mind with the cultural life. It accumulates the life experience of certain social community and at the same time, it fulfills the communication-information function, as it gas capacity of mutual exchange of the ideas and values, at the levels of as internal, also inter-cultural contacts. The symbol is able to reveal many such aspects, which are unavailable for the other means. Consequently, the symbol is some kind of style of thinking as well.

გივი ლოგიძე

სიკეთითა და სიყვარულით გულანთებული

ცხოვრების უსიერ ტევრში გზის გაკაფვას ყველა თავისებურად ცდილობს. ადამიანთა ერთი ნაწილი, სიძნელეთა დაძლევის ნაცვლად, ყველანაირ კომპრომისზე მიდის, არ ცნობს არანაირ ზნეობრივ ღირებულებას. მაგრამ, საბედნიეროდ, არიან ისეთებიც, რომლებიც ადამიანურ ღირსებას ყველაზე მაღლა აყენებენ და ამ პრინციპებს არასდროს ღალატობენ. სწორედ ასეთი პიროვნებები ალამაზებენ ცხოვრებას და გაუსაძლის ყოფასაც კი გიადვილებენ, ასატანს ხდიან. ასეთი პიროვნება გახლდათ გრიგოლ (ქიცა) ხერხეულიძე, სიკეთითა და სიყვარულით გულანთებული, რაც მისი შინაგანი ბუნებრივი თვისება იყო და რომლისგანაც მას ერთი წუთითაც კი არ გადაუხვევია ცხოვრებისა და მოღვაწეობის რთულ გზაზე.

ოფიციალური სახელით მას თითქმის არავინ მიმართავდა, ყველა ქიცად მოიხსენიებდა სიახლოვისა და სიყვარულის ნიშნად. მშრალი სტატისტიკის მიხედვით, იგი დაიბადა 1916 წლის 7 დეკემბერს, თბილისში. 1936 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1938 წლიდან, სწავლის პარალელურად, მუშაობს ქორეოგრაფიის დარგში. 1941 წლიდან დროებით სწავლას თავს ანებებს და მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში (სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში). 1946 წელს დაბრუნდება უნივერსიტეტში, რომელსაც დაამთავრებს 1948 წელს. ამავე წლის ოქტომბრიდან ჩაირიცხება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომელსაც დაამთავრებს 1951 წელს. 1954 წელს დაიცავს საკანდიდატო დისერტაციას გიორგი ლეონიძის პოეზიის შესახებ. 1955 წლიდან მუშაობს ლიტერატურის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1973 წელს, ასევე წარმატებით დაიცავს სადოქტორო დისერტაციას.

მისი კვლევის სფერო მრავალმხრივი და მრავალფეროვანია, თუმცა განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა მეოცე საუკუნის ქართული პოეზია, მისი განვითარებისა და ესთეტიკურ-მხატვრული თავისებურების მეცნიერული ანალიზი. ამ მიმართულებით მან შექმნა არაერთი გამოკვლევა, რომლებშიც გააშუქა მეოცე საუკუნის სხვადასხვა თაობის პოეტთა შემოქმედება და წარმოაჩინა მათი ღვაწლი ქართული პოეზიის ისტორიაში. აღნიშნულ საკითხებზე მისი წერილები სისტემატურად ქვეყნდებოდა როგორც სამეცნიერო კრებულებში, ისე ჟურნალ-გაზეთებში. თავისი მნიშვნელობით მაინც საგანგებო აღნიშვნას მოითხოვს წიგნები: „გიორგი ლეონიძის პოეზია“ (თბ., მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1959), „თანამედროვეობა და პოეზია“ (თბ., „მეცნიერება“, 1965), „თანამედროვე ქართული პოეზია (ოციანი წლები)“, რომელიც გარდაცვალების შემდეგ, 1977 წელს გამოსცა „მეცნიერებამ“. პირველ წიგნში მონოგრაფიულადაა გამოკვლეული გიორგი ლეონიძის პოეზია, მოცემულია მისი მხატვრული შემოქმედების საფუძვლიანი ანალიზი. მეორე წიგნში, მე-20 საუკუნის ქართული პოეზიის ზოგადი სურათის ფონზე, გაშუქებულია ამ პოეზიის ძირითადი თემები და მოტივები და დახასიათებულია მისი განვითარების მთავარი ეტაპები. მესამე წიგნში უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი წინა გამოკვლევებში მოცემული პრობლემატიკა, 20-იანი წლების ლიტერატურულ დაჯგუფებათა ესთეტიკური პრინციპები და ნაჩვენებია მათი მნიშვნელობა შემდგომი პერიოდის ქართული პოეზიის განვითარებაში.

ქიცა ხერხეულიძის დახასიათება არ იქნება სრული თუ არ გავიხსენებთ მის პიროვნულ თვისებებს, რაც უდაოდ წარმოადგენდა მაღალზნეობრივი ცხოვრების

მაგალითს. თავად სიკეთით სავსე სხვისი წარმატებითა და ბედნიერებით ხარობდა, იყო სხვათა ჭირისა თუ ლხინის თანამოზიარე. ღვთიური რწმენით ანთებულს შეეძლო გულმხურვალე ლოცვით ეცხოვრა, რაც იმ დროს, ათეიზმის ეპოქაში, ბევრისთვის უცხოც კი იყო. მახსოვს, გალაკტიონის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, აკაკი ხინთიბიძის ინიციატივით, ინსტიტუტის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი ყოველწლიურად ავდიოდით მთაწმინდის მწერალთა პანთეონში, პოეტის საფლავთან; შემდეგ ვბრუნდებოდით ბატონი აკაკის ბინაში და საგანგებოდ გაშლილ სუფრასთან იმართებოდა პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. ერთ-ერთ წელს პანთეონიდან უკან დაბრუნებისას მე და ქიცა სხვებს ჩამოვრჩით. როცა მონასტერს გავუსწორდით, ქიცა, თითქოს ხილვა ეწვია, უცებ შეჩერდა, ქუდი მოიხადა და ჯვრისკენ ხელაპყრობილმა ჩურჩულით ლოცვა დაიწყო, რაც რამდენიმე წუთს გაგრძელდა. მე, ხელი რომ არ შემეშალა, გვერდით მდგარ ნაძვის ბუჩქს მივეფარე, თუმცა იგი, რასაკვირველია, იმ დროს მე ვერც კი მამჩნევდა. როცა ლოცვას მორჩა, უჩვეულოდ გახარებულმა მიხმო და თავქვე დავეშვით.

ქიცა ტრადიციების მიმდევარი კაცი იყო როგორც ყოველდღიურ ყოფაში, ისე ლხინის დროსაც. იყო არა მარტო კარგი თამადა, არამედ საუცხოო მომლხენიც. უყვარდა ხალხური სიმღერები, ცეკვა და, რა თქმა უნდა, ითვლებოდა ჩინებულ დეკლამატორად. ამიტომაც ყოველთვის სასურველ სტუმარსა და თანამეინახეს წარმოადგენდა. დეკლამაციასთან დაკავშირებით მინდა ერთი შემთხვევა გავიხსენო. უკვე ბნელოდა, როცა ქიცა, ბენო დობორჯგინიძე, ვახტანგ ჭელიძე და მე დღევანდელი დავით აღმაშენებლის გამზირზე მაშინ არსებულ სასაუზმე „იმერეთიდან“ შექეიფიანებულნი ამოვედით. ქიცამ გვითხრა: აპოლონი აქვე, 25 თებერვლის ქუჩაზე ცხოვრობს, ცოტა ხნით შევუაროთო. დაუპატიჟებელი სტუმრები რამდენიმე წუთში უკვე ადგილზე ვიყავით. ქ-მა ლამარამ სუფრა გაშალა და ლხინიც გაჩაღდა. გაიმართა ლექსების კითხვა. ქიცამ გალაკტიონის „მზეო თიბათვისა“ ისე წაიკითხა, რომ ყველა აღტაცებაში მოვიდა. ტექსტი ფირზეც კი ჩავწერეთ და იქ ყოფნისას რამდენჯერმე მოვისმინეთ... ქიცამ გასაოცარი ინდივიდუალობით გააცოცხლა ამ დიდებული ლექსის იდუმალი შრეები, წარმოაჩინა ახალი ინტონაციები და გვაზიარა მანამდე შეუცნობ პოეტურ ქვეტექსტებს.

ქიცას გარს ეხვია მეგობართა ფართო წრე. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ანა კალანდაძესთან, მუხრან მაჭავარიანთან, ოთარ ჭელიძესთან... მუხრანი თამადა ყოფილა მის ოჯახში გამართული არაერთი ლხინისა.

ქიცა განსაკუთრებულად ამაყობდა თავისი ოჯახით, სამი ვაჟკაცით, რომელთაგან უფროსი — ბიძინა, სამწუხაროდ, რამდენიმე წელია ცოცხალი აღარაა. ქიცას და მის ოჯახს მეგობარი პოეტები ლექსებსაც კი უძღვნიდნენ. კერძოდ, მუხრან მაჭავარიანს გავიხსენებ ლექსით — „იყავ დღეგრძელი“:

შენი ოჯახი,
გრიგოლ ჩემო,
შენი ოჯახი,
სადაც ღუზღუზებს პოეზიის ცეცხლი მარადი...
ცოლიც რომ შენი ჭკუის შეგხვდა?!
მართლა, ყოჩაღ, შენ!
შენი ბიჭები: ერთი, ორი, სამი ვაჟკაცი,
ეგ, შენი ღვინო, —
ხან კახური,
ზოგჯერ მეგრული...
ჩვენ პოეტები, —
უწყლოდ მყოფნი პროზის ალყაში,

რაკილა შენი ოჯახია,
არ ვართ ბედკრულნი!
იყავ დღეგრძელი,
გაიხარონ შენმა ბიჭებმა!
თვით ქაშუეთი მეთანხმება,
მჯერა, ამაში...
გადასაჭრელი საკითხები, —
გადაიჭრება!
მადლობა დიდი
დედაშენს და ცნობილ მამაშენს“.

სულ ხალხში ტრიალებდა, თითქოს ვერ ძღებოდა მეგობართა და ახლობელთა სიყვარულით, ცდილობდა გაუტანელ წუთისოფელში ბოლომდე დახარჯულიყო. მისმა მეგობრობამ არ იცოდა დრო, მანძილი, ასაკი, ყველა თაობის წარმომადგენლებს საოცარი ძალით იზიდავდა და იახლოებდა. მაგონდება ასეთი ამბავი: რომელიღაც სამეცნიერო კონფერენცია გვიან დამთავრდა. გადაქანცულები და მშივრები, როგორც იქნა, დარბაზიდან გარეთ გამოვედით და სახლებისაკენ გამოვეშურეთ. ქიცა, ბორის დარჩია და მე ერთად გამოვუყევით გზას. მაშინ ინსტიტუტთან ახლოს, პეროვსკაიას ქუჩაზე ვცხოვრობდი. სოფლიდან ახლად ჩამოტანილი ალადასტურის ღვინო მქონდა და ორივეს შევთავაზე, რომ ჩემთან შემოევლოთ. ქიცა აღფრთოვანდა და ლექსად მითხრა:

„რასაც ამბობ, ჩემო გივო,
აღარ უნდა დასტური —
უნდა დავაჭაშნიკოთ
შენი ალადასტური“.

სახლში მარტო ვიყავი, ამიტომ „სამაიას“ ბაღში საუზმე ავიღეთ და სუფრაც გავშალეთ. ცოტა ხნის შემდეგ ქიცამ გვითხრა, რომ რამდენიმე წუთით დაგვტოვებდა და გარეთ გავიდა. მართლაც, მალე დაბრუნდა პოეტ ოთარ ჭელიძესთან ერთად. პურობა გაგრძელდა. უცებ ქიცამ გაიხსენა, დღეს ფილიპე ბერიძის დაბადების დღეაო და დასძინა, ქალაქში არ არის, ავჭალაშია, მეუღლის მზია კობერიძის მშობლებთან, ხოდა „თავს დავესხათო“. ოთარი და მე დაგვითანხმა, ბორისმა კი რაღაც მოიმიზეზა და უარი თქვა. არ დავიზარეთ, წავედით. ჩვენი მისვლა უზომოდ გაუხარდათ. კიდევ ერთი ლამაზი საღამო გვაჩუქა...

ქიცას მეუღლე, ქალბატონი ვენერა ყურადღებით იყო სტუმრებთან, ქიცასთვის ღვინო არ დაეძალებინათ, მაგრამ თუ სუფრაზე ამას ვინმე შეახსენებდა, სასაცილოდაც არ ყოფნიდა, უმალ გალაკტიონის ლექსს „ფედია ჩუდეცკის“ მიაშველებდა და განსაკუთრებული სიამოვნებით წარმოთქვამდა:

„იყო ღრმა ფილოსოფოსი,
სახელად ერქვა სპინოზა.
ის ქადაგებდა: რათა სომთ
ამდენს არაყს და ღვინოსა.
ეს რომ სიკვდილმა გაიგო,
სთქვა: ცოტა მამითმინოსა!
გამაუქროლა სპინოზას —
და მტვრად აქცია სპინოზა!

ესე ამბავი სახუმრო
სერიოზულზე მეტია.
რაც დღე დააკლდა სპინოზას —
შენ შაგემატოს, ფედია“.

რომან მიმინოშვილმა ექსპრომტიც კი შეთხზა:

„თუკი დავთმო ღვინო,
თუნდა არაყიცა,
ვიყო არა კაცი,
მერქვას არა ქიცა“.

თითქოს ენერგიული ცხოვრება გრძელდებოდა.

ქიცა ძველებურად გატაცებით ემსახურებოდა საყვარელ საქმეს: წერდა გამოკვლევებს, აქვეყნებდა ნაშრომებს, ამზადებდა ახალ მონოგრაფიას. თუმცა თავისუფალ დროს ძველებურად მეგობართა შორის ატარებდა, მაგრამ 1974 წელს ნაადრევად, მოულოდნელად შეწყდა მისი გულისცემა, წავიდა და თან გაიყოლა მრავალი კეთილი ფიქრი და ოცნება, ჩვენ კი, მის მეგობრებს დაგვიტოვა მწარე მოგონება იშვიათი ღირსების მქონე ადამიანსა და ჭეშმარიტ მამულიშვილზე.

გრიგოლ (ქიცა) ხერხეულიძე

ქართველი ფუტურისტები

1910 წელს ფრანგულ გაზეთ „ფიგაროში“ გამოქვეყნებული მანიფესტით მსოფლიოს ისედაც მრავალრიცხოვან მხატვრულ სკოლებს ფუტურიზმიც შეემატა. მანიფესტს ხელს აწერდნენ ახალგაზრდა იტალიელი პოეტები მარინეტის მეთაურობით. მათი პრეტენზია საკმაოზე დიდი იყო. არც მეტი არც ნაკლები, ისინი პოეზიაში რევოლუციის მოხდენას აპირებდნენ. ფუტურისტები ფიქრობდნენ, რომ მანამდე და იმჟამად არსებულმა შემოქმედებითმა მიმდინარეობებმა ვერ გაამართლეს თავიანთი დანიშნულება, დრო მოჭამეს, მოძველდა და ახალი დროის მოთხოვნილებებს ვეღარ აკმაყოფილებს არსებული პოეტური ხელოვნების ნორმები, მისი შინაარსი და ფორმა, ე. ი. საჭიროა პოეზიის ძირფესვიანი გადახალისება, სრულიად ახალი გამომსახველობითი ხერხების გამომუშავება და გამოყენება, ყოველივე ძველის უარყოფა და რაღაცა ახლის შექმნა იყო მათი დევიზი. მაგრამ როგორ და რა საშუალებებით? ამისათვის მათ მიზნად დაისახეს, უპირველეს ყოვლისა, არსებულისაგან ძირეულად განსხვავებული პოეტიკის შექმნა. ე.წ. ფორმალური პოეტიკა გახდა ფუტურიზმის საპროგრამო ლოზუნგი. იგი მოასწავებდა პოეტური ენის დეფორმაციას, დაშლასა და გადაგვარებას. ფორმალური პოეტიკა ანგარიშს არ უწევდა მხატვრული კონტექსტის შინაარსობრივ მხარეს, წინა პლანზე წამოსწევდა სიტყვის გარეგნულ, გრაფიკულ მონახაზს, აუცილებლად არ მიაჩნდა ცნებების ლოგიკურ–აზრობრივი ურთიერთდაკავშირება. შეიქმნა ე.წ. „ზაუმი“ — გონების მიღმა არსებული „პოეტური მეტყველება“, სადაც სიტყვები ერთმანეთთან შეუწყობლად, ყოველგვარი აზრის გარეშე იყვნენ განლაგებულნი. შედეგად ვღებულობდით არა ჩამოყალიბებულ მხატვრულ ნაწარმოებს, არამედ რაღაც გაუგებარ გამოთქმათა კონგლომერატს, რებუსად ქცეულ ფორმალისტურ ნაზავს. მაშასადამე, ხელოვენების ძირითადი დამახასიათებელი კომპონენტი, მხარტვრული სახის ფუნქცია, ფუტურისტულ ნაწარმოებში იგნორირებული, თითქმის ნულამდე იყო დაყვანილი.

საქართველოში ფუტურიზმი რუსეთის გზით შემოვიდა. სავსებით აშკარა იყო ჩვენს „მემარცხენეებზე“ რუსული ფუტურიზმისა და „ლეფის“ გავლენა. რუსეთში ფუტურისტული სკოლა რევოლუციამდე შეიქმნა (1914 წ.), ხოლო საქართველოში იგი გასაბჭოების შემდეგ ჩამოყალიბდა. ამიტომ, გასაგებია, სხვა იყო რუსი ფუტურისტების საწყისი პროგრამა და სხვა ქართველებისა. ქართული „მემარცხენეობის“ შემოქმედებითი პრინციპები უფრო რუსული ფუტურიზმის ახალი სახეობის — „ლეფის“ მხატვრულ კრედოს უკავშირდებოდა.

ფუტურიზმის ოფიციალური განაცხადი ქართულ მწერლობაში განეკუთვნება 1924 წელს, როცა გამოიცა ახალი ლიტერატურული ჟურნალი საკმაოდ უჩვეულო და უცნაური სახელწოდებით „H_2SO_4“. გოგირდმჟავას ფორმულის ემბლემად მიღება უკვე აშკარად მიანიშნებდა, რომ აღნიშნული ლიტერატურული გაერთიანება მიდიოდა თავისებურ შემოქმედებით გამოწვევაზე: სურდა არსებული ხელოვნების ქიმიური ანალიზისა და დაშლის გზით შეექმნა საკუთარი, სხვებისაგან მკვეთრად განსხვავებული იერსახე.

თეორიულად ამ დებულებებს ქართველი ფუტურისტები შემდეგნაირად ავითარებდნენ: „H_2SO_4“ გამოსვლით ქართული ხელოვნების არსებული პოზიციები დაირღვა. მომაკვდავ შკოლების ნარჩენმა თავი მოიყარა სქელტანიან საექსპლოატაციო ჟურნალებში... თ ა ნ ა დ რ ო უ ლ ო ბ ი ს კ ი ნ ე მ ა ტ ო გ რ ა ფ ი უ ლ გ ა დ ა ლ ა გ ე ბ ი ს დ ა ა ღ მ ო ჩ ე ნ ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა ა რ ი ს... კომუნისტურმა აღმშენებლობამ მოსპო ძველი ფსიქიკა, ჩვენ პარალელურად გვიხდებოდა დაგვეშალა ქართული შემოქმედების ანტირევოლუციონური ფორმულოვკა... რუსულ ფუტუ-

რიზმთან „H_2SO_4“ აერთებს მხოლოდ კომუნისტური სახელმწიფოებრივი გაგებიდან გამოსვლა!“.* პარალელურად საინტერესოა გავეცნოთ ნაწყვეტს „ლეფის“ განცხადებიდან: „В работе над укреплением завоеваний Октябрьской революции, укрепляя левое искусство, ЛЕФ будет агитировать искусство идеями коммуны, открывая искусству дорогу в завтра“** აქვე ბარემ გვინდა მოვიყვანოთ ერთი ამონაწერი ჟურნალ „მემარცხენეობიდანაც“: „მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ო ბ ა ს “ - ს მ ი ზ ა ნ - ს შ ე ა დ გ ე ნ ს ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ დ ე ს ნ ა მ დ ვ ი ლ ი მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა , გ ა ა ე რ თ ი ა ნ ო ს ა მ პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ი თ მ ო მ უ შ ა ვ ე ქ ა რ თ ვ ე ლ ი ხ ე ლ ო ვ ა ნ ნ ი დ ა ს ა ს ტ ი კ ი ბ რ ძ ო ლ ა გ ა მ ო უ ც ხ ა დ ო ს მ ე მ ა რ ჯ ვ ე ნ ე ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა ს . მეორე მხრივ გაუწიოს კონტროლი ყველა მემარცხენეობის სახელით შემოსულ კონტრაბანდას და გააერთიანოს მხოლოდ ის მუშაკები, რომელნიც ნამდვილ მემარცხენე პრინციპებით ასრულებენ სოციალურ დაკვეთას, რასაც მათ საბჭოთა საქართველო უყენებს“***.

ჩვენ შეუმცდარად შეგვიძლია დავადასტუროთ ზემომოყვანილი სამი ლიტერატურული დოკუმენტის საერთო მოდუსი და ხასიათი. ისინი ერთმანეთს ეხმაურებიან. ფუტურიზმი ჩემულობს რევოლუციური ეპოქის შესატყვის როლს; იგი მოწოდებულია ახლებური მხატვრული სიტყვით წინ გაუძღვეს სოციალიზმის მშენებელ ხალხს. რუსული ფუტურიზმის კვალობაზე, რომელიც ოქტომბრის მონაპოვართა დასამკვიდრებლად იბრძვის, ქართველ მწერალთა მემარცხენე რაზმი ასრულებს ახალი საქართველოს სოციალურ დაკვეთას, რაც თავისთავად, რასაკვირველია, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებითაა ნაკარნახევი. ფუტურიზმი მომავლის ხელოვნებაა, გამარჯვება ლიტერატურულ სკოლათა ურთიერთბრძოლაში მას დარჩება. აი ძირითადად, ის საერთო აზრი, რაც შეიძლება გამოვიტანოთ ციტირებული განცხადებებიდან.

აღნიშნული აზრის წინააღმდეგ ვის შეიძლებოდა რამე ჰქონოდა? ეს იყო პროგრესული და კეთილშობილური სურვილი, მაგრამ ის გზა და ხერხები, ფორმალური პოეტიკის საფუძველშივე მცდარი პრინციპები, რაც ქართულმა ლიტერატურულმა მემარცხენეობამ აირჩია თავისი შემოქმედებითი პროგრამის განსახორციელებლად, შეუძლებელს ხდიდა ამ გეგმის შესრულებას.

ქართული ფუტურიზმის ყველაზე თვალსაჩინო თეორეტიკოსი ბ. ჟღენტი შემდეგნაირად აყალიბებს ფორმალური პოეტიკის პრინციპს და მის სიცოცხლისუნარიანობას ახალ პოეზიაში: „გამოვალთ რა იმ დებულებიდან, რომ პოეზია იძლევა თავისთავად ღირებულ მხატვრულ ფაქტებს, ნათელი იქნება, რომ პოეზიაში არ შეიძლება გაირჩეს ფორმა და შინაარსი. ამის მაგიერ ახალმა პოეტიკამ იცის მასალა და ხერხი. მასალა, რომელიც არსებობს თავისთავად, სტილისტური ხერხების მეშვეობით ქმნის მხატვრულ ფაქტს, საკუთარი მხატვრული ფუნქციით. აქედან ცხადია, ფორმალური პოეტიკის ცნობილი ფორმულა: ხელოვნება არის ჯამი სტილისტურ ხერხებისა“.**** ადვილად მისახვედრია ამ მოსაზრების მიუღებელი ხასიათი, ხელოვნების ნაწარმოების მთავარი ფაქტორების, ფორმისა და შინაარსის უარყოფა და მისი შეცვლა სტილისტური ხერხების ჯამით. ამ საერთო დებულებით იყვნენ შეიარაღებულნი ჩვენი ფუტურისტები თავიანთ მხატვრულ პრაქტიკაში,

საილუსტრაციოდ საკმარისი იქნებოდა „H_2SO_4“-ის პირველი ნომრისათვის გადაგვეხედა, აქ ჩვენ შევხვდებით ცდებს თანადროულობის მოვლენების ფორმალური პოეტიკის ხერხებით ასახვისა. ავიღოთ, მაგალითად, ნიკოლოზ შენგელაიას ლექსი „მოხსენება პირველი“, წავიკითხოთ მისი ერთი ნაწილი:

---

* ჟურნ. „H_2SO_4“, თბ., 1924, №1 (მოწინავე).

** В.В. Маяковский. За что борется ЛЕФ?, том 2, М., 1939, 490.

*** ჟურნ. „მემარცხენეობა“, თბ., აპრილი, 1927, № 1, გვ. 3.

**** ბ. ჟღენტი, ფორმალიზმი და ხელოვნების კვლევის მეთოდოლოგიური პრობლემები, ჟურნ. „მნათობი“, თბ., 1926, №4, გვ. 170.

გულებში დასახლდა
ახალი ბედი,
სიყვარული ჩვენი
დედამიწას რომ აბრუნებს ღვედი
მანქანის ქშენით,
მუშშა
მუშშა
მუშშა
მუშშა
მუშა ამშენებელი გონება
მუშა რკინა ღონე და
მუშა პოეტი ორატორი
მუშა დიქტატორი
მუშას მუშტი
ურო
რომ აპობ ქონიან ღიპებს
და მირონცხებულ ჭიპებს.*

გვაძლევს თუ არა ამგვარი პოეტიკა ახალი ქვეყნის მშენებლის სახეს? ოდნავადაც არა, აქ არის ცალკეული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცნებების გროვა („მუშა“, „მუშა დიქტატორი“, „მუშის მუშტი“, „ურო“ და სხვ.) და არ არის მთლიანი მხატვრული სახე, რომელიც მკითხველში გამოიწვევდა ემოციურ დამოკიდებულებას საგნისადმი. ანდა, ამავე თვალთახედვით მივუდგეთ ს. ჩიქოვანის ერთ ადრინდელ ლექსს, რომელიც „გრდემლში“ დაიბეჭდა:

ფოლადის ყნოსვით
ანთებული ელექტრო ლამპებს
მთვარე ელანდება განაფითრები
მარქსის დოქტრინებით,
სახე მონარკინი
თუჯით ანალურჯი
ირეკს ფიგურები
სხივების ნარევს და
მიმდინარებს
ჟამი ნაჟანგი.**

არც ეს ლექსი გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ მასში ახალი ცხოვრების რაიმე ნიშანდობლივი სურათი დავინახოთ.

მაგრამ მივუბრუნდეთ „H_2SO_4“-ს. რას არ ვნახავთ აქ, გარდა ჭეშმარიტი ხელოვნებისა! ფუტურიზმი თავისი შემოქმედებითი პრინციპებით ეთვისება დადაიზმს, კონსტრუქტივიზმს და კუბიზმს. მათ ერთმანეთთან ანათესავებთ ნაწარმოების შინაარსობრივი დანიშნულების უგულებელყოფა და გარეგნული, გაუგებარი, უცნაური კონსტრუქციების პრიმატი. დავუკვირდეთ ჟანგო ღოღობერიძის ლექსების სათაურებს „პირდაპირ და შებრუნებულათ“, „ჟანგო დადა და ფაბრიკანტების კოალიცია“, „კომპოზიცია მეექვსე ბოძის“, ან ავიღოთ ერთი სტროფი მისივე ლექსიდან „თეორიები“.

* ნიკოლოზ შენგელაია, მოხსენება პირველი, ჟურნ. „H_2SO_4“ თბ., 19024, № 1.
** ს. ჩიქოვანი, დასავლეთი, ჟურნ.„ გრდემლი“, ქუთაისი, 1923, № 6.

ჟანგო ისე არღვევს საერთო წარმოდგენას
ბურთს რომ ფეხი გაკრათ ისიც მთლიანობაა
ჟანგო მოგიწოდებთ დაარღვიეთ მთლიანობა
ბურთი პოეზიის გულზე ჩამოკიდეთ
ფეხი გაკარით პოეზიას გული გაუსკდება.*

დადაიზმის მძლავრი გავლენა აქ სავსებით აშკარაა. ერთმანეთთან აზრობრივად დაუკავშირებელი, უცნაური და არაფრისმთქმელი სიტყვიერი კონსტრუქციებით სავსეა არა მარტო აღებული ჟურნალი და არა მარტო ჟ. ღოღობერიძის ნაწარმოებები, არამედ აღნიშნული ლიტერატურული ჯგუფის სხვა გამოცემები და სხვა პოეტების ლექსები. პ. ნოზაძე, აკ. ბელიაშვილი, შ. ალხაზიშვილი, ნ. ჩაჩავა, ბ. აბულაძე და სხვები თანაბრად სცოდავენ ამ მხრივ.

ვარ ნაღდი
როგორც იაგორას სასწორზე აწონილი
გირვანქა ხურმა,**

იკვეხის ა. ბელიაშვილი.

ავსტრალიაში მიდის პროპაგანდა
ჩემი ფეხების საჯარო ვაჭრობის
მე მინდა ვიყო ბორდოს თავადი
ან ინდოეთის ბოგდიხანი.***

— ეპასუხება მას ბ. აბულაძე.

სხვათა შორის დადაისტური გატაცებებით ურთიერთშეხვედრის წერტილს პოულობდნენ ქართველი ფუტურისტები და სიმბოლისტები. მოვიგონოთ, მაგალითად, ტ. ტაბიძის „დადაისტური მადრიგალი“ და სხვ.

ფუტურისტების გამოცემათა ზოგიერთი ფურცლიდან საერთოდ ვერაფერს ვერ გაიგებთ. ვითომცდა ეპოქისეული დინამიკის, მანქანათა ხმაურის, სივრცის განზომილებათა, ქიმიურ რეაქციათა, ოპტიკურ და აკუსტიკურ მოვლენათა შესატყვისად მათი ჟურნალ-გაზეთები აჭრელებულია ცნობიერებისათვის მიუწვდომელი ფრაზებით, მათემატიკური და ქიმიური ფორმულების მსგავსი განტოლებებით და მყვირალა ლოზუნგებით, როგორც, მაგალითად: პოეზია^2+ პოეტი=0; „ისტორიობგერა=სიტყვა ღირებულება“; ან „3 პოეზია^2+2 პოეტი=0, პოეზია^2+პოეტი=0, რის დამტკიცებაც გვინდოდა“.**** ან კიდევ გავიხსენოთ ფუტურისტების მიერ შექმნილი ტერმინოლოგია: „სიტყვის ქიმიური ლაბორატორია“, „ლიგვოტეხნიკა“, „სიტყვის ინჟენერია“, „სიტყვის ფაბრიკა „ოპტიო–აკუსტიკა“***** და სხვ..

ასეთს სიტყვაქმნადობასა თუ აკრობატიკას თავისი თეორიული დასაბუთება სჭირდებოდა და ფუტურისტები ამისთვისაც მზად იყვნენ. „ყოველი სიტყვა ჯერ ხმა არის, მერე შინაარსი, — წერდა შ. ალხაზიშვილი, — ამიტომ ყოველი სიტყვა მისაღებია ინდივიდუალურად. მაგალითად ჩემთვის სიტყვა „ოფლი“ უფრო ლამაზია ვიდრე „ვარდი“. აზრი, იდეა, შინაარსი მეორე ხარისხის ეკვივალენტია“.****** ეს ისევ ფორმალური პოეტიკის რეციდივია, ისევ მხატვრული ნაწარმოების, როგორც შინაარსმოკლებული კატეგორიის მცდარი ქადაგებაა. ფუტურისტების პრეტენზია — პოეზიაში შინაარსის ხარჯზე ფორმალურ–სტილისტური ხერხების წინ წამოწე-

* ჟანგო ღოღობერიძე, თეორიები, ჟურნ. „H_2SO_4“., თბ. 1924.
** ა. ბელიაშვილი, XXX, ლიტერტურა და სხვა, თბ., 1924–25, № 1.
*** ბიძინა აბულაძე, მოგზაურობა, ჟურნ. „H_2SO_4“., თბ., 19024, № 1.
**** ბიძინა აბულაძე, მოგზაურობა ჟურნ. „H_2SO_4“, თბ., 1924, № 1.
***** შალვა ალხაზიშვილი, პოეზია, ლიტერატურა და სხვა, თბ., 1924–25, № 1, გვ. 61.
****** შალვა ალხაზიშვილი, პოეზია, ლიტერატურა და სხვა, თბ., 1924–25, № 1, გვ. 61.

ვისა — ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას, რამდენადაც აზრთან ერთად მათი ნაწარმოებების არც ფორმაა გასაგები და მიმზიდველი.

საქმეს უფრო ართულებს „ზაუმი“, რაც რუსულ ფუტურიზმში გამოვლინდა თავისი „კლასიკური“ სახით (ხლებნიკოვი, კრუჩონიხინი). მართალია, „ზაუმი“ ლექსიკის ორკესტრირებას ემყარება და შედარებით უფრო მსუბუქი წყობით ხასიათდება, მაგრამ თვით ეს ორკესტრირება მოჩვენებითია, სიტყვათა შეთანხმება შემთხვევითი და უაზრო, რაც გონების მიღმა კატეგორიას უფრო განეკუთვნება. პოეზიის ამგვარ მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ნ. ჩაჩავას ლექსი „ღერო და ღერძი“:

ღერო მღეროდა,
ღერო ღერძი და...
გაზანგულ ზურგზე
ოქროს ვერძი დევს.
ვერძი ძუძუს სძოვს,
ვერძი ვერძს ზრდიდა.
ღეროს სიმღერას
ღერძი ვერ ზიდავს“.*

მიუხედავად მეტრულ-რიტმული სიმწყობრისა და ალიტერაციული ბგერადობისა, ამ სტრიქონებში რაიმე შინაარსის ამოკითხვა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რადგანაც აქ სუფთა თვითმიზნურ-ფორმალისტურ ვარჯიშთან გვაქვს საქმე.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ფუტურისტები შემოქმედებითს ნათესაობას პოულობდნენ ხელოვნების სხვა დარგებთან და ფორმალური პოეტიკისა და „ზაუმის“ თვისებებს ნახულობდნენ კონსტრუქტიულ და კუბისტურ მხატვრობაში. შემთხვევითი არ იყო, რომ ქართველ ფუტურისტთა გაერთიანების წევრები იყვნენ მხატვრები, ირაკლი გამრეკელი და ბენო გორდეზიანი, რომელთა ნამუშევრების რეპროდუქციები დაიბეჭდა „H_2SO_4“-ში. ერთ-ერთ სტატიაში აღნიშნული საკითხის თაობაზე ჟ. ღოღობე-რიძე ასე ავითარებს თავის აზრს: „არსებობს შემოქმედება „ზაუმ“, რომელიც არ ეძებს ახალ სიტყვებს. უმთავრესად ეყრდნობა მხატვრობას და ნივთების გადალაგებას... მხატვარ გამრეკელის სურათში „მე და ცირკში“ მ ე მ ო ძ რ ა ო ბ ა მ ე ს მ ი ს დ ა ვ ხ ე დ ა ვ ხ მ ა ს. სივრცე ჯამბაზსა და მხატვარს შორის შემოკლებული, დაყვანილი ფორმების შენაერთებამდე იგივეა, რაც „ზაუმ“, რომელიც გრაფიკამდე მიდის“.** კუბისტურ-კონსტრუქტივისტული გრაფიკისა და „ზაუმის“ დაკავშირება, მართლაც, შეიძლება ხერხდებოდეს, მათი უსაზღვრო პირობითობის გამო, კრიტიკოსის ნათქვამი, რომ მას გამრეკელის სურათში მოძრაობა ესმის და ხედავს ხმას, უეჭველად საყურადღებოა, მაგრამ იგი ვერ ითვალისწინებს. მხატვრობასა და პოეზიას შორის წყალგამყოფ საზღვარს, რაც ლესინგს აქვს დადგენილი*** და წინასწარ შემუშავებული აზრისა თუ სურვილის გამო, უკიდურესობაში ვარდება.

ჩვენი ფუტურისტების მხატვრულ ნაწარმოებებში ძალაუნებურად მოწმენი ვხდებით ქართული ლექსის დეფორმაციისა, როგორც შინაარსის, ისე მხატვრულობის მხრივ, როცა იშლება საზღვრები პოეზიასა და პროზას შორის. ამ ლექსების იდეურ-მხატვრული გააზრება ვერ პასუხობს იმ შემოქმედებითს პროგრამას, რაც მემარცხენეობამ დაისახა საქართველოს ახალი ცხოვრების ესთეტიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს „ლეფის“ ერთ-ერთი განცხადება, რომელსაც ხელს აწერენ ვ. მაიაკოვსკი და ო. ბრიკი. აი, ერთი ადგილი ამ განცხადებიდან: „Мы не хотим знать различья между поэзией, прозой и практическим языком. Мы знаем единный материал слова и пускаем его в сегодняшнюю обработку“.****

---

* ნიკოლოზ ჩაჩავა, ღერო და ღერძი, ჟურნ. „დროული“, თბ., 1926, № 3.

** ჟანგო ღოღობერიძე, მზადება... ჟურნ. „H_2SO_4“, თბ., 1924, № 1, გვ. 22.

*** Лессинг, Лаокоон..., М., 1957.

**** В.В. Маяковский, том 2, М., 1939, с. 498.

ყოველივე ზემოთქმულს თუ გავითვალისწინებთ, საკვირველად მოგვეჩვენება ქართველი ფუტურისტების განცხადება: „ჩვენი დადა, ფუტურიზმი და კონსტრუკტივიზმი იხსნება, სრული რევოლუციონური და კომუნისტური აღმშენებლობითი საწყისით“.*

ჩვენ განგებ ბოლოსთვის შემოვიტოვეთ სიმონ ჩიქოვანი — ქართული ფუტურიზმის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი და მეთაური, შემდგომში გამოჩენილი საბჭოთა პოეტი. ჩვენი ასეთი გადაწყვეტილება ემყარება იმ თვალსაზრისს, რომ ს. ჩიქოვანის ოციანი წლების ლირიკის განხილვა ნიშნავს ქართული ფუტურისტული პოეზიის შეფასებას საერთოდ, რამდენადაც ს. ჩიქოვანის ლექსებში სრული თვალსაჩინოებით მოჩანს აღნიშნული პოეტური სკოლის სახე, მისი ნაკლოვანებანი და ღირსებაც.

დავიწყოთ იქიდან, რომ ერთ-ერთი თავისი პირველი ლექსი ს. ჩიქოვანმა გამოაქვეყნა პროლეტმწერალთა ასოციაციის ორგანო „გრდემლში“. ამ ფაქტით გამოწვეული გაკვირვება ლექსის წაკითხვისთანავე ნელდება, რადგანაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს ნაწარმოები თავისი შესრულების მანერით ფუტურისტული მხატვრული აზროვნების მაგალითს წარმოადგენს, ეს იყო ერთ-ერთი სიმპტომი პოეტის შემოქმედებითი გატაცებისა და მართლაც, ლიტერატურული მემარცხენეობის ჩამოყალიბების შემდეგ, რაშიაც ს. ჩიქოვანს ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორული როლი მიუძღვის, უფრო გაღრმავდა აღნიშნული ტენდენცია მის პოეზიაში, „H_2SO_4“-ის პირველსავე ნომერში მოთავსებული მისი ორივე ლექსი („სანაპირო სიმღერა „ხაბო“ და რომანტიული პლაკატი“) და საპროგრამო სტატია („პროექტი ახალი კრეისერის“) მოწმობს მათი ავტორის მიერ არჩეულ შემოქმედებითს გზას, რაც ფუტურიზმისა და დადაიზმის თავისებურ შენაერთს წარმოადგენს. „რომანტიული პლაკატის“ ერთი ადგილის დამოწმებაც კი დაგვაჯერებს დადაისტური მხატვრული მეტყველების გავლენის ძალას.

კრახმალის გრძნობას დაარქმევთ ამ ლექსს უგემურს
ბანალური რომანტიზმი ბარგათ გადამაქვს
შეძლება გექნეთ გამოცვალოთ გრაფიკა სტრიქონის
აგებულ ასოების ქვეშ
დარჩება ჩრდილი რეზინის.**

ხოლო „სანაპირო სიმღერა „ხაბო“ „ზაუმისა“ და „დადას“ სანიმუშო შენაზავია:

მეკობრეებს ხიფათს აბრუებს ხაბო
ხარბი აბრეშუმის ხორგი ხაბო,
რაგუ ხრეში ხარდინგი ხაბო
ბობოლი ბეგო ოფოფი ხაბო
აქლემები იალქაგარებს მიბღავის
იალქაგარი აგარებს დახევს.
იალქაგარი დორდო შორეულ ხაბოს
იალქაგარი ღრევა და ჩაფი
შორს ნიჩაბები ტალღებს მიაპობს.***

მაგრამ როცა ს. ჩიქოვანის „ზაუმურ“ ლექსებზე ვმსჯელობთ, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ისეთ ცნობილ ნაწარმოებს, როგორიცაა „ცირა“, რომელიც გამოირჩევა თავისი მსუბუქი ორკესტრალობით:

* ჟურნ. „H_2SO_4“, თბ., 1924, № 1 (მოწინავე).
** სიმონ ჩიქოვანი, რომანტიკული პლაკატი, ჟურნ. „H_2SO_4“, თბ. 1924. № 1.
*** სიმონ ჩიქოვანი, სანაპირო სიმღერა „ხაბო“, მხოლოდ ლექსები, თბ., 1930, გვ. 151.

ბაიდე ბაიდებს
ბუდე ბაიდებს
ცირა მუხლებზე გულფილტვს დაიდებს
აიდა-ბაიდებს, აიდო ბაიდებს
ცირა ციბა, ცირა წარბი ცირა წაბლი წარბენილი
უდე ბუდე
უდევს ბადე
და ბაიდებს
ობადები აბადია.*

მუსიკალური ეფექტი აქ მართლაც ფაქტია, მაგრამ ესაა უშინაარსო მუსიკა. ესეც უნდა ითქვას, ს. ჩიქოვანის „ზაუმი“ მასალას ხალხურ მეტყველებაში ნახულობს. პოეტი ახდენს ქართული ხალხური, განსაკუთრებით, მეგრული, გამოთქმების თავისებურ ვარირებას და უპირატესად ამ გზით ჰქმნის „ზაუმურ“ კონტექსტებს. საინტერესოა, რომ თავისი ამგვარი გატაცება თვით ავტორმა ორკესტრალობის მოტივით გაამართლა, როცა „ზაუმური“ ლექსების ციკლს „ორკესტრული ლექსალობა“ დაარქვა.

საბედნიეროდ, შემოქმედებითი ბურუსი ს. ჩიქოვანის პოეზიაში დიდხანს არ გაგრძელებულა. მალევე მის ლექსებში, ფუტურისტული გადმონაშთის პარალელურად, ჩნდება რეალისტური ელემენტი, რაც თანამიმდევრულად ვითარდება და სდევნის ძველ განწყობილებასა და წარმოსახვის ხერხებს. ამ მონაკვეთს განეკუთვნება ლექსები: „ჩემი სიტყვა ჩემს შესახებ“, „მიძღვნა ახალ პოეტებს“, „ძველ პოეტს“, „გაბაასება ახალ მკითხველთან“, „ჩადრი“, „მუშათა კლუბი საფრთხეშია“, „მოწოდება“. „ოქტომბრიდან ოცდაშვიდამდე“, „ხალხური“, „მყინვარი“ და სხვ. ამ ნაწარმოებების კითხვის დროს ცხადად ვგრძნობთ თუ როგორ ებრძვის ფუტურიზმს ახალი ტენდენცია, თუ როგორი თანდათანობით იხვეწება პოეტური მეტყველება. „მე მინდა სულის და ხასიათის ძირეულად გამობრუნება“ — აცხადებს პოეტი, ან „მე ფუტურიზმი, ბრძოლა, კივილი, რევოლუციის ძარღვების ნაშთი; ძირს ჩამოსული მწერლის კიბიდან პროლეტარების სიღრმეში გავჩნდი“.** ამ ლექსების როგორც თემატიკას, ისე მხატვრულ ლექსიკას აშკარად ატყვია ვ. მაიაკოვსკის გავლენა. გავიხსენოთ თუნდაც „მოსკოვი დიდი, კრემლი დგება მაიაკოვსკივით“. აქ მარტო მაიაკოვსკის ხსენებაში არ არის საქმე, არამედ მთავარია შედარების, სახის შექმნის პრინციპი. როგორც ითქვა, ს. ჩიქოვანის პოეტური სიტყვა აშკარად დაწმენდისა და რეალიზმის გზით მიდის. საილუსტრაციოდ ავიღოთ, თუნდაც „მგზავრის სიმღერა“, რომელიც 1927 წელსაა დაწერილი:

მომნდომებიხარ, მომგონებია
ლერწმებ აწვდილი შენი სხეული
ეს ვაგონებიც მონგოლებია
და მე მგზავრი ვარ შენგან წყეული.
ალბათ ვიქნებით სადგურში დროზე
ჩაქვრენ მინდვრებში ჩრდილნი მთებისა;
შენზე ვიფიქრო თუ სამშობლოზე
გამხადე ღირსი ყურადღებისა.***

ძვრები შეინიშნებოდა ქართული ფუტურიზმის სხვა წარმომადგენელთა ლირიკაშიც. ნელ-ნელა მათს ლექსებში სუსტდება ძველი გავლენა, „ზაუმი“, იჭრება ახალი თემები, ხალხური კილო, ხალხური ინტონაციები:

* სიმონ ჩიქოვანი, სანაპირო სიმღერა „ხაბო“, მხოლოდ ლექსები, თბ., 1930, გვ. 151.
** სიმონ ჩიქოვანი, გაბაასება ახალ მკითხველთან, ლექსები, თბ., 1934, გვ. 33.
*** სიმონ ჩიქოვანი, მგზავრის სიმღერა, ჟურნ. ქართული მწერლობა, თბ., 1928, № 2-3.

ფარა უყვარდა ჯაფარას
ფარა ფრთამარილისაო,
თოლი თოლს მისცა საფარად,
გული რქით ამოგლისაო.*

ესაა ერთი სტროფი ნ. ჩაჩავას ლექსიდან „ჯაფარა“, სადაც გარკვეულად მოჩანს ფუტურიზმის, როგორც მხატვრული მეტყველების სტილის, უარყოფა.

მიუხედავდად იმისა, რომ ფორმალური პოეტიკა უარყოფდა მხატვრული სახის განმსაზღვრელ მნიშვნელობას ლიტერატურულ ნაწარმოებში, მემარცხენეთა ლექსებში მაინც შევხვდებით ზოგიერთ საინტერესო პოეტურ სახეს, როგორც, მაგალითად, „ვარსკვლავები ყრია ღამის ჯიბეში“, „და ჩემი მხრები შენი ტრფობით ჩამოთოვლილი“ (ს. ჩიქოვანი); „მზე გაცივდა მთაზე ავად და ახველებს ჯიხვის რქაზე“ (ნ. შენგელაია); ანდა: ჟ. ღოღობერიძის ორიგინალური მეტაფორა — „ცხენის სირბილიდან ქუჩა დაიბადა“, რომელსაც ფუტურისტები რეკლამას უკეთებდნენ.

დავასკვნით, ქართველი ფუტურისტების ლიტერატურული გაერთიანება ვერ ამართლებდა თავის მიზანდასახულებას — ყოფილიყო ახალი ყოფის, სოციალისტური აღმშენებლობის მხატვრულად ამსახველი და პროპაგანდისტი. ამაში მას ხელს უშლიდა ფორმალური პოეტიკის მიჩნევა მხატვრულ-შემოქმედებით პრინციპად და ჯგუფური კარჩაკეტილობა.

* ნ. ჩაჩავა, ჯაფარა, ჟურნ. ქართული მწერლობა, თბ., 1926; № 1.

მანანა კვაჭანტირაძე

ახალი სამეცნიერო კრებული მოდერნიზმისა და რეალიზმის შესახებ

სამეცნიერო კრებული, რომელზედაც ამ წერილში გვექნება საუბარი და რომელიც მიხეილ ჯავახიშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის 130 წლისთავს ეძღვნება, თემატურია. თემა კრებულის სათაურშივეა მითითებული: „ქართული ლიტერატურა მოდერნიზმისა და რეალიზმის მიჯნაზე“. მოგეხსენებათ, მიჯნის საკითხი ყოველთვის პრობლემურია და ამდენად, წინამდებარე გამოცემაც ასახავს იმ სირთულეებსა და მრავალფეროვნებას, რომელსაც პრობლემა წამოჭრის. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ კრებულის მცირე მოცულობის მიუხედავად, ავტორთა ჯგუფმა წარმატებით გაართვა თავი დასახულ ამოცანას — წარმოდგენილი კვლევები ღრმაა და მრავალფეროვანი, განსხვავებული მიმართებების, პრობლემებისა და სიახლეების შემცველი.

მოგეხსენებათ, მიხეილ ჯავახიშვილიცა და ნიკო ლორთქიფანიძეც რეალიზმისა და მოდერნიზმის მიჯნაზე მოღვაწეობდნენ. აქ მიჯნა ლიტერატურული პროცესის მხოლოდ ისტორიულ- ქრონოლოგიურ ასპექტს არ გულისხმობს, უფრო მნიშვნელოვანი ესთეტურ-მსოფლმხედველობრივი გადასასვლელია. ქართული ლიტმცოდნეობის ტრადიციული შეფასებით, მიხეილ ჯავახიშვილი რეალისტია, ნიკო ლორთქიფანიძე იმპრესიონისტადაა აღიარებული. როგორც კრებულში წარმოდგენილი წერილების კონკრეტული შინაარსი, ისე მისი კარგად გააზრებული კონცეპტუალური ფონი წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ რა პრობლემების წინაშე იდგა ზოგადად ქართული მწერლობა და კონკრეტულად, ახალი დროის ეს ორი გამოჩენილი პროზაიკოსი XX საუკუნის პირველ ათწლეულებში, როგორც პოლიტიკურ-იდეოლოგიური, ისე კულტურული და ესთეტიკური თვალსაზრისით და რა ახალი პრობლემების ფონზე კითხულობს და აანალიზებს მათ შემოქმედებას თანამედროვე ლიტმცოდნეობა.

ამ პრობლემების სიღრმეში მკითხველს მიუძღვება კრებულის პირველივე წერილი ბელა წიფურიას ავტორობით — „მოდერნისტული გამოცდილება საქართველოში“ და ასრულებს ირმა რატიანის თეორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათის კვლევა „ტექსტის ინტერპრეტაციული შესაძლებლობები. მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“. ამ ორ წერილს შორის არსებულ რეცეპციულ სივრცეში მოთავსებულია მე-20 ს-ის ორი კლასიკოსი ბელეტრისტის მიხეილ ჯავახიშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედების ცალკეული ასპექტები, დასმული მიჯნის პრობლემის ფონზე. იმისათვის, რომ ზოგადი წარმოდგენა მაინც შეგვექმნას კრებულზე და ვუპასუხოთ კითხვას, რა გაკეთდა ახალი და მნიშვნელოვანი ამ კრებულით ჩვენს ლიტმცოდნეობაში, რით შეივსო და რა გაცხადდა ამ, ანალიტიკური ხარისხის თვალსაზრისით, საკმაოდ საყურადღებო გამოცემით, მივყვეთ თანმიმდევრობით.

ბელა წიფურიას წერილი საგულისხმო კულტუროლოგიური აქცენტებითაა დატვირთული. მისი მოსაზრებით, აღნიშნულ პერიოდში ხდება „ქართული კულტურის დასავლურ გამოცდილებასთან სინქრონიზაცია“, „ავტორები აშკარად გამოხატავენ ინტერესს არა რუსული, არამედ საკუთრივ დასავლური კულტურული სივრცისადმი“. რამდენადაც საკითხს ვიცნობ, ვგონებ, ეს უკანასკნელი მოსაზრება პირველადაა მოწოდებული ასეთი მკაფიო მახვილით. იგი გამყარებულია მოდერნისტებამდელ ქართველ მწერალთა შემოქმედებითი გამოცდილებით და მკვლევრის აზრით, გამოხატავს შემოქმედებითი ცნობიერების ანტიკოლონიალურ სულისკვეთებას — დაუპირისპირდეს რუსეთის კულტურულ ცენტრად აღიარების ტენდენციას უკვე XIX საუკუნეში, უკვე ილიას „მგზავრის წერილებში“ (ფრაგთან შეხვედრის ეპიზოდი). ამ ტრადიციით ზურგგამაგრებულები, ქართველი მოდერნისტები იმპერიულ მითს

რუსეთის კულტურული უპირატესობის შესახებ უპირისპირებენ ახალ მოდელს, რომლის თანახმადაც ცენტრად უკვე ქართული კულტურაა აღიარებული, რაც „რეალობად იქცევა საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში". თბილისი გვევლინება „ასტრალურ ისრად", „რუსი მოდერნისტების თავშესაფრად", „აღთქმულ ქვეყნად" (ოსიპ მანდელშტამი). წერილში გამოთქმული არაერთი საინტერესო მოსაზრება შესაძლებლობას გვაძლევს განსხვავებული კუთხით შევხედოთ ქართულ მწერლობაში გაჟღერებულ, ნაციონალური იდენტობის ახალ ვერსიებს, თვით „ქართული მესიანიზმის" იდეასაც, რაც, მკვლევრის აზრით, აიხსნება ევროპეიზაციის პროცესის გარდაუვალობის ფონზე ნაციონალური კულტურული სახის გაცნობიერების სურვილით, უფრო ზუსტად კი — ევროპული კულტურის წინაშე მტკიცე პოზიციის მოპოვების განზრახვით. მიუხედავად იმისა, რომ ქ-ნ ბელას წერილი ზოგადკულტუროლოგიური და ლიტმცოდნეობრითი ხასიათისაა და ჩვენს იუბილარებზე კონკრეტულად არ ჩერდება, იგი მკაფიო წარმოდგენას იძლევა კონტქსტზე და შესაძლებლობას გვაძლევს კვლევა გავაგრძელოთ რიგი ჯერაც შეუსწავლელი კონცეპტების მიმართულებით მიხეილ ჯავახიშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში, მაგალითად, აღმოსავლურ-დასავლური კულტურის სინთეზი თავისი ქართულ-კავკასიური სპეციფიკით, თბილისური ტექსტი და ქალაქური კონტექსტი, საქართველოს კულტურული მისია, ეროვნული და კულტურული იდენტობის პრობლემა და მრავალი სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ბ. წიფურიას მოსაზრებით, „მოდერნიზმი იმ პერიოდის საქართველოში ნამდვილად არის დომინანტური სტილი", თამაზ ვასაძე თავის წერილში „სულიერების პირველუჯრედი" სწორედ ტრადიციულ, სულიერი და სოციალური თვალსაზრისით უმაღლესი ღირებულების კონცეფტს — ოჯახს — იკვლევს ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში. დამეთანხმებით, ჩვენს ლიტმცოდნეობაში ეს თემა ჯერჯერობით თითქმის ხელდაუკარებელია და თ. ვასაძის ეს არჩევანი მით უფრო დასაფასებელია, რომ, დამკვიდრებული შეხედულებით, მოდერნისტული კონტექსტი ტრადიციული ღირებულებებისათვის არახელშემყობი კონტექსტია. ბ-ნ თამაზს აინტერესებს ამ მტკივნეული თემის კონტრასტული მსოფლმხედველობრივ-სტილური გადაწყვეტები ორივე მწერალთან, ერთთან — იმპრესიონისტული, მეორესთან — „მწარე სკეპტიკური ტონალობით, დაუნდობელი სარკაზმით" გაჯერებული რეალისტური შემოქმედებითი მეთოდით შესრულებული.

მაია ჯალიაშვილი განიხილავს „მიხეილ ჯავახიშვილის ნეორეალიზმს, როგორც მოდერნიზმის ალტერნატივას". მიხ. ჯავახიშვილის წერილებიდან ცნობილია, რომ საკუთარ სამწერლო გზას იგი ნეორეალიზმად მოიხსენიებდა. ამდენად, თითქოს არაფერია მოულოდნელი და საკამათო იმაში, რომ მისი შემოქმედების განმსაზღვრელ მეთოდად ნეორეალიზმი მივიჩნიოთ, თუმცა, აქ არის ერთი „მაგრამ", რომელიც „ნეორეალიზმის, როგორც მოდერნიზმის ალტერნატივის" თეზის მიმართ დამატებით კითხვებს ბადებს: მოდერნიზმი ხომ თავის არადეკადენტურ გამოვლინებაში, სწორედ რაციონალიზმით დაუძლურებული ევროპული ცნობიერების განკურნებას ისახავდა მიზნად, სწორედ „უძვლო და უსისხლო სხეულის" გაჯანსაღებას, სასიცოცხლო ინსტინქტებთან, ყოფიერების პირველქმნილ ძალებთან, მითთან მიბრუნებას. ვფიქრობთ, ასეთი მოდერნიზმი ვერ იქნებოდა მ. ჯავახიშვილის რეალიზმის ალტერნატივა. იგი უთუოდ შედიოდა ნეორეალიზმის მწერლისეულ გაგებაში. მიხეილ ჯავახიშვილი რეალისტი იყო, გნებავთ, ნეორეალისტი (თავსასრთი „ნეო" აქ უფრო რეალიზმიდან ახალ სივრცეში „გასვლაზე" მიგვანიშნებს და არა ალტერნატიულობაზე), თავისი დიდი ერთგულებით ხილული და გრძნობადი რეალობისადმი, მისი მრავალგვარი გამოვლინებისადმი, მათ შორის ფსიქიკის სიღრმისეული შრეებისა და კონკრეტულად, არაცნობიერისადმი, მაგრამ,ვიმეორებთ, იგი ვერ იქნებოდა მოდერნიზმის იმგვარი გაგების ალტერნატივა, ზემოთ რომ ვახსნეთ. თავისთავად, ქ-ნი მაიას მიერ წამოჭრილი საკითხი ძალზე საინტერესოა. ვნახოთ, რა არგუმენტებს

შემოგვთავაზებენ სხვა მკვლევრები ამასთან დაკავშირებით.

„კერია–მიწა–მამული–სამყარო“ — ასეთ მოდელში უყრის თავს ინგა მილორავა ნიკო ლორთქიფანიძისეულ ყოფიერების აღქმასა და გამოსახვის თავისებურებებს. ამ სივრცული მოდელის საფუძველში დევს სამშობლოს, როგორც უმაღლესი მიღმური იდეის ხილული სახის კონცეფცია და მას მყარი ცენტრიდანული სტრუქტურა აქვს: ცენტრი—წერტილი—კერია. ინგა მილორავას კარგად მიგნებული ანალოგია სამყაროს წარმომშობის ე. წ. „აფეთქების თეორიასთან“ წარმოდგენას გვაძლევს იმ სულიერი ენერგიის შემდგომ მოძრაობაზე, უსასრულო განფენილობაზე, რომელიც კერიის ქვაშია კონცენტრირებული, ხოლო იქ, სადაც ინგრევა საწყისი წერტილი-კერია, სულიერი მოძრაობა წყდება და ქ-ნ ინგას აზრით, იშლება შემდეგი შრეც — მამული. წერილში იგრძნობა მასალის ფაქიზი აღქმა და მისი ინტელექტუალური ტრანსფორმაციის კარგი უნარი.

„მწერალი უპირველეს ყოვლისა ვალშია თავისი დროის წინაშე“ — წერდა მიხეილ ჯავახიშვილი. დროს მიმართ ეს გამძაფრებული პასუხისმგებლობა, გარკვეულწილად, ხსნის მწერლის ინტერესს ტრიქსტერის მიმართ. ტრიქსტერი (ინგლ.) — მოხერხებული, გაიძვერა, ილუზიონისტი, ფლიდი, ავანტიურისტი და თაღლითი — XX საუკუნის კულტუროლოგიასა და ფილოსოფიაში აღიარებულია მსოფლიო კულტურის ერთ-ერთ ძირითად პერსონაჟად. ჩემი, როგორც მკვლევარის ინტერესი მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ მიმართ სწორედ ტრიქსტერის ტიპისადმი მწერლისა და თვით იმდროინდელი სოციოკულტურული გარემოს განსაკუთრებულმა ინტერესმა განსაზღვრა. ჩანს, მწერალი ბევრს ფიქრობს მომავალზე, ცდილობს გაარკვიოს, რა სჭირდება საზოგადოებას, გრძნობს ეპოქათა გზაჯვარედინს, როცა წესრიგს, სისტემას ქაოსი ენაცვლება და ღირებულებები აზრს კარგავენ, როცა ცხოვრება ტრაგიკომიკურ ელფერს იძენს და დეფორმირებული სინამდვილე გროტესკული პროფილით იმზირება. ამ დროს სცენაზე გამოდის ტრიქსტერი — ფარისის მთავარი პერსონაჟი და გმირის მანტიით იმოსება. რას ეუბნება ეს რომანი თანამედროვე მკითხველს, როგორია ტრიქსტერის აღქმა გლობალურ მსოფლიოში, ტრავესტულ დროში, ანუ XX ს-ის ისტორიულ მონაკვეთზე? „დღევანდელ ეპოქას სული არა აქვს და თუ აქვს, მძულვარებაა მისი სახელი“ — ეს მიხეილ ჯავახიშვილის დასკვნაა. ამ ფონზე კვაჭიც უსულოა. არასოდეს ეძებს თანაგრძნობას — მხოლოდ გამოსავალს, არავინ უყვარს — მხოლოდ იყენებს. არასდროს არაფერს ნანობს იმის გარდა, რაც და ვინც ვერ გამოიყენა, ვერ „გააიმასქნა“, ვერ აცდუნა და გააბრიყვა. პარადოქსია, მაგრამ ტრიქსტერი სწორედ სოციოკულტურული ქაოსის წყალობით იკვრება და ძლიერდება. სოციალურად, ზნეობრივად, ინტელექტუალურად უსახო და ამორფული, კვაჭი ყოველ დაბრკოლებაზე „გაშტიკინდება“ ხოლმე. იგი მოქმედია — უმოქმედოთა შორის, მოძრავია — უმოძრაოთა შორის, გადაწყვეტილების უყოყმანოდ მიმღებია, — დაეჭვებულთა შორის. ტრიქსტერი პარადოქსია, მაგრამ პარადოქსული ეპოქისთვის ის გმირი და დემიურგია. მწერალი თხზავდა ანტიგმირს, რათა გმირი შეეხსენებინა საზოგადოებისათვის, რაინდობის დაკარგული იდეალის სიმძაფრე და ხსოვნა გამოეწვია ქართველებში. ის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მისთვის ეს ამოცანა, უბის წიგნაკში აქვს ჩანიშნული: „ვინც ვაჟკაცია, გამოკვლევა დაწეროს ამ თემაზე: ვაჟკაცობის კულტი ქართულ მწერლობაში და ხალხურ პოეზიაში. ეს დედაღერძი უნდა აღსდგეს, თორემ სულ დავიღუპებით“. ცხადია, გმირთა შექმნა ფსევდოგმირების ეპოქაში ძალზე სარისკო საქმე იყო (მხატვრული დამაჯერებლობის თვალსაზრისით). თუკი ნიკო ლორთქიფანიძე რაინდის ხსოვნას ისტორიულ სურათებში აცოცხლებდა, მიხ. ჯავახიშვილმა შექმნა ტრიქსტერი და მისი მეშვეობით შეეცადა დაკარგული იდეალი შეეხსენებინა საზოგადოებისათვის. მისი სატირა დროზეა დამიზნებული, პირდაპირ უყურებს დროის მახინჯ სახეს, კვაჭის სიცოცხლისუარიანობას და გავრცელების საშიშ მასშტაბებს, საზოგადოების ყველა ფენის თაღლითურ სულისკვეთებას. კვაჭი საშიშია, მაგრამ მას ითმენენ, ითმენს მწერალიც.

იქნებ იმიტომ, რომ რაინდის „მემორიალური სივრცე“ საბოლოოდ არ დაცარიელდეს? რომანის ფინალური ფრაზა „მესმის და ვიცი შენი, კვაჭი“ — საუკუნეს წვდება. მწერლის გამჭოლი მზერა და ხმა გაფრთხილების ინტონაციას შეიცავს.

თავის მშვენიერ წერილში რუსუდან ბურჯანაძე ნიკო ლორთქიფანიძეს განიხილავს, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველს. წერილი კაცობრიობის დღევანდელი რეალობის ერთი უაღრესად მტკივნეული პრობლემის შეხსენების წარმატებული მცდელობაა: „გრანდიოზული აღმშენებლობების მიღმა ვერშემჩნეული, უძღები აგრესიის შედეგად ტრავმირებული თუ, უბრალოდ, განგებისაგან განწირული ადამიანის დახმარების“ აუცილებლობა. წერილში ნიკო ლორთქიფნიძე თავისი ღრმად ადამიანური, რაფინირებული, კაცთმოყვარე პროფილით იმზირება, რ. ბურჯანაძის სიტყვით, „ამ ერთადერთი და განუმეორებელი ქვეყნიერების ქომაგად და მონაღვლედ“. მკვლევარი ამჟღავნებს საარგუმენტაციო მასალის შერჩევის, მის მიღმა მწერლის სათქმელის ამოცნობის ფაქიზ ალღოს და საგულისხმო დასკვნას გვთავაზობს: სამშობლოსთან იდენტიფიკაცია იწყება იმავ წამს, როგორც კი ადამიანში დროებით მიძინებული ღირსების გრძნობა იღვიძებს.

ნონა კუპრეიშვილის წერილი „მხატვრული და ეკონომიკური დისკურსის კორელაცია „ჯაყოს ხიზნების“ მიხედვით“, შრომის კულტურისა და ეკონომიკის, როგორც კულტურის ფორმის მიმართ მიხ. ჯავახიშვილის პუბლიცისტურ წერილებში გამოთქმულ მოსაზრებებსა და მათ მხატვრულ რეალიზაციას ეხება. ჯავახიშვილისათვის, მკვლევარის მართებული შეფასებით, კულტურის ეს ფორმა ახალი ქართველის თვითდადგენის, თვითრეალიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით ქ-ნი ნონა მიხეილ ჯავახიშვილს, სრულიად მართებულად მიიჩნევს ილიას ტრადიციის გამგრძელებლად და შემდეგ საყურადღებო მოსაზრებას გვთავაზობს: „კონტრასტი, რომელიც მთელი რომანის მანძილზე (იგულისხმება „ჯაყოს ხიზნები“) ნაკაცარის თეორიულსა და პრაქტიკულ მომზადებას შორის იგრძნობა, ქართული ინტელიგენციისათვის მწერლის მიერ გამოტანილი ვერდიქტის მხატვრული ტრასფორმაციის ფორმად აღიქმება, რომელმაც, გარკვეულ დროსივრცულ არეალში „ჯაყოობის“ შეუცვლელი სტიმულატორის ფუნქცია შეასრულა“.

კრებული სრულდება ირმა რატიანის თეორიულ-მეთოდოლოგიური ხასიათის წერილით „ტექსტის ინტერპრეტაციული შესაძლებლობები. მიხ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“. საინტერესოა ის დასკვნები, რომელსაც ქ-ნი ირმა ინტერპრეტაციის, როგორც დაფარულის გაცხადების მეთოდის, საფუძვლიანი თეორიული განხილვის შემდეგ გვთავაზობს: „ინტერპრეტაციის ხიბლი თავისუფლებაა, მაგრამ არა სუმბურული, არამედ ლოგიკური, დაფუძნებული კონკრეტულ მეთოდოლოგიურ ხერხებს და მიწოდებული დაფარულის შესამეცნებლად“. შესაბამისად, კითხვაზე, თუ რა საზღვრებშია დასაშვები ინტერპრეტაცია, ირმა რატიანი პასუხობს: „ინტერპრეტაციის საზღვრების გაფართოება დასაშვებია, მაგრამ ამ პროცესის უმართაობა — დაუშვებელი“. წერილში წარმოდგენილი წინასწარი თეორიული ექსკურსი მკვლევარს სჭირდება თავის სამეცნიერო ნაშრომში განხილული „ჯაყოს ხიზნების“ ინოვაციური ვერსიის წარმოსაჩენად. ესაა აღნიშნული ტექსტის წაკითხვის შესაძლებლობა, ერთი მხრივ, ანტიუტოპიური ჟანრის, მეორე მხრივ კი — ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორიის ჭრილში. ამ წაკითხვების შედეგად აღმოჩნდა, რომ რომანის ტექსტი მკაფიოდ გამოხატულ ესქატოლოგიურ დატვირთვას ატარებს. ამ მოულოდნელმა ექსპერიმენტმა, როგორც მას მკვლევარი უწოდებს, შექმნა ინტერპრეტაციული წინააღმდეგობები რომანის ტრადიციულ წაკითხვებთან, თუმცა ეს წინააღმდეგობა, მისსივე თქმით, არ გადასულა ინტერპრეტაციულ კონფლიქტში, მან თავისი ნიშა დაიკავა „ჯაყოს ხიზნების“ ირგვლივ წარმოებულ ინტერაპრეტაციულ დიალოგში სწორედ იმიტომ, რომ დაეფუძნა ინტერპრეტაციის მკაცრ მეთოდოლოგიურ პრინციპებს. ინტერპრეტაციული სტრატეგია, რომელიც ინტერპრეტატორისა და ავტორის

უფლებების თანაბრად დაცვას გულისხმობს, მართლაც არის ინტერპრეტაციული წარმატების წინაპირობა. ამ პირობებში ყოველი ახალი ინტერპრეტაცია აღიქმება არა როგორც ტრადიციის რღვევა, არამედ როგორც ნაცნობი ტექსტის კიდევ ერთი, უცნობი ვერსიის აღმოჩენა.

ირმა რატიანის წერილი თავისი ადგილით კრებულის სივრცეში ბოლოა. იგი თითქოს მოგვიწოდებს ახალი და მეთოდოლოგიურად გამართული წაკითხვებისაკენ, ტექსტსა და მკითხველს შორის ახალი დიალოგისაკენ, მაგრამ ამ ახალ დიალოგში, წერილის ავტორის აზრით, ინტერპრეტატორის უფლება-მოვალეობანი მკაცრად განსაზღვრულია. თუ ამ უფლება-მოვალეობების დარღვევად არ ჩამეთვლება და ინტერპრეტირების შედარებითი თავისუფლებითაც ვისარგებლებ, თავს ნებას მივცემ, ჩემი გამოხმაურება-რეცენზიის დასასრულს კრებულის გარეკანის ჩემეული ინტერპრეტაცია შემოგთავაზოთ:

წიგნის გარეკანიდან, თეთრ ფონზე ორი, ევროპული იერის, შუახნის სიმპათიური ქართველი მწერალი იმზირება. ფოტოს რაკურსით ჩვენკენ მომართული მათი მზერა დაკვირვებული და რაღაც უჩვეულოდ ყურადღებიანია. მათ ზამთრის პალტოები აცვიათ, ქუდები ხურავთ. ერთი სიტყვით, სურათის ფიზიკური დრო ზამთარზე მიგვანიშნებს, თუმცა, თუ ისტორიულ რეალობასაც გავიხსენებთ, ეს დრო-სივრცე და თეთრი ფერი საერთო კონტექსტის სიმბოლოდაც შეიძლება აღვიქვათ — მელვილისეულ ბედისწერის სიმბოლოდ. შესაძლოა, თეთრი ფერი სულაც არ შეესაბამებოდეს მავანის წარმოდგენას იმ შავბნელ დროზე, მაგრამ პირადად ჩემთვის ემოციურად და ლოგიკურად ძალზე ზუსტია: იგი იმ საქმის ანარეკლია, რომელიც მათ ღირსეულად შეასრულეს; ის შუქია, რაც მათმა შემოქმედებამ დატოვა. მიხეილ ჯავახიშვილის ტრაგიკული აღსასრული — რეჟიმის მსხვერპლის, გაუტეხელი მწერლის მაგალითის ძალა ამ ნათელ სივრცეს განსაკუთრებულ ხარისხს ანიჭებს.

Manana Kvachantiradze

New Scholarly Collection about Modernism and Realism

Summary

Key words: Mikheil Javakhishvili, Niko Lortkipanidze, 20th-century literature.

The review deals with the scholarly collection dedicated to the 130th anniversary of two eminent figures of Georgian literature – Mikheil Javakhishvili and Niko Lortkipanidze. There are indications in the title that the edition is thematic and engages various studies having diverse attitudes, addressing certain issues and containing some novelty.

The content of each paper presented in the collection, as well as its well-thought-out conceptual background, form a general opinion about the challenges facing Georgian literature and, in particular those two writers of that epoch, the 10s of the 20th century, from the political-ideological, cultural and aesthetic standpoints. Furthermore, what are new challenges against which new literary studies read and analyze their creative work?

Bela Tsipuria's work „Modernistic Experience in Georgia", which is making emphasis on cultural studies, leads a reader to the depth of this problem. In the author's viewpoint, the synchronization of Georgian culture with western experience takes place", expressing anti-colonial attitude of creative consciousness, the trend to confront with the tendency considering Russian as a cultural centre. This trend was apparent even in the 19th century, in Ilia Chavchavadze's „Letter of the Traveller". Backed by this tradition, Georgian modernists use a new model, emphasizing

Georgian culture, as means to confront empirical myth concerning the superiority of Russian culture. This came true during the first independent Georgian republic.

In the letter „Archetype of Spirituality", Tamaz Vasadze studies the concept of the highest value, family in Niko Lortkipanidze's work from traditional, spiritual and social standpoints. The scholar is concerned with the interrelation of modernistic context towards traditional values, contrastive stylistic resolution of the issue of family in Niko Lortkipanidze's and Mikheil Javakhishvili's works. In first case, impressionistic and in the second – realistic work saturated with „bitter skeptical coloring and sarcasm".

Maia Jaliashvili analyzes „Mikheil Javakhishvili's neo-realism as a modernistic alternative". It is known from Mikheil Javakhishvili's correspondence that he called his own works as neo-realistic. It should be pointed out that in his non-decadent revelation, modernism which aimed at returning to instincts of western consciousness, myth could not serve as an alternative of Javakhishvili's realism. According to this evaluation, it was definitely a part of neo-realism, where the prefix neo indicated more to a new, widened viewpoint, than an alternative of modernism.

Mikheil Javakhishvili's interest towards trickster type was conditioned by grotesque profile of socio-cultural and political environment of historical crossroad. Trickster appears on the stage of degraded reality - a protagonist of farce. What do Mikheil Javakhishvili's adventure novel and its characters tell a modern reader? What kind of viewpoint does Trickster have in global world, travestic time or current historical period? Manana Kvachantiradze's letter „Trickster as Anti-hero" is an analysis of Trickster's Georgian version. Socially, morally, intellectually amorphous character Kvachi-Trickster is a paradox, but he is a hero for paradoxical epoch. If Niko Lortkipanidze tried to revive memories about knight in historical scenes, Javakhishvili created a contemporary Trickster – anti-hero in order to remind the society of a hero.

Rusudan Burjanadze discusses Niko Lortkipanidze as a defender of human rights. The letter is an attempt to remind one of the most painful issues of contemporary society.

Nona Kupreishviili's letter „Correlation of Artistic and Economic Discourse according to Jaqo's Dispossessed" concerns Mikheil Javakhishvili's viewpoints expressed in publicistic works and its artistic realization. For a writer who continues Ilia's tradition, this form of culture represents one of the crucial aspects for self-identification, self-realization of a Georgian.

Irma Ratiani's theoretical-methodological paper „Interpretative Opportunities of a Text. Mikheil Javakhishvili's Jaqo's Dispossessed" ends the scholarly collection. The author analyzes the text, on the one hand as an anti-utopian genre and, on the other hand, from anthropological theory of liminality. This „Unexpected Experience", created a sort of opposition towards traditional perception of Jaqo's Dispossessed, however it did not grew into interpretational conflict. It occupied its own place among the interpretative dialogue and used the interpretative strategy emphasizing the equal defense of rights of interpreter and author. Therefore, each new interpretation is regarded not as a deviation from the existing tradition but an unknown version of a known text.

The final point of the review is the interpretation of the cover of the collection.

სოლომონ ტაბუცაძე

რომანტიზმის შემდეგ...

საყოველთაო თვალსაზრისით საუკუნეთა გაზაგასაყარი ხდომილებათა ინტენსივობითა და კატაკლიზმებით გამოირჩევა. არის ამ შეხედულებაში მისტიცზმის ანარეკლი და ამგვარი განწყობის ადამიანებს მოვლენათა ჯაჭვში მისი დალანდვა არ ეძნელებათ. ისტორია კალენდარს არ ჩასცქერის და არც მოვლენებს ალაგებს ჩვენეული წარმოდგენებით, ამიტომ საკაცობრიო მოვლენების განსჯისას, ამგვარი წარმოსახვებისგან თავის დაღწევა არცთუ ადვილი საქმეა. სხვა შემთხვევაში, ამ „საყოველთაო“ თეზისის საპირწონედ შეგვეძლო მოგვეხმო აზრი, რომ არანაკლები ხდომილებებითა და ძვრებით გამოირჩეოდა, თუნდაც, გასულ და ჩავლილ საუკუნეთა სამოციანი წლებიც. ალბათ, სხვა ფაქტებითაც შევძლებდით საპირისპირო თვალსაზრისის შემაგრებას, მაგრამ ამ შემთხვევაში ამ, აწ უკვე ერთგვარი კონცეპტუალური ელფერით მოსილი, თვალსაზრისის განჩხრეკას არ ვაპირებთ. თვით ეს რეფლექსია კი „ლიტერატურის თეორიის ქრესტომათიის“ მეორე ტომის გამოსვლას უკავშირდება, რომელიც „მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე შექმნილ ლიტერატურათმცოდნეობით ტექსტებს“ აერთიანებს. აქ „თავმოყრილია ამ პერიოდის დასავლური და ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი ნარკვევები (მთლიანი ტექსტები ან — ვრცელი ფრაგმენტები), რომელთაც საეტაპო როლი შეასრულეს ლიტერატურული კვლევების ისტორიაში“. აღნიშნული გამოცემა, როგორც უკვე მიხვდა მკითხველი, ნაწილია იმ ვრცელი პროექტისა, რომელიც “მოაზრებულია როგორც აუცილებელი პროფესიული საკითხავი ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულების რიგი სალექციო კურსებისათვის ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში, ასევე ლიტერატურის თეორიის პრობლემებით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის“. გამოცემის ერთ უმნიშვნელოვანეს ღირსებად ისიც გვესახება, რომ რამდენიმე ტექსტი სწორედ ამ პროექტისთვის ითარგმნა და ამით, ცხადია, ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობითი არსენალი რამდენიმე, მართლაც საეტაპო ნაშრომით შეივსო.

წიგნის სტრუქტურისა და ეპოქის გასათვალისწინებლად თუ თვალშესავლებად ჩამოვთვლი წიგნის სტრატებსა და ავტორებს: „*პოსტრომანტიკულ კრიტიკაში*“ შედის შარლ ბოდლერის, სტეფან მალარმეს, გიიომ აპოლინერის და ვაჟა-ფშაველას ნაშრომები (აქედან ვაჟას, მართლაც რომ საპროგრამო, წერილები: „Pro Domo Sua“, „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“, და „მცირე შენიშვნა“ ენის შებღალვის თაობაზე, რომელიც სწორედ ასეა სახელდებული — “ენა”); მას მოსდევს „*ესთეტიკური კრიტიკა*“, რომელიც პოლ ვალერისა და გერონტი ქიქოძის ტექსტებითაა წარმოდგენილი; შემდეგ — „*ნეოკრიტიკა*“, რომელსაც, რასაკვირველია, თომას ელიოტი ფარავს და მოიცავს; „*რუსული ფორმალიზმი*“, რომელიც, მისი ადეპტების სიმრავლისა გამო, საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი და რომელთაც აღარ ჩამოვთვლი; „*ჩეხური სტურქტურალიზმი*“, რა თქმა უნდა, იან მუკარჟოვსკის ტექსტით; „*დიალოგური კრიტიკა*“ — მიხაილ ბახტინით; „ამერიკული ახალი კრიტიკა“ — რენე უელეკითა და ოსტინ უორენის ტექსტით „ლიტერატურის ბუნება“; ცალკე, „*დამატების*“ ფორმატითაა წარმოდგენილი ცვეტან ტოდოროვის ცოცხალი რეფლექსია — „ბახტინის მემკვიდრეობა“.

მკითხველმა ახლა უკვე იცის თუ რა მნიშვნელოვანი და ყოველმხრივ რთული ეპოქის სახელოვნებო და ლიტერატურათმცოდნეობით ტექსტებთანა გვაქვს საქმე.

პირველი უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელიც ქრესტომათიაში წარმოდგენილი ტექტებით გვახსენებს თავს, სიმბოლიზმია. რო-

მანტიზმის შემდეგ სიმბოლიზმი იყო წამყვანი მიმდინარეობა, რომელიც უგულებელყოფდა „მიმესისს“. შემდეგ კი მომრავლდა ანტიმიმეტური მიმართულების სკოლები, — სიურრეალიზმი, ესპრესიონიზმი, დადაიზმი, ფუტურიზმი და სხვა, — მაგრამ პოსტრომანტიკულ სივრცეში პირველი სწორედ სიმბოლიზმი იყო, რომელიც დაუპირისპირდა „პოლიტეკონომიკური პროგრესის იდეალით გამსჭვალულ და ემპირიულად ფუნდირებულ ნატურალიზმს და მიმეტურ, ყოფით რეალიზმს“ (ნოდარ კაკაბაძე). იგი მე-19 საუკუნის ბოლო მესამედში იშვა და მას ნიადაგი მოუმზადა შარლ ბოდლერის პოეტურმა და პოეტოლოგიურმა შემოქმედებამ. თავად ბოდლერი თავს გერმანული რომანტიზმის, ამერიკელი ედგარ პოსა და შვედი ფილოსოფოსის ემანუელ სვედენბორგის მიმდევრად მიიჩნევდა. წიგნში წამოდგენილ ტექსტში — „რომანტიკული ხელოვნების შესახებ“ — ბოდლერი წერს: „არ მჭირდება სტილზე ზრუნვა, ლამაზ წყობაზე და ადგილების აღწერაზე ფიქრი; მე ყველა ეს თვისება უხვად მაქვს; ვივლი ანალიზისა და ლოგიკის გზით და დავამტკიცებ, რომ ყველა სიუჟეტი ერთნაირად კარგი ან ცუდია; იმის მიხედვით, თუ როგორ არის გადმოცემული, ფრიად ვულგარული სიუჟეტიც კი საუკეთესო შეიძლება გახდეს“. დიახ, სწორედ რომ „როგორ“ არის მთავარი და არა — „რა“. სიმბოლიზმი ცდილობს გვაგრძნობინოს სამყაროს ერთიანობა. ყოველ არსებულს იდუმალი კავშირი აქვს ერთმანეთთან და პოეტმა საგანთა არსი უნდა „თარგმნოს“, „გაშიფროს“. „მსოფლიო ანალოგიათა“ იდეალურ ერთიანობას გამოხატავს სიმბოლო — პოეტური ხატოვანების მწვერვალი. პოეტი წვდება იმ მიღმიერ ყოფიერებას, რომელსაც ჩვეულებრივი მოკვდავი ვერც დალანდავს, მაგრამ როგორ უნდა გადმოსცეს მონაფლობი? სიმბოლისტებმა აღძრეს სიტყვის კონოტაციური ველი, გააძლიერეს იგი და სემანტიკისა და ამბივალენტურობის აქცენტირებით გააფართოვეს ენის ყოფიერების ფარგლები.

ფრანგული სიმბოლიზმის განვითარების პირველი ფაზა, რომელიც ეზოტერულობის ნიშნითაც აღიბეჭდა, ბოდლერიდან მალარმემდე პერიოდს მოიცავს.

და, აი, XIX საუკუნის 70-იანი წლები...

გასრულდა სიმბოლოზმის საწყისი ფაზაც და იგი იქცა ტონისმიმცემ ლიტერატურულ მოძრაობად. დაიწერა მანიფესტები, თეორიული ტრაქტატები, დაარსდა სიმბოლისტური ჟურნალები და ეს ყვალაფერი სიმბოლისტთა უმცროსი თაობის დროს მოხდა. მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ ახალგაზრდა პოეტები პოლ ვერლენი და სტეფან მალარმე, რომელთაც პარნასელთა წრეში გაშალეს თავიანთი შემოქმედება; პარნასელებისა, რომლებსაც კრიტიკოსებმა ვიკერმა და ბოკლერმა წერილების სერია მიუძღვნეს და მათ საწყენი ზედსახელი „დეკადენტები“ შეარქვეს. ახალგაზრდა პოეტებმა არათუ იწყინეს ეს იარლიყი, სიამაყითაც კი მიიღეს და ალამივითაც ააფრიალეს. მოგვიანებით ვიკერისა და ბოკლერის საპასუხოდ ვერლენი წერდა: „ჩვენ შეურაცხყოფასავით გვესროლეს ეპითეტი, მაგრამ იგი მივიღე და მისგან სამხედრო მოწოდება გავაკეთე, რადგან ვიცი, რომ დეკადენტი არაფერ საგანგებოს არ აღნიშნავს. განა მშვენიერი დღის დაისი ნებისმიერი დილის ცისკრად არა ღირს? და კიდევ, მზე თუ ჩადის — ხვალ რა, აღარ ამოვა?“. მეტიც შეიძლება ითქვას: მოგვიანებით სიმბოლისტ პოეტებს, ბოდლერისდაკვალად, ხიბლავდათ კიდეც ეს ფაქტი და დაქვეითების ეპოქის რომის იმპერიის პოეტებს ეტოლებოდნენ. რა უნდა იყოს ისეთი, რომ პოეტის წინ გაშლილ სუფთა ქაღალდზე ერთმანეთს არ დაუკავშირდეს. აი, მაგალითად, რა საერთო უნდა ჰქონდეს ხელის წისქვილს დესპოტიურ სახელმწიფოსთან? მართლაც ძნელი დასაკავშირებელია და ვერც ყველა მიხვდება, მაგრამ კანტისათვის (ეს სწორედ მისი მაგალითია) „ანალოგიური მსგავსება“ მოცემულ შემთხვევაში გამოიხატება „ცალკეული აბსოლუტური ნებით“, რომელიც განსვავებული თანაზომიერებით მართავს წისქვილსაც და სახემწიფოსაც. თუ ასეა, მაშინ არც იმის შემჩნევაა ძნელი, რომ სხვა მრავალი ნიშნის გარდა, ხელის წისქვილი შეიძლება გამოდგეს სხვა სიმბოლიურ მსგავსებათა საფუძვლადაც: სიმბოლოს ენერგია ხომ სწორედ ისაა, რომ იგი ადგენს, ქმნის ნებისმიერ საგანთა მსგავსებას; იგი აკავშირებს ერთი შეხედვით

სრულიად განსხვავებულ საგნებს და ეს კავშირი დამოკიდებულია სიმბოლოზაციის აქტის სუბიექტის ინტუიციის ძალმოსილებასა და წარმოსახვის გასაქანზე. საგანს პრაქტიულად ამოუწურავი სიმბოლიური ვალენტობა აქვს და სწორედ ამიტომ ძალუძს მას სხვა საგნის სიმბოლოდ ქცევა; სიმბოლო ესაბამება ყველაფერს; უცილო მნიშვნელობათა შინაგანად იერარქიზებული მთლიანობის მქონე ლინგვისტური ნიშნისგან განსხვავებით, სიმბოლოს აქვს მნიშვნელობათა უსასრულო წარმოების პოტენციური და დაუოკებელი მიდრეკილება. ამიტომ სიმბოლო მოვლენათა შორის „მზამზარეულ" ანალოგიებს კი არ აფიქსირებს, არამედ სიმბოლიზაციის აქტით თვითონ ქმნის მათ.

უსაზმნო კავშირთა თაობაზე, მაგრამ უკვე სხვა განასერში, აი, რას ამბობს „ესთეტიკური კრიტიკის" წარმომადგენელი, პოლ ვალერი (ქრესტომათიაში შესულია მისი ნაშრომი "პოეზია და აბსტრაქტული აზრი"): „...ყველა ხელოვნებას შორის მხოლოდ ჩვენი ხელოვნება აკავშირებს ერთმანეთთან ამდენ დამოუკიდებელ ელემენტსა თუ ფაქტორს: ბგერას, აზრს, რეალობასა და წარმოსახვას, ლოგიკას სინტაქსს და ფორმის არსის ერთდროულ ქმნადობას... და ყოველივე ამას ახორციელებს იმ პირწმინდად პრაქტიკული, გამუდმებით ცვლადი, დანაგვიანებული და ყოველგვარი საქმიანობისადმი მისადაგებული საშუალების მეოხებით, რასაც ეწოდება საყოველდღიურო ენა, საიდანაც ჩვენ მოვალენი ვართ გამოვყოთ წმინდა და იდეალური ხმა, რომელსაც უნარი შესწევს შეცდომებისა და ხილული ძალისხმევის გარეშე, სმენის შეუბღალავად და პოეტური სამყაროს ეფემერული სფეროს შეუმუსრავად გადმოგვცეს იდეა რომელიღაც „მე"-სი, სასწაულებრივად რომ აღემატება „მე"-ს.

პოლ ვალერის მთელ შემოქმედებას გასდევს „წმინდა „მე"-ს" (le moipun) ძიების თემა, რომლისკენაც მიდის ბიოლოგიური დაქვეითებისაგან უწყვეტი თავდაღწევისა და გათავისუფლების გზა. ეს არის მუდმივი გათავისუფლება ყველაფერი იმისაგან, რაც ბიოლოგიურ ცვალებადობასა განიცდის.

პოლ ვალერი მალარმეს მეგობარი იყო და ყმაწვილობიდანვე განიცდიდა სიმბოლოსტთა გავლენას. 1890 წლიდანკი საკუთარ ნატიფ და დახვეწილ აზრებთან განმარტოებული ცხოვრობს ესთეტის მჭვრეტელობითი ცხოვრებით და წერს ლექსებს მცირერიცხოვანი და ელეგანტური მოდერნისტების წრისათვის. მოგვიანებით საერთოდ გაეცალა ლიტერატურულ ყოფას და მათემატიკაში გადაინაცვლა. მხოლოდ 1917 წელს დაუბრუნდა პოეზიას და შექმნა "მათემატიკურად წმინდა" პოეზია.

პოლ ვალერისა და საზოგადოდ პოეტის (არ მინდა დავძინო — ჭეშმარიტი პოეტის) შემოქმედების ემბლემატურ ცნებად „წვდომა", „წვდომის აქტი" მესახება. ამ შემთხვევაში „სიღრმის" მეტაფორაც კი უსაგნოდ გამოიყურება, რადგან სწორედ ეს „წვდომის", „მოხელთების" ... უფრო ზუსტად, ამ ყველაფრის მუდმივი, დაუოკებელი ცდისა და რუდუნების შედეგია ის ანასხლეტები, რაიც, ვალერისნაირ შემოქმედთა კვალად, ადამიანურ შესაძლებლობათა ზღვრულ სივცეებში ილანდება. პოეტის სწორედ ეს თვალშენავლები შეიძლება იქცეს შემდგომ და შემდგომ იმ გამოცდილებად, რომელზედაც მისი მომხმარებელ-ფილაფოზნი ყოფიერების სახლის დაშენებას ლამობენ ხოლმე. თუმცა პოეტს ამათიც თავიდან ბოლომდე გაეგება... თუმცა, რაღა პერიფრაზი — ციტატას მოვიტან: „პოეტი უცილობლად პირველხარისხოვანი კრიტიკოსიც არის. ვისაც ეს ეეჭვება, მას წარმოდგენაც არა აქვს, თუ რა არის სულის რუდუნება, ეს მუდმივი ბრძოლა მომენტთა უთანაბრობის, ასოციაციათა ჟინიანი თამაშის, ყურადრების გაფანტულობის, ცთომის გარკვეულ ფაქტორთა წინააღმდეგ. სული საზარლად ცვლადია, სხვებისა და საკუთარი თავის მაცთური, გადაუჭრელი პრობლემებისა და ილუზორული გადაწყვეტილბების უშრეტი წყარო. ვერც ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმეობი ვერ აღმოცენდებოდა ამ ქაოსიდან, ეს ყოვლისმომცველი ქაოსი იმავდროულად რომ არ შეიცავდეს თვითშეცნობის შესაძლებლობასა და ჩვენსავე თავში იმის განსაზღვრის უნარს, თუ რა უნდა წარვტაცოთ წამის წიაღს, რათა შემდეგ ჩვენივე მიზნებისთვის გამოვიყენოთ იგი.

...პოეტს გაცილების უფრო მეტად შესწევს ლოგიკური მსჯელობისა და აბსტრაქტული აზროვნების უნარი.

...ფილოსოფია მისსავე მეტ-ნაკლებად ფილოსოფიურ ფორმულირებაში როდია საძიებელი.... ფილოსოფიის ჭეშმარიტ შინაარსს იმდენად ჩვენი აზროვნების საგანი როდი ავლენს, რამდენადაც თვით აზროვნების აქტი და მისი ოპერაციები. ჩამოაშორეთ მეტაფიზიკას ყველა მისი საყვარელი და საგანგებო ტერმინი, მთელი მისი ტრადიციული ლექსიკა და, ...იქნებ კიდევაც დარწმუნდეთ, რომ ოდნავადაც არ გაგიღარიბებიათ აზრი".

მე პირადად მხიბლავს მისი ცხოვრების წესად ქცეული თვისება, რომ წლებისა და წლების განმავლობაში, უღალატოდ, ყოველ დილით იწერდა თავის აზრებსა და შთაბეჭდილებებს და ბოლოს, გარდაცვალებიდან 12 წლის შემდეგ — 1957-1960 წლებში — მისი ჩანაწერების ფაქსიმილურმა გამოცემამ 28 ტომი შეადგინა. ამასთან დაკავშირებით მახსნედება სულმნათი აკაკი გაწერელია და ის, თუ როგორ ეამაყებოდა, რომ ამ ტომეულების მფლობელი იყო. პოლ ვალერის დიდმა პატივისმცემელმა და ბრწყინვალე ფილოლოგოსმა წერილიც მიუძღვნა „რჩეული პროზის" ბაჩანა ბრეგვაძისეულ ქართულ თარგმანს, სადაც ყურადღება მიაქცია პოლ ვალერის ესთეტიკის უმნიშვნელოვანეს პრინციპს — ფორმისადმი თაყვანისცემას: „მთავარია რისამე აგება, ობიექტურისათვის ანუ მასალისათვის გარკვეული ფორმის ანუ უზუსტესი კონსტრუქციის მინიჭება". ვალერი უნდობლობას უცხადებს ყოველგვარ ემოციასა თუ შთაგონებას, იმპულსებს, რომლებიც თითქოსდა წინ უსწრებენ შემოქმედებით აქტს. ინდივიდის ემოციური სამყარო ხელოვნების ქმნილების საწყის ბიძგადაც კი უვარგისია. თვით სიყვარულიც კი, მისი აზრით, „ჰიპოთეზაა", „უწმნიდური ნარევი პირუტყვული, ბავშვური ან ანგელოსური შეგრძნებებისა". ამიტომ „ნაწარმოების მიხედვით ავტორის პიროვნებაზე მსჯელობა, ან ნაწარმოების კვალობაზე ავტორის ბიოგრაფიის შეთხზვა — წმინდა წყლის ფიქციაა". ხელოვნება უპიროვნოა და ამდენად ყოველი დიდი შემოქმედება აღბეჭდილია იმპერსონალიზმით — ეს არის სწორედ პოლ ვალერის უმნიშვნელოვანესი დებულება.

პოლ ვალერისადმი საყვედურიც გამოთქმულა, რომ თითქოს მან უკუაგდო ობიექტი, საგანი და მოახდინა არარსებული ნიშნების აბსოლუტიზაცია. მაგრამო, წერს აკაკი გაწერელია, ამ საკითხში უფრო გასაზიარებელია ელიოტის შეხედულება, რომელიც მან გამოთქვა თავის ცნობილ სიტყვაში „პოდან ვალერიმდე": „საჭიროა დაბეჯითებით მოვერიდოთ მტკიცებას, თითქოს შინაარსი უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანი გახდა... იგი საჭიროა, როგორც საშუალება, ხოლო მიზანი ლექსია. საგანი არსებობს ლექსისათვის და არა ლექსი — საგნისათვის".

რადგან ელიოტიც ვახსენეთ, ქრესტომათიაში „ნეოკრიტიკის" რუბრიკით გამოქვეყნებული მისი ორი ნაშრომიც ვახსებოთ — „კრიტიკის საზღვრები" და „ტრადიცია და ინდივიდუალური ტალანტი". ამ უკანასკნელის ორი თარგმანიც კი არსებობს ქართულ სინამდვილეში, რაც, ვფიქრობ, აღსანიშნავია, რადგან ამ ტიპის ტექსტების თარგმანებით ვერ/არა ვართ განებივრებული. ორივე გასული საუკუნის 80-იან წლებში ითარგმნა და საგულისხმო ფაქტად მესახება, — და ამას ქრესტომათიის მესვეურთ უნდა ვუმადლოდეთ, — რომ ელიოტის ამ უმნიშვნელოვანესი ნაშრომების აქტუალიზება საგანმანათლებლო სივრცეში ახლა მაინც ხდება. ელიოტის ამ ნაშრომებში ასახვა ჰპოვა პოეზიის იმპერსონალურმა, ანტირომანტიკულმა თეორიამ (Impersonal Theory of Poetry), რომლის მოხედვითაც პოეზიაში გამოხატული განცდა ზეპიროვნული ხასიათისა უნდა იყოს. რომანტიკულმა პოეზიამ პოეტური აზრი ჩაანაცვლა რეალურ გამოცდილებას მოწყვეტილი, ჰიპერტროფირებული ემოციური განცდით (emotion). სიტყვები გამოიყენება არაზუსტად და მათ პოეტის ოდენ გაუგებარი შინაგანი მდგომარეობა აკავშირებს, რაიც ვერ უზრუნველყოფს სახის შინაგან წყობას, კომპაქტურ მეტაფორას. პოეტი უნდა იუწყებიდეს არა გრძნობის, არამედ მისი მნიშვნელობის შესახებ. ენას გრძნობათა გამომხატველი მოსამსახურის

ფუნქცია კი არ უნდა ჰქონდეს, არამედ პოეტი უნდა ექვემდებარებოდეს ენას, ეპოქის ენა უნდა ლაპარაკობდეს პოეტის წიაღ. პოეტი არის მედიუმი, კატალოზატორი. არა პოეტის პიროვნება, არამედ ნაწარმოები როგორც ორგანულად მთლიანი ავტონომიური სტრუქტურა. პოეტური ნაწარმოები არც ავტორის მამულშია ამოზრდილი და არც მკითხველის სამფლობელოში, — იგი ავტონომიურია. პოეტის ბედისწერა საკუთარ არსებაში ინდივიდუალური საწყისის დახშობაა. არასუბიექტური სუბიექტობა უზრუნველყოფს კონკრეტულის საყოველთაოობას, სხვაგვარად — „სულიერ რეალიზმს“. სწორედ ამ აზრით არის პოეზია ენის სული. ნამდვილი პოეტური ქმნილება ტრადიციის წყებას იდეალურ ერთდროულობად გარდასახავს. აწმყო იმდენადვე ახდენს წარსულის კორექტირებას, რამდენადაც აწმყო იმართება წარსულით...

თომას ელიოტი XX საუკუნის ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში შევიდა როგორც ინგლისურენოვანი პოეზიისა და ლიტერატურული კრიტიკის რეფორმატორი, პოეზიის ორიგინალური თეორიის, კულტურისა და ტრადიციის ახლებურ კონცეფციათა ავტორი.

და, აი, აქ, სწორედ ამ ევროპელთა შორის — და არა სხვაგან — ვაჟა-ფშაველა, რომელიც „ერთ-ერთი უდიდესი მსახიერებელია საქართველოს მშობლიური ფესვებისა“ (გრიგოლ რობაქიძე) და სწორედ ამიტომაც, ვაჟასივე სიტყვით რომ ვთქვათ, „ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტი...“. რით არ არის სადღეისო ვითარების შესატყვისი ამ „პირვანდელი“ კაცის, რომელიც, როგორც კვლავ რობაქიძე იტყვის, „შუაგულითგან უმზერს გარესკნელს“, — სიტყვები: „განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფის ავკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე“ (წერილიდან „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“).

დღესაც კი, ვაჟას ხსენებაზე, ჩასაფრებულ ქართველს ენის საკითხი ახსენდება და რა საკვირველი უნდა იყოს, რომ იმ დროს ვერ გაეგონათ მისი ხმა. აკი, ასეც იყო! ამიტომ უწევდა „თავის პიროვნებაზე საუბარი“, რომელიც „ცოტად კი არა, ბევრადაც საჩოთიროა, მაგრამ, რადგან საქმემ, გარემოებამ მოიტანა, არ შეიძლება, ვინც როგორ უნდა ჩამომართოს ასეთი მოქცევა, ცოტა ხანს ჩემი პიროვნებით არ დავავალო „მსმენელთა ყურნი“-ო, წერა ვაჟა წერილში „PRO DOMO SUA“.

გასული საუკუნის ბოლო წლებში ჩვენშიაც შემოაღწია ჰაროლდ ბლუმის გავლენის თეორიამ და კიდევ უფრო გაგვიმტკიცა აზრი, რომ მწერალი პრინციპულად წინამორბედ შემოქმედთაგან იკვებება. ვაჟასაც ამ საკითხზე უხდება სიტყვის დაძვრა და მტკიცება, რომ „ზემოქმედება მწერალზე აუცილებლად საჭიროა, უამისოდ მწერალი ცარიელი, უშინაარსო არსება იქნებოდა, თუ ამასთანავე იგი ცოცხლად გამომსახავი არ იყოს შთაბეჭდილებათა... ზღვაში ბევრი სხვადასხვა წყალი ერევა, მაგრამ ზღვას მაინც ზღვა ჰქვიან და ზღვაც იმიტომ არის, რომ ყველა იმ მდინარეთ იტევს, ისისხლხორცებს და საკუთარს დიდებულს სახელს არა ჰკარგავს“.

ანდა, ენა ვახსენეთ და, ქრესტომათიაში წარმოდგენილი ვაჟას „მცირე შენიშვნიდან“ ფრაგმენტსაც შევავლოთ თვალი: „რას ჰქვიან ენის ცოდნა. რასაკვირველია, არა კმარა, მხოლოდ სიტყვები ვიცოდეთ, უნდა ისიც გვესმოდეს, თუ როგორ შევუთანხმოთ ეს სიტყვები ერთი მეორეს და წინადადება როგორ ავაშენოთ. ამისთვის საჭიროა ენის სულისა და გულის შეგნება“. მართლაც, რომ ქრესტომათიული აზრია, მაგრამ თუ მის ამოწერაზე გავისარჯეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრ დღევანდელ „მოქართულე“ თანამემემულეს და, განსაკუთრებით ე.წ. ჟურნალისტს ფრიად დაამშვნებდა ეს აზრი ტრაფარეტად რომ ჩამოგვეკიდა ყელზე.

ძალზე საგულისხმოა, რომ „ესთეტიკური კრიტიკის“ რუბრიკით წიგნში შევიდა უზადო ესსეისტისა და ლიტერატორის გერონტი ქიქოძის წერილები:

„თანამედროვე კრიტიკის მეთოდები“ და „ენა და ეროვნული ენერგია“. როგორც თამაზ ჭილაძე ამბობს, გერონტი ქიქოძისეული „მიდრეკილება სკულპტურული სრულყოფისაკენ, მეტყველი დეტალების პოვნა, სივრცის და ლოკალური გარემოს გასაკვირი შეგრძნება მართლაც რომ განსაკუთრებულია ჩვენს კრიტიკულ აზროვნებაში“-ო. ქრესტომათიაში წარმოდგენილი წერილები ნათელი დასტურია გერონტი ქიქოძის კრიტიკული აზრისა და ქართული აზროვნების მაშტაბისადმი გაუნელებელი ინტერესისა.

როგორც აღვნიშნეთ, კრებულში პანორამულადაა წარმოდგენილი რუსული ფორმალისტური სკოლა. როგორც სერგეი ზენკინი აღნიშნავს, „ფორმალური მეთოდი“ გამოირჩევა თავისი ცნებითი აპარატის პარადოქსული *არაფორმალიზებულობით*. ლიტერატურათმცოდნეობით პრაქტიკაში ნოვატორული ცნებებისა და კატეგორიების შემოტანისას, „ოპოიაზის“ წამყვანი თეორეტიკოსები ვიკტორ შკლოვსკი, ბორის ეიხენბაუმი, იური ტინიანოვი ხშირად არც განმატრავდნენ თავიანთ შემოტანილ ტერმინებსა და ცნებებს. მათ ეს საქმე თითქოს მეორე ეშელონის თეორეტიკოსებს გადაულოცეს — უფრო მიდრეკილებს დოქტრინალური დისკურსისადმი (მაგ. ბორის ტომაშევკისკი — ლიტერატურის თეორიის ფორმალისტური სახელმძღვანელოს ავტორი). „სპეციფიკატორულობას“, ლიტერატურის ნებისმიერი ჰეტერონომული აღწერისადმი პრინციპულ უნდობლობას ჰქონდა თავისი უკუ მხარე — „უცხო“ კატეგორიალური აპარატის გამოყენებაზე უარის თქმა; ლიტერატურული ანალიზის მეტაენის შექმნას თავიანთივე შექმნილ ნიადაგსახმარ ცნებებზე დაყრდნობით ცდილობდნენ და მეთოდოლოგიურ სისტემატიზაციაზე ნაკლებად ზრუნავდნენ. ზენკინი ამის მიზეზად მიიჩნევს და იმას, რომ რუსეთში სასკოლო სივრცეში ნაკლები (მაგ. საფრანგეთთან შედარებით) ყურადღება ექცეოდა რიტორიკის შესწავლას; რიტორიკისა, რომელიც, მოგეხსენებათ, ქმნის ლიტერატურული ანალიზის ამოსავალ ფორმალიზებულ ენას.

შორს არ ვიქნებოდით სინამდვილისაგან, თუ ვიტყოდით, რომ რუსულ ფორმალიზმს ძალიან კარგად მიესადაგება ჟერარ ჟენეტის აზრი ლიტერატურული კრიტიკის განვითარების „ბრიკოლაჟური“ ხასიათის შესახებ, რომელიც თავისი ცნებების იმპროვიზაციას ახდენს. ამ შემთხვევაში ცნებითი აპარატის ფორმირება ხდება არა დიდი ძიებისა და რუდუნებით მოპოვებული, არამედ ხელთმოხვედრილი მასალისაგან და სწორედ ამიტომ არისო, წერს რუსი ლიტერატურათმცოდნე, რომ ფორმალისტთა ტერმინოლოგიას „თვითნაკეთობის“ ელფერი დაჰკრავსო. ისინი არ ეყრდნობოდნენ არც რაიმე ფილოსოფიური სისტემასა თუ სამეცნიერო დისციპლინის კონცეპტუალურ აპარატს, ამიტომ მნიშვნელოვანი სემანტიკური ოპოზიციების გამოსახატავად იყენებენ არა იმდენად არტიკულირებულ, სამეცნიერო ტრადიციით გამყარებულ სიტყვათა შინაგან ფორმას, რამდენადაც სამეტყველო სადაგი ყოფისა და ყოველდღიურობის ენის ეფემერულ კონოტაციებს. მათი ტერმინოლოგიას ერთგვარი „ორგემაგეობით“ ხასიათდებიან და ეს ეხება მათი გამოხატვისა თუ საზრისისეულ მხარეს. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიტანოთ შკლოვსკისეული ფუნდამენტური ცნება „გაუცნაურება“ („остранение“//„остраннение“), რომლის ძირი ხან ორი „ნ“-თი იწერება და ხან ერთით და ამით, რა თქმა უნდა, ტერმინის საზრისი მერყეობსა და იცვლება. ანდა „სიუჟეტისა“ და „ფაბულის“ ფორმალისტებისეული განსაზღვრებანი, რომლებიც ოდენ სემანტიკურ დუბლეტებად წარმოსდგება და მათმა სინონიმურობამ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეს გენადი პოსპელოვს მათი ურთიერთჩანაცვლების საბაბიც კი მისცა... მსგავსი სტიქიურად ჩამოყალიბებული ტერმინები პრაქტიკაში გამოსაყენებლად მოუხერხებელია. ვიკტორ შკლოვსკიმ მოგვიანებით აღიარა, რომ სტატიაში „ხელოვნება როგორც ხერხი“ (ქართულადაც, ვფიქრობ, სწორედ ასე უნდა დაიწეროს და არა — „ხელოვნება, როგორც ხერხი“), რომელშიც მან ეს ტერმინი შემოიტანა, ბეჭდური შეცდომისა და შეცოდებისა გამო სიტყვა დაიბეჭდა ერთი „ნ“-თი და ეს ვარიანტი გავცელდა ლიტერატურაშიც. ამიტომ, შემდეგში

თავადაც გამოირიცხა ერთი „ნ"-ი და ასე იქცა დაკოჭლებული სიტყვა ტერმინად. შემდეგ ეს ტერმინი შეცდომით გადაიღო ბერთოლდ ბრეხტმა, რომელმაც გერმანულად თარგმნა როგორც „die Verfemdung" — გაუცხოება; მოგვიანებით, ბრეხტის ნათარგმანების რუსულად უკუთარგმანებისას, შეცდომით კარლ მარქსის ფილოსოფიურ ტერმინში აერიათ და თარგმნეს „die Entfremdung"-ად. ასეთივე ბედასლი გამოდგა ამ ორი ტერმინის — „გაუცნაურება"/„გაუცხოება" („отстранение"/„очуждение") — შემდეგი დროის თარგმანებიც. მათზე დამატებითი წაფენები გააკეთა ფრანგულმა სტრუქტურალიზმმაც და უპირველესად — ჟაკ დერიდამ, რომელმაც რუსული ფორმალიზმის გამოცდილებაზე დაყრდნობით „გაუცნაურების" ფრანგულ ანალოგად შემოგვთავაზა „დეკონსტრუქცია" (deconstruction). თუმცა დეკონსტრუქტივიზმი „ნივთის გაკეთებულობის" იდეისკენ იხრება, მაშინ როცა ინტეპრეტაციის პროცედურა პრაქტიკულად ანადგურებს გასააზრებელი საგნის მთლიანობასა და თვითკმარობას, ხოლო გაუცნაურების შემთხვევაში ეს უნიკალურობა და თვითკმარობა არათუ ნარჩუნდება, ახალ წახნაგებსაც კი ავლენს.

ძალზე მნიშვნელოვანია რომან იაკობსონის სტატიები, — „ლინგვისტიკა და პოეტიკა" და „გრამატიკის პოეზია და პოეზიის გრამატიკა", — რომელთა გარეშეც ბევრი ლიტერატურათმცოდნეობითი საკითხის ნათელყოფა ფრიად გაჭირდებოდა.

ვლადიმერ პროპის „ზღაპრის მორფოლოგია", რომელმაც ნარატოლოგიის ჩამოყალიბებას მისცა ბიძგი...

არას ვიტყვი მიხაილ ბახტინის „კარნავალიზებულ ლიტერატურაზე", რადგან ასეთ შემთხვევაში ცვეტან ტოდოროვის წერილი უნდა მომეშველიებინა და ეს წერილი კი ამავე კრებულშია დაბეჭდილი და მკითხველს მისი გაცნობის საშუალებაცა აქვს.

იან მუკარჟოვსკი საგანგებოდ ამ გამოცემისთვის ითარგმნაჩეხურიდან და ეს, როგორც ითქვა, კიდევ უფრო მატებს ღირსებას ამ გამოცემას.

მადლიერება უნდა გამოვხატო ყველა მთარგმნელის მიმართ, რომელთა ღვაწლი სახვალიოდ უფრო დაფასდება, რადგან საგანმანათლებლო სივრცეში მათი ნაღვაწის დანერგვა ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი მსოფლხედვის განმტკიცებასა და გაფართოებას ნიშნავს.

Solomon Tabutsadze

After Romanticism ...

Summary

Key words: literary studies of postmodern epoch, letters of Georgian writers and literary critics, Russian formalism.

The review deals with the second part of the „Literary Theory", which encompasses texts of literary studies created on the verge of the 19-20th centuries. The discussions presented in the review can be considered as a widening and deepening of the thematic panorama of the book, which is revealed in detailed analysis of concrete key concepts and notions. The history of the term „becoming strange" can serve as an example, which is characterized by its paradox. The technical mistakes or misprints occasionally have widened the connotation field of the term and consequently conveyed new meanings and reflections. The reviewer places emphasis on the publication of Georgian theoretical-essaystic materials alongside the considerable texts on literary studies after the epoch of romanticism. In addition, the establishment of this anthology of literary studies in educational sphere and its significance are highlighted.

ირმა რატიანი.
ტექსტი და ქრონოტოპი
გამომცემლობა:
2010

წიგნში „ტექსტი და ქრონოტოპი“ გამოკვლეულია თანამედროვე ლიტერატურის თეორიის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორიცაა ტექსტისა და ქრონოტოპის კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ურთიერთმიმართების საკითხი.
ნაშრომი განსაზღვრულია როგორც ლიტერატურის თეორიისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სპეციალისტების, ისე ლიტერატურის პრობლემებით, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის, მიხეილ ჯავახიშვილისა და ვლადიმირ ნაბოკოვის შემოქმედებით დაინტერესებული ფართო მკითხველისთვის.

ადრიან მარინო
კომპარატივიზმი და ლიტერატურის თეორია
მთარგმნელები: რუსუდან თურნავა, ნინო გაგოშაშვილი
რედაქტორები: ირმა რატიანი, გაგა ლომიძე
გამომცემლობა: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა
2010

შეგვიძლია თუ არა წარმოვიდგინოთ ლიტერატურული კომპარატივიზმის სრული განახლება ისე, რომ მან მხარი გაუსწოროს თანამედროვეობას და მის ახალ მოთხოვნებს? შეიძლება თუ არა შედარებით ლიტერატურათმცოდნეობას მივცეთ მკაცრად განსაზღვრული სპეციფიკური საგანი, შესაფერისი მეთოდი, რომელიც ამ მიზნიდან გამომდინარეობს და არ იმეორებს რომელიმე მოდურ მეთოდს? ამ კითხვებს დადებითად ვპასუხობთ, რისთვისაც უნდა შესრულდეს ორი პირობა: 1) ლიტერატურული კომპარატივიზმი გამოვიყვანოთ ისტორიული სანახებიდან და მისი მონაპოვარი გარდავქმნათ თეორიული ხასიათის წყაროდ და ათვლის წერტილად, კომპარატივიზმი შემოვაბრუნოთ ლიტერატურის თეორიისაკენ; 2) შევქმნათ მთლად ახალი, ზედმიწევნით კომპარატივისტული სულისკვეთებისა და ორიენტაციის მეთოდი, რომელიც მოფიქრებული იქნება ამ თეორიული მიზნის შესაბამისად. „კომპარატივიზმისა და ლიტერატურის თეორიის“ ავტორს ეს ორი მიზანი აქვს დასახული.
წიგნი გამოიცა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და თბილისის ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის ხელშეწყობით, მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო პროგრამის ფარგლებში.

კლოდ ლევი-სტროსი
ტოტემიზმი დღეს
მთარგმნელი: მერაბ მიქელაძე
რედაქტორი: ნინო აბაკელია
გამომცემლობა: აგორა
2010

ფრანგმა ეთნოლოგმა და ანთროპოლოგმა, კლოდ ლევი-სტროსმა გასული საუკუნის მეორე ნახევარში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების განვითარებაში. ეთნოგრაფია, მითოლოგია, ტოტემიზმი — ეს ის სფეროებია, რომელთაც ფრანგი მეცნიერი იკვლევდა. კლოდ ლევი-სტროსი სტრუქტურალისტური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. პირველი სამეცნიერო შრომები ბრაზილიის ინდიელებს ეხებოდა, რომელთა ცხოვრებაც 1935-1939 წლებში შეისწავლა. კვლევების საფუძველზე დაწერა „ნათესაობის ელემენტარული

სტრუქტურები“, რომელიც 1949 წელს გამოქვეყნდა. „ტოტემიზმი დღეს“ 1962 წელს გამოიცა და მასში ამ თემატიკასთან დაკავშირებული არაერთი საინტერესო საკითხია მიმოხილული.

წიგნი გამოიცა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და თბილისის ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის ხელშეწყობით, მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო პროგრამის ფარგლებში.

ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია (II)
რედაქტორები: ირმა რატიანი, გაგა ლომიძე
გამომცემლობა: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა
2011

წიგნი წარმოადგენს ვრცელი პროექტის — „ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია“ მეორე ნაწილს, რაც მოიცავს მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე შექმნილ ლიტერატურათმცოდნეობის ტექსტებს. ტომში თავმოყრილია ამ პერიოდის დასავლური და ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი ნარკვევები, რომელთაც საეტაპო როლი შეასრულეს ლიტერატურული კვლევების ისტორიაში. ტომს ერთვის ანალიტიკური რუბრიკა „დამატება“. წინამდებარე კრებულში შესული ბევრი ტექსტი (მთარგმნელები: სიბილა გელაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, მაია დიასამიძე, თამარ ლომიძე, თამარ ნუცუბიძე, ირაკლი კენჭოშვილი, მარიამ კარბელაშვილი, ნანა ღამბაშიძე, მაკა ნაჭყებია) პირველად ქვეყნდება. კრებული იყოფა ნაწილებად: პოსტრომანტიკული კრიტიკა, ესთეტიკური კრიტიკა, ნეოკრიტიკა, რუსული ფორმალიზმი, ჩეხური სტრუქტურალიზმი, დიალოგური კრიტიკა, ამერიკული ახალი კრიტიკა.

თამარ ბარბაქაძე.
ლირიკის ჟანრები
გამომცემლობა: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა
2011

ნაშრომი ეთმობა ლირიკის უმთავრეს ჟანრებს: ოდას, ჰიმნსა და ელეგიას.

განხილულია: ლირიკული ციკლის განვითარების ეტაპები; ლირიკული გმირისა და ავტორის ურთიერთმიმართების პრობლემა; თუ როგორ დაირღვა ტრადიციული წარმოდგენა მათი ერთიანობის თაობაზე მე–20 საუკუნეში, ჟანრის თეორიის წყალობით გაანალიზებულია სამეცნიერო ნოვაციები ლირიკის თეორიაში.

მკითხველი გაცნობა ლირიკის ცნების ანტიკური გაგების მიხედვით შექმნილ შედევრებსაც და „კომბინატორული ლიტერატურის“ ტერმინით ცნობილ, უძველესი და თანამედროვე ლექსის ტექნიკის ნიმუშებსაც.

Confessions of a Young Novelist
by **Umberto Eco**
უმბერტო ეკო.
ახალგაზრდა რომანისტის აღსარებანი
გამომცემლობა: Publisher: Harvard University Press
2011

რიჩარდ ელმანის მიერ ჰარვარდის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების ამ კრებულში, სემიოლოგი, მედიევისტი და ბესტსელერი რომანების ავტორი უმბერტო ეკო ცდილობს გაარკვიოს, რა არის სამწერლო შემოქმედება. ამ მიზნით, ეკო იკვლევს ავტორს, ტექსტს და მის განმმარტებლებს შორის ცვალებად ურთიერთობებს. რატომ ინტერესდება მკითხველი ავტორის ჩანაფიქრით? შეუძლია თუ არა ტექსტს თავისთავად წარმოქმნას თავისი სამაგალითო მკითხველი? ყველაზე უკეთ რა თვისებების მიხედვით უნდა დავადგინოთ, რომ მკითხველს მართლაც სწამს გამოგონილი გმირის

არსებობის? რა კავშირია გამონაგონსა და სინამდვილეს შორის? წიგნის უკანასკნელი ნაწილი ეთმობა ჩამონათვალის, როგორც ლიტერატურული ხერხის ანალიზს რაბლესთან და ჯოისთან, ჰომეროსთან, უიტმანთან, ალფრედ დიობლინთან და თვით ეკოსთან.

Forms of Modernity: Don Quixote and Modern Theories of the Novel
by **Rachel Schmidt**
რეიჩელ შმიდტი
თანამედროვეობის ფორმები: დონ კიხოტი და რომანის თანამედროვე თეორიები
გამომცემლობა: University of Toronto Press, Scholarly Publishing Division
2011

წიგნში თავმოყრილია „დონ კიხოტის" მრავალფეროვანი ფილოსოფიური და თეორიული რეცეფციები. ავტორი შთამბეჭდავად წარმოგვიჩენს წიგნს განსხვავებული კუთხით და არკვევს რომანის იდეას და თანამედროვეობის პრობლემას. წიგნში დასმულია საკითხი, თუ რა მიმართებაა რომანს, როგორც ჟანრსა და თანამედროვეობის გაგებას შორის. ავტორი იკვლევს პოლემიკას სერვანტესთან და მის რომანთან დაკავშირებით და თან ჟანრის თეორიის საკითხებს არკვევს. სერვანტესის „მკვლევარებიდან" შმიდტი ყურადღებას ამახვილებს შლეგელის, ორტეგა-ი-გასეტის და ბახტინის მოსაზრებებზე.

Mediterranean Modernisms
by **Marinos Pourgouris**
მარინოს პურგურისი
ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნების მოდერნიზმი
გამომცემლობა: Ashgate
2011

მარინოს პურგურისი შეერთებულ შტატებში, ბრაუნის უნივერსიტეტში კომპარატივისტული ლიტერატურის პროფესორია. თავის ნაშრომში განიხილავს ნობელის პრემიის მფლობელი პოეტის — ოდისეუს ელიტისის პოეზიას, საერთაშორისო მოდერნიზმის კონტექსტში და მის ქმნილებებს სხვა ევროპელი მოდერნისტი და სიურეალისტი ავტორების ინტერტექსტში კითხულობს. იმავდროულად, პურგურისი ევროპული მოდერნიზმის ახალ განმარტებას გვთავაზობს, სადაც გაერთიანებულია აქამდე ისეთი უგულვებელყოფილი ელემენტები, როგორებიცაა ეროვნული იდენტობა და გეოგრაფია. ბერძნულ მოდერნიზმზე საუბრისას, ავტორი ელიტისზე ბოდლერის, ბაშლიარის და ფროიდის გავლენებს იკვლევს.

Franz Kafka: Narration, Rhetoric, and Reading
Jakob Lothe (editor), Beatrice Sandberg (editor), Ronald Speirs (editor)
ფრანც კაფკა: თხრობა, რიტორიკა და წაკითხვა
რედაქტორები: იაკობ ლოტი, ბეატრის სენდბერგი, რონალდ სპაირსი
გამომცემლობა: Ohio State University Press
2011

წიგნის გამომცემლებმა თავი მოუყარეს საერთაშორისო მასშტაბის მკლევარების და კაფკას შემოქმედების სპეციალისტების ნაშრომებს. წიგნში სწორედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ნარატოლოგების — სთენლი ქორნგოლდის, გერჰარდ კურცის, იაკობ ლოტის, ჯ. ჰილიზ მილერის, ბენო ვაგნერისა და სხვათა ესეებს შეხვდებით. ეს მკლევარები, კაფკას ტექსტების საშუალებით, პროვოკაციულ საკითხებს წამოჭრიან კაფკას ნარატივთან მიმართებაში. საკითხთა წრე მოიცავს როგორც კაფკას თხრობის თავისებურებებს, ისე ნარატივის თეორიის ზოგად პრობლემებს. ესეები ცხადყოფს, რომ კაფკას შემოქმედება ნარატივის თეორიის და ანალიზის უშრეტი წყაროა დღესაც.

Kristeva
by **Stacey Keltner**
სთეისი კელტნერი
კრისტევა
გამომცემლობა: Polity
2011

თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ლინგვისტის, ფსიქოანალიტიკოსის, სოციალური და კულტურის თეორეტიკოსის, რომანისტის — იულია კრისტევას ინტერესების ფართო არეალი ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების საზღვრებს სცდება. სთეისი კელტნერი თავის წიგნში ამ ბულგარული წარმოშობის ფრანგი ავტორის ნააზრევის ინტერპრეტაციას გვთავაზობს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა, ვთქვათ, მოლაპარაკე სუბიეტსა და მის სოციალურ და ისტორიულ გარემოებებს შორის მიმართება. ნაშრომის ავტორი ყურადღებას ამახვილებს კრისტევასეულ ცნებებზე და მათ ახლებურ წაკითხვას გვთავაზობს: სემიოტიკური და სიმბოლური, ჩაგვრა, სიყვარული, დანაკარგი, სოციალური და კულტურული სხვაობანი, ოედიპოსური სუბიექტურობა. ეს წიგნი თანაბრად სასარგებლოა როგორც ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, ისე მკლევარებისთვისაც.

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
სამეცნიერო პუბლიკაციების სტილი

1. ლიტერატურის ინსტიტუტის პერიოდულ გამოცემებში იბეჭდება ნაშრომები, რომლებიც მოიცავს თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობისათვის აქტუალურ თემებსა და პრობლემებს, მნიშვნელოვან გამოკვლევათა ჯერ გამოუქვეყნებელ შედეგებს.
2. ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს ორ ცალად (ელექტრონული ვერსიით, CD დისკზე) და თან ახლდეს:
   - ❖ თავფურცელი, რომელშიც მითითებული იქნება ავტორის სახელი, გვარი, სტატუსი და საკონტაქტო კოორდინატები;
   - ❖ ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე (1 ნაბეჭდი გვერდი).
3. დამოწმებანი ორიგინალ ენაზე სტატიას უნდა ერთვოდეს ბოლოში; ქართული და რუსული დასახელებები უნდა იქნას ტრანსლიტირებული რომანიზაციის ქართული ეროვნული სისტემის მოდელზე (იხ. ცხრილი, დანართი 2).
4. ნაშრომი მოცულობით უნდა იყოს კომპიუტერზე ნაბეჭდი არა უმეტეს **თხუთმეტი** და არანაკლებ **ხუთი** გვერდისა.
5. ნაშრომი დაბეჭდილი და გაფორმებული უნდა იყოს 4 ფორმატის თეთრ ქაღალდზე შემდეგნაირად:
   ა) ნაშრომის სათაური (იწერება შუაში);
   ბ) ნაშრომის ტექსტი;
   გ) დამოწმებანი ორიგინალ ენაზე და ტრანსლიტირებული (იხ. დანართი 2. დამოწმებული ლიტერატურის ნუსხა);
   დ) ანოტაცია;
   ე) ოთხივე მხრივ დატოვებული მინდორი 25 მმ;
   ვ) ნაბეჭდი ტექსტის შრიფტი – Lit.Nusx 11, ინტერვალი 1;
   - ❖ მე-5 პუნქტის ა), გ) და დ) ქვეპუნქტების მოთხოვნები არ ეხება რუბრიკებს „მემორია“ და „ახალი წიგნები“.
6. ჟურნალში მიღებულია ევროპული სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული ციტირებისა და მითითების წესი **„ლიტერატურის ინსტიტუტის სტილი“** (ლისტ).
   მისი მოთხოვნებია:
   ა) მოტანილი ციტატა ძირითადი ტექსტისგან გამოიყოფა ბრჭყალებით („ “). ციტირების დასასრულს, მრგვალ ფრჩხილებში, დაისმის ინდექსი, რომელშიც აღნიშნულია ციტირებული ტექსტის ავტორის გვარი ორიგინალ ენაზე, ტექსტის გამოქვეყნების წელი, შემდეგ ორწერტილი და გვერდი.
   მაგალითად: (აბაშიძე 1970: 25), (Балашова 1982: 27), (Pound 1935: 67).
   (იხ. წარმოდგენილი ნიმუში, დანართი 1).
   ბ) სალექსო სტროფის (და არა სტრიქონის) ციტირების შემთხვევაში, მოტანილი ციტატა გამოიყოფა ტექსტისაგან და ციტატის ფონტის (შრიფტის) ზომა მცირდება ერთი ინტერვალით (მაგ.: თუ ტექსტის ფონტის ზომაა Lit.Nusx 11, მაშინ ციტატის ზომა იქნება Lit.Nusx 10).
7. დამოწმებანი (დამოწმებული ლიტერატურის ნუსხა) უნდა დალაგდეს ინდექსის მიხედვით, ანბანური რიგით და დაიბეჭდოს გარკვეული წესით **(დაწვრილებით იხ. ცხრილი, დანართი 2)**.
8. ა) სტატიის ავტორის ვრცელი განმარტებანი ინომრება და ინაცვლებს ტექსტის ბოლოს ანოტაციის წინ;
   ბ) სტატიის ავტორის მცირე შენიშვნები აღინიშნება ვარსკვლავით და ჩაიტანება გვერდის ბოლოს, სქოლიოში.
9. ავტორი პასუხისმგებელია დასაბეჭდად წარმოდგენილი ნაშრომის ლიტერატურულ სტილსა და მართლწერაზე.
10. შემოსული სტატია სარეცენზიოდ გადაეცემა ანონიმურ ექსპერტებს.
11. შემოსული მასალების განხილვის შემდეგ, დამატებითი მითითებებისათვის, რედაქცია დაუკავშირდება დასაბეჭდად შერჩეულ ნაშრომთა ავტორებს.
12. ავტორს, განსაზღვრული ვადით (არა უმეტეს სამი დღისა), კორექტურისათვის ეძლევა უკვე დაკაბადონებული ნაშრომი. თუ დადგენილ ვადაში სტატია არ იქნება დაბრუნებული, რედაქცია უფლებას იტოვებს შეაჩეროს იგი ან დაბეჭდოს ავტორის ვიზის გარეშე.

ციტირების, მითითებისა და ბიბლიოგრაფიის ფორმის ნიმუში

დანართი 1

ნიმუში:

ჟენეტის ამოცანაა პრუსტის მხატვრული მანერის თავისებურებათა გამოკვლევა და იმის დასაბუთება, რომ „მეტაფორა და მეტონიმია შეუთავსებელი ანტაგონისტები როდი არიან. ისინი განამტკიცებენ და მსჭვალავენ ურთიერთს, მეორე მათგანის ჯეროვანი შეფასება სულაც არ ნიშნავს მეტონიმიათა ერთგვარი ნუსხის (რომელიც კონკურენციას გაუწევს მეტაფორათა ნუსხას) შედგენას, არამედ – იმის გამოვლენას, თუ როგორ მონაწილეობენ და ფუნქციონირებენ ანალოგიის მიმართებათა ფარგლებში „თანაარსებობის" მიმართებები. ამგვარად, უნდა გამოაშკარავდეს მეტონიმიის როლი მეტაფორაში" (ჟენეტ 1998: 37). რატომ შეარჩია ჟენეტმა ანალიზის საგნად სწორედ პრუსტის შემოქმედება? იმიტომ, აღნიშნავს მეცნიერი, რომ თვით პრუსტის ესთეტიკურ თეორიაში, ისევე, როგორც პრაქტიკაში, მეტაფორულ (ანალოგიაზე დამყარებულ) მიმართებებს ძალზე არსებითი როლი განეკუთვნება, იმდენად არსებითი, რომ მათი მნიშვნელობა და როლი, სხვა სემანტიკურ მიმართებებთან შედარებით, ძალზე გაზვიადებულია.

დანართი 2

ცხრილი:

მონაცემის ტიპი	**დამოწმებული ლიტერატურის ნუსხის (დამოწმებანი-ს) ფორმა ინდექსის მიხედვით** **Bibliography Form**
წიგნი, ერთი ავტორი	Abashidze, K'it'a. *Et'iudebi XIX-s-is Kartuli Li'terat'uris Shesakheb. Tbilisi: gamomtsemloba „merani"*. *1970* (აბაშიძე, კიტა. *ეტიუდები XIX ს.-ის ქართული ლიტერატურის შესახებ.* თბილისი: გამომცემლობა „მერანი", 1970).
Book, one authors	Weiss, Daniel A. *Oedipus in Nottingham: D.H. Lawrence*. Seattle: University of Washington Press, 1962.
ერთი თავი წიგნიდან ან ესე კრებულიდან	Tsipuria, Bela. „P'ost'modernizmi". *Lit'erat'uris T'eoria. XX Sauk'unis Metodologiuri K'ontseptsiebi da Mimdinareobebi.* Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba, 2005 (წიფურია, ბელა. „პოსტმოდერნიზმი". *ლიტერატურის თეორია. XX საუკუნის მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები.* თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2005).
Chapter in a book or an essay from a collection	Johnston, Martin. „Games With Infinity. The Fictions of Jorge Luis Borges". *Cunning Exiles – Studies of Modern Prose Writers*. Eds. Don Anderson and Stephen Knight. Sydney: 1974.
წიგნი, ორი, ან მეტი ავტორი	K'ek'elidze, K'orneli da Aleksandre Baramidze. *Dzveli Kartuli Lit'erat'uris Ist'oria*. Tbilisi: *gamomtsemloba „metsniereba"*, 1975 (კეკელიძე, კორნელი, და ალექსანდრე ბარამიძე. *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია.* თბილისი: *გამომცემლობა „მეცნიერება"*, 1975).

	Natadze, K', et al.*Kartul-Rusuli Lit'erat'uruli Urtiertobebis Ist'oriidan.* Kutaisi: „gantiadi, 1994 (ნათაძე კ ... *ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან.* ქუთაისი: გამომცემლობა „განთიადი", 1994).
Book, two or more authors	Houghton, Walter E., and G. Robert Strange. *Victorian Poetry and Poetics.* Cambridge: Harvard University Press, 1959.
სტატია სამეცნიერო ჟურნალიდან	K'avtiashvili, Venera. „Ilia Ch'avch'avadzis da Hainrikh Haines Shemokmedebis T'ip'ologiisatvis". *Lit'erat'uruli Dziebani.* XXXI (2010): 163-174 (კავთიაშვილი, ვენერა. „ილია ჭავჭავაძის და ჰაინრიხ ჰაინეს შემოქმედების ტიპოლოგიისათვის". *ლიტერატურული ძიებანი.* XXXI (2010): 163-174)
Article in a scholarly journal	Campbell, Jean. „Poetic Genealogy, Mythmaking and the Origins of Urban Nobility: Giovanni Boccaccio and Ambrogio Lorenzetti ". *Heliotropia* 7, 1-2 (2010): 51-63.
სტატია გაზეთიდან ან ჟურნალიდან.	K'ik'nadze, Valeri. „Mikheil Javakhishvili Akhali Teat'risatvis Brdzolashi". *Kartuli Universit'et'i 18-24 mart'i, 2010:5* (კიკნაძე, ვალერი. „მიხეილ ჯავახიშვილი ახალი თეატრისათვის ბრძოლაში". *ქართული უნივერსიტეტი* 18-24 მარტი, 2010: 5).
Article in a magazine or newspaper published monthly	Morozova, Tatijana. „Skelety iz Sosednego Pod'ezda: Pochemu Ljudmila Petrushevskaja tak ne Ljubit Svoikh Geroev". *Literaturnaja Gazeta.* 9 centjabrja 1998: 10 (Морозова, Татяна. „Скелеты из соседнего подъезда: Почему Людмила Петрушевская так не любит своих героев". *Литературная газета.* 9 сентября 1998: 10).
წიგნი, ავტორის გარეშე	*Sabibliotek'o Sakmis Organizatsia da Martva..*Batumi: gamomtsemloba „ach'ara", 1989 (*საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია და მართვა.* ბათუმი: გამომცემლობა „აჭარა", 1989).
Book, no author given	*New Life Options: The Working Women's Resource Book.* New York: McGraw-Hill, 1976.
დაწესებულება, ასოციაცია და მისთანანი, ავტორის პოზიციით	Sakartvelos Sap'at'riarko. *Ts'igni Shekmnisa.* Tbilisi: 2006 (საქართველოს საპატრიარქო. *წიგნი შექმნისა.* თბილისი: 2006.
Institution, association, or the like, as "author"	American Library Association. *ALA Handbook of Organization and 1995/1996 Membership Directory.* Chicago: American Library Association, 1995.
რედაქტორი, ან კომპილატორი, ავტორის პოზიციით	Duduchava, Marina. Ed. *Lit'erat'uris Teoriis Mtsire Leksik'oni.* Tbilisi: gamomtsemloba "nakaduli", 1975 (დუდუჩავა, მარინა. რედაქტორი. *ლიტერატურის თეორიის მცირე ლექსიკონი.* თბ.: გამომცემლობა „ნაკადული", 1975).
Editor or compiler as "author"	Henderson, John. Ed. *The World's Religions.* London: Inter-Varsity Fellowship, 1950.

ელექტრონული დოკუმენტი ინტერნეტიდან **Electronic document From Internet**	Mitchell, William J. *City of Bits: Space, Place, and the Infobahn*. Cambridge, MA: MIT Press, 1995. 29 September 1995. Web. 17 May 2011. http://www-mitpress. mit.edu:80/City_of_Bits/Pulling_Glass/ index.html; Internet. Nevskaja, Dar'ja. „Problema Dialogichnosti „Sozdajushego" i „Sozdannogo" Tekstov (Graf Amori „Final. Okonchanie Proizvedenija "Yama" A. I. Kuprina)". *Literature, Folklore, Arts*. Vol. 705. (2006): n.pag. Web. 15 May, 2011 (Невская, Дарья. „Проблема диалогичности «создающего» и «созданного» текстов (Граф Амори «Финал. Окончание произведения «Яма» А. И. Куприна»)". *Literature, Folklore, Arts*. Vol. 705. (2006): n.pag. Web. 15 May, 2011).
ენციკლოპედია, ლექსიკონი **Encyclopedia, Dictionary**	„Ideologia". *Kartuli Sabch'ota Entsik'lop'edia*. Abashidze, Irakli. ed.Tbilisi: 1964 (*„იდეოლოგია". ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.* აბაშიზე, ირაკლი. რედ. თბილისი: 1964). *Webster's New Collegiate Dictionary*. Springfield: MA: G. & C. Merriam, 1961.
ინტერვიუ (გამოუქვეყნებელი) საავტორო ხელნაწერი **Interview (unpublished) by writer of paper**	Morganisi, Nensi D. *Int'erviu Avt'ortan*. 16 ivlisi 1996. Pol Riviera, Masachusets'si, Chanatseri (მორგანისი, ნენსი დ. *ინტერვიუ ავტორთან*, 16 ივლისი 1996, ფოლ რივიერა, მასაჩუსეტსი, ჩანაწერი) Morganis, Nancy D. *Interview by Author*. 16 July 1996, Fall River, MA. Tape recording.
კონფერენციის მასალები **Conference Proceedings**	Choloq'ashvili, Rusudan. „Gamotsemebi K'omunist'uri Rezhimis Shesakheb Sakartveloshi". *T'ot'alit'arizmi da Lit'erat'uruli Disk'ursi. Meotse Sau'kunis Gamotsdileba.Tbilisi 7-9 okt'omberi, 2009.* Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba, 2010 (ჩოლოყაშვილი, რუსუდან. „გადმოცემები ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმის შესახებ საქართველოში". *ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი. მეოცე საუკუნის გამოცდილება. თბილისი, 7-9 ოქტომბერი, 2009. ირმა რატიანი. რედ. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010).*
თეზისები, ან სადისერტაციო ნაშრომის დასკვნები (დებულებები) **Thesis or dissertation**	Ts'ikarishvili, Lela. *Mikheil Javakhishvilis Shemokmedebis Sakhismet'q've-lebiti Asp'ek'tebi. PhD.* Diss. TSU, 2004 (წიქარიშვილი, ლელა. *მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების სახისმეტყველებითი ასპექტები.* ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. თსუ, 2004). Bishop, Karen Lynn. *Documenting Institutional Identity: Strategic Writing in the IUPUI Comprehensive Campaign*. PhD. Diss. Purdue University, 2002.

*ერთსა და იმავე წელს გამოცემული რამდენიმე ნაშრომი (ცალკე ან თანაავტორობით) ან ერთი და იგივე ნაშრომი (გაგრძელებებით) რამდენიმე ნომერში მიეთითება ანბანური რიგით. მაგალითად: (აბაშიძე 1987ა: 21), (აბაშიძე 1987ბ: 87).